1966/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმანახი

1966 2

ცისფერი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 42-ე № 2 თებერვალი, 1966 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

თამაზ ჭილაძე — აჰა, მიიწურა ზამთარი. რომანი 3
ოთარ ჭილაძე — სინათლის წელიწადი. პოემა 36
ნოდარ დუმბაძე — მზიანი ღამე. რომანი. დასასრული 52
ლადო სულაბერიძე — პაატა. ლირიკული ფრაგმენტები 99
გურამ გეგეშიძე — ეშმაკის მოსახვევი. მოთხრობა 102

კრიტიკა

დ. თევზაძე — თანამედროვეობის პრობლემა ოციანი წლების ქართულ ლიტერატურაში 120

800 შოთა რუსთაველი 800

სარგის ცაიშვილი — შოთა რუსთაველი 132
დამანა მელიქიშვილი — იოანე პეტრიწის ენის თავისებურების ზოგიერთი საკითხი . 147

ხელოვნება

ნ. მიქავა — ლადო გუდიაშვილის ათას ერთი ღამე... 156

სხვადასხვა

ვლადიმერ ჟღენტი — გული და საუკუნე 166
ნატალია ორლოვსკაია — ცნობები ვახტანგ მე-6 შესახებ მე-18 საუკუნის ფრანგულ
რომანში 180

წიგნების მიმოხილვა

გ. ბრეგაძე — მონოგრაფია სოციალისტურ რევოლუციაზე 184
ნოდარ ნათაძე — ერთი დაუსაბუთებელი შეხედულების გამო 186
კარლო კობერიძე — დენთისა და კერიის კვამლი 190

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“

საქ. სსრ სახელმწიფო უნივერსალური ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: **ვ. წულუკიძე**

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი, ე. მალრაძე, ბ. ჟღენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი, ს. შანშიაშვილი, გ. ჯიბლაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 68. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/II-66 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12^1/_2$. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16.
უე 02906 ტირაჟი 6500. შეკვეთა № 62.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ ჭიღაძე

აჰა, მიიწურა ზამთარი

რომანი

ნაწილი პირველი

1. ადამი კბილის ექიმთან მიდის. დედაბერი. წვიმა... თინა.

— ფეხი არ უნდა გაგეწმინდათ? — ჩაიბუზღუნა დედაბერმა.

კაცი დერეფანში გატრიალდა, კარის წინ გაფენილ ტილოზე ფეხი გულმოდგინედ გაიწმინდა, მერე კარზე. გამოღებული რომ დატოვა. დააკაკუნა და მორიდებით იკითხა:

— შეიძლება?

დედაბერმა ხელი ჩაიქნია და წავიდა. მერე გაჩერდა, თითქოს ყური მიუგდო, მომყვება თუ არაო. ფეხის ხმა რომ ვერ გაიგონა. მოუბრუნდა:

— რაღას უდგეხართ?

გულხელდაკრეფილი კაცი კართან იყო ატუზული.

— რომ არ გითქვამთ, შემოდიო?

— ჰმ...

კაცი ნელა დაიძრა, დიდი წაღები ეცვა, ქუსლებზე ნალებდაკრული, იფიქრებდი, ეს მოკრიალებული იატაკი უცებ სარკესავით დაიმსხვრევაო.

— ჩუ! — დედაბერმა ხელები გააასავსავა, — ჩუ!

კაცი უცებ შეჩერდა. ისე რომ ერთი ფეხი მაღლა აწეული დარჩა.

— ჩუ! — გაიმეორა ისევ დედაბერმა და ანიშნა, ფეხი დაუშვიო.

კაცმა ფეხი ფრთხილად დაუშვა. თითქოს იატაკზე გუბე მდგარიყოს.

ღიად დარჩენილ კარში ვეება ნაგაზი გამოჩნდა, ბეწვი აბურძგვნოდა. ძაღლმა ოთახი დინჯად მიათვალიერ-მოათვალიერა, მთელი სხეული შეარხია და წვიმა შემოიბერტყა.

— უი! — შეჰკივლა დედაბერმა.

— ყურშა! — კაცმა ძაღლს ხელი აუქნია.

ყურშა ისევ გამოღებულ კარში იდგა, ვერ მიხვდა პატრონი რას ანიშნებდა. ჯერ ნაბიჯი გადმოდგა, მერე სადაც იდგა, იქვე ჩაწვა. კაცმა ტუჩებზე თითი მიიდო, ჩუმადო. ძაღლმა თათებზე თავი დადო და ქვევიდან ამოხედა.

— გადი, ძაღლო, გარეთ! — დედაბერს ძაღლის ეშინოდა, შორიდან ეძახდა.

— ჩუ! — გააფრთხილა კაცმა დედაბერი.

— შენია? — ჰკითხა ჩურჩულით დედაბერმა.

კაცმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— გააგდე! — უბრძანა დედაბერმა.

— არ წავა!

— ჯანდაბას თქვენი თავი! — დედაბერი გატრიალდა, — წამო!

კაცი ოთახის ბოლომდე მიჰყვა. მერე დედაბერმა სხვა ოთახის კარი გამოაღო, თვითონ შევიდა, კაცს კი ცხვირწინ მიუკეტა კარი. კაცმა ძაღლს მოხედა, ძაღლი ისევ ისე გაუნძრევლად იწვა. კაცმა ანიშნა, ასე იწექიო. ყურშამ იატაკს კუ-

დი რამდენჯერმე დაუბათქუნა. კაცს გაეღიმა.

დედაბერი რომ აღარ გამოჩნდა, კაცმა ოთახში დაიწყო სიარული. დარბაზივით დიდი ოთახი თითქმის ცარიელი იყო, მხოლოდ ერთ კედელთან რამდენიმე სკამი იდგა მწკრივად. ეს იყო და ეს. იფიქრებდი, ამ ოთახიდან მიცვალებული ხომ არ გაუსვენებიათო. კაცი წავიდა და სკამზე ჩამოჯდა. ასე იჯდა ცოტა ხანს. თავი მკერდზე ჩამოუვარდა, ჩასთვლიმა. სასწრაფოდ ასწია თავი და მიმოიხედა, დედაბერი არ ჩანდა. ისევ ჩასთვლიმა. ახლა ვიღაცამ შეანჯღრია, თვალი ძლივს გაახილა, დედაბერი მხარში ჩაფრენოდა და აღვიძებდა.

— ჰა? ჰა? — წამოვარდა თვალდაჭყეტილი კაცი.

ყურშამ ყრუდ შეიღრინა; ალბათ დედაბრის გასაგონად.

— შენ რა გქვია? — შეეკითხა დედაბერი კაცს.

— ადამი!

— ჰოდა, დაიცადე!

წაფრატუნდა, ისევ დაბრუნდა:

— აქ ძილი არ შეიძლება!

— კარგი, დედილო, — უპასუხა კაცმა, — არ დავიძინებ!

დედაბერი რომ წავიდა, კაცმა ოთახში გაიარ-გამოიარა. იცოდა, დამჯდარს მაშინვე ჩაეძინებოდა. ამ ცარიელ ოთახში ვერაფერზე შეაჩერა თვალი. უცებ კედელზე ჩამოკიდებული სურათი დაინახა. ახლოს მივიდა და დააკვირდა. ბავშვის სურათი იყო. ბავშვის ფეხზე ვიღაცის ხელი მოჩანდა, ვიღაც უჩინარს ბავშვი ეჭირა, რომ არ წაქცეულიყო. კაცი გამოტრიალდა, მაგრამ მაშინვე ისევ სურათს მიუბრუნდა, ახლა უფრო კარგად დააკვირდა.

— საოცარია! — თქვა მან ხმამაღლა. დიდხანს უცქირა სურათს და ისევ გაიმეორა, — საოცარია!

რატომღაც ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ ეს მისი ბავშვობის სურათი იყო. იმ ხელის დანახვამ, ბავშვი რომ ეჭირა, კინაღამ ცრემლი მოჰგვარა, თითქოს იცოდა კიდეც, ვისი იყო ეს ხელი. იცოდა... იცოდა... მაგრამ აღარ გახსოვდა. თითქოს ამ წუთას დაავიწყდა.

„კი. მაგრამ, ჩემს სურათს აქ რა უნდა?“ — გაიფიქრა მან.

მერე გაახსენდა, რომ თავისი ბავშვობის სურათი არასოდეს არ ეხახა, მისთვის სურათი ბავშვობაში არ გადაუღიათ. მაშ, რატომ იყო ყველაფერი ასეთი ნაცნობი და მახლობელი, რატომ ეცნობოდა ეს ხელი, ფრთხილად რომ მოხვეოდა ბავშვის ფეხს? ვინ იყო ის უჩინარი, რომელსაც ბავშვი ეჭირა? ხომ იცოდა მისი სახელი, აქამდე ხომ სულ იცოდა? ახლა კი უიმედოდ დავიწყებოდა.

„მესიზმრება!“ — გაიფიქრა კაცმა.

ამ დროს ოთახში დედაბერი შემოვიდა, მან კარი ღია დატოვა და კაცს დაუძახა:

— მობრძანდი!

— დედი, — კაცს უნდოდა ეკითხა ეს ვისი სურათიაო, მაგრამ დედაბერმა არ დააცალა:

— მობრძანდი-მეთქი, გელოდება!

კაცი ოთახში შევიდა. ეს ოთახი გაცილებით უფრო პატარა იყო, უფრო ბნელიც, რადგან პირველი ოთახისაგან განსხვავებით, აქ ნავთის ძველებური ლამპა ენთო. ლამპა ჭერიდან ჩამოშვებულ ფოლადის კაუჭზე ეკიდა. დიდი წითელი თავსაფარი ჰქონდა, შავი ხალებით მოხატული. ოთახში უზარმაზარ ყაყაჩოსავით გაშლილიყო და მის მოწითალო სინათლეში საგნები ისე მოჩანდა, თითქოს წყალზე ტივტივებენო. ოთახის ერთ კუთხეში მონიკელებული სავარძელი იდგა. სავარძლის ფეხთან კი — მოზრდილი თასი. იქვე კბილის საბურღი მანქანა აწოწილიყო. ესეც თითქოს წყალში იდგა, ყანჩასავით. თითქოს ირხეოდა კიდეც. ოთახის ერთი მხარე საწერ მაგიდას დაეჭირა მთლიანად. საწერ მაგიდაზე წიგნები დაეხვავებინათ. წიგნებს ზემოთ გალია შემოესკუპებინათ, შიგ ჩიტი დახტოდა. მაგიდაზე საწოლი იყო მიდ-

გმული. საწოლზე პალტო, შუაზე გაკეცილი გაზეთი და სათვალე ეგდო.

— დაბრძანდით, — შემოესმა ადამს, — ახლავე!

ადამმა იქით გაიხედა, საიდანაც ხმა მოდიოდა. ოთახის ერთი კუთხე ფარდით გადაეტიხრათ, ფარდის იქით ალბათ ონკანი იყო, წყლის ჩხრიალი ისმოდა.

ადამის ახლოს ტყავგადაკრული სკამი იდგა. სკამს ზამბარები ჩავარდნოდა და ტყავიც რამდენიმე ადგილას გადაგლეჯოდა. ადამი სკამის კიდეზე ჩამოჯდა. თუმცა ფეხზე დგომა ერჩივნა. თვალებზე ხელი მოისვა, უძილობისგან ქუთუთოები მწარედ ექავებოდა. ძილი მაინცდამაინც ახლა ერეოდა, ალბათ იმიტომ, რომ კბილის ტკივილი ჩაუწყნარდა. იფიქრა, იქნებ ჯობია შინ დავბრუნდე, მაინც აღარ მტკივა. მაგრამ თავი შეიკავა, რადგან აქამდე მოვედი, ბარემ მოვიშორო კიდეცო.

მერე ფარდა გადაიწია და მოხუცი კაცი გამოჩნდა. კაცს პერანგის სახელოები დაეკაპიწებინა, პირსახოცით ხელებს იმშრალებდა. დაბალი იყო, მელოტი. შინ ნაქსოვი, უმკლავებო ჯემპრი ეცვა, შარვლიდან პერანგი ამოჩაჩოდა.

ადამი წამოდგა და მიესალმა. მოხუცმა ბეცი თვალებით შემოხედა.

— აჰა! — თქვა მან, თითქოს იცნოო. — დაბრძანდით!

მერე პირსახოცი ლოგინზე დააგდო და დაიძახა:

— დედა!

კარი გაიღო და ოთახში დედაბერი შემოვიდა.

— ჩემი სათვალე სად არის?

— სათვალე? — დედაბერი უცებ აფუსფუსდა, — სათვალე?

მაშინვე წიგნებს ეცა, იქ რომ ვერ იპოვა, რატომღაც ადამს მოხედა და უმწეოდ გაუღიმა.

— ყველაფერი არეულია, ყველაფერი, — თქვა კაცმა ბრაზიანად.

— აგე, სათვალე, ლოგინზე გდია, — თქვა ადამმა მორიდებით.

დედაბერი ლოგინისკენ გაქანდა, სათვალე აიღო და სიხარულით შესძახა:

— აი, შენი სათვალე!

კაცმა სათვალე მაშინვე გაიკეთა, თითქოს ამოწმებს მართლა ჩემია თუ არაო.

მერე დედაბერს დამორცხვებით უთხრა:

— მაპატიე.

და მხრებზე ხელი მოხვია.

დედაბერმა გაიღიმა:

— კარგი ერთი.

შეეტყო კი, შვილის მოფერება გაუხარდა.

— ახლა წავალ, — თქვა ცოტა ხნის მერე დედაბერმა.

— იყავი, — უთხრა შვილმა.

— წავალ, ჩაიდანი მიდგას.

— კარგი, დედიკო.

კაცმა დედას თვალი გააყოლა, მერე ადამს მოუბრუნდა:

— დაბერდა...

სახელოები ჩამოიწია, შეიკრა. კარადიდან თეთრი ხალათი გადმოიღო და ჩაიცვა:

— აბა?!

ადამმა მიმოიხედა. ამით უნდოდა ენიშნებინა, ამ შუქზე რას დაინახავთო. კაცი თითქოს მიუხვდა, საბურღ მანქანასთან მივიდა და იქ კედელზე მიმაგრებული ნათურა, ადამი აქამდე რომ ვერ ამჩნევდა, ხელით გადაატრიალა, ნათურა აინთო.

ადამი მივიდა და სკამზე დაჯდა.

— პირი გააღეთ! — უთხრა ექიმმა.

ადამმა პირი გააღო, მაგრამ ექიმი რატომღაც მოშორდა, წავიდა და საწერ მაგიდაზე რაღაცას ძებნა დაუწყო. ადამმა არ იცოდა, რა ექნა, დაეხურა თუ არა პირი? იქნებ ასეა საჭიროო,—ფიქრობდა. რადგან კბილის ექიმთან პირველად იყო. კაცი დაბრუნდა, თან გაზეთი მოიტანა:

— წაიკითხეთ?

ადამმა ცალი თვალით გადმოხედა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთს, პირი ისევ ღია ჰქონდა, ექიმმა მხოლოდ ახლა შეამჩნია ეს:

— ოჰ, უკაცრავად!

და გაზეთი ფანჯრის რაფაზე დააგდო. ფანჯარა ზუსტად სკამის წინ იყო გაჭრილი. დარაბები მაგრად ჩაეკეტათ, ეტყობოდა, არც დღისით აღებდნენ, რადგან რაფაზე საკერავი მანქანა და დიდი მოწნულ-ბუდიანი ბოცო იდგა. ექიმმა რკინის ყუთი გახსნა და რომელიღაც ინსტრუმენტი ამოიღო.

„აი, ახლა დაიწყება!" — გაიფიქრა ადამმა და მოემზადა, რადგან ეგონა, რომ საშინლად ეტკინებოდა.

— ა-ა-ა-ა, თქვით, ა-ა-ა-ა!

— ა-ა-ა-ა!

— ასე! გადააფურთხეთ!

— სამი დღეა არ მძინავს, — თქვა ადამმა.

— არაფერია, — უპასუხა ექიმმა.

— მტკივა!

— ასე იცის!

— სამი ღამე...

— აბა, გააღეთ პირი!

მერე ისევ მოულოდნელად დაანება თავი, ისევ მაგიდასთან მივიდა, სიგარეტი ხის გრძელ მუშტუკში ჩადო, მოუკიდა და კვამლს ამოაყოლა:

— დიდი არაფერი!

ადამს კბილი აღარ სტკიოდა, ახლა აქედან წასვლა უნდოდა, რაც შეიძლება ჩქარა. ექიმმა სკამი მოიტანა და გვერდით ჩამოუჯდა, სიგარეტი თასში ჩააფერფლა. მას დღისით ეძინა, წინ მთელი უძილო ღამე ელოდებოდა. ეტყობოდა, ადამის გაშვებას არ ჩქარობდა.

— აბა, წავალ, — თქვა ადამმა და წამოიწია.

— არა, წამალი უნდა ჩაგიდოთ.

„მერე რაღას უცდი?" — ხმამაღლა კი თქვა:

— კარგი, ბატონო.

— მე თქვენ გიცნობთ, — უთხრა ექიმმა.

— დიახ, — უპასუხა ადამმა, — დიახ.

— თქვენ ხიდს აშენებთ ხომ?

— დიახ.

— ახლა?

— რა?

— რომ მოთოვს, მერე?

— უნდა გავჩერდეთ, რა ვქნა.

— მალე მოთოვს. შეიძლება უკვე თოვს კიდეც.

— არა... წვიმა ცრის.

— ასე იცის, ჯერ წვიმა, მერე თოვლი.

— დიახ.

— მერე ისევ წვიმა...

— შეიძლება არც გავჩერდეთ, — თქვა ადამმა.

— დაწყდებით.

— ვნახოთ, როგორ იქნება.

— შეიძლება არც მოთოვოს. თქვენ მარტო ცხოვრობთ ხომ?

— ჩვენ ხომ ვაგონები გვიდგას? იქ ვცხოვრობ.

— აქ ხომ გყავთ ნაცნობები?

— დიახ, მყავს. ჩვენც ბევრნი ვართ... მუშები არიან.

— აბა, გააღეთ პირი! — ექიმი წამოდგა.

ცოტა ხნის მერე კარებში დედაბერმა შემოჰყო თავი:

— მეძახდი? — ჰკითხა შვილს.

— არა?

— კარგი აბა, — და კარი გაიხურა.

— დედაჩემია, — თქვა ექიმმა. — დაბერდა საწყალი, — ცოტა ხნის მერე დაუმატა, — აი, მეც დავბერდი. თქვენ თუ გყავთ მშობლები?

— არა.

— რას მეუბნებით? — ექიმი ისევ დაჯდა, — რას მეუბნებით?

— დიახ.. მაშ, არაფერია ხომ? — ადამმა ლოყაზე მიიდო ხელი, ექიმისთვის თავისი მტკივანა კბილის შეხსენება უნდოდა.

— არაფერია, — თქვა ექიმმა და მძიმედ წამოდგა, — თქვენ ისეთი კბილები გაქვთ, რკინას დაღეჭავთ... ნუ გეშინიათ... ნურაფრისა ნუ გეშინიათ...

ადამი ვერ მიხვდა, რას გულისხმობ-

და ექიმი, რისი არ უნდა შეშინებოდა. გული თუ აუჩუყდა? ალბათ.

ცოტა ხნის მერე ადამი წამოდგა. ექიმმა გამოაცილა. დარბაზში რომ გამოვიდნენ, ადამმა ისევ იმ სურათს მიხედა, კედელზე რომ იყო ჩამოკიდებული.

— ეს სურათი...

ექიმმა აღარ დააცალა:

— ნახეთ?

— დიახ. ვისია?

— ჩემი ძმისშვილის სურათია. ახლა თქვენოდენაა.

— მე მეგონა,—ადამს გაეცინა, აზრი აღარ დაამთავრა და სულ სხვა რაღაც თქვა, — ალბათ, მეც ასეთი ვიყავი პატარა.

— ბავშვები ერთმანეთს გვანან, — უპასუხა ექიმმა, მან ადამს მკერდზე მიადო გაშლილი ხელი, ქვევიდან ახედა და ეშმაკური ღიმილით დაუმატა, —მერე რა ემართებათ, არ ვიცი.

უცებ კარებში გაწოლილი ძაღლი დაინახა: ოჰო?

ადამს საშინლად შერცხვა:

—გარეთ არ დაიცადა,—მოუბოდიშა.

— მერე რა, მერე რა? როგორ გაწუწულა საწყალი!

— ადე, ყურშა! — დაუძახა ადამმა ძაღლს.

ძაღლი წამოდგა. ექიმი თამამად მივიდა ძაღლთან და თავზე ხელი გადაუსვა:

— რამოდენაა?! — თქვა ბავშვური აღტაცებით.

დერეფანში გამოვიდნენ. ექიმმა კარი გააღო.

— დიდი მადლობა, — უთხრა ადამმა.

— თუ აგტკივდეთ, არ მოგერიდოთ. მე მგონი, აღარ აგტკივდებათ.

— დიდი მადლობა.

— ისედაც გამოიარეთ ჩემთან. შაბათობით აქ ვიკრიბებით ხოლმე, ნარდს ვთამაშობთ... ვლაპარაკობთ, ვერთობით.

— მადლობთ.

— უსათუოდ მოდით.

ამ დროს ექიმს დედამ დაუძახა:

— გაცივდები, შემოდი!

— ნახვამდის. — უთხრა ექიმს ადამმა.

— ნახვამდის. როგორ ბნელა?

— გზას გავიგნებ.

— იქ უნდა იყოს ქუჩის ბოლოს ერთი ნათურა. მერე ახალი ქუჩა იწყება, ასფალტია დაგებული...

— ნახვამდის!

— უსათუოდ გამოიარეთ!

— მადლობთ.

ადამი გზას დაადგა, მაგრამ იქითკენ არ წასულა, სადაც ნათურა უნდა ყოფილიყო, მაშინვე გადაუხვია. თუმცა თავის თავს არ უმხელდა, იცოდა, რომ თინას სახლისკენ მიდიოდა. ერთი კვირაა მისთვის თვალი არ მოუკრავს. ეს კი კბილის ტკივილზე უფრო აუტანელი გახდა. ყველაფერს გაუძლებდა, ყველაფერს, ოღონდ თინასთვის შეეხედა.

თინა ახლა უსათუოდ უნდა ენახა. იცოდა კი, რომ ასე გვიან მას ვერაფრით ვერ ნახავდა. მაინც რაღაცის იმედი ჰქონდა. ხომ შეიძლება შემთხვევით მეზობელთან გადავიდეს? გამოვა და დამინახავს. არაფერს მეტყვის, ისე როგორც ყოველთვის, ერთხელ შემომხედავს მხოლოდ და წავა... გაქრება. კიდეც რომ გაჩერდეს და დამელაპარაკოს, რა უნდა ვუთხრა? ვერაფერსაც ვერ ვეტყვი. ვიცი, რომ სისულელეს ვაკეთებ, არც უფლება მაქვს, მაგრამ რა ვქნა? განა გუშინაც არ ვიდექი იქ? გუშინწინაც? რამდენმა დამინახა. იმასაც ხომ სახელს ვუტეხ, მეტი კი არ უნდათ?

მერე იგრძნო, რომ მირბოდა. ეჩვენებოდა, წვიმა არ უშვებდა, ღობესავით გზას უკეტავდა, ან ტანსაცმელში ჩაფრენილი უკან ეწეოდა. ის კი უძალიანდებოდა და მირბოდა. ძაღლი ძუნძულით მისდევდა. ასე სირბილით მიადგა თინას სახლს. ძლივს დაიჭირა თავი და გაჩერდა. დროზე მოვიდა გონს, თორემ შეიძლებოდა ჭიშკარს შესკდომოდა, ბრახუნი აეტეხა, ეყვირა.

გაჩერდა და ამოვარდნილი გული ჩა-

იბრუნა. მერე ისეთი რამ დაინახა, რასაც სრულებით არ ელოდებოდა: ჭიშკარი ღია იყო. ფრთხილად მიუახლოვდა და ეზოში შეიხედა. ეზოს სიღრმეში მანქანა იდგა. მანქანიდან შუშას ყრიდნენ. თინას ქმარიც იქ იყო, მისი ხმა მოესმა. მის გარდა ორი კაცი მოჩანდა კიდევ.

ორსართულიან, აგურის სახლს აქეთ მხარეს ფიცრული ქოხი ჰქონდა მიდგმული. იცოდა, იქ საკუჭნაო ჰქონდათ. ქოხში სინათლე ენთო. რატომღაც გულმა უაზრა, თინა უეჭველად იქ არისო. გამობრუნდა, ძაღლთან მივიდა, ქუჩის მეორე მხარეს რომ უცდიდა.

— დამიცადე აქ, — უთხრა ძაღლს, — ხომ დამიცდი?

მაინც არ ენდო, ქამარი მოიხსნა, საყელურში გაუყარა და ძაღლი ხეზე მიაბა. წამოვიდა, ეზოში ფრთხილად შეიპარა, მანქანასთან მდგომნი ვერ დაინახავდნენ, რადგან ეზოში ბნელოდა, მხოლოდ მათ ეცემოდათ სახლის ფანჯრებიდან გამოსული სინათლე.

პირდაპირ საკუჭნაოსკენ წავიდა. არ ფიქრობდა რას აკეთებდა, რა შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა, თითქოს არაფერი აღარ ახსოვდა, ვერაფერს გრძნობდა, იცოდა მხოლოდ, რომ თინა უსათუოდ უნდა ენახა.

კარი შეაღო. პირველად ეგონა, ვერაფერს დაინახავდა, მაგრამ ყველაფერი გასაოცარი სიცხადით დაინახა: ქალი სარეცხს რეცხდა. ტაშტზე დახრილიყო და თმა ჩამოშლოდა. სახელოები მხრებამდე აეკაპიწებინა და ხელები აქაფებულ საპონში ჩაემალა. იქვე, ოთახის კუთხეში, ნავთქურაზე ვეება ქვაბი იდგა, ქვაბში გამოსახარში სარეცხი ეყარა. ოთახს ერთი ფანჯარა ჰქონდა. ფანჯრის რაფაზე თიხის ქოთნებში ჩარგული, დამჭკნარი ყვავილები მოჩანდა. ფანჯარაზე ხელით ნაქარგი ტილოს ფარდა იყო ჩამოფარებული. კუთხეში, მაგიდაზე ჯამ-ჭურჭელი ელაგა. კედელზე კალენდარი იყო გაკრული. ოთახში ცხელოდა. თუმცა ფანჯარა გამოღებული იყო, საპნისა და ნახარში სარეცხის სუნი მაინც იდგა.

ქალმა თავი ასწია და შეხედა. ჯერ ვერ იცნო, ვერ იცნო, თუ ვერ დაინახა. მერე სახე შეეცვალა, ტაშტიდან ხელები ამოიღო და წინსაფარზე შეიმშრალა. ხელისზურგით შუბლზე ჩამოშლილი თმა გაისწორა და მერე საკინძეზე შეხსნილი ღილი აუჩქარებლად შეიკრა.

— გამარჯობათ. — თქვა ჩუმად ადამმა. სკამი ახლოს მოიჩოჩა და იქვე კართან დაჯდა.

ქალს თითქოს არაფერი უკვირდა. ეს კი იყო, ადგილიდან ვერ იძროდა.

ადამს თავი ჩაეღუნა. რაღაცას ელოდებოდა, თვითონაც არ იცოდა, რას.

— საქმე გქონდათ რამე? — ჰკითხა ქალმა ჩუმად.

— უკაცრავად...

მერე აუტანელი სიჩუმე ჩამოვარდა. ადამი ისევ თავჩაღუნული იჯდა. უცებ იგრძნო, ქალმა გაიღიმა, თავი ასწია და შეხედა, ქალი მართლაც იღიმებოდა.

— თინა, — ადამს ხმა აუკანკალდა, — თინა...

— დაიცადეთ. წყალს დაგალევინებთ.

ქალი მშვიდად იყო, თითქოს ყოველდღე ასე ელაპარაკებოდა. საკვირველია, საიდანა ჰქონდა ამდენი სითამამე, როგორ მიხვდა, ადამს წყალი რომ წყუროდა?

ქალმა წყალი ტოლჩიდან ჭიქაში დაასხა და ადამს მიუტანა:

— აჰა, დალიეთ!

ადამმა ქალს შეხედა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ პირი ისე ჰქონდა გამშრალი, ხმა ვერ ამოიღო. ჭიქა სულის ერთი მოთქმით გამოცალა: — კიდევ დამისხით! — ჭიქა გაუწოდა. ქალმა ისევ გაუვსო ჭიქა. ადამს წყალი აღარ დაულევია, წამოდგა, ჭიქა მაგიდაზე დადგა და ფანჯარასთან მივიდა. თან ფიქრობდა, ნეტავ მთვრალი არ ვეგონოო. კალენდარს შეხედა:

— ეს ფურცელი უკვე შეიძლება მოვხიო...

„ისიც კი მახსოვს, დღეს რა რიცხვია...!“

— კი. მოხიეთ...

ადამი მოტრიალდა:

— თინა!

თინა ახლოს მივიდა:

— მთლად სველი ხართ, წადით შინ!

ეს ისე იყო ნათქვამი. რომ ადამი მოეშვა, ამ ხმას დაჰყვა, დაეშორჩილა. თინამ ყველაფერი უთხრა, მეტი რა უნდა ეთქვა?

ადამი კარისკენ წავიდა.

— ნახვამდის, თინა!

კარი გამოაღო და მოტრიალდა:

— ნახვამდის...

თინამ გაუღიმა. ამ ღიმილმა უფრო შეაშინა ადამი, ვიდრე გაახარა. „ნამდვილად მთვრალი ვგონივარ,—იფიქრა,—ეშინია და იმიტომ მიღიმისო“. ეს გაიფიქრა თუ არა, შებარბაცდა კიდეც, მხრით მიეყრდნო კედელს და სიმწრისაგან გაეცინა: რამ შეაბარბაცა, თითქოს მართლაც მთვრალი ~~ყოფილიყოს~~! გრძნობდა, კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, ასე წამოსვლა არ შეიძლებოდა.

— წვიმს! — სხვა ვერაფერი მოახერხა.

— სულ ასე არ წვიმს? — თინას ეს სიტყვები უკვე ქუჩაში მოესმა. იქნებ თინას ხმაც არ ამოუღია და მოეჩვენა?

ცოტა ხნის მერე თინა ქუჩაში გამოვიდა. სიბნელეში ადამის ლანდი დაინახა, გზას ბარბაცით რომ მიჰყვებოდა. უკან ვეება ძაღლი მისდევდა ძუნძულით.

— რას უდგეხარ, ქალო, მანდ? — მოესმა ქმრის ხმა.

— ეს ჭიშკარი ასე უნდა იყოს? — გაეპასუხა ქმარს, თან ლანდისთვის თვალი არ მოუშორებია.

— გავა მანქანა და დავკეტავ, შედი შინ!

2. სტუმრად ნანასთან. თოვლი. ნინიკო, მილიციელი. ბატონი ვალერიანი.

თოვლი უცებ მოვიდა. ასე ადრე თბილისში ჯერ არ მოუთოვია. ყოველ შემთხვევაში, ზაზას არ ახსოვს ასე ადრე მოსულიყოს თოვლი.

ზაზა და ნინიკო თეატრიდან მოდიოდნენ. ქუჩაში პაპუნა, თორნიკე და რამაზი შეხვდათ. პაპუნამ ყველანი თავის ნაცნობ გოგონასთან წამოიყვანა.

„გაუმარჯოს პირველ თოვლს“, — თქვა თამადამ. „გახსოვთ პუშკინის ლექსი, — დაიძახა ნანამ, — აი ის... როგორ იწყება?“ ზაზამ თავი ასწია: „თოვს?“ „ხო, თოვს. — უპასუხა თამადამ, — ეს გაუმარჯოს პირველი თოვლის მოსვლას“... თამადას ღვინისაგან სახე წამოწითლებოდა, ხელში ვერცხლის დიდი ფიალა ეჭირა. „პაპუნა, თქვი რამე კარგი, — გაეპრანჭა ნანა, — თქვი რამე“. პაპუნამ, თუმცა მხატვარი იყო, კარგი ლაპარაკი იცოდა, ამიტომაც ირჩევდნენ ხოლმე თამადად. „პირველი თოვლი, — თქვა პაპუნამ და გაჩერდა. არ იცოდა რა ეთქვა და ისევ გაიმეორა: პირველი თოვლი“. „როგორ მინდა ბაკურიანში წასვლა,—ნანამ ტაში შემოჰკრა, — იცით რა თეთრი თოვლია იქ?“ თითქოს სხვაგან თოვლი თეთრი არ ყოფილიყოს. „პირველი თოვლი პირველ სიყვარულსა ჰგავს“, — თქვა პაპუნამ. მთავარი იყო ელაპარაკა ლამაზად. სულ ერთი იყო, რას იტყოდა. „მე კი არავინ მყვარებია“, — თქვა ნინიკომ. ნინიკო მსახიობი იყო. „მე კი არავის ვუყვარვარ!“ — ნანას თვალები უბრწყინავდა. „მე მიყვარხარ“, — დაუყვირა პაპუნამ. „ერთი ლეილამ გაგიგოს!“ — ჩაიბუზღუნა რამაზმა. „სიყვარულიც თოვლივით ჩამოდის ციდან, — გააგრძელა პაპუნამ, თან ნანას თვალს არ აშორებდა, — და მთელ ქვეყანას ფარავს“. „უსათუოდ წავალ ბაკურიანში“ — თქვა ნანამ. „ნეტავ ბაკურიანში თუ თოვს?“ —

იკითხა ნინიკომ. „ახლა ყველგან თოვს, — უპასუხა პაპუნამ, — ყველგან — ბაკურიანშიც, მოსკოვშიც, საჰარაშიც“. „საჰარაში! — ნანას ძალიან მოეწონა პაპუნას ნათქვამი, — წარმოგიდგენიათ თოვლი საჰარაში!“ პაპუნამ ფიალა გამოსცალა და ზაზას გადმოაწოდა: „დალიე!“ ზაზა წამოდგა, ფიალა გაივსო და იკითხა: „მართლა თოვს?“ ისეთი გულუბრყვილო შეკითხვა გამოვიდა, სუფრაზე სიცილი ატყდა. ზაზას რატომღაც შერცხვა, ფიალას დაეწაფა. „დაიცა, — დაუძახა პაპუნამ, — ასე როგორ შეიძლება, თქვი რამე?“ „რა უნდა ვთქვა?“ „თოვლის სადღეგრძელო! რა, პირველად ხარ სუფრაზე?“ „ლაპარაკი რომ არ ვიცი?“ „იცი კი არა“. „გაუმარჯოს პირველ თოვლს“. „სულ ეს იყო? — ნანამ ტუჩი აბზიკა, — ბიჭებს სულ დაავიწყდათ ლაპარაკი“. „ზაზა ძალიან კარგად ლაპარაკობს“,—თქვა ნინიკომ ჩუმად. „გინდათ სიბელიუსს დავუკრავ!“ — დაიძახა ნანამ. „რამ გაგახსენა?“ — პაპუნამ აღტაცებული თვალებით შეხედა. „შენ ხომ გიყვარს?“ „შენ რა იცი? „იცის“ — თქვა ნინიკომ. „ისეთი რამე დაუკარით, ვიცეკვოთ“, — უთხრა რამაზმა ნანას. „არა. სიბელიუსს დავუკრავ“. ნანა წამოდგა, როიალს მიუჯდა და დაკვრა დაიწყო. თორნიკე აქამდე ჩუმად იჯდა, მაგიდაზე დაწყობილ თავის ხელებს დასცქეროდა. ახლა თავი ასწია და თქვა: „მეც დამალევინეთ ღვინო!“ თან საათზე დაიხედა. ის იმ კეთილ ბიძასავით იღიმებოდა, ბავშვებს რომ თავს უყადრებს. ზაზამ ფიალა გადააწოდა. თორნიკემ გაავსო და იკითხა: „ვისი სადღეგრძელო იყო?“ „პირველი თოვლის!“ — უპასუხა ნინიკომ. „ო, ეს ძალიან კარგი სადღეგრძელო გითქვამთ“ — მოუწონა თორნიკემ. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მისთვის სულ ერთი იყო, რა სადღეგრძელოს დალევდნენ. „იქნება დაგვაფასო“ უთხრა რამაზმა. „ხი-ხი-ხი-ხი“ — ჩაიცინა თორნიკემ კმაყოფილი სახით. „ნანას მოუსმინეთ“, — თქვა ნინიკომ ჩურჩულით. თან ბიჭებს ისეთი თვალებით შეხედა, თითქოს საკონცერტო დარბაზში ხმაურობდნენ. ნინიკოს ჩურჩულმა თმოქმედა, ყველა გაჩუმდა. „ძალიან მიყვარს სკანდინავური მუსიკა“, — თქვა ცოტა ხნის შემდეგ პაპუნამ, იმის იმედით, რომ ნანაც გაიგებდა. „ჩჩჩუ,“ — ნინიკომ თითი დაუქნია.

ნანა უკრავდა: მთელ ქვეყანაზე თოვლი მოდიოდა. ფარავდა გზებს, ქუჩებს, სახურავებს, მინდვრებს. თოვლში სანთლები ინთებოდა და თოვლი ბრჭყვიალს იწყებდა. თოვლი დიდი ხნის დავიწყებული რამის გახსენებას გავდა. მოჩვენებითად მშვიდს, მაგრამ ჯიუტ გახსენებას, ის ფარავდა ყველაფერს, თეთრი ბურუსით ავსებდა გარშემო სივრცეს, რათა მხოლოდ ის ერთი — დავიწყებული გამოჩენილიყო. დავიწყებული თუ გულის სიღრმეში შენივე ნებით ჩამალული და ჩაკარგული. ზედ რომ ათასი თავის მოსატყუებლად მოგონილი ნუგეში ნაცარივით წაგიყრია. ის კი თურმე მაინც არ ჩამქრალა, ნელ-ნელა ჩნდება, ნაკვერჩხალივით ღვივის, ისევე როგორც თოვლში გამკრთალი წითელი ფერი ელენე ახვლედიანის ნახატზე.

— მე კი არაფერმა გამიმართლა, — დაიწყო მოულოდნელად რამაზმა. — არაფერმა. ახლა სამუშაოთა მწარმოებლად ვმუშაობ. ცემენტი, აგური, ბეტონი. ოცდაათი წლისა ვარ და ალბათ სულ ასე დავრჩები: ცემენტი, აგური... მე კი... მე მეგონა თვითონ... რა მეგონა. არაფერიც არ მეგონა. სადგურები მინდოდა ამეშენებინა, აეროპორტები. ალუმინი, მინა, მზე. მე ხომ არქიტექტორი ვარ! ვინ მიგიშვებს, ზევით ისეთი ავტორიტეტები სხედან, რკინის ავტორიტეტები, რკინაბეტონის ავტორიტეტები, დოქტორები, აკადემიკოსები. ყველაფერი იცვლება, ისინი კი სხედან.

— ჩჩჩუ!

— არქიტექტორმა ესეც უნდა იცოდეს. ჯერ ისწავლე და მერე, — დაუქნია თითი თორნიკემ.

— მერე! მერე! იქნებ უკვე შემიძლია?

— შენ ასე გგონია! — თორნიკემ დამცინავად გაუღიმა.

მუსიკა ზოგჯერ სრულიად მოულოდნელ გრძნობებს წარმოშობს ადამიანის არსებაში. ისევე, როგორც მთვარე ზღვებს, ისიც ადამიანის სულს ნაპირს ატოვებინებს ხოლმე. ზაზას რატომღაც სჯეროდა. თუმცა ეს ერთი შეხედვით წარმოუდგენელი იყო, რომ სწორედ მუსიკამ დააწყებინა ასეთი ლაპარაკი რამაზს.

— იცი რას გეტყვი, ჯობია უფრო მეტი ისწავლოთ, ვიდრე განცხადებები წეროთ: ეს დამადგმევინეთ, ეს ამაშენებინეთ. აი, როცა ისწავლით, ყველაფერი თავისით მოვა. ჯერ ახალგაზრდები ხართ! — თითქოს თორნიკე თავის თავს ახალგაზრდად აღარ თვლიდა.

— ჩჩჩუ! — გააფრთხილა ისევ ნინიკომ, თუმცა თვითონ ამათ უფრო მეტი ყურადღებით უსმენდა, ვიდრე ნანას.

— შენც კარგი მაგარი პედანტი ხარ. — უთხრა რამაზმა თორნიკეს, — გაეჭირე შენი ობიექტურობით საქმე.

— ობიექტურობაც არ მოგწონს?— მერე თორნიკე ნინიკოს მოუბრუნდა.— არც თქვენ მოგწონთ ობიექტურობა?

— არა!

— ოჰო?

ნანა კი უკრავდა: თოვლი ფარავდა ყველაფერს. თოვლი მოდიოდა თბილისშიც, საჰარაშიც. მოსკოვშიც მოდიოდა თოვლი. პუშკინი იდგა ტვერის ბულვართან, თავი გვერდზე გადაეხარა და რეკლამების ათასფერადი სინათლით აჭრელებულ თოვლს გასცქეროდა. ტროტუარზე მაღალი გოგო მიდიოდა, მოქსოვილი ყვითელი ქუდი ეხურა. გოგო ხანდახან გამვლელებში დაიკარგებოდა, მისი ქუდი კი მოჩანდა. მაღალი, სასაცილო ქუდი, ბავშვებს რომ ხურავთ, ისეთი.

ზაზა წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. ფარდა გადასწია და გარეთ გაიხედა. ჯერ კარგად ვერც კი გაარჩია, მართლა თოვდა თუ არა. მერე ქუჩის ნათურის ქვეშ თოვლის ფიფქები — დაინახა. ისინი პეპლებივით ირეოდნენ ნათურის შუქში და იისფრად ბრწყინავდნენ. ზაზას მხარზე ვიღაცამ ხელი დაადო, მოტრიალდა, თორნიკე იყო.

— არ მიყვარს, როცა ასაკით სპეკულიანტობენ, — უთხრა თორნიკემ. თან საათზე დაიხედა.

— რამაზი კარგი ბიჭია.

ზაზა გრძნობდა, ამ ბოლო დროს მას თორნიკესთან ლაპარაკი უჭირდა.

თორნიკე სუფრასთან დაბრუნდა. ზაზა მიტრიალდა და ისევ თოვლის ფიფქებს დაუწყო ყურება. ნათურიდან ქუჩას სინათლის პატარა წრე ეცემოდა, სწორედ იმოდენა, ოპერის სცენაზე ბალერინას რომ დაჰყვება. სინათლის წრე განუწყვეტლივ იცვლიდა ადგილს, ზაზა რატომღაც ელოდა, რომ შიგ ყვითელქუდა გოგო შემოვიდოდა და ზაზას ამოხედავდა. მოლოდინით დაიძაბა კიდეც. ამ დროს მუსიკის ხმა შეწყდა. სკამების ხმაურზე შეატყო, ყველანი მაგიდას მიუსხდნენ, თვითონ არ მოტრიალებულა.

„რადგან ვერ ვხედავდი, მეგონა, არ მახსოვდა. დამავიწყდა“ — ფიქრობდა ზაზა.

— ზაზა, — დაუძახა ნინიკომ.

ზაზა მოტრიალდა, პაპუნა იდგა, ჭიქა ეჭირა და რაღაცას აღგზნებული ლაპარაკობდა. ზაზა მის სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ყოველგვარი ლოგიკური კავშირის გარეშე აღიქვამდა. — თანამედროვე ფიზიკა..., — ამბობდა პაპუნა, — აბსტრაქტული, როგორც ღმერთის ჩონჩხი...

ეს ნამდვილად შემზარავი იყო!

— მე არაფერი არ მინდა. — ისმოდა ნინიკოს ხმაც, — ვიჯდე ჩემთვის და ვქსოვდე, არც თეატრი მინდა; არც არაფერი.

— მალე დაბერდები, — უთხრა ღიმილით ნანამ.

— დავბერდე, მერე რა?

— აინშტაინის პოეტური გამბედაობა. — ამბობდა პაპუნა, — ნიუტონის ფიზიკის კონსერვატიზმი...

— ვიჯდე ჩემთვის და ვქსოვდე...

— ნუ გეშინია, ომი არ იქნება.

— ღვინო მომეკიდა, — თქვა რამაზმა.

— თუნდაც სულ თოვლი მოდიოდეს, — განაგრძობდა ნინიკო, — ოღონდ... ოღონდ...

„რამოდენა თოვლი მოსულა, რა კარგია! — თქვა ნინიკომ, როცა გარეთ გამოვიდნენ, — ფეხით წავიდეთ რა!“ „მე მეჩქარება. — თქვა პაპუნამ, — ლეილა მარტოა“. „ახლა გაახსენდა ლეილა!“ „ლეილა მე ყოველთვის მახსოვს!“ „მეც დილით ინსტიტუტში უნდა მივიდე, — თქვა თორნიკემ, —ჯობია ტაქსი გავაჩეროთ“. „შენც გეჩქარება? — ჰკითხა ნინიკომ ზაზას, — შენც ადრე ხარ ასადგომი?“ „მე ყოველთვის ადრე ვდგები, — გაიცინა ზაზამ. — შვიდ საათზე ფეხზე ვარ!“ „ატავიზმი. — პაპუნამ ზაზას შემოხედა; — ეს წმინდა წყლის ატავიზმია“. „რა შუაშია ატავიზმი?“ — თქვა თორნიკემ, — რა ჯობია დილით ადრე ადგომას?“ „მე წავედი, — დაიძახა რამაზმა. — მაინც აქვე ვცხოვრობ!“ „კარგია, რომ წავიდა, — თქვა თორნიკემ, — ხუთს მაინც არ ჩაგვსვამენ ტაქსში!“ „ეს კი ნამდვილი ეგოიზმია!“ — უთხრა პაპუნამ. ზაზა წინ მიდიოდა, პაპუნასთვის არ შემოუხედავს. ისე უთხრა: „ფეხით გაიარე, სუქდები!“ „მერე რა, გავსუქდე!“ — პაპუნამ უდარდელად გაიცინა. „ჯობია, ივარჯიშო!“ — „ვივარჯიშო? ვიწყებთ დილის გამამხნევებელ ვარჯიშს. —პაპუნამ დიქტორის ხმას მიბაძა, — განმკლავი! სპორტის მეტი არაფერი გვახსოვს, ფეხბურთი, კალათბურთი. ხელბურთი, კარგი რა, ამოვიდა ყელში, მეტი არაფერი გვაქვს სადარდებელი?“ „პოეზია?“ — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ნინიკომ. „აი, ხომ ხედავთ, რას მოვესწარით, — გაცხარდა უცებ პაპუნა. — პოეზიას დასცინიან! „არავინ არ დასცინის პოეზიას, — თქვა ზაზამ, — ყველაფერს თავისი ადგილი აქვს!“ „კიდევ კარგი, დიდი მადლობა, — პაპუნა წელში მოიხარა. — დიდი მადლობა!“ „რატომ გაბრაზდი? — ნინიკომ თავი მოისაწყლა, — მე მართლა მაინტერესებს, ვინ არის ახლა ყველაზე კარგი პოეტი?“ „რუსთაველი!“ — უპასუხა პაპუნამ. „რას მეუბნები?“ — მიამიტად გაიკვირვა ნინიკომ. „თქვენ წარმოიდგინეთ, ასეა!“

პაპუნამ უცებ ტაქსი დაინახა. „ტაქსი, ტაქსი!“ — დაიძახა და მანქანისკენ გაიქცა. „აკი სპორტი არ მიყვარსო?“ ჩაიცინა ნინიკომ. პაპუნამ მანქანა გაჩერა: „აბა, ვინ მოდიხართ?“ „მე ფეხით წავალ,“ — თქვა ნინიკომ. „ყოველთვის ასე იცი. — პაპუნა სიბრაზეს ვერ ფარავდა, — გამოდის, რომ ჩვენც ფეხით უნდა წამოვიდეთ“. „არა, რატომ? აი. ზაზა გამაცილებს, ხომ გამაცილებ, ზაზა?“ „გაგაცილებ. — ზაზამ მხრები აიჩეჩა, — აბა, მარტო ხომ არ წახვალ“. „მე საბურთალოზე უნდა გავიდე,“ — თითქოს მოუბოდიშა თორნიკემ და საათზე დაიხედა. „წადით, წადით, — უთხრა ნინიკომ, — ზაზა გამაცილებს“. „ნახვამდის, — პაპუნამ კარი შეიჯახუნა, მერე ფანჯრის მინა ჩამოსწია და თავი გამოჰყო, — დამირეკეთ რა, ნუ დაიკარგებით“. „სიგარეტი დამიტოვე, — უთხრა ზაზამ და მანქანასთან ახლოს მივიდა. „აჰა. ოღონდ „პრიმაა“. „არა უშავს“. „აბა. წავედით, — თორნიკე შოფრის გვერდით დაჯდა. — ნახვამდის!“

ნინიკო და ზაზა ვერის ბაზრის წინ. ლენინის ქუჩაზე გამოვიდნენ. ბარდნიდა. ნინიკომ მკლავში ხელი გაუყარა, მიჰყვებოდა და ფეხს ახალდადებულ თოვლზე მიასრიალებდა.

„თორნიკე მართალია, — ფიქრობდა ზაზა, — უფრო მეტს მოვითხოვთ. ვიდრე შეგვიძლია“.

— ცოლს რატომ არ თხოულობ? — ჰკითხა უცებ ნინიკომ.

— შენღა გაკლდა, — უთხრა ზაზამ, — ყველა ამას მეკითხება.

— იმიტომ რომ დროა უკვე.

— შენ რატომ არ თხოვდები?

— მე?, — ისე გაიკვირვა ნინიკომ, თითქოს ზაზას წარმოუდგენელი რამ ეთქვას.

— ხო, შენ.

— მე ვინ მითხოვს?

— ვითომ რატომ?

— იმიტომ რომ უშნო ვარ! — გაიცინა ნინიკომ.

ცოტა ხანს ჩუმად მიდიოდნენ. ზაზას უნდოდა ეთქვა, რას ამბობ, უშნო სრულებითაც არა ხარო, მაგრამ დააგვიანდა. ახლა რომ ეთქვა, ნამდვილად ყალბი გამოვიდოდა. ნინიკოც ხმას არ იღებდა, თითქოს ელოდა, მეტყვის, არა ხარ უშნოო.

— თეატრშიც სულ უშნო გოგოების როლებს მაძლევენ, — თქვა ცოტა ხნის მერე ნინიკომ, — ორსიტყვიან როლებს, შემოვდივარ, რაღაცას სულელურს ვამბობ და მაშინვე გავდივარ, მაყურებელი რომ არ დავტანჯო.

— კარგი ერთი...

— ვხუმრობ. ისე მართლაც, რაც პიესებში ექთანებისა და მოსამსახურეების როლებია, სულ მე მაქვს ნათამაშები. იცი, ახალი პიესა მოიტანეს, იქ ჩემთვის საგანგებოდ დაწერილი როლია... უსიტყვო. შემოვდივარ, ოთახს ვხვეტავ და ასე ხვეტა-ხვეტით გავდივარ. ინსტიტუტში კი მეგონა... ეჰ, რა სულელი ვიყავი.

ზაზამ ნინიკოს გადახედა. ფიფქი უბრწყინავდა წამწამზე. სრულებითაც არ იყო უშნო.

— ხანდახან მგონია, რომ დავმუნჯდები, — ამბობდა ნინიკო, — ამიტომაც არც თეატრი მინდა და არც არაფერი... მინდა ფანჯარასთან ვიჯდე და ვქსოვდე და არავიზე ვფიქრობდე. აი, ხომ ნახე, პაპუნა გაიქცა და ტაქსში ჩაჯდა. მე კი მგონია, რომ პოეტებსა და მხატვრებს თოვლი უყვართ. არა, ჩემისთანა სულელ გოგოებს ატყუებენ. ხანდახან ღამით წვიმა რომ მოდის, ვფიქრობ, ალბათ ისინი ახლა ქუჩაში დადიან-მეთქი, დილამდე წვიმაში დაბანჯღალებენ-მეთქი, გაწუწულები. ისინი კი ამ დროს ალბათ ხვრინავენ.

— ჯერ პატარა ხარ, — უთხრა ზაზამ ხუმრობით, — აი, გაიზრდები და...

— პატარა... ოცდაოთხი წლის...

— მგონი, შენ თორნიკეს მოსწონხარ, — ეს მისდაუნებურად წამოცდა ზაზას, რადგან თუმცა თორნიკემ სთხოვა, უთხარიო, გადაწყვეტილი ჰქონდა, არ ეთქვა.

— ვის?

— თორნიკეს... ცუდი ბიჭია თუ?

— თქვენ ყველანი კარგები ხართ... ყველანი! ყველანი! — ამ სიტყვამ ცივად გაიყვრიალა, თითქოს ფოლადის ეკლები ესხა.

ნინიკო ადგილიდან მოწყდა და გაიქცა.

— ნინიკო?! — ზაზა სახტად დარჩა, ამას არ ელოდა.

ნინიკო კი მირბოდა, ნელ-ნელა თოვლში იკარგებოდა.

თითქოს არ იცოდე და დანაღმულ მინდორზე კი მიდიოდე. მიდიხარ, რაზე არ ფიქრობ. ცა მოწმენდილია, ირგვლივ ბალახი ბიბინებს, უცებ ნაბიჯს გადადგამ და იფეთქებს, ყველაფერს დაამსხვრევს, არევ-დარევს. მიდიხარ მერე, ნაღმის უზარმაზარი ნამსხვრევი გულში გაქვს ჩაჭედილი და ბალახზე სისხლი წვეთავს, მიდიხარ და კვალს ტოვებ, როგორც ჩამავალი მზე ზღვაზე. და შენ თვითონვე გიკვირს: როგორ მოხდა ეს? როგორ მოხდა? მერე მარტოხელა ადამიანს დაინახავ, ფანჯარასთან რომ ზის და ქსოვს. და თოვლი მოდის. და წლები გადიან. და ჩამავალი მზე ფანჯარაზეც წითელ კვალს ტოვებს. არაფერი, — ჩურჩულებ შენთვის, — დიდი არაფერი არ მომხდარა. ის კი ქსოვს, ან გაყინულ კულისებში ზის და ტირის. მინდორი კი დიდია, ყოველ წამს შეიძლება ახალი ნაღმი ფეთქდეს. მერე რა? — ფიქ-

რობ შენ და მიდიხარ. ირგვლივ ბალახი ბიბინებს, თეთრი ბალახი. არა, ეს თოვლია, ბალახივით შრიალა, მაღალი და საიდუმლო.

თოვლს ქუჩები გადაეთეთრებია. მანქანების კვალი თოვლზე მკვეთრად გავლებულ შავ ხაზებივით მოჩანდა. ხეების სველი ტოტებიც შავი იყო, ოღონდ ფოსფორწასმულივით ციმციმებდა.

ყაზბეგის ქუჩის კუთხეში მილიციელი იდგა. ზაზამ მას ასანთი სთხოვა. მილიციელმა საათი ჰკითხა. ორი იყო. „თოვს“, — თქვა მილიციელმა. „ხო, თოვს“. — უპასუხა ზაზამ. „კარგია რომ თოვს, — თქვა მილიციელმა. — ჰაერი გაიწმინდება“. აღმართზე მანქანა ბუქსაობდა. „შენ ხვალ ნახე, — უთხრა ზაზას მილიციელმა, — რა ამბავი იქნება“. „ხო, ხვალ დიდი ამბავი იქნება“. „კარგია, რომ თოვს“. — გაიმეორა მილიციელმა.

ზაზამ ასანთი გაუწოდა: „მადლობთ“. „გქონდეს, — უთხრა მილიციელმა, — ახლა ჩემი შემცვლელი მოვა, შინ უნდა წავიდე“. „მეც აქვე ვცხოვრობ, — უთხრა ზაზამ, — მადლობთ“. „ნახვამდის,— მილიციელმა ხელებში ჩაიორთქლა, — ხვალ ნახე რა ამბავი იქნება“. „სიგარეტს ხომ არ მოსწევთ?“ — ჰკითხა ზაზამ. „არა, ახლახან მოვწიე“. „ნახვამდის“, — უთხრა ზაზამ და აღმართს შეუყვა.

ქუჩის თავზე დღის სინათლის გრძელი ნათურები ბზუოდნენ. თითქოს თოვლიც ბზუოდა. სინათლეზე ისე მოჩანდა, თითქოს თოვლი ქვეკვიდან ადიოდა, ნათურებამდე აღწევდა და მერე იკარგებოდა. ზაზამ სიგარეტი გადააგდო, რადგან უცებ დაუსველდა. ხელებიც სველი ჰქონდა, ცხვირსახოცზე შეიწმინდა.

როგორ თქვა პაპუნამ: პირველი თოვლი პირველ სიყვარულსა ჰგავსო? „მე შენ ერთხელ მიყვარდი“... „მე შენ ერთხელ მიყვარდი“... „მე შენ ერთხელ მიყვარდი“... „ღმერთო ჩემო, საიდან მაქვს ეს სიტყვები? „მე შენ ერთხელ მიყვარდი...“ განა შეიძლება ერთხელ გიყვარდეს და დაგავიწყდეს? შეიძლება! არა, არ შეიძლება! აბა, რატომ თქვეს: „მე შენ ერთხელ მიყვარდიო?“ კი მაგრამ, ვინ თქვა? „მე შენ ერთხელ მიყვარდი...“ „მე შენ ერთხელ მიყვარდი...“

„მთვრალი ვარ!“ — გაიფიქრა ზაზამ. დიდი ხანია ღვინო არ დაულევია და მოეკიდა. ღვინო ცოტათი თავბრუსაცა ხვევდა. ყურებში დოლივით ბრახუნობდა. მოკლე-მოკლე რიტმიული ბგერებით, თითქოს რაღაცას ანიშნებდა. ეს ნიშნები მთელ მის არსებას თითქოს მოულოდნელი რამის შესახვედრად ამზადებდა. იცოდა კიდეც, რომ ეს რაღაც მნიშვნელოვანს ნიშნავდა, მაგრამ ვერ გაერკვია — რას. ისევე, როგორც ლურსმული წარწერა: იცი, რომ რაღაცას ნიშნავს, მაგრამ ვერ კი კითხულობ. ეს გამოუცნობის მოლოდინის გრძნობა სიხარულითაც ავსებდა, თითქოს ისეთ რამეს გაიგებდა, რასაც დიდი ხანია მალულად თავისთვის გულში ატარებდა. სხვის თვალსა და ყურს არიდებდა, რადგან გრძნობდა, რომ მხოლოდ მას ერთს ეკუთვნოდა.

„უამრავ სიხარულს შორის, — ფიქრობდა ზაზა, — არის სიხარული, რომელიც მარტო შენ გეკუთვნის. შეიძლება ის სხვას არც კი გაუხარდეს, ვერც კი გაიგოს. შენთვის კი ყველაფერია“.

უეცრად გაჩერდა, რადგან დასცხა. ყელსახვევი ჩამოიწია და საკინძე შეიხსნა. ინანა, მილიციელს ასანთი რომ არ გამოართვა, სიგარეტის მოწევა მოუნდა. სიხარულის გრძნობა კი ნელ-ნელა იზრდებოდა, თითქოს ის გამოუცნობი და მოულოდნელი რამ ახლოვდებოდა. თითქოს თოვლს ციდან დაბლა ჩამოჰქონდა. აქვე იყო, ამ ხეების და სახლების მიღმა, ანტენებისა და მავთულების თავზე, ახლად დადებული თოვლის ქვეშ.

კიდევ უფრო ახლო. მის ირგვლივ, თოვლის ფანტელებით აღგზნებულ ჰაერში. გრძნობდა მის ცივ, საამო შეხებას ხელებსა და ლოყებზე, წამწამებსა და ტუჩებზე. ქუჩა თოვლით გავსებულ მდინარესავით იწვა მის წინ, ოღონდ მდინარისგან განსხვავებით, აღმართში მიდიოდა.

მდინარის პირად
ერთი ტირიფი დგას მკრთალ ფოთოლთ
წყალში მჩინარე.
იქ მოსულიყო ოფელია და მოეგროვა
ჭინჭარ-ყაყაჩო, გულისაბა, ჭრელი ბალახი,
რომელსაც მწყემსნი ენამეტნი ცუდს სახელს
სდებენ
და ჩვენნი მორცხვნი სოფლის ქალნი
უხმობენ ჯიკას.
დაუწნავს მათგან გვირგვინები სხვადასხვა
ფერი,
ასულა ხეზე, იქ ნდომია მათ დაკიდება,
მაგრამ უეცრად მოტეხილა ბედკრული ხის
შტო
და ოფელიაც ყვავილებით თან ჩაჰყოლია.
წყალზე სამოსი გადაშლია, არ ჩაუძირავს.
და სირინოზის მსგავსად იგი ძველსა
სიმღერებს,
თვის ბედშაობის უგრძნობელი, ამბობდა,
თურმე;
იგი ჰგავდაო წყალში აღზრდილს მდინარის
შვილსა.
მაგრამ როდესაც გაჟღენთია ტანთ სამკაული,
საცოდავს უცებ შესწყვეტია ტკბილი გალობა
და შლამიანს ფსკერს მიუზიდავს უსულო
გვამი.

ახლა მიხვდა, ვისაც ეკუთვნოდა ეს სიტყვები: „მე შენ ერთხელ მიყვარდი“. უცებ ამ სიტყვებმა ისე შეაძრწუნეს, თითქოს პირველმა აღმოაჩინა, რომ ამქვეყანაზე მწუხარებაც არსებულა. მწუხარების გრძნობა ახლა სიხარულის ადრე განცდილ გრძნობას შეერია და, საკვირველია, უფრო მკაფიო და თითქოს კიდევ უფრო მისაწვდომი გახადა. ახლა ის ბნელში დანასავით ელავდა, რომლის მიერ მოყენებული ჭრილობაც ტკივილის ნაცვლად ნეტარების მომგვრელი უნდა ყოფილიყო.

— აი, შენ შორსა ხარ, ძალიან შორს, — დაიწყო ხმამაღლა ლაპარაკი ზაზამ, — მაგრამ გხედავ. შენი სუნთქვაც მესმის. და არაფერი არ გამოცვლილა. არ იფიქრო, რომ მარტო ახლა გამახსენდი, იმიტომ რომ თოვლი მოდის. ყოველ ... მახსოვდი. სულ... სულ, — ... ...

— პაპუნა, შენ მაგდა თუ გახსოვს?

— ვინ?

— მაგდა!

— რომელი მაგდა?

— კარგი, პაპუნა, დაიძინე.

— დაიცა...

— დაიძინე. დაიძინე, ნახვამდის.

ზაზამ ყურმილი დაკიდა. იმავე წამს საოცარი ძალით მოუნდა ის სითბო, სინათლე და სიმყუდროვე, ამ წუთას შორს სოლოლაკში რომ დატოვა. ლეილას ნამძინარევმა ხმამ და პაპუნას ზედმეტად ომახიანმა, ზედმეტი საქმიანი კილოთი გაუცხოვებულმა ლაპარაკმა (ასე ლაპარაკობენ კაცები, როცა მათ ცოლები უყურებენ) გაახსენა ის სიმარტოვე, რომელიც მას თავის ოთახში ელოდა. „ლეილაც კი,—ფიქრობდა ზაზა, — ლეილაც კი... ლეილაც კი, რომელიც ყოველთვის აღიზიანებდა თავისი გადამეტებული პრანჭვითა და მეტიჩრობით, იმ პატარა, ერთი ციცქნა ბედნიერების სანთურს გავდა, კაცი სიმარტოვისაგან თავს რომ აფარებს. „ამისთვის დაუტეოს კაცმან მამა თვისი და დედა თვისი...“

საოცარია, როგორ შეიცვალა პაპუნა ცოლის შერთვის მერე. ზაზამ იცოდა პაპუნას შეცვლა ლეილას წყალობა იყო. ლეილა როცა ლაპარაკობდა, მარტო პაპუნას უყურებდა. სხვა ვინც არ უნდა ყოფილიყო იქვე, პაპუნას თვალს არ მოაშორებდა. ლაპარაკობდა ხმაღაბლა, სიტყვებს უცნაურად აგრძელებდა და ყოველი ფრაზის მერე ენის შეუმჩნეველი მოძრაობით ტუჩებს ისველებდა. ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს რაღაცას გპირდებოდა, გაიმედებდა, გეფერებოდა. დაბალი გოგო იყო. გამხდარი, ზარმაცი, მოდუნებული მოძრაობები ჰქონდა, თითქოს სიარულიც უჭირდა და, საერთოდ, როცა არ უნდა გენახა, სადაც არ უნდა შეგხვედროდა. გეგონებოდა, ლოგინიდან ეს წუთია წამოდგაო. მისი ხმა რატომღაც მყუდრო, ნახევრად დაბნელებული საწოლი ოთახის განწყობილებაა ქმნიდა. ყოველი მისი სიტყვა გაგრძელებული და უაზრო იყო, თუმცა თავისი უაზრობითაც რატომღაც სასიამოვნო შთაბეჭდილებას უფრო ახდენდა, ვიდრე ცუდა. რადგან შიგ ქალურობის ნებიერი სხივი ციმციმებდა. ამ თავის თითქმის ერთადერთ, მაგრამ საკმაოდ ძლიერ ძალას ლეილა მეტად გონივრულად იყენებდა. გირჩევთ მალე დაქორწინდეთ, გირჩევთ! — იტყოდა ხოლმე პაპუნა ამაყად. როცა უცოლო ამხანაგებს ხვდებოდა. ზოგი იმასაც კი ფიქრობდა, იქნებ სწორედ ეს არის ოჯახური იდილია, როცა ცოლი შენზე უფრო ჭკვიანია და ისე წარმართავს შენს ცხოვრებას, რომ ფიქრისგან თავი არ გეღლებაო.

„ზაზიკო, — ეუბნებოდა ლეილა ზაზას, — ჩვენთან რატომ აღარ დადიხარ? ხომ იცი პაპუნას როგორ უყვარხარ?“— თან პაპუნას შეჰყურებდა თვალებში. ზაზას არც კი უცქერდა, თუმცა მას ელაპარაკებოდა. ლეილა თითქოს ეჭვიანიც კი არ იყო. პაპუნასთან უამრავი გოგო დადიოდა, პაპუნა მათ ხატავდა. ლეილამ იცოდა, საქმისთვის ასე იყო საჭირო. ოღონდ საღამოს პაპუნა ძნელად თუ გაადგამდა ფეხს სადმე. პაპუნა თუ მარტო დარჩებოდა, სულ გოგოებზე ლაპარაკობდა. თუმცა ყველამ იცოდა, რომ მას მარტო ლეილა უყვარდა. ეს იყო ერთადერთი ქალი, რომელიც მას ნამდვილად მოსწონდა და აღელვებდა. დანარჩენებს ყველას მხოლოდ და მხოლოდ მხატვრის თვალით უმზერდა.

„ზაზიკო, რანაირები ხართ ეს მსახიობები!“ „ზაზა რეჟისორია!“ — გაუსწორებდა პაპუნა გულუბრყვილოდ. „ოხ, უკაცრავად, ზა-ზი-კო!“

ლეილა თითქოს ჩუმი და უპრეტენზიო იყო, ისევე როგორც წყალმცენარეტბის ფსკერზე და წყალმცენარის ნები-

ერი და ზარმაცი მიმოხვრა ჰქონდა. თვალდახუჭული. ჩურჩულით იტყოდა ხოლმე: ვოცნებობ სამი გოგო მყავდეს. სამი ფისო! რომელსაც მერე პაპუნა ამ ხანაგებში იმეორებდა: შენი არ ვიცი. ძმაო, და მე კი გოგო მინდა მეყოლოს. სამი გოგო მინდა მყავდეს. ამ ადგილას უცებ გაჩუმდებოდა, რადგან რომელიღაც სიტყვას იხსენებდა, ეს სიტყვაც უცებ მოაგონდებოდა: ფისოებივით! მაგრამ ამ ხანაგებში რატომღაც ერიდებოდა ამ სიტყვის ხმამაღლა თქმას, ამიტომ ისევ გაიმეორებდა: სამი გოგო! „ასაკის ბრალია. — ფიქრობდა ზაზა, — ოჯახი... სიმყუდროვე. ალბათ სხვანაირად არ შეიძლება. აგერ ოცდაათი წლისა ვარ“...

მაგრამ ის, ვინც ახლა თოვლმა ასე უცაბედად. მტკივნეულად გაახსენა, ვერ უკავშირდებოდა ოთხ კედელ შორის მოქცეულ ორადგილიანი საწოლის სიმყუდროვეს, საწოლთან კარადაზე მდგარ ცალთვალა გნომივით უშნო ნათურას, კედელზე გაკრულ ქოლგიანი ქალებით მოხატულ გობელენს („ეს გობელენი მე და პაპუნამ ლენინგრადში ვიყიდეთ. შენ არ მოგწონს ხომ, ზაზიკო?“), ნაცნობობით ნაშოვნ ვეებერთელა მაცივარს, რომლის მოულოდნელი აგუგუნებაც შუაღამისას ძილს გიფრთხობს ხოლმე, ყველაფერ იმას, რისგანაც, პაპუნამ და ლეილამ ოჯახი შეაკოწიწეს.

— იმიტომ რომ შენც ჩემისთანა ხარ. — თქვა ღიმილით ზაზამ, — მე და შენ ერთი ფორანი უნდა გვქონდეს, შიგ ღონიერი ცხენები გვებას. მე მოედნებზე ხალხს უნდა ვაცინებდე. ვართობდე და ზურგზე შენს ცქერას უნდა ვგრძნობდე, როგორც სცენაზე მონათებულ პროჟექტორს. ღამით მინდორში ცეცხლთან უნდა ვისხდეთ და ვარსკვლავებს ვუყურებდეთ და მგლების ყმუილს ვუსმენდეთ. ამ სიშორეს რა გინდა? რას დადიხარ ამ თოვაში გარეთ? — ეს იმიტომ თქვა, ის ჩვენება გაახსენდა, ყვითელქუდა გოგო მოსკოვის ქუჩაში რომ დადიოდა თოვლში.

— ფორანის კედელს შენი სახელი უნდა ეწეროს: მაგდა! მაგდა! დიდი ასოებით.

უხაროდა. რომ მის სახელს ხმამაღლა ამბობდა, თითქოს თოვლს შეეძლო მაგიური ძალით მისი ხმა მაგდასთვის მიეწვდინა.

„ავაფრინე, — გაიფიქრა ზაზამ, — — ახლა კი ნამდვილად ავაფრინე!“ თითქმის იმ წამსვე გამოფხიზლდა, ქუჩაც რეალური გახდა, თოვლიც, შესცივდა კიდეც. ნაბიჯს აუჩქარა და სადარბაზო შესასვლელში შევიდა. კიბეს აუყვა, მეორე სართულზე კარის წინ გაჩერდა. გასაღების ამოღება უნდოდა, მაგრამ გაახსენდა, კარი ღია უნდა ყოფილიყო. ჩუმად შეაღო და დერეფანში შევიდა.

დერეფანში კედელზე კუბოს თაკი იყო მიყუდებული. იქვე, სკამზე ვიღაც შუახნის კაცი იჯდა. ზაზამ მას გვერდი აუარა და შინ შევიდა.

ამ სამოთახიან ბინაში მას ერთი ოთახი ეჭირა, ორში კი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. კაცი ამ ორი დღის წინ გარდაიცვალა. კუბოს თავიც ამიტომ იყო მიყუდებული კედელზე. ის კაცი ვიღა იყო, დერეფანში რომ იჯდა. ოთახში ვერ შევიდა?

გარდაცვლილს ვალერიანი ერქვა. ზაზა მას ბატონ ვალერიანს ეძახდა. ვალერიანი მაღალი, მსუქანი კაცი იყო. შინ გრძელი ხალათი ეცვა, ფლოსტებს დააფლასუნებდა, აბაზანის ოთახში დიდი ხნით იკეტებოდა ხოლმე, იქიდან მისი ხრინწიანი ხველება ისმოდა. ამდენი ხანია მისი მეზობელი იყო და არც კი იცოდა, სად მუშაობდა, რა პროფესია ჰქონდა. მგონი, არსადაც არ მუშაობდა, რადგან შინიდან თითქმის არასოდეს გადიოდა. ხელში მუდამ იმ გვერდზე გადაკეცილი ჟურნალი ეჭირა, რომელზედაც კროსვორდი ეხატა, აბაზანის ოთახშიც ჟურნალით შედიოდა. ზაზას თითქმის არ ელაპარაკებოდა, სალამზეც თა-

ვის ოდნავი დაქნევით პასუხობდა. ჩამოზრდილ წარბებში ჩამალული პატარა თვალები ჰქონდა, თევზის თვალებივით უფერული. თვითონაც გრძელ ხალათში გამოხვეულ ბებერ დელფინს გავდა, ცივსისხლიანსა და სლიპს.

ხანდახან ზაზა კარს რომ შემოაჯახუნებდა (კიბეზე ამორბენა იცოდა) ვალერიანი თავისი ოთახიდან თავს გამოჰყოფდა, ზაზა რატომღაც შეცბებოდა. „აა, დარბიხართ არა, გიხარიათ არა", — იტყოდა ვალერიანი და კარს შეიკეტავდა. იმდენი დაცინვა და გესლი იყო ჩაქსოვილი ამ სიტყვებში, რომ ზაზა ერთ ადგილას გაქვავდებოდა, ხმაც ჩაუწყდებოდა და ყველაფრის ხალისი დაეკარგებოდა.

ბატონ ვალერიანს შინ რადიო არ ჰქონდა გამოყვანილი, არც ტელევიზორი ედგა. ჟურნალს, რომელშიაც კროსვორდები ეხატა, ცოლი მოუტანდა ხოლმე. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ეს ჟურნალი ახალი იყო თუ არა, ამ თვისა იყო თუ ერთი წლის წინ გამოსული. თუ კიდევ უფრო ძველი, შარშანწინდელი, ათი წლის წინანდელი, ოღონდ შიგ კროსვორდი ყოფილიყო, მეტი არაფერი აინტერესებდათ.

ზაზას ახსენდებოდა ის დღე, როცა ბატონ ვალერიანს ძმამ მოაკითხა. ეს იყო ამ ათი წლის წინ, რეაბილიტირებულები ბრუნდებოდნენ. ზაზა მაშინ სტუდენტი იყო.

ზარი რომ დარეკეს, კარი ზაზამ გააღო. კართან უცნობი, მაღალი კაცი იდგა. ახალგაპარსულ ლოყებზე პუდრი შერჩენოდა. ეს პუდრი და ოდეკოლონის მძაფრი სუნი ზაზას მახსოვრობაში ჩარჩა.

— ვალერიანი შინ თუ არის? — იკითხა კაცმა.

— მობრძანდით!

— მე მისი ძმა ვარ!

საკვირველია. ამ წუთას ზაზაც სწორედ ამას ფიქრობდა, ეს ბატონ ვალერიანის ძმა ხომ არ არისო. მერე უცებ ისე გაუბარდა. თითქოს ვინმე მისი ძალიან ახლობელი ჩამოსულიყოს, — ფიქცა, ბატონ ვალერიანს კარი შეუღო და დაიყვირა:

— ბატონო ვალერიან, თქვენი ძმა დაბრუნდა!

ბატონი ვალერიანი სავარძელში იჯდა და გაზეთს კითხულობდა.

— რა თქვი?

— თქვენი ძმა, თქვენი ძმა დაბრუნდა!

— რა?

უცებ დაფეთებული წამოვარდა:

— არა ვარ. არა ვარ, არა ვარ. შინ არა ვარ!

სავარძლის ზურგს მიეფარა, თითქოს დამალვა უნდოდა. ზაზა ერთ ადგილას გაქვავდა, თავი რომ მოაბრუნა, დაინახა, კარებში ვალერიანის ძმა იდგა.

— რა იყო, ვალერიან, — ამბობდა ის, — მე დამავიწყდა კიდეც. შე კაცო!

— არა ვარ, არა ვარ, შინ არა ვარ! — იძახოდა სავარძლის უკან ჩამალული ვალერიანი და მაღლა აწეულ ხელს გამწარებული იქნევდა. მერე ვალერიანის ძმამ ზაზას შეხედა, ასე თვალმოუცილებლად უცქერდნენ ერთმანეთს დიდხანს, მერე ძმა გატრიალდა და წავიდა. მას მერე აღარც გამოჩენილა.

— რა იცი. რა მოხდება, — თითქოს თავის გასამართლებლად ამბობდა ბატონი ვალერიანი მეორე დღეს, — რა იცი. მე არაფერი მეხება, დამანებეთ თავი!

ვალერიანის ცოლიც მაღალი ქალი იყო, მუდამ შავები ეცვა. მთელი დღე ისე გავიდოდა. მის ხმას ვერ გაიგონებდით. ოღონდ ღამით, როცა უკვე ყველას ეძინა. ტირილს იწყებდა. კი არ ტიროდა, უცნაურად გაბმულად ზმუოდა, დაჭრილ ძუ მგელივით. თუ იმ დროს გაგეღვიძებოდა, მერე ვერაფრით დაიძინებდი, ისეთი უსაშველო სევდა იყო ჩაქსოვილი ამ ქალის ხმაში, ისეთი უნუგეშო სასოწარკვეთილება.

ზაზამ პალტო გაიხადა და სკამზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააგდო. მაშინვე მაგიდასთან მივიდა და ასანთი აიღო, რადგან სიგარეტის მოწევა უნდოდა ძალიან. სიგარეტს მოუკიდა, კვამლი ღრმად ჩაისუნთქა და იქვე, მაგიდასთან სკამზე დაჯდა.

„რატომ ზის დერეფანში ის კაცი... რატომ ზის?“ წამოდგა, კარი გამოაღო და დერეფანში გამოვიდა. ის კაცი ისევ იქ იჯდა, ყვინთავდა. ზაზას ფეხის ხმა რომ გაიგო, თავი ასწია და შინაურულად გაუღიმა. ჩია კაცი იყო. ჭაღარა. ისე ეცვა, ნამდვილად რაიონიდან უნდა ყოფილიყო ჩამოსული. კაცი ალბათ მიხვდა, ზაზა რატომაც გამოვიდა, რადგან უთხრა:

— ჩემი ბიძაშვილია მაგ ქალი... საცოდავი...

მერე „ყაზბეგის“ კოლოფი გახსნა, პაპიროსი ამოიღო და მოუკიდა:

— ჩემს მეტი არავინ ჰყავს მომკითხავი მაგ საცოდავს.

ზაზა უხმოდ შეჰყურებდა. კაცი ასანთის კოლოფზე აფერფლებდა პაპიროსს.

— აქ რომ ვზივარ, ის გიკვირთ ხომ? — ჰკითხა ცოტა ხნის მერე კაცმა ღიმილით, — კი, ბატონო, ნამდვილად გაგიკვირდებოდათ.

მერე ფეხი ფეხზე გადაიდო და ძალიან მტკიცედ თქვა:

— არ ვარ იქ შემსვლელი! ერთხელ დავიფიცე, არ შევალ-მეთქი და არც შევსულვარ. მეტყვით, მკვდარ კაცს კი უნდა აპატიო, არა. ბატონო, თქვენ შებრძანდით შინ, უკაცრავად, ძილი გაგიფრთხეთ, რა ვქნა. ეს საწყალი ქალი მეცოდება, თორემ...

ოთახის კარი, სადაც მიცვალებული ესვენა. ღია იყო. ოთახში სინათლე ენთო. კუბო ტახტზე იდგა. ქალი კუბოსთან ახლოს, სკამზე იჯდა. იდაყვები მუხლებზე დაეყრდნო, ნიკაპი ხელისგულებში მოექცია, თითქოს ყბა უცახცახებს და ხელით იჭერსო. ჩუმად იჯდა. მესამე დღეა ზაზას მისი ტირილი არ გაუგონია.

— ჩემთან შემობრძანდით, — მოისვენეთ. — უთხრა ზაზამ კაცს, — ადგილი მაქვს.

— არა, ბატონო. როგორ გეკადრებათ! მატარებელში ვარ შეჩვეული ასე ჯდომას, არაფერი მიჭირს. დიდი მადლობელი გახლავარ. თქვენ შებრძანდით, შებრძანდით.

— ვიდგები ცოტა ხანს.

— კარგი, ბატონო.

ზაზა მხრით კედელს მიეყუდა. ქალს გახედა, ჩვენი ლაპარაკი ხომ არ ეამისო. მას არაფერი ესმოდა. მამაკაცივით იჯდა. წელში მოხრილი, მუხლებზე იდაყვებდაყრდნობილი.

— ღმერთმა გადაუხადა სამაგიერო ვალერიანს, თხუნელასავით მოჰკლა. ოცდაათი წელი სოროში იჯდა შეშინებული და მოკვდა თხუნელასავით. ქალია ცოდო, ქალი...

კაცმა ხმას დაუწია, წინ გადმოიხარა, ზაზაც ახლოს მივიდა...

მერე იმ კაცმა თითქოს გადაიფიქრაო, წელში გასწორდა. გვერდზე გაიხედა და მერე ხმა აღარ ამოუღია.

ზაზა მიხვდა, კაცი ყველაფრის თქმას მოერიდა, ამიტომ არც თვითონ მისძალებია. მაგრამ კაცმა ალბათ იგრძნო, რომ ან სულ არ უნდა დაეწყო ლაპარაკი, ან კიდევ ბოლომდე უნდა ეთქვა სათქმელი. ეტყობოდა, ყოყმანობდა, გულის ჯიბეში რაღაცას ეძებდა, იქ კი აშკარად არაფერი ედო. უხერხული დუმილი ჩამოვარდა. ცოტა ხნის შემდეგ ზაზამ მოიბოდიშა და შინ შევიდა. გამოუცნობი სევდა შემოაწვა გულზე. ალბათ იმიტომ, რომ აქვე, რამდენიმე ნაბიჯის იქით მიცვალებული იწვა. სიკვდილი სიჩუმესთან ერთად სევდასაც ასხივებს, გთენთავს, გადუნებს, გეჩვენება. თითქოს შინ კიდევ ერთი უცხო სტუმარი იყოს, უჩინარი და ჩუმი. ვერ ხედავ. არც ხმა გესმის მისი, მაგრამ ნამდვილად აქვეა, მთელი არსებით გრძნობ მის ყოფნას. ის ხან კუთხეში ზის თავის-

თვის, ხან კი ოთახში დადის, თუმცა მისი ჩქამიც კი არ ისმის, თითქოს ქეჩის ფლოსტები ეცვას.

აი, შენს ოთახშიც შემოვიდა და კუთხეში აიტუზა. შენ იქით არ იხედები, თუმცა რომც გაიხედო, მაინც ვერაფერს დაინახავ, რატომღაც გიჭირს იქით გახედვა. ის კი, ალბათ, დგას და დიდი უფერული თვალებით სინჯავს ყველაფერს, სკამებს, საწოლს. კედელზე გაკრულ სურათებს, თაროზე შეწყობილ წიგნებს. და რაზედაც მისი თვალი წამით მაინც ჩერდება — უცებ თითქოს რეალობას კარგავს, თითქოს აქამდე ამ ოთახში არ ყოფილიყოს, უყურებ და გიკვირს, საიდან გაჩნდა ეს ნივთი აქ, აღარც კი გახსოვს აქ რომ იყო. „ვინ დადო ეს საფერფლე აქ?“

ზაზა საწოლზე ჩამოჯდა, ფეხსაცმლის ზონარების გახსნა დაიწყო. უცებ წამოდგა, წიგნის თაროსთან მივიდა, გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ტომი გადმოიღო, გადაფურცლა. „არა, აქ არ არის! სად უნდა იყოს, სად ჩავდე?“ წიგნი ისევ თავის ადგილზე დადო. ახლა მეორე გადმოიღო — ჟან ბაროს წიგნი, ისიც გადაფურცლა, იქაც ვერ იპოვა, რასაც ეძებდა. ასე სათითაოდ იღებდა და ფურცლავდა წიგნებს. „ნამდვილად აქ არის, ასე მახსოვს, ამ წიგნებში!“ ხელმეორედ დაიწყო წიგნების ფურცვლა. მაინც ვერ იპოვა. საშინლად მოუნდა სასწრაფოდ ეპოვნა ის, რასაც ეძებდა. ძებნა ისე დაიწყო, მაინც და მაინც თითქოს არც კი უნდოდა ეპოვნა, მაგრამ რადგან ვერ ნახა. ველარ დაიძინებდა, სანამ არ იპოვიდა. ყველა წიგნი ჩამოიღო. ახლა ისინი სკამსა და ტახტზე ეყარა. ზაზა წიგნებს დასცქეროდა და ფიქრობდა: „რა ვქნა. ნუთუ დავკარგე?“

ნანობდა, წიგნში რომ ჩადო. რადგან თაროდან ხშირად იღებდა ხოლმე წიგნს. ამ თაროზე სულ მისი საყვარელი წიგნები ეწყო, შეიძლება შეუმჩნევლად გადმოვარდნილიყო და...

ამის წარმოდგენამ გული გადმოუბრუნა. ბევრი რამ არის ისეთი, რასაც ვერაფრით შეცვლი, რისი დაკარგვაც ვერაფრით ანაზღაურდება. შენთვის ძვირფას ყოველ საგანს თავისი ჯადო აქვს. მახსოვრობაში ის გამუდმებით ვარსკვლავივით კიაფობს და სინათლის ნიშნებს გაწვდის. ეს ნიშნები ცოცხალ, მკაფიო წარმოდგენას ქმნის განსაზღვრულ წუთზე, საათზე, დღესა და წელიწადზე. ადამიანის მთელი ცხოვრება ამ მკაფიო წარმოდგენებითა და მოგონებებით შედგება, ასეთი წუთებით, დღეებითა და წელიწადებით და რადგან ეს არც ისე ბევრია, მათი დაკარგვა დიდ ტკივილს იწვევს ხოლმე. ამ ნივთის დაკარგვასთან ერთად შენი მახსოვრობიდან უნებურად იშლება და სამუდამოდ იკარგება განსაზღვრული ჟამი, რომელიც გიყვარდა, ან გძულდა, და რომელიც ჯაჭვის რგოლივით იყო ჩაბმული იმ ერთმანეთთან გარეგნულად თითქმის სრულებით დაუკავშირებელ, მაგრამ ნამდვილად კი მთელი შენი ფარული ნებისყოფის მიერ მტკიცედ შეკრული ფრაგმენტების მდინარებაში, რომელსაც ბიოლოგიური არსებობისგან განსხვავებით ცხოვრება ჰქვია.

ისევ გალაკტიონ ტაბიძის წიგნი აიღო ხელში, გადაშალა თუ არა, მაშინვე ფურცლებს შორის ჩადებული სურათი დაინახა. თითქოს მისი დაკარგვით გამოწვეულმა სინანულმა ის ისევ თავის ადგილას დააბრუნაო. ზაზამ სურათს ხელი გადაუსვა, თითქოს მოეფერა, რადგან არ დაეკარგა. არ გაუქრა, თან არ გაიყოლია ყველაფერი, რაც მას ახლა ასე ძალიან მოენატრა და რაც სულის სიღრმეში თურმე მალულად ისე ყვარებია, რომ თვითონაც კი არ ეგონა.

ზაზას სურათი ორივე ხელით მაგრად ეჭირა. უფრო სწორად, ეს სურათის ნახევარი იყო, რადგან ფოტო შუაზე იყო გაჭრილი. სურათზე მარტო მაგდა იყო დარჩენილი.

სურათი ხუთი წლის წინათ იყო გადაღებული, კიკეთში. მაგდას სარაფანი ეცვა, გრძელი, გამხდარი მკლავები და ჯერ კიდევ ბავშვური მხრები ჰქონდა. ცალი თვალი სასაცილოდ მოეჭუტა, ალბათ მზე პირდაპირ უყურებდა.

3. ზაზა ხუთი წლის წინანდელ ამბავს იხსენებს. კიკეთი. ლიზიკო. მაგდა.

ამ ხუთი წლის წინ, ზაფხულში, როცა თბილისის ქუჩებს ალმური ასდიოდა, როცა ნახევარი ქალაქი აგარაკებზე იყო გახიზნული, ზაზამ უნივერსიტეტის წინ თორნიკე დაინახა. თორნიკე ტაქსის რიგში იდგა. ოფლი სახეზე წურწურით ჩამოსდიოდა. ვიღაც ორ მსუქან ქალს შორის მოქცეული, მხრებჩამოყრილი ისე იდგა, თითქოს მთელი თავისი სიცოცხლე ტაქსის ცდაში გაეტარებინოს.

ზაზა ახლოს მივიდა და დაუძახა. თორნიკემ თავი ასწია, თითქოს წყლიდან ამოყვინთაო და ზაზას შემოხედა. ღიმილის მსგავსმა რაღაცამ ერთი წამით შეურხია ტუჩის კუთხეები, ოღონდ მაშინვე ჩაქრა, თითქოს არც კი გამოჩენილაო. ისე უყურებდა, თითქოს ზაზას რაღაცას თხოვდა, ოღონდ ისეთ რამეს, რაც თვითონაც კარგად არ იცოდა. ზაზას გაეცინა. „რა გაცინებს? — შეეკითხა თორნიკე, — რა ნახე სასაცილო?“ „სასაცილოა, აბა რა. ერთი შორიდან შეგახედა შენს თავს, რას გავხარ!“ „რას ვგავარ?“ — გაეპასუხნენ თვალები, რადგან თორნიკეს ხმის ამოღების თავი ნამდვილად არ ჰქონდა. „სად მიდიხარ?“ — ჰკითხა ხმამაღლა ზაზამ. შეკითხვა, ეტყობა, ძალიან ხმამაღალი მოუვიდა, რადგან რიგმა ერთი ნაბიჯით წინ გადაინაცვლა, თითქოს რიგში ყველას ზეზეულად ეძინა და ახლა უცებ ერთად გამოღვიძებულებმა ნაბიჯი წინ გადადგეს. „ჰა?“ — ძლივს ამოიღო ხმა თორნიკემ. „სად მიდიხარ-მეთქი? „კიკეთში“. „ტაქსით?“ თორნიკემ თავი დაუქნია, თვალებიც დამცინავად მოჭუტა, აბა, შენი აზრით აქ რატომ უნდა ვიდგეო? ზაზამ იცოდა, თორნიკეს მშობლები კიკეთში ჰყავდა, თვითონ ინსტიტუტში მუშაობა ახალი დაწყებული ჰქონდა, შვებულება არ ეკუთვნოდა. თუმცა ყოველ დღე, მუშაობის დამთავრების მერე, კიკეთში ადიოდა, ღამეს იქ ათევდა, დილით ისევ თბილისში ბრუნდებოდა.

ზაზა თორნიკეს გვერდით გაჩერდა. „ცხელა!“ — თქვა მან. იმ წამსვე ორივე მსუქანმა ქალმა ერთად ამოიხვნეშა, თითქოს ამ სიტყვის გაგონებამ ახალი ცეცხლი წაუკიდაო. „შენ სად იყავი?“ — ჰკითხა თორნიკემ. მას საყელო გაეღეღა, კისერთან ცხვირსახოცი ჩაეფინა. „არსად! — უპასუხა ზაზამ და კიდევ ერთხელ გაიმეორა, — ცხელა!“ — მხოლოდ იმიტომ — ეს ქალები ისევ ამოიხვნეშებენ, თუ არაო. ერთმა ქალმა ზაზას შემოხედა, ზაზას რატომღაც შერცხვა, სხვა ვერაფერი მოახერხა და თავი დაუქნია. ქალმაც თავის დაქნევით უპასუხა. თან საოცარი გაკვირვება აღებეჭდა სახეზე. ზაზამ მის შემოხედვას ვერ გაუძლო, ისევ თორნიკეს მიუბრუნდა და ჰკითხა: „ჯერ ხუთი საათი რომ არ არის? „ადრე წამოვედი“, — უპასუხა თორნიკემ. „როგორ მოგივიდა?“ „ვთხოვე და გამათავისუფლეს, თანაც შეფი აქ არ არის“. „მერე ტურნირი?“—თორნიკეს ინსტიტუტში როცა არ უნდა მისულიყავი, სულ ჭადრაკს თამაშობდნენ. ზაზას ჭადრაკის თამაში არ უყვარდა. ახლა ისეთი სერიოზული სახით ჰკითხა, რომ თორნიკემ დაცინვა იგრძნო. „თავი დამანებე, გაჩუმდი!“ — თითქოს ზაზა რომ ლაპარაკობდა, სიცხეც მატულობდა. „შენ ისევ მესამე ადგილზე ხარ?“ — ზაზას ვითომ ძალიან აინტერესებდა. „გაჩუმდი-მეთქი!“ ზაზამაც შეატყო, რომ აქ მის მეტი არავინ ლაპარაკობდა, თითქოს ტაქსისთვის აუცილებლად ჩუმად უნდა გეცადა. „სჯობდა, ავტობუსს წაჰყოლოდი“, — უთხრა ცოტა ხნის დუმილის მერე

ზაზამ თორნიკეს, რადგან თვითონ ტაქსს არ ელოდებოდა, ამიტომ გაჩუმება სავალდებულოდ არ ჩათვალა „თუ გინდა, შენც წამოდი, — არ დაამთავრებინა სიტყვა თორნიკემ და უცებ ხმამაღლა შესძახა, — ვისი რიგია, მანქანა იცდის!“ რადგან შენიშნა, რომ ცარიელ მანქანას არავინ ყურადღებას არ აქცევდა, თითქოს რიგს მართლაც ზეზეულად ჩაეძინაო. „ეს მანქანა უკვე დაჭერილია“, — უთხრა მსუქანმა ქალმა, ქალს წითელი ქოლგა ეჭირა ხელში. „თქვენ კიკეთში ხომ არ მიბრძანდებით?“ — ჰკითხა თორნიკემ იმ ქალს. „კიკეთში? რა მინდა კიკეთში? — გაბრაზდა რატომღაც ის ქალი, — კიკეთში რა მინდა?“ „არა, ისე გკითხეთ“. — დაიბნა თორნიკე. „ხა-ხა-ხა-ხა!“ — გაიცინა მეორე მსუქანმა ქალმა, მათ უკან რომ იდგა. „რა გაცინებთ?“ — ჰკითხა პირველმა ქალმა. „ჩემთვის ვიცინი. ხა-ხა-ხა-ხა!“ „საკვირველია, ღმერთმანი! — უცებ გაჩერდა და თორნიკეს შეაცქერდა, — დაიცათ, თქვენ“... „ბატონო?“ — ჰკითხა თორნიკემ. „თქვენ ბატონ გიორგის შვილი არა ხართ?“ „მე...“ დაიბნა თორნიკე. „არა, ქალბატონო, — უპასუხა თორნიკეს მაგივრად ზაზამ, თვითონაც არ იცოდა, რამ უბიძგა ამ ტყუილის სათქმელად, — მიამსგავსეთ“. „ღმერთო ჩემო, არა. თქვენ ნამდვილად მისი შვილი ხართ! „დიახ!“ — უპასუხა თორნიკემ და თან გვერდზე გაიხედა, ქალი ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდა და თორნიკეს რცხვენოდა. „როგორ გითხრათ, — გააგრძელა ხუმრობა ზაზამ, — ვთქვა, თორნიკე?“ — მიუბრუნდა ამხანაგს. „ზაზა! — თორნიკემ იგრძნო, ზაზა ახლა რაღაცას უცნაურს იტყოდა, — ზაზა!“ „როგორ გითხრათ, ქალბატონო, ეს ბატონი გიორგის პირველი ცოლისგანაა“. „ზაზა!“ „რას მეუბნებით?“ „ხა-ხა-ხა-ხა!“ — სამი ადამიანის შეძახილი თითქმის ერთსა და იმავე დროს გაისმა. „რა გაცინებთ? — ჰკითხა პირველმა ქალმა მეორეს და მაშინვე თორნიკეს მიუბრუნდა, — პირველი ცოლისგან?“ „დიახ“, — დაუქნია თავი ზაზამ და თან მხრებიც აიჩეჩა, რას იზამთ ასეც ხდებაო. „მე რომ არ ვიცოდი? ბანა ბატონ გიორგის სხვა ცოლი ჰყავდა?“ თორნიკემ აღარ იცოდა, რა ექნა. „ეს სულ პირველი ცოლისგანაა“, — თქვა ზაზამ. „როგორ თუ სულ პირველი ცოლისგან, ღმერთო ჩემო, ნუთუ სხვაც, კიდევ?“ „ხა-ხა-ხა-ხა!“ — იმ ქალს კაცური, ბოხი ხმა ჰქონდა, კაცივით თავისუფლად იცინოდა. „მე კი ამისი ძმა ვარ, — თქვა ზაზამ, ჩუმად, თითქოს საიდუმლოს გამხელა ერიდებოდა, — მეორე ცოლისგან“. „ღმერთო ჩემო! — შესძახა ქალმა გამწარებით, არ ელოდა დღეს თუ ამდენ ახალ ამბავს გაიგებდა, — მეორე ცოლისგან?“ „ხა-ხა-ხა-ხა!“ „რა გაცინებთ?“ „ზაზა!“ — შესძახა სასოწარკვეთილმა თორნიკემ და ადგილს მოწყდა. „მოიცა! — დაუძახა ზაზამ, — უხერხულია, აი, ქალბატონს აინტერესებს, — მერე იმ ქალს მიუბრუნდა, — ჩვენ კიდევ სამი ძმა გვყავს, ბერძნები!“ „ბერძნები! ღმერთო ჩემო!“ „ხა-ხა-ხა-ხა!“ „ზაზა, წამოდი!“ — დაუძახა უკვე საკმაოდ შორს წასულმა თორნიკემ. „ახლავე!“ ზაზამ უცებ იგრძო, რომ გაქცევის დრო დადგა, რაც უფრო ადრე გაასწრებდა იმ ქალს, მით უკეთესი იქნებოდა მისთვის.

— ეს რა მიყავი, — უთხრა თორნიკემ, როცა ზაზა დაეწია — არ იცი, რა ამბავი ატყდება!

— წითელ ქოლგას დააბრალოს, — უპასუხა ზაზამ.

— ეს წესიერ საზოგადოებაში არ არის მიღებული.

— კარგი ერთი, თუ ძმა ხარ.

— თანაც რიგი დამაკარგვინე.

— არა უშავს, ტაქსს კიდევ იშოვი.

— წამო, მაშინ საზამთრო მაინც მაყიდვინე.

— თუ ვინმე არ დაასაქმე, არ შეგიძლია!

— აბა, როგორ გინდა, ძმაო?

— მართალი ხარ...

„შენც წამოდი, — უთხრა თორნიკემ, — წამოდი, რა საქმე გაქვს?“ „საქმე კი

არა მაქვს, მაგრამ“... „ხოდა, წამოდი“. „წამოვიდე? — შეეყოყმანდა ზაზა, მაგრამ უცებ კიკეთის სიგრილე რომ წარმოიდგინა, დათანხმდა, — კარგი, წამოვალ!“ „ღამით ავტობუსი ცარიელი მოდის, მარტო კვირაობითაა ძნელი“. „კარგი, მოვდივარ“.

ბაზრიდან გამოვიდნენ თუ არა, ტაქსიც შეხვდათ. „კიკეთში თუ წაგვიყვან?“ — ჰკითხა ზაზამ შოფერს. „კიკეთში?“ — შოფერი უშნოდ დაიღრიჯა, ეტყობა, მაინც და მაინც არ ეხალისებოდა იქ წასვლა. „ხო, კაცო, რა იყო?“ — თორნიკემ ამასობაში მანქანის კარი გააღო და ჩაჯდა. ზაზა ისევ ევაჭრებოდა შოფერს. „იქიდან ცარიელი უნდა წამოვიდე!“ — თქვა შოფერმა. „ჩაჯექი! — დაუძახა თორნიკემ ზაზას — რას უცდი?“ შოფერი თორნიკეს მიუბრუნდა: „ვაჰ?“ „რა იყო?“ — ჰკითხა თორნიკემ. „ მე აღარ მეკითხებით?“ „ზაზა, მოდი აქ!“ ზაზა მანქანაში ჩაჯდა, თან შოფერს თვალს არ აცილებდა. „კარგია, ერთი ბალახზე წამოვწვები“, — მოტყდა უცებ შოფერი. „ხოდა, აგაშენა ღმერთმა!“ — გაუხარდა ზაზას. „ჩიტებსაც დაუსტვენ!“ — უთხრა თორნიკემ შოფერს. „ვაჰ? — გაუკვირდა ისევ შოფერს, — ჩიტებს რიღასთვის უნდა დავუსტვინო?“ „ხოდა, თუ გინდა არ დაუსტვენ, შენი ნებაა!“ „ვაჰ?“ ზაზას გაეღიმა. „ცხელა!“ — თქვა თორნიკემ. „ცხელა? აბა, დილიდან საჭესთან იჯექი, სიცხეს მერე ნახავ!“ — უთხრა შოფერმა. „აბა, შენ ითამაშე დილიდან ჭადრაკი“, — უთხრა შოფერს ზაზამ თორნიკეს გამოსაჯავრებლად. „ვაჰ, დილიდან ჭადრაკი რატომ უნდა ვითამაშო, მოცლილი ვარ?“ თორნიკე შეიშმუშნა. „ეჰ, შენც რომ ინსტიტუტში მუშაობდე, ითამაშებდი“. „ასეა? — ჰკითხა შოფერმა. „ასეა ხომ, თორნიკე?“ — მიუბრუნდა ზაზა ამხანაგს. „სულ ხუმრობა გამიგონია?“ — თორნიკემ გვერდზე გაიხედა. „ხუმრობას რა ჯობია, — გამოცოცხლდა უცებ შოფერი, მას ეტყობა, გაუხარდა, რომ ყველაფერი ეს ხუმრობა იყო, — შენ კარგი ანეგდოტები გეცოდინება“. — უთხრა მან ზაზას, ჩიტებსა და ჭადრაკზე აღარ ბრაზობდა. „რომელი ერთ-რომელი მოვყვე?“... „რომელიც გინდა, ჩემთვის სულერთია, ყველაფერზე მეცინება“. „ორი კინტო დაძმობილდა“, —დაიწყო ზაზამ. „მოყევი ახლა წვერიანი ანეგდოტები“, — თქვა თორნიკემ. „აცალე, კაცო, — უთხრა შოფერმა, — მოყვეს“. ზაზამ ანეგდოტი დაამთავრა. შოფერმა გულიანად გაიცინა და მაშინვე თვითონ დაიწყო ანეგდოტების მოყოლა. ყვებოდა გაუთავებლად, ერთს რომ დაამთავრებდა, იკითხავდა — კარგია არა? და მაშინვე მეორეს დაიწყებდა, თან თვითონ გულიანად იცინოდა. „რას იზამ? — თქვა ჩუმად ზაზამ, — ჩემი ბრალია“. ამასობაში წყნეთს გაცდნენ, მერე სამადლოს, მერე კიკეთისკენ გადაუხვიეს. შოფერი კი ყვებოდა და ყვებოდა ანეგდოტებს.

— ხოდა, საყვარელი თურმე კარადაში ჰყავს დამალული, — მოუბრუნდა შოფერი.

— რას მეუბნები? — შეეხმიანა ზაზა.

— მა-ა-ა-შ! — გააგრძელა შოფერმა და უცებ ამოდენა კაცმა ბავშვივით გადაიკისკისა, — კარადაში!

— აქ გააჩერე! — უთხრა თორნიკემ შოფერს.

მანქანა გაჩერდა. ზაზა და თორნიკე მანქანიდან გადმოვიდნენ. შოფერმაც კარი გააღო და ანეგდოტის მოყოლით წამოჰყვა. ზაზა და თორნიკე გაჩერდნენ, დაელოდნენ, შოფერი როდის დაამთავრებდა ანეგდოტის მოყოლას. შოფერმა ანეგდოტი დაამთავრა და გამოემშვიდობა: „აბა, კარგად იყავით!“ „უჰ!“ — შვებით ამოისუნთქა თორნიკემ.

ეზოში არავინ ჩანდა. სახლი ეზოს სიღრმეში, ალვებს შორის იდგა. ეზო ნახევრად გაყვითლებულ ბალახით იყო დაფარული. აქეთ გზისკენ, სახლიდან კარგა დაშორებით, მუხების ჩრდილქვეშ ალუმინის საწოლი გაეშალათ. საწოლზე ბალიში და წიგნი ეგ-

დო. საწოლის ქვეშ ენაგადმოგდებული ძაღლი მოკალათებულიყო. ზაზა მუხეებისკენ წავიდა. „წამო, შინ შევიდეთ“, — უთხრა თორნიკემ. „არა, აქ დავჯდები.“ „საზამთროს შევიტან“, — თქვა თორნიკემ. ზაზა საწოლზე ჩამოჯდა, ძაღლი მაშინვე გამოძვრა და გაერიდა. თუმცა შორს არ გაქცეულა, ჩრდილს არ გასცილებია. იდგა და ზაზას თვალმოუცილებლად შესცქეროდა, თან ენაგადმოგდებული ჩქარ-ჩქარა სუნთქავდა. „მოდი აქ!“ — დაუძახა ზაზამ ძაღლს. ძაღლმა უკან დაიხია. ზაზამ ახლა წიგნი აიღო, დახედა, აკუტაგავას მოთხრობები იყო. გაუკვირდა, რადგან ხანდახან წიგნები, რომლებიც ძალიან გიყვარს, მხოლოდ შენი აღმოჩენილი, შენი საკუთრება გგონია.

ზაზა წამოდგა, წიგნი საწოლზე დააგდო. ძაღლი ისევ იქ იდგა და შესცქეროდა. ზაზა საწოლს მოშორდა და ხის ძირას დაჯდა. ძაღლი გაუბედავად წამოვიდა, ნელ-ნელა გათამამდა, ისევ საწოლის ქვეშ შეძვრა. ზაზა თითქოს მას ვერ ხედავდა, თვალიც დახუჭა, ძაღლი რომ უფრო უშიშრად ყოფილიყო.

— ზაზა! — მოესმა გოგოს ხმა.

ზაზამ თვალი გაახილა, მის წინ ლიზიკო იდგა. ლიზიკო გამხდარი გოგო იყო, ჭორფლიანი, სათვალე ეკეთა.

— გეძინა? — იცინოდა ლიზიკო.

ზაზა წამოდგა.

— არ მეძინა, — თვითონაც გაეცინა, — გამარჯობა, ლიზიკო, როგორა ხარ?

— კარგად! — უპასუხა ლიზიკომ, — თორნიკე ახლავე მოვა, თუ გინდა შინ შევიდეთ.

— არა, აქ ჯობია.

— თორნიკემ იმოდენა საზამთრო მოათრია! — ლიზიკომ ხელები გაშალა, — აი, ამოდენა, მაცივარში არ შეეტია, გაჭრაც არ უნდა.

— ვიცი!

— თუმცა თქვენ ხომ ერთად ამოხვედით!

— ლიზიკო, მომილოცავს!

— რა? სკოლა რომ დავამთავრე?

— ხო. სკოლა რომ დავამთავრე.

— გმადლობთ. ნეტა არ დამემთავრებინა.

— რატომ?

— არ ვიცი, სად შევიდე...

— კარგად უკრავ, ინგლისურიც იცი...

— ალბათ, კონსერვატორიაში შევალ.

— ოქროს მედალი ხომ აიღე?

— დიდი ამბავი! თბილისში ცხელა?

— ძალიან.

— აქაც ცხელა.

— ეს რა სიცხეა?

ზაზამ საწოლზე დაგდებული წიგნი აიღო:

— შენ კითხულობ?

— ჰო, მაგდამ მათხოვა.

— მაგდამ?

— ჩემი ამხანაგია, აქ გავიცანი. იცი, რა კარგი გოგოა! — თქვა ლიზიკომ და მეტად სერიოზული სახე მიიღო.

ზაზამ იფიქრა, ალბათ ასეთი სერიოზული სახე აქვს მაგდასო, რადგან როცა ვინმეზე ვლაპარაკობთ, უნებურად მის მიმიკას ვბაძავთ ხოლმე.

— ჩვენ აქ წიგნები არ წამოგვიღია, თორნიკე სხვას არაფერს კითხულობს გარდა თავისი დისერტაციისა, არა მცალიაო, ამბობს.

— ხო, თორნიკეს არ სცალია...

— ნუთუ მართლა უშლის ხელს დისერტაციის დაწერაში სხვა წიგნების კითხვა? მაგალითად — სტენდალის? მე სტენდალზე ვგიჟდები!

— სტენდალი? — ზაზამ განგებ შეჭმუხნა შუბლი, — სტენდალი დისერტაციების პირველი მტერია!

ლიზიკომ ჯერ დაბნეულად შემოხედა, მერე მიხვდა, ზაზა რომ ხუმრობდა და გადაიკისკისა.

— ნუ იცინი, — უთხრა ზაზამ ისე, რომ შუბლი არ გაუხსნია. — ესენი დოცენტების სისხლისმსმელები არიან. აი, ესეც, — ზაზამ წიგნი მაღლა ასწია, — ეს წვრილთვალება, გამხდარი იაპონელიც!

— უი, — შეჰკივლა ლიზიკომ გან-

გებ, — მაშ ეს წიგნი თორნიკეს უნდა დავუმალო!

— უსათუოდ, — თქვა ზაზამ, — რა თქმა უნდა, თუ კი უფროსი ძმის კარიერაზე ზრუნავ.

ლიზიკო საწოლზე იჯდა, ფეხი ფეხზე გადაედო და ქოშს თითის წვერებზე ათამაშებდა. არც ერთს არ ჰქონდა ამ ოჯახში იმდენი გულითადობა და სითბო, რამდენიც ლიზიკოს. ზოგი მალავს კიდეც ამას, თითქოს რცხვენია, რადგან კარგ ტონად მხოლოდ ხელოვნურად შეჯუშავებული მანერები მიაჩნია, სხვისგან ნასწავლი, სხვისი მიბაძვით გადმოღებული. „როგორ შეიძლება, ლიზიკო, — უწყრებოდა ხოლმე დედა, — ასეთი სიცილი გამიგონია?“ მაგრამ აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ასეთი სიცილი არ იყოს ქვეყნად.

— მაგდა ამბობს, ყველაფერზე საინტერესო ფიზიკაა.

— ეტყობა, ძალიან ჭკვიანია, — თქვა ზაზამ, უფრო ლიზიკოს საამებლად.

— ძალიან! — არ დაამთავრებინა ლიზიკომ, — ძალიან! — სათვალე მოიხსნა და მინებს გახედა.

ზაზამ იფიქრა, მაგდასაც ალბათ სათვალე უკეთია. ეს, ალბათ, მისგან გადმოღებული ჟესტი იყო. ლიზიკომ ისევ გაიკეთა სათვალე.

— სათვალე რომ მიკეთია — უფრო მცხელა, — თქვა მან ღიმილით.

ამ ლაპარაკში იყვნენ, რომ თორნიკე წამოადგათ თავს. ტანსაცმელი გამოეცვალა, შიშველი ფეხები ფლოსტებში წაეყო. „ჩვენებს სძინავთ“, — თქვა მან. „ჩვენები სადილის მერე ყოველთვის იძინებენ, — ლიზიკოს გაეცინა, თორნიკეს პერანგი გაღეღვოდა და შიშველი მუცელი მოუჩანდა, — შეიკარი!“ თორნიკემ პერანგის ღილი შეიკრა. „ჩვენ არ უნდა გვასადილოთ? — იკითხა და საწოლზე ჩამოჯდა, — არასოდეს არ მიცდით ხოლმე.“ „შენ ყოველთვის გაგვიანდება, რაღა დღეს ამოხვედი ასე ადრე?“ „მაშინ მითხარით და თბილისში ვისადილებ, — და მერე დაუმატა, — რესტორანში!“ თითქოს მოელოდა ,რომ ლიზიკო შეჰკივლებდა: ახ, რესტორანში სადილობა, როგორ შეიძლება, მოიწამლებიო! „რესტორანში შესვლაზე ვოცნებობ, — თქვა ლიზიკომ, — ნეტა, იქ გაკეთებული საჭმელი მაჭამა!“ „მითხარით და თბილისში ვისადილებ-მეთქი!“ — უცებ გაბრაზდა თორნიკე. ალბათ იმიტომ ბრაზობდა, რომ მშობლებს ეძინათ, რომ მას არავინ ელოდებოდა და ეს ყველაფერი სტუმრის თვალწინ ხდებოდა. „ასე გშია?“ — ჰკითხა ღიმილით ზაზამ. „მშია რომელია? არც დილით მიჭამია არაფერი. მაშინაც ეძინათ!“ „უიმე, გშიათ?“ — ისე შეიცხადა ლიზიკომ, თითქოს აქამდე სხვა რამეზე ლაპარაკობდნენ. „მე არ მშია“, — თქვა ზაზამ. მას მართლაც არ შიოდა.

ლიზიკომ სუფრა შუშაბანდში გააწყო, პატარა მაგიდაზე. თორნიკემ მაგიდას თვალი გადაავლო, „სულ ეს არის?“ „ხო, — ლიზიკომ ძმას შეხედა, — რა ვქნა, მეტი ვერაფერი ვნახე“. „მეტი რა გინდა, — გაეცინა ზაზას, — ქეიფს ხომ არ ვაპირებთ?“ „წადი, ღვინო მოიტანე!“ — უბრძანა ძმამ ლიზიკოს. „რომ არ ვიცი, სად არის?“ „მაცივარში, სულელო!“ „აბა, აბა!“ — ლიზიკომ საჩვენებელი თითი დაუქნია, მასწავლებელი რომ დაეშუქრება მოწაფეებს ისე. „კარგი, კარგი! — შეაჩერა თორნიკემ, — ღვინო მოიტანე, გთხოვთ!“ „შენც მთხოვ?“ — ჰკითხა ლიზიკომ ზაზას. ზაზამ ღიმილით თავი დაუქნია. „რა გაეწყობა, თქვა ლიზიკომ, — მოვიტან!“

შუშაბანდში ორი კარი გამოდიოდა. ერთი დაკეტილი იყო. იმ ოთახში ნამდვილად თორნიკეს მშობლებს ეძინათ „არ ცხელათ?“ — გაიფიქრა ზაზამ, როცა მოხურულ კარს შეხედა. მერე იმ კარისკენ ვეღარ იხედებოდა, თითქოს ეშინოდა, მასაც არ დასცხომოდა, სანამ ზაზა და თორნიკე სადილობდნენ, ლიზიკო მათ თავს დასტრიალებდა, თუმცა მოსატანი ბევრი არაფერი ჰქონდა რა, მაინც ისე ფუსფუსებდა, იფიქრებდი, მთელ ჯარს ასადილებსო.

სადილი რომ დაამთავრეს, ისევ ეზო-

ში გამოვიდნენ. ბიჭები პირდაპირ მიწაზე გაიშოტნენ, ლიზიკო გაიქცა, შინიდან შალის ორი თხელი საბანი გამოარბენინა: ძირს დაიფინეთო. ბიჭებს გაეცინათ, მაგრამ ლიზიკოს უარი ვერ უთხრეს.

მზე მუხის ტყის იქით გადაწვერილიყო. ცა წითლად იყო ალეწილი. ჩიტების ხმაც კი არ მოისმოდა. თითქოს ბუნებას სუნთქვა შეკვროდა იმ გამუდმებით საიდუმლოებით მოცული მოვლენის მოლოდინში, მზის ჩასვლა რომ ჰქვია. ეზოს გადაღმა ხევი იწყებოდა, იქიდან ახლა გრილი ნიავი უბერავდა, ფეხაკრეფით, ჩუმად მიმოქროდა, თითქოს მწუხრის მსტოვარი იყო და ახლა არემარეს ზვერავდა, ღირდა თუ არა, რომ აქ ღამე მობრძანებულიყო. მზის მოპირდაპირე მხარეს ფანჯრები თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებდნენ.

დიდხანს იყვნენ ასე, ხმა არ ამოუღიათ, ბუნება მათზე უჩინარი ძალით მოქმედებდა. ხანდახან დგება წუთი, როცა ადამიანი გრძნობს, რომ ის ბუნების ნაწილია, მისი ცოცხალი, მფეთქავი ნაწილაკი, რომ მის სულშიც ისევე ჩადის მზე, როგორც მუხის ტყის იქით, და ეს დიდი, წითლად განათებული უსაზღვრო სივრცე ისე თავისუფლად ეტევა მის არსებაში, როგორც ფარული სიხარული ან დარდი. რომ ისიც ბუნებასავით არსად არ იწყება და არსად არ მთავრდება და რომ ეს ბადაგივით ტკბილი და მათრობელა სიცოცხლე შეუზღუდავია და მდინარესავით ლაღად გადადის უკვდავებაში. და რომ არ არსებობდეს ეს მაცთუნებელი გრძნობა, ეს წამიერი რწმენა უკვდავებისა, ადამიანის სიცოცხლე ანძაზე მივიწყებულ დროშასავით ნაადრევად შემოეფლითებოდა იმ ცივსა და სუსხიან ქარს, სიბერის თეთრი კლდეებიდან რომ უბერავს.

ლიზიკო წიგნს კითხულობდა, ცოტაც და ალბათ ვეღარ წაიკითხავდა, რადგან უკვე საკმაოდ დაბინდებულიყო. თორნიკე თვალდახუჭული იწვა, თითქოს ეძინა. ზაზას ბალახის ღერი მოეგლიჯა და მის ბოლოს კბილებით ძიძგნიდა.

ლიზიკოს სათვალე [illegible] [illegible] [illegible] ისე კითხულობდა. მერე თითქოს ზაზას მზერა იგრძნო, წიგნი დაკეცა და გვერდზე გადადო. სათვალე გაიკეთა, ზაზას შეხედა და გაუღიმა.

ზაზამ ღიმილითვე არ უპასუხა, რადგან სულ სხვა რაღაცას ფიქრობდა და ამ ფიქრს აქედან შორს გაეტაცნა.

— ჩვენი გოგოები ამბობენ, ახალგაზრდა მხატვრებში ყველას პაპუნა ჯობიაო, — თქვა ლიზიკომ. ეს თითქოს მოულოდნელი იყო, მაგრამ არავის გაჰკვირვებია.

— ვინ ამბობს მაინც? — განგებ დაინტერესდა თორნიკე, უფრო დის გასაბრაზებლად.

— აი, მაგლითად მაგდა ამბობს, — ისეთი ხმით თქვა ლიზიკომ, თითქოს თორნიკეს დაცინვას წყალი გადაასხაო. თითქოს ამის მერე თორნიკე უნდა გაჩუმებულიყო.

თორნიკე მართლაც გაჩუმდა.

„ისევ მაგდა!“ — გაიფიქრა ზაზამ.

მან წარმოიდგინა კიდეც, როგორი უნდა ყოფილიყო მაგდა. არიან თავისმომაბეზრებლად ნაკითხი გოგოები, მათ ყველაფერი იციან და ყველაფერზე ლაპარაკობენ. მათ წინაშე თავს რატომღაც უხერხულად და დარცხვენილად გრძნობ, გეშინია, რამე სისულელე არ წამოგცდეს და, რა თქმა უნდა, ამის გამო ისინი არ გიყვარს, ერიდები. მერე ამ გოგოებს უკვირთ, გაუთხოვარხი რომ რჩებიან, თითქოს პირიქით უნდა ხდებოდეს, ასეთ ნასწავლსა და ყოვლისმცოდნე გოგოებზე ტაციაობა უნდა იყოს.

ამასობაში მთლიანად ჩამობნელდა. შუშაბანდში სინათლე აინთო. „გაიღვიძეს“ — გაიფიქრა ზაზამ. ისე აგრილდა, რომ შესცივდათ კიდეც. ცაზე ვარსკვლავები გამოჩნდა. ისინი ერთმანეთის მიყოლებით ინთებოდა, თითქოს მათ ვიღაც ანთებდა. ვარსკვლავიანი ცის ფონზე ხეები კუშტად გამოიყურებოდნენ, თითქოს შავი მოსასხამი მოი-

ხვიეს და სახე დამალეს. მოსასხამებში სახეჩამალული ხეები საიდუმლოდ შრიალებდნენ, თითქოს მთელი დღის დუმილის მერე ენა ახლა ამოიდგესო.

— ციცინათელა! — წამოიძახა ლიზიკომ და ხელი გზისკენ გაიშვირა. ბიჭებმა გზისკენ გაიხედეს. ეს ციცინათელა არ იყო, რადგან შუქის წრე ნელ-ნელა იზრდებოდა, ვიღაც ჯიბის ფანრით მოდიოდა გზაზე.

— ჩვენთან მოდის! — თქვა თორნიკემ.

— მაგდაა! — ლიზიკოს ხმაში სიხარული დაეტყო.

ფანრის შუქი თეთრ ფინიასავით წინ-წინ მოუძღვებოდა ვიღაცას, გზიდან გადარბ-გადმორბოდა, თითქოს რაღაცას დაეძებდა. ამ პატარა განუწყვეტლივ მოძრავი სინათლის წრის მეტი არაფერი მოჩანდა ბნელში. მერე ამ პატარა თეთრმა ფინიამ მათთან მოირბინა, ჯერ თორნიკეს გადაურბინა მკერდზე, მერე ლიზიკოს ფეხებზე შეახტა, ბოლოს კი ზაზას შეაჩერდა, დიდხანს და ჯიუტად.

— ხომ ვთქვი, მაგდაა-მეთქი! — ლიზიკოს მართლაც ძალიან უხაროდა მაგდას მოსვლა.

სინათლის წრე უცებ გაქრა. ზაზამ ჯერ საწოლზე ლიზიკოს გვერდით ჩამომჯდარი ლანდი დაინახა. მერე ეს ლანდი ნელ-ნელა გამოიკვეთა, თუმცა ზაზამ გოგოს სახე კარგად ვერ გაარჩია. ზაზა წამოდგა.

— მაგდა, გაიცანი, — თქვა თორნიკემ. — ეს ზაზაა, ჩემი ამხანაგი!

ზაზა იმ გოგოსთან ახლოს მივიდა, რადგან მისკენ გამოწვდილი ხელი დაინახა. გოგოს გრილი და პატარა ხელი ჰქონდა, თითქოს ზაზას სიბნელეში შემთხვევით ჩიტი დაეჭიროს.

— არ გეშინია ამ სიბნელეში? — ჰკითხა ლიზიკომ მაგდას.

— რისი? რისი უნდა მეშინოდეს? — ისე გულწრფელად გაიკვირვა მაგდამ, რომ ლიზიკოს შეკითხვა ყველას მეტად გულუბრყვილოდ მოეჩვენა.

მერე დიდხანს ისხდნენ ისე, რომ ხმა არ ამოუღიათ. რა უშლიდათ ხელს? შეიძლება ის, რომ ერთმანეთის სახეებს ვერ ხედავდნენ. ზაზამ რამდენიმეჯერ დააპირა ხმის ამოღება, მაგრამ რატომღაც გადაიფიქრა, არ ღირს ამის თქმა, სისულელეაო. არასოდეს ასეთი სიფრთხილით არ აუწონია თავისი სათქმელი. ხვდებოდა, რომ ეს მაგდას ბრალი იყო, უფრო სწორად მაგდაზე მისი წარმოდგენისა. რადგან ისეთ გოგოებთან, რომელთა რიცხვშიაც ის მაგდასაც თვლიდა, ლაპარაკი ყოველთვის უჭირდა.

მერე ზაზამ საათი იკითხა. საათი არავის აღმოაჩნდა.

— რა გეჩქარება? — უთხრა თორნიკემ, — ავტობუსი თორმეტამდე მუშაობს.

— თორმეტზე რომ ვერ გავაცილებ? — მოისმა მაგდას ხმა.

— შენ უსათუოდ უნდა გააცილო? — გაიცინა თორნიკემ.

— გაცილება მიყვარს! — თქვა მაგდამ, — მგონია, რომ მეც მივდივარ.

თუ აქამდე მაგდას ხმა ზაზასთვის სრულიად უცხო იყო, ახლა, როცა ეს თქვა, მოეჩვენა, რომ თითქოს ადრეც სადღაც მოესმინოს. ზაზამ თავი ასწია და მაგდას შეხედა, მისი სახე გარკვევით დაინახა. ეტყობა, ბნელს თვალი შეაჩვია. მაგდას ლიზიკოსათვის ხელი მოეხვია და თავაწეული იჯდა, თითქოს სადღაც, შორს გადახედვას ცდილობდა.

„მგონია, რომ მეც მივდივარ... მგონია, რომ მეც მივდივარ...“ — თითქოს ამ სიტყვებს, ხმამაღლა რომ თქვა, ახლა ფიქრში იმეორებდა.

— მე მგონი, ვარსკვლავები ზაფხულობით იზრდებიან, — მოესმა მაგდას ხმა. ზაზა ფიქრისაგან გამოერკვა. შეიძლება, სანამ ის ფიქრობდა, მაგდა სულ ვარსკვლავებზე ლაპარაკობდა. ზაზამ ისევ შეხედა მაგდას.

მაგდა ისევ ისე თავაწეული იჯდა, ოღონდ თვალები დაეხუჭა.

— ვარსკვლავები იზრდებიან, — გაიმეორა ზაზამ, მას უკვე გაუქრა ის უხერხულობის გრძნობა, მაგდას მოსვლამ

რომ გაუჩინა. ახლა, პირიქით, უნდოდა ბევრი ელაპარაკა, ოღონდ კარგად, უნდოდა ეთქვა ყველაფერი, რასაც ფიქრობდა. უცებ გაჩუმდა, რადგან ძალიან აღელდა. პირიც გაუშრა. მაშინვე სიგარეტს მოუკიდა. გაუკვირდა, ასე რატომ ავღელდიო.

მაგდა და ლიზიკო იტალიელ მომღერალზე ლაპარაკობდნენ, რომელიც საგასტროლოდ ჩამოსულიყო თბილისში. ამ მომღერლისათვის მათ შარშან მოესმინათ და არ მოსწონებოდათ. ახლა ყოყმანობდნენ, ჩასულიყვნენ თუ არა კონცერტზე. მაგდას ჩასვლა არ უნდოდა, ლიზიკო კი ეხვეწებოდა, ჩემი ხათრით წამოდიო. მაგდა პასუხობდა: ამ დღეებში თბილისში მაინც უნდა ჩავიდეთ, გამოცდები იწყება, მანამდე იქ ნუ ჩამიყვან, ძალიან გთხოვო.

ზაზა ხეს ზურგით მიყრდნობილი იჯდა და გოგოებს ღიმილით უსმენდა.

— წამო, ჩაი დავლიოთ, — წამოდგა თორნიკე.

— აქ ვიჯდეთ რა! — შეეხვეწა ლიზიკო.

— მე ჩაი არ მინდა, — თქვა ზაზამ.

— არც მე! — მაგდამ ფანარი აანთო და თორნიკეს მიანათა.

თორნიკემ თვალებზე ხელი აიფარა:

— ჩააქრე!

— არ ჩააქრო, — უთხრა მაგდას ლიზიკომ, — ნახე რა გაჩვენო!

წიგნი გადაფურცლა და შიგ ჩადებული სურათი ამოიღო. ეს წიგნი ზაზასაც ეჭირა ხელში, გადაფურცლა კიდეც, მაგრამ ეს სურათი არ უნახავს. მაგდამ სურათი გაანათა:

— ეს რა არის? რას ვგავარ?

— ბადრიმ რომ გადაგვიღო კვირას.

მაგდას სურათი თორნიკემ გამოართვა:

— აბა, გამინათე! — უთხრა მაგდას. ერთი კი დახედა და მაშინვე ზაზას გადააწოდა სურათი: ნახე ერთი, აფსუს, ეკატერინე ჭავჭავაძევ!

ზაზამ სურათის ნახვა ვერ მოასწრო, რადგან უცებ ქალის შეძახილი გაისმა.

— ბავშვებო, ბავშვებო, აქ რას უზიხართ?

ეს ერთი თამაშის შეძახილს გავდა: „ბატები, ბატები, სახლში!“ ზაზამ ამის გაფიქრება ვერც კი მოასწრო, რომ მაგდას ჩურჩული მოესმა:

— ბატები, ბატები, სახლში!

ეს აშკარაა, არავის გასაგონად არ იყო თქმული, მაგრამ ზაზამ მაინც ისე მიიღო, თითქოს მაგდამ მას მიმართა.

თორნიკეს დედა, ქალბატონი ელენე შეუმჩნევლად თავს წამოსდგომოდა.

— ეს რომელია? აა, მაგდა, მაგდუნა! ეს? ზაზა? — ქალბატონმა ელენემ ისე გაიკვირვა, თითქოს ზაზას აქ არაფრით არ ელოდა.

ზაზამ უხერხულად აიჩეჩა მხრები, არ იცოდა რა ეთქვა. ახლა იმას ხომ არ მოყვებოდა, როგორ შეხვდა თორნიკეს, როგორ თხოვა მან კიკეთში წამოდიო.

ქალბატონი ელენე ზაზას მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა, ოღონდ ისე, რომ ზუსტად მისი ტუჩების სიმაღლეზე გააჩერა ჰაერში. ეს ჟესტი იმას ნიშნავდა, რომ ხელზე უნდა გეკოცნა. ზაზამ თითის წვერებს ისეთი მოწიწებით შეახო ხელი, თითქოს ბოდიშს უხდიდა, მაპატიეთ, ხელზე ვერ გკოცნითო. ქალბატონ ელენეს ეს ჩვეულება ოპერიდან გამოჰყვა, სადაც ის ერთ დროს მომღერალი იყო. თუმცა ოპერაში მუშაობას დიდიხანია თავი დაანება, იქ შეძენილი მანერები არ დავიწყებია და სტუმრებს ყოველთვის ისე ხვდებოდა, როგორც კულისებში შემოვარდნილ თაყვანისმცემლებს. ქალბატონი ელენე თავს ისევ კარგ მომღერლად თვლიდა და ოპერიდან წამოსვლას ოჯახს აბრალებდა. „შვილები, ხომ იცით რა არის შვილები? ქმარი, ხომ იცით რა არის ქმარი? — ამბობდა ის და სტუმრებს სათითაოდ ყურში ჩასჩურჩულებდა ხოლმე: სიურპრიზი გელოდებათ, რა თქმა უნდა, თუ ჭკვიანი ბიჭუნა იქნებით“. ეს „ბიჭუნა“ სამოცდაათი წლისაც რომ ყოფილიყო, მაინც ასე ეტყოდა. „ოჰ!“ — შემოჰკრავდა აღტაცებული სტუმარი ტაშს... „ჩუ!“ — ტუჩებზე თითს მი-

იდებდა ხოლმე ქალბატონი ელენე. და რომ წავიდოდა, უნუგეშოდ განწირული კაცის მზერას გაიყოლებდა, რადგან სტუმარმა კარგად იცოდა, რაც იყო ეს „სიურპრიზი“: თუ ყველანი „ჭკვიანი ბიჭუნები“ იქნებოდნენ, ქალბატონი ელენე მათ უმღერებდა.

— დედა, კარგად გეძინათ? — ჰკითხა თორნიკემ მოწიწებით.

— რატომ გამოხვედით, შეგცივდებათ, — გაუფრთხილდა ლიზიკო.

— მითხარით რა, რას თამაშობთ, ბავშვებო? — ისეთი კილოთი იკითხა ქალბატონმა ელენემ, თითქოს ესენი მართლაც პატარა ბავშვები იყვნენ და უპასუხებდნენ: სილაში გვირაბი გაგვყავსო.

მაგდამ ქალბატონ ელენეს ფანარი მიანათა:

— როგორ მოგიხდათ კიკეთი, დედა ელენე!

— კი, მიხდება, მეც ვატყობ, რომ მიხდება, — გაიღიმა ქალბატონმა ელენემ, თან გვერდზე გაიხედა და თავი დახარა, თითქოს ტაშზე მადლობას იხდისო.

— ზღვა თუ გიხდებათ? — ჰკითხა მაგდამ.

— ოჰ, ზღვას ვერ ვიტან, ავად ვხვდები.

ზაზამ იფიქრა, თორნიკე და ლიზიკო ახლა მაგდას შუაზე გაგლეჯენო, მაგრამ თორნიკეს და ლიზიკოს არაფერი ეტყობოდათ. ისინი დედას აღტაცებული შეჰყურებდნენ. ამ შემთხვევაში შვილები ბრმები არიან ხოლმე.

— შინ წამოდით, ბავშვებო, ჩაი დავლიოთ, მურაბასაც გაჭმევთ.

„ნუთუ მართლა მურაბას გვაჭმევთ? ო, როგორ გვიხარია, როგორ გვიხარია!“ — ალბათ ჩვენგან ასეთ პასუხს ელოდებაო, გაიფიქრა ზაზამ და იმ წუთას მაგდამ ტაში შემოჰკრა.

— როგორ მიხარია, რა კარგია!

ზაზამ კინაღამ ხმამაღლა გაიცინა.

ახლა ირგვლივ ყველაფერი ნათლად ჩანდა, რადგან ცაზე ივლისის სავსე მთვარე კაშკაშებდა. ისინი სახლისკენ გაემართნენ. წინ ქალბატონი ელენე მიუძღოდა. მაგდას, მას რომ [illegible] მიჰყვებოდა, რაღაცას ელაპარაკებოდა, თუმცა ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მაგდას კი არა, ვიღაცას წინ მიმავალსა და უხილავს მიმართავდა, რადგან მაგდასკენ ერთიც არ მიუხედავს. ქალბატონი ელენე ხანდახან ხმამაღლა გადაიკისკისებდა, რასაც მაშინვე მაგდას მოჩვენებითად შეწუხებული შეძახილი მოჰყვებოდა:

— აჰ, რას ბრძანებთ, ქალბატონო ელენე!

ზაზას არ ესმოდა, ისინი რას ლაპარაკობდნენ, რადგან მის გვერდით მომავალი ლიზიკო სიცილით უყვებოდა, თუ როგორ უჭირს თურმე თორნიკეს დილით ადრე ადგომა.

— ბადრი! ბადრი! — კისკისებდა ქალბატონი ელენე.

— რას ბრძანებთ, ქალბატონო ელენე!

— და მე წყალს ვასხამ ხოლმე. — ამბობდა ლიზიკო.

— ბადრი! ბადრი! ბადრი!

— ჰო, ქალბატონო ელენე!

— ყვირის, რატომ გამაღვიძეთო!

— ბადრი! ბადრი! ბადრი!

ზაზას უკვირდა, ნუთუ მართლა ასე ხმამაღლა იძახდა ამ სახელს ქალბატონი ელენე? თუ ეჩვენებოდა? კი მაგრამ, რატომ განიცდიდა ასე? ის ლიზიკოს უყურებდა, თავს უქნევდა კიდეც, მაგრამ რატომღაც მხოლოდ ქალბატონი ელენეს ხმა ესმოდა: ბადრი, ბადრი!

— მერე კი თავქუდმოგლეჯილი გარბის, ავტობუსზე აგვიანდება, — იცინოდა ლიზიკო.

ისინი შუშაბანდში შევიდნენ. მერე ქალბატონმა ელენემ სუფრა სიცილ-სიცილით უცებ გააწყო. თუმცა ჯერ კოვზები დაავიწყდა, მერე ნახეს, რომ არც საშაქრე გადმოეღო. ქალბატონი ელენე საქმეს არავის ანებებდა, ხალისით, უზრუნველი ღიმილით ტრიალებდა, იმ ქალებივით, რომელთაც საოჯახო საქმეებისა მაინც და მაინც ბევრი არა გაეგებათ რა.

— ქალბატონო ელენე, მურაბა? — იკითხა მაგდამ.

— ოჰ, მურაბა კი დამავიწყდა! რომელი გიყვარს? — თან ეშმაკური ღიმილით თითი დაუქნია, თითქოს წელანდელ საუბარს აგრძელებსო.

თუმცა ოთახის კარი გამოეღოთ, ოთახში ისეთი სიჩუმე იდგა, თითქოს შიგ არავინ ყოფილიყოს.

— გიორგი, ჩაი დალიე! — გასძახა ქალბატონმა ელენემ ქმარს.

გიორგის პასუხი არ გაუცია.

ზაზამ იცოდა, რომ ბატონი გიორგი მათთან ერთად ჩაის არ დალევდა. ბატონი გიორგი თორნიკეს ამხანაგებთან არ გამოდიოდა. არც მაშინ გამოსულა, როცა ისინი სკოლაში სწავლობდნენ და არც მერე, როცა ინსტიტუტი დაამთავრეს და სამსახურიც დაიწყეს. ზაზას ყოველთვის უსიამოვნო გრძნობა გამოჰყვებოდა ხოლმე ამ სახლიდან. აქ მათ თითქოს უიმედოდ მუდმივ ბავშვებად თვლიდნენ, ნახევრად სერიოზული კილოთი ელაპარაკებოდნენ, თუმცა სიმართლე კი უნდა ითქვას — მათ ამბებს დაწვრილებით გამოიკითხავდნენ ხოლმე, ესეც ალბათ იმიტომ, „ბავშვებს“ ოჯახისთვის და საზოგადოებისათვის შეუფერებელი სიცელქე არ ჩადინათ. მათ აქ ღიმილით თითსაც უქნევდნენ, უცინოდნენ, მურაბითაც უმასპინძლდებოდნენ, მაგრამ ბავშვებისთვის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი მიჯნის იქით კი არ უშვებდნენ. თუმცა ზაზა იმ თეატრში მსახურობდა რეჟისორად, სადაც გიორგი დირექტორი იყო, მაგრამ გიორგის მასთან საქმეზე ერთხელაც კი არ უსაუბრია. პირიქით, თითქოს კიდევაც გაურბოდა ზაზასთან შეხვედრას. კაბინეტში, შემთხვევით თუ მარტონი დარჩებოდნენ, გიორგი მდივან ქალს მაშინვე ვინმეს დააძახებინებდა და სანამ ის ვინმე მოვიდოდა, ხმას არ ამოიღებდა. „როგორ ვერ გრძნობს, რომ ამით შეურაცხყოფას მაყენებს, — ფიქრობდა ზაზა, — თითქოს ეშინია, თავზე არ დამაჯდეს, რადგან ჩემი შვილის ამხანაგიაო“.

ისინი ამ ოჯახში ჯერ კიდევ ბავშვები ეგონათ. შეიძლება იმიტომ, რომ ბავშვების მოვლა გაცილებით ადვილია, ვიდრე ეჭვითა და გამუდმებული კამათის სურვილით შეპყრობილი ჭაბუკებისა. რა იცი, რა უსიამოვნება მოჰყვება ამ კამათს. როცა თორნიკეს ამხანაგები კამათს მაინც ასტეხდნენ, — უფროსები ცდილობდნენ, რაც შეიძლება შორს ყოფილიყვნენ მათგან. თავიანთ ოთახში იკეტებოდნენ, ტელევიზორის წინ ბნელში ისხდნენ, ან კიდევ სხვა რამეთი ერთობოდნენ, თითქოს ახალგაზრდების ლაპარაკი საშინლად მოსაწყენი და უაზრო ყოფილიყოს. ქალბატონი ელენე თუმცა მათთან უფრო ხშირად გამოდიოდა, ვიდრე ბატონი გიორგი, მაგრამ თავისი მზრუნველი და ალერსიანი ღიმილით კიდევ უფრო საგრძნობელს ხდიდა იმ ზღვარის არსებობას, რომელიც მათ უფროსებისგან ჰყოფდა. სერიოზული, საქმიანი ხალხისგან; რომლებიც მათ ოთახსაც უთმობდნენ, ტაქტილეულობითაც უმასპინძლდებოდნენ და თითქოს ცდილობდნენ ესენი, რაც შეიძლება დიდხანს დარჩენილიყვნენ სათამაშოებისა და უზრუნველობის ატმოსფეროში გარემოცულები. რადგან იმ უსიამოვნების გადადება ეწადათ, რომელიც უსათუოდ უნდა მოჰყოლოდა იმ წუთს, როცა ბავშვები თავს სრულუფლებიან ადამიანებად იგრძნობდნენ.

— მამიკოს ჩაის იქ მივუტან! —თქვა ქალბატონმა ელენემ.

„არ უნდა ამოვსულიყავი!“ — გაიფიქრა ზაზამ.

— იცი, დედიკო, თორნიკემ საზამთრო ამოიტანა! — უთხრა დედას ლიზიკომ.

— რას მეუბნები? — გაიკვირვა ქალბატონმა ელენემ, და თორნიკეს ღიმილით შეხედა, — მართლა, თორნიკე?

ასეთი ღიმილითა და სიყვარულით შესცქერიან ბავშვს, პირველ ნაბიჯს რომ გადადგამს.

— ჰო, — ჩაიბუზღუნა თორნიკემ,— დიდი ამბავი!

— წავალ, მამიკოს ვეტყვი, — თქვა ქალბატონმა ელენემ, — გაუხარდება!

მერე ჭიქაში ჩაი დაასხა, ლამბაქზე მურაბა გადმოიღო და ეს ყველაფერი მეორე ოთახში გაიტანა.

სწორედ ამ დროს ფანჯრებს მანქანამ შემოანათა. მანქანამ გზიდან გადმოუხვია და ეზოში შემოვიდა, ზედ სახლის კართან გაჩერდა.

— მოვიდა! — თქვა ლიზიკომ.

— ბადრია? — იკითხა თორნიკემ.

ზაზას რატომღაც გული შეუხტა.

— არა!

— მაშ?

— დრამატურგი!

— ჰო-ო.

— მამიკო, ბატონი კუკური მოვიდა! — გასძახა მამას ლიზიკომ.

ბატონი გიორგი და ქალბატონი ელენე ოთახიდან მაშინვე გამოვიდნენ. გიორგი მაღალი, წარმოსადეგი კაცი იყო. გადმოშვებული, ჭრელი პერანგი და თეთრი შარვალი ეცვა.

— ო-ო, მაგდა! — მაგდას თავზე ხელი გადაუსვა. მერე ზაზას ისე მიესალმა, თითქოს აქამდე არ იცოდა, ის რომ აქ იყო.

ზაზა წამოდგა და ხელი ჩამოართვა.

— ნახე, ზაზიკო! — უთხრა ქმარს ქალბატონმა ელენემ, თითქოს ზაზას სახელი შეახსენაო.

— ვიცი!

ამ დროს სტუმარმაც მოუკაკუნა კარზე. კარი ბატონმა გიორგიმ გაუღო.

— მობრძანდი, მობრძანდი!

— უკაცრავად, ცოტა დამაგვიანდა! ოხ, ქალბატონო ელენე.

კუკურიმ ქალბატონ ელენეს ხელზე აკოცა.

— ოხ, კუკური!

კუკური საშუალო ტანის ახალგაზრდა კაცი იყო. თმა ბრილიანთინ გადაეგლისა და უბრწყინავდა. მომწვანო, ძალზე ვიწრო შარვალი ეცვა და თეთრი მოკლესახელოებიანი პერანგი. პერანგის ჯიბიდან შავი სათვალე და ავტოკალამი მოუჩანდა. მედოლეს გავდა, ზღვისპირა ქალაქის რესტორნის ორკესტრში რომ უკრავს.

— ბატონი გიორგი, უხ! ალარ! კვლავ ბა! — მიახარა კუკურიმ გიორგის.

— აბა?

— მხარში იჭრება და ათანასე გადაარჩენს!

— შენ გიშველა ღმერთმა! — გაუხარდა გიორგის.

ზაზამ იცოდა ვინ იყო უჩა. უჩა კუკურის პიესის გმირი იყო, მილიციის თანამშრომელი, რომელიც ბანდიტებს ისე ადვილად იჭერდა, თითქოს ბანდიტები სულ იმაზე ოცნებობდნენ, მეტი არაფერი გვინდა, ოღონდ უჩამ დაგვიჭიროსო. ათანასე ორთქმავლების დეპოს ბრიგადირი გახლდათ. ამ რამდენიმე თვის წინ ეს პიესა თეატრში ზაზას მისცეს წასაკითხად (სასურველია, ეს პიესა დაიდგას. მაყურებელი ეყოლება!) ზაზამ პიესა წაიკითხა და საბჭოს თავისი აზრი მოახსენა, ამ პიესის დადგმა შეუძლებელიაო .მერე კუკური ზაზას თეატრის ვესტიბულში შეხვდა, მხარზე ხელი დაჰკრა და ღიმილით უთხრა: ცუდად იწყებთ, ახალგაზრდავ, ცუდად! კუკური თეატრში ხშირად მოდიოდა .მას იქ ამხანაგებიც ჰყავდა, რომლებიც კუკურის მანქანით ქალაქგარეთ სეირნობდნენ. კუკურიმ ისეთი ლაპარაკი იცოდა, თითქოს გამუდმებით ვიღაცას ეკამათებოდა: არა, გენაცვალე, არა! მთავარია სერიოზული დრამატურგია. სტილიაგებს ვერ ვიტან!

სერიოზულ დრამატურგიაში ის მხოლოდ თავის პიესებს გულისხმობდა. „სტილიაგები“ კი შექსპირი და მილერი იყვნენ.

— პიესა თუ მოიტანე? — ჰკითხა გიორგიმ კუკურის.

— აი! — კუკურიმ ქაღალდების აბგას ხელი დაჰკრა, — აქ არის!

— როგორა ხართ, ბავშვებო! — მოიკითხა კუკურიმ თორნიკე და ლიზიკო, ეტყობა, ამ ოჯახის სტილს კარგად აუღო ალღო, მერე მაგდას გაუწოდა ხელი, — კუკური ანთიძე! — და ცოტა ხანს ღიმილით შეაშტერდა, თითქოს

მის აღტაცებულ შეძახილს უცდიდა; ახ, ღმერთო ჩემო, ნუთუ თქვენ მართლა კუკური ანთიძე ხართ!

მაგდამ თავი დაუკრა, თან რაღაც სასაცილო რევერანსიც გააკეთა. კუკურიმ იხტიბარი არ გაიტეხა, ქალბატონმა ელენემ კი თავი გააქნია: მაგდა! მაგდა!

კუკურიმ ახლა ზაზა დაინახა:

— ო-ო, სასიამოვნოა! სასიამოვნოა!

და ხელი გაუწოდა.

ზაზამ ხელი ჩამოართვა და უთხრა:

— ზაზა ყიფიანი!

— ვიცი! ვიცი! ჩვენ ხომ ვიცნობთ ერთმანეთს?

— არა!

ზაზას სახეზე ერთი კუნთიც არ ათრთოლებია.

— როგორ არა, როგორ არა! სასიამოვნოა თქვენი ნახვა, სასიამოვნოა!

კუკურის, ეტყობოდა, ვერავითარი უხერხული მდგომარეობა ვერ შეაცბუნებდა, მისი თავაზიანი ღიმილი და ყურადღებადქცეული სახე, ალბათ. ყველაფერს გაუძლებდა.

— წამო, ოთახში შევიდეთ, — უთხრა ბატონმა გიორგიმ კუკურის, — აქ ბავშვებს ხელს ვუშლით!

„ბავშვებს!“

— ო, ბავშები, ბავშვები! — თქვა კუკურიმ, — ჩვენი იმედი!

და ზაზას შეხედა.

მერე ისინი ოთახში შევიდნენ. ზაზამ გაიგონა, კუკურიმ გიორგის რომ უთხრა: მე მარტო თქვენი აზრი მაინტერესებს. ვინც რა უნდა თქვას, ჩემთვის მთავარია თქვენი აზრი. თუ მეტყვით, არ ვარგაო, იმ წამსვე დავიჯერებ!

მხარში დაჭრილი უჩა მიწაზეა წამოწოლილი. მის ირგვლივ ხალხს წრე დაურტყამს.

უ ჩ ა: მშვიდობით, ძმებო!

ხ ა ლ ხ ი: (ქვითინით) ო, უჩა! უჩა!

უ ჩ ა: შენ მაინც რა გატირებს, შურა! არ გრცხვენია, ვაჟკაცი არა ხარ?

შ უ რ ა: ო, ძმაო უჩა!

უ ჩ ა: აი, მე მივდივარ, გემშვიდობებით. ო, რა ტკბილია სიცოცხლე, ძმებო!

თ ი ნ ა: (უჩას სატრფო) ამას რა ვუყო, უჩა, ამას? (მუცელზე ხელს იდებს).

უ ჩ ა: მაგას უჩა დაარქვით. ეგ ჩემს საქმეს გააგრძელებს. ისევაც დაიზრდებიან...

ხ ა ლ ხ ი: ალგეთს ლეკვები მგლისანი!

უ ჩ ა: იცოდეთ, რომ მე სანიმუშო წესიერების დაცვისათვის ვიბრძოდი!

შემორბის ათანასე.

ა თ ა ნ ა ს ე: უჩა სად არის, ხალხო, უჩა?

ხ ა ლ ხ ი: ეჰ!

ა თ ა ნ ა ს ე: უჩა, ჩემო არწივო, აი, მინისტრის დეპეშა, მადლობას გითვლის!

უ ჩ ა: წამომაყენეთ!

უჩას წამოაყენებენ. დეპეშას კითხულობს.

უ ჩ ა: (მკერდზე ხელს მიიდებს) ვახმე, რა დროს ვკვდები? მაგრამ სიკვდილს გაღიმებული უნდა შევხვდე, გაღიმებული.

ღიმება. ასე პირღიმილიანი კვდება.

ისმის თინას ხმამაღალი ქვითინი. ნელ-ნელა ძლიერდება სიმღერის ხმა: ისევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი!

ფარდა.

— და ეს კაცი მწერალია? — გულუბრყვილოდ იკითხა მაგდამ.

— რა იყო? რა მოხდა მერე? — რატომღაც გაბრაზდა თორნიკე.

— არაფერი.

ზაზა მიხვდა, რატომღაც გაბრაზდა თორნიკე, მაგდას ირონია მამამისსაც წვდებოდა.

— კაცი მარტო გარეგნობით არ ფასდება!

— „ანატომია ბედისწერაა“ — თქვა მაგდამ.

— აი, მაგალითად, ბადრი, — თორნიკე რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ლიზიკოს გამაფრთხილებელმა შეძახილმა შეაჩერა.

— თორნიკე!

— ჰო, კაცი მარტო გარეგნობით არ ფასდება, — გაიმეორა თორნიკემ.

— ჩემი წასვლის დროც მოვიდა, — თქვა ზაზამ, — მე წავალ!

— ავტობუსი თორმეტამდე მუშაობს, რა გეჩქარება. — უთხრა თორნიკემ.

თორნიკეს, ალბათ, უკვე ეძინებოდა.

— თორმეტი კი იქნება დაწყებული. — ზაზა წამოდგა. — წავალ!

— მაშინ ჩვენ გაგაცილებთ! — ლიზიკოც წამოდგა.

— გაცილება რად მინდა? — გაეცინა ზაზას.

— რა გაცილება უნდა, — თქვა თორნიკემ, — არ მოიტაცონ!

— სამაგიეროდ, ჩვენ გვინდა რომ გავაცილოთ, — მაგდამ თავისი ფანარი მაღლა ასწია, — მე წინ გაგიძღვებით!

მაგდამ რომ ეს თქვა, ზაზას ძალიან გაუხარდა, არა მარტო იმიტომ, რომ ავტობუსის გაჩერებამდე, სადამდისაც კარგი ორი კილომეტრი იქნებოდა, მარტო სიარული ეზარებოდა, არამედ იმიტომაც, რომ ეს სიტყვები მაგდამ თქვა.

— დედიკო, ჩვენ მივდივართ! — დაუძახა ლიზიკომ დედას.

ქალბატონი ელენე ოთახიდან გამოვიდა.

— ზაზიკო, უკვე მიდიხარ?

— დიახ, ქალბატონო ელენე, მადლობთ.

— ბავშვებო, არ დაიგვიანოთ, — თქვა ქალბატონმა ელენემ და ისევ ოთახში შებრუნდა, სადაც, ალბათ, ახლა კუკური თავისი პიესის ახალ ვარიანტს კითხულობდა.

მერე ისინი ბნელში მიდიოდნენ და მაგდა ანთებული ფანრით წინ მიუძღოდა. ლიზიკო ზაზას გვერდით მიჰყვებოდა, მკლავში ხელი გაეყარა და ეჩურჩულებოდა: შენ ბადრი ელიავას იცნობ? როგორ არ იცი, ოლიმპიური ნაკრების წევრია, კალათბურთელი. იცი, რა კარგი ბიჭია? ჩვენ მეზობლად ისვენებს. უფრო სწორად მისი მშობლები არიან აქ, ის კი მანქანით ამოდის ხოლმე. „ვოლგა“ ჰყავს. მთელი გოგოები უკან დასდევენ. იცი, რა ლამაზი ბიჭია?

ზაზა მიდიოდა და ლიზიკოს უსმენდა. და ეს პატარა გოგონა, რომელიც თითქმის მის თვალწინ გაიზარდა და დასავით უყვარდა, ახლა, ამ წუთში სძულდა.

მერე მათ ფოსტასთან გაჩერებული ავტობუსი დაინახეს, ავტობუსში არავინ იჯდა, შოფრისა და ბილეთების გამყიდველი ქალის მეტი. ზაზა ავტობუსში ავიდა, ფანჯრიდან თავი გამოჰყო და გამცილებლებს ხელი დაუქნია:

— ნახვამდის!

გამცილებლებმაც ხელი დაუქნიეს. სწორედ ამ დროს მათ წინ „ვოლგამ“ მოწყვეტით დაამუხრუჭა. მანქანიდან მაღალი ბიჭი გადმოვიდა. მერე ზაზას გამცილებლები მანქანაში ჩასხდნენ, მაგდა წინ, იმ ბიჭის გვერდით დაჯდა.

„აი, რატომ უნდოდა ჩემი გაცილება!“ — გაიფიქრა ზაზამ.

— წავიდეთ? — ჰკითხა ხმამაღლა ავტობუსის შოფერმა, თითქოს კიკეთში მარტო ზაზას წასაყვანად ამოსულიყოს.

„ჰო, წავიდეთ...“

„ვოლგაც“ დაიძრა, სოფლისკენ მიმავალ აღმართს შეუყვა.

ზაზამ ჯიბეში ხელი ჩაიყო და სიგარეტის კოლოფი ამოიღო, კოლოფს ფოტოსურათი ამოჰყვა. ზაზას გაუკვირდა, ეს ის სურათი იყო, ლიზიკოს წიგნში რომ ედო. არც კი უფიქრია ამ სურათის ჯიბეში ჩადება. ასე როგორ გამოჰყვა?

— ახლა ცივი საზამთროა კარგი, — თქვა ავტობუსის შოფერმა.

— ჰო, — უპასუხა ზაზამ.

4. სანთელი... დედა

ზაზამ სინათლე ჩააქრო და დაწვა. თუმცა თოვლს ვერ ხედავდა, მთელი არსებით გრძნობდა, რომ ისევ თოვდა.

„შეიძლება მე უფრო სხვა წარმოდგენა მაქვს ცხოვრებაზე, ვიდრე ის ნამდვილად არის“, — ფიქრობდა ზაზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაც ის ცხოვრებას ეძახდა, რისკენაც გულითა და სულით მიილტოვოდა, თუმცა ჯერჯერობით გაურკვეველი ბურუსით იყო მოცული, მაგრამ ამ ბურუსს შიგნიდან რაღაც ანათებდა, ღრუბელში გამჭვირვალე მზის სხივივით და ფერს უცვლიდა.

მერე ნაცრისფერი ღრუბლები დაინახა, მერე ამ ღრუბლებს აქეთ-იქით სწევდა, თითქოს წვიმით დამძიმებული ყანაში მიდიოდა. მერე უცებ გაყინულ მიწაზე დაადგა ფეხი. ირგვლივ არაფერი მოჩანდა, რადგან ბარდნიდა. ზაზა მიდიოდა. თუმცა არ იცოდა სად იყო, ან სად აპირებდა მისვლას. მერე მატარებელი დაინახა. მატარებელი ტრიალ მინდორში იდგა და ფანჯრებში სინათლე ენთო. ზაზა ვაგონში ავიდა, რადგან სციოდა და გათბობა უნდოდა. ვაგონი ცარიელი იყო, მეორე ვაგონში გადავიდა, მესამეში, ასე თავიდან ბოლომდე გაიარა მატარებელი, არავინ შეხვედრია. ოღონდ ბოლო ვაგონში, კედელთან, დიდი სარკე იდგა, ძველებური, ოქროთი მოვარაყებულ ჩარჩოში ჩასმული. სარკეს ზეწარი ჰქონდა ჩამოფარებული. ზაზამ ზეწარი გადასწია და გული შიშისგან შეუხტა: სარკიდან ბატონი ვალერიანი შემოსცქეროდა!

ზაზამ თვალი გაახილა. ოთახში გაცრეცილი სიბნელე იდგა, რადგან ფანჯრიდან უჩვეულოდ დიდი შუქი შემოდიოდა — თოვლის შუქი! წამოდგა და ფანჯრის გაყინულ მინას შუბლით მიეყრდნო. მოპირდაპირე სახლში მხოლოდ ერთ ფანჯარაში ენთო სინათლე, მესამე სართულზე, განაპირას. ის ანთებული ფანჯარა ისე ობლად გამოიყურებოდა, თითქოს მთლად ცარიელ სახლში ანთიაო. ფანჯარასთან ვიღაცის ლანდი მოჩანდა.

„აჰა! — რატომღაც გაუხარდა ზაზას. — არც შენ გძინავს?"

თითქოს იცოდა, იმ ფანჯარასთან ვინც იდგა. მერე იმ ლანდის მიმართ უცნაური სიახლოვეც კი იგრძნო, შეიძლება იმიტომ, რომ ამ შუაღამისას იმასაც არ ეძინა.

„რა იყო? — ჰკითხა, — შენ რაღა დაგესიზმრა?"

მერე სიჩუმეს ყურიც მიუგდო, იმ კაცის პასუხს თუ ელოდებოდა! ლანდი ფანჯარასთან უფრო ახლოს მოვიდა, ისიც შუბლით მოეყრდნო მინას.

— თოვს? — ჰკითხა ჩურჩულით ზაზამ, რატომღაც ეგონა, რომ ჩურჩულით უფრო გააგონებდა.

მერე ლანდი ფანჯარას მოშორდა. მალე იმ ფანჯარაში შუქიც ჩაქრა.

„ჭიშკართან ჭადარი რომ იდგა, გახმა. დედამ ფოთლები მოაგროვა, ზაზა რომ ჩამოვა, დავახვედრებო. შენ ხომ ის ჭადარი გიყვარდა? ახლა კედლებზე სულ ჭადრის გამხმარი ფოთლები ჭკიდია. დედას მუხლები ტკივა და ლოგინში წევს..." ის წერილი მან ამ ერთი თვის წინ მიიღო ძმისგან. საკვირველია, რატომ გაახსენდა ახლა, თანაც ასე ზუსტად, თითქოს ზეპირად ესწავლოს. წერილი კი ერთხელ წაიკითხა და მაშინვე უჯრაში ჩააგდო.

მამია რაიონში მასწავლებლად მუშაობდა. ინსტიტუტი რომ დაამთავრა, დაბაში სამუშაოდ გაგზავნეს. მერე იქ ცოლი შეირთო, შვილები ეყოლა. დედა თან წაიყვანა, იქ უფრო მოუვლითო, რადგან დედა მუდამ ავადმყოფობდა. დედა სულ იმაზე წუხდა, ზაზა თბილისში მარტო რომ იყო. მაგრამ ვერც შვილიშვილებს ანებებდა თავს, რძალიც მუშაობდა, სკოლაში ფრანგულ ენას ასწავლიდა. ზაზა ჩადიოდა ხოლმე იქ, დედას ამშვიდებდა, მე არაფერი მიჭირს, პატარა ხომ არა ვარო, მაგრამ დედის დამშვიდება არც ისე ადვილი იყო. — აი, შენ რომ ცოლს შეირთავ, — ეუბნებოდა დედა, — მე მაშინ თბილისში დავბრუნდები და ახლა შენ შვილებს მივხედავო.

ზაზას უფროსი ძმის სახე დაუდგა თვალწინ. მამიას ლოყები ჩაცვენოდა, საფეთქლები გათეთრებოდა. ისე ეცვა და დადიოდა, თითქოს ქალაქში არ ყოფილიყოს დაბადებული და გაზრდილი.

თითქოს მთელი ახალგაზრდობა ქალაქში არ გაეტარებინოს.

— რა იყო, მამია? — დაუძახა, — რა მოხდა?

— არაფერი... ა, ვბერდები!

— რა დროს შენი სიბერეა, გადაირიე?!

— შენზე რვა წლით უფროსი რომ ვარ, დაგავიწყდა?

— დიდი ამბავი! — მერე სიტყვა ბანზე აუგდო, — ავადაა დედა, მამია?

— ხო, ავადაა... მუხლებს იტკივებს...

— მანდაც თოვს?

მამიამ რაღაც უპასუხა, ზაზამ ვერ გაიგო.

„თოვს? თოვს?“ — ფიქრით ახლა ყველას ეკითხებოდა, თითქოს თვალს არ უჯერებდა ,თითქოს სხვა რომ ეტყოდა, თოვსო, მხოლოდ მაშინ დაინახავდა თოვლს ნამდვილად. კაცი არც თავის თვალს ენდობა, არც სმენას. სხვა რომ ეტყვის, მაშინ დაინახავს და გაიგებს. ამიტომაა ცოდო მარტო კაცი: ამოდენა რამის დაჯერება არ გინდა? კაცი თურმე ქვეყანას ათასი თვალით უყურებს, თუ ის ათასი თვალი მოაკელი და მარტო მისი თვალების ანაბარა დატოვე — დაბრმავდება!

„მამიას ახლა სძინავს, — ფიქრობდა ზაზა, — დილით მამლის ყივილს ფეხზე უნდა შეხვდეს. არც სიზმარს ხედავს, სიზმრისთვის სად სცალია? მე კი ჩემი შეკითხვებით ვაწვალებ, ძილს ვუფრთხობ...“

დედა, ალბათ, პატარა ოთახში წევს. იმ ოთახში თუნუქის ღუმელი დგას. ელექტრონის ნათურას რომ ჩააქრობენ, დედა სანთელს აანთებს ხოლმე. დგას მაგიდაზე თეთრი სანთელი და პარპარებს. გარეთ თოვლი მოდის, საბურავი ჭრიალებს, დილითაც თუ ვერ დათოვლეს, ჩამოწვება. დედა ლოგინში წევს და სანთელს შესცქერის.

— დაიძინე, ახლა, გათენდა! — ეუბნება მამია. მას რატომღაც გაღვიძებია, კართან ატუზულა, გულხელი დაუკრეფია და დედას უყურებს.

— დაწექი, ბიჭო, — ეღიმება დედა, — ბავშვები არ გადარიო!

— არ დავწვები, — ჯიუტობს მამია, — დაიძინე!

— დავიძინებ, გაბრიელა, დავიძინებ!

მამას გაბრიელი ერქვა. მამია რომ გაჯიუტდება, დედას მამის სახელს ეძახის ხოლმე. მამია ვერ უბედავს, მამა კი სანთელს უქრობდა თურმე (დედას ქალაქშიც ასეთი ჩვეულება ჰქონია): — ეს სანთელი ჭკუაზე შემშლის, იცოდე!

— ჩააქრე სანთელი! — ეძახის აქედან ზაზაც, — ავადა ხარ, დაიძინე!

— შენ რატომ არ გძინავს? — ეკითხება დედა.

ზაზა გრძნობს, დედა იმიტომ ფხიზლობს, რომ მას ღვიძავს. ამიტომ დამნაშავესავით პასუხობს:

— მეძინა... გამეღვიძა...

— რა დაგესიზმრა, შვილო?

— ვითომ მატარებელში ვიჯექი... ცარიელ მატარებელში...

— მატარებელში?

— ჰო! — მერე სასწრაფოდ უმატებს, — ჩააქრე სანთელი, ჩააქრე!

და რატომღაც ცრემლის გორგალი აწვება ყელში. და ხედავს, როგორ მიფრინავს მისი ხმა ტყეებზე, გორაკებზე, სოფლებზე — თოვლში. შორს კი, ბნელში, ერთი სანთელი პარპარებს.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჭილაძე

სინათლის წელიწადი*

პოემა

შესავალი

გამოჩნდა მიწა, ჩუმი და სველი,
ფოთოლზე ფოთლის დაცურდა ლანდი
და გამახსენდა, რომ მთელი წელი
აღარც ისმოდი და აღარც ჩანდი.

ხოლო ის წელი, ის ერთი წელი,
რომელიც უკვე უკუნეთს ერთვის,
ჩემთვის გავიდა ძალიან ნელა
და ღმერთმა იცის, რა იყო შენთვის.

თავი პირველი

I

მე კიდევ დიდხანს ვიწექი ბნელში, სანამ დავრწმუნდი, რომ გამეღვიძა. მერე კი თვალი ბნელს შეეჩვია და გაიელვეს კედლებმა თეთრად. თითქოს გაცოცხლდნენ და წყვდიადიდან თითო ნაბიჯი გადმოდგეს ჩემსკენ.

მე კედლებს შორის აღმოვჩნდი ისევ და დაიბრუნა სხეულმა წონა. და უგრძნობლობაც დროის და სივრცის გაქრა უკვალოდ.

მე ვენდე სხეულს და წამოვდექი და გამოვაღე კარები ფრთხილად და აჩურჩულდა ათასნაირად დერეფნის ხვრელი. მე კი გავყევი ხელის ფათურით დერეფნის კედელს, რადგან მახსოვდა, რომ დერეფანში იდგა მაგიდა.

ასე გავედი დერეფნის თავში. გამოვცდი კედლებს და ზღვის ნიავი სახეში სველი ტოტივით მეცა, თითქოს გაუშვა ხელი ვიღაცამ, ბნელში წინასწარ ჩასაფრებულმა.

მე არ მეწყინა და ცივ კიბეზე დავჯექი ჩუმად.

II

გარეთ ბნელოდა და კალიები კუთავდნენ მწარედ.

ხოლო ლეღვების მუქი ჩრდილი იდგა უძრავად.

სახლს კი ეძინა, ზღვის მძაფრი სუნით და სუნთქვით, სავსეს.

მე ჩამოვჯექი სახლის კიბეზე და ჩავისუნთქე ჰაერი ხარბად. თითქოს არ მქონდა ამის უფლება.

ასე ვიჯექი, ზღვა კი თანდათან მეც მაღვივებდა, როგორც ნაღვერდალს და ცილდებოდა ჩემს სულს და სხეულს ცივი და მძიმე ფერფლი ძილისა.

მე ვანათებდი!

ხოლო საგნები ისევ ჩნდებოდნენ ჩემს სინათლეზე, ზღვიდან ამოსულ კლდეების მსგავსად.

და გამოვფხიზლდი მეც საბოლოოდ. ზღვა კი ბორგავდა და განუწყვეტლივ ეტრფოდა მიწას.

მე ვანათებდი და ჩემს სინათლეს ვაფენდი ირგვლივ გარინდულ საგნებს და საგნებს შორის კვლავ

1 მანძილის ერთეული ასტრონომიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყარდებოდა მტკიცე კავშირი, რაც დ-ერღვია დროებით წყვდიადს.

მე კი ვიჯექი და მოუთმენლად ველოდებოდი ზღვის გამოჩენას.

III

სახლი, რომელშიც მე ვცხოვრობ ახლა, დგას ზღვის ნაპირას.

და ყველა სარკმლით ზღვას გადაჰყურებს და ამის გამო ნიჟარასავით შრიალებს მარად.

IV

უცებ მომინდა მე ზღვაზე ყოფნა. ზღვა აიჩემა სულმა რატომღაც.

ის მთელი წელი ბრმა ფრინველივით ეხეთქებოდა უცნაურ კედლებს სიმარტოვისა და სიცივისა.

თან საკუთარი ბედი დაჰქონდა, ძვალი რომ დააქვს კლანჭებით ძერას და როგორც ძერა ძვალს ამსხვრევს ხოლმე, ისიც ცდილობდა ბედის დამსხვრევას.

მაგრამ ვერ შეძლო და მთელი წელი ბრმა ფრინველივით ეხეთქებოდა უცნაურ კედლებს უძლურობისა და დუმილისა.

V

სულ ასი მეტრი თუ იქნებოდა სახლიდან ზღვამდე.

ზღვა კი არ ჩანდა.

ოღონდ კაცივით ხვნეშოდა ბნელში და თითქოს მხოლოდ ჩემს ხმას უცდიდა, რომ ლაპარაკი დაეწყო მასაც.

უცებ ლელვებთან შევნიშნე ლანდი: ზურგით წყვდიადის კედელს აკვროდა. და გამიკვირდა, რადგან არავის არ მოველოდი აქ ასე გვიან.

მერე კი მივხვდი, ვინც იქნებოდა და ლელვებისკენ წავედი ნელა. და არც შევმცდარვარ: ამდენმა ფიქრმა კვლავ მომიგზავნა მე მოჩვენება, მხოლოდ იმიტომ რომ ერთხელ კიდევ მტკენოდა, მეგრძნო და განმეცადა.

ის ხის ქვეშ იდგა და მიყურებდა, გაოცებული გაჩენის დღიდან. სველი თმა შუბლზე მიწებებოდა და როგორც ორი მკვდარი ფრინველი, ფეხსაცმელები ეჭირა ხელში.

VI

ისიც ღელავდა. თავს ბუნებრივად ვერც ის იჭერდა, ვით ქანდაკება, გამოტანილი მუზეუმიდან.

ამიტომ სარტად დარჩენილს გავდა. თითქოს არაფერს არ ეყრდნობოდა და თითქოს თითის ერთი შეხებაც გადააქცევდა და ნამტვრევებად განიბნეოდა.

მე შემეშინდა, რადგან უეცრად წარმოვიდგინე საოცრად ცხადად იმ ნამტვრევებით სავსე ქვეყანა.

ხოლო ნამტვრევებს ეხვია ხალხი და ყველას თავის წილი მიჰქონდა. სხვებსაც გაეგოთ და გამორბოდნენ. ადრე მოსული კი გზას უთმობდა და უცნაურად გაბერილ ჯიბეს ორივე ხელით ძლივს აკავებდა, თითქოს ჯიბეში კურდღელი ეჯდა.

და ამ ჩვენების გასაფანტავად გავეხმიანე განგებ ხმამაღლა.

მან გამიღიმა და მშვიდად მითხრა:

VII

— ხვალაც იგივე მზე აღმოხდება...

— და შეიძლება კვლავ ვიყოთ ერთად, (მეც ვუპასუხე დაუფიქრებლად).

— ან სულ არ ვიყოთ. ხომ შეიძლება, რომ აღარ მიგვყვეს ხვალამდე სუნთქვა. ხომ შეიძლება?

— ეს უკვე ბედის საქმეა მხოლოდ. ხოლო სიკვდილის გარდუვალობა სულაც არ უშლის ხელს ჩემს ოცნებას.

— და ოცნებაში გადის ცხოვრება.

— მაგრამ ოცნებაც ხომ ცხოვრებაა?

— სიტყვა ყოველთვის შენს მხარეზეა, ოღონდ ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ მართალიც ხარ.

— მე მართალი ვარ საკუთარ თავთან.

— ეგეც არაფერს არ ცვლის სრულიად.

— მე კი მგონია, რომ ეს სიმართლე უდევს საფუძვლად კაცის ცხოვრებას.

— მაგრამ თუ ჩემთან არ ხარ მართალი?

— მე შენ მიყვარხარ.

— გიყვარვარ, მაგრამ არ შეგიძლია, რომ აღიარო სახალხოდ, ყველგან... რომ მოწყდე ოჯახს და ჩემთან ერთად მიეგო სასჯელს, თუ კი გვეკუთვნის...

— თუ კი გვეკუთვნის, ჩვენი ცხოვრება თავისი ფეხით მივა სასჯელთან. ხოლო სიყვარულს რაც შეეხება, არ მყვარებია მე ჯერ ამგვარად... და არასოდეს ასე ფხიზელიც ჯერ არ ვყოფილვარ... და ჩემი ვალიც ოჯახის მიმართ ჯერ არ მიგრძვნია მე ასე ცხადად... ჯერ არ მიგრძვნია ასე მტანჯველად შენი სიშორეც... თუმცა უდაბნოს ყვავილის მსგავსად მაინც პოულობს სურვილი საკვებს ჩემს გამშრალ სულში...

— ეს ნიშნავს უფრთოდ ფრენას წყვდიადში...

— ფრთები მუხლებზე უდევს გონებას!

— ფრთები კედელზე ჰკიდია მშვიდად, ხოლო იმ კედელს სიფრთხილე ქვია.

— თვითონ არ იცი, რას ლაპარაკობ. მაგრამ მე ვხვდები, თუ რა გაქვს მიზნად. და უტრიალებ იმ მიზანს ირგვლივ, როგორც დაბმული ცხოველი პალოს... მე კი მიყვარხარ.

— მართლა არ ვიცი, რას ვლაპარაკობ, მაგრამ მომბეზრდა ასე ცხოვრება. ასე მგონია, მე მიცქერს ყველა და აღსარებას მოელის ჩემგან. მომეცი ნება, რომ მეც ვიცხოვრო ჩვეულებრივად და თავისუფლად. მომეცი ნება, რომ დაგივიწყო. ვახერხებ კიდეც შენს დავიწყებას და სწორედ მაშინ მეცემა ხოლმე შენი ძახილი ნადირის მსგავსად და მეუფლება მე ერთდროულად სიმორცხვის გრძნობაც და ნეტარებაც. რაც მოხდა, მოხდა. მე არ მგონია, რომ რამის შეცვლა შეეძლოს სიტყვას. ის მხოლოდ სახელს არქმევს ყველაფერს. რაც უნდა ერქვას, მე თანახმა ვარ: თუ კი ნამდვილი გრძნობაა, იგი, მე ვიამაყებ იმ გრძნობით მარად, და თუ სიძვაა, დე, იყოს სიძვა...

— მე ყოველ ღამე სიზმარში გხედავ. ხან ბედნიერი, კოცნი ვიღაცას. მაგრამ რატომღაც მეც ვგრძნობ შენს კოცნას, ვგრძნობ შენს სხეულსაც — ნაცნობს მტანჯველად.. და ამ საოცარ სიამოვნებას მე და ის ვიღაც ვიყოფთ თანაბრად. არც ჩხუბი მოგვდის, არც გული გვწყდება, თანაც ამ ამბავს ვთვლით ბუნებრივად. შენ გულუხვი ხარ ორივეს მიმართ და თავს ჩვენს შორის გრძნობ ბედნიერად. ეს კი არ მომწონს და გულზე მხეთქავს შენი ამგვარი ბედნიერება... ხან კი მკვდარს გხედავ. აღარ ხარ თითქოს. თითქოს დამთავრდა შენი ცხოვრება და ახლა ჩემს წინ უძრავად წევხარ. წევხარ ლამაზად და საოცარად. და მე ამასაც ვთვლი ბუნებრივად. მაგრამ ხელებში აღარ მაქვს ძალა, რომ სამარეში ჩაგიშვა ფრთხილად და დაგაყარო სახეზე მიწა, გაქციო მიწად, მტვრად და არაფრად... მერე წყალს ხელით ვეძებ ბრმასავით და ვსვამ საკუთარ ცრემლებთან ერთად.

— მედუზას ვნება.

— არა, ეს ჩემი ვნებაა მხოლოდ და ჩემი ვნება იქნება მარად. გულზე მკიდია იგი ქვასავით და უშენობის ზღვის ფსკერზე ვდგავარ. ჩემზეც ვრცელდება ადამის ცოდვა, ყველა ჩვენგანზე ვრცელდება, ალბათ, შთამომავლობით გადმოდის იგი, ამიტომ ყველა ჩვენგანის ტანჯვა ვალის მოხდაა...

— ტანჯვა, რომლითაც ჩვენ ვიტანჯებით, არ შეიძლება რომ იგრძნონ სხვებმაც...

VIII

მე უცებ მივხვდი, რომ აღარ ღირდა მეტი კამათი მოჩვენებასთან. ამიტომ ნელა გამოვტრიალდი და კვლავ კიბეზე დავჯექი ჩუმად.

ვცდილობდი იქით არც გამეხედა და მივაშტერდი ჯიუტად წყვდიადს. ხოლო წყვდიადის მკვრივი ქსოვილი თანდათან უფრო საგრძნობლად თრთოდა. მაინც უძლებდა და აკავებდა მოახლოებულ რიჟრაჟის სუნთქვას.

მე კი ვიჯექი და მოუთმენლად ველოდებოდი ზღვის გამოჩენას.

თავი მეორე

IX

მე მომეწონა ეს თეთრი სახლი-თეთრი ნიჟარა. მე შევეჩვიე მის ბინადრებსაც და მთელი კვირა ვცხოვრობდით მშვიდად.

გუშინ კი ჩვენთან იყო სიკვდილი და მიგვატოვა პენსიონერმა, წყნარმა მოხუცმა, რომელმაც სითბო გაგვინაწილა ყველას თანაბრად.

ის თურმე ავად იყო კიბოთი, მაგრამ რატომღაც ჩვენ არ გვიმხელდა. მის არსებაში, როგორც ზღვის ფსკერში, ცხოვრობდა კიბო და იზრდებოდა. მას კი რცხვენოდა და გვიმალავდა და, ალბათ, მთელი სხეულით გრძნობდა, როგორც თეატრის ნათელ დარბაზში ჭუჭყიან პერანგს.

სამაგიეროდ, ყოველ საღამოს შეგვკრებდა ხოლმე და გვიყვებოდა თავის ცხოვრებას.

ჩვენ კი ვუსმენდით და არ გვჯეროდა, ან დაჯერება აღარ გვინდოდა, ისეთი გრძელი და შემზარავი ჩანდა ამ კეთილ კაცის ცხოვრება.

„მე სამარეში ორჯერ ვწოლილვარ“ — ამბობდა იგი და გვიღიმოდა შთაბეჭდილების შესარბილებლად.

ჩვენ შეგვაძრწუნა მისმა სიკვდილმა და ახლობლებად გვაქცია ყველა. ხოლო გამხდარი ვიეტნამელი დასჩერებოდა მის გვამს ჯიუტად, თითქოს სასწაულს უცდიდა რამეს, ან თითქოს თვალებს არ უჯერებდა.

X

ვიეტნამელიც ჩვენს სახლში ცხოვრობს. და ყოველ ღამე, როცა სხვებს ძინავთ, ფეხაკრეფილი გამოდის გარეთ, პატარა მინდორს გადირბენს ჩუმად, მერე ჩაჯდება სველ ბალახებში, მოკალათდება მოხერხებულად, ხოლო ტრანზისტორს დაიდებს მხარზე და ასე უსმენს მშობლიურ ენას.

და არაფერი აღარ არსებობს იმ წუთას მისთვის, გარდა იმ ხმისა. და ისიც მართლა, მთელი არსებითა და ფესვ-ვივით ებღაუჭება. ფესვის სიტლანქით და სიჯიუტით მშობლიურ ენის მიარღვევს წიაღს და წიაღიდან, როგორც ფუტკარი, წოვს თავის კუთვნილ თაფლსაც და შხამსაც.

მე ვუთვალთვალებ შორიდან ჩუმად, და მოწმეც ვხდები მე უნებურად ამ დიდი განცდის, რომელსაც ახლა მაყურებელი სულ არ ჭირდება.

მას დაამცირებს მაყურებელი, ან გადააქცევს უბრალო ამბად. თუმცა ეს მწარე და დიდი გრძნობა გვახასიათებს ყველას თანაბრად.

ამიტომ ჩუმად ვდგავარ და ვუცქერ სველ ბალახებში ჩამჯდარ არსებას. ის რომელიღაც ფრინველს მაგონებს, ყველაზე მძლავრი ინსტინქტით შემკრთალს და ფრინველივით მოითხოვს ისიც ადგილს და საზრდოს ბუნებისაგან.

და ტრანზისტორიც, ზღვის ცხოველივით, წყვდიადში არხევს ვერცხლისფერ ულვაშს, გრძელსა და მოქნილს... თან თვალებს ნაბავს.

XI

ხვალ გათენდება და ჩვენც ერთმანეთს მივესალმებით ჩვეულებრივად.

მისალმების დროს ის თვალებს დახრის, ანდა სხვა საგანს მიაპყრობს მზერას. მე კი მოვასწრებ და კვლავ ვიხილავ აზიურ სევდას და უნდობლობას, მის თვალებშიაც შთამომავლობით და მარადიულ უფლებით ჩამჯდარს.

თუმცა მას ჯერა, რომ ჩემს მიწაზე მის უთქმელ ტკივილს გაიგებს ყველა, რომ თანაგრძნობით შეხედავს ყველა და სამეგობროდ გაუწვდის ხელსაც .

XII

მე წასვლა მინდა და ვერ მივდივარ. ვერ გადამიდგამს ფეხი რატომღაც. და ერთხელ უკვე განცდილი გრძნობა. კვლავ მიბრუნდება და მეუფლება:

მე ათი წლის ვარ.

ომია ყველგან. არეულია მთელი ქვეყანა.

ჩვენს ოჯახს უჭირს, ხოლო ქალაქში ჩვენი დარჩენა დაღუპვას ნიშნავს.

ჩავარდნილია მამა ლოგინად და ავადმყოფი მეუღლის გარდა სამი შვილი ყავს სარჩენი დედას.

„უნდა წავიდეთ, უნდა წავიდეთ, აქედან უნდა წავიდეთ ჩქარა“ — აღარ გვშორდება ეს ორი სიტყვა, თითქოს ეს ორი სიტყვაღა დარჩა და თითქოს მხოლოდ ამ სიტყვებს ძალუძთ ჩვენი უსაზღვრო ტანჯვის დატევა, ან თითქოს ძალუძთ, რომ აგვარიდონ: შიმშილს, სიცივეს და უმწეობას... და ყოველდღიურ შიშსა და ხიფათს.

XIII

და ჩვენც მივდივართ.

ხალხის მდინარეს ჩვენი ოჯახიც ბაქანზე გაყავს.

მე ათი წლის ვარ და ჩემს გარშემო გამოლენჩებულ სახეებს ვხედავ, გამოლენჩებულს სიძულვილისგან, სიჩქარისაგან და შიშისაგან...

მე ათი წლის ვარ და ჩემს სხეულზე ვგრძნობ უხეშ ხელებს და ის ხელები ჩემს გადაგდებას ცდილობენ გზიდან. და მეუფლება ისეთი გრძნობა, თითქოს ფორთოხლის პატარა ხე ვარ და თითქოს ძალით მგლეჯენ მიწიდან.

მომგლიჯეს კიდეც, ხოლო ფესვებზე მაბიჯებს ხალხი და მე პირველად ვგრძნობ ამგვარ ტკივილს და გაოცება ძრავს ჩემს არსებას... ხოლო ტკივილი სულში იბუდებს საფუძვლიანად, როგორც გამძღარი მხეცი ბუნაგში.

მე საყვედურით ვუყურებ დედას. დედა მიღიმის და თან უაზროდ ხელს მისვამს თავზე და მეუბნება: არაფერია, არაფერია, არაფერია, საცაა წავალთ.

მამა ვაგონში საკაცით შეყავთ და იქ ირკვევა, რომ მოუპარავთ ჩვენი საგზალი.

მე ათი წლის ვარ და უკვე ბრაზით მეკვრება სუნთქვა, ბრაზით, ბრაზით, ეს ეს ეს ეს ეს ეს ... ეს ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მესამე

XV

მე ჯერ მეგონა, რომ შენი ნახვა აზრს შემიცვლიდა.

და პირველსავე სიტყვების შემდეგ ისევ ის თრთოლვა დაიბუდებდა ჩვენს სხეულებში.

მაგრამ გამომრჩა, რომ ჩვენს სურვილსაც ცხოვრება თავის ტახტზე აწვენდა და ზედმეტ ყლორტებს უსიტყვოდ ჭრიდა. თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენს ნაკვალევს კლაკვნით მოსდევდა ათასი ენა. და იმიტომაც, რომ ყველა კედელს ათასი თვალი ეფარებოდა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, კარგად ვიცოდით, რა ხე ისხამდა, ანდა რა ერქვა იმ უტკბეს ნაყოფს.

ისიც ვიცოდით, თუ რატომ ვჭამდით მაინც და მაინც იმ ნაყოფს ხარბად.

ჩვენ ერთადერთი გზა გვქონდა მაშინ და ის გზა მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნოდა, არც უფრო გვიან, არც უფრო ადრე ის გზა სხვებისთვის არ არსებობდა. ვერც იარსებებს, რადგან ბუნებამ ჩვენ გაგვიკვალა, მაგრამ რატომღაც არც სახე მისცა. არც დასაყრდენი, არც გარკვეული მიმართულება.

ჩვენ არ გვიკვირდა. მოგვწონდა კიდეც, რადგან ასეთად წარმოგვედგინა მხოლოდ და მხოლოდ.

მაგრამ ჩვენს სურვილს ზედმეტად დიდი ფრთები გამოჰყვა. ცა კი პატარა აღმოჩნდა მეტად.

ამიტომ ყველამ შენიშნა იგი. ხოლო როდესაც რამეს შევნიშნავთ, ის შეუცნობლად თუ შეცნობილად, ეჭვს ბადებს ჩვენში უპირველესად, თუ ბუნებრივად არ მოგვეჩვენა.

ამიტომ ჩვენს ბედს დაერქვა ცოდვა და ხელში ისევ ტკივილი შეგვრჩა სიამის ნაცვლად. და ამის მერე ისღა გვრჩებოდა, რომ დაღლილები, სხვადასხვა მხარეს წავსულიყავით და ისევ სახლებს შევფარებოდით დასამშვიდებლად.

სახლი კი მხოლოდ იმ ადგილს ნიშნავს, სადაც სხეული ეშვება ზოლზე, ვით სულის ღუზა.

XVI

მაშინაც ასე იდგა ზაფხული. ხელი გაწვდილი ჰქონდა მაშინაც. პეშვში კი ედო დიდი ვარსკვლავი, ცეცხლწაკიდებულ ყინულის მსგავსად.

ხოლო ვარსკვლავის ათასი სხივით, როგორც ათასი ძლიერი თითით, მტკიცედ ეჭირა მთელი ქვეყანა.

ჩვენ კი წავედით სხვადასხვა მხარეს. და როცა ჩვენი სახლების ჩრდილში მზის სიმხურვალემ გადაგვიარა, შევკრთით და შეგვრცხვა... და რადგან შეგვრცხვა, აღარ გვიცდია ძველის აღდგენა.

დრომ დაამტკიცა, რომ ასე ჯობდა. დრო ადასტურებს ყველაფერს ქვეყნად: აღფრთოვანებას, თუ გაწბილებას. აუტანლობას, თუ ამტანობას, სულწასულობას თუ მოთმინებას... ბოლოს სიკვდილსაც და სიცოცხლესაც.

დრო ჩვენ შევქმენით, რათა გაგვეგო რამდენ ხანს გასტანს ეს განშორება. ხოლო ცხოვრების ასაჩქარებლად დავაქუცმაცეთ იგი წამებად.

დრო ჩვენ ვართ თვითონ, რადგან ჩვენს მერე ისიც გაქრება, ან გაჩერდება.

XVII

დადგა ზამთარი და მოხდა ისე, რომ კვლავ შემეძლო მე შენი ნახვა.

ისევ მიცდიდი და ჩემს სხეულში კვლავ აფათურდა იმედის ჭია.

ქალაქში თოვდა და ფართე ფიფქებს ქარი უაზროდ ათამაშებდა.

დღე კლებულობდა.

ცა დაბლდებოდა.

ქალაქი წყლიდან ამოსულს გავდა...

ყველა ჩქარობდა, თითქოს შენ ერთი. თითქოს შენ ერთი უცდიდი ყველას. და ამის გამო მძულდნენ ყველანი. შენ კი, რატომღაც, ყველაზე მეტად.

მაინც ვცდილობდი, რომ სხვაზე

სწრაფად მევლო შენამდე და სწორედ ახლა დამესწრო სხვისთვის.

XVIII

მანქანა მთელი ძალით მიქროდა, თუმცა სიჩქარე არ იგრძნობოდა. ხოლო ტრამალის უხეში ქარი ჩვენი შეხვედრის ჩაშლას ცდილობდა.

მანქანას მართლა უჭირდა ბრძოლა ტრამალის ქართან, მაგრამ იბრძოდა, როგორც თამამი და დიდი თევზი შეებრძოლება ხოლმე დინებას.

ქვეყანა იყო თეთრი და ვრცელი.

მე ჩუმად ვწევდი და ყოველ წუთში იდაყვით ვწმენდდი შეორთქლილ მინას.

გამოჩნდნენ კიდეც აგარაკები და ნამარი ჩვენი მანქანა ახლა მათ გასწვრივ მიშრიალებდა.

გზის პირას იდგნენ შავი ხეები, მოგვჩერებოდნენ სახეში კუშტად, თითქოს დათოვლილ ლამაზ ეზოებს და მყუდრო სახლებს მალავდნენ ჩვენგან.

„შენ უნდა უკვე იდგე ჭიშკართან... აქ უკვე შენი სამფლობელოა... შენ. მოიგონე და მეთაურობ ამ დიდ სიმშვიდეს და სიჩუმესაც...“

მე ჩამოვუშვი სარკმელი ნელა და ცივი ქარი სახეში მეცა.

უცებ მომწყურდა, ისე მომწყურდა, რომ არ შემეძლო მეტის მოთმენა, ხოლო მანქანა ისე გაჩერდა, თითქოს უეცრად გამოეღვიძა.

შოფერმა ჩემსკენ გამოიხედა. შერე რაღაცის თქმაც დააპირა, მაგრამ რატომღაც გადაიფიქრა და აიწია საყელო ზანტად. დიდ საყელოში ჩამალა თავი გუნებაწამხდარ ნადირის მსგავსად და საყელოდან, როგორც სოროდან, კვლავ გარინდებულ გზას მიაჩერდა.

მე გადმოვედი და ღობის ძირას მოვხვეტე თოვლი და მთელი მუჭა ჩავიდე პირში.

ქარს გაუხარდა ჩემი დანახვა: როგორც დიდი ხნის უნახავ პატრონს ირგვლივ ათასჯერ შემომირბინა. მერე მომახტა მკერდზე თამამად, სახეზეც მომწვდა და სველი დრუნჩით სახე დამილბო და დამილოშნა...

მე დავიბერტყე სველი ხელები და მანქანაში შევბრუნდი სწრაფად.

— სარკმელი მაინც დაკეტე, ცივა. — ისე უბრალოდ მითხრა შოფერმა, რომ დავიბენი და შევკრთი კიდეც. ახლა შევნიშნე თითქოს პირველად.

XIX

ამ ხმას ამოჰყვა სწორედ ის სითბო, მე რომ არ მქონდა და მჭირდებოდა.

ამ ხმაში იყო სწორედ ის ძალა, რომელიც ყველგან მხარს დამიჭერდა.

ამ ხმას შეეძლო, რომ ყველაფერი გადაეტანა და განეცადა.

ბოლოს და ბოლოს, ამ ხმას შეეძლო, ჩემი სათქმელი თითონაც ეთქვა.

ქვეყანა იყო თეთრი და ვრცელი. და ის ქვეყანა ჩვენ გვეკუთვნოდა. ჩვენ ერთ სივრცეში და ერთ სიბრტყეზე ვიყავით ახლა და უნებურად ვგავდით ერთმანეთს. და დიდი ზამთრის თეთრ სინჯარაში უერთდებოდნენ ერთმანეთს ფრთხილად ჩვენი სულებიც.

ამის შედეგად ჩნდებოდა ნდობაც და უნდობლობაც.

მერე ისინი იწყებდნენ ბრძოლას, რადგან ჩვენს შორის ყოფნის უფლება, მხოლოდ და მხოლოდ ერთ მათგანს ჰქონდა.

მე უცებ მაღლა, ძალიან მაღლა ვიგრძენი თავი და მთელ ქვეყანას იმ სიმაღლიდან მოვავლე თვალი. სიმაღლის გრძნობით სუნთქვა შეკრულმა.

XX

უცებ გათავდა აგარაკები და გზა პირდაპირ მინდორს მიადგა. და გაქვავებულ ტალღების მსგავსად თავი წამოყვეს თეთრმა ბორცვებმა. უფრო იქით კი იდგა წყვდიადი, როგორც ცარიელ თეატრში ფარდა.

ჩვენ მოვაბრუნეთ მანქანა უკან და კვლავ დავბრუნდით გზაჯვარედინთან.

ახლა სხვა მხარეს გადავუხვიეთ და უფრო ნელა გავყევით შარას.

უცებ სინათლე შიშველ ქალივით დაუსხლტა ხეებს და გადაგვიდგა.

თითქმის მაშინვე შენც დაგინახე: მარტო იდექი ღია ჭიშკართან. ხალვათად გეცვა, ოღონდაც მხრებზე ბეწვის ქურთუკი წამოგეხურა, ხოლო საყელო ორივე ხელით მაგრა გეჭირა შემკრთალ ნიკაპთან.

მაშინვე მივხვდი, რომ სხვა ხარ უკვე, როგორც შენს ირგვლივ მდგარი ბუნება. და რომ ბუნებაც ალარ დაუშვებს იმ პირველ თრთოლვის განმეორებას. მე ისიც მივხვდი, რომ სინათლეზე, რომელსაც შენი სინათლე ჰქვია, ყველა სისუსტე და ყველა ცოდვა დიდი ხნით მაინც ვერ გაჩერდება... ვით დაქანებულ გუმბათზე თოვლი.

თავი მეოთხე

XXI

გამოეღვიძა ჩათვლემილ კიბოს. მოშივდა ძილში და სველი შლამი გაღეჭა ზანტად. მერე კი ირგვლივ მიმოიხედა თეთრი თვალებით და გზას დაადგა.

XXII

სახლთან გაჩერდა თეთრი მანქანა. მზეზე გაბრწყინდა წითელი ჯვარი და ჩვენი სახლი გაავსო უცებ წამლების სუნმა და სანიტრებმა.

ის უხერხულად იწვა საწოლზე და მოუჩანდა ზეწრიდან ფეხი, გამხმარ ფესვივით.

მეც ვტრიალებდი გვამის გარშემო და მღელვარების, თუ სიცხის გამო თავი მტკიოდა.

მეც იქ ვიყავი და უნებურად მახსენდებოდა ყველა წვრილმანი.

ამ რამდენიმე დღის ნაცნობობას მაინც ღრმა კვალი გაევლო ჩემში.

ჩვენ სულ შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს, არცერთს არ გვქონდა ამის სურვილი.

შეიძლებოდა არცკი გამეცნო და არც გამეგო მისი სიკვდილი.

და არასოდეს არ განმეცადა ეს მწარე გრძნობა, რაც განკუთვნილი არ იყო ჩემთვის.

ან იქნებ იყო და არ ვიცოდი...

მე უცებ ცხადად ვიგრძენი ისევ ჩემს მხრებზე მისი გრილი ხელები. მე იმ დღეს ზღვაზე ვიყავი დიდხანს და დამეფუფქა მთელი სხეული.

ის ოდეკოლონს მისვამდა ფრთხილად. მიმშვიდდებოდა თანდათან კანი. გახურებული და დაძაბული.

თან უსასრულოდ ლაპარაკობდა, რომ უხერხულად არ მეგრძნო თავი და მეც უბრალოდ მიმეღო მისგან ეს ყურადღება და სამსახური.

— კეთილშობილი სითხეა სპირტი... ყოველგვარ ტკივილს ამშვიდებს იგი... მე ოსვენციმის ყოფილი ტყვე ვარ და ჩემზე კარგად არავინ იცის, რას ნიშნავს ხელი, ან ერთი სიტყვა, ან შემოხედვა მეორე კაცის, თუკი გიყურებს ის თანაგრძნობით. — ამბობდა იგი, ხოლო სიტყვები, ჩემს გაბრუებულ და დაღლილ თავში გორავდნენ, როგორც რკინის ბურთები: „ოდეკოლონი“ და „ოსვენციმი“...

XXIII

ზღვა კი ბზინავდა შუადღის მზეზე და იღვრებოდა ღია სარკმლებში.

ჩვენ კი საბრალო პენსიონერი გამოვიტანეთ გარეთ საკაცით, როგორც ბაღიდან გამოაქვთ ტოტი ჩამოხლეჩილი სტიქიის ხელით, დამძიმებული და ფერშეცვლილი.

XXIV

აფორიაქდა თეთრი ნიჟარა, როგორც პატარა კუნძული ქარში.

გადაიზნიქნენ სხვადასხვა მხარეს
რტონი განცხრომის და დასვენების.
გაიპო მდელო უზრუნველობის, თა-
ვისუფლების და იმედების
და ჩაშავებულ უფსკრულებიდან
ამოიზარდნენ შიშის კლდეები.
ჩვენც, რა თქმა უნდა, რითაც შეგვეძ-
ლო, ვამტვრევდით კლდეებს, ხოლო
ნამტვრევებს ვეზიდებოდით და ვყრი-
დით ზღვაში.
მაგრამ კლდეები კვლავ იზრდებოდ-
ნენ და ზღვიდან უკან მობრუნებულებს
გადმოგვცქეროდნენ კუშტი თვალებით.
ჩვენ გაჩერება აღარ შეგვეძლო, თუმ-
ცა ცალცალკე ყველანი ვგრძნობდით
უსუსურობას და უაზრობას ჩვენი წვა-
ლების და ჩვენი შრომის.

ბავშვები იდგნენ და გვიყურებდნენ
და ჩვენ გვტანჯავდა მათი თვალებიც:
ცნობისმოყვარე და უცნაური.
კლდის ნამტვრევებით დაკავრულები
თვალს ვარიდებდით ბავშვებს ყველა-
ნი, მაგრამ ბავშვების ჩვილ გონებაში
უკვე იბრძოდა და იკიდებდა ტლანქსა
და შიშველ ფეხებს სიკვდილი.

XXV

მე ამის მერე ვნახე სიზმარი: გრძე-
ლი, დამღლელი და საოცარი.
მე დამესიზმრა ჯერ ოსვენციმი, შე-
მოღობილი მავთულხლართებით.
ცად ადიოდა ტოტი კვამლისა და თო-
ვდა ფერფლი ადამიანის.
ბანაკის ირგვლივ ისხდნენ ძაღ-
ლები, გასიებულნი ბრაზით და სისხ-
ლით. გადმოეყარათ გრძელი ენები და
ვითომ თვლემდნენ საღამოს მზეში.
მავთულზე ჩონჩხი ეკიდა კაცის, ქა-
რით მოგლეჯილ მინდვრის ძეძვივით.
მე მოვიხედე ძვლების ხჩრიალზე და
მაშინ მივხვდი სადაც ვიყავი.

XXVI

ამ დროს გამოჩნდა ზედამხედველიც.
მან მოწიწებით დამიკრა თავი და უც-
ნაურად მბზინავ ღილებზე ათამაშა
თეთრი თითები.
მეც მივესალმე და ბავშვებს
უნებურად ავლაპარაკდი. ასე მეგონა,
რომ უსათუოდ უნდა ამეხსნა მისთვის
მიზეზი ჩემი აქ მოსვლის.
ვლაპარაკობდი და თან ვბრაზობდი,
რადგან ვიცოდი, ვინც იდგა ჩემს წინ.
მე კი ბავშვივით დაუსრულებლად თავს
ვიმართლებდი.
ბოლოს ვუთხარი, რომ არ მეგონა,
თუ არსებობდა კვლავ ოსვენციმი.

ზედამხედველი

ის უკვდავია... ის ყველა ჩვენგან
ისე ჭირდება, როგორც ჰაერი, პური და
წყალი... აქ იწმინდება ადამიანი. აქ
რჩება მისი ცოდვილი ხორცი. ცაში კი
აღის სპეტაკი სული.

— მე სულ არ მინდა შენთან კამა-
თი, რადგან ბევრს უთქვამს, რასაც მე
ვიტყვი. უკვე არსებობს საერთო აზრი
თქვენს ოსვენციმზე... მაგრამ მე მიკ-
ვირს შენი ამბავი: დავუშვათ, ფორმა
ჩაგაცვეს ძალით... დავუშვათ, ძალით
მოგცეს ეგ თოფიც... მაგრამ არაფრით
არ შეიძლება, რომ ძალით გახდე ასე
გულგრილი და არ გზარავდეს ამდენი
გვამი.

ზედამხედველი

ცოცხლებზე ბევრნი არიან მკვდრე-
ბი. მე კმაყოფილი ვარ ჩემი ბედის:
არც მშიერი ვარ და არც მწყურვალი,
არც შიშველი ვარ და ჩვენ რომ ვი-
ცით, არც ის მაკლია...

— მე გული მწყდება, რომ შენი პუ-
რიც ცხვება ცომისგან... რომ შენი წყა-
ლიც გაფილტრულია მიწის ქანებში...
ხოლო ის ქალი, შენთან რომ წვება,
არ შეიძლება, რომ იყოს ქალი. ის ტი-
კინაა ქალის გულმკერდით და თეძოე-
ბით... და ვნებიანი არის ქვასავით...
თავში კი თივის ბულულა უდევს, ანდა
უყრია სველი ნახერხი, მაღაზიების კარ-
თან რომ ყრია...

ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲘ

— თქვენ გავიწყდებათ, სად იმყოფებით!

— პირიქით, ახლა უფრო ვრწმუნდები...

ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲘ

აქედან მიდის გზა ღმერთისაკენ. ბედნიერია აქ მოხვედრილი. ერთი თავისი ფეხით მოვიდა (მეგონა, თქვენც ამ მიზნით მოხვედით) და აღიარა თავისი პირით, რომ დაიტანჯა თავისუფლებით, რომ იგი ფუჭი ფუფუნებაა, უსაქმურისთვის გამოგონილი. ახლა კი უკვე მზადაა ისიც, რომ მიატოვოს ცოდვილი ხორცი. სულ რამდენიმე გრამიღა დარჩა, მაგრამ ეცდება და ერთ კვირაში ჩამოიშორებს იმ ზედმეტ ტვირთსაც და ეახლება ღმერთს მისი სული...

XXVII

ასე შევყევით ჩვენ ლაპარაკში. თან ღობის გასწვრივ დავსეირნობდით. მაგრამ ეს უფრო გვიან შევნიშნე, რადგან მეგონა, რომ ვერ შევძლებდი ფეხის გადადგმას.

უცებ გამოჩნდნენ და ამოძრავდნენ ადამიანის მსგავსი ლანდები.

ზოგს საკუთარი თავი მოჰქონდა, ძლივს იჩერებდა თავს იღლიაში. ზოგს საკუთარი ფეხი ან ხელი, ზოგს პეშვში ეწყო ორივე თვალი.

მაგრამ ტკივილებს ვერ გრძნობდნენ თითქოს, ან ისე იყვნენ შეჩვეულები. რომ ყურადღებას აღარ აქცევდნენ, ანდა სიამეს გვრიდათ ტკივილი.

მათ ჩაიარეს ძაღლების გასწვრივ ხოლო ყოველი ჩავლილი ლანდი საკუთარ ხორცის ნაჭერს იგლეჯდა და ატენიდა იმ ძაღლებს პირში.

მე მოვიხედე, მაგრამ ჩემს გვერდით აღარ აღმოჩნდა ზედამხედველი.

ის გამდგარიყო განზე და ახლა ქამარს ისხნიდა გამალებული.

მერე ღილებიც შეიხსნა სწრაფად და გაიხადა რუხი მუნდირი. დაკეცა ფრთხილად და მოწიწებით და დაასვენა მიწაზე იგი. მერე ხელები ასწია მაღლა და ააცილა მიწას ქუსლები. ღრმად ჩასუნთქა და გაბერილი ნელ-ნელა ჩაჯდა, ხოლო ჰაერი ხმით ამუშავა, საბერველივით.

ის ვარჯიშობდა.

ხოლო ლანდებმა გაინაწილეს იარაღები: მძიმე ნიჩბები და წერაქვები.

და აეღრიალდა ქვაზე ფოლადი. იარებს სისხლი წასკდა თქრიალით. სისხლმა კი მიწა აატალახა და უსხლტებოდათ ტალახზე ფეხი ლანდებად ქცეულ ადამიანებს, ტანშემოსილებს ჩვრითა და ძონძით.

XXVIII

მე უკვე სუნთქვა აღარ შემეძლო. მახრჩობდა სუნი სისხლის და ოფლის. ჯერ ვერ გავიგე, რას აკეთებდნენ ასე ჯიუტად და მონდომებით, მაგრამ როდესაც ახლოს მივედი, ყველაფერს მივხვდი და სახტად დავრჩი:

ერთი ნაწილი თუ ორმოს თხრიდა, მეორე ორმოს ავსებდა მიწით.

და მეც ვიგრძენი ტანზე ძონძები. მეც ამივიდა ის მქისე სუნი და ყველაფერი მომბეზრდა უცებ, შემძულდა ყველა და ჩემი თავიც, და იმ უხილავ ძალის წინაშე დამხობა მსურდა და სწორედ მაშინ გამოიხედეს ლანდებმა ჩემსკენ, თითქოს გაიგეს ჩემი ფიქრები და დავინახე მათ დიდ თვალებში ადამიანის დიადი ცეცხლი, გავიგე კიდეც ცეცხლის ტკაცუნი, სახეზეც მომწვდა მხურვალე ალი.

და მე თვალები დავხუჭე სწრაფად, ატკივებული დიდი სინათლით.

უცებ ძაღლების ატყდა გნიასი, ფეხის მომკვეთი და საზარელი. მე გავახილე თვალები ისევ და დავინახე ხროვა ძაღლების. ჩემსკენ მორბოდა ძაღლების ხროვა, გაცოფებული და დაგეშილი.

მაგრამ ლანდებმა დაასწრეს ძაღლებს და ბანაკიდან გამაგდეს ძალით. მერე

კი ძაღლებს მიუტრიალდნენ და დასაგლეჯად მისცეს სხეული.

კვლავ ვარჯიშობდა ზედამხედველი. თან დუდღუნებდა ცხვირში თავისთვის და მე მომესმა მისი სიტყვები: მართლა არ უნდა ენდო არავის. მე წესიერი კაცი მეგონა, ის კი გაიქცა...

XXIX

მე უკვე ღობის იქით ვიყავი. მიცახცახებდა მთელი სხეული. წასვლა მინდოდა, გავრბოდი კიდეც, მაგრამ სულ ღობის გასწვრივ გავრბოდი.

ხოლო იმ ღობის იქითა მხარეს კიდევ მორბოდა ვიღაც ჩემსავით.

მაშინვე მივხვდი, რომ მე მომსდევდა და რომ რაღაცის თქმა სურდა ჩემთვის.

მე მოვიხედე: ღობის გადაღმა მძიმედ მორბოდა პენსიონერი. თან ძაღლის ნაკბენს იხვევდა ძონძით, ამოვარდნოდა სირბილით გული.

იმანაც მიცნო და გამიღიმა. არ შეჩერდეო, მანიშნა ხელით.

ასე მომსდევდა და მომძახოდა. ხმა კი ყურებში რეკდა ზარივით:

...არ დაიჯერო, არ დაიჯერო, ადამიანო, ღვთის გულისათვის. ხომ შენი თვალით ნახე ის ცეცხლი... იმ ცეცხლად არ ღირს სხვა ყველაფერი... ჩვენ ხომ იმ ცეცხლმა გაგვაძლებინა... მხოლოდ იმ ცეცხლით იცნობა კაცი... და თუ ჩაქრება ის ჩვენს თვალებში, მაშინ ვიქნებით მართლა მონები, შეურაცყოფაც და დამცირებაც მაშინ იქნება გამართლებული... ამიტომ ჯდება ის ასე ძვირი, დღემდე ამიტომ არ ადევს ფასი... მის სინათლეზე კარგავს უფლებებს ღალატიც, ღვარძლიც, მტრობაც და შურიც... კარგია მაინც თვითონ რომ ნახე, თუ რა ტრიალებს ამ ჯოჯოხეთში... ნუ შეგაძრწუნებს ჩვენი სიგამხდრე, ნურც იარების და ჭუჭყის სუნი.. ეს ყველაფერი წარმავალია, შემთხვევითია და ასატანი... ბუნება ისევ შეგვმოსავს ხორცით, გავიბანებით მის წმინდა წყლებში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXX

უეცრად მარტო აღმოვჩნდი ისევ ქვაზე ვიჯექი ტრიალ მინდორში. მინდვრის ბოლოში ზღვა იწყებოდა, მესმოდა კიდეც მისი შრიალი.

მე ძლივს ვსუნთქავდი და გაოფლილი მეწებებოდა ტანზე პერანგი.

ვიხსენე, მაგრამ მაინც ვერაფრით ვერ გავიხსენე რატომ მოვრბოდი.

მე გადავწექი ქვებზე გულაღმა და გარინდებულ ცას მივაჩერდი. ცა იყო ბნელი და უცნაური: არც მთვარე ჩახდა, არც ვარსკვლავები.

და კვლავ ვიხილე მე სასწაული:

უეცრად ცაზე გამოჩნდა ქალი. მოულოდნელად გამოჩნდა იგი და ცას წამოყვა კივილ-კივილით.

ფეხმძიმე იყო ის დედაკაცი და უკვე შობას თხოვდა ნაყოფი. და სიმწრისოფლით შუბლდაცვარული ვერ პოულობდა დასაწოლ ადგილს.

თანაც ვეშაპი მოსდევდა უკან, შვიდთავიანი და საზარელი. მშობიარობას უცდიდა ისიც, რათა შთაენთქა წამსვე ნაყოფი.

გამწარებული კიოდა ქალი. ეგვემებოდა ტანჯვით სხეული და აკავებდა საშოში ნაყოფს პირგაეშებულ ვეშაპის შიშით.

წამოიშალა მთელი ქვეყანა. ყველას ჩაესმა ქალის კივილი.

თევზებმა წყლიდან ამოყვეს თავი. ტყეში ტორებზე შედგა ნადირი და ხეებიდან წამოიშალა ფრინველთა გუნდი ძლივს ჩათვლემილი.

და უცებ, ვიღაც ადამიანი, ელვის სისწრაფით აიჭრა ცაში. წინ გადაუდგა შვიდთავა ვეშაპს და შეაგება ბასრი მახვილი.

ზღვაში ჩაეშვა ვეშაპის ლეში და ზღვიდან ცამდე ავარდა შხეფი შემკრთალი წყლისა... მხსნელი კი მახვილს

ეფერებოდა მთრთოლვარე ხელით და დავინახე მის დიდ თვალებში იგივე ცეცხლი: უახლოესი და უწმინდესი.

მერე მიწაზე დაეშვა ქალი და ჩაიმალა მაღალ ბალახში. ხოლო ბუნება თავზე დაადგა და გაუხვია ლეღვის ფოთლებში ნაყოფი ჩვილი და ვარდისფერი.

და უცებ ცაზე გაჩნდა ვარსკვლავი: პატარა, ნაზი და მომხიბვლელი.

და მიაჩერდა იმ ვარსკვლავს ყველა: თევზიც, ფრინველიც, მხეციც და კაციც.

ამოისუნთქა ქვეყანამ შვებით და მეც საკუთარ თავს დავუბრუნდი. მაშინ ვიგრძენი, რომ ამ წუთამდე ფეხზე ვიდექი სუნთქვაშეკრული.

მერე რატომღაც გამომეღვიძა, მაგრამ ძილიდან ამყვა სიზმარი და კიდევ დიდხანს ვიჯექი ასე გაბრუებული და დაქანცული.

მერე კედლებმაც გამოიღვიძეს, ჩემსკენ გადმოდგეს თითო ნაბიჯი. მე კი ზღვის ნახვა მომინდა უცებ, ვეღარ გავძელი და წამოვდექი.

თავი მეხუთე

XXXI

რა უცნაურად დაიწყო მაინც ის გაზაფხული.

ვინ იფიქრებდა, რომ იმ ღობეებს და კედლებს შორის ცხოვრობდა ნუში.

ზამთარი ჯერ არ იყო წასული და ისევ იდგა სუსხი ჰაერში.

მან კი ამოყო ფერადი დროშა და განაცვიფრა მთელი ქალაქი.

XXXII

გამოჩნდა მიწა და მიწის ძუძუს ყველა სულდგმულმა დაადგა თვალი.

კვლავ დადასტურდა ნათესაობა: თევზის, ფრინველის, მხეცის და კაცის.

გაჩნდა ყვავილი, როგორც ნიშანი მიწის სიცოცხლის და სიჯანსაღის.

გაჩნდა ბალახიც, ეს კი ნიშნავდა, რომ მიწა ახლაც იყო თანახმა — მოეცა პური.

ხოლო ხეების მფრინავი თესლი, გაფუებული და გაბურძგნული, მოედო სივრცეს, როგორც ბურუსი.

და აყოლილი ვნებას და გუმანს, კვლავ დატრიალდა ქვეყანა ვრცელი.

მზემ ხელი შეყო ყველა სარკმელში და ბინებს ახსნა ზამთრის ბორკილი. კვლავ მიიზიდა ადამიანი და გაუღეღა უტიფრად სული: დაეჭვებული და მოლოდინით გაბეზრებული.

გადააშორა სულს ზამთრის გესლი, მერე გადახნა და თავის ხელით ახალი თესლი ჩააგდო ხნულში.

XXXIII

მე უკვე ვგრძნობდი, რომ შევხვდებოდით და რომ გიცნობდი იმასაც ვგრძნობდი. თუმცა არც სახე მენახა შენი და არც ვიცოდი რამე ნიშანი.

მაინც მჯეროდა, რომ მოხვიდოდი და მოგყვებოდი ხეების მტვერი და ბუსუსები... რომ შენს თვალებში გაიელვებდნენ უცხო ქვეყნები, არარსებული... და რომ შენს ხმაშიც ათრთოლდებოდა სიმი წუხილის და ბედისწერის.

XXXIV

და შევხვდით კიდეც, მაგრამ არ მახსოვს, სად შევხვდით, რა დროს ან როგორ შევხვდით.

მე როცა გონზე მოვეგე ცოტა, მე და შენ უკვე ერთად ვიყავით.

მხოლოდ მე და შენ ვიყავით მაშინ. არ არსებობდა სხვა არაფერი. დაცარიელდა თითქოს ქალაქი, ან თითქოს უცებ გაქვავდა შურით.

ჩვენ დავდიოდით და ამდენ სახლში არც ერთი სახლი არ იყო ჩვენი. თუმცა ამაზე არც გვიფიქრია, ვერც დაგვიტევდნენ, ალბად, კედლები.

ძალას, რომელიც დაგვატარებდა, ჩვენ ვენდობოდით და მივყვებოდით. ხოლო სხვა ძალა, მისი მომრევი, არ არსებობდა ამ ქვეყნად მაშინ.

მე მახსოვს, როგორ მოგვშივდა უცებ. როგორ შევწუხდით და ავწრიალდით. ხალხს კი ეძინა და ყველა სახლი დუმდა უკაცურ სახლის დუმილით.

მაგრამ უეცრად გაიღო კარი და გამოვიდა იქიდან კაცი. ხოლო იმ კაცმა მოგვხვია ხელი და შეგვიყვანა სახლში ძალათი.

და ჩვენ ოთახში აღმოვჩნდით უცებ. ოთახი იყო სუფთა და ვრცელი.

თითქოს შეშინდნენ და თეთრ თაროებს ამოეფარნენ შავი კედლები. იმ თაროებზე ელაგა პური: ფაფუკი, ცხელი და მშვენიერი. თონე კი ენთო შუა ოთახში და ხაბაზები ცომის გუნდებით ეყუდებოდნენ თავქვე თონეში. და ბრუნდებოდნენ უკანვე სწრაფად, ცეცხლისგან თვალებგაწმენდილები.

ჩვენ ჩამოვსხედით ფქვილის ტომრებზე, ხოლო იმ კაცმა მოგვართვა პური. შენ გაგიხარდა და კი არ ჭამდი, ყნოსავდი მხოლოდ და ისრუტავდი.

მე შევაძლიე მასპინძელს ფული. მან კი მომთხოვა სხვა საფასური: მეკოცნა შენთვის ამ უცხო ხალხში.

მე, რა თქმა უნდა, გაკოცე მაინც... მან კი ხაბაზებს გახედა რიხით. თითქოს ის იყო კოცნის მომგონი და ახლა სურდა, რომ ყველას ეგრძნო ამ საოცარი გამოგონების ძალა და აზრი.

ებერებოდათ ხაბაზებს გული და ემღვრეოდათ თვალები ვნებით. მაგრამ როგორღაც თავს იკავებდნენ და ეშვებოდნენ ისევ თონეში. ხოლო იქიდან მობრუნებულებს კვლავ დაწმენდილი ქონდათ თვალები.

XXXV

ჩვენ გამოვედით ისევ ქუჩაში და ისიც დაგვხვდა კვლავ ცარიელი და შეთქმულივით ჩუმი და ბნელი.

აღარ გვშიოდა და დროშასავით მოგვქონდა ცხელი პურისსურნელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოგატარე მთელი ქალაქი და ყველა კედელს დავკიდე ჩრდილი შენი სხეულის, ავგაროზივით.

და ამის მერე ჩვენც დავიღალეთ. ისევ შევწუხდით და ავწრიალდით. არსად არ გვქონდა თავშესაფარი და ტყვიის ფეხებს ძლივსღა ვადგამდით.

და მაშინ ისევ გაიღო კარი და გამოვიდა გარეთ ცოლქმარი: ზურგზე ეკიდათ განვლილი წლები და ანათებდნენ ღამეს ჭაღარით. მერე უსიტყვოდ ჩაგვკიდეს ხელი და ჩვენ აღმოვჩნდით ისევ ოთახში.

პატარა იყო მათი ოთახი და სავსე იყო ძველი ნივთებით და სიძველისგან ფერშეცვლილ ნივთებს მთელი ფართობი ეჭირათ თითქმის.

სივიწროვის, თუ სიბნელის გამო ერთ მთლიან მასას ქმნიდნენ ისინი და კარგად უნდა დაკვირვებოდი, რომ შეგემჩნია გასასვლელები ამ ნივთებს შორის.

XXXVI

მე ჯერ შევნიშნე დიდი საათი, სამარადისოდ დადუმებული. საათის თავზე იჯდა ამური და მარმარილოს თეთრი სხეული წინ წამოეგდო და გვიღიმოდა მართლა ბავშვური გულუბრყვილობით.

საათის გვერდით იდგა კარადა, მთლიანი სარკით და ჩუქურთმებით. ხოლო კარადის გვერდით — საწოლი, ისიც ხნიერი და ერთადერთი.

მას მომტვრეული ჰქონდა ფეხები და აგურები შეეწყოთ მისთვის ფეხების ნაცვლად. ხოლო ლეიბი ჩაღრმავებული იყო შუაში, სადაც მრავალი წლების მანძილზე წვებოდნენ, ალბათ, მთელი სიმძიმით.

და საგანგებოდ თეთრი ზეწარი ელავდა. როგორც ორმოში თოვლი.

XXXVII

ხოლო მაგიდა, გრძელი და მძიმე, მთელ ოთახს ორად ჭრიდა ხმალივით.

ისინი დასხდნენ მაგიდის იქით და მოიმარჯვა ქალმა საქსოვი. კაცმა სათვალე მოირგო ნელა და მაგიდიდან აიღო წიგნი.

ჩვენ კი დავწექით. ან უფრო სწორედ, ჩავცვივდით უცებ იმ თეთრ ორმოში. ის კი თანდათან უფრო გვძირავდა და მე ვიგრძენი შენი სხეული სიცოცხლით სავსე და სრულყოფილი.

და სადაც წვიმას ელოდებოდნენ, მოვიდა წვიმა...

გამოეფინენ ქალები გარეთ და შეაგებეს წვიმას ჯამები. მას კი არ სურდა ჯამებში ჩასვლა და იშორებდა გრძელი ფეხებით. და გამჭვირვალე მისი სხეული ეკიდა მთელი ქალაქის თვალწინ, ათრთოლებული უცნაურ ვნებით.

და გაიწუწნენ ქალები უცებ. შემოეტმასნათ ტანზე კაბები, თითქოს კაბები გახადათ წვიმამ ან შეიწოვა ხორცმა ქსოვილი.

წვიმა კი აღარ უშვებდა ქალებს და მთელ ქალაქში იდგა სიცილი მოულოდნელი და ბუნებრივი იმ წვიმასავით შიშველ ქალების.

ქალებს ბავშვებიც გამოყვნენ გარეთ და სასაცილოდ აწურულები ჩადგნენ გუბეში, ვით ცირკის წრეში.

მერე წყვდიადი გამეფდა ირგვლივ, სასიამოვნო და იდუმალი.

მე შენი ხელი მაგრა მეჭირა, ვით არიადნეს ძაფის გორგალი. მაინც სიზმარში მეგონა თავი, თუმცა მეღვიძა და დაგცქეროდი შენი სხეული ელავდა ბნელში და შრიალებდა მდინარესავით.

მე კი ვიწექი მდინარის პირას წყურვილისაგან ხახაგამშრალი.

XXXVIII

მე გავიხედე მაგიდის იქით: კვლავ ისევ ისე იჯდა ცოლქმარი. ქალი სულ ქსოვდა, ქსოვდა და ქსოვდა, უკვე ჩათვლემილ მეუღლის გვერდით.

მერე მამალი აყივლდა სადღაც. აყივლდა ჩვენი ალექტრიონი. აყივლდა მჭახედ და დაჟინებით, თითქოს სხეულით იგრძნო ხიფათი და მეც გამხადა იძულებული, რომ ჩამეხედა საკუთარ სულში:

საოცრად სუფთა დამხვდა სინდისი, თუმცა მის გვერდით იდო ქვასავით, ახალი გრძნობაც დანაშაულის.

მე გადმოგხედე. შენ ჯერ გეძინა და უღიმოდი ზმანებას ძილში. და ერთხელ კიდევ დავრწმუნდი მაშინ, რომ ყველა სასჯელს ჯილდოდ ჩავთვლიდი.

თავი მეექვსე

XXXIX

მე ცივ კიბეზე ვიჯექი ჩუმად, ზღვის გამოჩენას ველოდებოდი.

ზღვა კი ქშინავდა და იხვეტავდა ქვიშას უბეში.

მაგრამ მე სანამ ჩემთვის ვიჯექი, ჩემს თავზე ჩუმად შეერთდნენ ხმები და ერთ ხმად იქცნენ, ის ხმა კი უცებ გაისმა მჭახედ, როგორც საყვირი.

მე გამოვფხიზლდი და ჩემს წინაშე, ადამიანის ტანით და სახით, თვითონ ბუნება ვიხილე მდგარი:

ტანზე ემოსა ღრუბლის ზეწარი და ძუძუს ქვემოთ ერტყა სარტყელი და

შიშველ მხრებზე ეფინა თმები სპეტაკი, როგორც მატყლი და თოვლი.

თვალებში ენთო ძლიერი ცეცხლი და თითქოს ცეცხლის მაღალ სვეტებზე იდგა თვითონაც.

და ხელში, როგორც მწიფე ლეღვები, ეჭირა ოთხი დიდი ვარსკვლავი.

XL

მე სანამ რამეს მოვიფიქრებდი, მხარზე დამადო თამამი ხელი და მითხრა მშვიდად: — ნუ გეშინია. მე ვარ საწყისიც და დასასრულიც. მეც ვკვდები, როგორც ყველა მოკვდავი, მაგრამ მე ძალმიძს, რომ ავღსდგე მკვდრეთით. ამ ქვეყნად მე ვარ მხოლოდ ასეთი, სიკვდილ-სიცოცხლე ერთია ჩემთვის, მე მაქვს კლიტენი სიკვდილ-სიცოცხლის.

შენც ნაწილი ხარ ჩემი არსების, პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი, რადგან უშენოდ არც მე ვიქნები ყოვლისმომცველი და სრულყოფილი.

და რადგან შენი ხორცი და ძვალი მე კვლავ მჭირდება მომავლისათვის, შენც უნდა დათმო შენი ადგილი, როცა დარეკავს სიკვდილის ჟამი...

XLI

...სხვას ნუ დაუშლი ამ ქვეყნად მოსვლას, სხვისთვის არ უნდა იყო ჯებირი. მაგრამ სანამ ხარ, უნდა მიიღო ყველა სიამე ამქვეყნიური, რაც მოიპოვეს და მოამზადეს მათ, ვინც შენამდე ცხოვრობდნენ შენთვის.

ისინი უკვე დიდი ხანია კვლავ სისხლად იქცნენ ჩემს ვრცელ ძარღვებში. დღეს კი ამ სისხლით თქვენ იკვებებით, შეძრწუნებულნი სიკვდილის შიშით. მაგრამ არც ისე მკაცრია იგი, თუ კი შეხედავ გონების თვალით და დარწმუნდები, რომ ხეც და ჩიტიც არ განსხვავდება შენგან არაფრით.

უნდა შეიგნო, რომ მოკვდავი ხარ. რომ მე მეკუთვნი სულით და ხორცით. და თუ შეიგნებ, შენც უფრო მშვიდად და ღირსეულად დახვდები სიკვდილს...

XLII

...მე ვიცი ყველა შენი საქმენი და ისიც ვიცი, რატომ და რისთვის შრომობ ამ ქვეყნად, რას ელი მისგან, სად გიდევს გული, თვალი და ყური... რა გეკარგება, ანდა რას იძენ მოუთმენლობით, თუ მოთმინებით.

ნუ შეგაშინებს საქმენი შენი და ნურც ცოდვები ამქვეყნიური.

სანამ ხარ, შენი ადგილი ქვეყნად მიუღწეველი იქნება სხვისთვის.

სანამ ხარ, ისე დადექი მზისკენ, რომ ყველა სხივი გადატყდეს შენშიც.

სანამ ხარ, ისე დადექი ქარში, რომ ყველა მხრიდან მოგიდგეს ქარი.

სანამ ხარ, ისე დადექი თოვლში, რომ უფრო მეტი დაგედოს თოვლი...

XLIII

...ჩაწვდი, იგემე და განიცადე, რაც კი არსებობს ჩემი უფლებით.

გამოიცადე ყოველგვარ ცეცხლში, არ მოერიდო არადროს ტკივილს. კეთილშობილი გრძნობაა ისიც, შვებას მიაგნებ მისი წყალობით.

ნუ შეძრწუნდები თუ მოტყუვდები და ნუ შეგრცხვება შენი სიშიშვლის, რადგან მე გშობე ბრმაც და შიშველიც. მევე ჩაგიდგი თვალებში შუქი, რომ გაარჩიო ქვისაგან პური, სისხლისგან წყალი და წყლისგან ცრემლი.

მევე შევმოსე სიმორცხვე შენი და ნუ უარყოფ, რომ მე მეკუთვნი...

XLIV

...მე განუყრელად ვიქნები შენთან. სადაც არ უნდა წავიდნენ გზები. ჯანღონით სავსე იქნები მარად თუ დაგაჩოქებს წყეული სენი. დასნეულდები პატიოსნებით, ფიქრით თუ შრომით, ღვინით თუ სიძვით — შენს სარეცელთან ვიქნები მაინც და დროზე ადრე არ მიგცემ სიკვდილს.

შენი იარა ბალღამით სავსე, ზიზღის მომგვრელი არ არის ჩემთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე იარიდან ამოგწოვ ბალღამს და მოგიშუშებ საკუთარ ნერწყვით.

მე გაღიარე და გცნობ ყოველთვის, რადგან შენ უკვე გქვია სახელი, რადგან ცხოველი ხარ და ნოკვდები.

მე გაგაღვიძე, რადგან ვერასდროს ვერ გაიგებდი ჩემს ხმას მძინარი.

მე გაგაღვივე, რომ დაგენახა და განგეცადა დილის ვარსკვლავი.

აჰა, შენს კართან ვდგავარ და ვრეკავ, რომ შენთან ერთად გავტეხო პური.

XLV

მე კი ვიჯექი და ვუყურებდი შეცბუნებული და დაბნეული.

ამასობაში ინათა კიდეც და კვლავ გაბრწყინდა ოთხი ვარსკვლავი, მშვიდად რომ ეწყო ბუნების პეშვში, როგორც ბუდეში ჩიტის კვერცხები.

მერე ბუნებამ დაუშვა ხელი და ძირს დაცვივდნენ ის ვარსკვლავები, ლეღვს რომ ნაყოფი დასცვივა ქარში.

ვარსკვლავებისგან გაჩნდნენ მერნები, ზღვის პირას ქვიშას დაჰკრეს ტორები.

ზღვის პირას დადგა ოთხი მერანი: თეთრი, წითელი, მწვანე და შავი.

მერე ოთხივე შეცურდა ზღვაში. გაცურეს ლაღად და თეძოებით აწეწეს წყალზე გართხმული ბინდი.

და ზღვაც გამოჩნდა, ჰორიზონტამდე გადახაზული ოთხფერი კვალით.

XLVI

მწვანე მინდორზე კვლავ აბრჭყვიალდა და ბრიალდა თეთრი ნიჟარა.

მის ბინადრებსაც გამოეღვიძათ, გამოეფინნენ გარეთ ყველანი.

ბავშვები მინდორს მოედვნენ უმალ, მწვანე კალიებს დაუწყეს დევნა.

ჩამოირბინა ვიეტნამელმაც და ყველას მკვირცხლად დაგვიკრა თავი.

მერე ყველანი, შეთქმულებივით, კვლავ ლეღვებისკენ წავედით ერთად.

გაბავშვებულნი ბუნების ხელში, თავს ვგრძნობდით ლაღად და თავისუფლად. და იზრდებოდა ჩვენი ხმაურიც უმიზეზო და უაზრო ყოვლად.

მაგრამ ზედმეტი, ან რთული გრძნობა არ არსებობდა იმ წუთას ჩვენთვის. ლეღვიც სამყოფი იყო ყველასთვის, უნდოდა მხოლოდ ხელის მიწვდენა.

მე მოვექეცი ლეღვს კენწეროზე და ერთი ამბით მეძახდა ყველა.

მეც საგანგებოდ ვარჩევდი ნაყოფს და სათითაოდ ვისროდი დაბლა, მაგრამ მიშლიდნენ მწვანე ფოთლები, რომ გამერჩია ისინი კარგად და ვარიგებდი ბუნების ნაყოფს სამართლიანად და განურჩევლად.

უცებ ვიგრძენი, რომ ფოთლებს შორის ამოანათეს შენმა თვალებმაც. და არა მარტო შენმა თვალებმა, მთელმა ქვეყანამ ამოიხედა.

მე დავცქეროდი თვალებს ზემოდან, ლეღვის ფოთლებით დაჩრდილულს ოდნავ. ბევრში სიკეთის სინათლე ენთო, ბევრი ბზინავდა ისევ ბოროტად.

მე კი თვალების ზღვას დავცქეროდი ჩვეულებრივი ხის სიმაღლიდან და მიხაროდა, რომ ჩემი ხელით კვებავდა თავის შვილებს ბუნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ღუმბაძე

მზიანი ღამე

რომანი

აბიბო

აბიბო თოდრია ჩვენს ქვედა სართულზე ცხოვრობს. იგი მამაჩემის მეგობარი იყო თურმე, ბავშვობაში კისერზეც კი მისვამდა ხოლმე და აჩუ, აჩუს ძახილით დამარბენინებდა. ეს მე არ მახსოვს, რა თქმა უნდა, სამაგიეროდ, ძალიან კარგად მახსოვს, როდესაც სამხრეები შემოიღეს, აბიბო სადარბაზოში შემხვდა, კიბეებზე, სამხრეებიანი კიტელი და ხრომის ჩექმები ეცვა. თითო ორხაზიან სამხრეზე, იქით-აქეთ, ორ-ორი ვარსკვლავი ეკეთა. პოდპოლკოვნიკია, — გავიფიქრე მე და გაზეთში გამოქვეყნებული სამხრეების ნიმუშები გამახსენდა.

მე კიბეზე ჩამოვრბოდი, ხელში პურის წიგნაკი მეჭირა.

— სად მიდიხარ? — მკითხა მან ღიმილით და სამხრეებზე დაიხედა.

— პურზე!

— გშია?

— ჯერ არა!

— საერთოდ, თუ გშია?

მე ვერ გავიგე რა უნდოდა, და მხრები ავიწურე.

— დედაშენის რა ისმის?

— არაფერი!

— მამაშენის?

— არაფერი!

— ყვითელი ფერი რატომ გაქვს, ავად ხომ არ ხარ?

— არა!

— არც ყოფილხარ?

— კი!

— რა გჭირდა?

— პლევრიტი!

— სულფიდინს სვამდი?

— არა!

— რატომ?

— ვერ ვიშოვე, ძვირია!

— მდა, კია ძვირი!.. ხომ სწავლობ?

— კი!

— როგორ სწავლობ?

— კარგად!

— შენ მაინც ივარგე, შენმა მშობლებმა შეირცხვინეს თავი და... — აბიბო წავიდა.

აბიბო ყოველთვის მხვდებოდა კიბეზე ან დილით ადრე, ან გვიან საღამოს და ყოველთვის მეკითხებოდა:

— როგორ ხარ, ბიჭო, თეიმურაზ?

— კარგად, აბიბო ბიძია!

— ხომ არ გშია, თუ მოგშივდეს, არ მომერიდო. დღეს ჭამე რამე?

— არა!

— რატომ მერე, უნდა ჭამო! სიცხე ხომ არ გაქვს, რაღაც თვალები გიპარპალებს!

— არა!

— ხომ სწავლობ?

— კი!

— კომკავშირში მიგიღეს?

— კი!

— აბა, შენ იცი!

და ასე ყოველთვის.

დედა რომ დაბრუნდა, ერთი **კვირის** თავზე, აბიბო კიბეზე შემხვდა. **იგი**

დასასრული. იხ. „მნათობი“ № 1.

თავის სახლის კარებს აღებდა. მე რომ დამინახა, სახე გაუნათდა!

— ო, თეიმურაზს ვახლავარ, თეიმურაზს!

— ძია აბიბოს გაუმარჯოს!

— შემოდი, ბიჭო, ჩემთან, არ გრცხვენია, ამხელა კაცი გაიზარდე და ერთხელ არ შემოგიყვია ცხვირი ჩემს ქოხში. აბა, შემოდი! — ვიდრე უარს ვიტყოდი, მხარზე ხელი დამარტყა და ოთახში შემიყვანა.

— დაჯექი! — მითხრა მან და რაღაც მძიმე ქსოვილგადაფარებულ მრგვალ მაგიდასთან დამსვა.

მე დავჯექი და ოთახის თვალიერება დავიწყე. აბიბო მეორე ოთახში გავიდა. ოთახში, რომელშიც მე ვიჯექი, კედელთან, შორაპნის სადგურში რომ უზარმაზარი ბუფეტი დგას, იმხელა შავი ბუფეტი იდგა, ვერცხლის და ოქროს წყალში ამოვლებული ჭურჭლით სავსე. ბუფეტის თავზე ორი ვეებერთელა ბროლის ვაზა იდგა, აქეთ-იქით. შუაში კი კიდევ ერთი, გემის ფორმის ბროლის ვაზა. სამივე ვაზა ხილით იყო სავსე და ისე შორს იდგა ჩემგან, რომ როგორც ნატურმორტს ისე აღვიქვამდი. ხელმარჯვნივ, მთელ კედელზე იმხელა ნოხი ეკიდა, იატაკსაც ჰფარავდა. ნოხზე უსაშველოდ დიდი ირმის რქები ეკიდა, ირმის რქებზე, ათასი ჯურის იარაღი. ცოტა ქვევით, დიდი შავი ჩარჩოდან ვიღაც ულვაშებაპრეხილი, ფაფახიანი კრეტინი და სანდომიანი სახის ქალი მიმზერდა. მათი სურათი ვერცხლის ვარაყიანი ხმლების ჯვარედინში იყო მომწყვდეული. ჩემს პირდაპირ საწერი მაგიდა იდგა. საწერ მაგიდაზე თეთრი მარმარილოს უხმარი საწერი მოწყობილობა იდო. მის გვერდით, — თეთრივე მარმარილოს მსუქანი კაცის ბიუსტი. საწერი მაგიდის უკან წიგნებით გამოჭედილი კარადა. ჩემს უკან შავი როიალი და როიალის თავზე თეთრი სპილოები. იქით ოთახში რა ხდებოდა, ეშმაკმა იცის. უცებ კარი გაიღო და ოთახში აბიბო შემოვიდა. მას ლურჯი და თეთრზოლებიანი პიჟამა ეცვა, თავზე ზამბარის ჩაჩი ეხურა, ფეხები ფოსტლებში გაეყარა და ორივე ხელში უზარმაზარი სავსე, სათითურისოდენა, ორი ყურის ფინჯანი ეკავა. და ძალიან ჰგავდა გამოქცეულ კატორღელს. იგი მოვიდა, დადგა მრგვალ მაგიდაზე, საწერი მაგიდის უჯრიდან კონიაკი გამოიღო, ისიც მაგიდაზე დადგა, მერე ბუფეტის თავიდან ხილი გადმოიღო, ისიც მაგიდაზე დადგა და გვერდით მომიჯდა!

— რას იტყვი? — მკითხა მან.

— რა ვთქვა? — ვკითხე მე.

— ხომ ხარ მაგრად?

— ისე, რა!

— აბა, თითო გადავკრათ! — თქვა მან და დაასხა.

ჩვენ გადავკარით. მე ისევ ოთახის თვალიერება დავიწყე.

— მამაჩემია! — თქვა მან და თავი სურათისკენ გაიქნია.

— ძალიან გავხართ!

— მამაა და აბა რა იქნება. დედაშენი ჩამოსულა, გავიგე! — მითხრა უცებ აბიბომ და თვალი თვალში გამიყარა.

— კი, ერთი კვირაა უკვე! — ვუპასუხე მე და თვალი ავარიდე.

— რაო, საწყალმა? — არ მომაცილა თვალი აბიბომ.

— არაფერი!

— არაფერს არ ყვება?

— არაფერს! — ვთქვი მე და თავი გავიქნიე.

— სულ არაფერს?

— ცოტას რაღაცას!

— მაინც?

— გვიჭირდაო!

— მერე?

— მერე არაფერი!

— მაინც?

— არც კი ვიცი, რაზე ვიტანჯებოდიო.

— არაო?

— არაო!

— მამაშენი ხომ არ შეხვედრია?

— სად?!

— იქ!

— არა.

— ჩემზე ხომ არ უთქვამს რამე? —

მკითხა აბიბომ და თვალები მოწურა.

— თქვენზე რა უნდა ეთქვა?

— ისე, არ ვუკითხივარ?

— კი!

— რაო? — თქვა აბიბომ და ჩემსკენ გადმოიხარა.

— როგორ გადარჩა ეგ საწყალიო!

— აბა, აბა, — გადაიქნია თავი აბიბომ და ისევ დაასხა კონიაკი.—კიდევ რას ამბობს?

— მეტს არაფერს. რა უნდა თქვას, მთელი დღე ზის და კითხულობს.

— რას კითხულობს?

— რაც შეხვდება!

— აბა ჩემზე სხვა არაფერი უკითხავს? — მკითხა ისევ დადარაჯებულად აბიბომ.

— მეტი არაფერი. თქვენ რა, იცით რამე, აბიბო ბიძია? — ვკითხე ახლა მე.

— მე რა უნდა ვიცოდე, ბიჭო?! — შეკრა წარბი აბიბომ.

— რა ვიცი, ისე ჩამაცივდით, ჩემზე რა თქვა, რა თქვაო...

— ჩაგაცივდი რას ქვია. ბიჭო, ისე გეკითხები, მეზობელმა მეზობელი არ უნდა მოიკითხოს?

— ჰო, ამობრძანდით და ნახეთ, ეთუ რამე სათქმელი მაქვს, თვითონ გეტყვით.

— როდესაც მექნება საშუალება ამოვალ.

— წავალ ახლა მე, აბიბო ბიძია!

— წადი!

მე ავდექი და კარებისკენ წამოვედი.

— ნახვამდის! — ვთქვი კარებთან.

— ნახვამდის! — თქვა აბიბომ. — მოიცა! — გამაჩერა უცებ. — დედაშენს ნურაფერს ეტყვი. ჩემთან რომ იყავი, იმასაც ნუ ეტყვი, ხომ იცი, მოიგონებს ძველ ამბებს და გული ეტკინება. გასაგებია? — ეს ბოლო სიტყვა კი არ მითხრა, მიბრძანა და თვალი თვალში გამიყარა. მე ჟრუანტელმა დამიარა ტანში.

— ახლა წადი! — თქვა მან და კონიაკი პირდაპირ ბოთლიდან მოსვა.

მე კარი გავიხურე.

თავერა

— ადექი, შვილო, ვიღაც კაცი გკითხულობს! — გამაღვიძა დედამ შუაღამისას.

მე გაკვირვებული ავდექი და შარვალი ჩავიცვი.

— ვინ არის, უთხარი შემოვიდეს!

— არ შემოდის, ერთი წუთით თემოს სთხოვეთო. — თქვა დედამ და შეშინებული თვალებით შემომხედა. მე გარეთ გავედი. სადარბაზოში ოთახთან შედარებით ბნელოდა. კარებში საშუალო ტანის, თვალებზე კეპჩამოფხატული კაცი იდგა. ხელში პატარა ჩემოდანი ეჭირა.

— ვინ გნებავთ? — ვკითხე მე.

— თემო, ბოდიში, მეგონა მარტო იყავი, გნახე და წავალ!..—თქვა უცნობმა მისი ხმა საოცრად მეცნაურა, მაგრამ მაინც ვერ მივხვდი, ვინ იყო.

— ვერ მიცანი?

— უკაცრავად, ვერ გიცანით!

უცნობმა ცალყბად გაიღიმა.

ღმერთო, სად მინახავს ეს ღიმილი. როგორ გავს... მეცხე კლასი... ვერა... უკანა მერხი... დიდი დასვენება... კოჭი... ჯილა თავერას ჯილა კოჭები... სიზი ალრანი... თავერას მტრედები... რამაზ კორსაველი, თავერა, თავერა, თავერა...

— თავერ!.. — ვიბღავლე მე და სკოლის დაკარგულ მეგობარს მოვეხვიე.

— თავერ, შენა ხარ, ბიჭო? შემოდი, თავერ, სადა ხარ, თავერ, შენა ხარ, ბიჭო?.. — თავერა თავს აკანტურებდა. უხერხულად იღიმებოდა. ოთახში შემოვათრიე და პირდაპირ ჩემს ლოგინზე დავსვი.

— დედა, რამე არა გაქვს? დედაა ჩემი! —თავერა წამოდგა და თავი დაუკრა.

— დაჯექი, შვილო! — უთხრა დედამ და სამზარეულოში გავიდა.

— საიდან, თავერ, მოყევი, ახლა, გაგათავისუფლეს? — ვკითხე თავერას და პიჯაკის ღილების გახსნა დავუწყე.

— შენ როგორ ხარ, თემო?

— ვარ, რა!

— გნახე და წავალ ახლა.

— გიჟი ხომ არა ხარ, სად უნდა წახვიდე! დედა, მოგაქვს რამე? — გავძახე დედას.

— თემო, წავალ და ხვალ გნახავ, შენთან დიდი საქმე მაქვს.

— რა საქმე, ახლა მითხარი.

ოთახში დედა შემოვიდა. მაგიდაზე პური, ყველი და ხახვი დადო, მერე მაგიდასთან დაჯდა.

— ჭამე, თავერ, გშია, ალბათ.

— გმადლობთ. — თქვა თავერამ და პატიჟი არ დაუწყია. იგი ჭამდა დინჯად, ენერგიულად და თავდაჭერილად, ეტყობოდა, ძალიან შიოდა და არ იმჩნევდა. მე არაფერს არ ვეკითხებოდი. არც ის ამბობდა. ბოლოს, ჭამა რომ დაამთავრა, პაპიროსი ამოიღო, მეც მომაწოდა. ერთად გავაბოლეთ.

— სთქვი სათქმელი. — ვუთხარი მე.

— წავალ. — თქვა თავერამ.

დედა გაკვირვებული გვიმზერდა.

— ეს ჩემი სკოლის მეგობარია, დედა, რამაზ კორსაველი, არ გახსოვს? ზედმეტ სახელად თავერას რომ ვეძახდით...

დედამ გაიღიმა და თავი გაიქნია, არ მახსოვსო.

— თავერა კორსაველი როგორ არ გახსოვს, აი, თავერა, მტრედები რომ ყავდა, მეც რომ მაჩუქა, ორი საფოსტო მტრედი.. პირველი კლასიდან ერთად ვსწავლობდით.

— არ მახსოვს, შვილო. — თქვა დედამ წყნარად. მერე წამოდგა და ივანზე გავიდა. — მე დავწვები. შენ ჩემს ლოგინზე დაწექი.

— მე წავალ, ქალბატონო! — თქვა თავერამ.

— იყავი, შვილო! — გაუღიმა დედამ. — ყველანი დავეტევით.

დედა დაწვა. მე და თავერა ერთმანეთის პირდაპირ ვიჯექით. მე თავერას თვალს არ ვაცილებდი, ის კი დანის წვერით მაგიდაზე პურის ნაფჩხვენებს აგროვებდა, მერე შუაზე ყოფდა, ისევ აგროვებდა ასე განუწყვეტლივ.

— სთქვი, თავერ! — ვუთხარი მე და მოსასმენად მოვემზადე.

— მომბეზრდა, თემო, აღარ შემიძლია, 10 წელი ძალიან ბევრია...

მე საშინელმა ეჭვმა გამიელვა თავში.

— ექვსი წელი მეყო... კიდევ ოთხ წელიწადში სიცოცხლე მორჩება. არც მაგათი „პრავა“ მინდა, არც მაგათი „რამკები“, არც მაგათი კარგი ბიჭობა, მე ჭურდი არა ვარ... მორჩა, ან ახლა უნდა დამიჭერონ, ან უნდა მოვკვდე. მეტი აღარ იქნება, მე ჩემი ბაზარი მოვრჩი..

— თავერ, შენ რა, გამოიპარე? — ვკითხე მე და პასუხის მოლოდინში პირი გამიშრა.

— მე, გიჟო, გივია, ლამაზ ვახო და ირაჩა..

— როგორ?

— ზონაში სტუდებეკერი იდგა, გასაღები შიგ იყო. იდგა უშოფროდ, ნახევარი საათი, ერთი, ორი, მერე გიჟო რულზე დაჯდა. მე გვერდით; გივია, ლამაზ ვახო და ირაჩა ძარაზე დაწვნენ. გიჟომ მოტორი ჩართო, ყურადღება არავინ მოგვაქცია, უკან დახია, მერე პირველი სიჩქარე, მეორე, ბოლომდე მისცა გაზი და პირდაპირ ჭიშკარს დაარტყა, ჭიშკარი შუაზე გაიხსნა და წავედით... ოთხივე კოშკიდან გვესროდნენ ავტომატებს... პარპრიზი მარილივით დაიფშვნა, ვიდრე აზრზე მოვიდოდნენ, კახეთის გზაზე გავედით, მანქანა გზაზე დავაგდეთ. ლამაზ ვახო და ირაჩა დაბრედილები იყვნენ. ლამაზ ვახოს თავის ქალა ჰქონდა ახდილი...—თავერა ადგა. —სხვადასხვა მხარეს წავედით, ეს სამი დღის წინ მოხდა... — თქვა მან და დანა ისე გადალუნა, ხელში ჩაატყდა.— ახლა მე მეძებენ. მეტი აღარ შემიძლია, კიდევ ოთხ წელს იქ ვერ გავძლებ, ან უნდა დამიჭერონ, ან მორჩა... —თავერა დაჯდა და ისევ დადუმდა. მე ცივი ოფლი მოვიწმინდე შუბლიდან, ავდექი და ოთახში გავიარე.

— ახლა მეძებენ, მე შენთან ვარ, განახე და წავალ, შენ მაინც იცოდე, იმიტომ არ გამოვქცეულვარ, იქ რომ დავბრუნდე ისევ... მეც შენსავით მინდა თბილ ლოგინში წოლა, სწავლა, მუშაობა... მეყო, ოთხ წელიწადში ცხოვრება გათავდება... ან უნდა მაპატიონ, დამიჯერონ, ან თავს მოვიკლავ და იქ აღარ წავალ...

— დაჯექი! — ვუთხარი მე. თავერა დაჯდა. — რამე მოვიფიქროთ!— ვთქვი მე და თვითონვე გამეცინა ჩემს ნათქვამზე, მე რა უნდა მოვიფიქრო-მეთქი.

— რა უნდა მოვიფიქროთ!—თითქოს მიხვდაო ჩემს ფიქრს თავერა, ცალყბად გაიღიმა.

თავერა ისევ პურის ნამცეცებს აგროვებდა ნეკით. მე გადატეხილი დანის ნაწილებს ვაერთებდი. დანა ისე ერთდებოდა, გადატეხილ ადგილს ვერ შეამჩნევდი. ხელს რომ ვუშვებდი, პირი მაგიდაზე ეცემოდა წკრიალით და მე მეორე ხელში მხოლოდ ტარი მრჩებოდა. დიდხანს ვიჯექით ასე. ვერაფერი რომ ვერ მოვიფიქრე, თავერას შევხედე. იგი კვლავ თავჩაღუნული იჯდა.

— დედა! — ვთქვი მე ჩუმად.

— ჰო, დედა! — მიპასუხა დედამ აივნიდან.

— გაიგონე?

— გავიგონე!

— ყველაფერი გაიგონე?

— ყველაფერი. — მე თავერას შევხედე, თავერას თავი არ აუწევია.

— რა ვქნათ, დედა?

დედა დადუმდა, ალბათ, ფიქრობდა რა უნდა გვექნა. იგი დიდხანს ფიქრობდა. პასუხი რომ დააგვიანდა, თავერამ თავი აწია, იგი იმედით იცქირებოდა იქითკენ, საითაც დედა იწვა და თვალები მოლოდინით ჰქონდა სავსე. პაპიროსი აიღო, ასანთს რომ უკიდებდა, შევატყე, ხელები უკანკალებდა.

— ა, დედა?! — ვეღარ გავუძელი მოლოდინს.

— ძალიან ძნელი საქმეა, შვილო...— თქვა ბოლოს დედამ.

— მაინც რა ეშველება?

— არ ვიცი, მე მგონი, ასეთი საქმის პატიება არ შეიძლება!

— რატომ? — ვკითხე მე და თავერას შევხედე.

— არ ვიცი რატომ, მაგრამ არ შეიძლება.

— კაცს თუ სწავლა უნდა, თუ ქურდობას თავს ანებებს, თუ მოსწყინდა ასეთი ცხოვრება...

— ამას ყველა პატიმარი ამბობს, მაგრამ არ უჯერებენ. — თქვა დედამ წყნარად.

— რატომ?

— არ ვიცი რატომ, ალბათ, ყველას არ დაეჯერება!

— თავერა ყველა არ არის, მე ვიცი, თავერა რასაც ამბობს, მართალია.

— შენ რომ იცი, შენ არავინ გკითხავს! — მითხრა დედამ. შევატყე, ვბრაზდებოდი.

— როგორ არ მკითხავს, შენ ყველაფრის გეშინია, არაფრის არ გჯერა, ყველაფერზე არას და არ ვიცის ამბობ. მე მივალ ყველასთან, ვთხოვ, ავუხსნი. შევეხვეწები, დავუმტკიცებ, რომ თავერასაგან კაცი გამოვა, სულაც ძია აბიბოსთან მივალ...

— მიდი, შვილო! — თქვა დედამ წყნარად და ამის შემდეგ ხმა არ ამოუღია.

— ნუ გეშინია, თავერ, რამეს გავაკეთებთ, მოვიფიქრებთ, ხვალ დილით აბიბოსთან მივალ...

— ვინ არის აბიბო? — მკითხა თავერამ.

— აბიბო პოდპოლკოვნიკია!

— დედაშენი მართალია, აოაფერი გამოვა. ასჯერ მაინც დავწერე განცხადება, ყველაფერს ვწერდი შიგ, ან არ კითხულობენ, ან არ ჯერათ... — თქვა თავერამ.

— დედაჩემმა რა იცის, შენ რა გინდა, მე მივალ, ვთხოვ, გინდა ახლავე მივალ? გავაღვიძებ, ვთხოვ... ბოლოს-დაბოლოს, კაცია, გაიგებს, ან ჰოს იტყვის, ან არას, გინდა შენც მიგიყვან?

— ჩემი მისვლა არ შეიძლება.

— მაშ შენ ჩემთან იყავი, არსად წახვიდე!

— ჩემი ქუჩაში გასვლა და მოკვლა ერთია... — გაიღიმა მწარედ თავერამ

— მე წავალ და ყველაფერს ვეტყვი. დედა, მე მივდივარ!

— მაინც ნუ ეტყვი სად არის!—დამაწია ხმა დედამ.

კიბეზე ჩავედი. აბიბოს კარებს რომ მივადექი, ცოტა შევყოყმანდი. იქნებ ხვალ აჯობებდა მისვლა, იქნებ სულაც არაფერი არ უნდა ვუთხრა ამ კაცს? იქნებ, იქნებ, მაგრამ მე სხვას არავის ვიცნობ, სხვა რა შემიძლია? ან თავერას სხვა რა გამოსავალი აქვს? თვითონ ამბობს: ქუჩაში მომკლავენო, თუ არ დამიჯერეს, თავს მოვიკლავო... სხვა გზა არც თავერას აქვს, არც მე.

ელექტროლილს თითი დავაჭირე გაბმულად. ცოტა ხანში შიგნიდან ფოსტლებისა და აბიბოს ხრინწიანი ხმა გაისმა:

— ვინ არის?!

— მე ვარ, ძია აბიბო, თემური!

— რა მოხდა?

— საქმე მაქვს, ძია აბიბო, გადაუდებელი! — ვთქვი მე.

ჯაჭვით დაბმული კარი ოდნავ გააღო, აბიბომ ცხვირი გამოყო, გაკვირვებულმა ამათვალიერ-ჩამათვალიერა, ბოლოს მკითხა:

— მარტო ხარ?

— მარტო.

აბიბომ ჯაჭვი ახსნა და კარი გააღო.

— შემოდი!

მე შევედი.

— ძალიან დიდ ბოდიშს ვიხდი, ძია აბიბო, მაგრამ ისეთი საქმე მაქვს...

აბიბო საწერ მაგიდას მიუჯდა, მთავარი ნათურა ჩააქრო და მაგიდის ნათურა აანთო. მე სიბნელეში აღმოვჩნდი.

— დაჯექი! — თქვა აბიბომ და ნათურა პროექტორივით მომანათა თვალებში. მე თვალები დავხუჭე.

— ცოტა მიაბრუნე, თორემ ვერაფერს ვხედავ! — ვთხოვე აბიბოს.

აბიბომ ნათურა მიაბრუნა, მე ახლოს მივედი მაგიდასთან და წინ დავუჯექი.

— რაშია საქმე? — მკითხა აბიბომ.

მე ისევ შევყოყმანდი, ვუთხრა თუ არ ვუთხრა? იქნებ არ ღირს?.. არ უთხრა, არ უთხრა, არ უთხრა... ჩაქუჩივით მცემდა საფეთქლებში ეს ორი სიტყვა... უთხარი, უთხარი, უთხარი... დაგადუგი გაჰქონდა გულს...

— დამუნჯდი? — მკითხა აბიბომ და სკამზე შეწრიალდა.

ვეტყვი, გადავწყვიტე მე და ნერწყვი გადავყლაპე.

— ძია აბიბო, ამ სამი დღის წინ, კოლონიიდან პატიმრები გაიქცნენ სტუდებეკერით...

— ვიცი! — თქვა აბიბომ და თვალები შემომანათა.

ღმერთო, რა ლურჯი და გამჭვირვალე თვალები აქვს ამ კაცს, ისეთი გამჭვირვალე, მგონი კეფა უჩანს. როგორ შეიძლება ამ თვალების პატრონს არ ენდო... გავიფიქრე მე.

— ხუთნი გაიქცნენ: გივია, გიჟო, ლამაზ ვახო, ირაჩა და თავერა... რამაზ კორსაველი.

— ვიცი, მერე? — თქვა აბიბომ მოუთმენლად.

— იმ ხუთში ორი მოკლეს, ირაჩა და ლამაზ ვახო.

— ეგეც ვიცი!

— დარჩენილ სამში ერთ-ერთი ჩემი სკოლის მეგობარია.

— გვარი?

— კორსაველი!

— სახელი?

— რამაზი, თავერა.

— სად არის? — ისე მოულოდნელად მკითხა აბიბომ, რომ ენა დამება.

— სად არის?.. ახლა არ ვიცი... დილით ვნახე, მერე... ახლა სად არის, არ ვიცი...

— არ იცი?

და მე მივხვდი, რომ ეს უკვე დაკითხვა იყო.

— ახლა სად არის, არ ვიცი! — როგორც იქნა, დავიწმინდე ხმა.

— მერე?

— ძია აბიბო, მე და თავერა ერთად ვსწავლობდით... თავერა ექვსი წელია

ზის, მეტი აღარ შეუძლია, თავერამ თქვა, ექვსი წელია ასი განცხადება დავწერე, ან არავინ კითხულობს, ან არ მიჯერებენო, მეტი აღარ შემიძლიაო, თავს ვანებებ ქურდობასო, სწავლა მინდაო, მშვიდი ცხოვრება მინდაო, პატრონი არ მყავს, ვისთან მივიდე არ ვიციო, ან უნდა დამიჯერონ, ან თავს მოვიკლავო. კიდევ ოთხ წელს ვერ გავძლებ, სიცოცხლე გათავდებაო.. ახლა ჩემს მეტი პატრონი არავინ ჰყავს. მე კიდევ თქვენს მეტს...

— შენს მეტი პატრონი არ ჰყავს?— მკითხა აბიბომ.

— არა!

— და დასახმარებლად შენთან მოვიდა?

— ჰო!

— და შენ—ჩემთან, შუაღამეზე? — მკითხა აბიბომ.

მე აბიბოს მზერას ვერ გავუძელი და თვალები დავხარე.

— ახლა სად არის, არ იცი? — არ მომეშვა აბიბო.

— მე ვუთხარი თქვენზე, როგორი კარგი კაცი ხართ, თქვენ დაეხმარებით და რომ თქვენ დაუჯერებთ მას...

— თვითონ რატომ არ მოვიდა?

— ვერ გაბედა!

— მაპატიონო?

— დამიჯერონო, აღარ მინდა ქურდობა. ადამიანური ცხოვრება მინდაო.

— მინდაო?

— ძია აბიბო, თქვენ ჩემი თუ გჯერათ? — ვკითხე უცებ აბიბოს. აბიბო ეტყობა ასეთ კითხვას არ ელოდა და ოდნავ შეყოყმანდა.

— ჩემი თუ გჯერათ, ძია აბიბო? — გავუმეორე კითხვა.

— გააჩნია რა?

— საერთოდ!

— საერთოდ? საერთოდ შენ კარგი ბიჭი ხარ და რატომ არ უნდა მჯეროდეს შენი?

— ჰოდა, თავერა ჩემზე კარგი ბიჭია, იგი ჩემთან რომ სწავლობდა, ფრიადოსანი იყო, ცხრა ქების სიგელი აქვს სახლში, ცხრა... ერთხელ შეცდა, არ უნდა აპატიონ? არ უნდა დაუჯერონ? ჩემი თუ გჯერათ, თავერასაც უნდა დაუჯეროთ... ძია აბიბო, ისე გაიკეთეთ, ვითომ მე ვარ თავერა. თქვენ ყველა დაგიჯერებთ, ყველა პატივს გცემთ...

— ხვალ! — თქვა აბიბომ და შუქი ჩააქრო.

—რა ხვალ? — ვკითხე მე.

— ხვალ გავიგებ ყველაფერს, ხვალ საღამოს.

მე ვერ ვხედავდი აბიბოს სახეს. ოთახში საშინლად ბნელოდა.

— ხვალ მოვიდე, ძია აბიბო? — ვკითხე მე და ავდექი.

— ხვალ საღამოს! — აბიბომ ოთახის მთავარი შუქი აანთო. იგი ზურგით იდგა ჩემსკენ, რომ შემოტრიალდა, სახე ისევ ისე მშვიდი და თვალები ისევ ისე ლურჯი და საოცრად გამჭვირვალე ჰქონდა.

— ხვალ! — თქვა მან და კარი გამიღო.

* * *

ბოლო ლექციაა. საქართველოს ისტორია. ცხრის ნახევარია, თხუთმეტ წუთში ლექციები დამთავრდება. თავერა ახლა ზის და მელოდება. აბიბო მოსული იქნება სამსახურიდან, ისიც მელოდება. დედა სამზარეულოშია, ფანჯარასთან ზის, საათსა და ქუჩას თვალს არ აცილებს, ის ყველაზე უფრო მელოდება..

კათედრაზე დგას პატარა ტანის პროფესორი. იგი ძალიან კარგად კითხულობს ლექციებს, ამიტომ მის ლექციაზე ტევა არ არის, აუდიტორია დულს და გადადულს.

...ვახტანგ გორგასალი გოლიათური აღნაგობის კაცი იყო, როგორც მემატიანე აღნიშნავს, „სიმაღლე მისი იყო ათორმეტი ბრჭყალი კაცისა..."

მე და გურამი ერთად ვსხედვართ. გურამი თვალს არ აცილებს ლექტორს, მაგრამ, ჩემი არ იყოს, ისიც სხვა რაღაცაზე ფიქრობს, ალბათ, თავერაზე, ამ დილით მოვუყევი ყველაფერი, სულე-

ლი ხარო მითხრა. გულიკო ჩემს წინ, მეოთხე მერხზე ზის. მისი წითელი თავი მზესავით ანთია ამდენ შავ თავებში. იგი დროდადრო იწერს ლექტორის ნალაპარაკებს...

...მოიწვია დიდებულები ჭაბუკმა მეფემ და გაუმხილა თავისი განზრახვა, ალანთა ანუ ოვსთა და ხაზართა დალაშქვრის შესახებ, რათა თავისი გატაცებული და მირანდუხტი გამოეხსნა.

რაც ბათუმიდან დავბრუნდით, მე და გულიკო ერთმანეთს არ შევხვედრივართ. მას დედაკაცური სიამაყე ახრჩობდა, მე მამაკაცური თავმოყვარეობა. იგი ჩემს გატეხას ელოდა, მე მისას. გურამი ერთ ხანს დარბოდა ჩემსა და გულიკოს შორის შუამავლად. მერე თქვა, მეც მაქვს თავმოყვარეობაო და თავი დაგვანება.

თავერა ახლა ზის და მელოდება... დედა მელოდება, აბიბოც მელოდება...

აბიბომ უკვე ყველაფერი იცის...

...დარიალის ხეობა ვიწრო იყო, ჯარი საომრად ვერსად გაიშლებოდა. ამიტომ მეომარმა მხარეებმა მოილაპარაკეს, ფალავნები გამოვიყვანოთო. გამოიყვანეს ხაზარებმა ვინმე ახმახი ფალავანი თარხან ხაზარი, ქართველებმა კი ფარსმან ფარუხი... დაჰკრა თარხან ხაზარმა მახვილი ფარსმან ფარუხს და ცხენიანად შუაზე გააპო. დაღონდნენ ქართველები და მაშინ ამხედრდა ცხენზე ვახტანგ გორგასალი...

— ხომ არ უთხარი ჩემთან არისო? — მეასედ მეკითხება გურამი. მე უარყოფის ნიშნად თავს ვუქნევ. რა იქნება ახლა, რომ თავერა ჩვენთან ერთად იჯდეს. უნივერსიტეტი ისევ ის უნივერსიტეტი იქნება. ძია მოსე ისევ იდგება კარებში და თავერასაც გაუსინჯავს სტუდბილეთს, რათა იგი უსტუდბილეთოდ არ შეძვრეს ლექციაზე და სხვისი წილი ცოდნა არ მოიპაროს. კლუბის გამგედ ისევ ვახტანგ მჭედლიშვილი იქნება და შეიძლება თავერა დრამწრეშიც ჩაწეროს... დრამწრე მესამე წელია „ოტელოს“ ამზადებს და ძალიან სჭირდება ხუჭუჭთმიანი და ბოხხმიანი სტუდენტი მავრის როლის შესასრულებლად.

...იხილეს რა თარხან ხაზარი თავმოკვეთილი, შეკრთა ალანთა და ხაზართა ლაშქარი, მაშინ ოვსებმა გამოიყვანეს ბაყათარ ოსი ვოლიათი, რომლის სიმძიმის ქვეშ ცხენი იზნიქებოდა. — გამოდი გამოლმა და შემებრძოლეო, გამოსძახა ბაყათარმა ვახტანგს, — მე მეფე ვარ, შენ კი მონა ხარ ჩემი, შენ გამოდიო. — გასძახა ჭაბუკმა მეფემ. გამოვალ, ოღონდ მდინარეში არ შემომივარდეო ჩამოართვა ფიცი ბაყათარმა...

თავერამ პაპიროსის წევა მერვე კლასში დაიწყო. მერვე კლასში ვიყავით, თავერამ რომან ჩარექიშვილის პიესაში ჰიტლერი რომ ითამაშა. პიესას „ბერლინის აღება“ ერქვა.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲐ

ისტორიული დრამა ერთ მოქმედებად და ორ სურათად.

მოქმედი პირები:

ჰიტლერი — რამაზ კორსაველი.
გებელსი — ვაჟა ჭანიშვილი
გერინგი — არჩილ ერგემლიძე
პაულიუსი — პაველ რატიანი
ევა ბრაუნი — ინოლა ტყემალაძე
წითელარმიელები.
ლეიტენანტი — თეიმურაზ ბარამიძე
I ჯარისკაცი — გურამ ჭიჭინაძე
II ჯარისკაცი — ნესტორ ჯაფარიძე
III ჯარისკაცი — ნოდარ მიქიაშვილი.

ავტორი — რომან ჩერქეზიშვილი.

დამდგმელი რეჟისორი — პიონერხელმძღვანელი ლილი უგულავა.

რეპეტიციები მიმდინარეობს ყოველ დღე 6-დან 9-მდე, მეთხუთმეტე სკოლის კლუბში.

პრემიერა 3 თებერვალს. დასწრება უფასო. მოსაწვევებით.

პიონერხელმძღვანელმა და რეჟისორმა ლილი უგულავამ როლები დაგვირიგა და მაგიდის თავში დაჯდა.

— რომან, დაიწყე კითხვა! — უთხრა მან ავტორს. ავტორმა სქელ ყდაში

ჩასმული პიესა გაშალა, მუშტში ჩაიხველა და გაუბედავად დაიწყო.

„მოქმედება მიმდინარეობს ბერლინში, რაიხსტაგში. გრძელ მაგიდას უსხედან გებელსი, გერინგი, პაულიუსი, ევა ბრაუნი და ჰიტლერი, ოღონდ ჰიტლერი ფეხზე დგას. იგი ფრჩხილებს იჭამს, კეფას იფხანს, ეგზემა აქვს, და ყვირის გიჟივით. ხანდახან ისმის ბერლინის დაბომბვის ხმები.

ჰ ი ტ ლ ე რ ი — მე მიწასთან გავასწორებ რუსეთს, მე დავაჩოქებ სტალინს, ერთ კვირაში სტალინგრადი ჩემი იქნება!

ე ვ ა — შენი იქნება, გენაცვალე, შენი, ოღონდ ნუ ნერვიულობ! (ევა ლოყაზე უსვამს ხელს ადოლფს, ამშვიდებს და თვალებში შესციცინებს. ჰიტლერი თავის მხრივ ჰკოცნის ევას ლოყაზე და ჯდება).

გ ე ბ ე ლ ს ი — ჩემო ფიურერო! (დგება) ჩვენი ჯარები საეჭვოდ გაჩერდნენ სტალინგრადთან. საჭიროა მთელი ძალების მობილიზაცია, თორემ დამარცხება გარდაუვალია. მე მეშინია, რომ...

ჰ ი ტ ლ ე რ ი — (წამოხტება, პირიდან ქაფი გადმოსდის, მაგიდაზე ხელს დაარტყამს) მშიშრებო, გეშინიათ? დაიკარგეთ აქედან! თქვენი ბურდღა არ დავინახო რაიხსტაგში, მშიშრებო, ლაჩრებო, ცხვრებო, ცხვრები ხართ, ცხვრები!

გ ე რ ი ნ გ ი — (წამოხტება) მე არ ვარ ცხვარი, მე არ მეშინია!

ჰ ი ტ ლ ე რ ი — მოდი, გაკოცო! (გერინგი მივა, ჰიტლერი გულში ჩაიკრავს. სანამ ჰიტლერი გერინგს გულში იკრავს, ევა ეუბნება გებელსს).

ე ვ ა — არ გრცხვენია, გებელს? ამას კიდევ ნერვების აშლა უნდა? ხომ ხედავ, გაგიჟებულია კაცი.

გ ე ბ ე ლ ს ი — ბოდიში, ბატონო, მართლის თქმა თუ არ შეიძლება, გავჩუმდები (გებელსი ჩუმდება. ჰიტლერი ამასობაში ამთავრებს გერინგის კოცნას და აღტაცებით წამოიძახებს).

ჰ ი ტ ლ ე რ ი — შენ წახვალ სტალინგრადში, ჩემო მსუქანო და ერთგულო გერინგ!

გ ე რ ი ნ გ ი — (შეშინებული) მეე?

ჰ ი ტ ლ ე რ ი — შენ, აბა მეე? (გერინგს ფერი წაუვა).

გ ე რ ი ნ გ ი — ძმაო ჰიტლერო, მე აქ ვჭირდები ჩემს ფიურერს. უწინამც დღე კი დამელევა, მე ვიდრე შენ მიგატოვებ. სტალინგრადში წავა პაულიუსი (პაულიუსს სახე მოეცევა).

ჰ ი ტ ლ ე რ ი — წახვალ?

პ ა უ ლ ი უ ს ი — წავალ, აბა, არ წავალ?! (ამოიკნავლებს).

ჰ ი ტ ლ ე რ ი — შენი პირიმე, შენი, არ მომეშვა გულზე?! (კოცნის ჯერ ევას, შემდეგ — პაულიუსს. შემდეგ იხსნის ორდენებს და გულზე ჰკიდებს პაულიუსს. პაულიუსი ტირის).

პ ა უ ლ ი უ ს ი — ჩემო ფიურერო, ეს არის ჩემს სიცოცხლეში ყველაზე ბედნიერი წუთები. მე წავალ სტალინგრადში, მე მოვსპობ კომუნისტებს, ცეცხლს მივცემ [illegible] სტალინი ჩავიგდო ტყვედ (ევა აღტაცებისაგან ტაშს შემოკრავს და წამოხტება).

ე ვ ა — (ჰიტლერს) შეიძლება ვაკოცო პაულიუსს?

ჰ ი ტ ლ ე რ ი — მიდი! (ევა კოცნის პაულიუსს, პაულიუსი შეშინებული თვალებით უმზერს ჰიტლერს, არ იეჭვიანოსო).

ჰ ი ტ ლ ე რ ი — მიდი, მიდი! (ამხნევებს პაულიუსს. პაულიუსი ჰკოცნის ევას. ჰიტლერი თვალს არიდებს).

პ ა უ ლ ი უ ს ი — (კოცნას ამთავრებს) მე ვაჩვენებ კომუნისტებს რა არის გერმანული იარაღი! (ისმის დაბომბვის ხმა. პაულიუსი მაგიდის ქვეშ მიძვრება. სროლა რომ მიწყდება, გამოდის) მე კართაგენივით გადავხნავ სტალინგრადს. და თუ არ დავბრუნდი ცოცხალი ბრძოლის ველიდან, იცოდეთ რომ ჩემი უკანასკნელი სიტყვები იქნება — ფიურერი! (ჯდება და ტირის).

გ ე ბ ე ლ ს ი — ჩემო ფიურერო, მე ბოდიშს ვიხდი. წეღან რომ უიმედობა გამოვთქვი. ახლა ისევ მომეცა იმედი და საჯაროდ ვაცხადებ შენს ერთგულებას, კომუნიზმის დღეები დათვლილია, სტალინი, დღეს თუ არა, ხვალ დაგვნებდება, რუსეთი იქნება ჩვენი კოლონია. გაუმარჯოს გერმანიას!

ჰ ი ტ ლ ე რ ი — მოდი შენც გაკოცო! (გებელსი მიდის. ისინი კოცნიან ერთმანეთს. ევა მაღალ ჭიქებში ასხამს ღვინოს).

ე ვ ა — ბატონებო, გაუმარჯოს გერმანიას, გაუმარჯოს ფიურერს! (ყველანი სვამენ და მღერიან მრავალჟამიერს გერმანულად).

ჰ ი ტ ლ ე რ ი — ახლა წადით, მე და ევას გვეძინება! (ევა ამთქნარებს. ყველანი გადიან ოთახში სინათლე ქრება).

ფარდა

პირველი მოქმედების პირველი სურათის დასასრული.

მეორე მოქმედება უმთავრესად ხმის და სინათლის ეფექტებზე იყო აგებული. მოქმედება მიმდინარეობდა ისევ ბერლინში, ოღონდ თავშესაფარში. ჩანდა ჰიტლერის აფორიაქებული კანცელარია და კარებშენგრეული მისი ოთახი, უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი ნივთები და ქაღალდები. სინათლე ინთებოდა და ქრებოდა, ინთებოდა და ქრებოდა. ოთხი მძლავრი ვენტილატორი ბუღს აყენებდა სცენაზე, კულისებში განუწყვეტლივ ისმოდა დოლზე ძლიერი და-

რტყმები. ბერლინი სულს ღაფავდა. უცებ კანცელარიის კარებში ვჩნდებოდი მე ჩემი ჯარისკაცებით. ავტომატები მომარჯვებული გვქონდა.

— ხელები ზევით, ჰიტლერო, გერინგო, გებელსო, რიბენტროპო და ქალბატონო ევა! — ვყვიროდი მე.

კანცელარიიდან ხმა არ ისმოდა. მაშინ მე შევდიოდი რაიხსკანცელარიაში იარაღმომარჯვებული და რას ხედავდა ჩემი თვალები: იატაკზე ეგდნენ ევა, ჰიტლერი და გერმანული ნაგაზი, იქვე ეგდო საწამლავიანი ბოთლი.

— თავი მოუწამლავთ ლაჩრებს! — ვამბობდი მე და ამაყად ვიცინოდი.

— თავი მოუწამლავთ — ამბობდნენ ჩემი ჯარისკაცები ერთხმად და ისინიც იცინოდნენ.

— მეგობრებო! —ვიწყებდი მე მონოლოგს. — მტერი განადგურებულია საკუთარ ბუნაგში. ბოროტსა სძლია კეთილმან. რიგითო ჭიჭინაძე, გადაეცი ამხანაგ ჟუკოვს, რომ ომი დამთავრებულია. გურამი მხედრულ სალამს მაძლევდა და გადიოდა. ამით მთავრდებოდა სპექტაკლი.

გენერალურ რეპეტიციას პედაგოგთა და მშობელთა სამხატვრო საბჭო დაესწრო.

— ფახურეთ კარები და არავინ გაუშვათ გარეთ! — ბრძანა დირექტორმა. კარები დახურეს. პირველად ინოლა ტყემალაძის მამამ აიღო სიტყვა:

— პატივცემულო დირექტორო! — დაიწყო მან. — მე მგონი, ჩვენი ოჯახი არ ზრდის ცუდად ბავშვს, იგი დადის მუსიკაზე, ინგლისურზე, თქვენობით ელაპარაკება უფროსებს და სწავლობს ფრიადებზე. რით აიხსნება ის ფაქტი, რომ იგი გარყვნილი დედაკაცის, კაცობრიობის უსასტიკესი მტრის, კაციჭამია ჰიტლერის საყვარლის, ევა ბრაუნის როლს ასრულებს?

— ეს ხელოვნებაა, ბატონო! — თქვა პიონერხელმძღვანელმა.

— ეს არის გარყვნილება, სპექტაკლში სამჯერ კოცნიან მას: ორჯერ ჰიტლერი და ერთჯერ გებელსი. მე მიმყავს იკი ამ წრიდან და სკოლიდანაც. წამოდი, შვილო! — ევა წაიყვანეს.

ᲐᲠᲥᲘᲕᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

არჩილ ერგემლიძის მშობელმა უსიამოვნებლობა გამოთქვა იმის გამო, რომ მისი, ძველი ბოლშევიკის შვილი, გერინგის როლს ასრულებს და მისი ტექსტი ძირითადად სტალინისა და კომუნისტების გინებაზე არის აგებული. ხომ არ აჯობებდა, რომ გერინგის როლი მე, თეიმურაზ ბარამიძეს, ტროცკისტის შვილს, შემესრულებინა, ხოლო საბჭოთა ოფიცრის როლი მის შვილს, არჩილ ერგემლიძეს. — ეს წინადადება დირექტორმა ჩაიწერა.

ვაჟა ჭანიშვილის დედამ კატეგორიულად დასვა საკითხი გებელსის კოჭლობის შესახებ და თქვა: — მე არ მინდა ხალხმა იფიქროს, რომ ჩემი შვილი კოჭლია!..

— გებელსი მართლა კოჭლი იყო, ქალბატონო! — აუხსნა რეჟისორმა.

— მაგას არა აქვს ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა! ნახევარმა თბილისმა არ იცის, რომ გებელსი კოჭლი იყო.

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა ეჭვი გამოთქვა პიესის სიუჟეტის განვითარებაზე.

— სამამულო ომის მძიმე დღეებიდან, — თქვა მან, — გამოტოვებულია მთელი რიგი ეპიზოდები. რაც მთავარია, ჰიტლერი გამოიყურება ძალიან ახალგაზრდად და ამიტომ აკლია დამაჯერებლობა. ესეც არ იყოს, ყურს ცოტა ეხამუშება, როდესაც ჰიტლერი და სხვები ქართულად ლაპარაკობენ. აჯობებდა პირველი სურათი მთლიანად ამოგვეხსნა! — დაასრულა მან.

— ჰიტლერი არც მე მომწონს!—თქვა დირექტორმა. — ჩარექიშვილო, — მიმართა მან უცებ გაფითრებულ ავტორს, — საიდან მოიტანეთ ტექსტი, რომელსაც ჰიტლერი ამბობს სიკვდილის წინ!

— ის ტექსტი, პატივცემულო მასწავლებელო, მე თვითონ მოვიგონე!

—რა უფლება გაქვს, შენ, გამოიგონო ტექსტი, რომელიც არავის მოუსმენია. რა იცი შენ, რას აკეთებდა ჰიტლერი თავის კანცელარიაში?

ჩარექიშვილმა ვერ გაიხსენა, ვინ მოუყვა, რას აკეთებდა ჰიტლერი თავის კანცელარიაში და თავი ჩაქინდრა.

— პატივცემულო დირექტორო, როგორ შეიძლება ასე პედანტურად მივუდგეთ საკითხს, ბავშვები თავს ირთობენ, რაღაცას წერენ, რაღაცას თამაშობენ, ღმერთმა ხელი მოუმართოთ. — თქვა ნოდარ მიქიაშვილის დედამ.

— თქვენ რა გენაღვლებათ, ქალბატონო, თქვენი შვილი წითელარმიელს თამაშობს, ჩემი კი მთელი სპექტაკლის განმავლობაში დედმამის სულს უტრიალებს ჩვენს მთავრობას! — წამოხტა ფეხზე პაულიუსის მამა.

— სირცხვილია, ამხანაგებო, ამაზე ლაპარაკი! როგორ შეიძლება სერიოზულად მივიჩნიოთ ყოველივე ეს, ბოლოს და ბოლოს, მერვე კლასია. — გაიღიმა ერთ-ერთმა მასწავლებელმა.

და მაინც პრემიერა არ შედგა. პიონერხელმძღვანელს გამოეცხადა სასტიკი საყვედური ცუდი მუშაობისათვის, ხოლო რომან ჩარექიშვილს აეკრძალა სამამულო ომის თემაზე პიესების წერა...

აღარ ირეკება ეს ოხერი? უკვე ცხრას თხუთმეტი წუთი აკლია...

...და გასტეხა ვახტანგმა ფიცი, შეუვარდა მდინარეში... ბაყათარი წყალმა წაიღო, მაშინ იბრუნეს პირი ალანებმა და ხაზარებმა...

ზარი დაირეკა. მე ყველაზე ადრე გამოვვარდი აუდიტორიიდან, გურამი უკან მომდევდა. გიჟივით გავირბინე უნივერსიტეტის ეზო, ქუჩა, სადარბაზო, კიბეები, პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე სართული... დედა გაფითრებული იდგა კარებში.

— რა იყო, დედა?!

— წაიყვანეს! — თქვა მან.

რომ არ წავქცეულიყავი, იქვე, კიბეზე ჩამოვჯექი და ჩემს უკან მომავალ გურამს მივაშტერდი. მერე რაღაცამ მიჩხვლიტა გულთან და სუნთქვა შემეკრა... რას იფიქრებს თავერა... ღმერთო, ეს რა მომივიდა, რას იფიქრებს თავერა... რას იფიქრებს თავერა... სახეთქლები ამეწვა და სახეზე სისხლი მოძაწვა.

— არ არის? — მკითხა შეშინებულმა გურამმა.

— არა! — ვუთხარი მე და ავდექი.

— შემოდი, შვილო, სახლში. — მთხოვა დედამ.

— შემოდი! — მთხოვა გურამმაც. მაგრამ მე აღარაფერი მესმოდა, კიბეს დავუყევი ქვევით.

— არ ქნა, შვილო! — წინ გადამიდგა დედა... მე დედა ფრთხილად მოვიცილე და გზა განვაგრძე.

— თუ გიყვარვარ, არ ქნა, შვილო... — მეხვეწებოდა გაფითრებული დედა და გვერდით მომდევდა. მე აბიბოს კარს მივადექი და ზარი დავრეკე. კარი არავინ გააღო. მაშინ მუშტი დავარტყი კარს, ერთი, ორი, სამი, შიგნიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. მე კარს წიხლი დავარტყი.

— გაგიჟდი?! — მომქაჩა გურამმა. მე გურამს ხელი ვკარი და კარებს ბეჭით დავეჯახე.

— გამოდი, გამოდი, შე მათხოვარო, გამოდი, დამიჭირე, ვიცი სახლში ხარ, გამოდი... სულ ერთია, ჩამოვიღებ კარს. გამოდი, შე დამპალო, გამოდი, ეგ არის შენი კაცობა!.. მათხოვარო, გამოდი, დამიჭირე, გამოდი, გამოდი!

— ნუ იზამ, შვილო, წამოდი სახლში... — მეხვეწებოდა დედა. ხმაურზე მეზობლები გამოცვივდნენ და ვაკვირვებულები სეირს უყურებდნენ.

— გამოდი, გააღე კარი, სახეში შეგაფურთხო! — მე კარს მივაფურთხე და მუშტების ბრახუნი ავტეხე, მერე ფეხები მომეკვეთა, კარებთან ჩავჯექი, თავი მუხლებში ჩავიდე და ტირილი დავიწყე, არაფრისათვის გალახული ბავშვივით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონი დავითი

თეიმურაზ ბარამიძე, მზე ამოდის და მზე ჩადის შენთვის უკვე ოცდაორი წელიწადია. იგი ისევე ამოდის და ჩადის შენთვის, როგორც სხვისთვის „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან, მზე სწორად მოეფინების“. თეიმურაზ ბარამიძე, შენ იყავი უდარდელი ბიჭი, კეთილი ბიჭი, გიყვარდა მზე, ზღვა და გულიკო. უდარდელი იყავი იმიტომ, რომ არავინ გყავდა საადარდებელი, კეთილი იყავი იმიტომ, რომ არ იცოდი რა იყო ბოროტი, გიყვარდა მზე იმიტომ, რომ მზე გათბობდა და არ გწვავდა, გიყვარდა ზღვა იმიტომ, რომ ზღვა გიალერსებდა და არ გახრჩობდა, გიყვარდა გულიკო იმიტომ, რომ გენატრებოდა, უიმისობა არ შეგეძლო და მასაც უყვარდი. შენ გყავს მეგობარი ბურამი, კაცი, რომელიც არასდროს გიღალატებს ცხოვრებაში... ჰოდა, რა მოხდა, ბიჭო, ასეთი შენს ცხოვრებაში, წლები რომ გემატება და საადარდებელიც გემატება. რატომ გწვავს ახლა მზე ასე მწვავედ, რატომ გეშინია ზღვის, რატომ აღარ გენატრება გულიკო, რატომ გაურბი მასთან შეხვედრას, ისეთი რა მოხდა... საიდან, ბიჭო, ამდენი ეჭვი და დარდი, საიდან ნეტავი კაცი ასი წლის იბადებოდეს და შემდეგ წლები აკლდებოდეს და წლებთან ერთად დარდიც, მერე მხედველობაც. სმენაც, აზრიც, დედის საშოში რომ უგრძნობი და უდარდელია, ისე უდარდელი კვდებოდეს. კვალი? რა კვალი, კაცს გინდა წინ გივლია, გინდა უკან, კვალი კვალია. თეიმურაზ ბარამიძე, რაზე ფიქრობ. არ გინდა უკუღმა ნავალი კაცის კვალი დატოვო? მაშინ წინ იარე, ბიჭო. გეშინია? რისი გეშინია?

არაფრისაც არ მეშინია, ვინ გითხრა, რომ მეშინია? ვინ გითხრა, რომ მზე მწვავს, ვინ მოგატყუილა, რომ ზღვა მახრჩობს, ვინ გითხრა, რომ გულიკო არ მიყვარს? ვინ? ვინ გითხრა, რომ დარდი მემატება ყოველ წელს?

შენ, შენ მითხარი.

მე გითხარი?

ჰო, შენ, თეიმურაზ ბარამიძემ.

შენ მითხარი, რომ ცხოვრების გეშინია... მაგრამ არ გითქვამს რატომ. იქნებ იმიტომ, რომ შენ და დედაშენი ბევრ რამეში ვერ უგებთ ერთმანეთს? იმიტომ ხომ არა, რომ დურსუნისთანა კაცი შეგხვდა ყავახანაში და თავის ჩამქრალ გულის სარდაფში ჩაგახედა. ან იმიტომ, რომ აბიბომ სულში ჩაგაფურთხა. იქნებ იმიტომ, რომ თავერასი არავის სჯერა. შეიძლება იმიტომაც, რომ დაკარგე გულიკო...

. . . . . .

— გულიკო, რამდენი ხანია არ მინახიხარ, გულიკო!

— გამარჯობა, თემო!

— რა მოხდა, გულიკო, ჩვენს შორის ისეთი, რომ ასე გავცივდით ერთმანეთის მიმართ?

— არ ვიცი, თემო!

— მაინც?

— არ ვიცი.

— იქნებ ის პატარა, გაუგებარი შემთხვევა, ზღვაზე რომ მოხდა?

— არა მგონია, თემო, ალბათ, ეგ უბრალო მიზეზი იყო...

— მიზეზი?

— ჰო, მაშ რად აღარ მომინდა შემდეგ შენი ნახვა?..

— აკი ყოველდღე ვხედავთ ერთმანეთს ლექციებზე.

— კი, მაგრამ, ხომ აღარ ვხვდებით!

— რატომ მერე, გულიკო?

— არ ვიცი, თემო, დედას გეფიცები, არ ვიცი.

— სხვა შეგიყვარდა ვინმე?

— არა, თემო, არავინ. ვფიცავ, არავინ. აღარ მენატრები, აღარ ვფიქრობ შენზე, აღარ მომწონხარ, უცნაური გახდი.

— რაში მეტყობა უცნაურობა?

— თუნდაც იმაში, რომ აღარ გიყვარვარ და ამდენს მელაპარაკები, თავსაც იტყუებ, მეც მატყუებ..

— რატომ ფიქრობ, გულიკო, რომ აღარ მიყვარხარ, ან რა მიზეზით?

— ალბათ იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც მე აღარ მიყვარხარ.

— რა არის ეს მიზეზი?

— არ ვიცი, ამ მიზეზს მიზეზი არა აქვს. გამოტყდი, რომ შენც აღარ გიყვარვარ. შენ ხომ მართალი ბიჭი ხარ. ჰოდა, თქვი, ხომ აღარ გიყვარვარ?

— ისე აღარ მიყვარხარ, როგორც წინათ...

— აი, ხომ ხედავ, მე მიზეზს არ გეკითხები.

— მაშ, როგორ მოვიქცეთ, გულიკო?

— როგორც სხვები იქცევიან, დავიწყოთ ყველაფერი...

— ყველაფრის დავიწყება არ შეიძლება, გულიკო...

— შეიძლება.

— როგორ?

— აი, მე აღარ მახსოვხარ შენ, მე აღარ მახსოვს რა გქვია შენ.

— მე თემური მქვია!

— უკაცრავად, ვერ გაგიხსენეთ, რა გვარი ბრძანდებით?

— თემურ ბარამიძე, თქვენთან ერთად ვსწავლობ, ეკონომიკის ფაკულტეტზე, IV კურსზე...

— არ ვიცი, არ შემხვედრიხართ, ალბათ, ლექციებზე არ დადიხართ.

— როგორ არა, თქვენს უკან ვზივარ, მეორე მერხზე, თქვენ გულიკო არ ხართ, ციბაძე, ლოტკინის გორაზე ცხოვრობთ!

— არა, თქვენ ვიღაცაში გეშლებით, ბოდიშს ვიხდი, მეჩქარება, მშვიდობით...

—მშვიდობით, გულიკო!..

* * *

— ამხანაგო ბარამიძე, მოგვაქციეთ, თუ შეიძლება, ყურადღება, მე მგონი, ფაკულტეტის კომკავშირის კრებაზე თქვენი საკითხი ირჩევა და არა ჩემი.— გაიწკარუნა ზარი კრების თავმჯდომარემ.

კრება ოთხმოცდამეათე აუდიტორიაში მიმდინარეობდა. ორმოცდაათი სტუდენტის გარდა, კრებას ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანი ბატონი დავითი და სამართლის ლექტორი ბატონი გიორგი ესწრებოდნენ. დღის წესრიგში ერთადერთი საკითხი იდგა, კერძოდ, „სტუდენტ ბარამიძის გამოხდომების შესახებ, რომელმაც მთვრალ მდგომარეობაში დებოში ასტეხა სახლში, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეზობლის კარს და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა პასუხისმგებელ მუშაკს, რომელსაც მათხოვარი უწოდა, მაშინ როდესაც უკანასკნელი მსგავს მოქმედებაში არასოდეს ყოფილა შემჩნეული“.

მე კედელთან მიდგმულ ცალკე მერხზე ვიჯექი ბრალდებულივით და, საკუთარ ფიქრებში წასულს, არც კი მომისმენია საბრალდებულო დასკვნა, რომელსაც კომიტეტის მდივანი უშანგი ქოჩაკიძე კითხულობდა. ალბათ, ამიტომ მომცა შენიშვნა კრების თავმჯდომარემ.

— ამხანაგებო! — განაგრძო მდივანმა. — აღნიშნული შემთხვევა იმაზე ლაპარაკობს, რომ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ჩვენს ფაკულტეტზე მოიკოჭლებს. მოიკოჭლებს კი არა, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირდაპირ ჩავარდნილია... და შემდეგ კომკავშირის კრებაზე ჩვენ გამოვიტანთ ამ საკითხს. გვეყო, ამხანაგებო! გვეყო ამდენი თავის მოჭრა. ვინ აცდენს ლექციებს? ბარამიძე და ჭიჭინაძე. ვის გამოყვა საშემოდგომო გამოცდები? ბარამიძეს და ჭიჭინაძეს. ვინ არ იხდის საწევროებს დროზე? ბარამიძე და ჭიჭინაძე.

— ძვირფას უშანგის შემოევლოს ჭიჭინაძის თავი, მე მგონი, ჩემი საკითხი არ ირჩევა დღეს... — წამოდგა ფეხზე გურამი.

— ამხანაგო ჭიჭინაძე, თქვენი რიგიც მოვა! — დაემუქრა უშანგი.

— ჰოდა, მაშინ ილაპარაკე ჩემზე, სანატრელო!

— ამხანაგო ჭიჭინაძე, თქვენ ნუ მასწავლით მე როდის რა ვილაპარაკო! — თქვა უშანგიმ და თავმჯდომარეს გადა-

ხედა. თავმჯდომარემ ზარი დარეკა. გურამი დაჯდა.

— ამხანაგო ბარამიძე, უთხარი კრებას შენი ხულიგნობის მიზეზი. — მომმართა უშანგიმ.

— არაფერი არ მახსოვს, ძალიან მთვრალი ვიყავი! — ვთქვი მე.

— ესე იგი, თქვენ არ უარყოფთ, რომ მთვრალი იყავით? — მკითხა თავმჯდომარემ.

— დიახ!

— ტყუილს ამბობს, მე ვიყავი იმ დროს იქ, თემო მთვრალი არ ყოფილა! — წამოდგა გურამი.

— ესე იგი, ჭიჭინაძე აღიარებს, რომ ხულიგნობას ფხიზელ მდგომარეობაში ჰქონდა ადგილი.

— მე არაფერს არ ვაღიარებ, მე ვამბობ, რომ თემო არ იყო მთვრალი.

— ამხანაგო ბარამიძე, რას იტყვით ჭიჭინაძის განცხადებაზე?

— აკი გითხარით, არაფერი არ მახსოვს.

—რა განზრახვა გამოძრავებდათ, როდესაც ზემოხსენებულ პასუხისმგებელ პირს, თქვენს მეზობელს, უმტვრევდით კარს და აგინებდით უშვერი სიტყვებით?

— ალბათ ჰქონდა მიზეზი და აგინებდა. — თქვა გურამმა.

— რა მიზეზი გქონდათ, ბარამიძე?

—არ მახსოვს!

— იქნებ თქვენ გახსოვთ, ჭიჭინაძე, თუ თქვენც გალეშილი ბრძანდებოდით?

— შენ, თუ ძმა ხარ, წესიერად მელაპარაკე, თორემ თუ გადმოგიღე, იმდენს გირტყამ, იმ პასუხისმგებელმა პირმაც ვერ გიცნოს.

— ამხანაგო ჭიჭინაძე, თქვენს თავხედობას ჩვენ კრების ოქმში შევიტანთ!

— შეიტანეთ სადაც გინდა, თუ ამხანაგი ხარ ჩვენი, ამხანაგურად გველაპარაკე. რაა, რომ დაგიბოხებია ხმა ანგინიანი კაცივით, რა განზრახვა გამოძრავებდათ, როდესაც... — გასცინა ლაპარაკში გურამმა.

— ეს ოფიციალური კრებაა, ჭიჭინაძე, და ყველაფერს თავისი წესი აქვს! — შეიშმუშნა უშანგი.

— თუ ოფიციალური კრებაა, მოვიდეს ის პასუხისმგებელი პირი და დაესწროს კრებას.

— ეს თქვენ არ გეხებათ, ამხანაგო ჭიჭინაძე, კრების პრეზიდიუმმა იცის თავისი საქმე, — თქვა უშანგიმ და პრეზიდიუმს გადახედა. პრეზიდიუმმა თავი დაუქნია.

— თქვით, ბარამიძე, რაში იყო საქმე! — მომმართა ახლა მე.

— არ ვიტყვი.

— არა?

— ყოველ შემთხვევაში, შენ არ გეტყვი.

— კრებას უთხარი.

— კრებას ეს საკითხი არ უნდა აინტერესებდეს, ეს ჩვენი მეზობლური ამბებია.

— ესე იგი, თქვენ არ ემორჩილებით კრებას. იცით თქვენ რა გელით ამისათვის? თქვენ გაირიცხებით კომკავშირიდან.

— შენ შენი მიღებულები გარიცხე, მე საერთო კრებამ მიმიღო!

— გვეყო, ამხანაგებო, დროა ბოლო მოეღოს უმსგავსოებას. ვინ ასტეხა დებოში მთვრალ მდგომარეობაში? ბარამიძემ. ვინ მიაყენა შეურაცხყოფა პასუხისმგებელ პირს? ბარამიძემ. — დაიწყო თავიდან უშანგიმ.

— ვინაა ეს პასუხისმგებელი პირი, გვაჩვენეთ ერთი, გვარი და სახელი არა აქვს, რა სჭირს ასეთი უხსენებელი?! — იკითხა აგრაფინა დანელიამ და მეამიტად მოავლო თვალი დარბაზს.

— თქვენი საქმე რაც არ არის, ნუ ეჩრებით, ამხანაგო დანელია! — დარეკა ზარი თავმჯდომარემ.

— ამხანაგო თავმჯდომარე, ჩვენი საქმე თუ არ არის, რაღას გვეძახდით? მაშინ ავდგებით და წავალთ! — ეწყინა აგრაფინას.

— თქვენ წახვალთ მაშინ, როდესაც ჩვენ გეტყვით. თქვენ ისიც გეყოფათ, აქ საყურეებით და პომადაწასმული რომ მოსულხართ. სად გგონიათ თავი?

— ამხანაგო თავმჯდომარეო, რა თქვენი საქმეა საყურეებით და პომადით ივლის აგრაფინა, თუ მურაბით მოთხუპნული ტუჩებით? — იკითხა არჩილმა.

— ჩვენ კომუნიზმს ვაშენებთ თუ არა, ამხანაგო არჩილ? — ჰკითხა უცებ უშანგიმ.

— შენი არ ვიცი და მე კი ვაშენებ.— თქვა არჩილმა.

— ესე იგი, მე არ ვაშენებ ხომ კომუნიზმს? — ისე გაუკვირდა უშანგის, თითქოს აგური გააგდებინეს ხელიდანო.

— არ ვიცი, ბატონო, მე სხვა ბრიგადაში ვმუშაობ. — აარიდა კითხვას თავი არჩილმა.

— და, საერთოდ, რა უფლება გაქვს შენ გამოექომაგო ქალს, რომელსაც ორი თითის დადებით მოკლე კაბა აცვია და მუხლისთავები უჩანს?

აუდიტორიაში ჩოჩქოლი ატყდა, ყველამ აგრაფინასკენ გაიხედა. აგრაფინა ჭარხალივით აენთო და თვალები ცრემლით აევსო.

— გადმოდით ისევ ჩემზე, ამხანაგო მომხსენებელო, აგრაფინას მოკლე კაბა შემდეგ კრებაზე გამოიტანეთ, ჭიჭინაძესთან ერთად! — შეეახსენე თავი უშანგის.

— აი, ხომ ხედავთ, ამხანაგებო, კრებას მასხრად იგდებს, არც სცნობს თავს დამნაშავედ... — გამოიშვირა ჩემსკენ საჩვენებელი თითი უშანგიმ.

— კრებას შენ თვითონ იგდებ მასხრად, აქ სერიოზული საკითხი ირჩევა და შენ მოკლე კაბებზე და საყურეებზე ლაპარაკობ! — წამოხტა გურამი.

— ამხანაგო ჭიჭინაძე, ძალიან ცდებით, თუ გგონიათ, რომ მოკლე კაბა, საყურე და პომადა არ არის სერიოზული საკითხი. ეს ისევე სერიოზული საკითხია, როგორც... — უშანგიმ პაუზა გააკეთა, მაგრამ ვერ გაიხსენა.

— როგორც?—ჰკითხა გურამმა.

—როგორც... — კვლავ ვერ გაიხსენა უშანგიმ — ...როგორც ყველაფერი და, გახსოვდეთ, რომ ჩვენ მოკლეკაბიან, საყურეებიან და პომადიან ხალხს ვერ შევუშვებთ კომუნიზმში!

— კი, შენ თუ დაგაყენეს კარებთან!— თქვა არჩილმა.

— არც ვიწროშარვლიანებს... — შეაშინა უშანგიმ არჩილი.

აუდიტორიაში მორიდებული სიცილი გაისმა.

— ესე იგი, შენ იდგები კომუნიზმის კარებში და მარტო ფართოშარვლიანებს, თმაგაბურძგნულ, დაუვარცხნელ, უპომადო, უსაყურებო, გრძელკაბიან და პირდაუბანელ ხალხს შეუშვებ? — ჰკითხა უშანგის არჩილმა. აუდიტორიამ ისევ გაიცინა, თავმჯდომარემ ზარი დარეკა.

—ამხანაგო არჩილ, მერე გამოდი სიტყვით!

— მაგ პროვოკაციისათვის შენს საკითხს გამოვიტანთ შემდეგ კრებაზე!— გაზარდა მომავალი კრების დღის წესრიგი უშანგიმ.

— შეიტანე, შეიტანე, არ დაგავიწყდეს! — სთხოვა არჩილმა.

აუდიტორიაში თითქოს ქარმა დაბერაო, ხმამაღალი ჩოჩქოლი ატყდა.

— როგორ, ჩვენ ლამაზად და კოხტად სიარულის უფლება არ გვაქვს? — წამოხტა გაკაპასებული ლუბა.

— ამხანაგო ნოდია, თქვენც აგრაფინასნაირ სტუდენტთა რიცხვს მიეკუთვნებით, შემჩნეულია, რომ სისტემატურად იქნით წარბებს და ბეჭედი გიკეთიათ მარცხენა ხელის შუათითზე ლექციების მსვლელობის დროს. სხვათა შორის, ძალიან წითელი მანიკურებიც გიკეთიათ, სირცხვილი თქვენი. თქვენს ადგილას, მე ხმას არ ამოვიღებდი! — დაარიგა ჭკუა უშანგიმ.

— ვინ არის შენი ამხანაგი, შე კრეტინო, მე გათხოვილი ვარ და მინდა ბეჭედს გავიკეთებ, მინდა წარბებს ამოვიქნი და მინდა სულ გადავიპარსავ თმებს, ვინ გკითხავს, შე უზრდელო!— იკივლა ლუბამ.

— ამხანაგო ნოდია, პიროვნების შეურაცხყოფისათვის თქვენ საკითხსაც

გავიტან შემდეგ კრებაზე. — იბღავლა ახლა თავმჯდომარემ.

ლუბას ტირილი აუვარდა და მერხზე დაემხო. აუდიტორია გადაირია.

ჩამოდი ძირს!

— შენ ვის ასწავლი ჭკუას!

— მოდი, თემო, ჩვენთან დაჯექი...

— პროფკავშირის ფული რომ შეჭამეთ შენ და ილომ, იმას მიხედე!

— ვინ თქვა ეს? — გალურჯდა უშანგი.

— მე ვთქვი! — თქვა ოთარ სანებლიძემ და ადგა.

— რა უფლებით?

— ვიცი!

— საიდან?

— თვითონ ილომ მითხრა! — უშანგის ყბა მოენგრა. დარბაზი აღრიალდა.

— მე ამ საკითხს ასე არ დავტოვებ, შემდეგ კრებაზე... — ვიღაცამ დაუსტვინა აუდიტორიაში. უცებ ბატონი დავითი წამოდგა ფეხზე და სიტყვა ითხოვა. დარბაზი გაიტრუნა.

— ამხანაგებო! — დაიწყო მან. — ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი სიტუაცია შეიქმნა. ეტყობა, კომკავშირის კომიტეტს არ მოუმზადებია, კიდევ მეტი, საერთოდ, არ შეუსწავლია ბარამიძის საკითხი და ისე გამოაქვს კრებაზე. ამხანაგო უშანგი, ასე არ შეიძლება, მე არ ვიცი, რამდენად მტყუანია, ან მართალია ბარამიძე, მაგრამ ფაქტია, რომ აქ არ არის იოტისოდენა ურთიერთგაგება და პატივისცემა. რას იტყვით თქვენ, ბატონო გიორგი, ასეთ პირობებში თუ შეიძლება კრების ჩატარება? — ჰკითხა მან ჩვენს ლექტორს.

ბატონი გიორგი წამოდგა. მან საყვედურით სავსე თვალები მოავლო აუდიტორიას, მერე სინანულით დაიქნია თავი და სათვალე მოიძრო.

— მართალი გითხრათ, ჩვენ დისციპლინის მოყვარული და მკაცრი დისციპლინის... მოყვარული ვართ... ალბათ, ეს იმით არის გაპირობებული, რომ ჩვენ, ჩვენი მეცნიერული მოღვაწეობის ხანგრძლივ პერიოდში, ხშირად გვიხდება სტუდენტებთან მჭიდრო კონტაქტში ყოფნა, ასე ვთქვათ, ურთიერთობრივი დამოკიდებულება და ამ ურთიერთობრივი დამოკიდებულების მრავალწლიანი ანალიზისა და გონებრივი, თუ შეიძლება ითქვას, ინტერპრეტაციის დღევანდელ ეტაპზე, მოვლენათა განვითარების, — ჩვენ ვგულისხმობთ კადრების შეფასებას, — რიტმიკაში, საშინელი არიტმია, ანუ დეპულსაცია შეიმჩნევა, კაზუსური, ასე ვთქვათ, მორალურ-ესთეტიკური ნორმატივების დარღვევის თვალსაზრისით. სიტყვა სტუდენტი, როგორც მცნება, აბსოლუტური გაბათილების, თუ შეიძლება ითქვას, მორალური ანულირების საშინელ პროცესს განიცდის. ვინ არის ხულიგანი? — სტუდენტი. ვინ არის ჯიბგირი? — სტუდენტი. ვინ არის უზრდელი? — სტუდენტი. სადაც კი შეიმჩნევა რამე დანაშაული ჩვენი სახელმწიფოს მეურნეობის რომელიმე დარგში, ვინ არის დამნაშავე? — სტუდენტი. მე ათასობით სტუდენტი გამიზრდია, ამხანაგებო!..

— აკაკი წერეთლის „გამზრდელი" თუ გაქვთ წაკითხული, გიორგი ბატონო? — ჰკითხა ბატონმა დავითმა. დარბაზში თავშეკავებული სიცილი გაისმა.

—მე მივხვდი თქვენს მინიშნებას, პატივცემულო დავით, მაგრამ იცოდეთ, მე წამიკითხავს დიდრო, რუსო, ვოლტერი, მაკიაველი, ნაპოლეონისა და ბისმარკის მემუარები. მე მაწუხებს ჩვენი ახალგაზრდობის ბედი და ამიტომ ვლაპარაკობ ასე მკაცრად. მე მომწონს ჩვენი დღევანდელი მომხსენებლის, მართალია, ცოტა თავშეუკავებელი, მაგრამ პრინციპულად სწორი გამოსვლა. მომავალი თაობა ჩვენი ერის იმედი უნდა იყოს. ვინ უნდა ჩაიბაროს ეს სიმწრითა და სისხლით აშენებული ქვეყანა. ამათმა? ვიწრო შარვლებსა და ცხვირწაგრძელებულ ფეხსაცმელებში გამოჭიმულმა თაობამ? წარბებგამოქნილმა, პომადით მოთხუპნულმა და მოკლეკაბებიანმა ქართველმა დედებმა?

— კაცო, ალექსანდრე მაკედონელი სულ შიშველი დადიოდა, მაგრამ მთელი მსოფლიო დაიპყრო. ამ დასაწყვ

წარბებს კი თამარ მეფეც იქნიდა და ფერუმარილსაც იცხებდა თურმე. — თქვა ბატონმა დავითმა.

აუდიტორიაში ხარხარი ატყდა.

— ეს არ არის პოლემიკის ხერხი, ბატონო დავით, მაცალეთ ლაპარაკი. თქვენ არ იცით; მე ახალგაზრდობაში, როდესაც ამ ქვეყანას ვაშენებდიო, ცალ ხელში მაუზერი მეჭირა, მეორეში კი—წიგნი.—გაცეცხლდა უცებ ბატონი გიორგი.

— ეგ არ ვიცოდი, ჩემო გიორგი, და ახლა რომ გაკვირდები, ორივე ხელში წიგნი გჭეროდა, უკეთესი იყო!—გაუღიმა ბატონმა დავითმა.

ბატონი გიორგი გაშრა.

— თქვენ იცავთ ამ ახალგაზრდობას, რომელსაც ზრდილობა არ აქვს, პატიოსნება, არ იცის დისციპლინა, უმცროსი, უფროსი. თქვენ იცით, რომ ამათმა ტოლმა სტუდენტმა გუშინ კაცი მოჰკლა კიროვის სახელობის ბაღში! თქვენ იცით, რომ ერთი კვირის წინ ამათმა ტოლმა, ორმა სტუდენტმა მაღაზია გაძარცვა! ამის ტოლმა სტუდენტმა, — მოათითა ჩემზე ბატონმა გიორგიმ, — ქალი გააუპატიურა კუკიის სასაფლაოზე და ამათმა ტოლმა სტუდენტმა გოგონამ უკანონო შვილი გააჩინა? — დაარტყა ხელი მაგიდაზე გიორგიმ.

—თქვენ იცით, ბატონო გიორგი, რომ ამისი ტოლი ბიჭი ამბრაზურას გადაეფარა მკერდით? თქვენ იცით, რომ ამისტოლა გოგონა სახრჩობელაზე ავიდა? თქვენ იცით, რომ გუშინ ამის ტოლმა ვაჟმა თქვენი ტოლი კაცი ამოათრია მტკვრიდან?—არ იცით, არც გინდათ იცოდეთ და არც არის სავალდებულო, რომ თქვენ იცოდეთ!..—წამოდგა ბატონი დავითი.

დარბაზში ტაშმა იგრიალა. ბატონმა დავითმა ხელით გვანიშნა, დაწყნარდითო და გააგრძელა:

— მე არ ვიცი, ამხანაგებო, რა ბრალი მიუძღვის ბარამიძეს. ეს ადვილი გასაგებია და, ალბათ, ამას დღეს თუ არა, ხვალ გამოარკვევს პარტბიურო, ან რექტორატი, რადგან ამხანაგ უშანგი ქოჩაკიძეს ამის უნარი არ აღმოაჩნდა. და თუ დასასჯელია ბარამიძე, დასჯის. მე ახლა სხვა რამე მაწუხებს. საიდან მოვიდა ეს ნიღილიზმი ახალგაზრდობის მიმართ, ვინ მოგცა შენ უფლება, უშანგი, ასეთი ბრალდებით რომ მიმართავ აუდიტორიას და შენს ტოლებს, შენს ამხანაგებს. რა იცი შენ, რამდენი თითის დადებით მოკლე კაბა აცვია ამხანაგ დანელიას, ან ვინ გაზომა კაბების სიმოკლე რამდენი თითის დადება უნდა იყოს!

— წყალს რომ სვამდა სოკოდან, ბატონო დავით, წაიხარა და მე დავუნახე შიშველი სხეული!—წამოხტა უშანგი.

— რას უყურებდი მერე, შე ოჯახაშენებულო, შენი შიშით დანელიას წყალი ვერ უნდა დალიოს?

—ბატონო დავით, ძალაუნებურად...

— ვერ მოწყვიტე თვალი?—ჰკითხა ბატონმა დავითმა. დარბაზი სიცილით გადაიქცა.

— რა შენი საქმეა, ამხანაგო უშანგი, რაფერად აქვს შეღებილი ფრჩხილები ლუბა ნოდიას. ვინ გკითხავს შენ არჩილის შარვლის სივიწროვეს, მაგის ერთი ლექსი მირჩევნია შენს თავს და შენს ფართო შარვალს.

— თქვენზე არ არის ეს ქვეყანა დამოკიდებული, ბატონო დავით!—წამოიძახა უშანგიმ.

— არც შენზე, ჩემო უშანგი! ვინ დაგაყენა შენ კომუნიზმის კარიბჭესთან, ვინ დაგავალა კომუნიზმში შემავალი ხალხის შარვლისა და კაბის ზომის აღება! ეს კიდევ საკითხავია, შენ თუ შეგიშვეს შიგ. ვინ მოგცათ უფლება თქვენ ბატონო გიორგი, გამოდიხართ აქ და თავზე ლაფს ასხამთ ჩვენს სასიქადულო ახალგაზრდობას! ვინ გკითხავთ თქვენ ამ ქვეყნის ჩაბარება-გადაბარებას! თქვენ ეს ქვეყანა საწყობი ხომ არ გგონიათ? ახალგაზრდობა მოვა თავის დროზე და მისით ჩაიბარებს თავის ქვეყანას. ახალგაზრდობა დაგვმარხავს ჩვენ და დაგვაწერს საფლავის ქვაზე სახელებსა და გვარებს.

— ბატონო დავით, ეგ არის პროვოკაცია!—იყვირა ბატონმა გიორგიმ.

ბატონმა დავითმა ყურადღება არ მიაქცია და განაგრძო:

— ახალგაზრდობა ჩვენი იმედია, იაროს ახალგაზრდობამ ვიწრო და მოკლე კაბებში, ოღონდ იკითხონ წიგნი, უყვარდეს ერი, ქვეყანა, სამშობლო; ეკეთოს საყურე გოგონებს, ეკეთოს ბეჭდები, ოღონდ კარგი დედები იყვნენ და სწამდეთ სიკეთე და პატიოსნება, როგორც სწამდათ ღმერთი. იჩხუბოს ბარამიძემ, ოღონდ იჩხუბოს საქმისთვის. და ის, თუ ვიღაცამ კაცი მოჰკლა და ვიღაცამ მაღაზია გაქურდა, არ არის ეროვნული ტრაგედია, ეროვნული ტრაგედია ის არის, რომ ამის მეტი ვერაფერი დაინახო...—ბატონი დავითი დაღუმდა, მას ხელები და ტუჩები უთრთოდა.

— მაპატიეთ! — თქვა მან ბოლოს — კრება დამთავრებულია!—ბატონი გიორგისა და უშანგის გარდა, აუდიტორიიდან არავინ გასულა.

* * *

რექტორის მოსაცდელში ვზივარ, პირველი საათისათვის დამიბარა. ჯერ თორმეტია, მაგრამ მაინც ვზივარ და ველოდები. ჩემს გარდა სხვა სტუდენტებიც არიან. შედიან და გამოდიან, შედიან და გამოდიან. ზოგი გახარებული გამოდის, ზოგი ატირებული. რექტორი მკაცრი კაცია, ძალიან მკაცრი. მართალი გითხრათ, ჯერ მასთან არავითარი საქმე არ მქონია, არც სიმკაცრე გამომიცდია მისი, არც სიკეთე, მაგრამ ამბობენ მკაცრიაო და შიშისაგან გული მიმდის. ოთხი წელი ისე მაშინებდნენ ამ კაცით, როგორც დედა მაშინებდა მეეზოვე მამედათი...

... გასაოცარია პირდაპირ, მამედას შვიდი შვილი ჰყავს და არც ერთს არ ეშინია მისი. მე კი ეზოში ჩასვლას ვერ ვბედავ მამედას შიშით. მერედა მარტო მე? მთელი ეზოს ბავშვები მამედას დანახვაზე წივილ-კივილით ამორბიან კიბეებზე. მამედა განცვიფრებული იცქირება აქეთ-იქით.

— დაგვიზაფრა ბავშვი ამ უშსგავსომ, სხვა სახლმმართველობაში ვერ გადაიყვანენ?—ამბობს დეიდა მართა.

— სსუულ მმაგგის ბრალია ჩჩემი დათო რომ ენა ბლუბლუბლუა... ალბათ, მაგან შშშეაშინა.—ამბობს პეტრე ბიძია და დათოს თავზე უსვამს ხელს.

საღამოს დედას ვუზივარ კალთაში. დედას უზარმაზარი მათლაფა უდგას მაგიდაზე და ბრინჯის ფაფით სავსე სუფრის კოვზს ბურღივით მიტრიალებს კბილებში.

— აბა, დიდი პირი გააღე, თორემ მამედას დავუძახებ, ტომარაში ჩაგსვამს და...—მე შეშინებული ვაღებ პირს.

— კიდევ ერთი, თორემ მამედას ვეტყვი და ხვალ გაგყიდის ბაზარში...

— აბა ერთიც, თორემ მამედა სანაგვე ყუთში ჩაგსვამს.

— არ გადაგიყლაპავს? ახლავე დავუძახებ მამედას და მილიციაში წაგიყვანს. მამედ, მამედ, მოდი, მამედ, თემო არ ჭამს!!!

— ვჭამ, ვჭამ!—ვყვირი მე და კოვზს ვადამდე ვიჩრი ხახაში. მერე მთელი ღამე მამედა მესიზმრება. მამედას მოაქვს დიდი ტომარა, მკუჭავს და მტენის მუშტით შიგ, ისე როგორც სიმინდის ქუჩეჩს, უკრავს თავს ტომარას და მივყავარ სადღაც. ტომარაში ბნელა, ძალიან ბნელა. მე ვირწევი მამედას ზურგზე, ვირწევი, როგორც ჰამაკში. მამედას დიდი ლაჯები აქვს, იგი რბილად მიალაჯებს. დიდხანს, დიდხანს მიდის მამედა, მერე უცებ ჩერდება, ტომარას ატრიალებს, ატრიალებს და ხელს უშვებს... მე ვვარდები დაბლა, ყურებში რაღაც მიწივის. მიშველეეეეთ! მიშველეეეთ! ვკივი მე, ტომარას თავი ეხსნება და მე ტომრიდან თავს ვყოფ. ჩემს ქვემოთ არის უზარმაზარი კლდე, კლდეზე ხე, ამ ხეზე თუ შევრჩი, კედელზე დასკდომას გადავრჩები. თუ იმ კლდესაც ავცდი, უფრო ქვევით უზარმაზარი ზღვაა და იმ ზღვაში დავიხრჩობი... მიშველეეეთ! მიშველეეეთ! და მე ვეხეთქები აქაფებულ ტალღებს... აი, ახლა დავიხრჩობი, აი, ახლა, მაგრამ მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვსუნთქავ, ზღვაში ვსუნთქავ. ზღვა არის ძალიან თბილი, ლურჯი და გამჭვირვალე, ზღვაში ყველაფერი ჩანს. მე ვსუნთქავ და ნელ-ნელა ვიძირები. დავდივარ ზღვის ფსკერზე, ვცურავ, ვტრიალებ, თავდაღმა ვეკიდები, ზურგზე ვწვები, მუცელზე ვწვები, ვსუნთქავ, ვსუნთქავ და ბუშტებს ვუშვებ მაღლა. მერე მე ვჯდები დიდ, ხავსიან ქვაზე, ვიღებ უბიდან სალამურს და ვუკრავ სევდიან, ძალიან სევდიან სიმღერას

სურამისა ციხეო, სურვილითა გნახეო,
ჩემი შვილი მანდ არის, კარგად შემინახეო...

ამ სიმღერას სურამში მღეროდა მოხუცი მათხოვარი. დედა ტიროდა. მეც ვტიროდი, მერე დედა მაძლევდა ხურდა ფულებს. მე ვუყრიდი იმ ხურდას მოხუც მომღერალს გაქონილ ქუდში და, როდესაც ახლოს მივდიოდი, მიკვირდა, თვითონ მოხუცი რომ არ ტიროდა.

მე ვუკრავ სალამურზე, ვუკრავ და ვუკრავ... მოდიან ოქროსფერი, ვერცხლისფერი, მწვანე, წითელი, ლურჯი, პატარა თევზები, ჩერდებიან ჩემს გარშემო მონუსხულებივით, კუდებს იქნევენ ოდნავ, სულ ოდნავ, ბუშტებს უშვებენ და სტირიან, სტირიან, მერე ისევ ბუშტებს უშვებენ და მეკითხებიან:

— რა გატირებს, პატარა ბიჭო?

— ჩემო ოქროს თევზებო, ჩემო ვერცხლის თევზებო, ჩემო მწვანე თევზებო, ჩემო ლურჯო თევზებო... წადით და უთხარით ჩემს დედიკოს, რომ მე აქ ვარ, რომ არ დავმხრჩვალვარ, ვსუნთქავ წყალში და კარგად ვარ, ოღონდ დედა მენატრება, მოვიდეს და წამიყვანოს...

— რა ჰქვია შენს დედას, ბიჭიკო? — მეკითხებიან თევზები.

— ჩემს დედას ანიკო ჰქვია!

— მერე როგორ მივაგნოთ შენს დედას?

— ჩემი დედა ყველაზე კარგი, ყველაზე ტკბილი და ყველაზე ლამაზი დედაა მთელს ქვეყანაზე. როგორც კი შეხედავთ, იცნობთ... ჩემო ოქროს თევზებო, ჩემო ვერცხლის თევზებო...

— კარგი, ბიჭიკო, წავალთ, ოღონდ ერთხელ კიდევ დაუკარი.

მე ვუკრავ:

სურამისა ციხეო, სურვილითა გნახეო,
ჩემი შვილი მანდ არის, კარგად შემინახეო...

თევზები მიცურავენ, მიცურავენ, მიცურავენ... თანდათან ქრებიან და ისევ მარტო ვრჩები. მაინც ვუკრავ და ვტირი, ვუკრავ და ვტირი. მერე უცებ, ვხედავ, მოცურავს დედა ჩემსკენ გამოშვერილი ხელებით, მოცურავს დედა ოქროს, ვერცხლის, წითელი, მწვანე, ლურჯი თევზების თანხლებით და იგი ყველაზე ლამაზია ამ თევზებს შორის.

— დეედა! — ვეძახი მე და მის შესახვედრად მივცურავ...

დილით ვიღვიძებ. დედა მაცმევს, მაჭმევს და ეზოში მიშვებს სათამაშოდ. ეზოში დიდი აკაციის ხეა, მისი ტოტები ლამის ჩვენს ფანჯარაში შემოვიდეს. ფეხზე ვიხდი, თან მაღლა ვიყურები, დედამ არ დამინახოს, ავდივარ აკაციაზე, ვპუტავ ყვავილებს და უბეში ვიტენი, მერე ჩამოვდივარ, აგურის კედელზე მიშენებული ფიცრულის კუთხეში ვჯდები, მამედას ცოცხის გვერდით და აკაციის ყვავილებით ვივსებ პირს. ტკბილია, როგორც თაფლი, აკაციის ყვავილი. ამას რომ დავამთავრებ, კიდევ დავკრეფ, ვფიქრობ მე და ისევ ვივსებ პირს.

— რას ქვები, ბიჭო, ქენ ზულელა არი? — მესმის მამედას ხმა, ხელ-ფეხი მიცივდება, მინდა ვიბღავლო, მაგრამ პირი აკაციის ყვავილით მაქვს გამოტენილი.

— ახლავე გადაყარო, თორე სულ ყურები გაგითალო, ერთი ბატარა ჭანქველა შეხდეს, მუცელი როგორც ბარაბანი გაგიბეროს, ახლავე გადმოყარო...

— მამედა ხელს მავლებს ნიკაპში და პირს მიღებს. მე ხელისგულზე ვუყრი ნახევრად დაღეჭილ ყვავილებს.

— აი, აი, რა კარგი ბიჭი, რა სუდი საქმე აკეთებს, — თავს აქნევს მამედა.

— ტომარაში არ ჩამსვამ? — ვეკითხები მე შეშინებული.

— სად არის დომარა? — მეკითხება მამედა.

— სანაგვე ყუთში არ ჩამაგდებ? — ისევ ვეკითხები შეშინებული.

— სოთა ნაგავია, შენისთანა ოქრო ბიჭი სანაგვე არ ჩაუშოს? — იღიმება მამედა.

— მილიციელს არ დაუძახებ? — უნდობლად ვეკითხები.

— მილისია? მილისია დავუზახებ, თუ კიდე აკასია ჟამო! — მემუქრება მამედა.

— აღარ შევჭამ, ძია მამედ! — ვპირდები მე.

— აი, საღოლ, საჟმელი უნდა, ბური და ყველი ჟამოს, — ამბობს მამედა. მერე მიდის თავის სარდაფთან, ცოლს ეძახის, რაღაცას ეუბნება ქურთულად, მამედას ცოლს შავი პური და ყველი მოაქვს, მამედა ართმევს და მე მაძლევს:

— ჟამე! — მე ვართმევ შავ პურსა და ყველს, მამედას ძაღლი თვალებში შემციცინებს.

— ჟამე, თორე ზაღლი წაიღებს! — მაფრთხილებს მამედა, ცოცხს იღებს და მიდის. მე მადიანად ვილუკმები!

— თემური, რას ჭამ, ახლავე გადაგდე და ამოდი სახლში! — მეძახის დედა აივნიდან.

— მოვდივარ! — ვეძახი მე და არ მივდივარ...

* * *

— ბარამიძე რომელია? — კითხულობს რექტორის კაბინეტიდან გამოსული მდივანი თინა.

— მე ვარ! — ვამბობ მე და ვდგები. თინა სიბეცისაგან ისედაც მოჭუტულ თვალებს უფრო ჭუტავს. მაკვირდება, მართლა ბარამიძე ვარ თუ არა და მერე ისე მეუბნება შებრძანდითო, თითქოს ერთი თვე მაინც ვეხვეწებოდე შემიშვი-მეთქი. კარები ფრთხილად შევაღე და ზურგს უკან მივიხურე. დიდ საწერ მაგიდას ორნი უსხდნენ — ჩვენი ფაკულტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი და რექტორი. ასეთ დიდ, ნათელ და გაწყობილ კაბინეტში პირველად ვიყავი ჩემ სიცოცხლეში და არც რექტორი მენახა ადრე ასე ახლოს, მუხლებში სისუსტე ვიგრძენი, ხელის გულებში ოფლი გამომივიდა, ფეხი ვერ გადავდგი წინ.

რექტორი წამოდგა. იგი იყო ძალიან მაღალი, მელოტი, მის მკაცრ სახეს აბურდული ,ვეება წარბები უფრო მკაცრ იერს აძლევდა.

— ეს არის ბარამიძე! — უთხრა ბატონმა დავითმა და გაიღიმა.

— დაჯექი! — მითხრა რექტორმა და ტყავის დიდ სავარძელზე მიმითითა. მე ადგილიდან არ დავძრულვარ.

— დაჯექი, ბარამიძე! — მითხრა ახლა ბატონმა დავითმა.

— არაუშავს, აქ ვიქნები! — ვუპასუხე მე და შევიშმუშნე.

— ბიჭო, არ გესმის შენა, მოდი და დაჯექი! — მითხრა რექტორმა. მე მაგიდასთან მივედი.

— გამარჯობათ!

— გაგიმარჯოს! — გამომიწოდა ხელი რექტორმა. მე ოფლიანი ხელი თეძოზე შევიხოცე და ჩამოვართვი. რექტორს გაეღიმა.

— გლეხია! — უთხრა მან პარტკომს. მე დავჯექი. დაჯდა რექტორიც. დუმილი ჩამოვარდა. რექტორმა უზარმაზარი წითელი ფანქარი აიღო და ბლოკნოტში რაღაცის ხატვა დაიწყო.

— რა გქვია? — მკითხა უცებ.

— თეიმურაზი, — ვთქვი მე და ისევ ავდექი.

— იჯექი, იჯექი! ხელით მანიშნა მან და ხატვა განაგრძო. პარტკომი გაზეთს ათვალიერებდა და ხმას არ იღებდა. ვგრძნობდი, რაღაცას მიპირებდნენ კომკავშირის საერთო კრებასთან დაკავშირებით, მაგრამ რას, ვერ ვხვდებოდი. ასე ვდუმდით დიდხანს სამივე. მე თანდათან ცუდად ვხდებოდი, გული გამიწვრილდა და დამელია, ადგომა მოვინდომე, მაგრამ ვერ ავდექი, პირი ისე გამიშრა, ენას ვეღარ ვაბრუნებდი. თვალი გავაყოლე კედლის საათის ვეებერთელა სპილენძის ქანქარას, მარჯვნივ, მარცხნივ, მარჯვნივ, მარცხნივ. თვალე-

ბი ამიჭრელდა, ისრები ერთმანეთში აირია, ალბათ, გავიდა ათი წუთი, თხუთმეტი. ერთი საათი თუ რამდენი? ნეტავ იმ წყლის დალევა შეიძლებოდეს, ვარდისფერ ჭილაში რომ ასხია. ღმერთო, რა იქნება ახლა, რომ დაასხას რექტორმა წყალი ჭიქაში და მითხრას დალიეო. რომ არ დამისხას, გავგიჟდები, გული შემიწუხდება და გავგიჟდები. რაც იქნება იქნება, ავიღებ და დავისხამ, დავლევ, ნერე რაც უნდა მიქნან, დავლევ და მორჩა... რომ მითხრან არ შეიძლებაო? მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, ახლა ავდგები და დავისხამ წყალს, სულ ვამოვწურავ ჭილას, პირდაპირ ჭილიდან დავლევ...

— პატივცემულო რექტორო! — წამოვდექი მე.

— გისმენთ! — ასწია მან თავი.

— შეიძლება წყალი?

— მიირთვი! — თქვა რექტორმა და ხატვა განაგრძო. მე წყალი დავისხი, დავლიე ერთი ჭიქა, მეორე...

— ცოტა ჩვენც დაგვიტოვე! — თქვა რექტორმა. მე ჭიქა დავდგი და სული მოვითქვი.

— წყალი არ მოდის თქვენთან? — მკითხა მზრუნველი კომენდანტივით.

— კი, ბატონო! — ვთქვი მე.

— აბა, მოყევი, როგორ იყო! — მითხრა უცებ და სასმენად მოემზადა.

— მე, ბატონო, არაფერ შუაში არ ვარ.

— იცი რას გეკითხები? — მკითხა რექტორმა.

სახტად დავრჩი.

— კრების შესახებ მეკითხებით... — ვთქვი მე და პარტკომს შევხედე.

— კრების შესახებ დავითმა მითხრა. მაგაზე ცალკე მოგელაპარაკებით მთელ ფაკულტეტს. შენ ის მოყევი, მეზობელს მთვრალი როგორ მიუვარდი. — თქვა რექტორმა და წარბები შეიკრა.

ახლა იგი კლდის ქიმზე შემომჯდარ და გადასაფრენად მომზადებულ დიდ არწივს გავდა. სულერთია, ამას ვერ მოვატყუილებ, სჯობს, ყველაფერი მართალი ვუთხრა, ალბათ იცის კიდევაც, რაკი დარეკა, ამასაც დაურეკავდა აბიბო... თუ გარიცხვა უნდათ ჩემი, ისედაც გამრიცხავენ, თუ არა და სჯობს მართალი ვუთხრა, იქნებ დამიჯეროს, იქნებ გამიგოს, და თუ გამიგო... არ შეიძლება ამ კაცმა რომ არ გამიგოს...

— პატივცემულო რექტორო, დედას გეფიცებით მთვრალი არ ვყოფილვარ. — დავიწყე მე.

— ღვინოს არ სვამ? — მკითხა რექტორმა.

— კი მაგრამ, მაშინ არ ვიყავი მთვრალი.

— ეგ უარესი შენთვის! — მითხრა რექტორმა. — ესე იგი, შეგნებულად მისულხარ?!

— კი, შეგნებულად მივედი.

— რატომ?

— ერთი კვირის წინ ბანაკიდან, პატივცემულო რექტორო, პატიმრები გაიქცნენ, ორი მოკლეს, სამი გადარჩა. იმ სამში ერთ-ერთი ჩემი მეგობარი იყო, სკოლის მეგობარი. — მე ხმა ამიკანკალდა.

— ის მეგობარი, ქურდი, შენი სახლიდან წაიყვანეს, ბარამიძე. — მითხრა რექტორმა და უფრო შეიკრა წარბი.

— დიახ, ჩემი სახლიდან. არავინ არ იცოდა, რომ ის ჩემთან იყო, ვიცოდით მარტო მე, დედამ და აბიბომ.

— აბიბო თოდრია უშიშროებაში მუშაობს, იგი პასუხისმგებელი პირია, იგი ვალდებული იყო! — შემაწყვეტინა რექტორმა. მე გული შემეკუმშა. გათავდა, არ უნდა მეთქვა, ვიფიქრე მე, სულერთია ვერაფერს გაიგებს. ან რა უნდა გაიგოს, როდესაც ამბობს ვალდებული იყოო, აღარაფერს აღარ ვიტყვი, მორჩა. მე დავდუმდი.

— მერე, თეიმურაზ? — მკითხა ბატონმა დავითმა. მე ვიჯექი თავჩაღუნული და ხმას არ ვიღებდი. რექტორი ადგა, შუა ოთახში გამოვიდა და ბოლთისცემა დაიწყო, მერე ჩემთან მოვიდა და მითხრა:

— მომიყევი, ოღონდ ყველაფერი მართალი თქვი.

მე ხმა არ გავეცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბარამიძე, მე მელაპარაკა შენზე, ბატონი დავითი, მე არ მინდა ისე მივიღო ზომები, რომ ყველაფერი არ ვიცოდე! — თქვა რექტორმა.

— თემო! ჩვენ შენ გეხმარებით და შეგვიწყე ხელი. — მთხოვა ბატონმა დავითმა.

— მე არავისი დახმარება არ მინდა, ყველაფერს მართალს ვიტყვი. თავერა ექვსი წელია არ მინახავს, ეხლა ციხიდან გამოიქცა და ჩემთან მოვიდა. აღარ უნდა ქურდობა, სწავლა უნდა, აბიბო უსინდისოა, ბინძური კაცია, მე მოვკლავ აბიბოს... — სული შემეხუთა და ავდექი. რექტორი და პარტკომი გაოცებული მიცქერდნენ.

— დაჯექი და გაგვაგებინე რაშია საქმე. — დამადო მხარზე ხელი რექტორმა. მე დავჯექი.

— თავერამ ათასი განცხადება დაწერა, მაპატიეთო, აღარ მინდა ქურდობაო, დავიღალეო, სწავლა მინდაო, მუშაობა მინდაო, ათასი წერილი დაწერა, არავინ წაიკითხა, არავინ დაუჯერა, არავინ ენდო, მაშინ გაიქცა. ჩემთან მოვიდა, მენდო, მთხოვა დავხმარებოდი...

—მერე, თეიმურაზ? — მკითხა ბატონმა დავითმა.

— მერე, — დავიწყე მე, — მერე მე აბიბოს გარდა არავის ვიცნობდი. მივედი, დავუჩოქე, ვთხოვე, დაუჯერეთ თავერას, თუ არ დაუჯერებთ, ისევ იქურდებს, დაიღუპება ან თავს მოიკლავსმეთქი. დავუჩოქე, შევეხვეწე. დამპირდა, და დააჭერინა... მერე მე მივუვარდი აბიბოს, არ დამხვდა სახლში, ან იყო და კარი არ გამიღო. თუ პატიოსანი კაცია, რატომ არ გამიღო კარი... სულერთია, მოვკლავ აბიბოს... — ვთქვი მე და გავჩუმდი.

რექტორი დიდხანს იჯდა თავჩაღუნული და ისევ რაღაცას ხატავდა. არა, კი არ ხატავდა, ფანქრის ჩქარი მოძრაობით ნახატს ამუქებდა.

— შენ გჯერა შენი თავერასი? — მკითხა უცებ რექტორმა და თვალი თვალში გამიყარა.

— მჯერა! — ვთქვი მე.

— სწავლა უნდა?

— სწავლა უნდა.

— რამდენი წელი დარჩა?

— ოთხი. ოთხ წელიწადში სიცოცხლე გათავდებაო...

— ოთხ წელიწადში სიცოცხლე არ გათავდება.

— თავერასათვის გათავდება, პატივცემულო რექტორო.

— რა გვარია შენი თავერა?

— კორსაველი თავერა, თავერა კი არა, რამაზი. თავერას სკოლაში ვეძახდით!

— რამაზ კორსაველი, რამაზ კორსაველი, — რატომღაც ორჯერ გაიმეორა რექტორმა. მერე იმავე ქაღალდზე რომელზეც რაღაცას ხატავდა, დაწერა — რამაზ კორსაველი.

— რომელ კურსზე ხარ? — მკითხა რექტორმა.

— მეოთხეზე, პატივცემულო რექტორო.

— როგორ სწავლობს? — ჰკითხა ახლა ბატონ დავითს.

— სწავლობს, — თქვა ბატონმა დავითმა და გაიღიმა.

— როგორი ბიჭია?

— აი ასეთი, როგორსაც ხედავთ.

— მეგობრები თუ უყვარს და თუ სჯერა მეგობრების კარგია, მაგრამ ყველას ნდობა არ შეიძლება, ბიჭო. — მომიბრუნდა ახლა მე.

— თავერას ნდობა შეიძლება. — ვთქვი მე.

— შენს თავერას თუ სწავლა უნდა და კარგი ცხოვრება, ოთხ წელიწადსაც მოითმენდა, ციხიდან გაქცევა დანაშაულია, იცი შენ ეს?

— ვიცი.

— წადი ახლა, შენს ჯგუფში დაჯექი, ჩხუბს და აყალ-მაყალს თავი დაანებე, კარგად ისწავლე, შენ საქმეს მიხედე, თავერა თვითონ მოუვლის თავის თავს.

რექტორი ადგა. მეც ავდექი. ადგა ბატონი დავითიც. რექტორის წინ დადებულ ფურცელს დავხედე. ზედ ლამაზი, ყურებპარტყუნა გულუბრყვილო ვირი ეხატა, წითელი, თავჩაქინდრული

ვირი, სევდიანი თვალებით. ვირის ქვეშ წითელივე ფანქრით ეწერა — რამაზ კორსაველი (თავერა). სულ ბოლოს კი დიდი ასოებით გამოყვანილი იყო ჩემთვის გაუგებარი სამი ციფრი 233.

— ნახვამდის! — ვთქვი მე.

— ნახვამდის! — თქვა რექტორმა.

კარებისკენ წამოვედი. ბატონი დავითი უკან გამომყვა.

— დავით, შენ დარჩი! — უთხრა რექტორმა. ბატონი დავითი დაჯდა. მე კარი გავიხურე.

— როგორ გუნებაზეა? — მომვარდა ვიღაც სტუდენტი.

— არ შეხვიდე, მოგკლავს! — ვუთხარი მე და მოსაცდელიდან გამოვედი. ეზოში ჩავედი და მტირალა თუთის ძირას დადგმულ სკამზე დავჯექი.

უნივერსიტეტი შორიდან უზარმაზარ სკას გავს. მის კარებთან განუწყვეტლივ ბზუიან ფუტკრები, მუშა და ზარმაცი ფუტკრები, ისინი განუწყვეტელ ნაკადად შედიან და გამოდიან, შედიან და გამოდიან მოჩუქურთმებულ კარებში. ზუსტად ისევე, როგორც სკაში, კარებთან დგანან მკლავზე წითელბაბთაშემოხვეული დარაჯები, ისინი გულმოდგინედ უსინჯავენ უნივერსიტეტში შემავალ სტუდენტებს საბუთებს. ვისაც აქვს საბუთი, უშვებენ სკაში, ვისაც არა, უკან აბრუნებენ ზარმაცი ფუტკრებივით. არის ერთი აურზაური და ორომტრიალი, დღე და ღამე, დღე და ღამე, ლექტორებს, ისე, როგორც დედა ფუტკრებს, უფრო მოწიწებით ეპყრობიან. დარაჯები მათ გამოჩენაზე, თავს მიწამდე ხრიან, ლექტორები თავის მხრივ ასევე მოწიწებით იხდიან ქუდებს და, როგორც სალოცავ ტაძარში, ისე თავშიშველი და წელში მოხრილი შედიან მათთვის ფართოდ გაღებულ კარებში. საოცრად გავს უნივერსიტეტი სკას თავისი, ფიჭასავით ჩაწყობილი ბიბლიოთეკებით, აუდიტორიებით, მერხებითა და კათედრებით, კარებთან მდგარი დარაჯებითა და მოფუსფუსე სტუდენტებით. გავს კი არა, უნივერსიტეტი, ალბათ, მართლაც სკაა, უზარმაზარი დევების სკა, დევების კი არა, ღმერთების, თაფლით გატენილი სკა და რა ბედნიერებაა, როდესაც იცი, რომ შენც ამ სკაში ცხოვრობ, როგორც ღმერთის სამსახურში მყოფი პატარა ფუტკარი.

გალაკტიონი

გვერდით ვიღაც მომიჯდა და მუხლზე ხელი დამადო. მივიხედე, გურამი იყო.

— რაო, თემო, რას ფიქრობ?

— არაფერს.

— მაინც?

— რექტორთან ვიყავი, აბიბოს და კრების გამო დამიბარა.

— გაიგო?

— ყველაფერი.

— მერე?

— ყველაფერი მოვუყევი.. მართალი მოვუყევი.

— რა გითხრა?

— წადი, შენს საქმეს მიხედე, შეორეჯერ არ დაგემართოსო. თავერას გვარი და სახელი ჩაიწერა...

— რისთვის?

— არ ვიცი!

— წამო, სადმე დავჯდეთ, მომიყევი. —მე ავდექი.

„ინტურისტის“ ბაღში ყველა კუპე დაკავებული იყო. მე და გურამი აუზის გვერდით, მაგიდას მივუსხედით და ვიდრე საჭმელს მოგვიტანდნენ, ლუდი მოვითხოვეთ. ოფიციანტმა ორი ბოთლი ცივი ლუდი მოიტანა. მე ჭიქის პირს მარილი მოვაყარე და ნელა მოვსვი. სასამოვნო სიგრილემ დამიარა სხეულში. ჩვენს მარჯვნივ, კუთხეში, კაცი იჯდა, ჩვენსკენ ზურგით, ძალიან განიერი, ოდნავ მოხრილი ბეჭები ჰქონდა. ღვინოს სვამდა. ძალიან ნაცნობი ტანი ჰქონდა, ძალიან. უცებ მან თეფშზე ჩახგალი დააკაკუნა, ჩვენსკენ მობრუნდა და ჩვენს ოფიციანტს მიმართა:

— ძამიკო, რამდენ ხანს უნდა გელოდო?

— მოვდივარ, შე კაცო, ფრთებს ხომ არ გამოვისხამ, შენისთანა მილიონია და მე ერთი. —წყენით უთხრა ოფიციანტმა და ჩვენი შეკვეთის მოლოდინში ფანქარი და ქაღალდი მოიმარჯვა.

— გურამ, შეხედე.—ვუთხარი მე.

— ვის?

— გალაკტიონი! გურამი სწრაფად შეტრიალდა. ახლა გალაკტიონი ისევ ზურგით იჯდა ჩვენსკენ.

— ჯერ იმას მიუტანე. —ვუთხარი მე.

— შეკვეთა შომეცი, შე კაცო, და იმას კი მივხედავ, ასე ზის მაგი ორი საათია და მიჩიჩინებია იმ ერთ ბოთლ ღვინოს. —გაიკრიჭა ოფიციანტი. მე შევუკვეთე, რაც გვინდოდა და ვთხოვე ოფიციანტს გალაკტიონის მაგიდასთან მოეტანა.

— მივიდეთ, გურამ?

— არ ეწყინოს, ბიჭო.

— რატომ უნდა ეწყინოს, მივიდეთ და დაველაპარაკოთ.

—მივიდეთ. —გადაწყვიტა გურამმა და ადგა. თავზე რომ დავადექით, გალაკტიონმა გაკვირვებით ამოგვხედა.

— შეიძლება, ბატონო გალაკტიონ, თქვენს მაგიდასთან დავსხდეთ?—გავუბედე მე. გალაკტიონმა მაგიდებს მოავლო თვალი, ცარიელი მაგიდები რომ დაინახა, გაეცინა.

— მაგიდების მეტი რა არის, ძამიკო, ამ რესტორანში?

— ჩვენ თქვენთან გვინდა! —ისე სთხოვა გურამმა, გალაკტიონს კი არა, მე ამიჩუყდა გული.

— დაბრძანდით, დაბრძანდით! —მიგვიპატიჟა გალაკტიონმა. ჩვენ დავსხედით. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— ვინ ხართ თქვენ, უმაწვილებო? — დაარღვია სიჩუმე გალაკტიონმა.

— ჩვენ სტუდენტები ვართ, ბატონო გალაკტიონ. —ვუთხარი მე.

— სწავლობთ?

— დიახ.

— კარგია, შესანიშნავია, უშესანიშნავესია! —თქვა გალაკტიონმა და ბოთლი აიღო ხელში. უცებ აწრიალდა, ღაღაცის ძებნა დაიწყო, მერე წამოდგა, მეზობელი მაგიდიდან ორი ჭიქა აიღო და მე და გურამს დაგვიდგა:

— ღვინოს ხომ სვამთ?

— კი! —თქვა გურამმა.

— მე მიცნობთ, არა? —გვკითხა და ღვინის დასხმა დაიწყო.

— თქვენ ვინ არ გიცნობთ, ბატონო გალაკტიონ! —უთხრა გურამმა.

— ოფიციანტი არ მიცნობს, ძამიკო, ერთი საათია მიყურებს და ვერ მიცნო! —გაიღიმა გალაკტიონმა. ოფიციანტი მოვიდა, სამი ბოთლი ღვინო მოიტანა, ყველი, მშრალად მოხარშული ხორცი და სალათი.

— შენ ვერ მიცნობ მე, ძამიკო?— ჰკითხა გალაკტიონმა.

— რავა ვერ გიცნობ, შე კაცო, სულ ჩვენთან არ დადიხარ? —გაუღიმა ოფიციანტმა.

— აბა, ვის ვგავარ თუ იცი?

— ვის გავხარ და მღვდელს. —გამოიცნო ოფიციანტმა და გალაკტიონს წვერზე შეხედა.

— სწორი ხარ, ძამიკო, მღვდელს ვგავარ, შენ კი ვირს გავხარ. — ჩაიხითხითა გალაკტიონმა.

— რატომ მკადრებ, შე კაცო, ვირს იმიტომ ვგავარ, რომ გემსახურები, — ეწყინა ოფიციანტს.

— არა, ძამიკო, რომ არ მემსახურები, იმიტომ გავხარ!—ოფიციანტი ცივად გაბრუნდა. გალაკტიონი ხითხითებდა. — ხომ გითხარით, ვერ მიცნობს-მეთქი. — გვითხრა ბოლოს, ხითხითი რომ მოათავა. —აბა, თქვენ თუ მიხვდებით ვის ვგავარ? —მე ჟრუანტელმა დამიარა ტანში. რა ვუპასუხო ახლა?

— დაგვცინით, ბატონო გალაკტიონ?—ჰკითხა გურამმა მომაკვდავი კაცის ხმით.

— არა, ძამიკო, მართლა გეკითხებით.

— თქვენ არავის არ გავხართ, ბატონო გალაკტიონ, თქვენ ხართ გალაკტიონი, დიდი პოეტი გალაკტიონ ტაბი-

ძე. სხვას ვის უნდა გავდეთ? — ვთქვი მე.

— გალაკტიონ ტაბიძე კი ვარ, მაგრამ ვის ვგავარ?

— გოეთეს! —თქვა გურამმა.

— არა! გაიღიმა გალაკტიონმა.

— პუშკინს.

გალაკტიონმა თავი გაიქნია.

— მიცკევიჩს, ბაირონს, რემბოს...

— არა!

— რუსთაველს, ბოდლერს, ფირდოუსს...

— არა, ძამიკო, არა, აკაკის არ ვგავარ წერეთელს? —თქვა მან და წვერზე ხელი ჩამოისვა.

— კი, როგორ არა, ძალიან გავხართ, ბატონო გალაკტიონ, ძალიან,! —ვთქვი მე.

— აი, ხომ გითხარით! ყველა მეუბნება აკაკის გავხარო, ოფიციანტმა კი ვერ მიცნო. გაუმარჯოს აკაკის. —თქვა გალაკტიონმა და ჭიქა გამოცალა. ჩვენც გამოვცალეთ.

გალაკტიონი ოდნავ მთვრალი იყო, საოცრად ღრმა, ჭკვიან და გაღიმებულ თვალებში ეშმაკური ნაპერწკალი ენთო. იგი ლაპარაკის ხასიათზე მოვიდა.

— თქვენ რას აკეთებთ, ძამიკოებო, ლექსებს არ წერთ?

—მე არა, ეს წერს! —თქვა გურამმა.

— მე აღარ ვწერ ლექსებს! —ვუთხარი მე.

— რატომ მერე, ძამიკო, ყველა წერს და შენ რა დააშავე, წერე, წერე, კარგია ლექსის წერა. —მითხრა და თავზე გადამისვა ხელი.

— თქვენ რომ ლექსებს წერთ, ისეთი ლექსების წერა კია კარგი, ბატონო გალაკტიონ. —ვთქვი მე.

— ცუდი ლექსის წერაც კარგია, არ არის სავალდებულო ყველამ კარგი ლექსები წეროს. —გაიცინა გალაკტიონმა და შევატყე უკვე ბურთივით გაგვიგდო მე და ჩემი გურამი. გურამს პირი ჰქონდა დაღებული. მინდოდა ხელი ამეფარებინა, რამე სისულელე არ წამოსცდეს-მეთქი, მაგრამ ვერ მოვასწარი.

—როგორ წერთ ლექსებს, ბატონო გალაკტიონ? —წამოაყრანტალა მან და გამარჯვებული სახით შეგადგომხედა.

გალაკტიონმა ისე ახედა გურამს, რომ გურამის საცოდაობით გული დამეთუთქა. მერე ისევ დაასხა ღვინო, პატარა ხორცის ნაჭერი გადაიღო და თეფშის კიდეზე დადო. თვალები დახუჭა.

— მე ზღვა მიყვარს ძალიან, ზღვა და მზე. ყოველ ზაფხულს დავდივარ ზღვაზე. სახლი მაქვს სოხუმში. ხომ იცით?— გვკითხა მან და თვალები გაახილა. ჩვენ თავი დავუქნიეთ. გალაკტიონმა ისევ დახუჭა თვალები. —ყოველ ზაფხულს ჩავდივარ სოხუმში, ამოვთხრი დიდ ორმოს სილაში, ჩავწვები შიგ და ჩავიმარხები კისრამდე, აი ასე. —მან გვაჩვენა თუ როგორ აკეთებდა ამას. —მერე ვიზამ პირს მზისკენ და ვხუჭავ თვალებს, როგორც ახლა, ასე. ჯერ ბნელა, მერე ჩნდება რგოლები, წითელი, ყვითელი, ნარინჯის ფერი, მერე ნათდება, ნათდება და მზე ჩამოდის თვალებში, დიდი, უდიდესი ნათელი მზე. მზე ატანს ქუთუთოებში, ძვალში, რბილში, სისხლში, მზე ყველაფერში ატანს, საშარეშიც ატანს მზე. მერე ციდან ეშვება თეთრი ანგელოსი, ლამაზი, თეთრი ანგელოსი, ეშვება ჩემს ყურთან და მკარნახობს ლექსებს... —გალაკტიონი დადუმდა. იგი დიდხანს იჯდა ასე თვალდახუჭული და მე მჯეროდა, რომ იგი ახლაც ხედავდა მის ყურთან დახრილ თეთრ ანგელოსს, რომელიც ყურში მზესავით უუდიდეს და ნათელ ლექსებს კარნახობდა. მერე მან გაახილა თვალები და მე ხატზე დავიფიცებ, რომ მის თვალებში ორი უზარმაზარი თაკარა მზე დავიხახე.

— ასეა, ძამიკოებო. —თქვა მან ძალიან სერიოზულად და ჭიქა აწია. — გაუმარჯოს ანგელოსს. —თქვა და ღიღინა.

— ბატონო გალაკტიონ, მართლა ანგელოსი გკარნახობთ? — ვკითხე მე გაუბედავად.

— კი, ძამიკო, ანგელოსი მკარნახობს, აბა მე სად მცალია ლექსების საწე-

ოად. —დაისაწყლა თავი გალაკტიონმა.

— ნიკორწმინდაც ანგელოსმა გიკარნახათ? —ჰკითხა გურამმა.

— ნიკორწმინდაც ანგელოსმა მიკარხახა. —დააქნია თავი გალაკტიონმა.

ისევ დუმილი ჩამოვარდა.

— სად არის ჩვენი ოფიციანტი, აღარ მოდის? —აწრიალდა უცებ გალაკტიონი.

მე თეფშზე ჩანგალი დავაკაკუნე. რესტორნის მარცხენა კუთხეში დიდი ორომტრიალი იყო, ვიღაცეებს ოთხი მაგიდა შეეერთებინათ და მთელი რესტორნის ოფიციანტები მათ ემსახურებოდნენ. ჩვენი ოფიციანტიც იქ ტრიალებდა ჯარასავით.

— რას შვები, კაცო!—დავუქნიე ხელი. რა ვქნაო, გაშალა ხელები და სამზარეულოსკენ გაიქცა.

— მოვა ახლავე, ბატონო გალაკტიონ! —დავამშვიდე მე.

— შორეული ქალის ეშხი მოვა, მაგრამ როდის... —თქვა გალაკტიონმა. ცოტა ხნის შემდეგ ოფიციანტი მოვიდა.

— სად ხარ, ძმაო, დაგვხოცე შიმშილით! —გაუჯავრდა გურამი.

— შენთვის მეცალა, შე კაცო? ვერ ხედავ ვინ გვესტუმრა? — გაუკვირდა ოფიციანტს.

— ვინ? —ჰკითხა გურამმა.

— ვინ და, მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობაში.

— რა გვარია?

— რავა, პირველად გესმის ქიტუაშვილი გოგია, გაზეთებს არ კითხულობ? —ახლა ოფიციანტი გაუჯავრდა გურამს. —ექიმებმა თქვეს ორი სამწლიანი მოზვერის ღონე აქვსო. —თქვა ოფიციანტმა და ისევ გავარდა. გაერთიანებული სუფრის თავში აღტაცებული ხალხის და ოფიციანტების ალყაში პატარათვალებიანი, ორი სამწლიანი მოზვრის ღონის შარავანდედით მოსილი ქიტუაშვილი გოგია იჯდა და ძლიერი ყბებით მოხარშული ბეჭის ძვალს ფშვნიდა.

— მე წავალ, ძამიკოებო, დიდი მადლობა, დიდი მადლობა. მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით. —გალაკტიონი წამოდგა.

— გაგაცილებთ, ბატონო—გალაკტიონ! —წამოვცვივდით ჩვენც.

— არა, ბატონო, არა, რად მინდა გაცილება.

— იგი წავიდა ნელი ნაბიჯით. ისე გაიარა ამ ღმერთკაცმა მთელი რესტორანი, არავის არ შეუმჩნევია. და მე ისევ შემეცოდა ღმერთი, კაცში ჩასახლებული ღმერთი, რომელიც ისე ახლობელია, ისე ჰგავს ადამიანს, ისე ხელშესახებია და ისე უბრალო, რომ არავის სჯერა მისი ღმერთობა. გალაკტიონმა გაიარა რესტორანი და ქუჩაში გავიდა..

გაერთიანებული მაგიდის მეორე თავში, უზარმაზარი თასით ხელში ფეხზე იდგა თამადა და სვამდა კაცის სადღეგრძელოს, რომელმაც ჩვენი პატარა საქართველოს სახელი მსოფლიო ასპარეზზე გაიტანა, გააჯირითა, მთელ მსოფლიოს გააცნო ჩვენი თავი, რომლის ბეჭი ჯერ ნოხს არ შეხებია, რომელიც ორფუთიან გირს სამასჯერ წევს, მკლავზე იხვევს მაჯის სიმსხო რკინის მილს, მუხლზე იღუნავს რელსს და თავით ტეხს მუხის ფიცარს, რომელმაც მსოფლიოს რომელიღაც ქალაქში რვა მისნაირი მუტრუკი გააკრა მიწას, არც ერთი საჯარიმო ქულა არ მიუღია და ძლევამოსილი დაბრუნდა მშვიდობით მის მშობლიურ მიწაზე და, რომ მადლიერი ქართველი ხალხი უსურვებს მას ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და, რომ ჩვენი ერის დიდება არასოდეს არ შეერცხვინოს.

— ძმებო და მეგობრებო, —მიმართა თამადამ საზოგადოებას სიტყვის დასასრულს, —გთხოვთ, ფეხზე ადგომით ვცეთ პატივი რაინდს, რომელმაც იმდენი რამე გააკეთა საქართველოსთვის, ალბათ, თვითეულმა ჩვენთაგანმა ას-ასი წელი რომ იცოცხლოს, იმის ნახევარსაც ვერ გააკეთებს. —მთელი რესტორანი ფეხზე ადგა.

გურამმა ბოთლი აიღო და ფსკერით თეფშს დაარტყა, რაც ძალი და ღონე

ჰქონდა. თეფში მარილივით დაიფშვნა. ყველამ ჩვენსკენ მოიხედა.

— რაშია საქმე! —მოვარდა ჩვენი ოფიციანტი.

— არაფერში, თეფში გამიტყდა, გვიანგარიშე. —თქვა გურამმა.

— ას ორმოცდათექვსმეტი მანეთი თეფშიანად. —თქვა ოფიციანტმა. ფული მივეცით. ოფიციანტი ისევ ჩემპიონის სუფრისკენ გავარდა. ჩვენ გამოვედით. რომ გამოვდიოდი, უკან მივიხედე, თამადა კისერზე ეკიდა ჩემპიონს და ყბებს ულოკავდა. ქაშუეთამდე უხმოდ მოვედით.

— კაცი თავის საქმეს აკეთებს, თანაც კარგ საქმეს, ჩემპიონია, ღმერთმა ხელი მოუმართოს, ნამდვილად მადლობის ღირსია, რას ერჩი. —ვთქვი მე.

— არაფერს არ ვერჩი!—თქვა გურამმა და მწარედ გაიღიმა.

— ის კრეტინებია მოსაკლავი—ოფიციანტი და თამადა.

— ან იმ კრეტინებს რას ვერჩი. — აიწურა მხრები გურამმა და მკლავი მკლავში გამიყარა.

მთაწმინდის პლატოზე გაჩირაღდნებული რესტორანი შარავანდედივით ადგა საღამოს თბილისს თავზე.

კიროვის ბაღი

ჰაიდპარკში არასოდეს არ ვყოფილვარ, მაგრამ არა მგონია იქ იმდენ სენსაციურ, ანეგდოტურ, ფანტასტიკურ და გადასარევ ამბებს ყვებოდნენ, როგორც კიროვის პარკში.

მე, მაგალითად, პირველად აქ გავიგონე, რომ სპარსეთის პრემიერ-მინისტრი მოსადიკი ოფერისტი იყო, რომ ჩერჩილი დღეში სამ ბოთლ კონიაკს სვამს, რომ ტრუმენმა მოწამლა რუზველტი, რომ ჰარიმანი 14 წლამდე ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა და ბორია პაიჭაძე ბასკებთან ოქროს ბუცებით თამაშობდა.

კიროვის პარკში ყოველდღე იხსნებიან და ინიშნებიან: მინისტრები, დირექტორები, გამგეები, რედაქტორები, და მილიციის უფროსებიც კი, არა მარტო საქართველოსა და საბჭოთა კავშირის, არამედ საზღვარგარეთისანიც. კიროვის პარკი დუღს და გადადუღს პენსიონერებით, ჯარისკაცებთან პაემანზე მოსული შინამოსამსახურეებით, ზაფხულში უაგარაკოდ დარჩენილი მოქალაქეებით, ბავშვიანი დედებით, შინაბერა დედაკაცებითა და მამაკაცებით, გასათხოვარი გოგონებით, საცოლო ვაჟკაცებით, ფეხბურთის გულშემატკივრებით, უბინაო სტუდენტებითა და საერთოდ, სტუდენტებით. კიროვის ბაღში ყველა კატეგორიის ხალხს თავისი კუთხე აქვს; მოჭადრაკეები ქვევით მყუდრო ადგილას სხედან, დომინოსმოყვარულები გადაჭრილ მორებთან, ფეხბურთის გულშემატკივრები წყლის სოკოსთან, პოლიტიკოსები სასაუზმე-პავილიონთან, შეყვარებულები სულ ქვევით, მტირალა თუთებისა და ტირიფების ჩრდილში, პენსიონერები ელექტრობოძზე ჩამოკიდებული რეპროდუქტორის ქვეშ, ბავშვიანი ქალები უწყლო შადრევანთან, და ასე შემდეგ.

და მაინც რით იზიდავს კიროვის ბაღი ამდენ ხალხს? ღმერთმანი, არ ვიცი. კიროვის ბაღი, როგორც ყველა კარგი ბაღი, წინათ სასაფლაო იყო. აქ არის დანიელ ჭონქაძის საფლავი. კიდევ რა? კიდევ ალპინისტთა კლუბი, კალათბურთის მოედანი, კინო. კიდევ? კიდევ თვითონ კიროვის ძეგლი და მეტი არაფერი.

პირადად მე კიროვის ბაღი იმით მიზიდავს, რომ იგი ახლოა ჩემს სახლთან და ვერის ბაზართან.

ბინდდება. მე ვზივარ გრძელ სკამზე, ნაძვის ძირში და ჩემს წინ მოსეირნე ხალხს ვაკვირდები. აი, ესენი შარშან გაცილებით ყოჩაღად გამოიყურებოდნენ. წელს კი, როგორ მოტეხილან, შემოვიდნენ ბაღში და მთელი საათია მოჩოჩავენ, ჯერაც ვერ მოაღწიეს ჩემამდე. ალბათ, გაისად სულ აღარ მოვლენ. მერე დადგება დრო და მეც ასე შემოვალ, მერე აღარ შემოვალ. კირო-

ვის ბაღი წინათ სასაფლაო იყო. ვერის სასაფლაო უკვე დახურეს, აღარავის მარხავენ. ალბათ, ერთ ორ წელიწადში ბაღად გადააკეთებენ... ვაკის სასაფლაოზე ტევა აღარ არის, იმასაც მალე დახურავენ. მერე ხალხი ვერის ბაღში დაიწყებს სიარულს და ჩემი ტოლა ბიჭები იტყვიან, —აქ წინათ სასაფლაო იყო. მე რომ მოვკვდები, ალბათ, ვაკის სასაფლაოც ბაღი იქნება და ასე დაუსრულებლივ, ყველა სასაფლაო ბაღებად იქცევა, ლამაზ ბაღებად... სასაცილოა პირდაპირ. ვერის სასაფლაო რომ დახურეს და სასაფლაო ვაკეში გადაიტანეს, იმ ადგილს ბუღი ასდიოდა, ბალახი რა იყო, ისიც არ ხარობდა. მერე ვიღაცის სასთუმალს ტირიფი დაირგო, მერე თუთა, ნაძვი, ჭადარი, ფიჭვი... მოჰქონდათ წყალი შორიდან, ძალიან შორიდან, ბაგებიდან, მდინარე ვერიდან... ეზიდებოდნენ ზურგით, ვირებით, კასრებით, ქილებით, პეშვითაც კი, ყიდდნენ საცხოვრებელს, რომ არ გამხმარიყო ხეები... და ხეები იზრდებოდნენ, იზრდებოდნენ, ჩრდილავდნენ საფლავებს, აგრილებდნენ ჰაერს, შრიალებდნენ, შრიალებდნენ, ამშვენებდნენ ჭირისუფალს და ისე ყველა ჩვენთაგანმა იხაროს, როგორც აქ ხეებმა იხარეს. მშვენიერი ბაღი გამოვა ვაკის სასაფლაოდან, მშვენიერი. როდესაც ამაზე ფიქრობ, გგონია, ცხოვრება ბოლოსდაბოლოს სასაფლაოების ბაღებად გადაკეთების დაუსრულებელი პროცესია, მეტი არაფერი. სასაცილოა, ღმერთმანი.

— თემო, გამარჯობა!

— ქართლოსს გაუმარჯოს!

— ფეხბურთზე იყავი?

— არა! —ქართლოსი ჩემს გვერდით დაჯდა.

— რატომ?

— არ მიყვარს ფეხბურთი. —ვუთხარი მე.

— აბა რა გიყვარს, ბიჭო? —გაიღიმა ქართლოსმა.

— ფელამუში. —გავუღიმე მეც.

— წამოიღე ხოლმე ფეხბურთზე და იქ ჭამე. —მირჩია ქართლოსმა.

— ეგრე ვიზამ დღეიდან. —დავპირდი მე.

— შენ რომ ბასას თამაში ენახა დღეს, ჭკუას დაანთხევდი!

— რა ქნა ასეთი?

— მარღანიამ ბურთი ხელით გაუგორა ხოჭოს, ხოჭომ გრძელი პასი მისცა ავთოს, ავთომ დრიბლინგით წაიღო, ორი მცველი, ბასას რომ ედგა, უცებ მოსწყდა ადგილს და ავთოსკენ წამოვიდა... ბასა მარცხენა ფრთაზე გავარდა, ტყუილია, ეგ რომ უბურთოდ თამაშობს. ავთომ ჩართო მესამე სიჩქარე. ახლა წინ სამი კაცი ედგა, აჭამა ერთს, მეორეს და გრძელი პასი მისცა გაგნიძეს, მარჯვენა ფრთაზე, გაგნიძემ ბურთი გააჩერა, ყველას ეგონა, ბასას მისცემსო ისე შევარდა საჯარიმოზე. ოთხმა კაცმა ჩაკეტა უცებ და ამ დროს გაგნიძემ ისევ ავთოს დაუბრუნა, ავთო ცარიელი იყო, მიიღო თუ არა, დაარტყა ისეთი ცუცურმა ბურთი იყო, ღმერთი ვერ აიღებდა, ჭამა იაშინმა, მარჯვნივ გადახტა და ძელს შეასკდა, ბურთი მარცხნივ შეგორდა, ადგომა აღარ უნდოდა საწყალ იაშინს.

— ბასამ რაღა გააკეთა? —ვიკითხე მე. ქართლოსს სახე მოენგრა.

— რა უნდა გელაპარაკო, კრეტინი ხარ! —მითხრა მან და ხელი ჩაიქნია.

— ბოლო-ბოლო ვინ მოიგო? —არ მოვეშვი მე.

— იღბალი არა გვაქვს, თავზე ვასხედით, იმათ მოიგეს: ოთხით ერთი.

— მაგრად გვითამაშია!

— არ გინახავს და რა უნდა გელაპარაკო. ნაღდი დირიჟორია ბასა, ნაღდი. სტრავინსკია. —აღტაცებით წამოიძახა ქართლოსმა და შემოკრებილ ბიჭებს გადახედა.

— შენც კაცი გინახია და ელაპარაკები! — უთხრა ელგუჯამ ქართლოსს. ხელით გამწია და ჩემსა და ქართლოსს შორის ჩაჯდა. ბიჭებმა გაიცინეს.

— იმის დედა ვატირე, ვინც ფეხბურთზე თქვა სპორტიაო. —თქვა ქართლოსმა.

— აბა, რა არი? — ვკითხე მე.

— ნაღდი ხელოვნებაა! —თქვა გოგიამ.

— მაშ ბეთჰოვენი ვინღა არის? — ვკითხე მე.

— მორჩი, კაცო, თავის საქმეში ბასა ბეთჰოვენიც არის და კარუზოც.

— რომელ საქმეში?

— რომელში და სპორტში. —ცხვირი ცხვირზე მომადო გოგიამ.

— ესე იგი ფეხბურთი მაინც სპორტი ყოფილა! —დავიჭირე სიტყვაზე.

— სპორტი შენ რომ ლექსებს სწერ. ის არის! —მომიჭრა ქართლოსმა. კმაყოფილმა მსმენელებმა ტაში დაუკრეს. ჩემი ლექსების იმედი რომ მქონოდა, კამათს გავაგრძელებდი, მაგრამ, ვერ ვენდე და გაჩუმება ვარჩიე.

— მოკეტე? —მკითხა ელგუჯამ.

— მოვკეტე! —ვუთხარი მე და პირზე ხელი ავიფარე.

— მორჩა, ფეხბურთი ხელოვნებაა!— დაასკვნა გოგიამ და მხარზე ხელი დამარტყა.

— კი, ბატონო, ბასა ბეთჰოვენია, ავთო მოცარტია, გაგნიძე სერვანტესია, ხოჭოლავა ტოლსტოია, მარღანია მარკ ტვენი და კალოევი პუშკინი. კი, ბატონო...

— მიქელანჯელო არ გამომიტოვო, თუ ძმა ხარ! —მთხოვა ნოდარ დვალმა, რომელსაც ზედმეტ სახელად გაპონას ვეძახდით. ყველას გაგვეცინა.

— გაპონ, რამე ახალი ამბავი გეცოდინება! —სთხოვა გოგია დემეტრაძემ.

— გუშინ ამერიკის ხმამ გადმოსცა, ესპანური ჭიანჭველის წვენს თმა ამოჰყავსო.— არ გააწბილა გაპონამ.

— ამის დედა ვატირე, ჩვენი რომ ჭიანჭველაც არ ვარგა! —გადაისვა მელოტ თავზე ხელი გოგიამ.

— რაშია საქმე? —იკითხა ახალმოსულმა კარლომ, რომელსაც თან პატარა, დიდთვალება, ცხვირგაბუშტული და ჭორფლიანი ბიჭი ახლდა.

— კარლოს გაუმარჯოს! ვისია ეგ ბიჭი? —ვკითხე მე.

— ჩემი დისშვილია.

— რა გქვია, ბიჭი?

— გია!

— ყოჩაღ!

— ლექსი იცი? —ჰკითხა ქართლოსმა.

— ვიცი!

— აბა, თქვი!

— არ მინდა! —უთხრა ბიჭმა და ბიძამისს სახელო დაქაჩა, წავიდეთო.

— დაჯექი, სად უნდა წავიდეთ! — წაარტყა თავში ხელი ბიძამ.

ბავშვი დაჯდა.

—დღეს ექიმთან მყავდა! —თქვა კარლომ.

— ავად არის? —ვკითხე მე.

— ავად არა, მხეცივით არის!

— რაღად გყავდა ექიმთან?

— გვაგიჟებს, კაცო, ვუნდერკინდია, ნებისმიერ ციფრებს ყოფს, ამრავლებს, უმატებს და აკლებს...

— კარგი, თუ ძმა ხარ! —გაუკვირდა გაპონას.

— გია, სამჯერ სამი რამდენია? — ჰკითხა ბიძამისმა.

— ცხრა! —თქვა თვალის დაუხამხამებლად ბავშვმა.

— ბიჭოს! —გაგვიკვირდა ჩვენ.

— თერთმეტს გამოვაკლოთ ორი?

— ცხრა!

— ხუთს მივუმატოთ ოთხი?

— ცხრა!

— 1712-ს გამოვაკლოთ 1703?

— ცხრა!

— ვაა!!! —აღმოგვხდა განცვიფრებისაგან. ბავშვი ღვთის კალთიდან ჩამოვარდნილივით იდგა ჩვენს წინ და შარავანდედიღა აკლდა თავზე.

— ორი ათასს გამოვაკლოთ ათას ცხრაას ოთხმოცდათერთმეტი? — არ ეშვებოდა ბიძა.

— ცხრა! — არ იშლიდა ბავშვი.

— ვაა! —ვიძახდით ჩვენ.

— მოიცა, თუ ძმა ხარ. ახლა მე ვკითხავ! —თქვა გაპონამ.

— სხვის შეკითხვებს ვერ იტანს. — აარიდა თხოვნას თავი ბიძამ.

— ერთი მაგალითი და მორჩა! —არ დაიხია უკან გაპონამ.

—წადი, ბიჭო, ითამაშე! —ისევ წამოკრა თავში ხელი ბიძამ.

— თავში ხელს ნუ ურტყამ, რამე არ მოუვიდეს! —შეეშინდა ქართლოსს.

— ორს მივუმატოთ ოთხი, რამდენია, ბიჭი, —არ აცალა წასვლა გაპონამ.

— ცხრა! —ააფახულა თვალები პატარა გენიოსმა. —ბიჭებს კივილი აუტყდათ. მე სკამიდან გადმოვვარდი.

— გასაგებია! —თქვა გაპონამ.

— ეს კი ყოფილა ექიმთან მისაყვანი! —თქვა ქართლოსმა.

— რამდენი წლის ხარ, ბიჭი? — ვკითხე მე, სული რომ მოვითქვი.

— ცხრა! —თქვა ბიჭმა და გაიქცა.

— დისშვილი ბიძას ასე დამსგავსებოდეს, არ მინახავს!— აუჩუყდა გული ელგუჯას.

— კრეტინო, მაგხელა რომ იყავი, ცხრამდე თვლა იცოდი? —გაიქაჩა ელგუჯაზე კარლო.

— მერე რაო, ექიმმა რა გითხრათ?— ჰკითხა ქართლოსმა.

— მიხედეთ ბავშვსო!

— მიხედეთ, დროზე მიხედეთ! — სთხოვა გოგია დემეტრაძემ .

— დამცინი? —იკითხა კარლომ.

— ჩემი დასაცინი რა გჭირს, მე რა მენაღვლება, მუსხელიშვილმა იკითხოს, ორ წელიწადში, ასე თუ იანგარიშა მაგან, უმუშევარს დატოვებს —თქვა გოგიამ.

ბიჭები ერთმანეთს შეასკდნენ. კარლომ ერთ ხანს გვიყურა, მერე შებრუნდა და იქით წავიდა, საითაც ბავშვი გაიქცა.

— გაუევი, თემო, თორემ მოკლავს ბავშვს! —მთხოვა ქართლოსმა. მე ავდექი.

პავილიონისაკენ გავიარე. კარლო და მისი დისშვილი აინშტაინი არსად ჩანდნენ. ერთ სკამთან შევყოვნდი. ორი მოხუცი ჭადრაკს თამაშობდა. დაფას დავაკვირდი. მელოტს, რომელიც თეთრებით თამაშობდა, სამ სვლაში შამათი ჰქონდა. შავებით მოთამაშე წითურ ძიას ხელი თავზე შემოედო თვალებს ნაბავდა. ეტყობოდა, თეთრების სვლა იყო და არაფრად ეპიტნავებოდა სვლის გაკეთება. დიდხანს ვიდექი. ორ თრები სვლას არ აპირებდნენ.

— მემდური? —ჰკითხა წითურმა.

— რაშია საქმე? —გაუკვირდა მელოტს.

— აღარ ითამაშებ?

— ჩემი თამაშია?

— აბა, ჩემი?

— ვერ თქვი მერე?

— თქმა არ შველის მაგას, თამაში უნდა.

— ა, ბატონო. უდედოფლოდ არ იქნება ჩვენი არსენას დაჭერა.—წაიღიღინეს თეთრებმა და პაიკი წასწიეს წინ.

— ქიში! —ერთი ქიშიც მოახსენა თავად გახლავარ არსენა, —ღიღინით უპასუხეს შავებმა.

— ხელი არ გამიშვია! — დაიბრუნეს სვლა თეთრებმა.

— სხვა ითამაშე, ბატონო! — სთხოვეს შავებმა. თეთრებმა მხედარი ითამაშეს.

— ცხენი მასე არ დადის! — გაუსწორეს სვლა შავებმა.

— მაშინ ასე ვთამაშობ! —თქვეს თეთრებმა და ისევ ის პაიკი წასწიეს.

— ქიშ!

— ჩემი კი არა, შენი სვლა იყო! — დაიწყეს თეთრებმა ინტრიგა.

— კარგი, ბატონო! — არ აყვნენ შავები.

— ითამაშე!

— ქიში!

— მეფე გასწიეთ და ქიშს ვერ გეტყვით. —ვასწავლე მე.

— გაიარე, ბიძია, შენი საქმე არ არის! —დამარიგა ჭკუა წითურმა.

მართლაც და, რა ჩემი საქმე იყო. მაგრამ არსადაც არ გავიარე, იქვე დავჯექი. მოხუცებმა ახალი პარტია დაიწყეს. ვიდრე პირველ ტრადიციულ სვლებს აკეთებდნენ, კვლავ დავუწყე მოქალაქეებს თვალიერება. ჩემს პირდაპირ გვერდშექცევით ახალგაზრდა გოგონა იჯდა. მას ფეხი ფეხზე გადაედო, მარჯვენა მკლავით სკამის ზურგს დაყ-

რდნობოდა, ისე იჯდა, მარცხენა ხელისგულზე გაშლილ წიგნს ნათურის მკრთალი შუქი ეცემოდა. გულმოდგინედ კითხულობდა რაღაცას. მზისგან დამწვარი ლამაზი ფეხები ჰქონდა. ოდნავ მოკლე კაბა ეცვა და მუხლისთავი უჩანდა. შავი თმა ლოყაზე ჰქონდა ჩამოშლილი და სახეს ვერ ვხედავდი.

— მორჩა, ნათამაშებია!

— ხელი არ გამიშვია!

— ნათამაშებია!

— გეუბნები, არ გამიშვია! — აყვირდნენ ჩემი მოხუცები.

გოგონამ სახე მოაბრუნა. მოაბრუნა და მე გული კინაღამ ჩამწყდა მოულოდნელობისაგან. ჩემს წინ ლია იჯდა. მოხუცები რომ დაწყნარდნენ, კვლავ მიბრუნდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ მოტრიალდა და დამაკვირდა სულ რაღაც ორიოდე წამით, მერე თავი ჩაღუნა, ალბათ ფიქრობდა, სად მინახავსო, ახლა ქვევიდან გამომხედა, უცებ შებრუნდა და წიგნის კითხვა განაგრძო.

ღმერთო, ნუთუ ვერ მიცნო. თუ ვერ მიცნო, რატომ დამაკვირდა ასე. თუ მიცნო, წიგნის კითხვა რაღად განაგრძო... მიცნო? ვერა, ვერ მიცნო. იგი კითხულობდა გადაშლილ წიგნს ისევ ისე, როგორც წინათ, გვერდშექცევით, ლოყაზე თმაჩამოშლილი. კითხულობდა დიდხანს, ძალიან დიდხანს. მე საკუთარი გულის ბაგა-ბუგი მესმოდა. დავწყნარდები და მივალ, აი, ახლა, გული დამიწყნარდება და მივალ. აი, დამიწყნარდა... წამოდგომა დავაპირე. გულმა უარესად დამიწყო ცემა. თვალს არ ვაცილებ ლიას... ლია, ბათუმი, „ინტურისტი", კაფე, გაკრეჭილი, გულიკო, ლია, ლია, გულიკო. ყველაფერი ერთმანეთში აირია. მე თვალს არ ვაცილებ. ლია წიგნს კითხულობს კიროვის ბაღში. ალბათ, ვერ მიცნო, ვერ მიცნო, ვერ მიცნო... და უცებ მივხვდი, რომ ლიამ მიცნო და რომ ლია წიგნს არ კითხულობდა. იგი არ კითხულობდა წიგნს, რადგან ამდენი ხანია ვუცქერ და არ გადაუფურცლავს. უნდა მივიდე. უნდა მივიდე. უნდა მივიდე... და მე მივედი.

— გამარჯობა, ლია! — ვთქვი მე და გვერდითი სკამის კიდეზე ჩამოვჯექი ისე, რომ პირდაპირ სახეში მეცქირა. ლიამ თავი აიღო და ჩამოშლილი თმა გაისწორა.

— უკაცრავად... — დაიწყო მან. ალბათ უნდოდა ეთქვა, ვერ გიცანითო.

— მე თემური ვარ, — შევაწყვეტინე სიტყვა, — თემური. ბათუმი გახსოვთ, შარშანწინ?

— მახსოვს, — თქვა ლიამ და წიგნი დახურა.

— ჰოდა, მე თემური ვარ. როგორ გაგახსენოთ თავი, აი ის, თქვენ რომ... ღამე რომ თქვენს ნომერთან მოვედი და...

— მახსოვს... — თქვა ლიამ და ისევ გაშალა წიგნი.

— როგორ ბრძანდებით, ლია? — ვკითხე მე, წიგნის კითხვა რომ არ დაეწყო.

— გმადლობთ, არამიშავს.

— საოცარია პირდაპირ. რომ ჩამოვედი ბათუმიდან, სულ გეძებდით, გეძებდით და გეძებდით.

— მართლა? — თქვა ლიამ და გაიღიმა ისე, როგორც მატყუარებს უღიმიან.

— დედას გეფიცებით, გეძებდით, გეძებდით და ვერსად ვერ გიპოვეთ.

— ცუდად მეძებდით, ალბათ! — თქვა ლიამ და ისევ დახურა წიგნი.

— კარგად გეძებდით, დედას გეფიცებით. და მაინც ვერ გიპოვეთ. დღეს კი სულ არ გეძებდით და გიპოვეთ.

— რა მოხდა მერე? — მკითხა ლიამ.

— არაფერი. გამეხარდა!

— ძალიან სასიამოვნოა.

— თქვენ არ მეძებდით, ლია? — ვკითხე მე.

— არა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ არ დამკარგვიხართ.

— მე კი გეძებდით...

— რა გინდათ, თემური, ჩემგან? — მკითხა უცებ ლიამ და წამოდგა. ასეთ პასუხს არ ველოდი და ენა დამება.

— მე, არაფერი, ისე, ძველი ნაცნობი რომ გნახეთ, გამიხარდა...

— მეც გამიხარდა, მადლობელი ვარ ყურადღებისათვის, ნახვამდის... — ლია წასასვლელად მოემზადა.

— ლია, თქვენ რომ ახლა წახვიდეთ, მე გავგიჟდები. — ვთქვი მე ისე გულწრფელად, რომ ლიას თვალები გაუფართოვდა.

— ლია, ძალიან გთხოვთ, თუ შეიძლება, ცოტა ხანს კიდევ დარჩით.

— გვიანაა უკვე. — თქვა ლიამ და შევატყე, რომ ყოყმანობდა.

— ცოტა ხანს, სულ ცოტა ხანს, ლია...

ლია დაჯდა. დავჯექი მეც. უამრავი, უამრავი დრო გავიდა დუმილში. მე ვიჯექი, ლიას წინ, ვუმზერდი მის ლოყაზე ჩამოშლილ კუპრივით თმას, ტუჩებს, დიდრონ დახრილ წამწამებს, წიგნზე დაწყობილ თხელ და საოცრად გრძელ, სიფრიფანა თითებს, სავსე მკერდს, მესმოდა მისი ზომიერი სუნთქვა და ისე მომინდა უცებ მოვხვეოდი ამ ლამაზ, მიმზიდველ ქალს, როგორც უდაბნოში უწყლობით მომაკვდავ კაცს ენატრება წყაროზე დამხობა და სიკვდილამდე თუ დახრჩობამდე სმა. ფეხზე წამოვდექი. წამოდგა ლიაც. მან თვალი თვალში გამიყარა.

— წავიდეთ! — ვთქვი მე, რამე სისულელე რომ არ ჩამედინა.

ლია უხმოდ წავიდა, მე გვერდით გავყევი. გავედით კიროვის ბაღიდან. ვერის ბაზართან ლენინის ქუჩა გადავჭერით და ბელინსკის ქუჩას შევუდექით.

— ლია, თუ შეიძლება, გაგაცილებთ! — ვუთხარი მე, დუმილი რომ დამერღვია. ლიას გაეღიმა და გზა განაგრძო.

— მაშინ, ალბათ, ბევრი უსიამოვნება მოგაყენეთ! — განვაგრძე საუბარი.

— როდის?

— აი, იმ გაკრეჭილ ბიჭზე რომ გელაპარაკეთ!

— ავთოზე?

— არ მახსოვს, რა ერქვა.

— ის გოგონა ვინ იყო, თქვენ რომ გახლდათ ზღვაზე? — მკითხა უცებ ლიამ.

— ის გოგონა? ის გოგონა ისე, ჩვენი ამხანაგი, უნივერსიტეტის ამხანაგი.

— აკი ქმარია ჩემიო, ამბობდა?

— ხუმრობდა, ალბათ, არ მახსოვს. მართლა თქვა? — გავიკვირვე მე.

— არ გახსოვთ?

— არა. — ლია გაჩუმდა.

— ალბათ, ბევრი უსიამოვნება შოგაყენეთ მაშინ! — დავიწყე თავიდან.

— არა, თქვენ რომ წამოდით, მეორე დღეს მეც წამოვედი.

— ის გოგონა, გულიკო, ჩემი ცოლი არ არის, არც ყოფილა! — რატომღაც ვიმართლე თავი და თვითონვე შემრცხვა.

— კარგი გოგო იყო! — თქვა ლიამ.

— რა წიგნს კითხულობთ? — ბანზე ავუგდე სიტყვა. ლიამ წიგნი გამომიწოდა. „მარტოდ მარტო კაციჭამიებს შორის“ წავიკითხე.

— ვიცი ეგ წიგნი, ბავშვობაში დედა მიკითხავდა ხმამაღლა. სიზმარივით მახსოვს — „ყველას ვეკითხებოდი ახალი ზელანდიისაკენ მიმავალ გემზე მეზღვაური ხომ არ სჭირდებათ, იქ ჩემი ეშუ მელოდებაო“ — მგონი ასე თავდებოდა. — ლიამ წიგნი გამომართვა და ბოლო ფურცელი გადაშალა.

— „იქ ჩემი ეშუ მელოდება“. — წაიკითხა მან. — კი, ასე თავდება. — თქვა და გამიღიმა.

— ბელადს ემაი ჰქვია, არა?

— ემაი! — თავი დამიქნია ლიამ.

— დედა რომ წიგნებს მიკითხავდა ბავშვობაში, სულ ზეპირად მახსოვს. ნეტავი ლექციები მამახსოვრდებოდეს ისე. — ვთქვი მე. ლიას გაეცინა.

ქართული პურის თონესთან რომ ჩავიარეთ, ისეთი სურნელება მეცა, თავბრუ დამეხვა.

— უჰ, რა სუნია?! — აღმოხდა ლიას.

— ერთი წუთით, ლია! — ვთხოვე და თონეს ეზოდან შემოვუარე, კარები გადარაზული იყო შიგნიდან, დავაკაკუნე. ხმა არავინ გამცა. ხელმეორედ დავაკაკუნე, კარი ოდნავ გაიღო და ვილაცამ ოფლიანი თავი გამოჰყო.

— პური მინდა, ძია! — ვუთხარი მე.

— არ არის პური! — თქვა მან და კარი ცხვირწინ მომიხურა. ისევ დავაკაკუნე. ისევ გაიღო კარი.

— რა გითხარი, შე კაცო, არ არი პური და რა გიყო?

— ერთი პური, ძია, ქუჩაში მშიერი კაცი მელოდება. — ვთხოვე მე.

— ცა და ქვეყანა მშიერია, შე კაცო, და ასე რომ ვარიგო პური, შენ არჩენ მერე ჩემ ცოლ-შვილს? — მკითხა მან.

— ნუ მეტყვი უარს, შენი ჭირიმე, მომეცი ერთი პური.

— ხუთი მანეთი გაქვს? — მკითხა მან.

— სამი მანეთი მაქვს!

— სამმანეთიან პურს არ ვაცხობთ ჩვენ!

— პატარა პური იქნება და ამოარჩიე.

— შენ ვინ ყოფილხარ, კაცო! — გაუკვირდა მეპურეს. მერე კარი გაიხურა. ერთ წუთში ისევ გააღო კარი და მრგვალი, ლოყებდაბრაწული ცხელი პური მომაჩეჩა.

— ა, და წადი ახლა! — მე სამი მანეთი მივეცი და პური ჩამოვართვი.

— გმადლობთ, ბიძაჩემო! — ვთქვი მე.

— არაფრის, შე კაცო! — მითხრა მეპურემ.

მე გამოვბრუნდი. ქუჩაში გაშოვედი. აკაციის ძირას, სადაც ლია დავტოვე, არავინ იდგა. გავიხედ-გამოვიხედე, ქუჩა ცარიელი იყო.

— ლია! — დავიძახე მე. ხმა არავინ გამცა. ზევით, ბელინსკის თითქმის ბოლოში, ვიღაც მიდიოდა. გამოვეკიდე, გულამოვარდნილი დავეწიე.

— ლია! — დავუძახე. მოიხედა. ლია არ იყო. არ იყო და მკერდში რაღაც ჩამწყდა, გული დამეწურა და ისე დამეწვა, თითქოს მდუღარე ჩამასხეს... გამეპარა, რაღა იპოვის ახლა მაგას. ნეტავ რატომ გამეპარა... ალბათ, არ ესიამოვნა ჩემთან შეხვედრა. ცუდი ხომ არაფერი მითქვამს... ალბათ, არ უნდოდა ვინმეს მასთან ერთად დავენახე. არ უნდოდა ალბათ... და ისევ ამეწვა გული. ფილაქანზე ჩამოვჯექი და ცხელი თონის პური გულზე შივიკარი...

— ღმერთო, ძლივს ვიპოვე და რა სულელურად დავკარგე...

— რა დაკარგე, როდის ეძებდი, რომ დაკარგე.

— როგორ არ ვეძებდი, სულ ყოველთვის ვეძებდი, ორი წელია ვეძებდი...

— არცერთი დღე არ გიძებნია.

— მაშ რატომ გამიხარდა ასე მისი დანახვა?

— რა ვიცი, რატომ გაგიხარდა, მაგის დანახვა ვის არ გაუხარდება.

— ალბათ, ჩემსავით არავის, რა სულელურად დავკარგე!?

— კიდევ იპოვი თუ მოინდომე.

— სად ვიპოვი, სად? — პურმა მკერდი გამითბო და რაღაც გალღვა, გალღვა და ძარღვებში საამოდ ჩამეღვარა. პურს დამწვარი ყუა მოვტეხე და ღეჭვა დავუწყე.

— რა სულელურად დავკარგე მე იდიოტმა. სადღა ვიპოვნი ან როდის?

ავდექი და ლენინის ქუჩისაკენ დავეშვი. რა ჯანდაბად მინდოდა ეგ დასაწვავი პური, ნეტავი რა ოხრად მინდოდა. ვერის ბაზართან ჩავედი. მელიქიშვილისა და ლენინის ქუჩების კუთხეში რამდენიმე მოქალაქე ტრამვაის ელოდა. ფეხით წასვლა დამეზარა და მეც დაველოდე ტრამვაის. გაჩერებაზე ორი მამაკაცი და ერთი, ასე, ოცდაათი წლის ლამაზი, ჩასუქებული, ქერა ქალი იდგა. მას ხელში მძიმე ჩანთა ეკავა. საყელო და სახელოებგაცრეცილი კოსტუმი ეცვა, წარბები წვრილად ჰქონდა ამოქნილი და წამწამები აპრეხილი, სახეზე უმარული ეცხო. ოდნავ ვულგარული იერი ჰქონდა, ისე, ლამაზი იყო. გვერდით რომ მოვუდექი, ისე შემომხედა, როგორც ჯიბგირებს უყურებენ ფრთხილი მგზავრები. თავი უხერხულად ვიგრძენი და გვერდზე გავიხედე. მხოლოდ ახლა შევამჩნიე, რომ პური მკერდზე მქონდა მიკრული და უშნოდ ვიცოხნებოდი. ლუკმა სასწრაფოდ გადავყლაპე, პური იღლია-

ში ამოვიჩარე და ქალს გავხედე. ქალმა სიცილი ვერ შეიკავა და მიბრუნდა. ძეც გამეცინა.

— გემრიელია? — მკითხა ქალმა.

— გადასარევია. ხომ არ მიირთმევთ? — ვკითხე ახლა მე და პურს ყუა მოვაგლიჯე.

— არა, გმადლობთ.

— შორს ცხოვრობთ? — ვკითხე ისევ.

— არც ისე.

— მეც ახლოს ვცხოვრობ.

— ერთი საათია ველოდები ტრამვაის და არ ჩანს, ამდენ ხანს ასჯერ მივიდოდი! — თქვა ქალმა.

— ფეხით ხომ არ წავსულიყავით? — გავთავხედდი მე.

— ეგ ჩანთა რომ არა... — ტრაგიკული სახე მიიღო ქალმა და წარბები შეიჭმუხნა.

— მე წამოგიღებთ!

— როგორ შეგაწუხოთ!

— რას ბრძანებთ!

— ჰომეციით!

— არა, რას ბრძანებთ! — დაიწყო ჩანთის ქაჩვა აქეთ-იქით. ბოლოს, როგორც იქნა, გამოვართვი, ჩანთა არც ისე მძიმე აღმოჩნდა.

კავშირის ქუჩის ბოლოში რკინის ჭიშკარში შევედით და ხელისგულისოდენა ეზოში აღმოვჩნდით. შუაგულ ეზოში მავთულით ყბაახვეული ონკანი თუჩთუხებდა და კავებშეყენებული, გარდიგარდმო გაბმული სარეცხის თოკები ქათქათა საცვლებითა და ზეწრებით იყო დაბუნძული. ქალმა გასაღები ამოიღო და პირდაპირ ეზოში გამომავალ თეთრფარდებიან და რკინებაკრულ კარს მიადგა. კარი გაიღო, ქალი ოთახში შევიდა, სინათლე აანთო.

— შემოდი! — მითხრა მან. შევედი და ჩანთა პატარა შუშაბანდში დავდე ნავთქურის გვერდით.

— დაჯექი! — მითხრა მან და ტახტზე ვარდისფერი ბალიში გაასწორა.

დავჯექი.

ოთახი იყო პატარა, დაახლოებით თხუთმეტ-თექვსმეტი მეტრი. შიგ იდგა ნოხგადაფარებული ტახტი, რომელზეც მე ვიჯექი, ერთი საწოლი მწვანე სატინით დახურული, მრგვალი მაგიდა, ოთხი სკამი, ერთი წიგნების კარადა და ერთიც ტანსაცმლის, სარკისკარიანი კარადა. ეს იყო და ეს.

ქალმა კარადის კარი გააღო, ვარდისფერფოთლებიანი ხალათი გამოიღო, სარკესთან დადგა და მოურიდებლად დაიწყო კოსტუმისა და ქვედატანის გახდა. იგი იყო მკვრივი, ძლიერი, მარმარილოსავით თეთრი სხეული, მრგვალი მხრები და მაღალი მკერდი ჰქონდა. სუნთქვა შემეკრა. სახე ავარიდე. ხალათი გადაიცვა და მაგიდას მიუჯდა.

— ვჭამოთ რამე? — მკითხა მან.

პური, რომელიც ამდრომდე ხელში მეკავა, მაგიდაზე დავდე. ქალი ადგა და შუშაბანდში გავიდა, იქიდან ცოტა ყველი, თევზის კონსერვი და ნახევარი ბოთლი არაყი გამოიტანა.

— მოდი! — თქვა მან.

მე ავდექი და მაგიდას მივუჯექი. ქალმა არაყი დაასხა.

— კარგად ვიყოთ, მადლობელი ვარ, რომ მომაცილე. მე ლიდა მქვია. შენ? — მკითხა და ჭიქა ჭიქაზე მომიჯახუნა.

— მე თემური მქვია. კარგად იყავი, ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს!

— გაგვიმარჯოს! — დავლიეთ. — ეს ჩემი ქმარია, ომში დაიღუპა. — თქვა მან და კედელზე დაკიდებული კაცის სურათისკენ გაიხედა. კედლიდან ახალგაზრდა უწვერულვაშო ბიჭი იღიმებოდა.

— მე შვილი მეგონა! — ვთქვი და ჭიქა დავდგი.

— ქმარია. შენ რამდენი წლისა ხარ?

— ოცდაორის!

— ის ოცდასამის იყო! — თქვა ლიდამ და ისევ დაასხა, მეც დამისხა.

— მე წავალ! — ვთქვი და ავდექი.

— მოიცა, ეს ერთი ბოთლი დავლიოთ! — მითხრა მან. მე დავჯექი.

— ისევ ჩვენ გაგვიმარჯოს!

— გაგვიმარჯოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამეც დავასხით.

— გაგვიმარჯოს!

— შეიძლება, ლიდა, შენს გვერდით დავჯდე? — ვკითხე მე და შევატყე, როგორ დაირწა ოთახი და ამეწვა საფეთქლები.

— შეიძლება!—თქვა ლიდამ, გაიღიმა და თვალები დახუჭა.

მე გვერდით მივუჯექი და ხელი კალთაზე დავადე. ლიდამ არაფერი თქვა. არც თვალები გაუღია, არც ღიმილი შეუწყვეტია, მხოლოდ ორივე ხელით საფეთქლები დაისრისა და ასე დარჩა. მაშინ ხელი მხარზე გადავხვიე და ჩემსკენ მოვზიდე, ჯერ ყურის ძირში, მერე ყელთან, ვაკოცე და ასე დავრჩი. მას რაღაც, დღემდე ჩემთვის უცნობი, აუხსნელი, გაუგონარი და საოცარი სუნი ჰქონდა მიწის, მზის, სისხლის, ოფლის, ზღვის, პურის, ყველაფრის, ყველაფრის, რასაც ქვეყანაზე ბედნიერება და სიცოცხლე ჰქვია, ყველაფრის ერთად.

— ლიდა, გენაცვალე, დავრჩები შენთან, თუ შეიძლება, ლიდა... — ვჩურჩულებდი და ვეკვროდი.

ლიდა ხმას არ იღებდა.

— ლიდა, დავრჩები, ჩემო საყვარელო ლიდა, ძვირფასო ლიდა, — ლიდა ჩემსკენ მოტრიალდა, დიდხანს მიცქირა დიდრონი თვალებით, მერე უცებ ადგა. მეც ავდექი.

— დარჩი! — თქვა მან. ოთახი ისევ დაირწა, მერე დატრიალდა, დატრიალდა და ყველაფერი უკუღმა დაბრუნდა, ცოტა გონს რომ მოვედი, ოთახში ბნელოდა. ლიდა ლოგინში იწვა და ჩემსკენ იცქირებოდა.

— მოდი! — თქვა მან. მე ადგილიდან არ ვიძროდი.

— მოდი ჩემთან!—გაიმეორა ლიდამ საიდანღაც, ზღაპრიდან, ექონარევი ხმით. — მოდი, მოდი, მოდი, — გუგუნებდა ზღაპრიდან მოსული ხმა ჩემს საფეთქლებსა და ყურებში და მე შევეღი ზღაპარში...

• • •

ეს იყო ფიჭვის, არყის, წიფლის, მუხის, ნაძვისა და ბზის უზარმაზარი, დაბურული ტყე, ცაში ასული, მზემდის აზიდული, ზურმუხტში და ოქროში მოცურავე ტყე. მე ვიდექი შუა ტყეში ფეხშიშველი, ფეხისგულებს წიწვები მჩხვლეტდნენ, ხელებაწვდილი შევყურებდი ფოთლებში ჩამომდნარ სხივებს და ველაპარაკებოდი ღმერთს.

— ეჰეჰე ჰე, მაღალო ღმერთო, მაღალო ღმერთო.

მე ვსუნთქავდი ცას, ვბანაობდი სხივებში, ფესვებით გადგმული მიწაში ვიყავი ტყესავით მაღალი, ძლიერი და ბედნიერი.

—ეჰეჰე ჰე, ღმერთო, მაღალო ღმერთო, გმადლობთ, ღმერთო, ძლიერო ღმერთო...

მერე უცებ სხივები იქცნენ ცეცხლად, ავარდა ალი და ცეცხლი მოეკიდა ცას, ცეცხლი მოეკიდა ტყეს. მოეკიდა და გათავდა ჰაერი, ჰაერი გათავდა, ღმერთოო... მიშველე, ვიწვები... მე ვიდექი და ვიწვოდი ისე, როგორც ჩემს წინ მდგარი ფიჭვი და წიწვი ჩემს ფეხებქვეშ.

— ღმერთო მაღალო. მიშველეეე... მერე მე ვთხრიდი უზარმაზარ მუხებსა და წიფლებს, არყის ხეებსა და ფიჭვებს. ვთხრიდი ფესვიანად, ვიმტვრევდი მუხლებზე, ვლეწდი და ვგლეჯდი ჩემს გარშემო ყველაფერს და ვამხობდი დედამიწაზე, ვეძახდი ღმერთს, მაგრამ საშველი არ ჩანდა და მე დავემხე მიწაზე ქვითინით. მაშინ ისმინა ღმერთმა ჩემი ვედრება... მოვიდა წვიმა. საოცრად თბილი და ალერსიანი წვიმა, მერე იმატა, იმატა, ჩაქრა ცეცხლი და დატრიალდა რძესავით სუფთა და ტკბილი ოხშივარი. მე ვეკვროდი სველ მიწას, როგორც სიცოცხლეს, ისიც მეკვროდა, მასზე მინდობილს, და ჩვენ ერთად ვტიროდით — მე, ზეცა და მიწა... და მიწა მეჩურჩულებოდა მე, როგორც ცოცხალი:

— თემური, ჩემო სიხარულო, თემური, ჩემო მზეო, სიცოცხლევ ჩემო...

. . . . . .

მერე ყველაფერი გახდა იასამნისფერი. მე ძუძუმწოვარა დამკარგა დედამ ტყეში და მიპოვა ძუ მგელმა, დიდმა, ნაცრისფერმა მგელმა. იგი მოვიდა ჩემთან, დამყნოსა, თავი ასწია მაღლა და დაიყმუვლა. მოვიდნენ მგლის ლეკვები, იმათმაც დამყნოსეს და დაიყმუვლეს. მერე რუხი მგელი მოუწვა ლეკვებს და ძუძუ აჭამა. მე მშიოდა. მივცოცდი დედა მგელთან, მივწი-მოვწიე ლეკვები და სველი ძუძუ ჩავიდე პირში. მგელმა ხმა არ ამოიღო, თვალები მინაბა და გაიტრუნა. მე ვლეჭავდი მგლის ძუძუს და მიკვირდა, რომ იგი არ იყო დედის რძესავით თბილი და გემრიელი, მგლის რძე შაბიანი და მლაშე იყო. მერე მე შევეჩვიე მგლის რძეს და ძალიან გემრიელი მეჩვენებოდა. როდესაც გავიზარდე, ძუ მგელს, ჩემს დედას, ჩემს და-ძმებთან ერთად, სანადიროდ დავყავდი. მე არ ვიცოდი რამდენი და-ძმა მყავდა, რადგან თვლა არ ვიცოდი, ისე კი ბევრნი იყვნენ... და, როდესაც მე მათზე დიდი გავიზარდე და მათზე ძლიერი გავხდი, მგლებმა მაუგლი შემარქვეს. მე არ ვიცოდი რას ნიშნავდა მაუგლი. მაგრამ ვიცოდი, რომ მაუგლი ვიყავი მე და მეტი არავინ. მერე ვისწავლე მგლებივით ყმუილი და მიყვარდა ძუ მგელი, როგორც ჩემი დედა. როდესაც სულ დიდი გავხდი და ტყიდან გამოსულმა, სოფელში დავინახე ჩემსავით ორ ფეხზე მოსიარულე ხალხი. მე მომინდა მათთან ყოფნა. მერე კიდევ ვნახე ადამიანები ტყეში. ისინი ისხდნენ ცეცხლის პირას. მე სულ ახლოს მივედი და დიდხანს ვუცქერდი მათ და რაც უფრო დიდხანს ვუცქერდი, მით უფრო მინდებოდა მათთან ყოფნა. მაგრამ მაშინ მისვლა ვერ გავბედე. მერე მივედი დედასთან და მოვუყევი ყველაფერი.

— დედა, მე დღეს სულ ახლოს ვნახე ადამიანები.

— მე ვიცოდი, მაუგლი, რომ დაგკარგავდი. ამას მაშინ მივხვდი პირველად, როდესაც შენ ცეცხლის არ შეგეშინდა. ჩვენ, მგლებს, ძალიან გვეშინია ცეცხლის.

— მე უნდა წავიდე, დედა, მათთან, ისინი ჩემი ხროვისანი არიან.

— ნუ წახვალ, შვილო, იყავი ჩვენთან...

— მე გული მათკენ უფრო მიწევს. უნდა წავიდე. — და მე ავდექი.

— ნუ წახვალ, ნუ, ნუ წახვალ, ნუ!..— ყმუილით მომდევდნენ ლები და ძმები.— ნუ წახვალ, ნუუუ.— ღმუილით მომდევდა დედა, მაგრამ მე მაინც წავედი.

. . . . . .

— თემო, თემური, ადექი ახლა და წადი. წადი, თემური, თენდება, მეზობლებმა არ დაგინახონ. — მაღვიძებდა ლიდა. მე სწრაფად წამოვდექი და ჩავიცვი.

— შენ არ ადგები? — ვკითხე ლიდას.

— მე არა, დღეს ღამის ცვლაში ვარ.— თქვა ლიდამ.

— ღამის ცვლაში? სად მუშაობ? — ვკითხე მე.

— აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში.

— რას აკეთებ?

— კომბოსტოს ვამჟავებ! — გაიცინა ლიდამ.

— ლიდა, შეიძლება შენთან ვიარო ხოლმე? — ვკითხე მე და საწოლზე ჩამოვჯექი.

— თუ მოგენატრები... ისე არ გირჩევ, არ ღირს, ვითომ სიზმარი იყო. — თქვა ლიდამ.

— კი მომენატრები!— გულწრფელად ვთქვი მე. ლიდას გაეცინა.

— ვნახოთ, მაგრამ არ გირჩევ, ჭამე ის დარჩენილი პური და წადი. — თქვა ლიდამ და მაგიდისაკენ ხელი გამიშვირა.

— მაგ პურმა გუშინ ორი წლის დაკარგული და ძლივს ნაპოვნი გოგონა დამაკარგვინა. — ვთქვი მე და მაგიდას მივუჯექი. ბოთლში კიდევ იყო ცოტა არაყი.

— ვინ გოგონა? — დაინტერესდა ლიდა.

— ლია. ბათუმში გავიცანი, მხოლოდ ერთი დღე ვიცნობდი... მერე ორი წელი არ მენახა, კიროვის ბაღში ვნახე დღეს და... რომ მივაცილებდი, ბელინსკზე თორნე რომ არის, ამ პურის საყიდლად შევედი. გამოვედი და აღარ დამხვდა.

— გაქრა? — გაეცინა ლიდას.

— გაქრა, გამეპარა!— ვთქვი მე. — ამ პურმა დამღუპა...

— აბა. მართალი ყოფილა „არა პურითა ხოლო...“

— რა თქვი?

— „ხოლო იესო მიუგო და ჰრქუა: წერილ არს, რამეთუ არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი, არამედ ყოველითა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა“.—წაიმღერა ლიდამ.

— ეგ სად წერია? — ვკითხე მე.

— სახარებაში.

— კიდევ რა წერია? — ვკითხე მე სხვათაშორის და არაყი დავისხი.

— კიდევ, — თქვა ლიდამ და თვალები დახუჭა, — ახლავე გავიხსენებ. კიდევ სწერია: „ხოლო მე გეტყვით თქუენ, რამეთუ ყოველმან, რომელმან განუტევოს ცოლი თვისი თვინიერ სიტყვისა სიძვისა. მან ამრუშა იგი; რომელმან განტევებული შეირთოს, მანცა იმრუშა“.

მე გაკვირვებული ვუგდებდი ყურს ლიდას. ლიდამ თვალები გაახილა და, გაკვირვებული რომ დამინახა. გაეღიმა.

— არ წაგიკითხავს სახარებაზ? — მკითხა მან.

— არა! — ვუპასუხე მე.

— აი, მანდ დევს, თაროზე. ქვევიდან მესამე წიგნი, ლურჯყდიანი. „ახალი აღთქუმაჲ“ აწერია. წაიკითხე, გამოგადგება. — მითხრა მან.

მე ავდექი, წიგნი თაროდან ავიღე და გადავშალე.

— სახლში წაიკითხე, ახლა კი წადი.

— გმადლობთ. ლიდა! რომ წავიკითხავ, მოგიტან. — ვთქვი მე.

— ნუ მომიტან, გქონდეს. მე ზეპირად ვიცი! — ისევ მივედი საწოლთან, დავიხარე და ლიდას ლოყაზე ვაკოცე.

— გმადლობთ, ლიდა!

— არაფრის!

— შენ კარგი ქალი ხარ, ლიდა, ძალიან კარგი ქალი!

— არ ვიცი. თემო, — აიჩეჩა მხრები ლიდამ.

— ნახვამდის!

— ნახვამდის!

ოთახიდან გამოვედი და კარი ფრთხილად გავიხურე.

თბილისი რძისფერ ბურუსში ცურავდა. შორიდან ისმოდა ქილის ტრამვაების ბორბლების ჭრიალი და ქარხნის საყვირების ბოხი, ხრინწიანი გადაძახილები. ქალაქი გაფერმკრთალებული ნათურებით ციმციმებდა, თვალებს იფშვნეტდა, იზმორებოდა და მტკვრის პირას დაფენილ ღამენათევ, უზარმაზარ ცხვრის ფარასავით იშლებოდა.

რაისთვის დამიტევეზ მე?

დედამ კარები გამიღო. მას მხრებზე თეთრი შალი ჰქონდა მოხვეული და გაფითრებული იყო.

— სადა ხარ, შვილო, ამდენ ხანს. ჯავრით გავთავდი! — მითხრა მან და ოთახში შემომყვა.

— გურამთან ვიყავი! — ვიცრუე მე.

— მერე, არ უნდა გამაფრთხილო, შვილო? მით უმეტეს ასეთ დროს.

— რა დროს, დედა? — ვკითხე მე გაკვირვებულმა.

— შენ არაფერი გაგიგია? — ჩემზე უფრო გაუკვირდა დედას.

— რა უნდა გამეგო?

— დავიღუპეთ, შვილო, სტალინს დამბლა დაეცა! — თქვა დედამ და ცოცხალმკვდარი მაგიდას მიუჯდა.

— გაგიჟდი, ქალო? — ვკითხე მე. ჟრუანტელმა დამიარა.

— გავგიჟდი, შვილო, გავგიჟდი. რადიომ გადმოსცა, სტალინს სისხლი ჩაექცაო...

— მერე?

— მერე რა? ძალიან მძიმედ არისო, დავიღუპეთ, შვილო...

— რას ამბობ, დედა! — ვთქვი მე და საწვიმარი ჩავიცვი.

— ავად ვარ და ნუ დამტოვებ. არსად წახვიდე. ძალიან ავად ვარ. შვილო, ძალიან ავად. — დედას ადამიანის ფერი აღარ ედო და თვალებზე ორი დიდი ცრემლი ეკიდა.

მე მინდოდა მივმხვდარიყავი, რას განიცდიდა, რა აწუხებდა, რა სტკიოდა, რისი ეშინოდა, ან რას სტიროდა დედაჩემი. მაგრამ ვერ მივხვდი და. ალბათ, ჩემს სიცოცხლეში ვერასოდეს ვერ მივხვდები და ვერ ავხსნი ამ სათნოებით სავსე, პატარა, შეშინებული, შეძრწუნებული, ჭაღარა ქალის ცრემლების მიზეზს, იმ მისთვის საშინელ დღეს.

— ნუ წახვალ ნურსად, შვილო, სახლში იყავი. ცუდად ვარ, შენს თავს გეფიცები. — ისევ მთხოვა დედამ და ძალით დამსვა სკამზე.

— რა მოგივიდა, დედა. წავალ. გურამს ვნახავ. უნივერსიტეტში შევივლი, ამბავს გავიგებ, მერე ისევ მოვალ, შენ დაწყნარდი, დაწექი, დედა. მე წავალ და სულ მალე მოვალ. — მხრებზე ხელი მოვხვიე. ვაკოცე. მივეფერე, დედა თითქოს დაწყნარდა ცოტათი.

— წადი, ოღონდ მალე დაბრუნდი.— როგორც იქნა დამრთო ნება. მე გარეთ გამოვედი. კარებში მომეწია.

— შვილო!

— რა იყო, დედა?

— შენ ნუ იტყვი, შვილო!

— რას, დედა?

— ნუ იტყვი, შვილო, რომ სტალინს დამბლა დაეცა.

— რატომ. დედა, რადიომ თუ თქვა. ალბათ. მთელმა მსოფლიომ იცის.

— შენ ნუ იტყვი, შვილო, რადიომ თქვას, შენ მაინც ნუ იტყვი, თუ დედა გიყვარს. — მითხრა მან და ჩემი ხელი გულზე მიიკრა.

— კარგი, დედა! — ვუთხარი მე და კიბეზე კისრისტეხით დავეშვი.

* * *

სტუდენტები, ასპირანტები, ლექტორები, პროფესორები. დარაჯები. დამლაგებლები, პარტიულები, უპარტიოები, კომკავშირლები იდგნენ ქუდმოხდილი და მკლავებმოწყვეტილი. დაცარიელებული აუდიტორიები, კათედრები, ლაბორატორიები, დეკანატები. კაბინეტები, ბიბლიოთეკები და სამკითხველოები შავი ჭირით დამფრთხალი ხალხისაგან მიტოვებულ ნასოფლარებსა და ნაქალაქევებს გავდნენ.

იმ დღეს და იმ ღამეს. მერე კიდევ მთელ დღესა და მთელ ღამეს უნივერსიტეტი უზარმაზარ. თაღმაღალ, დამწუხრებულ და ზარჩამდგარ ტაძარს ჰგავდა, სადაც თავი მოეყარა უამრავ მუხლმოყრილ მლოცველს და კლუბების სცენაზე დასვენებულ რეპროდუქტორს თვალცრემლიანი, მუდარითა და ვედრებით შესცქეროდა. რომელიც ყოველ ორ საათში, მზის დაბნელების შემზარავ პროცესს გადმოსცემდა.

* * *

შუაღამისას უცნაური ხმაური შემომესმა. თავი წამოვწიე. დედა საწოლზე ტრიალებდა, კვნესოდა და რაღაცას გაურკვეველს ამბობდა. წამოვვარდი და მის საწოლთან მივირბინე.

— დედა, რა მოხდა. დედა! — სიზმარში მეგონა.

— პერანგი. პერანგი! — თქვა მან და თვალები მომაშტერა.

— რა პერანგი, დედა?

— პერანგი, თეთრი პერანგი...

— რა გინდა, დედა!

— მოიტანე თეთრი პერანგი, ვკვდები...

— დედა! — ვიყვირე და შევანჯღრიე.

— თავი, თავი სკდება, შვილო, პერანგი მომიტანე, თეთრი, თეთრი პერანგი! —

მე კარადას მივვარდი და თეთრი პერანგი მივუტანე.

— გადი! — თქვა დედამ. მე მივხვდი, პერანგის გამოცვლა უნდოდა და ოთახიდან გავედი. მეზობლის კარს მივვარდი.

— ელიკო, ელიკო! — ხმა არავინ გამცა.

— ელიკოო! — ვიყვირე მე და კარებზე ბრახუნი დავიწყე, ისევ არავინ გამცა ხმა. ყველანი წასულები იყვნენ. ისევ შევვარდი ოთახში. დედა გულაღმა იწვა, ფართოდ გაჯელილი თვალებით ჭერს შესცქეროდა, მძიმედ სუნთქავდა და საფეთქლებზე ცრემლი ღვარად ჩამოსდიოდა.

— დედა!

— ამას... აღარაფერი... ეშველება... პერანგი... ჩამაცვი... თავს ვერ ვწევ! — თქვა მან ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

მე მივეხმარე და პერანგი გადავაცვი.

— ასე ჯობია, თეთრი პერანგი, გაზაფხულივით თეთრი პერანგი...

— რას ამბობ, დედა? — დედამ გაიღიმა.

— ერთი წუთი... ერთი წამი და გათავდება ყველაფერი... ნუ გეშინია, შვილო!..

— დედა, დედიკო, არ დამღუპო. ახლავე გავიქცევი და ექიმს მოვიყვან! — ავტირდი მე.

— არ დამტოვო! — გაიქნია თავი დედამ.

— რა გტკივა, დედა, რა გინდა, მითხარი, დედიკო!...

— ჩემო დიდო ბიჭო, ჩემო ჭკვიანო ბიჭო, არაფერი არ უნდა დედაშენს, დედაშენს სიკვდილი უნდა შენს მკლავზე...

— ნუ ამბობ მაგას, დედა, არ დამღუპო. დედა, გესმის. არ დამღუპო, თორემ თავს მოვიკლავ!

— ვკვდები, დედა!

— ახლა კვდები?.. ახლა ძლივს რომ შეგეჩვიე, ძლივს რომ დაგიძახე დედა, ძლივს რომ გიპოვე, გაგიყდი, დედა?!! — ავბღავლდი მე და მის მკერდზე დავემხე.

— სინათლე აანთე, შვილო... — მეთხოვა დედამ და თავზე ხელი გადამისვა. მე ავდექი და სინათლე ავანთე.

— იდექი მანდ. — მითხრა დედამ. მე კარებთან გავჩერდი. დედამ დიდხანს, ძალიან დიდხანს მიყურა. მერე თვალები დახუჭა. როდესაც გააღილა, მე ისევ კარებთან ვიდექი. დედამ თვალებით მანიშნა — მოდი ჩემთანო. მე ნელი ნაბიჯით წავედი. დაჟინებით მიყურებდა, თვალს არ ახამხამებდა. მივუახლოვდი, მის წინ მუხლებზე დავეშვი და ორთავე ხელი ლოყებზე მოვკიდე. სახეზე ცეცხლი ეკიდებოდა.

— დედიკო, რა მოგდის, დედიკო! — ისევ ავტირდი მე. დედამ ისევ დახუჭა თვალები.

— გხედავ, როგორც ცხადში, ისე გხედავ, ასეთი წამყვები. ასეთი დამამახსოვრდები... მადლობელი ვარ შენი, ღმერთო. მადლობელი ვარ შენი, ღმერთო, მადლობელი... — უცებ ისევ აბორგდა.

— პერანგი, თეთრი პერანგი...

— აკი გაცვია, დედა...

— თემური, ჩემო თემური. პატარა ბიჭი...

— დედა, შენი ჭირიმე, დედა, არ დამღუპო, დედა, რა ვქნა მე მარტო, მითხარი... — ვტიროდი მე.

— რამხელა გაზრდილა, აუ, რამხელა ბიჭია, კაცია, ნამდვილი კაცი...

— დედა, არ გამაგიჟო, არ მოკვდე, არ გრცხვენია, დედა?!.

— კარგად იყავი, შვილო, მზეც შენია, ზღვაც შენია, მთელი ქვეყანა შენია...

— დედა!

— ვინ ატირებს ჩემს პატარა თემურის, ვინ ატირებს... — დედამ ორთავე ხელი მომხვია ყელზე და კოცნა დამიწყო ძლიერად, ძლიერად, ძალიან ძლიერად. მერე სუსტად, უფრო სუსტად, სულ სუსტად, ბოლოს უბრალოდ შემახო ცხელი, თაკარა ტუჩები ლოყაზე და ასე დარჩა, ახლა ყურში მეჩურჩულებოდა...

— ერთი წუთიც... ერთი წამიც... ღმერთო... სად ხარ, ღმერთო... ოფლი გაქვს,

დედა შემოგევლოს, ბევრი ირბინე, შვილო!.. არ გაიხადო, არა... აღარ ჩახვიდე ეზოში... მე წავალ... აი. მივდივარ. ჩემს მოსვლამდე ბებიას დაუჯერე...

— დედა, არ წახვიდე. დედა. შენი ჭირიმე, დედა, გააღე თვალები, დედა, თვალები გააღე. გააღე, გააღე... — ვიბღავლე მე.

დედამ უარყოფის ნიშნად თავი გადაიქნია, მერე ორთავე მკლავი დაუცურდა ჩემი ყელიდან და მოწყვეტით დაუცვივდა საწოლზე.

— დეეედااა!

— გმადლობთ, ღმერთო, გათავდა...— თქვა დედამ და ნიკაპი აუკანკალდა, მერე ორი დიდი კურცხალი გადმოუგორდა თვალებიდან და სუნთქვა შესწყვიტა...

. . . . . .

შუშაბანდში გავედი და ყველა ფანჯარა გავაღე. სუსხიანი ჰაერი შემოვარდა. ცრემლი შემაშრო და ლოყები შაბივით დამწვა. ვარაზის ხევში ნისლი იწვა, თბილისს ეძინა, ალიონის ღრმა ძილით აკაციის შიშველი ხეები ოდნავ ირხეოდნენ, მთაწმინდის მხარეს არცერთ სახლში შუქი არ ენთო. ენთო მხოლოდ ერთ ადგილას. შორს. შორს. სემიონოვის დასახლებაში. ცა მოჭედილი იყო ვარსკვლავებით და ის პატარა ნათურა ამ ვეებერთელა ციდან ჩამოსულ ვიღაცის ბედის ვარსკვლავს ჰგავდა. მე ვიდექი ძალიან დიდხანს და ვუცქერდი ამ სინათლეს. ვინ იცის, რატომ ანთია ამ უდროო დროს ეს სინათლე. იქნებ, იქაც დახუჭა თვალი ვინმემ სამუდამოდ ან პირიქით, ახლა გააღილა... ან ქორწილია, ლიდი და გადაბმული ქორწილი. და მე იმე მომინდა აქედან მეკივლა იმ სინათლისათვის, გამეგო რა მოხდა, რისთვის ანთია იგი ამ უდროო დროს, რისთვის ან ვისთვის, იქნებ სულაც არ არის სინათლე და ეს დედაჩემის ბედის ვარსკვლავია ციდან ფეხად ჩამოსული და დაეძებს მას. უცებ შემეშინდა მარტოობის, სიცოცხლესავით მომინდა გათენება, მომინდა კივილი, რომ შემეძრა ცა და ქვეყანა. მეკივლა, რათა გაეგო იმ ვარსკვლავს, რომ მე და დედა აქა ვართ, აქ. მაგრამ ის ბედის ვარსკვლავიც ჩაქრა.

თბილისში თენდებოდა.

მე ოთახში დავბრუნდი. დედას ზეწარი გადავაფარე და მაგიდას მივუჯექი. მაგიდაზე გუშინ მოტანილი სახარება იდო. სხვათა შორის გადავშალე და კითხვა დავიწყე:

„და მეცხრესა ოდენ ჟამსა ხმა-ყო იესო ხმითა დიდითა და თქუა: ელი. ელი! ლამა საბაქთანი? ესე არს: ღმერთო ჩემო. ღმერთო ჩემო, რაისთვის დამიტევებ მე?..“

...და შემდეგ გავიდა ძალიან ბევრი, ძალიან ბევრი დრო. ვიღაცამ კარებზე დააკაკუნა, მერე ფრთხილად შემოვიდა. მოვიხედე, ოთახში გურამი იდგა.

— სტალინი გარდაიცვალა.—თქვა მან ჩურჩულით.

— რა სთქვი? — ვკითხე მე.

— სტალინი გარდაიცვალა!

ᲚᲘᲐ

— გამარჯობა, ლია!

— საიდან მომაგენი?

— გეძებდი და მოგაგენი.

— შემოდი ოთახში.

მე შევედი და ოთახის კუთხეში დავჯექი. ლიამ ხალათის ზედა ღილი შეიკრა და ოთახის მეორე კუთხეში დაჯდა.

— როგორა ხარ, ლია? — ვკითხე მე.

— გმადლობთ, არამიშავს. — თქვა ლიამ.

— სად გამეპარე, ლია, იმ ღამით?

— არსად არ გავპარულვარ, გელოდე, გელოდე და წავედი... — ლიამ გაიღიმა.

— მერე?

— მერე რა? წავედი.
— მერე აღარ მელოდი?
— დღეს არა.
— აბა როდის?
— არ ვიცი...
— საერთოდ კი მელოდი?
— კი! — ლიამ თავი დაღუნა. მე ტირილი მომინდა რატომღაც.
— ლია, მე ძალიან ბევრს გეძებდი, ძალიან ბევრს, დღე და ღამე გეძებდი.
ლიამ მაგიდაზე დადგმულ ვაზას ნაჭარგი ახადა, ვაზა სავსე იყო ატმითა და ლეღვით.
— მიირთვით — თქვა მან და ისევ კუთხეში დაჯდა. ოთახში დუმილი ჩამოვარდა.
— არც კი ვიცი, როგორ მოვიქცე! — თქვა ლიამ ცოტა ხნის შემდეგ.
— არც მე! — ვთქვი და უხერხულობა რომ დამეფარა, პაპიროსი ამოვიღე.
— ლია, მე დედა მოშიკვდა.
— ვიცი! — თქვა ლიამ და სულაც არ გამკვირვებია.
— არაყი არ გაქვს, ლია? — ვკითხე უცებ. ლია უხმოდ ადგა, კარადიდან ვარდისფრად შეფერადებული არაყი გამოიტანა, ბროლის სურით და წინ დაშიდგა. მე ჭიქა გავავსე, რაღაცის თქმა მინდოდა, მაგრამ ვერ მოვახერხე და ისე, უხმოდ დავლიე. ლია თვალს არ მაცილებდა. მეორე ჭიქაც ასე დაკლიე. მხოლოდ მესამე ჭიქის შემდეგ აძოვიღე ხმა.
— ლია, შენ მე არ მიცნობ. ალბათ, არც კი იცი ვინ ვარ... არაყს რომ ვსვამ, ლოთი ხომ არ გგონივარ? პირველად ვსვამ ჩემს სიცოცხლეში არაყს მარტო. შენც ხომ არ დალევ? — ლიამ არაყი დაისხა და დალია.
— რა კარგი გოგო ხარ, ლია. — ვთქვი მე და ისევ დავისხი. — შენ მე არ მიცნობ, ლია. მე კი გიცნობ, ხუთი თითივით გიცნობ. — გავშალე ხელი და შევატყე როგორ მიკანკალებდა. — არ დაიჯერებ და ნუ დაიჯერებ, შენ გგონია, მართლა არ შეგხვედრივარ ორი წელია? ყოველდღე გხვდებოდი, გელაპარაკებოდი, გისმენდი, სად არ ვყოფილვარ შენთან ერთად... ამაჯერ მითქვამს შენთვის ის, რასაც ახლა გეუბნები... შენ კი სულ არ მიცნობ... — ვთქვი მე და დავლიე.
— გიცნობ, თემო. — თქვა ლიამ.
— რომ მიყვარხარ ის თუ იცი? — ვკითხე მე და წამოვდექი.
— ჰაგის გარდა, ყველაფერი ვიცი. — თქვა ლიამ და ისიც წამოდგა. მე მივედი სულ ახლოს ლიასთან, უზარმაზარ ჭკვიან თვალებში ჩავხედე და ათრთოლებული ხელი ლოყაზე ჩამოვუსვი.
— ნუ, ნუ მოხვალ ჩემთან, თემური, ძალიან გთხოვ... — თქვა ლიამ და უკან დაიხია.
— ლია, ჩემო ლია, ხომ იცი როგორ მიყვარხარ...
— ვიცი, თემური, ოღონდ ახლა ნუ, ახლა ნუ მოხვალ... — მეუბნებოდა ლია და კედელს ეკვროდა. სულ ახლოს მივედი. მისი გულისცემა, მძიმე და ცხელი სუნთქვა მესმოდა.
— ლია, ჩემო კარგო ლია!... — ვჩურჩულებდი მე.
— თემო, ოღონდ ახლა წადი, მარტო დამტოვე, თემური, გემუდარები, ოღონდ ახლა წადი... — ლიას თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.
— ლია, ოღონდ ახლა ნუ გამაგდებ და მომკალი... — შევევედრე მე.
— კარგი, არ გაგაგდებ, ოღონდ ნუ მომეკარები, თემური, ჩემო თემური, გემუდარები, თუ გიყვარვარ, ნუ მომეკარები...
იგი იდგა ჩემს წინ, როგორც სიყვარულის ქალღმერთი, როგორც უკვდავება და მთხოვა მე, თემურ ბარამიძეს, სიყვარულისაგან ჭკუაზე გადასულ კაცს, არ მივკარებოდი. და მე ვერ გავბედე მისი მიკარება. უკან გამოვბრუნდი და ისევ ჩემს ადგილზე დავჯექი.
დიდხანს ვიჯექი თავჩაღუნული. მერე ლია მოვიდა ჩემთან და თავზე ხელი გადამისვა. მე მისი ცხელი ხელი ლოყაზე მივიხუტე და თვალები დავხუჭე. ლიამ ფრთხილად გამომართვა ხელი და ისევ თავზე გადამისვა.

— წადი, ახლა, თემური, და ხვალ მოდი, ზეგ, როდესაც გინდა, მოდი... — წყნარად თქვა მან.

— ლია, წამოდი ჩემთან! — ვთხოვე მე.

— სად, თემური?

— წამოდი, ჩაიცვი და წამოდი, ქალაქში ვიაროთ.

— გვიანაა ახლა, თემური, სხვა დროს.

— არა, ახლა, ახლა, თუ გიყვარვარ, ახლა ჩაიცვი და წამოდი, წამოდი, ლია, რომ არ წამოხვიდე, თავს მოვიკლავ... წამოდი, რა!... — ლია ცოტახანს ყოყმანობდა. შემდეგ ჩაიცვა და წამოვიდა.

ნატვრის თვალს გავდა, გაჩახჩახებულ ნატვრის თვალს თბილისი იმ ღამით, მე კი მის გლახაკ პატრონს და რასაც ვნატრობდი, სულ ყველაფერს მისრულებდა. დალოცვილი!

* * *

— ძია ართავაზას გაუმარჯოს!

— გაგიმარჯოს, ვინა ხარ?

— თემური!

— აბა, თემური?

— აღარ გახსოვარ, კაცო, ამ საში წლის წინ ღამით რომ მოვედი შენთან?

— ვა, არ მახსოვს აი?!

— დედა რომ დამიბრუნდა გადასახლებიდან, არ გახსოვს?

— მერე და, შე ბემურაზო, ეგრე უნდა დავიწყება?

— როგორა ხარ, ძია ართავაზ!

— რაღა როგორა ვარ, ვაგდივაო ძველი ჯიგარივით, თვალში სინათლეს ვკარგავ, ყურში სმენას, მუხლში ძალას.

— ნუ გეშინია, ძია ართავაზ, კარგად იქნები.

— შენ როგორა ხარ თავად, ეგ ჯანმრთელი ქალი ვინ არის?

— აი, მოგიყვანე სანახავად, ჩემი საცოლეა, ლია!

— დღისით ვერ მომიყვანე. დალოცვილო? ამ ღამით რა შევატყო, ისე კარგი ქალი ჩანს...

— შეხედე, ძია ართავაზ, რა ლაშაზია...

— კაცო, შენ საქმე მითხარი, ლაშაზი ჩემი გასტრონომიც არის, შიგ რა ყრია რო?!

— არა, ძია ართავაზ, კარგი ქალია!

— ღმერთმა აგაშენოთ!

— გმადლობთ, ძია ართავაზ.

— დედა როგორა გყავს?

— დედა აღარა მყავს, ძია ართავაზ!

— ეგ რა თქვი, კაცო?!

— აღარა მყავს!

— ღმერთმა განუგეშოს!

— გმადლობთ!

— ძნელია უდედობა...

— ძალიან ძნელია, ძია ართავაზ.

— ეგ რა მითხარი, კაცო...

— ეგრეა, ძია ართავაზ. ნახვამდის!

— ნუ დამივიწყებ, ბიჭო, ნამუსი არა გაქვს? ერთხელაც მოდი და კარგი ამბავი მითხარი.

— მოვალ, ძია ართავაზ, და გეტყვი.

— პაპიროსი არა გაქვს?

— როგორ არა მაქვს. აჰა, პაპიროსი, ესეც ასანთი. გქონდეს, მე არ მინდა.

— გმადლობთ.

— კარგად იყავი.

— გაიხარეთ!

* * *

— გურამ, გურამ! გურამიიი!!!

— რამ გაგაგიჟა, ამ შუაღამისას რა გაბღავლებს!

— ჩამოდი, რა გაჩვენო!

— ხვალ, ხვალ, მეძინება.

— ჩამოდი, სულერთია არ დაგაძინებ.

— უხ, შენი!...

— ჩამოდი!...

. . . . . .

— გაიცანი, ეს ლიაა.

— ვაააა!!!

— გამარჯობათ, გურამ!

— გამარჯობათ, ლია... როგორ ბრძანდებით?

— გმადლობთ. არამიშავს. თქვენ?

— მე ალბათ, გავგიჟდები, საიდან?

— სახლიდან!

— ვაა!

— ახლა საით?

— სახლში!

— დედას გეფიცებით, გავგიჟდები...

— ახლა წადი და დაიძინე.

— ახლა რა დამაძინებს, ბიჭო?!

— მაშ იდექი და გვიყურე, ნახვამდის...

— მოიცათ, მოიცათ. ესე იგი...

— ჰო, მე და ლიას ერთმანეთი გვიყვარს!

— მართლა, ლია?

. . . . . .

— ვააა!!!

— ნახვამდის!

— ხვალ გნახავთ?

— კი!

— ერთად?

— დღეიდან სულ ერთად.

— დედას გეფიცებით, გავგიჟდები.

— წავედით...

* * *

— მოვედი. ეს მე ვდგავარ შენი საფლავის ქვაზე, შენი სისხლი და ხორცი, ვდგავარ შენი საფლავის ქვაზე და არ მერიდება, რადგანაც მინდა მიგრძნო, მე ვტირი შენს საფლავზე და არ მცხვენია, არც ლიასი და არც შენი, რადგანაც მინდა, რომ მიხვდეს ლია, რა იყავი შენ ჩემთვის და გახდეს იგი ამ საფლავის პატრონი და ჭირისუფალი, როგორც მე, რადგან იგი მე ვარ დღეიდან... ეს მე ვარ, შენი შვილი, რომელმაც იმ დიდი სიყვარულის საფასურად, ჩემი ხელით გაგითხარე სამარე, ჩემი ხელით ჩაგასვენე შიგ და ჩემი ხელით დაგადე ეს დიდი ლოდი გულზე. ეს მე ვარ, შენი შვილი, რომელმაც ძლივს გიპოვე და ისე გიპოვე, რომ აღარასდროს დაგკარგავ, რადგან ეს სასაფლაო არის ჩემი. ეს არის ლია, ნაწილი იმ დიდი სიცოცხლისა, რომელიც შენ დამიტოვე ქვეყანაზე. შენ კი იმდენი სიცოცხლე დამიტოვე, რომ მე მარტოს არ შემიძლია ამდენი სიცოცხლე. ამიტომ, არ გეწყინოს, რომ მე მივეცი მას ჩემი და შენი სიცოცხლის ნაწილი.

ეს მე ვარ, შენი შვილი, შენი სისხლი და ხორცი. შუაღამისას ვდგავარ საფლავებს შორის და არ მეშინია. არ მეშინია, რადგან ის, რისაც ყველაზე უფრო მეშინოდა, უკვე მოხდა. ეს იყო შენი სიკვდილი და, რადგან სიკვდილის არ მეშინია, აღარც სიცოცხლის მეშინია...

არც იმის მეშინია, რომ ამ სასაფლაოსაც, როგორც ყველას, ბაღად გადააკეთებენ, დიდ, ლამაზ ბაღად. შენს საფლავზე მე ცაცხვი დავრგე და ვახარებ. მერე მოვალთ მე და ლია ჩვენი ბავშვებით და შენ უკვე აღმოცენებული იქნები ვეებერთელა, უზარმაზარ სიმწვანედ, ჩრდილად და სიგრილედ, ჩემი ბავშვები ითამაშებენ შენს სიმწვანეში, ჩრდილში, სიგრილეში, იქნებ სახელებიც ამოგაჭრან გულზე და, ნუ გეწყინება, მერე, ალბათ, ჩემსა და ლიას საფლავებზეც იხარებს ცაცხვი, აღმოცენდება ვეებერთელა სიმწვანედ და ყველა ჩვენოანგანის საფლავი ხელმეორე სიცოცხლედ იქცევა ქვეყანაზე... და ყველა სასაფლაო ბაღად და უკვდავებად.

ეს მე ვდგავარ შენს საფლავთან. ბედნიერიც, უბედურიც, მტყუანიც, მართალიც, სუსტიც, ძლიერიც, ოღონდ შენზე ძლიერი, და ვიცი, შენ ეს გაგეხარდება.

ეს მე ვარ ამ შუაღამისას შენს საფლავთან ქადაგად დავარდნილი და მაპატიე თუ რამეს შენს საკადრისს არ ვამბობდე, დედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა კაც ჰკლა

იგი გულაღმა ეგდო სადარბაზოში და სულს ღაფავდა. მე დავიხარე და თვალებში ჩავხედე. თვალები დაბინდული ჰქონდა. ზურგზე მოვიკიდე და მესამე სართულზე ავიყვანე, დავაწვინე კართან, ჯიბეები მოვუჩხრიკე, გასაღები ვიპოვე, კარი გავაღე და მის სამუშაო ოთახში ნოხგადაფარებულ ტახტზე დავაწვინე, საკინძე გავუხსენი, ქამარი შევხსენი და ფეხზე გავხადე.

აბიბო იწვა ჩემს წინ და კვდებოდა. კვდებოდა კაცი, რომლის სიკვდილს ვნატრობდი, კაცი, რომელმაც სულში ჩამაფურთხა, მიწასთან გამასწორა, გამწირა, და ამ კაცის სული ახლა ჩემს ხელში იყო. ახლა მე ამას მოვკლავ, თუმცა რა, თავისითაც კვდება, დავჯდები და ვუყურებ, ვიდრე არ მოკვდება, იქნებ წყალი უნდა, და მე წყარო ვარ ახლა მისთვის, თუ ვარ, იცოდეს, რომ დამშრალი წყარო ვარ... იქნებ ხმა უნდა გაიგონოს კაცის და ჩემი ხმა ღმერთის წყალობა იქნება მისთვის, — თუ ასეა, იცოდეს რომ მუნჯი ვარ... იქნებ რამის თქმა უნდა ყურადღებას ითხოვს, — იცოდეს, რომ ყრუ ვარ... იქნებ სინათლე უნდა და მე ვარ მისთვის მზე, — მაშინ იცოდეს, რომ არა ვარ, არა... იქნებ ჰაერი უნდა, და მე ვარ მისი მაცოცხლებელი ჰაერი, — არა, არა, დახშული სარკმელი ვარ მისთვის... ეს მე ვარ, სიკვდილი, თავზე რომ ვადგივარ და მე მოვკლავ მას, რომ თავისი სიკვდილით არ მოკვდეს და ეს უნდა იცოდეს აბიბომ. მე ხელები მიკანკალებდა, პირი გამშრალი მქონდა, ათასი ურო მირტყამდა საფეთქლებში და მეძახდა— მოჰკალი, მოჰკალი, მოჰკალი, ეს შენ ხარ მისი სიკვდილი და ეს უნდა იცოდეს მან.

— აბიბო! — ვთქვი მე ისეთი გაშოცვლილი ხმით, თვითონვე შემეშინდა.

აბიბომ თვალები გაახილა და უაზროდ შემხედა.

— ეს მე ვარ, აბიბო! — ვუთხარი მე.

— მიშველე! — მთხოვა მან და თვალები დახუჭა. აი, ახლა ავდგები, ავდგები და.. დამბლა თუ არ დამეცემოდა, აო მეგონა, მაგრამ ავდექი, ელსმენთან მივედი. ავკრიფე და სასწრაფო დახმარება გამოვიძახე.

— წყალი! — თქვა აბიბომ და გამშრალი ტუჩები გაილოკა. სამზარეულოში გავედი, ჭიქა წყლით ავავსე და ტუჩებთან მივუტანე. ცოტა მოსვა, ხველება აუვარდა.

— ჰაერი, ჰაერი! — თქვა მან, სული რომ მოითქვა. ყველა ფანჯარა გავაღე, ოთახში გრილი ჰაერი შემოვარდა და მხოლოდ ახლა ვიგრძენი, რომ ოთახი ნაფტალინისა და მტვრის სუნით იყო გაჟღენთილი.

— მიშველე! — თქვა მან ისევ და აბორგდა.

— ნუ გეშინია, გიშველი, ახლა ექიმი მოვა! — ვუთხარი მე და ტახტზე ჩამოვჯექი.

— მიშველე! — გაიმეორა მან.

კარებზე დარეკეს. გავაღე. ოთახში ერთი ძალიან მსუქანი ქალი და გამხდარი კაცი შემოვიდნენ. მსუქანი ქალი ძლივს სუნთქავდა, გამხდარ კაცს წითელჯვრიანი ყუთი ეჭირა ხელში.

— სად არის ავადმყოფი? — მკითხა მსუქანმა.

— აი! — ვაჩვენე აბიბო.

— რა წინასწარი ზომები მიიღეთ?

— არაფერი, წყალი დავალევინე და ფანჯრები გავაღე.

— წნევა რამდენი აქვს?

— არ ვიცი, ქალბატონო.

— წნევა!— ბრძანა მსუქანმა, გამხდარმა წნევის აპარატი გახსნა.

მსუქანმა ნაწლავებივით ამოათრია ფონეიდოსკოპი ჯიბიდან.

— 240! — თქვა მან. მერე თვალის ქუთუთოები ჩამოუქაჩა. რაღაც შეკითხვები მისცა აბიბოს. აბიბო ხმას არ იღებდა.

— ინსულტია! — თქვა მსუქანმა.

— მაგნეზია ნოვოკაინით? — ჰკითხა გამხდარმა.

— დიაფილინიც! — თქვა მსუქანმა. ნემსი გაუკეთეს.

— როგორ მოხდა? — მკითხა ახლა მე ექიმმა.

— საღარბაზოში ვიპოვე, უგონოდ ეგდო. ამოვიყვანე. მეტი არაფერი არ ვიცი.

— დროზე მიგისწრიათ. ნუ გეშინიათ. გადარჩება, ასეთებს ვარჩენთ? — თქვა მან და ექთანს გადახედა.

— თქვენი ჭირიმე, ექიმო! — ვთხოვე მე.

ცივი ტილო არ მოაცილოთ კეფაზე და შუბლზე. ყინული აჯობებს. — დაშარიგა ექიმმა. მე გავედი საშხაპეულოში, ღრმა თეფშით წყალი შეშოვიტანე, სასთუმალთან სკამზე დავუდგი აბიბოს და შიგ ტილო ჩავალბე, მერე გავწურე და თავზე დავადე.

— ნუ გეშინიათ! — დამამშვიდა ისევ ექიმმა. — თქვენ შვილი ხართ ბილი?

— არა!

— ძმა ხართ?

— არა, ბატონო, მეზობელი ვაო.

— ახლა ამას სიმშვიდე უნდა, მეტი არაფერი, რაც საჭირო იყო, გავუკეთეთ. ტილო ხშირ-ხშირად უცვალეთ, დილით მოვალთ და ვინახულებთ. აბა, ყოჩაღად იყავით. — თქვა ექიმმა. წასვლის წინ მაჯა გაუსინჯა, კმაყოფილმა თავი დაიქნია.

— ნუ გეშინიათ, აგერ კარდიამინს გიტოვებთ კოფეინით, მაგრამ მე მგონი არ დასჭირდება, — კიდევ ერთხელ დამამშვიდა და წავიდნენ.

კარი დავხურე და ისევ სასთუმალს მივუჯექი აბიბოს. ალბათ წამალმა იმოქმედა ერთი საათის შემდეგ, აბიბომ ცოტა მოიხედა: მან თავი მოაბრუნა ჩემსკენ და დიდხანს, ძალიან დიდხანს მიყურა.

— რომელი ხარ? — მკითხა ბოლოს გაუბედავად.

— თემური ვარ!

— რა მოხდა, რა მჭირს?

— არაფერი, დაიძინე, ცოტა ადრე იყავი, ახლა კარგად [illegible] ბებომ თვალები დახუჭა, მაგრამ არ დაუძინია, ეტყობა, რაღაცას იგონებდა და ვერც იგონებდა.

— თემური, შენ ხარ? — მკითხა ბოლოს.

— მე ვარ, ძია აბიბო, მე! — ვუთხარი და ტილო გამოვუცვალე.

— არ მოვკვდები?

— არა. ექიმმა თქვა არ მოკვდებაო.

— შენ?

— არ მოკვდები, ნუ გეშინია, დაიძინე.

— არ დამტოვო, ბიჭო!

— არა, ნუ გეშინია, დაიძინე. — აბიბომ თვალებში შემხედა, მერე, ალბათ მენდო, თვალები დახუჭა და გვერდზე გადაბრუნდა...

დილის ექვს საათამდე ვეჯექი სასთუმალს აბიბოს და ტილოებს ვუცვლიდი, მას ეძინა მშვოთვარე ძილით. დროდადრო თვალს ახელდა, შეშინებული მიმზერდა, მერე ისევ ბურანში თუ ძილში მიდიოდა. მე თავიდან სიძულვილით ყელამდე სავსე, ჩემდა გასაოცრად, თანდათან დავიცალე, გული დამიწყნარდა, საფეთქლები აღარ მეწვოდა, ვეჯექი სასთუმალს და ვუცქერდი სიკვდილისაგან შეშინებულ და მუშტისხელად ქცეულ, მოტეხილ აბიბოს, მერე მთლიანად დავიცალე სიძულვილისაგან და ვიჯექი სრულიად ცარიელი, არაფერი გრძნობა არ მქონდა ამ კაცის მიმართ. ჩემს წინ იწვა არაფერი, ქვა, ხე, თუ კუნძი, არ ვიცოდი, უბრალოდ იწვა რაღაც, რასაც ვერ ვგრძნობდი, მხოლოდ ვხედავდი. მერე მოხდა საოცარი რამ... მე შემეცოდა ის, ჯერ როგორც უბრალოდ ავადმყოფი, მერე როგორც მეზობელი, მერე როგორც ახლო ბეზობელი, ყურის მეზობელი, და ბოლოს შემეშინდა კიდევაც, როდესაც შევატყვე, რომ ტირილი მომინდა. ხელი შუბლზე გადავუსვი და სასთუმალი გავუსწორე. მერე მე ავივსე ყელამდე სიბრალულით ამ კაცის მიმართ, იმხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა სიბრალულით, რომ მისი ცქერა აღარ შემეძლო და ფეხზე ავდექი. თითქოს იგრძნოო, აბიბო აწრიალდა.

— თემური, თემური.

— აქ ვარ.

— არ დამტოვო, ბიჭო, მომკალი და ნუ დამტოვებ. — იგი ჩემსკენ გადმოტრიალდა.

— არ დაგტოვებ, ძია აბიბო, ნუ გეშინია.

— მაპატიე, ბიჭო, თუ შეგიძლია!... — მე ტილო დავადე თავზე, აბიბომ ჩემი ხელი დაიჭირა და კოცნა დაუწყო.

— რას შვები, ძია აბიბო! — ვუთხარი მე და ხელი წავართვი.

— მაპატიე, ბიჭო, მაპატიე! — მე ხმას არ ვიღებდი.

— მაშინ მომკალი, რატომ არ მკლავ, ბიჭო?...

— მე მკვლელი არა ვარ, ძია აბიბო! — აბიბო მიყურებდა თავისი გამჭვირვალე ლურჯი თვალებით, რომლებშიც დღეს პირველად დავინახე რაღაც და ეს რაღაც ცრემლი იყო — აბიბო ტიროდა.

* * *

დილით ექიმი მოვიდა, აბიბოს კვლავ ჩაეძინა და მე სახლში ავედი. ტანში რაღაც საოცარ სისუსტეს თუ სიმსუბუქეს ვგრძნობდი. რაღაც დიდი, მძიმე, აუტანლად მძიმე დავტოვე წუხელ აბიბოს ოთახში თუ დამრჩა, იქნებ დავკარგე კიდევაც და მის სანაცვლოდ რაღაც საოცრად სუფთამ, გამჭვირვალემ, მსუბუქმა და თბილმა ამივსო სხეული, ეს უჩვეულო რაღაც ახლა ბანგივით მათრობდა.

..ავდიოდი ჩემი სართულის კიბეზე მოაჯირს დაყრდნობილი. ჩემი ოთახის კარი, როგორც ყოველთვის, ახლაც ღია იყო. კარს მივაწექი და — კინაღამ კივილი აღმომხდა, შუა ოთახში სამართებლით თავგადაპარსული და გაღიმებული თავერა იდგა.

— რამაზ, შენა ხარ?

— მე ვარ, თემო!

— ისევ გამოიპარე?

— არა, მაპატიეს!

მერე მე გამახსენდა რექტორის კაბინეტი. ქაღალდზე წითელი ფანქრით თავდახრილი რექტორი, ბატონი დავითი, გამახსენდა რექტორის მიერ დაბატული ლამაზი, ყურებპარტყუნა გულუბრყვილო ვირი, წითელი, თავჩაქინდრული ვირი, სევდიანი თვალებით, ვირის ქვეშ წითელივე ფანქრით დაწერილი — რამაზ კორსაველი (თავერა), სულ ბოლოს, დიდი ასოებით გამოყვანილი, ჩემთვის გაუგებარი სამი ციფრი 233. გამახსენდა... მეტი კეღარ მოვითმინე. ყველაფერი ერთად მოვიდა. მოზღვავდა, გასკდა და ტირილი დავიწყე.

* * *

არავითარი ჟუჟუნა და შხაპუნა წვიმებით, — ჭექა-ქუხილითა და თქეშით მოვარდა მაისი თბილისში.

დღეს სამჯერ იწვიმა და სამჯერ გამოიდარა. ფანჯარა გავაღე. ოთახში აკაციის თეთრი ტოტი შემოვარდა, ერთ ხანს იქანავა და შემდეგ ლამაზი ქალის თეთრი ხელივით გაიტრუნა ჩემს სახესთან. მე მოკრძალებით ჩამოვართვი ხელის მტევანი აკაციას და ფრთხილად ვაკოცე. თეთრი აკაცია შემოვიდა ჩემს ოთახში, თან შემოიტანა უზომო სურნელი მიწის, ჰაერის, წვიმისა და მზის. პირველი, თეთრი აკაცია მოვიდა ჩემთან და მომილოცა დაბადების დღე — 14 მაისი. იგი ჩემთან ერთად გაიზარდა ამ ეზოში, იგი ჩემი ხნისაა და რა არის ამაში გასაკვირი, რომ უხარია ჩემი დაბადების დღე. დღეს ბევრი არავინ მოვა ჩემთან, მოვა გურამი, ერთ ბოთლ ღვინოს მოიტანს და თვიოონვე დალევს. მოვა ლია, ლია პირველად მოვა ჩემს დაბადების დღეზე. მოვა, დაჯდება კუთხეში, მიყურებს, მიყურებს და რას იზამს, არ ვიცი, წავა თუ არ წავა, იქნებ არ წავიდეს. მე ვთხოვ და არ წავა.

აკაცია კი, აკაცია ვერსად წავა, ძალიანაც რომ უნდოდეს, ვერსად წავა. იქნებ სულაც არავინ მოვიდეს, უბრალოდ, არავის გაახსენდეს ჩემი დაბადების დღე. მაშინ მე ჩამოვივლი ყველას, თვითონ, ჩემი ფეხით და ყველას, ყველას დავპატიჟებ...

— ლია, გამარჯობა, დღეს ჩემი დაბადების დღეა, ხომ მოხვალ?

— გურამ, არ დაგავიწყდეს, ჩემი დაბადების დღეა, ბიჭო, დღეს!

— უკაცრავად მოქალაქე, მართალია თქვენ არ მიცნობთ, მაგრამ მე გიცნობთ. თითქმის ყოველდღე მხვდებით ქუჩაში. თუ არ შეწუხდებით, მობრძანდით დღეს ჩემთან, დაბადების დღე მაქვს, 24 წლის გავხდი. ძალიან გთხოვთ, ნუ დამზარდებით, აქვე ვცხოვრობ, აი, ამ სახლში, მეოთხე სართულზე, ხელმარცხნივ. კარი ღია იქნება...

— მაპატიეთ, ქალბატონო, უზრდელი არ გეგონოთ, უცნობ ქალს ქუჩაში რომ გაჩერებთ, მაგრამ ძალიან მინდა ჩემს დაბადების დღეზე იყოთ, დღეს. უხერხული თუ არ იქნება თქვენთვის, მობრძანდით, ძალიან გამიხარდება. ოქვენ ისე გავხართ დედაჩემს...

— ძია ართავაზ, ნუ გეშინია, მაგ გასტრონომს არავინ წაიღებს, ვალე გაგიშვებ, თითო ჭიქა შევსვათ, ღამის სადღეგრძელო შევსვათ, ღამისა, რომელიც თენდება...

— თავერ, შენც დაპატიჟება გინდა? ამოდი და ერთად გადავიხადოთ დაბადების დღე. სულაც ჩემთან დარჩი, აკრიფე შენი გუდა-ნაბადი და მოდი! ეს-მის? არ მომატყუილო, უეჭველად მოდი. ისეთი დაბადების დღე გადავიხადოთ, ჯერ რომ არავის გადაუხდია... მოდი, თუ ძმა ხარ...

— თბილისო, ჩემო თბილისო, შეკრიბე მთელი შენი ქუჩები და მოდით დღეს ჩემთან, რა მოხდა, ერთი საათით მოდით, ბოლოს და ბოლოს, თქვენი შვილი არა ვარ?... თქვენს ქუჩებში და ჩიხებში არ ავიდგი ფეხი? ჰოდა, მოდით და დამლოცეთ, თქვე დალოცვილებო...

და ვიცი, რომ ყველა მოვა, ყველა და რაც არ უნდა პატარა იყოს ეს ოთახი, მაინც ყველა დაეტევა, ყველა თუ არ დაეტევა, რიგ-რიგობით შემოვლენ და მომილოცავენ. რა მოხდა მერე? ჩემს დალოცვას და დღეგრძელობას რა უნდა? არაფერი, სულ ორიოდე სიტყვა.

— გაგიმარჯოს თემური, ბედნიერად და ჯანმრთელად იყავი. შენს მეგობრებს გაუმარჯოს, ძმაკაცის იმედი და ნდობა ნუ მოგიშალოს, შენს მარჯვენას გაუმარჯოს, შენი ცხოვრების გზას გაუმარჯოს, შენს ფიქრს გაუმარჯოს, შენს ოცნებას, მამული გიცოცხლოს ღმერთმა, და ოჯახი... გაგიმარჯოს, თემური...

მეტი მე არაფერი არ მინდა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო სულაბერიძე

პ ა ა ტ ა

ლირიკული ფრაგმენტები

მე მტკივა ყელი, როცა—პაატა-
ვიტყვი და
ხორხის სიმები კვნესენ.
ბავშვები კრეფენ ქარვისფერ პანტას
და მერცხლებს დასდევს პატარა სესე.

მე ვგრძნობ კისერზე დაცემულ
ნაჯახს..
მზე გადმოგორდა მაღალი მთიდან...
ჭრელი ჩიტები წიწკნიან ნამჯას
და გზასთან თივას მთიბავი თიბავს.

და მერცხლებს დასდევს პატარა
სესე,
სხივებს ცელავს და პრიალებს ცელი.
ფეხის წვერებზე მოადგა მესერს
ორღობეების ცხოვრება ცხელი.

თიხის კეცივით მზეზე ხურდება
საყდრის კედელთან ფიორა ჩრდილი,
ფეხი სველ ქვებზე დაუცურდება,—
მტკვარს უცებ ფერი ედება ცილის.

მე დაღონება არ მინდა შენი, —
ამგვარ საფლავის დანახვა გიჭირს.
გამოხეთქს საფლავს...
ლამაზი ცხენით
გამოჭენდება ქოჩორა ბიჭი.

ცას შეეხლება ყიჟინი მისი...
მზე სისხლისფერი მთიდან დაგორდა.
მტკვართან დაეცა პატარა ნისლი,
გადმოფრენილი საარაგვოდან.

2.

თავი მოჰკვეთეს...
მაგრამ მამულში
კაშკაშებს მარად ცად აღმართული
თავწაუჭრელი მისი ნამუსი,
თავწაუჭრელი სული ქართული.

ცრემლი გაუშრა...
სამშობლოს ბედი
საფლავთან გვერდით დაუდგა დედას.
დასატირებლად რომელი დედის
ცრემლი ეყოფა ამნაირ ცხედარს?!

გული გაუგჯა...
მამულის ნამი
საფლავის ქვაზე დარჩება მარად...
დასატევარად რომელი მამის
გული ეყოფა ამნაირ ვარამს.

საფლავმა ბევრის მკერდი გამოხრა,
საფლავში ბევრი ვაჟკაცი იწვა,
მაგრამ ამნაირ კუბოს სამარხად
ვით ეყოს ქართლის პატარა მიწა?!

ჩემს სისხლსაც მიწვდა იარა მისი...
მზე სისხლისფერი მთიდან დაგორდა.
მტკვართან დაეცა პატარა ნისლი,
გადმოვარდნილი საარაგვოდან.

3.

მთიბავი თიბავს თივას და ნამჯას...
საყდართან ვიღაც ჭაღარა დადის, —
გამოქცევია სისხლიან ნაჯახს
ქოჩორა ბიჭის სიბერის ლანდი.

ქოჩორა ბიჭის სიბერის ლანდი
დადის და დარდობს,
დადის და დარდობს:
„— მე შენ გელოდი თეთრ
შარავანდით,
შენი და შენი ვიყავი მარტო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადის სიბერის ობოლი ლანდი
და არსაიდან არ ესმის „პაპა!“
არდაბერების სევდის და დარდის
მოჰყვება ათას მეორე ზღაპარს.

თავს ადგას ახლა პატარა საფლავს,
რომელშიც შავი ქოჩორი ჩალპა.
ვერ დავაქაცდა...
მტერი ვერ ჰკაფა...
ცხოვრების ძაფი გაუწყდა ცალფა.

ვერ ათელვინა ფლოქვებით მერნებს
გზა სამშობლოსკენ გადარაზული.
და შეეხიზნა მამულის ფერებს
ბავშვის, ჩიტივით პატარა სული.

„— შენი და შენი ვიყავი მარტო,
და შენ გელოდი თეთრ შარავანდით“.
და დადის ქვეყნად,
დადის და დარდობს
მისი სიბერის ობოლი ლანდი.

4.

პეპლებს დასდევდა
პატარა გოგო
მინდორ და მინდორ,
სერი-სერ, გორ-გორ.

ხელზე დაფრენილ
ჭია-მარიას
ჰკითხავდა: — დარი,
თუ ავდარია?!

და გაურბოდნენ
პეპლები, როგორც
თოვლის ფიფქები..
მისდევდა გოგო.

დაეწეოდა,
უთუოდ ბოლოს...
ერთად დაჰკრეფდნენ
პანტას და ყოლოს.

ხმალმა გადასჭრა
გზა შესაყარი.
გოგოს პეპლების
შერჩა მაყარი.

მინდორ და მინდორ,
სერი-სერ, გორ-გორ
ჰქროდა პაატას
საბედო გოგო.

5.

ყრმამ როცა იგრძნო ტყვეობის
სევდა,
და მოენატრა მამა და დედა,
ბებერი ქოსა მიუხვდა ამას,
ეგონა ასე მოდრეკდა ამაყს:

— არ გენატრება დედა და მამა?!
— არ მენატრება!
— არ გენატრება მშობელი მთები?!
— არ მენატრება!

გული კი თრთოდა:
„რად იგვიანებ
ამდენხანს დედის შემონათვალო?!“
— არ გენატრება შენი ნიავი?!
— არა, თათარო!...
— არა, თათარო!...

6.

შენ ხომ იქნები ისეთი გმირი,
ვით სააკაძის ვაჟი პაატა?!
ხომ გეყვარება შენ საქართველო,
და თუ დასჭირდა, სულსაც გაატან?!

ხომ არ დაიწყებ ბავშვივით ტირილს,
მტერთა ხმალმა თუ შემოგანათა?!
შენ ხომ იქნები ისეთი გმირი,
ვით სააკაძის ვაჟი პაატა?!
მე თუ დაგტოვე სამშობლოს ბედზე
მძევლად,
არა თქვა, რომ გიღალატე.
შენი გამოხსნა თუ ვეღარ შევძელ,
თავზე გიორგის ხვედრი დამატყდეს.

და თუ მივუშვი სადავე ქურანს,
გწამდეს, ყოველგვარ ბორკილს
დავამტვრევ...
თავიც რომ წაგჭრან მუხანათურად,
მაინც არა თქვა. რომ გიღალატე.

7.

ერთაწმინდაში თეთრი საყდარი
ობელისკივით დგას მის
საფლავზე.
ძინავს,
დაღლილი წევს ამაგდარი,
თავი დაუდევს სოფლის კალთაზე.

ნიავი ქოჩორს უვარცხნის
ფრთხილად,
გორებს მიაფენს ნისლის პერანგებს.
შიშველ ფეხებით შედგება დილა
გუმბათზე
და ქართლს გააფერადებს.

მთიბავი თიბავს გადამხმარ თივას,
გარუჯულია მზეში მთიბავი
ფოთლებს ბალახზე ჩრდილები
სცვივათ,
ორღობეს ხარი მისდევს, მიბღავის.

და მერცხლებს დასდევს პატარა
სეფე.
სხივებს ცელავს და პრიალებს ცელი,
ფეხისწვერებზე მოადგა მესერს
ორღობეების ცხოვრება ცხელი.

მე დაღონება არ მინდა შენი,
მე შენს დუმილში ძალიან მიჭირს.
შეხედე,
მიჰქრის ლამაზი ცხენი
და გაჰკიჟინებს ქოჩორა ბიჭი.

პაატა ახლა სულია მისი...
მზე სისხლისფერი მთიდან დაგორდა.
მტკვართან დაეცა პატარა ნისლი,
გადმოვარდნილი საარაგვოდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ გეგეშიძე

ეშმაკის მოსახვევი

მოთხრობა

1

ახალგაზრდა მწერალი დიდხანს იჯდა მტვრიანი გზის პირას და სვანეთისაკენ მიმავალ მანქანას ელოდა. საშინლად ცხელოდა და მწერალი ოფლად გაღვრილიყო. საკმაოდ გახუნებული მწვანე ხალათი უკან დაკერებული ძველი შარვალი და „ბატინკები“ ეცვა. ის არაფრით არ ჰგავდა სერიოზულ მწერალს. ნივთები ჩაეწყო პატარა ზურგჩანთაში, რომელიც იქვე სკამზე ედო. გზაზე მანქანები მიმოდიოდნენ და მტვერს აყენებდნენ, მაგრამ არცერთი მათგანი არ მიდიოდა იმ შორეული, ლურჯი მთებისაკენ აქედან ძალზე მკაფიოდ, ძალზე ლამაზად რომ მოჩანდა ახლა.

—ჯვარში ჩადი, ძამია, და იქ იშოვი მანქანას,—უთხრა მწერალს გვერდით, თითქოს და უსაქმოდ მჯდარმა ახალგაზრდამ, რომელიც თითქმის საათზე მეტ ხანს ელაპარაკებოდა ფეხბურთზე. ამ ახალგაზრდას მიაჩნდა, რომ ზუგდიდელი გეგენავა უდიდესი ფეხბურთელი იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ის პირდაპირ არ ამბობდა, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ გულისხმობდა მთელ მსოფლიოს. — თუ ჯვარშიც ვერ იშოვი მანქანას, უკან დაბრუნდები, ზუგდიდში...

და აი, მწერალმაც დაუჯერა ამ სიმპათიურ ყმაწვილს, მასთან ერთად ნებაყოფლობით რომ იზიარებდა უნაყოფო მოლოდინის უსიამოვნო წუთებს, გააჩერა ჯვარისკენ მიმავალი ერთერთი ტონანახევრიანი, გამოემშვიდობა თავის ნაცნობს და ძარაში აძვრა.

ერთი საათის შემდეგ მანქანა სოფელ ჯვარში იყო. როგორც კი სოფელ ჯვარში ჩამოვიდა, მწერალს იმწამსვე მოაგონდა, რომ აქ ერთი მისი სტუდენტობის დროინდელი მეგობარი მუშაობდა, მაგრამ რას აკეთებდა, ვერ გაიხსენა. „რომ ვიცოდე რა ორგანიზაციაში მუშაობს, ვიკითხავდი, შეიძლება მენახა კიდეც.“ — გაიფიქრა მანქანიდან ჩამოსვლისას და მერე შოფერს ფული გაუწოდა.

— როგორ გგონია, იქნება აქ სვანეთისაკენ მიმავალი მანქანა? — ჰკითხა შოფერს.

— არ ვიცი, გენასვალე! ეგერ სასადილოსთან დგას მანქანა და კითხე... მე წალენჯიხში მივდივარ!

მწერალმა ზურგჩანთა ზურგზე მოიგდო და სასადილოს წინ მდგარი მანქანისკენ გაემართა. ქუსლებზე ნალები ჰქონდა დაჭედილი, ფეხსაცმელები სიცხისაგან გამდნარ ასფალტში ღრმად ეფლობოდა. ძალიან ცხელოდა, თუმცა მოსალოდნელი იყო ამინდის შეცვლა, რადგან მზე ხშირად იმალებოდა ღრუბლებში და შორს მთებისკენაც ცა არასახარბიელოდ მოღუშულიყო.

მწერალი მანქანასთან მივიდა და კაბინაში შეიხედა. შიგ არავინ იჯდა. ძარაში, რამოდენიმე ქალი და კაცი ბორტებს შორის გადებულ ფიცრებზე ჩამომსხდარიყვნენ და თავიანთი ბარგი, სავსე ჩანთები და ბადურები ირგვლივ დაელაგებინათ. ყველანი დაუღალავად ლაპარაკობდნენ.

— საით მიდის მანქანა? — ჰკითხა ბორბალზე შემდგარმა მწერალმა ერთ, შედარებით ახალგაზრდა, გაუპარსავ კაცს, რომელიც უფრო ახლოს იჯდა და

ქალალდში გახვეულ თუთუნს ეწეოდა.

— არ ვიცი, გენასვალე.

— როგორ არ იცი, შე კაი კაცო. მანქანაში ზიხარ და სად მიდიხარ არ იცი? —გაბრაზდა მწერალი.

ახლა ქალებმაც მოიხედეს.

— თქვენ საით მიბრძანდებით, პატენი? —ჰკითხა მწერალს შავკაბიანმა ახალგაზრდა ქალმა.

— სვანეთში, — უპასუხა მწერალმა, — ბეჩოში...

— არა, პატენი... ეს მანქანა ხაიშში მიდის.

— იყოს ხაიში, მაინც წამოვალ, — თქვა მწერალმა და ძარაში ავიდა. ის ატყობდა, რომ მისი დაჯდომა რატომღაც არ სიამოვნებდათ დანარჩენებს და ეს აბრაზებდა.

— შოფერს კითხე, გენასვალე, თუ წაგიყვანს, — უთხრა იმ კაცმა, რომელსაც პირველად გამოელაპარაკა.

— არ უნდა კითხვა, ისედაც წამიყვანს, — თქვა მწერალმა და მის გვერდით მოთავსდა. ზურგჩანთა დააგდო.

ღანარჩენები ისევ ალაპარაკდნენ. მწერალს მეგრული ესმოდა, მაგრამ იმდენად სწრაფად ლაპარაკობდა ეს ხალხი, რომ საკვირველი იყო, როგორ უგებდნენ ერთმანეთს.

შოფერი—კი არ ჩანდა. მანქანა დიდხანს იდგა და მწერალმა ინანა, რომ მაინცადამაინც ამ მანქანაში ჩაჯდა და არ მოიკითხა სხვა მანქანები. მან დაინახა, შუკიდან როგორ გამოვიდა ზუსტად ასეთივე ტონანახევრიანი და სვანეთის გზას გაუდგა. შეიძლება ის მანქანა სვანეთში სულაც არ მიდიოდა და სადმე გადაუხვევდა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა სვანეთში წასულიყო? იმ მანქანას რომ წაჰყოლოდა, რამდენად უფრო ადრე ჩავიდოდა ხაიშში?! მწერალი უკვე გრძნობდა, რომ მისი მოგზაურობა მაინცდამაინც კარგად ვერ აეწყო. უკვე შუადღის თორმეტი საათი იქნებოდა და, საუკეთესო შემთხვევაში, თუ ეს მანქანა დროზე წავიდოდა და თუ ხაიშშიც დროზე იშოვიდა ზემოთ მიმავალ მანქანას, ღამის ცხრა, ათ საათზე ადრე ვერ მიაღწევდა დანიშნულების ადგილას. „შეიძლება ამაღამ სადმე ღია ცის ქვეშ მომიხდეს ღამის გათევა", — უგუნებოდ გაიფიქრა მწერალმა. უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში მას ინტუიციამ არ უღალატა, რადგან იმ ღამეს ბეჩოდან სოფელ მაზერამდე, უფრო ზევით ჭიხრის ველამდე, მდინარე დოლრის სათავისკენ, მწერალს მართლაც მარტოკა მოუხდა სიარული...

შოფერი კი არ ჩანდა. ახლა უკვე სხვებიც გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას.

— სად წავიდა, კაცო, შოფერი?— იკითხა ვიღაცამ ხმამაღლა.

— სადილობს... — უპასუხა მეორემ.

— ამ სიკრძე სადილი რა არის?—ჩაილაპარაკა პირველმა.

კიდევ რამდენიმე კაცი ამოვიდა მანქანის ძარაში. ესენი გახარებულები იყვნენ, რომ მანქანა იშოვეს და ნაცნობებიც ნახეს. ისინი იმწამსვე გამოელაპარაკნენ ნაცნობებს, მაგრამ ლოდინით შეწუხებული ხალხი ამათ სიხარულს არულებით ვერ იზიარებდა.

— წავიდეთ აწი, წავიდეთ!—უკმაყოფილოდ გაიძახოდნენ ქალები, მაგრამ გაუგებარი იყო ვის მიმართავდნენ. უბრალოდ თავიანთ სურვილს ხმამაღლა გამოთქვამდნენ.

ბოლოს, როგორც იქნა, შოფერიც გამოჩნდა. პატარა ტანის, ოცდაათი წლის კაცი იქნებოდა. საკვირველი იყო ამდენ ხანს რას ჭამდა ეს პატარა კაცი. მის გამოჩენაზე ხალხი ახმაურდა.

— მოდის, მოდის, — სიხარულით ანბობდნენ ქალები და უყურებდნენ აუჩქარებლად მომავალ შოფერს, რომელიც სასადილოდან გამოსვლისას ვიღაცას გამოელაპარაკა, შემდეგ უდარდელად, ნელი ნაბიჯებით წამოვიდა მანქანისკენ.

— სად ხარ, შე კაცო, დავიწვით სიცხეში,—მხიარულად გასძახოდნენ კაცები მოახლოებულ შოფერს. ყველანი გამხიარულდნენ, ახმაურდნენ. მწერალიც—კი კარგ გუნებაზე დადგა. შოფერსაც ძალზე კმაყოფილი, მხიარული

სახე ჰქონდა. ის კაბინის საფეხურზე შედგა და ძარაში ამოიხედა. მწერალმა ისარგებლა მომენტით და ჰკითხა:

— შენ, ჩვენი ძმა, ხაიშის იქით არ მიდიხარ?

— არა, გენასვალე, — უპასუხა შოფერმა და დანარჩენებს გაუცინა,—რა ამბავია, კაცო, აქ, სად იყო, კაცო, ამდენი ხალხი?

— ჯუჯგუ, შენ გენასვალე, ერწამას მოიცადე, ვარდო შევიდა მაღაზიაში და ამ წუთას მოვა,—შეეხვეწა შოფერს ერთი ქალი.

— რა უნდა მაღაზიაში?

— ეგება პური იშოვოს!

— პური? — წამოიძახა ჯუჯგუმ,—აჰ, სულ არ დამავიწყდა! — ჩამოხტა ძირს და მშვიდად გაბრუნდა უკან, სასადილოს გვერდით მოთავსებულ პატარა მაღაზიისაკენ.

* * *

მოძრაობა იგივე მოქმედებაა და თუ კაცი მოქმედებს, არ შეიძლება მოწყენილი იყოს. როგორც—კი მანქანა ხეობაში შემოვიდა, როგორც კი გამოჩნდნენ ტყით დაფარული მთები მდინარის გაღმა და მწვანე, ასევე ტყიანი ფერდობები მდინარის გამოღმა, საიდანაც, მიუხედავად მანქანის მიერ დაყენებული ბუღისა, მაინც მოდიოდა ძალზე საგრძნობი სინესტის სუნი, სასიამოვნო, გრილი სუნი ნოტიო მიწის, ხავსისა და ფოთლების, — მწერალს იმედი მიეცა, რომ ხაიშშიაც ნახავდა მანქანას და დროზე ჩავიდოდა იქ, სადაც მიდიოდა. მას სიამოვნებდა, რომ ისევ ხედავდა ამღვრეულ ენგურს, საოცარი სიმძლავრით მიშვებულს თავის ნებაზე, უზარმაზარ მორებს, რომლებსაც გაშმაგებული ტალღები მოაცურებდნენ და დაუნდობლად ახეთქებდნენ კლდეებს, ხედავდა სიმინდის ყანებს მდინარის გაღმა და მაღლა მთაში, ალბათ საძოვრებისაკენ მიმავალ ბილიკებს,—და ქვეცნობიერად ცდილობდა, ყველაფერი, რასაც ხედავდა, კარგად დაემახსოვრებინა, რომ შემდეგში, რომელიმე თავის ნაწარმოებში გამოეყენებინა ეს პეიზაჟი, აღეწერა ნაწარმოებისათვის საჭირო ადგილას.

მანქანა—კი ჯაყჯაყით მიდიოდა ენგურის ხეობაში. ალმართში, როცა მოტორი ძალზე ღმუოდა, ხრიალებდა, გეგონებოდა უკანასკნელ ძალას იკრებსო. მწერალს არ ესმოდა თავისი თანამგზავრების საუბარი, სწორ გზაზე კი ყურს უგდებდა მათ და ერთობოდა. ქალები ლაპარაკობდნენ უმთავრესად ვაჭრობაზე, ფასებზე, იმაზე, თუ რა იყიდეს, რამდენი ფული დახარჯეს და სახლში რა საქმეები ელოდათ. კაცები ლაპარაკობდნენ გზის მშენებლობაზე, რომელიც უკვე დაწყებული იყო ენგურის მეორე მხარეს, სადაც მთებს, — აქედან კარგად ჩანდა, — აფეთქებებისგან დამჩნეული ზოლი ნამათრახარივით შემოხვეოდა წელზე.

—ნამეტანი კარგი გზა იქნება, პატონი, — ამტკიცებდა ერთი ძალზე გრძელულვაშიანი, წითური მამაკაცი, რომელსაც ლურჯი ფერის ჯიბეებიანი ხალათი ეცვა და წელზე, ჩოხაზე გასაკეთებელი ვერცხლის ქამარი შემოერტყა.

— აბა, ეს არის გზა, პატენი?—ამბობდა გაუპარსავი კაცი, ვისაც მწერალი პირველად გამოელაპარაკა,—ორი მანქანა გვერდს ვერ უვლის ერთმანეთს.

— უჩა, დია—გამოელაპარაკა ამ კაცს წინა რიგში მჯდარი ხანშესული ქალი, (მგზავრები ორ რიგად ისხდნენ)—მართალია ის ამბავი?... გუშინ რომ მომხდარა?...

— მართალია, პატონი, — უპასუხა უჩამ.

— დიდუ, დიდუ! — შეიცხადა ქალმა და ლოყაზე შემოიკრა ხელი, ვითომ იკაწრავდა.

— რა მოხდა, პატონი? — ჰკითხეს ამ ქალს დანარჩენმა ქალებმა და უკვე შესაცხადებლად გამზადებულებმა წინასწარ მიიდეს ლოყაზე ხელი.

— მანქანა გადაბრუნებულა, პატონი,

ეშმაკის მოსახვევში მანქანა გადაბრუნებულა.

— დიდუ, დიდუ!—წამოიძახეს ქალებმა და ამათაც შემოისვეს ლოყაზე ხელი, ვითომ იკაწრავდნენ,—ხალხი იჯდა შიგ?

— არა. მარტო შოფერი იყო,—თქვა უჩამ.

— დიდუ, დიდუ! დეიღუპა ხომ საწყალი?

— დეიღუპა, აბა, რა იქნებოდა?!

— დიდუ, დიდუ! ნანა დია! ცოლშვილიანი იყო თუ უცოლშვილო?

— ორი შვილი დარჩა, ქალ-ვაჟი.

— დიდუ, დიდუ!

— ძალიან კარგი ბიჭი იყო,—თქვა უჩამ, რომელიც არ იცნობდა დაღუპულ შოფერს, მაგრამ კმაყოფილი იყო იმით, რომ საყოველთაო ყურადღება მიიქცია.

— ნანა დია, ნანა დია! უბედური მაგის ცოლშვილი.

მწერალმა მანქანიდან ქვემოთ გადაიხედა, სადაც აბობოქრებული ტალღები ნაპირს გლეჯდნენ, არღვევდნენ. „კარგი ბიჭი უნდა ამის გადაცურვას“ —გაიფიქრა მან და სცადა წარმოედგინა მდინარეში ჩავარდნილი კაცის მდგომარეობა. „მაგრამ ამ სიმაღლიდან, სანამ მდინარემდე ჩააღწევ კლდეებს დაენარცხები და უკვე თავგაპობილი ჩავარდები წყალში. ხომ შეიძლება ჩვენ მანქანას ახლა რამე შეემთხვეს და სუყველანი გადაკცივდეთ ძირს?“ ასეთმა ფიქრმა, ცოტა არ იყოს, შეზარა და დაასკვნა, რომ საერთოდ სისულელეა ისეთ უბედურებაზე ფიქრი, რომელიც, შესაძლოა, მართლაც შეგემთხვეს, მაგრამ, შეიძლება, არც არასდროს შეგემთხვეს.

— როდის ვიქნებით ხაიშში?—ჰკითხა უჩას.

— შუადღეზე, ასე ოთხ, ხუთ საათზე.

— ხაიშიდან დადის მანქანები მესტიაში?

— რა ვიცი, გენასვალე, ხან დადის, ხან არა.

მწერალი გაჩუმდა. მგზავრებმა ცოტა ხანს კიდევ ილაპარაკეს ტუნელში დაღუპულ შოფერზე, უბედურ შემთხვევაზე საერთოდ და მერე თანდათან სხვა რამეზე გადაიტანეს საუბარი.

მერე ფერდობიდან გზა ჭალაში ჩავიდა და მდინარის გამაყრუებელი ღმუილი ცოტა ხნით მიწყდა. ჭალაში სიმინდი ეთესა, ნათესს ღობე ჰქონდა შემორტყმული და ყანის ბოლოში ისლით დახურული სასიმინდე მოჩანდა. მზე სასტიკად აცხუნებდა. აქ, გზაზე გადმოწოლილი ხეების ჩრდილი აღარ იცავდა მგზავრებს მზისაგან. მერე ჭალა შევიწროვდა, გზა ისევ მდინარის პირას გავიდა და ისევ გაისმა წყლის გამაყრუებელი ღმუილი. გზა თითქოს გვერდით მიყვებოდა მდინარეს და მეორე ნაპირზე მოსჩანდა წყალში ჩაწოლილი ხეები. დინება ძალზე სწრაფი იყო და მწერალმა ისევ გაიფიქრა, რამე რომ ყოფილიყო, შესძლებდა თუ არა ამ მდინარის გადაცურვას?

ჯერ კიდევ ამ ფიქრში იყო მწერალი, როცა მოულოდნელად მანქანა გაჩერდა. გზის პირას ისლით დახურული ფაცხა იდგა. სახურავიდან კვამლი ამოდიოდა, თითონ ფაცხა მიწაზე იდგა, მაგრამ უკან მიდგმული აივანი წყალს გადაჰყურებდა. ქოხის წინ, სვეტზე, უნაგირიანი ცხენი მიებათ. შოფერი მანქანიდან გადმოვიდა, ფაცხაში შევიდა და ისევ გარეთ გამოვიდა.

— რატომ გავჩერდით? — იკითხა მწერალმა.

შოფერი კაბინაში მჯდარ კაცს ელაპარაკებოდა, მერე ორივენი შუა გზაზე დადგნენ და ისე სწრაფად დაიწყეს ლაპარაკი, რომ მწერალმა ვერაფერი ვერ გაიგო.

— რატომ გავჩერდით? — იკითხა ისევ მწერალმა.

— აქ სასადილოა. შოფერს სადილობა უნდა,—უპასუხა უჩამ.

მწერალი გამწარდა.

— კაცო, წეღან არ ისადილე?—დაუძახა მან მანქანიდან შოფერს.

— კიდევ მომშივდა, გენასვალე...

უპასუხა შოფერმა და საუბარი განაგრძო.

რამდენიმე კაცი მანქანიდან ჩახტა და ფაცხაში შევიდა. ქალებმაც დაიწყეს ჩამოსვლა. უჩაც ჩახტა ძირს. საკმაოდ მოსული ვაჟკაცი იყო ეს უჩა. ბეჭებგანიერი, დიდი შრომისგან დაღდასმული, დაკოჟრილი ხელების პატრონი. ფეხები ჩუსტებში ჩაეყო და უკან, საჯდომზე, ისეთივე დაკერებული შარვალი ეცვა, როგორც მწერალს. მწერალმა გადმოიღო ფეხი ძარიდან და ბორბალზე დადგა. მერე მეორე ფეხიც გადმოიტანა და ჩახტა ძირს. მისი ქუსლიდან ამსტარი კენჭი ვიღაც ქალს მოხვდა ფეხში, რომელმაც ამის გამო უკმაყოფილოდ შეათვალიერა მწერალი. ქოხის გვერდით არასაიმედო გამომეტყველების ბებერი ნაგაზი იწვა ჩრდილში და უშნოდ იბღვირებოდა.

მწერალი ფაცხაში შევიდა და სანამ დახლს მიუახლოვდებოდა კედელში გამოჭრილი სარკმელიდან სამზარეულოში შეიხედა. შუა ცეცხლზე ჯაჭვზე ჩამოკიდებულ ქვაბში სუთით ღომს ლესავდა გამხდარი, თავწაკრული ქალი, ფიცრულის კედლები კი გარუჯული და გამჭვარტლული იყო. ფაცხაში, დახლს ზემოთ, თოკზე ეკიდა გამხმარი სულგუნები. მწერალმა აათვალ-ჩაათვალიერა ოთახი. იატაკი მიწისა ჰქონდა ამ ქოხს. შემოსასვლელი კარების გვერდით პატარა სარკმელი იყო. სარკმელთან იდგა გრძელი ხის მაგიდა და ასევე გრძელი სკამები მის ირგვლივ. დახლის გვერდით კარი აივანზე გადიოდა. აივნის იატაკის ქვეშ წყალი მიედინებოდა. აივანი მდინარეს გადაჰყურებდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა თითქოს თქვენ იდექით პატარა სამდინარო გემის ბანზე და მისცურავდით მდინარის სათავისკენ. ძალზე სასიამოვნო იყო სწრაფად მომავალი წყლის ყურება, მისი გრილი ორთქლის შეგრძნება სახეზე.

აივნის შუაში ფარდა ეკიდა. ფარდის იქეთ შოფერი და კიდევ რამდენიმე კაცი ისხდნენ სადილის მოლოდინში. ისმოდა მათი ხმამაღალი ლაპარაკი. მწერალი ისევ ქოხში შემოვიდა და დახლთან გაჩერდა. ახალგაზრდა, ქერათმიანი, ცისფერთვალება დახლიდარი კიტრისა და პამიდორის სალათს აკეთებდა, მერე სულგუნის დაჭრა დაიწყო. მწერალმა ყუთში ჩალაგებული ლუდის ბოთლები შეამჩნია.

— ლუდი ცივია? — იკითხა მან.

— არა, პატენი, თბილია,—უპასუხა დახლიდარმა.

— რა გაქვს საჭმელი?

— ღომი და სულგუნი.

— კიდევ?

— სალათა.

— მეტი არაფერი?

— არაფერი, პატონი.

—მომეცი ღომი და სულგუნი. სალათაც გამიკეთე.

მწერალი მაგიდასთან დაჯდა. მაგიდის მეორე თავში უჩა იჯდა და ღომსა და სულგუნს შეექცეოდა. როცა დახლიდარმა მწერალს სადილი მოუტანა, მან ორი ბოთლი ლუდიც მოითხოვა. ერთი ბოთლი თითონ დაიდგა, მეორე უჩას გაუწოდა.

— დალიე!

— გმადლობთ, პატონი, — თქვა უჩამ და მოსვა,—უჰ, თბილია.

მწერალი საჭმელს გემოს ვერ ატანდა. ის უკვე გრძნობდა, რომ დაღამებამდე ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩააღწევდა სოფელ ბეჩოში. ბეჩოდან მას კიდევ გრძელი გზა ჰქონდა გასავლელი ფეხით და შუაღამეზე, მთებში მარტოდ მარტო ხეტიალის პერსპექტივა სულ არ უხარებდა გულს. ღია კარებიდან მან დაინახა ფერდობზე ზანტად მომავალი, კუდჩამოშვებული ბებერი ნაგაზი, რომელიც წეღან ქოხის გვერდით, ჩრდილში იწვა და ამან მოაგონა ყველა ის ავი ძაღლები, რომლებიც ამ ქვეყნად არსებობენ. ხომ შეიძლებოდა ამაღამ გზაში გადაყროდა რამდენიმე ასეთ ნაგაზს, ან თუნდაც ერთს? ისიც საკმარისი იყო. ერთი სიტყვით მოგზაურობას კარგი პირი არ უჩანდა.

ნახევარი ღომიც კი არ ჰქონდა მწე-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რალს შეჭმული, სალათისთვის კი ხელი სულაც არ ეხლო, როცა გზაზე ცარიელი ყუთებით დატვირთულმა მანქანამ ჩამოიარა და ჯუჯგუს მანქანის წინ გაჩერდა. მანქანიდან გადმოსული სამი კაცი ქოხში შემოვიდა. ერთს, ყველაზე მაღალს, ჭილის შლაპა ეხურა, მეორეს, უფრო ახალგაზრდას—სვანური ქუდი, მესამე, ყველაზე ახალგაზრდა უქუდო იყო. სწორედ ეს იყო შოფერი, რადგან ხელში მანქანის გასაღები ეჭირა.

— გამარჯობა თქვენი, — მიესალმნენ ისინი ყველას.

— გაგიმარჯოს — უპასუხეს უჩამ, მწერალმა და დახლიდარმა.

შოფერი სკამზე ჩამოჯდა, უჩას გვერდით, დანარჩენი ორი დახლთან მივიდნენ.

— კაცო, მართალია კოჩის ამბავი?— ჰკითხა მათ დახლიდარმა.

— აბა! — უპასუხა ჭილისქუდიანმა. მან ქუდი მოიხადა და ცხვირსახოცით ოფლს იწმენდდა.

— ვავა, კოჩია, ვავა!—წამოიძახა დახლიდარმა.

ერთი წუთით დუმილი ჩამოვარდა.

— გუშინ, კაცო, სწორედ ამ დროს გამოიარა აქ,—განაგრძო დახლიდარმა.

— ხომ არ დაულევია რამე? — ჰკითხა შლაპიანმა.

— არა, კაცო,—დახლიდარი დახლიდან გამოვიდა—ა, აგერ იჯდა,—აჩვენა ადგილი მაგიდასთან მწერლის გვერდით. მწერალმა მოიხედა, თითქოს ახლაც აქ უნდა მჯდარიყო ის კაცი, ვიზეც ლაპარაკობდნენ.

— ბარდღა, ღომი და სულგუნი მომიტანეო, დამიძახა,—ყვებოდა დახლიდარი, — დავუჭერი სულგუნი, სალათა გავუკეთე და აგერ აქ, დავუდგი,—აჩვენა ბარდღამ ადგილი მაგიდაზე მწერლის თეფშთან ახლოს. ყველანი მწერალს უყურებდნენ, უფრო სწორედ იმ სიცარიელეს მწერლის გვერდით, სადაც გუშინ ამ დროს ის კაცი მჯდარა. მწერალსაც თავი მოებრუნებინა და ცდილობდა წარმოედგინა თავის გვერდით მჯდარი კაცი, რომელიც ბოლოდეს არ ენახა.

— რავაა, კოჩი, ტყემლის საქმე-თქო, ვკითხე, — აგრძელებდა მოყოლას დახლიდარი და თან მთელი არსებით ცდილობდა აღედგინა გუშინდელი სცენა. აღელვებით მიმართავდა სიცარიელეს. მისი თვალები აქ, ამ სიცარიელის ნაცვლად ახლაც ხედავდნენ კოჩის, რომელიც გუშინ, ზუსტად ამ დროს იჯდა ამ ადგილზე, და სწორედ ამიტომ დახლიდარი ბარდღა ცოცხლად ლაპარაკობდა:

— რავაა, კოჩი, ტყემლის საქმე-მეთქი და ერთი მაგის დედაც ვატირეო!...

— ერთი მაგის დედაც ვატირეო?— ჰკითხა შლაპიანმა.

— კი. ერთი მაგის დედაც ვატირეო... მერე ადგა და ა, აგერ კარებში გაჩერდა, — ბარდღა მოვიდა კარებთან და აჩვენა ადგილი, სადაც კოჩია გუშინ გაჩერდა. ახლა ყველამ იქეთ გაიხედა და რატომღაც მიწის იატაკს დაუწყეს ცქერა, იმ ადგილს, სადაც ის გუშინ იდგა, —ბარდღა, ახლა ფარა არა მაქვს და რომ ჩამოვიღლი მოგცემო. კარგი, კოჩი, არ გრცხვენია მეთქი, მე ვუთხარი...

სვანმა ჩაიცინა.

— მაგი არაფერი, ფარას მე გადაგიხდი,—განაცხადა შლაპიანმა,—მაგრამ...

— კარგი ერთი, რად მინდა, კაცო, ფარა...

— მაგრამ... დაიღუპა კაცი და დაღუპა ოჯახი.

შოფერი მოღუშული იჯდა და ხმას არ იღებდა.

— ვავა, კოჩი, ვავა,—წამოიძახა დახლიდარმა და კარებიდან ისევ მაგიდისკენ შემობრუნდა, — როგორ ვიფიქრებდი ამისთანა ამბავს... ა, აგერ იჯდა, აგერ დავუდევი ღომი, აგერ სალათა... ლიმონათი ხომ არ გაქვსო, მკითხა. მე ვუთხარი: ლიმონათი არ მაქვს კოჩი და თბილი ლუდი მაქვს და თუ გინდა დალიე, ერთი კვირაა აგერ მიყრია-მეთქი.

— ვაჭრობის საიდუმლოებები გახსნა ექსტაზში შესულმა ბარდღამ,—თბილი ლუდი რა ოხრათ მინდა, შე კაცო, ხომ არ გადაირიეო, ასე მიპასუხა.

— აბა, არ დაულევია?!

— წვეთი!

— არ ვიცი, პატენი, არ ვიცი,—ჩაილაპარაკა შლაპიანმა. სვანურქუდიანი კაცი და შოფერი ხმას არ იღებდნენ.

— ,ლახა ამბავია, — თქვა უჩამ.

— ,ლახა ამბავია, აბა რაა, — თქვა სვანმა.

— მაგრა ყოფილა დამტვრეული?— იკითხა ბარდღამ.

— არ თქვა! — უპასუხა შლაპიანმა.

— აბა რა იქნებოდა იმ სიმაღლიდან... დიდუ, დიდუ! — წამოიძახა ბარდღამ, რადგან ეტყობა წარმოიდგინა ავარიის ადგილი.

— წავიდეთ აბა! — თქვა შლაპიანმა.

შოფერი წამოდგა, სვანი გარეთ გავიდა.

— ხაიშს მიდიხართ, ხომ?—ჰკითხა უჩამ შოფერს.

შოფერმა თავი დაუქნია.

— აბა, მეც თქვენ წამოგყვებით; ამგენს სად ვუცადო?

მწერალიც უცბად წამოხტა და შოფერს მიუახლოვდა.

— გაქვს ადგილი?

— არა მაქვს ძმაო, ადგილი, ყუთებზე თუ დაჯდები...

— დავჯდები, მაგის რჯულიც არ იყოს.

მწერალმა დანახარჯი გადაუხადა ბარდღას, შემდეგ აივანზე გავიდა, ფარდა გადასწია და ჯუჯგუ მოძებნა თვალებით.

— ჩემგან რამდენი გეკუთვნის თუ ძმა ხარ, აგერ სხვა მანქანას მივყვები...

— არაფერი არ მინდა, გენასვალე,— ამაყად განაცხადა ჯუჯგუმ და ხელი ასწია, — ბედნიერი მგზავრობა, გენასვალე...

შემდეგ—კი. როცა მწერალი წავიდა ბოღმით გაიფიქრა: „უყურე ამ ციგანს, ხალხში არ შემომთავაზა ფარა?“

ეს მართლაც უტაქტობა იყო მწერლის მხრივ, სუფრაზე მჯდარი კაცისთვის ფულის შეძლევა, მაგრამ ის ძალზე ჩქარობდა, თანაც საკმაოდ ცუდი აზრისა იყო ჯუჯგუზე და ამიტომ თავისი საქციელი არაფრად ჩაუგდია, უფრო სწორად არც—კი შეუმჩნევია. მან ბანდო ზურგჩანთა ჯუჯგუს მანქანიდან და ცარიელი ყუთებით დატვირთულ მანქანაზე აძვრა. უჩა უკვე აქ იჯდა. მან გამოართვა ზურგჩანთა მწერალს და მოხერხებულ ადგილზე დადო.

შემდეგ მანქანა დაიძრა და ცოტა ხანში ფაცხა თვალს მიეფარა. მანქანა გრილ ტყეში შევიდა, მერე ისევ ჭალაში გამოვიდა. აქ ქერქგაცლილი გრძელი მორები ეწყო და მათ ირგვლივ ნაფოტი ეყარა. ჰაერში ნედლი ხის სასიამოვნო სუნი ტრიალებდა. მერე ფუტკრის სკებს გაუსწორდნენ და გასცილდნენ. ყუთებზე ჯდომა გაცილებით უფრო ძნელი იყო და ალბათ ამიტომ სვანი კაბინის საფეხურზე იდგა. ზემოთ, ძარაში მხოლოდ მწერალი და უჩა წამოსკუპებულიყვნენ ყუთებზე.

— როდის ჩავალთ ხაიშში?—ჰკითხა მწერალმა უჩას.

— ასე ხუთზე, ექვს საათზე...

— ხაიშიდან მესტიამდე რამდენი საათი უნდა მანქანას?

— ასე ხუთი, ექვსი...

მანქანა სწორეზე მიდიოდა და მაინცადამაინც არ ჯანჯღარებდა. გზიდან მარჯვნივ წისქვილი გამოჩნდა, წისქვილის წინ, უზარმაზარი მუხის ჩრდილში თეთრწვერა მოხუცები ისხდნენ და თავაწეულნი, ინტერესით შესცქეროდნენ მანქანას. მანქანა ღელეში შევიდა. ფრთხილად გადაიარა ქვებზე. წყალი ისე სუფთა და კრიალა იყო, რომ ფსკერზე კენჭები მოჩანდა. წლის სასიამოვნო შხუილი ისმოდა, მერე მანქანა ორღობეში შეხრიალდა და მტვერი დაიყენა. გზის ორივე მხარეს სიმინდი ეთესა. ეზოებში ხის ოდები იდგა, ერთი ეზოდან ძაღლი გამოვარდა და ყეფით გამოედევნა მანქანას. მზეზე გარუჯული, ტიტლიკანა ბავშვები დათვის ბელებივით გორაობდნენ ჩრდილში. სოფელი პატარა იყო. სოფლის ბოლოს დედაკაცები შეკრებილიყვნენ და შორიდანვე იგრძნობოდა, რომ ყაყანებ-

დნენ. მანქანა გაჩერდა. დედაკაცები მანქანიდან გადმოსულ ჭილისქუდიან კაცს შემოეხვივნენ და ყველანი ერთად ალაპარაკდნენ. ისინი კითხულობდნენ, როდის დაარიგებდა დამზადების პუნქტი ტყემლის ფულს. ჭილისქუდიანი კაცი პასუხობდა სულ მალეო. სვანმა მანქანიდან ყუთები აიღო და გზის პირას დაყარა. იქვე მიწაზე ტყემლით სავსე კალათები და გოდრები ეწყო. ჭილისქუდიანი დაიხარა და გასინჯა მოკრეფილი ტყემალი. ერთი კალათიდან მუჭით აიღო ტყემალი და ყუნწები მოწყვიტა. შემდეგ ისევ გოდორში ჩაყარა.

— ყუნწი არ უნდა ჰქონდეს—აუხსნა მან ქალებს.

— ოოჰ,—ახმაურდნენ ქალები—ჯერ უყუნწოს ფული ჩაგვაბარე, ყუნწზე მერე ვილაპარაკოთ, — ქალებმა კისკისი დაიწყეს, სიცილით კვდებოდნენ ერთმანეთის ზურგს უკან.

ამასობაში შოფერმა მანქანას წყალი გამოუცვალა.

— ახლა ეს ტყემალი ყუთებში ჩაყარეთ და აქეთობას ავწონით და წავიღებთ, — თქვა ჭილისქუდიანმა.

— ოოჰ. — ისევ აყაყანდნენ უკმაყოფილო ქალები,—გუშინაც ასე გვითხრა იმ კაცმა და არ ჩამოუვლია, ყუთებში გამზადებული ტყემალი ეგერ გვიწყვია...

— როგორ ჩამოივლიდა, როცა დაიღუპა ის კაცი!

— რაო?

— რაო და ეშმაკის მოსახვევში მანქანა გადაუბრუნდა და გადაიჩეხა.

— დიდუ! — იკივლეს ქალებმა.

შეიქნა ერთი ამბავი. სვანი შეკითხვებს თავს არიდებდა, ჭილისქუდიანი კი დეტალურად ყვებოდა ავარიის ამბავს. ქალებს ვერაფრით ვერ წარმოედგინათ, რომ ის კაცი, ვინც მათ აქ გუშინ, ზუსტად ამ დროს ყუთები დაურიგა, მკვდარი იყო.

მართლაც ძალზე უცნაური ჩანდა ეს ამბავი, თუმცა მწერალმა იცოდა, რომ სიკვდილში არაფერი არ არის უცნაური და არაჩვეულებრივი, პირიქით, ის უფრო უცნაური იქნებოდა, კაცი რომ არ კვდებოდეს საერთოდ. მაგრამ მაინც უცნაური და სამწუხარო ჩანდა ის ამბავი, რომ გუშინ ამ გზაზე, ამ მშვენიერი ბუნების წიაღში გამოიარა კაცმა, რომელიც დღეს აღარ არის, მზე—კი ისევ გუშინდებურად ანათებს თვალუწვდენელად გადაჭიმულ ტყიან მთებს, მთებს შორის მიმავალ მოუსვენარ მდინარეს და თითონ მთებიც, თითონ მდინარეც ისევ ისე გამოიყურებიან მზის სხივების ქვეშ, როგორც გუშინ, როგორც შეიძლება ათასი წლის წინათ, როგორც მაშინ, როცა თავდაპირველად შეიქმნენ ისინი რაღაც მიზეზის შედეგად, რადგან ყველაფერი ამ ქვეყნად რაღაც მიზეზის შედეგია, რაღაც მოქმედების, რაღაც ძალის, რაღაც პირობის შედეგად იქმნება ყველაფერი ამ ქვეყნად და ეს პირობა თითონ იმ მიზეზშია, რომელიც ყოველივე ამას იწვევს. რა არის ეს მიზეზი წარმომშობი ყველაფრისა? — გაიფიქრა მწერალმა და თვალი გადაავლო მდინარის გაღმა მდუმარედ მდგარ მწვანე მთებს, რომელთა წვერებს ძირს ჩამოსული თეთრი ღრუბლები მსუბუქად დასწოლოდნენ ზემოდან. მწერალს უყვარდა ასეთ საკითხებზე დაფიქრება, მაგრამ ვათი გადაწყვეტა, რა თქმა უნდა, არ შეეძლო. ამიტომ ისევ რეალობას დაუბრუნდა.

— კი მაგრამ რა მოუვიდა იმ საწყალს, რამ გადააბრუნა? — ჰკითხა მან უჩას.

— რა ვიცი გენასვალე, ვინ იცის?

მანქანა დიდი ხანია მირახრახებდა და პატარა სოფელი თავისი მცხოვრებლებით თვალს მიეფარა.

გზა აღმართზე ავიდა. მომაკვდავივით ახრიალდა მოტორი. თანდათან უფრო მაღლა ავიდა გზა და ახლა მდინარე სადღაც ქვემოთ, სადღაც შორს, თვალუწვდენელად შორს და ქვემოთ დარჩა. წყალს კვლავ მოჰქონდა ტივებად შეკრული მორები. მეორე ნაპირზე, ენგურს პატარა ღელე უერთდებოდა

და იქიდანაც ხე-ტყეს აცურებდნენ. ფერდობზე მიმავალი მანქანა ჯანჯღარებდა, ყუთები ხტოდნენ, მაგრამ რატომღაც არ ცვივოდნენ ძირს. მწერალს გულის ჯიბიდან ხურდა ფული ამოუცვივდა და დაეპნა, რაც სრულებით არ ესიამოვნა, რადგან ისედაც ცოტა ჰქონდა ფული. „მანეთი იქნებოდა"— სინანულით გაიფიქრა მან. ზოგჯერ მანქანა ჩერდებოდა და სვანი და უჩა ყუთებს ყრიდნენ გზის პირას. ტყიდან გამოდიოდა კაცი, იღებდა ყუთებს და ჩუმად მიჰქონდა ისევ ტყეში. ეს მანქანა დამზადების კანტორას ეკუთვნოდა. ახლა ტყემლის ჩაბარების სეზონი იყო და მოსახლეობა ყველგან ელოდა დამზადების კანტორის აგენტს. მანქანა თანდათან ცარიელდებოდა ყუთებისაგან, მწერალი და უჩა დიდი ხანია ფეხზე იდგნენ. სვანიც ზემოთ ამოვიდა. მწერალი ძალზე დაიღალა განუწყვეტელი ჯაყჯაყისაგან, ხაიშში დროზე ჩასვლის იმედიც საბოლოოდ დაკარგა და პეიზაჟსაც აღარ იმახსოვრებდა ისეთი გულისყურით, როგორც მოგზაურობის დასაწყისში. ის უკვე მწერლის თვალით აღარ უყურებდა ბუნებას, არამედ დაღლილი მგზავრის თვალით. კაბინიდან თავი გამოეყო შოფერს და გრილ ჰაერს ისუნთქავდა.

— პირველად ხარ აქეთ? — ჰკითხა მწერალს უჩამ.

— არა, მაგრამ დიდი ხანია არ ვყოფილვარ...

— რა გინდა სვანეთში?

— საქმე მაქვს, — მოკლედ უპასუხა მწერალმა.

— გეოლოგი ხარ?—ჰკითხა უჩამ.

— ჰო, გეოლოგი ვარ,—უპასუხა მწერალმა.

ეს ახალგაზრდა მწერალი არსად არ ამხელდა, რომ მწერალი იყო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მას, როგორც მწერალს არავინ არ იცნობდა, რადგან მისი ნაწერები ძალზე იშვიათად იბეჭდებოდა, მეორე იმიტომ, რომ მას უნდოდა დიდი მწერალი გამხდარიყო და სანამ დიდი მწერალი გახდებოდა, ისეთ მწერლად ყოფნას, რომელიც არავისგან არაფრით არ გამოირჩევა, ერჩივნა ყოველგვარი სხვა პროფესია. ამიტომ იგი ხან გეოლოგად ასაღებდა თავს, ხან რკინიგზელად, ხან კოლმეურნედ და ხან კიდევ რათაც მოუხდებოდა. ერთის მხრივ ეს სასარგებლოც იყო მისთვის...

— ხაიშში სასტუმრო არის? — ჰკითხა მწერალმა უჩას.

— არ ვიცი, გენასვალე. არ უნდა იყოს, მე ვფიქრობ...

მერე გზა დაღმართში დაეშვა. ალბათ, რამდენიმე საათი გავიდა მას შემდეგ, რაც ისინი გზაში იყვნენ და ხან აღმართს მიყვებოდნენ, ხან დაღმართს, უფრო ხშირად—კი აღმართს. და აი, ახლა გზა ისევ დაღმართში დაეშვა და ენგურის პირას ტრიალ მინდორზე გამოვიდა. მანქანა გაჩერდა. შოფერი, სვანი და ჭილისქუდიანი მანქანიდან გადმოვიდნენ, სვანი მინდორზე გავიდა და ყვირილი მორთო:

— უჯუში, ვო უჯუში! — და ხელი დაიქნია.

მინდვრის ბოლოს, ტყის პირად წაქცეულ ხეს თლიდა ვიღაც კაცი. ეს იყო უჯუში. მან ნაჯახი დააგდო და სწრაფად გამოემართა მანქანისაკენ.

ენგურზე საცალფეხო ჯაჭვის ხიდი იყო გადაკიდებული, რომლისკენ გზიდან ბილიკი მიდიოდა, მინდვრის შუაში.. ხიდგადაღმა ვიღაც მოსახლე ცხოვრობდა. ეზოში ყავრით დახურული აივნიანი ოდა სახლი მოჩანდა, გვერდით სამზადისი ქოხი და სასიმინდე იდგა, აგრეთვე ბოსელი და საღორე. სახლის წინ და უკან, ფერდობზე მწვანე სიმინდი ბიბინებდა. მარტო ეს ერთი მოსახლე იყო ენგურის გაღმა, ამ მიდამოში.

უჯუში მოვიდა და სალამი თქვა:

— გამარჯობა თქვენი, პატონი.

— რავაა, უჯუში, საქმე? — ჰკითხა სვანმა.

— მზად მაქვს ტყემალი—უპასუხა უჯუშიმ — ყუთებს ვუცდი.

— რამდენი კილოა?

— ასი იქნება, თუ მეტი არა...

უჯუში ვაჟკაცური გარეგნობის კაცი იყო. სიტყვა პასუხი და მანერები ძალზე ზრდილობიანი ჰქონდა.

— კი მაგრამ სულ არ დაგიტოვა მაშინ კოჩიამ ყუთები? — ჰკითხა ჭილისქუდიანმა.

— აბა, საწყალი კოჩია, — თავი გააქნია უჯუშიმ, — დღეს მითხრა კაცო, კოწია გამზარდიამ...

დუმილი ჩამოვარდა. შოფერმა პაპიროსი მოსთხოვა სვანს და გააბოლა.

— აბა, ამისთანა უბედურება მოხდა, თქვა ჭილისქუდიანმა.

— ძალიან მეწყინა — თქვა უჯუშიმ.

დუმილი კიდევ გაგრძელდა.

— საწყალმა კოჩიამ ოთხი ყუთი დამიტოვა, მაგრამ ტყემალი მეტი გამოვიდა,—თქვა მერე უჯუშიმ.

ჭილისქუდიანი ბლოკნოტში იწერდა დარიგებული ყუთების რიცხვს.

— აიღე, აბა, რამდენიც გინდა, — უთხრა მან უჯუშის.

— სამი მეყოფა.

უჯუში ბორბალზე შედგა და ბორტზე გადმოწოლილ მწერალს ბოდიში მოუხადა.

— უკაცრავად, პატენი, ყუთი მინდა ავიღო.

მწერალმა მიაწოდა უჯუშის ყუთები. ცოტა ხანს კიდევ ილაპარაკეს კაცებმა ტყემლის ჩაბარებაზე, კოჩიას დაღუპვაზე. მერე დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

— დაამზადე, უჯუში ტყემალი, ასტამური ჩამოივლის ამ საღამოს და წაიღებს, — უთხრა ჭილისქუდიანმა უკვე მანქანის კაბინიდან.

— კი, პატონი — უთხრა უჯუშიმ— გიცდი აბა, საღამოს, ასტამურ,—უთხრა უჯუშიმ შოფერს.

ასტამურმა თავი დაუქნია. მერე მანქანა დასძრა. სწრაფად მიმავალი მანქანიდან ხედავდა მწერალი, როგორ აკრიფა უჯუშიმ ყუთები და როგორ გაემართა ბილიკით ჯაჭვის ხიდისაკენ.

* * *

აი, ის ადგილიც, სადაც მანქანა გადაიჩეხა. ბოლოსდაბოლოს, როგორც იქნა, მოაღწიეს აქ. რა სიგრილეა ტყეში! რა საშინელი ხმაური ისმის ბნელი ხევიდან. გზიდან მდინარე არა ჩანს კარგად, რადგან თუ ძალიან გადაიხრები, შეიძლება ფეხი დაგისრიალდეს და გადაეშვე ძირს, მაგრამ გამაყრუებელი ხმაურია მაინც, თითქოს სულ აქვეა მდინარე. გზა ზედ კლდის თავზე გადის. საოცრად ციცაბო ადგილზეა ეს ვიწრო მოსახვევი, ეშმაკის მოსახვევი, როგორც ყველანი ეძახიან ამ ადგილს. დაბურული კატაბარდები და გვიმრები თითქმის გაუვალს ხდიან ტყეს. მდუმარედ დგანან უზარმაზარი ფიჭვები და ნეკერჩხლები. სიჩუმე და სიბნელეა ირგვლივ და მიწა სველია, თუმცა ერთი თვეა წვიმა არ მოსულა ამ ადგილებში და ხის კენწეროებს განუწყვეტლივ დასცქერის ზაფხულის თაკარა მზე. მაგრამ მზის სხივები ძირამდე ვერ ატანენ, ვერ აშრობენ ნესტით გაჟღენთილ მიწას. წყალი მოჟონავს კლდიდან, ალბობს ნიადაგს და ქვემოთ მიედინება, სადაც, ალბათ, უერთდება მდინარეს, რომლის მკაცრი შხუილი მუქარასავით გაისმის აქ.

მონგრეულია გზის პირას მდგარი ბოძები. აი, აქ გადაიჩეხა მანქანა გუშინ. ყველანი დგანან და ჩუმად გასცქერიან უფსკრულს, სვანმა თავისი სვანური ქუდი მოიხადა და სქელი ქოჩორი გადმოეყარა შუბლზე.

— აქედან დაცურებულა—თქვა შოფერმა და ფეხით მოჩიჩქნა მიწა გზის პირზე.

ჭილისქუდიანმა თვალზე მომდგარი ცრემლები მოიწმინდა.

— საწყალი კოჩია... წყნარი კაცი იყო...

2.

ხუთ საათზე მეტი არც კი იქნებოდა, როცა მანქანა ხაიშში შევიდა. მანქანამ შუა გზაზე გაჩერებულ ავტობუსს აუარა და სწორედ ამ დროს მწერალმა გაიგონა, როგორ დაუძახეს ავტობუსიდან. მან მიიხედა უკან და დაინახა, რომ ვიღაცეები ხელს უქნევდნენ და ეძა-

ხოდნენ. მწერალი, რასაკვირველია, მიხვდა, რომ ნაცნობები იქნებოდნენ. ამიტომ გახარებულმა სასწრაფოდ გაიჩერებინა მანქანა, ზურგჩანთა აიღო, ნაჩქარევად დაემშვიდობა სუყველას, შოფერს ფული გადაუხადა და ავტობუსისკენ გაიქცა. მანქანა—კი გაემართა თავის გზაზე უკვე მწერლის თვალთახედვის მიღმა.

როდესაც კაცი ბედნიერია, ყველა მის ცუდ მხარეებს ამჩნევს, მაგრამ როცა კაცს უბედურება შეემთხვევა, ყველას მისი კარგი თვისებები აგონდება. ასეა ეს და ეს ყველამ იცის. მაგრამ ასტამური მთელი გზა კოჩიას ცუდ თვისებებზე ფიქრობდა. მთელი გზა, სანამ მანქანა ხაიშისაკენ მოჰყავდა, კოჩიას სუსტი მხარეები აგონდებოდა. ასტამური კარგად იცნობდა კოჩიას, რადგან ისინი ახლო ნათესავები იყვნენ.

რა კაცი იყო კოჩია? ასტამურის აზრით ეს იყო უნებისყოფო, სუსტი კაცი, თავმოყვარეობას მოკლებული, თუმცა ურთიერთობაში თავაზიანი, მაგრამ საკმაოდ ძუნწი და ხარბი, რომელსაც კაპიკს ვერ გააგდებინებდი ხელიდან, თუმცა სხვის ხარჯზე ძალიან უყვარდა მოლხენა. ასტამური ათი წლით უმცროსი იყო კოჩიაზე და ბავშვობიდანვე იცნობდა მას. გარდა იმისა, რომ ბიძაშვილებად ეკუთვნოდნენ ერთმანეთს, ისინი კარის მეზობლებიც იყვნენ, მათი სახლები ერთმანეთის გვერდით იდგა. ბავშვობაში კოჩიას უარყოფით თვისებებს ასტამური ვერ ამჩნევდა, და ამიტომ ძალიან უყვარდა თავისი სახლიკაცი. მაშინ კოჩიაც სხვა კაცი იყო, მოხდენილი, ლამაზი ახალგაზრდა გახლდათ კოჩია. ის არ იყო დიდი, ძვალმსხვილი ვაჟკაცი, როგორც ასტამური ახლა, მაგრამ თავის დროზე ისეთი წერწეტა ტანი ჰქონდა, ისეთი ვიწრო წელი, რომ ხალხი აღტაცებაში მოჰყავდა და ყველანი გაზვიადებით იძახდნენ წელში გადატყდებაო. ქალებსაც შურდათ კოჩიას წელი, ნეტავ მე მომცა, ასეთიო, ბევრი ნატრობდა. გაშლილი ბეჭები ჰქონდა კოჩიას და ცქვიტად, ლამაზად დადიოდა. თეთრ სახეს ვიწრო, შავი ულვაშები უმშვენებდა, სქელი ქოჩორი გვერდზე გადასულიყო. რა ჯობდა კოჩიას ნახვას ჯირითის დროს. როგორ უხდებოდა მოსირმული ჩოხა-ახალუხი და ვერცხლის ქამარხანჯალი! როცა ზუგდიდში ჯირითი იმართებოდა, მთელი სამეგრელო და აფხაზეთი აქ იყრიდა თავს, ზოგჯერ იმერეთიდანაც ჩამოდიოდნენ მხედრები, მაგრამ იმერელი ცხენოსნები რას შეედრებოდნენ მეგრელებს. შავ ულაყზე იჯდა ხოლმე შავ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი დარასელია და ხალხით გაჭედილ ქუჩაში იპოდრომისკენ მიმავალ გზაზე წინ მოუძღოდა ზუგდიდელი მხედრების რაზმს. მათ შორის იყო ყაბალახით თავწაკრული კოჩია. ვერავინ სჯობდა კოჩიას ისინდში და მარულაში. უზანგებზე შემდგარი კივილით ამხნევებდა ბედაურს. ახლა, თარჩიაში უნდა გენახათ! სასწაულებრივად მოქნილი და სხარტი თევზივით უსხლტებოდა ხელიდან მოწინააღმდეგეები. ერთხელ თბილისშიც წაიყვანეს შეჯიბრებაზე და იქაც გამოიჩინა თავი. თბილისში, ასპარეზობის შემდეგ კოჩია იპოდრომის ლოჟაში მიიხმეს, სადაც ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი დიდი მწერალი იჯდა. მწერალმა შემდეგი სიტყვით მიმართა კოჩიას:

— შენმა ჯირითმა ჩემი ეგზომ ბობოქარი ახალგაზრდობა მომაგონა. ჭაბუკობის ჟამს მე თავად დავაგელვებდი გაუხედნავ ურა კვიცებს ტეხურის და ხობისწყლის ჭალებში. ერთი რამ გახსოვდეს ჩემო კოჩია. ჯიშიერ ცხენს სამი რამ უნდა ჰქონდეს გრძელი: ყურები, კისერი, წინა ფეხები. სამი რამ მოკლე: კუდისძირი, ზურგი, უკანა ფეხები. სამი რამ ფართო: შუბლი, მკერდი, ხერხემალი სამი რამ სუფთა: ტყავი, თვალები, ფლოქვები. შვილო კოჩი, — გაგანაგრძო დიდმა მწერალმა და დამსწრე საზოგადოებას გადაავლო ამაყი მზერა,—არაბი მწიგნობარი აბდ-ელ-კადერი ამბობს: ცხენი უნდა იყოს ქედმაღალი და გვერდებთხელი, ტალღისე-

ბური კუდი მთლიანად ფარავს არეს თეძოებს შორის, წინ მიდრეკილი თვალები და ჯეირანის მსგავსი ყურები ამშვენებენო ნამდვილ ბედაურს, ნესტოები ფართო, ნესტოების ცა შავი, ფაფარი სქელი...

ასეთი სიტყვით მიმართა დიდმა მწერალმა კოჩიას, მაგრამ კოჩიამ დაივიწყა მისი სიტყვები და ცხენს მანქანა ამჯობინა. მაგრამ ეს შემდეგ მოხდა, მწერალთან საუბარი კი ჯარში წასვლამდე იყო.

როცა კოჩია ჯარში წაიყვანეს, მისი შშობლები სულ მარტო დარჩნენ, რადგან ის მათი ერთადერთი შვილი იყო. ასტამური ყოველნაირად ეხმარებოდა მოხუცებს. მაშინ ასტამური ბავშვი იყო, რომელსაც ავადმყოფი მამა მოსავლელი ჰყავდა. რა შეეძლო, რა უნდა გაეკეთებინა ასტამურს, მაგრამ შეძლებაში კი არ არის იმდენად საქმე, რამდენადაც იმ უანგარო ერთგულებაში, რომელსაც კოჩიასა და მისი მშობლების მიმართ განიცდიდა. მართალია, ბავშვი იყო ასტამური, მაგრამ მაინც ჰქონდა იმდენი შეგნება, რომ უნდოდა ჯარიდან დაბრუნებულ კოჩიას ყველაფერი რიგზე დახვედროდა შინ. არაფერი არ ეზარებოდა ასტამურს, ის ყანის გათოხვნაშიც ეხმარებოდა კოჩიას მშობლებს, საქონლის მოვლა-პატრონობაშიც... კოჩია ლეგენდარულ გმირად წარმოედგინა და ოცნებაში ხშირად ხედავდა მას ნაბადმოხურულს, ყაბალახწაკრულს, შავ ბედაურზე ამხედრებულს ამოწვდილი ხმლით ხელში, მტრები კი გარბოდნენ, უკანმოუხედავად გარბოდნენ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი საქართველოს მტრები, კოჩია კი დაუნდობლად ჩეხავდა მტერს, მუსრს ავლებდა, ქლეტდა, კუწავდა. თუმცა ჯარიდან გამოგზავნილ სურათებში კოჩიას ჩოხა-ახალუხი არ ეცვა, არც ნაბადი მოეხურა, მაგრამ ასტამურს ის ასე ჰყავდა წარმოდგენილი... ხშირად, ტოლ-მეგობრებსაც უყვებოდა კოჩიას საგმირო საქმეებს, უყვებოდა მათ, კოჩიამ უამრავი ორდენები და მედლები მიიღო მტერთან ბრძოლაშიო.

—კი მაგრამ ახლა ხომ ბრძოლა სადაც არის, ომი გათავდა პატენი, — ეუბნებოდნენ ზოგჯერ ასტამურს.

ასეთი კითხვები არ სიამოვნებდა ასტამურს და ის მკაცრად პასუხობდა:

—ვინ თქვა ომი არ არისო? კოჩია სადაც არის, იქ ჯერ კიდევ გრძელდება ომი, მაგრამ არ აცხადებენ.

— რატომ არ აცხადებენ, პატენი? წინათ თუ აცხადებდნენ, ახლა რატომ არ აცხადებენ?

— მაგას შენი ტვინი ვერ გაიგებს — ამბობდა ასტამური და ზიზღით შესცქეროდა ურწმუნოს თვალებში.

ასტამურს წყინდა, რომ თავის დროზე არ წაიყვანეს კოჩია ჯარში, რადგან დარწმუნებული იყო ომიდან კოჩია უეჭველად გმირი დაბრუნდებოდა.

გავიდა სამი წელი და მართლაც დაბრუნდა კოჩია ყოველგვარი ორდენებისა და მედლების გარეშე, მაგრამ ასტამურის სიხარულს მაინც არ ჰქონდა საზღვარი. ასტამური ელოდა, რომ ცხოვრების ფართო სარბიელზე ისევ გამოაჭენებდა კოჩია თავის ბედაურს. მაგრამ კოჩია არ ჩქარობდა. თანდათან აღმოჩნდა, რომ კოჩიას დაჰკარგოდა ცხენოსნობის ჟინი. თანაც ასტამურმა შეამჩნია, რომ კოჩიას ხელის ფრჩხილები ძალზე ჩაშავებოდა და შეფიქრიანდა. ნეტა რის შედეგი უნდა ყოფილიყო ეს?

ჯარიდან დაბრუნებული კოჩია ნაცნობ-ნათესავებს და მეზობლებს უყვებოდა ხოლმე:

— ძალიან კარგად ვიყავი ჯარში. შოფრობა ვისწავლე და მთელი სამი წელიწადი მანქანას დავაქროლებდი.

— კვება როგორი იყო, პატენი?

— შესანიშნავი, პატენი. მართალია ღომი და აჯიგა კი მენატრებოდა ხანდახან, მაგრამ ზამთარში ბორშჩს რა სჯობს?

ვარდა შოფრობისა, კოჩიას რუსული ენაც კარგად შეესწავლა. როცა ამხანაგები, მეზობლები ან ნათესავები შემ-

თხვევით პაპიროსს მოითხოვდნენ ხოლმე, კოჩია ყოველგვარი აქცენტის გარეშე, თავისუფლად პასუხობდა რუსულად: Надо свой иметь!

ჯარიდან ჩამოსვლის შემდეგ ცხენი ერთხელაც არ უხსენებია. რათ უნდოდა ცხენი, როცა შოფრის სპეციალობა ჰქონდა. ოჩამჩირეში ადგილი იშოვა და იქ დაიწყო სამსახური. ამბობდნენ ბევრ ფულს შოულობსო, მაგრამ არაფერში არ ეტყობოდა. კაპიკს არ ხარჯავდა. ალბათ აგროვებდა. მეორე ცოლიც შეირთო. სწორედ მაშინ შეამჩნია პირველად ასტამურმა, რომ კოჩია სუსტი ნებისყოფის კაცი იყო. საქმე იმაშია, რომ ქალი კოჩიას მამამისმა ტაგუმ გაურიგა. ამ ქალის მამა ტაგუს ძველი მეგობარი ყოფილიყო და აი, ტაგუმ გადაჭრით განუცხადა კოჩიას, თუ ჩემი შვილი ხარ, ეს ქალი უნდა მოიყვანო ცოლადო. ვერ გამოიჩინა კოჩიამ სიმტკიცე, დათანხმდა მამას და ცოლად შეირთო ქალი, რომელიც არ უყვარდა, რომელსაც არ იცნობდა წესიერად. და ეს მაშინ, როდესაც ოჩამჩირეში ულამაზესი შეყვარებული ჰყავდა. ასტამურს ძალიან მოსწონდა ის ოჩამჩირელი აფხაზის ქალი. ერთხელ დაანახა კოჩიამ, როცა ზუგდიდში ჩამოეყვანა სატრფო, კონცერტზე. და აი, კოჩიამ სხვა ქალი შეირთო. მაშინ გაუტყდა ასტამურს პირველად გული კოჩიაზე. როგორ იფიქრებდა, თუ ასეთ ლამაზ ქალს მიატოვებდა კაცი, ვიღაც გომბიოში გაცვლიდა, რომელიც ქართულადაც კი ვერ ლაპარაკობდა რიგიანად. ცხარე ცრემლით ტიროდა თურმე ოჩამჩირელი აფხაზის ქალი. ეს ამბავი თითონ კოჩიამ მოყვა და როცა ამას ყვებოდა შტერივით იღრიჯებოდა, იცინოდა. რა იყო სასაცილო? ასტამური თანდათან რწმუნდებოდა, რომ კოჩია სრულებით არ წარმოადგენდა ისეთ პიროვნებას, როგორიც მას ეგონა. ამ ამბის შემდეგ კოჩიას ოჩამჩირეში აღარ გაეჩერებოდა და ამიტომ გალში გადავიდა სამუშაოდ. მერე ზუგდიდში იშოვა ადგილი. ასე შეუსრულა კოჩიამ მამამისს სურვილი. კაცმა რომ თქვას, რა სურვილია შვილს ცოლად შეირთოს ქალი, რომელიც შენ გინდა, რომ რძალად გყავდეს, მაგრამ შენ შვილს არ უყვარს და არ უნდა მისი ცოლობა. მაგრამ რას იზამ? ასე მოხდა. ძველი ყაიდის კაცი იყო ტაგუ. მას არაფრით არ ესმოდა რომ ბევრი რამ რაც ძველად საჭირო და ლამაზი იყო, აღარ ეგუება დღევანდელობას. კოჩიას კი ინიციატივა არ გააჩნდა და აი, ასე მოხდა, შემდეგში ტაგუმ ბევრი ინანა და წყევლა ის დღე, როცა ეს ქალი ოჯახში შემოიყვანა. მაგრამ უკვე გვიან იყო. კოჩიას ცოლი ფაცია მეტად თავისებური ხასიათის პიროვნება აღმოჩნდა. ჯერ ერთი, დილიდან საღამომდე შეეძლო ენა არ გაეჩერებინა. მეორე, ყველასაგან სრულ მორჩილებას მოითხოვდა. ქმარი და დედამთილი სწრაფად დაიმორჩილა, მაგრამ მამამთილს ვერ მოუხერხა ვერაფერი. დაიწყო გაუთავებელი აყალმაყალი ოჯახში. რძალ-მამამთილი რძალ-დედამთილის როლს ასრულებდნენ. კოჩიას წარმოდგენა არა ჰქონდა, ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი. არ იცოდა, ვის მიმხრობოდა. ზოგჯერ დათვრებოდა და გინებით იკლებდა ოჯახს, მაგრამ მეორე დღეს ისევ ცოლის მონა იყო და მამის მორჩილი. მაშინ გამოჩნდა ძალზე ნათლად, რომ ის სუსტი, რბილი კაცი იყო, რადგან მტყუანს და მართალს ვერ არჩევდა საკუთარ ოჯახში. მერე შვილებიც შეეძინა, ქალ-ვაჟი, და კოჩია თანდათან ჩაიკეტა საკუთარ თავში. თანდათან ჩამოშორდა ტოლ-ამხანაგებს, მეგობრებს, მეზობლებს. „სად მცალია, ცოლ-შვილი მყავს სარჩენიო“—ამბობდა კოჩია. „ცოლშვილი სხვებსაც ჰყავთ, მაგრამ“, — ფიქრობდა ასტამური. მოკლედ, ასტამურს აღარ მოსწონდა კოჩიას ცხოვრება, თანდათან გული უტყდებოდა კოჩიაზე. ეგოისტი გახდა კოჩია, სხვისი გულისთვის თითს არ გაანძრევდა, არავითარი საქმით არ დაინტერესდებოდა, თუ ამას მისთვის სარგებლობა არ მოჰქონდა. აღარ მოსწონდა ას-

ტამურს კოჩია. მიუხედავად ამისა, ერთხელ, როცა ავარია შეემთხვა კოჩიას ფოთის გზაზე, მაინც დაეხმარა. არაფერი არ დაუშურია კოჩიასთვის. ექვსი თვე, სანამ კოჩია საავადმყოფოში იწვა, ვინ არჩენდა მის ოჯახს? ვინ უგზავნიდა ფულს საავადმყოფოში? ასტამური! ვისი გულისთვის დაიდო ვალები ასტამურმა? კოჩიას გულისთვის! როცა კოჩია საავადმყოფოდან გამოვიდა, ასტამურს უთხრა: შენ ხარ ჩემი ძმა, შენ პატივისცემას ვერასოდეს ვერ დავივიწყებო, მაგრამ სულ მალე დაივიწყა. იმ წელიწადს ასტამურს მამა მოუკვდა და აბა თუ მოაგონდა კოჩიას ასტამურის პატივისცემა, როცა მას უჭირდა? არ მოაგონდა. ერთი კაპიკითაც კი არ დახმარებია, თუმცა მაშინ კარგად შოულობდა ფულს, ასტამური—კი ვალებში იყო. მაგრამ მაინც მოახერხა ასტამურმა მამის დამარხვა, არ შეურცხვენია თავი, და კიდევ ერთხელ დარწმუნდა, კოჩიას იმედი არაფერში არ უნდა ჰქონოდა, რადგან ის ძალზე გულცივი კაცი ყოფილა. კოჩიაზე ამდენს არც იფიქრებდა, მაგრამ ნათესავები იყვნენ და რა ექნა?...

მერე ასტამური ერთი წლით ციხეში ჩასვეს, რადგან სიმთვრალეში ავარია მოუვიდა, ძროხა მოკლა. როცა ციხიდან გამოვიდა გაპარტახებული დახვდა სახლ-კარი. ეზო გავერანებული, ვენახი გაუსხლავი, ყანა დაუმუშავებელი, ზამთრისთვის მომარაგებული შეშა განახევრებული. ვინ წაიღო? ასტამურმა იცოდა ვინც წაიღებდა. დაფნაც გაუყიდია კოჩიას. ფული? ფული დაიხარჯა ხომ უნდოდა ასტამურის სახლკარს პატრონობა? ჰმ, რა პატრონობა ეტყობოდა აქაურობას, მაგრამ ახლაც მოითმინა ასტამურმა, არაფერი არ თქვა. განა არ შეეძლო კოჩიას მიეხედა თავისი ბიძაშვილის ოჯახისთვის? ისინი ხომ ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ? კოჩია იძახდა: რაც შემეძლო გავაკეთე, სად მცალია სხვისი ოჯახის მოსავლელად, ჩემი საქმე ცოტა მაქვსო? სწორედ ამაშია უბედურება, სხვის ინტერესებს რომ არაფრად აგდებენ. სამწუხაროდ, საკუთარ სიამოვნებას ყველაფერზე მაღლა აყენებენ ამ ცხოვრებაში ზოგიერთები. არც სიყვარულს, არც მეგობრობას, არც პატივისცემას, არც სულგრძელობას, არც კეთილშობილურ სიამაყეს მათთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ეს სულიერი თვისებებია, მათთვის კი არ არსებობს სული, მათ არა სწამთ სული, სწორედ ეს სწყინდა ასტამურს. რატომ არ უნდა არსებობდეს თავგანწირვა, მსხვერპლის გაღება, უანგარო დახმარება, სიამრთლის სიყვარული, ეს ხომ კაცის ამამაღლებელი სულიერი კმაყოფილების მომგვრელია? ადამიანი კი ცხოველზე მაღლა მხოლოდ სულით დგას, თორემ ინსტინქტები ერთნაირი აქვთ.

ძალზე ნაწყენი იყო ასტამური კოჩიაზე, როცა ციხიდან გამოვიდა, გადაწყვიტა, თითონაც ისე მოპყრობოდა, როგორც მას ეპყრობოდნენ, მაგრამ ვერ მოახერხა, როცა რამეს თხოვდნენ, უარს ვერ ეუბნებოდა. უბრალოდ ვერ ახერხებდა უარის თქმას. კოჩიას ძროხა ასტამურის ეზოში ბალახობდა, კოჩიას ქათმები კვლავ ასტამურის ბოსტანს ქექავდნენ. შარშანდელი ჩალა ასტამურმა კოჩიას მისცა, თუმცა შეეძლო კარგ ფასად გაეყიდა ბაზარში, მაგრამ ამას როგორ იკადრებდა ასტამური. კიდევ უამრავი წვრილმანის ჩამოთვლა შეიძლებოდა, მაგრამ ყველაფერს ვერ იმახსოვრებდა. ასტამური მარტოხელა კაცი იყო და არაფერი არ ენანებოდა ნათესავებისათვის.

გავიდა კიდევ ორი წელი. და აი, გუშინწინ საღამოს ასტამური მთვრალი მოვიდა სახლში თან ორი ამხანაგიც მოიყვანა. ხის ქვეშ პატარა სუფრა გაშალეს და სმა დაიწყეს. კოჩიასაც დაუძახეს. რა თქმა უნდა, გახარებული მოვარდა კოჩია, მუქთა პურმარილი საერთოდ უყვარდა. თვითონ, რა თქმა უნდა, არასოდეს არ დაგპატიჟებდა ღვინოზე, მაგრამ ასტამურს არ შეეძლო მისთვის არ დაეძახა. დალიეს ღვინო და მერე დაიშალნენ. სუყველანი დათვრნენ. ასტა-

მურმა გააცილა სტუმრები და მერე პაპიროსი სთხოვა კოჩიას. ის საერთოდ არ ეწეოდა, მაგრამ ახლა მოუნდა.

— არა მაქვს, — უთხრა კოჩიამ ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად.

— მომეცი, ბიჭო, ერთი ცალი, მომაწევინე.

— არ ეწევი და რათ გინდა?

— ახლა მომეცი და ხვალ ერთ კოლოფს გიყიდი...

— მაღაზიაში სავსეა პაპიროსი, წადი და იყიდე, — და კოჩიამ უხალისოდ წაიღო ჯიბისკენ ხელი, მაგრამ ამ დროს ასტამურმა სახეში შეაფურთხა და მიაძახა:

— თფუ, შენი კაცობა შევარცხვინე!

ეს მოხდა კოჩიას დედისა და მამის, მისი ცოლისა და შვილების თვალწინ. ეს მოხდა კოჩიას ეზოში და ერთმა შეფურთხებამ თითქოს თავი მოუხსნა იმ სისასტიკეს, რომელიც ასტამურის სულში იყო დაბუდებული, და გაცოფებულმა ასტამურმა ხელი მოიქნია ჰაერში, მაგრამ არ დაარტყა კოჩიას, უკანასკნელ მომენტში შეიკავა თავი. კოჩია-კი გაოცებული, დაბნეული და გაკვირვებული უყურებდა მას ქვემოდან, რადგან ეტყობა, არაფრით არ ელოდა ამას ასტამურისგან, მაგრამ უკვე მიხვდა, რაც მოხდა და საცოდავად მოკუნტულიყო, ხოლო როცა ასტამურმა ხელი მოიქნია, შიშისაგან უკან გახტა. ეს მოხდა მისი შვილების თვალწინ, რომლებიც ხედავდნენ მამის დამცირებას. მერე ასტამური თავის ეზოში დაბრუნდა, კოჩია კი სახეს იწმენდდა და ასტამურისაკენ იყურებოდა. საბრალო, დაბეჩავებული კაცის იერი ჰქონდა. დაუვარცხნელი თმები გათხელებოდა და გაჭაღარავებოდა, სახეზე ღარები გაჩენოდა. მხრები დაპატარავებოდა და ძირს ჩამოყროდა. ყველაფერი ეს უცბად შეეტყო. უკვე დაბერებულიყო კოჩია. მხოლოდ წელი ჰქონდა ძველებურად ვიწრო...

ასე დასცილდნენ ისინი ერთმანეთს გუშინწინ საღამოს.

— კაცი არ ვიყო, თუ არ გადაგიხადო, — ეს იყო კოჩიას უკანასკნელი სიტყვები.

— წადი, შე გლახა, — ეს იყო ასტამურის უკანასკნელი სიტყვები.

და ამის შემდეგ ისინი ერთმანეთს აღარ შეხვედრიან.

მთელი გზა ამ ამბებს იგონებდა ასტამური და ახლაც, როცა ხაიშის სასადილოში იჯდა და სადილობდა, წინ კოჩიას სახე ედგა, მზეზე დამწვარი, დაღარული სახე. რა საბრალო იყო კოჩია, როცა სახეზე ხელებაფარებული, გაოგნებული, მხრებში მოხრილი იდგა თავის ეზოში და უყურებდა ასტამურს არა ზიზღით ან გაცოფებით, არამედ გაკვირვებით, წყენით...

— კაცი არ ვიყო, თუ არ გადაგიხადო!..

რა უნდა გადაეხადა იმ საწყალს?! რის შნო ჰქონდა?!

ასტამური თავს აქნევდა და ჭამას აგრძელებდა, სანამ ხელმეორედ არ ჩაფიქრდებოდა.

— კაცი არ ვიყო, თუ არ გადაგიხადო!

ჰმ, რამის თავი მაინც ქონოდა იმ საწყალს! ერთხელ სასადილოში ღვინო ჩაასხეს კისერში მთვრალმა შოფრებმა და არა სწყენია, ხმაც არ ამოუღია, პირიქით, გაეცინა, ხუმრობაში გადაიტანა ყველაფერი. თვითონვე მოყვა ეს ამბავი ოჯახში, ასტამურიც იქ იყო. სიცილით მოყვა, თითქოს რაღაც ძალზე გასართობი შეემთხვა.

— პირდაპირ კისერში არ ჩამასხა, პატენი? გავიწუწე კაცი, — იცინოდა კოჩია, — კიდევ კარგი ძველი ტანსაცმელი მეცვა.

მერე ასტამურმა გააფრთხილა ის ბიჭები, მეორედ ასეთი რამ არ ჩაედინათ.

ასტამური ჭამდა, თან დრო და დრო კოჩიაზე ფიქრობდა.. დილიდან მშიერი იყო, მაგრამ საჭმელი არ გადასდიოდა ყელში. ორი ჭიქა ღვინოც დალია, მაგრამ მადა მაინც არ გაეხსნა. მერე ჯიბიდან პაპიროსის კოლოფი ამოიღო და გააბოლა. საერთოდ არ ეწეოდა პაპი-

როსს, მაგრამ რატომღაც დღეს ძალზე მოუნდა და იყიდა. ესეც თავის მოტყუება იყო, რა თქმა უნდა, პაპიროსი არაფერს არ შველოდა. ის იჯდა სასადილოში და სივრცეში იყურებოდა. ფანჯრიდან გზა მოჩანდა. გზაზე ცხენს მოაჭენებდნენ ვიღაც მთვრალები. ორი კაცი იჯდა ერთ ცხენზე. საოცარი იყო, როგორ იმაგრებდნენ თავს. როცა ცხენიდან ჩამოვიდნენ, უფრო სწორად ჩამოცვივდნენ სასადილოს წინ, ფეხზე დგომის თავი არცერთს არა ჰქონდა. სასადილოში შემოვიდნენ ღრიალით და ღვინო მოითხოვეს. ასტამურმა ფული გადაიხადა და გარეთ გამოვიდა. გალეშილი ხალხის ყურება არ სიამოვნებდა.

ასტამური ხიდზე გადავიდა და ცოტა გაიარ-გამოიარა. ხეობა ჩრდილმა დაფარა და აგრილდა. წყლის გამაყრუებელი, შეუწყვეტელი შხუილი ისმოდა. მთების წვერებს ჯერ კიდევ მზე ანათებდა. მაღლა და მაღლა ტყე მეჩხერდებოდა. მოჩანდა საერთო მასას გამოყოფილი, ცალკეული ხეები, უფრო ზემოთ-კი მწვანე მდელოები იყო.

გუშინ ამ დროს ალბათ ასე იდგა აქ კოჩიაც და ასე შესცქეროდა ამ მთებს. თუმცა, შეიძლება არც აუხედია ზემოთ... სწყინდა თუ არა ასტამურს კოჩიას სიკვდილი? რა თქმა უნდა სწყინდა, მაგრამ მაინცა და მაინც გული არ სტკიოდა. ძალიან გულგატეხილი იყო ასტამური კოჩიაზე. საწყალი! როგორი ბოლო ჰქონია?! ხომ შეიძლება ასეთი რამ ასტამურსაც შეემთხვეს? რატომაც არ შეიძლება! ასტამურიც ხომ შოფერია და თითქმის ყოველდღე დააქროლებს მანქანას ამ გზებზე. ეჰ, ბოლოს და ბოლოს რა არის ადამიანი? ყველას ერთნაირი ბედი აქვს. ყველა იბადება და კვდება. საწყალი კოჩია! კოჩიას შეიძლება ბევრი რამ აკლდა, მაგრამ მაინც ხომ ისეთივე ადამიანი იყო, როგორც ყველა, როგორც ასტამური? საწყალი კოჩია! ხომ ძალიან შტერი იყო, მაგრამ მაინც ცოდვაა. ყოფილიყო თავისთვის, ეცოცხლა, მოსწრებოდა შვილებს...

რატომ არის, რომ ყველა ადამიანს თავისი შეხედულება ცხოვრებაზე მიაჩნია ერთადერთ ყველაზე სწორ და ყოვლისმომცველ შეხედულებად? ყველას თავისი თავი მოსწონს და უნდა, რომ დანარჩენებიც ისეთივენი იყვნენ, როგორიც თვითონ არის. რატომ ვერ ვიტანთ ჩვენ წინააღმდეგობას და განსხვავებას აზრებში? პრინციპში ყველა აზრი სინამდვილეს ასახავს, მისი ნაწილია. მრავალფეროვან სინამდვილეს შეიძლება, მილიონი სხვადასხვა კუთხით უცქირო და თავისი ინდივიდუალური პოზიციიდან ყველა ეს თვალსაზრისი სწორი იქნება. ამიტომ ყველანი უნდა შევუთანხმდეთ ერთმანეთს, დავეხმაროთ ერთმანეთს და ვებრძოლოთ მხოლოდ იმას, რასაც საყოველთაო ბოროტება და სიკვდილი მოაქვს.

ასტამურს არ მოსწონდა კოჩია, მაგრამ კაცმა რომ თქვას ვინ ეკითხებოდა ასტამურს?! ან რას უშავებდა მას კოჩია? კოჩია თავისთვის იყო? დაე, ყოფილიყო! ასტამურის მამას ძველი ყაიდის კაცს, თავისი დროისათვის საკმაოდ ნაკითხსა და განათლებულს, ძალზე უყვარდა ერთი ძველი გამოთქმა: „ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხნეთ, რამეთუ რომლითა განკითხვითა განიკითხვიდეთ, განიკითხნეთ, და რომლითა საწყაულითა მიუწყათ, მოგეწყოს თქვენ“. ახლა ასტამური მიხვდა რა იგულისხმებოდა ამ სიტყვებში. ვინ მისცა უფლება ასტამურს კოჩიას განკითხვისა? იქნებ იმ კაცს სხვანაირად არ ეხერხებოდა ცხოვრება, რა მისი ბრალი იყო ასეთი სუსტი, რბილი, უნებისყოფო რომ დაიბადა, რა მისი ბრალი იყო, რომ ბევრი რამ არ ესმოდა, რომ მალე ავიწყდებოდა სიკეთეც და სიავეც? ის არ იყო გულგამყოლი კაცი. იქნებ მასაც უნდოდა სხვანაირი ყოფილიყო, მაგრამ ცხოვრება არ აძლევდა ამის შესაძლებლობას?! დაე, ეცხოვრა თავისთვის. რას ედავებოდა ასტამური, რას მოითხოვდა მისგან? ყოფილიყო ისეთი, როგორიც იყო და შერიგებოდა ამას. არა, ასტამურს უნდოდა კოჩიაც ზუსტად ისეთივე გამხდარიყო, როგორიც თი-

თონ იყო, მაინცდამაინც ისე მოქცეულიყო, როგორც ასტამური იქცეოდა, კეთილშობილურად, სულგრძელად, — ასტამურის აზრით, მაგრამ კოჩიას არ შეეძლო ეს, ასტამური კისწორედ ამასმოითხოვდა მისგან. დაე ეცხოვრა საწყალ კოჩიას თავისთვის. გუშინ ამ დროს ის ცოცხალი იყო...

ასტამური მანქანაში ჩაჯდა და ცოტა ხნით ფიქრები დაეფანტა. მან უკანასკნელად გადაავლო თვალი სივრცეს და გზის პირას გაჩერებული მანქანა დასძრა. პირველად ასტამური არაფერზე არ ფიქრობდა. ის გზას უყურებდა. ნელა მიუყვებოდა მანქანა იმ გზას. რომელიც გუშინ ზუსტად ამ დროს გაიარა კოჩიამ. მერე როცა მანქანა გასცდა ხაიშს, მარტო დარჩენილ ასტამურს ისევ მოაგონდა კოჩია. ახლა მხოლოდ მის კარგ მხარეებზე ფიქრობდა. ბევრი კარგი თვისება ჰქონდა კოჩიას. მაგალითად, ის სულ არ იყო შურიანი, არასოდეს არ სწყინდა სხვისი ბედნიერება. როგორ გაუხარდა, როცა ასტამური გამოუშვეს ციხიდან, გულწრფელად გაუხარდა, თუმცა სუფრა არ გაუშლია სხვებსავით, ასტამურის ამხანაგებივით. რა ჭკუა აქვს სუფრას? განა კოჩიას იმათზე ნაკლებ გაუხარდა ასტამურის დაბრუნება? როგორ შეიძლება ითქვას, თითქოს კოჩია არ იყო მოსიყვარულე კაცი. როგორ ტიროდა როცა ასტამურს მამა მოუკვდა .ის ხომ ბიძა იყო კოჩიასი! ასტამური გრძნობდა, რომ კოჩიას დარდი გულწრფელი იყო, ალბათ, ამიტომაც ჩანდა ასე საწყალი, კედელთან ატუზული, მოხრილი, დაჩიავებული. ვინ იცის, ის ოჩამჩირელი აფხაზი ქალი რომ შეერთო კოჩიას, უფრო ბედნიერი ყოფილიყო ცხოვრებაში. იქნებ სულაც ამის გამო დაჰკარგა საკუთარი თავის რწმენა და სიამაყე. იქნებ ყველაფერი სულერთი გახდა მისთვის, იქნებ ვეღარ ხედავდა ცხოვრებაში სილამაზეს, რადგან სიყვარული და სიხარული არ უთბობდა გულს. შეიძლება ეს თვითონაც არ იცოდა, მაგრამ მაინც ასე იყო. შეიძლება იცოდა და ფარულად იტანჯებოდა. ეს ცხოვრებაში ვის არ მოსდის შეცდომა და მერე ეს შეცდომა ძირფესვიანად ცვლის კაცის მომავალ ცხოვრებას. რატომ ერთხელ მაინც არ დაფიქრდა ასტამური ამაზე? ვინ იცის, ერთი ორი თბილი სიტყვა რომ ეთქვა, როგორ გაახარებდა კოჩიას, რადგან კარგ სიტყვასავით არაფერი არ უხარებს ადამიანს გულს. ნეტა სად არის ახლა ის აფხაზის ქალი, როგორ აეწყო მისი ცხოვრება? ნეტა თუ გაიგებს კოჩიას სიკვდილს და თუ ეწყინება? საწყალი კოჩია. გუშინ ზუსტად ამ დროს, აი, ასევე ეჯდა საჭეს და მოაყავდა მანქანა ამ ადგილებში. რამდენი კილომეტრი დარჩა აქედან ეშმაკის მოსახვევამდე? ალბად სამი. როცა გუშინ კოჩია ამ ადგილას იყო, ხომ არ იცოდა, რომ სამი კილომეტრის შემდეგ ენგურში გადაიჩეხებოდა. ნახევარი საათის სიცოცხლე დარჩენოდა გუშინ, ზუსტად ამ დროს კოჩიას. ის ზუსტად იმავე ბუნებას ხედავდა გუშინ მანქანის კაბინიდან, რასაც ახლა ასტამური უმზერს. ასევე ცარიელი მორახრახებდა მისი მანქანა დალმართში და სულ არ ფიქრობდა სიკვდილზე, რომელსაც თანდათან უახლოვდებოდა...

ასტამურმა ქვემოთ გადაიხედა. გზიდან მარჯვნივ ხეობაში ნისლი ჩამოწოლილიყო და მდინარე დაეფარა. უკვე ბნელოდა და ასტამურმა სინათლე ჩართო. მოსახვევში, გზის პირას მდგარი ბუჩქები გაანათა მანქანის შუქმა. ცარიელი მანქანა თანდათან უახლოვდებოდა ეშმაკის მოსახვევს. თანდათან უახლოვდებოდა მანაქანა ეშმაკის მოსახვევს. ასტამურს რატომღაც ზარავდა ეს ადგილები. გუშინ ხომ ზუსტად ამ დროს აქ იყო კოჩიაც.

— ვავა, კოჩია, ვავა, შე უბედურო,— ამოიგმინა ასტამურმა და იგრძნო, რომ ცხვირი აეწვა, აექავა, ცრემლებიც მოადგა თვალებზე, მაგრამ მერე გადუარა.

გუშინ, ამ დროს, შეიძლება, ცოტა უფრო ადრე, ან ცოტა უფრო გვიან,

ასევე უახლოვდებოდა კოჩია ეშმაკის მოსახვევს. ეჰ, არ ექცეოდა ასტამური წესიერად საწყალ კოჩიას.

— კაცი არ ვიყო, თუ არ გადაგიხადო!

აწი რაღას გადუხდის? ასტამურმა გაზს ფეხი დააჭირა და სიჩქარეს მოუმატა. სწრაფად უნდოდა გაევლო ეს ადგილი.

სულ უფრო და უფრო მოუმატა მანქანამ სიჩქარეს და აჰა, ეშმაკის მოსახვევიც გამოჩნდა. ასტამურს არ სიამოვნებდა ამ ადგილებში მარტო ყოფნა. კიდევ მოუმატა სიჩქარეს. სწრაფად უნდოდა გამოშორებოდა აქაურობას. აქ ყოველთვის ციოდა, ახლა კი განსაკუთრებით. გუშინ, ზუსტად ამ დროს საწყალ კოჩიას რაღაც წუთების სიცოცხლე-ღა დარჩენოდა. ხომ შეიძლება ახლა ასტამურიც გადაიჩეხოს? რატომაც არ შეიძლება, მაგრამ მან იცის, რომ ეს არ მოხდება...

„საწყალი კოჩია", — ფიქრობს ასტამური და მანქანა თითქოს წერას აუტანიაო, მთელი სისწრაფით შემოდის ვიწრო მოსახვევში, ცურდება და წინა თვლები უკვე ჰაერშია. წინა თვლები უკვე ჰაერშია და ჯერ კიდევ გაკვირვებული ასტამური, რომელსაც არ ჯერა, რაც ხდება, კაბინაში ფეხებს ჭიმავს და გამწარებით, განწირულებით აწვება სკამის საზურგეს, მაგრამ ხედავს როგორ ელვის სისწრაფით მოექანება წინიდან მდინარე და უკანასკნელი ძალიერი ბრაგვანით გაისმის შეგნებაში დაუჯერებელი კითხვა, რომელიც უკვე ფაქტად ქცეული: ნუთუ, ნუთუ... დაბალუსის მიღებამდე მეტს ვეღარ ასწრებს გონება, მოულოდნელად თავდება ყვალაფერი..

* * *

გაღმა ნაპირზე-კი, მთის კალთაზე, ცეცხლთან სხედან მეჯოგეები და ვახშამს იმზადებენ. ერთი ახალგაზრდა ბიჭია, მეორე შუახნის კაცი.

— ბაძუ პატონი, — წამოიძახა უცებ ბიჭმა და წამოხტა, — მანქანა გადაიჩეხა ეშმაკის მოსახვევში...

— ვიცი, პატონი, — გაკვირვებით ახედა ბიჭს უფროსმა მეჯოგემ.

— გუშინ კი არა პატონი, ახლა გადაიჩეხა, ამ წუთში.. ჩემი თვალით დავინახე მანქანის სინათლე ეშმაკის მოსახვევთან გაქრა.

— მოგეჩვენებოდა...

— ჩემი თავალით დავინახე, პატონი.. ეშმაკის მოსახვევთან რომ მოვიდა სინათლე — გაქრა...

— არ შეიძლება, პატონი...— გაბრაზებით თქვა მეჯოგემ.

— რატომ ვითომ?

— იმიტომ, რომ გუშინ ამ დროსაც გადავარდა მანქანა მაგ ადგილზე... როგორ შეიძლება, პატონი, ერთსა და იმავე დროს, ეროსა და იმავე ადგილას, ორი მანქანა გადავარდეს ზედიზედ?

— ვითომ რატომ?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლ. თევზაძე

თანამედროვეობის პრობლემა ოციანი წლების ქართულ ლიტერატურაში

ქართულ მწერლობაში, ისე როგორც მთელ საბჭოთა ლიტერატურაში, თავისი განვითარების პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მაშინდელმა ლიტერატურულმა ჯგუფებმა, რომელთა თანაარსებობა საბჭოთა ლიტერატურის განვითარების პირველ სტადიაზე (1932 წლის აპრილამდე), დასაშვებად მიიჩნია პროლეტარულმა სახელმწიფომ. ეს საგანგებო და სპეციფიკური მოვლენა იმ პერიოდის საბჭოთა მწერლობისათვის, ერთი მხრივ, ახსნილ უნდა იქნეს ჩვენი ქვეყნის შინაპოლიტიკური მდგომარეობით, მეორე მხრივ, იგი გამოწვეული იყო საბჭოთა ხელოვნების განვითარების ინტერესებით, ახალი მხატვრული ფორმის გამომუშავების აუცილებლობით. სხვადასხვა ლიტერატურულ მიმართულებათა იდეოლოგიურ და შემოქმედებითი შეჯიბრებასა და წინააღმდეგობათა გარეშე შეუძლებელი იყო ოციან წლებში (ეპოქაში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ გადაწყვეტილი საკითხი „ვინ ვის“?) სხვადასხვა იდეოლოგიურ და ესთეტიკურ პოზიციებზე მდგარი მწერლობის კონსოლიდაცია და მათი შემოქმედებითი ჩაყენება თანამედროვეობის სამსახურში.

ჩვენს სამეცნიერო და კრიტიკულ ლიტერატურაში ოციანი წლების ლიტერატურული პროცესი არ არის საფუძვლიანად შესწავლილი და გაანალიზებული.

ჯერ რაპპული კრიტიკისა და შემდეგ თანამედროვე ლიტერატურის მკვლევართა მიერ ცისფერყანწელთა, აკადემიური (მასში გაერთიანებული იყვნენ ყოფილი „დემოკრატიული“ მწერლებიც) და არიფიონელთა ჯგუფების მხატვრულ-ესთეტიკური მრწამსი გაშუქებულია ცალმხრივად, უგულვებელყოფილია მათი დამსახურება. მეტიც, დასახელებული ლიტერატურული ჯგუფების პოზიციები, ე. ი. ამ ჯგუფებში გაერთიანებული მწერლების შემოქმედებაც, ამ ეტაპზე წარმოდგენილია როგორც „ანტირეალისტური“.

გაზვიადებულია ლიტერატურული ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულება და მათი მცდარი მხატვრულ-ესთეტიკური შეხედულებანი; დავიწყებულია, რომ ოციან წლებში პარტიის პოლიტიკა ითვალისწინებდა სხვადასხვა მხატვრულ მიმართულებათა თანაარსებობას, სხვადასხვა დაჯგუფებათა და მიმდინარეობათა თავისუფალ შეჯიბრებას და დაუშვებლად მიიჩნევდა რომელიმე

იბეჭდება განხილვის წესით.

ჯგუფის ან ლიტერატურული ორგანიზაციის მონოპოლიას.[1]

თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობამ ოცდაათი წლების მწერლობაში ლიტერატურული ჯგუფების თანაარსებობა უნდა განიხილოს, როგორც კანონზომიერი მოვლენა. ხოლო ცალკეული ჯგუფის მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპების ანალიზს მიუდგეს არა მეტაფიზიკურად, რომლის დროს ერთი მოვლენა იზოლირებულია, განცალკევებულია მეორისაგან, არამედ როგორც ერთიან ლიტერატურულ პროცესს, დიალექტიკურად, როდესაც ლიტერატურული მოვლენები და მიმართულებები განაპირობებდა ერთმანეთს, გავლენას ახდენდა ურთიერთზე და წინააღმდეგობათა ატმოსფეროში წარმოიშვებოდა ახალი.

მათ შეხედულებებში იყო მცდარი დებულებები და წმინდა ფორმალისტური ძიებები, მაგრამ ეს უკანასკნელი უპირისპირდებოდა მეორე უკიდურესობას, ნატურალიზმს, პრიმიტივიზმს ხელოვნებაში.

ამასთან ისტორიული ჭეშმარიტება მოითხოვს აღინიშნოს, რომ ლიტერატურულ დაჯგუფებებში გაერთიანებული მწერლები ავითარებდნენ მართებულ შეხედულებებსაც და თანამედროვეობის თემებზე ქმნიდნენ რეალისტურ ნაწარმოებებს, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ახალგაზრდა საბჭოთა მწერლობის განვითარებაში. ამიტომ ლიტერატურული ჯგუფების შეფასებისას ჩვენთვის მთავარი უნდა იყოს არა მათი მცდარი მხატვრულ-ესთეტიკური შეხედულებები, არამედ ის როლი, რომელიც ობიექტურად შეასრულეს მათ ქართული საბჭოთა მწერლობის ფორმირების სტადიაზე.

* * *

თანამედროვეობასთან დამოკიდებულების საკითხი განსაკუთრებულად დგას „ცისფერყანწელებისა“ და „მემარცხენეობის“ ლიტერატურულ ჯგუფებში გაერთიანებულ მწერლებთან.

ცისფერყანწელთა ლიტერატურული ჯგუფი, რომელიც იზიარებდა ფრანგული და რუსული სიმბოლიზმის ესთეტიკურ პრინციპებს, მიზნად ისახავდა ქართული მწერლობის ფორმისეულ სიახლეს.

მე-20 საუკუნეში ქართული ლექსიკა რეფორმა ჯერ კიდევ ათიანი წლების მიწურულიდან დაიწყო და, უპირველეს ყოვლისა, დაუკავშირდა გალაკტიონ ტაბიძის სახელს (ასევე ს. შანშიაშვილის, ი. გრიშაშვილის, ა. აბაშელის შემოქმედებას). ცისფერყანწელები (როგორც გარკვეული პოეტური სკოლა) ორგანიზებულად იბრძოდნენ ქართული ლექსის ფორმის განახლებისათვის. ცისფერყანწელების ორგანო „ბახტრიონი“ (1922) ამ ჯგუფის რეალიზმისაკენ მობრუნების ყველაზე უფრო მკაფიო გამოხატულებაა. მასში დაბეჭდილი ცალკეული თეორიულ-კრიტიკული ხასიათის წერილები, რომლებშიც ჯერ კიდევ იჩენს თავს ფორმალისტური რეციდივები, ვერ ცვლის ამ გაზეთის საერთო რეალისტურ შინაარსს. გაზეთი „ბახტრიონი“ (რომლის რედაქტორი იყო ცისფერყანწელი გიორგი ლეონიძე, პოეტი, რომელიც მუდამ შორს იდგა ფორმალისტურ-დეკადენტური ცთუნებებისაგან) ცისფერყანწელებისათვის წარმოადგენდა ხიდს რეალიზმის ფართო გზაზე გასასვლელად. მართლაც პ. იაშვილმა, რომლისთვისაც საზოგადოდ დამახასიათებელი იყო სამყაროს რეალისტური ხილვა, 1921-1923 წლებში დაწერა თანამედროვეობის პათოსით ამაღლებული ლექსები: მათ შორის განსაკუთრებით

[1] რკპ (ბ) ცკ-ის 1925 წლის რეზოლუციაში „პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში“ ვკითხულობთ: „პარტიას, რომელიც მატერიალურად და მორალურად უჭერს მხარს პროლეტარულ და პროლეტარულ-გლეხურ ლიტერატურას, ეხმარება თანამგზავრებს და სხვა, არ შეუძლია მონოპოლია მიანიჭოს რომელიმე ჯგუფის, თავისი იდეური შინაარსით თუნდაც ყველაზე პროლეტარულისაც კი. ეს მოასწავებდა უწინარეს ყოვლისა პროლეტარული ლიტერატურის დაღუპვას.

ბევრისმთქმელია ლექსი „ახალ საქართველოს“ (1921)

ამავე პერიოდში რეალიზმისაკენ მობრუნება აშკარად შეინიშნება ტ. ტაბიძის, ვ. გაფრინდაშვილის, ს. კლდიაშვილის, კ. ნადირაძის, ნ. მიწიშვილის, რ. გვეტაძის და სხვა ყანწელთა შემოქმედებაში.

„ცისფერყანწელთა“ მობრუნების პროცესი, რა თქმა უნდა, რთული იყო. განსაკუთრებით ხანგრძლივად და მტკივნეულად განიცადეს იგი ტ. ტაბიძემ, ვ. გაფრინდაშვილმა, შ. აფხაიძემ, რომლებიც თუმცა იმთავითვე კრიტიკულად აფასებდნენ თავიანთ ადრინდელ შემოქმედებას (უწოდებდნენ „გაუგებარს“, „უმიზნოს“), მაგრამ წლების განმავლობაში განიცდიდნენ რთულ შინაგან შემოქმედებით წინააღმდეგობას, ბრძოლას, რაც მხოლოდ ოციანი წლების მეორე ნახევარში დასრულდა რეალიზმის გამარჯვებით. ცისფერყანწელთა ამ ფორმალისტური სკოლის, მობრუნებამ რეალიზმისაკენ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ოციანი წლების ქართულ პოეზიაში. მათი შემობრუნება ნიშნავდა ქართული მწერლობის ამ ლიტერატურული ჯგუფის მოსვლას თანამედროვეობასთან, ახალ სინამდვილესთან, ცხოვრებასთან, ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს არამხოლოდ თავისთავად მეტად საინტერესო ლიტერატურული ფაქტი, არამედ ის, რომ ცისფერყანწელებში აღიძრა სინამდვილისაკენ მობრუნების ინტერესი და მათ შექმნეს თანამედროვეობის სულისკვეთებით გამსჭვალული ლექსები, აგრეთვე ისიც, რომ ეს პროცესი ზოგჯერ კეთილმყოფელ გავლენას ახდენდა მთელი ქართული მწერლობის ფორმირებაზე და მისი განვითარების გზაზე.

აქვე არ შეიძლება გვერდი ავუაროთ „ცისფერყანწელთა“ საბჭოთა პერიოდის თეორიულ წერილებს. წინააღმდეგ დეკადენტური ლიტერატურული სკოლებისა, რომლებიც არსებითად თავისთავში იკეტებიან და ვერ სცილდებიან ვიწრო, კამერულ ზღუდეებს, პაოლო იაშვილმა თავის პროგრამულ წერილში „მაგარი შემოქმედება“ წამოაყენა ფართო დიაპაზონისა და თანამედროვე ეპოქის შესატყვისი ხელოვნების შექმნის პრობლემა.

„—ჩვენს მწერლობას თითქოს ჭია შეეპარა, დასნეულდა და გაყვითლდა,— წერს პ. იაშვილი — საჭიროა თერგის ღრიალი და არა წყაროს რაკრაკი, საჭიროა გრიგალი და არა სიოს სიამოვნება, საჭიროა სიცოცხლე და არა საფლავზე ტირილი. აქ სადაც დევების ნაკვალევი ჯერ კიდევ ღრმად სჩანს, ჩვენ უკვე გადავეჩვიეთ კაცურად სიარულს.

ყოველთვის მწერლობა იყო დამახასიათებელი ერის სიძლიერის. ვერავინ იტყვის, რომ ჩვენ იმედიანები არ ვიყოთ, საჭიროა მხოლოდ შეგნება, რომ „წვრილი ხმა“ არავის აღარ ესმის, ეხლა საუკუნეა დიდი მუშაობის, დიდი ენერგიის და დიდი ენთუზიაზმის“. („ბახტრიონი“ № 19).

ცისფერყანწელთა სწორი დებულებები თანამედროვე პოეზიის ბუნებისა და განვითარების შესახებ გვხვდება ოციანი წლების სხვადასხვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ წერილებში. კერძოდ, ყანწელებისათვის რუსთაველი უდიდესი პოეტია, რომელმაც გაიმარჯვა სამუდამოდ წარსულში, აწმყოსა და მომავალში. მისი პოემა ღრმა შინაარსისა, იდეალური ფორმისა და ეროვნული ხასიათისაა; დავით გურამიშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი ჩვენი მწერლობის დიდი წარმომადგენლები არიანო, ვაჟა უდიდესი ეროვნული შემოქმედია, რომელიც მაღლა დგას თავის დროისა და გეოგრაფიულ გარემოზე.

ცისფერყანწელთა ორგანო— „ბახტრიონის“ მე-10 ნომერი მთლიანად მიეძღვნა ილია ჭავჭავაძეს. ტ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, ა. არსენიშვილი, ს. კლდიაშვილი და სხვები ილიას აღიარებენ ქართული პროზის განმაახლებლად, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა ახალი ქართული ლიტერატურის განვითარებაზეო, საყურადღებოა აღინი-

შნოს, რომ ცისფერყანწელები დადებით შეფასებას აძლევდნენ დ. ჭონქაძის, ა. ერისთავ-ხოშტარიასა და სხვა რეალისტი მწერლების შემოქმედებას. ცისფერყანწელები აკაკი წერეთლისადმი მწვავე კრიტიკული დამოკიდებულების მიუხედავად, აღიარებდნენ მის მაღალ პოეტურ ნიჭსა და საუკეთესო ლექსებს. რა თქმა უნდა, ცისფერყანწელების საბჭოთა პერიოდის თეორიულ წერილებსა და შემოქმედებაშიც აშკარად ჩანს ევროპულ-რუსული სიმბოლიზმის პრინციპები და რეალისტური ლიტერატურისათვის მიუღებელი, წმინდა ფორმალისტური ძიებები, მაგრამ ეს მოვლენა, როგორც უკვე მივუთითეთ, ახალგაზრდა საბჭოთა მწერლობის ფორმირების სტადიაზე ობიექტურად ასრულებდა დადებით როლს, იგი უპირისპირდებოდა და ქვეცნობიერად გავლენას ახდენდა პოეტური მეტყველების იმ გამაუბრალოებლებზე, რომლებიც პოეზიად მხოლოდ და მხოლოდ შინაარსს აღიარებდნენ. ეს მოვლენა ჰქონდა მხედველობაში დიდ საბჭოთა ხელოვნებისმცოდნეს ანატოლი ლუნაჩარსკის, როდესაც ამბობდა: ფორმალიზმთან ბრძოლა სასარგებლოა. აქ მხოლოდ პროლეტარული ხელოვნება მოიგებსო, და საჭიროდ მიიჩნევდა ფორმალისტური სკოლების მიღწევებით ესარგებლა პროლეტარულ მწერლობას.

„ცისფერყანწელთა“ როლი თანამედროვე ქართულ პოეზიაში გაცილებით ფართოა, მეტია, ვიდრე ამას ჩვეულებრივ აღიარებენ. მათი რეფორმა შეეხება ჟანრობრივ-სახეობრივ მხარესაც; ყანწელებმა შექმნეს ნამდვილი სონეტები, ტერცინები, ტრიოლეტები; ახალი გასაქანი მისცეს რითმას, ახლებურად გამოიყენეს ალიტერაციები და ასონანსები, გააფართოვეს პოეტური თქმისა და სახეების არე. ქართულმა ლექსმა შეიძინა ახლებური ელერადობა.

ამგვარად, ცისფერყანწელებმა საბჭოთა პერიოდში დაიწყეს მობრუნება ახალი სინამდვილისაკენ და მათს თეორიულ წერილებსა და შემოქმედებაში, ერთი მხრივ თუ კვლავ საგრძნობია ფორმალიზმით გატაცება, მეორე მხრივ აშკარად შეინიშნება რეალიზმის ნაკადი, რომელიც თანდათან ძლიერდება და იმარჯვებს საბოლოოდ, როგორც სინამდვილის ასახვის სწორი მეთოდი. ამასთან ქართულ პოეზიაში ცისფერყანწელთა როლი განისაზღვრება თანამედროვე ლექსის სახეობრივ ფორმალურ-ტექნიკურ საშუალებათა გამდიდრებით. შემთხვევითი არ არის ის, რომ შემდეგში ყოფილი ცისფერყანწელები (გ. ლეონიძე, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, კ. ნადირაძე) გახდნენ ქართული მწერლობის მოწინავე წარმომადგენლები.

თანამედროვეობის პრობლემა ყალბად გაიგეს მემარცხენეებმაც (ს. ჩიქოვანი, ა. ბელიაშვილი, ბ. ჟღენტი, შ. ალხაზიშვილი, ნ. ჩაჩავა, დ. შენგელაია და სხვა). მათ ულმობელი ბრძოლა გამოუცხადეს ყველა იმდროინდელ ლიტერატურულ მიმდინარეობას და თავიანთი მიმართულება წარმოიდგინეს რევოლუციის ერთადერთ მემკვიდრედ. ქართველმა მემარცხენეებმა მიზნად დაისახეს ფორმალისტური პოზიციებიდან გამოემუშავებინათ რევოლუციური ეპოქის შესაფერისი ხელოვნება, სტილი.

ბ. ჟღენტი წერილში „ფორმალიზმი და ხელოვნების კვლევის მეთოდოლოგიური პრობლემები“ წერს: „ფორმალიზმი, პირველ ყოვლისა, არის პოეტიკა მემარცხენე ლიტერატურისა. ეს არის თეორეტიკული განმტკიცება ახალ პოეზიაში დაყენებული ქმედითი მიღწევების... ამით აიხსნება, რომ ფორმალიზმის თეორეტიული სკოლა ფაქტიურად უკავშირდება მემარცხენე პოეტების სკოლას... „ზაუმი“ ხერხია პოეტურ სიტყვათა ქმნისა და ახალი სახელდებისა. სიტყვა ძველდება, სამყარო მუდამ ახალია. — აი, არგუმენტი, რომლითაც პოეტს ეძლევა თავისუფლება ახალ სამყაროში ახალ მოვლენებს თავისებური სიტყვიერი კომბინაციით მიუდგეს.

ზაუმი ეს არის ბგერათა ისეთი კომბინაცია, რომელსაც მანამდე არ გააჩნდა სოციალური მნიშვნელობა, მაგრამ

ხდება რა იგი პოეტური კონსტრუქციის მასალად, იღებს განსაზღვრულ სემანტიურ მნიშვნელობას და შემდეგ შეიძლება სოციალური შინაარსითაც განისაზღვროს"[1].

ფუტურიზმი ფართო ლიტერატურულ მოძრაობად გადაიქცა მთელ ევროპაში. ცნობილია, თუ რა მჭიდროდ იყო მასთან დაკავშირებული ჩვენი ეპოქის გამოჩენილი მომღერალი ვლადიმერ მაიაკოვსკი და XX საუკუნის სხვა მრავალი ხელოვანი.

ს. ჩიქოვანი წერილში „ახალი ხელოვნების ფაქტები" — იძლევა ფუტურიზმის, როგორც ლიტერატურული მოვლენის, ახსნას და მოითხოვს ქართული მეტყველების განვითარებას „ფორმალურ აღმშენებლობით ინდუსტრიამდე. როგორც სინტაქსური ისე სიტყვებისა და მასალის მთელი ორგანიზაციაა კავშირს თანადროულობის ასახვასთან... ქართული ლექსის აკუსტური ღირებულების სრულიად გარდაქმნას". შემდეგ იგი განიხილავს რა ჟურნ. H_2SO_4-ში გამოქვეყნებულ წერილებს, დაასკვნის: ქართულ პოეზიაში „ოქტომბერი" დადგა, ხელოვნების ციტადელი ჩვენს ფრონტს დარჩაო.

თანამედროვეობასთან დამოკიდებულების საკითხი მთელი სირთულით დგას „აკადემიური გაერთიანების" მწერლებთან. ქართული საბჭოთა მწერლობის ამ ერთ-ერთმა მრავალრიცხოვანმა და ნიჭიერმა რაზმმა (კ. გამსახურდია, მ. ჯავახიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ი. გრიშაშვილი, ვ. კოტეტიშვილი, პ. ინგოროყვა, ა. აბაშელი და სხვა) ვერ გაიგო სოციალისტური რევოლუციის რთული ბუნება და აშკარად სკეპტიკური დამოკიდებულება გამოამჟღავნა რევოლუციისადმი, ახალი სოციალურ-პოლიტიკური წყობილებისადმი. აკადემიური ასოციაციის მწერლებისათვის არა მხოლოდ მისაღები, არამედ მისასალმებელიც კი იყო რევოლუციის სოციალური მხარე (მეტიც, — ამისათვის იბრძოდნენ ისინი), მაგრამ დამაფიქრებელი გახდა ეროვნული პრობლემა.

ჩვენი აზრით, ეს გამოწვეული იყო სამი გარემოებით: პირველი — მეფის რუსეთი, წარმოადგენდა ხალხთა საპყრობილეს და მთელი საუკუნის განმავლობაში ფეხქვეშ თელავდა არა რუს ეროვნებათა, კერძოდ, ქართველი ხალხის ინტერესებს, კულტურას, ენას, ერთგვარ შიშს ბადებდა ქართველი ინტელიგენციის გარკვეულ წრეებში; მეორე — მენშევიკური მმართველობა სამი წლის განმავლობაში შუღლსა და უნდობლობას აღვივებდა ოქტომბრის რევოლუციისადმი; მესამე — რევოლუციის პირველ წლებში ზოგიერთი დამახინჯებას და გაუგებრობას კულტურისა და ლიტერატურის ფრონტზე გაზვიადებულად ანზოგადებდნენ ამ ჯგუფის წარმომადგენლები.

არსებითად ასეთი შეხედულებაა გატარებული ჟურნალ „ახალი კავკასიონის" მოწინავე წერილში:

„ქართული მწერლობის უკეთილშობილეს ტრადიციას წარმოადგენს რევოლუციური შემართება, ქართველი მწერლები მუდამ გამოხატავდნენ მშრომელი ხალხის ინტერესებს და ბუნებრივია, ისინი სოციალისტურ რევოლუციას უნდა მისადაგებოდნენ.

მაგრამ არსებობდა ერთი ძნელად გადასალახავი დაბრკოლება, რომელიც ქართული მწერლობის ფართე წრეებს ხელს უშლიდა იმ თავითვე დამდგარიყო საბჭოთა ხელისუფლებასთან აქტიური თანამშრომლობის ნიადაგზე.

ამ დაბრკოლებას იწვევდა ეროვნული კითხვა. ქართველი შემოქმედი ინტელიგენციის წრეები ერთგვარ გაორებას განიცდიდნენ ახლად შექმნილ პირობებში: თუ ერთის მხრივ ის სოციალისტური იდეები, რომლის მატარებლად გამოდიოდა ახალი ხელისუფლება, არ იყო უცხო ქართული მწერლობისათვის, მეორეს მხრივ უნებლიედ იბადებოდა შიში, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ აღიარებულ ეროვ-

[1] ჟურნ. „მნათობი", 4, 1926, გვ. 162, 176.

ნულ-კულტურულ დამოკიდებულების პრინციპები, მისდა უნებურად, ვერ მიიღებდნენ სრულ განხორციელებას; რომ ეროვნული პოლიტიკის ხაზი თანდათან გაიზრდებოდა საქართველოს საზიანოდ, რომ რუსული ენა სტიქიურად დაჩაგრავდა ქართულს, რომ რუსული წიგნი თანდათან დაჩრდილავდა ქართულ წიგნს. ჩვენ აქ ვგულისხმობთ არა თვით ხელისუფლების ნებას, არამედ იმ სტიქიურ პროცესს, რომელსაც უნებლიედ ხელს შეუწყობდა , ობიექტური პირობები.

ეს მერყეობა და უნდობლობის გრძნობა ქართული შემოქმედი ინტელიგენციის წრეებში ადვილი ასახსნელია. მას ნიადაგს აძლევდა ისტორიული რემინისცენცია. იგი იყო გამოძახილი იმ ეროვნული ჩაგვრისა, რომელსაც მთელი საუკუნის მანძილზე განიცდიდა საქართველო იმპერიალისტური რუსეთის ხელში. ამასთან შიში, რომ დიდი მასშტაბის რუსეთის კულტურა დასჩაგრავდა ქართულს, იყო ბუნებრივი ყოველგვარ შოვინისტური ტენდენციების გარეშე".

აკადემიური ასოციაციის მწერლები, პოლიტიკური ნიჰილიზმისა და არსებული სინამდვილისადმი აშკარა პროტესტის მიუხედავად, გულგრილნი არ დარჩენილან თანამედროვეობისადმი.

აკადემიური ასოციაციის მხატვრული ორგანოები საკმაო ყურადღებას იჩენენ თანამედროვეობისადმი. ამ ჯგუფის ისეთი ორთოდოქსი წარმომადგენელიც კი, როგორიც იყო კ. გამსახურდია, ჯერ კიდევ 1923 წელს ჟურნ. „ილიონში" წერდა: ლიტერატურა, რომელიც თანამედროვეობას ვერ გაუსწორებს ნაბიჯს, იგი უნაყოფო კალმის წრიპინიაო. შემთხვევითობით არ შეიძლება აიხსნას ის მდგომარეობა, რომ აკადემიური ასოციაციის ორგანომ ჟურნ. „ლომისმა" თავისივე პირველ ნომერში ტრიბუნა მისცა თანამედროვეობის დიდ მესიტყვეს გალაკტიონ ტაბიძეს, რომელმაც წერილში „პოეზია უპირველეს ყოვლისა" წამოაყენა ხალხში უფრო თამამად გასვლის, თანამედროვეობისადმი სამსახურის, დღევანდელობის იდეებით გამსჭვალული გმირი ადამიანების გამოქანდაკების იდეა, აგრეთვე ახალი, ეპოქის შესატყვისი მხატვრული ფორმის გამომუშავების საკითხები.

თანამედროვეობას ეხება ჟურნ. „კავკასიონში" და „ახალ კავკასიონში" გამოქვეყნებული დ. კლდიაშვილის ესკიზები: „კიმოთე მეშველიძე" და „შუა ცეცხლის პირას", ი. გრიშაშვილის „დუდუკის საარი ქარს აღარ მოაქვს" და სხვა. მათში მკაფიოდ ჩანს ახალი სინამდვილის მიღების ტენდენციები.

მაგრამ თანამედროვეობის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მ. ჯავახიშვილისა და კ. გამსახურდიას ამ პერიოდის შემოქმედება. მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები" პირველი სოციალური რომანია. მასში ასახულია საბჭოთა ქართველი გლეხების (ნინიკას, ილიას, თედოს, პავლესა და საზოგადოდ მთელი ხალხის) მიერ პოლიტიკურ-ეკონომიური ძალაუფლების მოპოვება სოფლად და მათი გამარჯვება კულაკ ჯივაშვილზე. ცხადია, ეს არ არის ნაწარმოების მთავარი თემა, მაგრამ მასში თავი იჩინა ახალი სინამდვილის დამკვიდრების ტენდენციამ.

1924 წელს დაწერა კ. გამსახურდიამ ქართული ნოველისტური ჟანრის ერთ-ერთი შედევრი „ზარები გრიგალში". მასში დიდი ოსტატობითაა ნაჩვენები ძველი სამყაროს, მისი რელიგიურ-ეთიკური შეხედულებების მსხვრევა — „ქვეყნის ცვლილება". ახალი სინამდვილის შემოჭრა სოფლად აშკარად შეინიშნება კ. გამსახურდიას ამ პერიოდის სხვა ნოველებშიც, რომლებშიც გვხვდება ჭეშმარიტი რეალისტის კალმით დახატული სურათები და პეიზაჟები.

ჰუმანიზმისა და თანამედროვე ადამიანის მორალურ-ეთიკური პოზიციებიდანაა დანახული „აკადემიური ასოციაციის" ერთერთი წარმომადგენლის ნ. ლორთქიფანიძის ამ პერიოდის რეალისტური მოთხრობები „რაინდები" და „თავსაფრიანი დედაკაცი". მათში იგრ-

ძნობა დიდი რეალისტის ხელწერა და შეუდარებელი კოლორიტი.

რა თქმა უნდა, „აკადემიური ასოციაციის“ მწერლებს კ. გამსახურდიას, მ. ჯავახიშვილს, ა. აბაშელს, ლ. ქიაჩელს, ი. გრიშაშვილს და სხვ. ვიდრე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ საბჭოთა სინამდვილეზე, არ შეეძლოთ ფართოდ აესახათ თანამედროვეობა. და თუ მათ შემოქმედებაში მაინც გამოძახილი ჰპოვა ეპოქის მოვლენებმა, ეს უნდა აიხსნას რეალიზმის, როგორც სინამდვილის მხატვრული ასახვის მეთოდის, მსოფლმხედველობაზე გამარჯვებით. „თუ ჩვენს წინაშე მართლაც დიდი მხატვარია, — როგორც წერდა ლენინი ლ. ტოლსტოის შესახებ, — ზოგიერთი რამ რევოლუციის, თუნდაც არსებითი მხარეებიდან მას უნდა აესახა თავის ნაწარმოებებში“. ეს დებულება შეიძლება გავრცელდეს ოციანი წლების იმ ქართველ რეალისტ მწერლებზედაც, რომელთაც პოლიტიკური პოზიციები ჯერ კიდევ გაურკვეველი და ჩამოუყალიბებელი იყო.

ოციანი წლების მეორე ნახევრიდან ქართულ მწერლობაში თანდათანობით წამყვანი ადგილი დაიკავა თანამედროვეობის თემატიკამ. სოციალისტური მშენებლობის მოტივები თანდათანობით მძლავრად იჭრებოდა ამ დროის ყველა მიმართულებისა და დაჯგუფების მწერალთა შემოქმედებაში. ეს პროცესი, რომელიც წარმართა რკპ(ბ) 1925 წლის 18 ივნისის რეზოლუციამ „პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში“ და რესპუბლიკაში გატარებული ორგანიზაციულ-შემოქმედებითი ღონისძიებები განაპირობა ქვეყნის გრანდიოზული გარდაქმნების დიადმა წამოწყებებმა: თანამედროვეობა წარმოადგენდა იმ ქვაკუთხედს, რომელზედაც უნდა აგებულიყო სოციალისტური ლიტერატურის მკვიდრი შენობა.

ამ პერიოდში, როცა უკვე აშკარად შესამჩნევი გახდა მწერალთა მობრუნება თანამედროვეობისაკენ და საბჭოთა ლიტერატურამ თემატიკური განახლება განიცადა, მთელი სიმწვავით დაისვა მხატვრული ფორმის, სტილის საკითხი.

ქართველ პროლეტარულ მწერალთა ნაწილს და მუშა პოეტებს პრიმიტიულად ესმოდათ პროლეტარული პოეზიის ბუნება, ზღუდავდნენ პროლეტარული მწერლის თემატიკას, მხატვრულ ხერხებსა და საშუალებებს. ამის შედეგად იმ პერიოდის ქართულ მწერლობაში გზა გაიკაფა ემპირიზმმა, შიშველმა აგიტაციამ, ნატურალიზმმა.

ქართული პროლეტარული მწერლობის თემატიკურ-მხატვრული შეზღუდულობა მოუთმენელი გახდა თვით პროლეტარული მწერლებისათვისაც. 1925 წელს მათ შორის მოხდა განხეთქილება და ამ ნიადაგზე დაარსდა „პროლემაფი“ (კ. კალაძე, კ. ლორთქიფანიძე, ე. ზედგინიძე, ბ. ბუაჩიძე, შ. რადიანი და სხვა). პროლემაფელები პროლეტარული მწერლობის პირველ თაობას ბრალს სდებენ, რომ მათ „რევოლუციის პოეზია გაიგეს, როგორც ბუკის ტრაფარეტი, დიდ მანძილზე დაცილდნენ მშრომელი მასების მშვიდ საალმშენებლო ცხოვრების შინაარსს. რაც მთავარია, მათ ვერ შესძლეს პროლეტარულ სახელმწიფოს ორბიტში მოქცეული ადამიანის ასახვა. კოსმიურ საკითხებზე გაყინვით, რიტორიული პლაკატით, ყალბი პათოსით და კაბინეტური ხედვით, პროლეტარული პოეზიის ღირებულება დასცეს. მათი სუსტი შემოქმედება დორგანიზაციული ძარღვი მასის მოხმარების გარეშე დარჩა, თუმცა რევოლუციის პირველ დღეებში მიუძღვით დამსახურება. ეს იყო საქმის დაწყება — პლაკატის დანიშნულება. პროლეტარული ინტელიგენციის მიერ ახალი ლიტერატურული პოზიციების დაკავება გულისხმობს უმთავრესად თანამედროვეობასთან შემოქმედებით მიმაგრებას. ბრძოლისა და შრომის იდეალიზაციის გარდა, ყურადღების ცენტრშია მუშურ-გლეხური ყოფაცხოვრების და ფსიქოლოგიური მომენტების მხატვრული ასახვა...“

პროლეტარული ასოციაციის ახალი თაობის „რევოლუციური ახალი მწერლობის“ („რამ“) ჯგუფი თავის დეკლარაციაში, რომელსაც ხელს აწერდნენ ბ. ბუაჩიძე, დ. გაჩეჩილაძე, კ. კალაძე, კ. ლორთქიფანიძე, ა. მაშაშვილი და სხვ., აღნიშნავდა: ზოგიერთი ამხანაგი უკვალიფიკაციო პრიმიტულ შემოქმედებას პროლეტარულ ლიტერატურად სთვლისო და „ქართული მწერლობის მომწყვდეულ ჩიხიდან“ გამოყვანის მიზნით მოითხოვდა „თანამედროვე რევოლუციური თემების მაქსიმალურ დამუშავებას“.[1]

პროლეტარული მწერლობის კრიზისი, რა თქმა უნდა, ვერც „რამმა“ დასძლია. პროლემაფელებმა ვერ შექმნეს ეპოქის შესატყვისი ლიტერატურა და მხოლოდ მხატვრული ძიებებით დაკმაყოფილდნენ.

ამ პერიოდში საბჭოთა მწერლობის განვითარებას უკვე სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ რაპპელები და სხვა ჯურის ვულგარიზატორები თავიანთი ნიჰილისტური და უმართებულო შეხედებულებებით არა მხოლოდ კლასიკურ მემკვიდრეობაზე, არამედ თანამედროვე მწერალთა შემოქმედებაზეც.

ამგვარ ვითარებაში გაერთიანდა ქართული მწერლობის ერთი უნიჭიერესი და გამოცდილ „თანამგზავრთა“ ჯგუფი, რომელმაც მიზნად დაისახა ახალი ეპოქის შესაფერისი ლიტერატურის შექმნა.

„ყოველ ეპოქას საკუთარი კულტურული შინაარსი აქვს, წერდნენ არიფიონელები, —მისი ხასიათი და განვითარება ხელოვნებასა და ლიტერატურაში ცხადდება.... თანამედროვე დიდმა ეპოქამ ახალი ადამიანი წარმოშვა და ახალი მსოფლმხედველობა, შეგრძნობა, მორალი და გემოვნება მისცა. მაგრამ ამ ადამიანს ჯერჯერობით ვერ უპოვია თავისი სრული სახე დღევანდელ ხელოვნებასა და ლიტერატურაში.

ასოციაცია —არიფიონის მიზანს შეადგენს ეს სახე გააცხადოს ლიტერატურაში“..

ლიტერატურისმცოდნეობაში აქამდე განმტკიცებულია შეხედულება, თითქოს არიფიონელთა კორპორაცია, თავისი მხატვრულ-ესთეტიკური მრწამსით ემიჯნებოდა თანამედროვეობას და წარმოადგენდა ბურჟუაზიულ-კულაკური იდეების გამოვლინებას ქართულ მწერლობაში. ეს დებულება, რომელიც ეკუთვნის ფ. მახარაძეს, შემდეგ უკრიტიკოდ მიიღო ზოგმა ქართველმა ლიტერატურისმცოდნემ. ჯერ ფ. მახარაძეს და შემდეგ თანამედროვე მკვლევართა უმრავლესობას მოაქვს გ. ქიქოძის ცნობილი დიალოგიდან „არიფიონი ჰერეთში“ ის სიტყვები, რომლებსაც წარმოთქვამს თანამედროვეობასთან ნიჰილისტურად განწყობილი სკეპტიკოსი არიფი. მაგრამ რატომღაც არ ითვალისწინებენ იმას, რომ უკანასკნელის შეხედულებას არ იზიარებენ დანარჩენი არიფიონელები. „ამ სიტყვამ (სკეპტიკოსი არიფიონელის —დ. თ.) ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა არიფებზე — ვკითხულობთ ჟურნალში, —ყველანი ვგრძნობდით, რომ მას მაინც დამაჯერებელი ძალა აკლდა... ამიტომ დიდის ყურადღებით მოვისმინეთ რევოლუციის დასაცავი სიტყვა, რომელიც მის საპასუხოდ მისმა ანტიპოდმა, ჩვენმა რომანტიკოსმა მეგობარმა წარმოთქვა“. (ხაზგასმა ჩემია —დ. თევზაძე).

ამ ამონაწერიდან ნათლად ჩანს, რომ სკეპტიკოსი არიფიონელის სიტყვას არ იზიარებენ დანარჩენი არიფიონელები (და არც თვით დიალოგის ავტორი — მთავარი არიფიონელი). სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ფ. მახარაძე, რომელმაც შენიშნა ეს მომენტი, მეტ სიფრთხილეს იჩენდა: „... გერ. ქიქოძე არ უჭერს (სკეპტიკოს არიფიონელს —დ. თ.) მხარს და ამბობს, რომ მეორე არიფიონელმაც წარმოსთქვა საწინააღმდეგო სიტყვაო... როგორც სჩანს, ერთი ჯგუფი ამ გამოჩენილ მწერლებისა ვერ არის სწორ გზაზე.

[1] ჟურნ. „პროლემაფი“, 1925, გვ. 4-5.

ჩემის აზრით, ე. ი. არა თუ სწორ გზაზე დგანან, არა თუ დაუახლოვდნენ დღევანდელ მდგომარეობას, არამედ ვერ აუღეს მას ალღო".[1] მკვლევართა დიდი ნაწილი რატომღაც გვერდს უვლის იმ ფაქტს, რომ არიფიონელთა რიგებში იყო გ. ტაბიძეც, რომელიც თავისთავს „არიფს" უწოდებდა.

არიფიონელები, რა თქმა უნდა, აღიარებდნენ და მხარს უჭერდნენ იმ დიდ გარდაქმნებს, რომლებიც დაკავშირებული იყო სოციალისტურ რევოლუციასთან: „რევოლუციამ უდიდესი სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი გარდატეხა მოახდინა, —აცხადებენ ისინი —საბჭოთა სისტემამ ღრმად გაიდგა ფესვები ხალხის შეგნებაში და უზრუნველყო ჩვენი მომავალი.

ამ რევოლუციის წყალობით ქართული კულტურა აღორძინების ხანაში შედის. ვითარდებიან ჩვენი ერის შემოქმედებითი ძალები, იღვიძებს ლიტერატურა, მეცნიერება, ფილოსოფია, კრიტიკა, მხატვრობა, ქანდაკება, მუსიკა და ეროვნული სკოლა".

ასეთია არიფიონელთა ძირითადი პოზიცია. „ის მცირედი განსხვავება, — მათი სიტყვებით რომ ვთქვათ, —რომელიც ამ დარგში არიფიონელებს შორის არსებობს, შეიძლება უფრო ტემპერამენტისა და მგრძნობიარობის სხვადასხვაობიდან გამომდინარეობდეს, ვიდრე აზროვნებისა ან მსოფლმხედველობიდან".

გ. ქიქოძის დასახელებულ დიალოგში საზოგადოდ აქცენტი გადატანილია წარსულზე. ავტორი წარსულში პოულობს ახალი საზოგადოებისათვის მისაღები ეთიკური ნორმების ნიმუშებს; ხაზს უსვამს ძველი ქართველი ხალხის დარაზმულობასა და შრომისმოყვარეობას. ფ. მახარაძე (რომელმაც საფუძვლიანად გააკრიტიკა ქიქოძის მრავალი დებულება) ამ შემთხვევაში ცდებოდა: „ქიქოძე მორალს საქართველოს წარსულში ეძებს; —ამბობდა იგი, —წარსულში ბევრი ზნეობრივი ძალა-უნერგიაა დაგროვილიო. ეს არის ფიზიდა წყლის მისტიციზმი, რომელსაც საერთო არაფერი აქვს თანამედროვე მეცნიერებასთან".[1]

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა გ. ქიქოძის სიტყვა ქართველი მწერლების მეორე ყრილობაზე. „არიფიონს უსაყვედურეს წარსულის იდეალიზაცია, —განაცხადა მან, —როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ წარსულზე, ვიცით, რომ წარსულში ბევრი ცოდვები იყო, მაგრამ ისიც ვიცით, რომ წარსულის ნაშთში არის დაგროვილი ზნეობრივი ძალა, რომელიც გამოგვადგება ახალი შემოქმედებისათვის. მართალია, წარსულის კულტურა შეიქმნა მონობის ქვეშ, ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ახალი შემოქმედებისათვის". აქვე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ წარსულის იდეალიზაცია ამ პერიოდში კანონზომიერი რეაქცია იყო მეორე უკიდურესობაზე, უპირისპირდებოდა წარსულის ნიჰილიზმს.

არაფიონელებმა კარგად იცოდნენ, რომ „ხელოვნება მიწის წვენით საზრდოობს და სინამდვილიდან გამოდის". მაგრამ სინამდვილე მათ ეხატებოდათ მთელი სირთულით, წინააღმდეგობებით და თანამედროვეობას ეპიკურული სიდინჯით შესცქეროდნენ, ქვეყნის წარმატებებთან ერთად ამჩნევდნენ და ასახავდნენ ჩრდილოვან მხარეებსაც (მ. ჯავახიშვილის „დამპატიჟე").

არიფიონელთა გულწრფელ დამოკიდებულებას თანამედროვეობისადმი ადასტურებს მათი ორგანოს „ არიფიონის" ფურცლებზე გამოქვეყნებული მხატვრული ნაწარმოებები, რომელთა თემატიკა გამოირჩევა აქტუალობითა და იდეური სიცხადით. კრებულში თანამედროვეობის თემაზე დაიბეჭდა ისეთი მნიშვნელოვანი რეალისტური ნაწარმოებები, როგორიცაა თანამედროვე ქართული ნოველის ერთ-ერთი შესანიშნავი

[1] „მნათობი", № 4, გვ. 171, 1928.

[1] გაზ. „კომუნისტი", 10 მარტი. 1928 წ.

ქმნილება ლ. ქიაჩელის „თავადის ქალი მაია“, სოციალისტური მშენებლობის საინტერესო სურათებია ნაჩვენები შ. დადიანის „ათეში“, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლის თემაა გაშლილი დ. სულიაშვილისა და ლ. მეტრეველის მოთხრობებში („კედელი“ და „ბოლშევიკი“), ახალი სოციალისტური სინამდვილის მიღებაზე მეტყველებს ი. მოსაშვილის ლექსი „უღელტეხილზე“ და ვ. გორგაძის „მარელისი“. საყურადღებოა კრებულში გამოქვეყნებული მოთხრობები: „სემიდა“ (მ. მრევლიშვილის) და „მკერდშებოლილი მერცხალი“ (ბასილ მელიქიშვილის).

ალმანახში დაბეჭდილია მიხეილ ჯავახიშვილის „დამპატიჟე“. მასში დახატულია მშრომელი გლეხკაცის თევდორესა და მისი ანტიპოდი ოქროპირის (იმავ დამპატიჟეს) სახეები მთლიანი კოლექტივიზაციის წინა პერიოდის სოფლის ფონზე.

მაშინდელმა სალიტერატურო კრიტიკამ აშკარად ვერ გაიგო ნაწარმოები და იგი რეაქციონურ მოთხრობად გამოაცხადა.

ნაწარმოების ერთ-ერთი ცენტრალური პერსონაჟი თევდორე გაუთვითცნობიერებელი მშრომელი გლეხის სახეა. თავისი პასიური ბუნებით იგი მოგვაგონებს კაცია მუნჯაძეს, ხოლო თანამედროვე მწერლობაში ანალოგიურ ხასიათზე მიგვანიშნა დიდმა რეალისტმა დავით კლდიაშვილმა კიმოთე მეშველიძის სახით.

თევდორე სავსებით მინდობილია თავის ბედს და მისი ერთგვარი ჩივილიც უფრო ყრუ პროტესტია, ვიდრე ბრძოლა ადამიანური უფლებების მოსაპოვებლად. მწერალმა თევდორეს სახით გამოხატა გლეხობის ის ნაწილი, რომელსაც არსებითად ვერ გაუგია რევოლუციური სინამდვილის არსი, ახალი ცხოვრების დედააზრი.

თევდორესათვის მუდამ „სადღაც“, „რაღაც“, ე. ი. მის გარეშე ხდება. ამ სახის გამოსაკვეთად ავტორმა საგანგებოდ გამოიყენა ნაცვალსახელები: „ის კაცი“ (განაგებს საქმეებს), „იმ კაცს“ (გაუცია განკარგულება) და ა. შ. „სადღაც რაღაც მოხდა, — ვკითხულობთ მოთხრობაში, — ეს ამბავი მებაღე თევდორემ მხოლოდ მაშინ გაიგო, როცა სამნი მოვიდნენ და უთხრეს:

— ახლა ეს ბაღიც შენია და სახლიც“.

შემდეგში თევდორემ ვერც „იმ კაცის“ ვინაობა გაიგო, რომელმაც მას დამპატიჟე მოუყვანა ქონების მონახევრედ და ვერც ოქროპირის (იმავე დამპატიჟეს) შეთითხნილი ბრალდებებისაგან იმართლა თავი.

მ. ჯავახიშვილი ხაზს უსვამს პერსონაჟის უმეცრებას: „... გაცხარდა თევდორე და დაიწყო უთავბოლო სირბილი, მტკიცება, უარი, ბრალდება, თავის გამართლება...“

ბუნებრივია, „უთავბოლო სირბილით“ თევდორემ „გამკითხავი და მშველელი“ ვერ იპოვა...

ნუთუ მ. ჯავახიშვილმა, რომელმაც ჯერ კიდევ „ჯაყოს ხიზნებში“ მიგვანიშნა ახალ სოციალურ-პოლიტიკურ სინამდვილეზე და დაგვიხატა კლასობრივ ბრძოლაში გამარჯვებული მშრომელი გლეხობა (ნინიკა, თანდილა, ილა და სხვა), უფრო გვიან ვერ შეამჩნია იმავე გლეხობის „მშველელი და გამკითხავი“ ძალა, რომელიც ობიექტურად არსებობდა და ახალი გამარჯვებისაკენ მიუძღვოდა ქალაქისა და სოფლის მშრომელებს?... აკი „დამპატიჟეს“ ავტორმა ამავე პერიოდის მოთხრობებში („ორი შვილი“ 1927, „მიწის ყივილი“ 1928,[1] „ქურდი“ 1928, „ფინჯანი“ 1928) დიდი მხატვრული ძალით ასახა ახალი სინამდვილის დამკვიდრების ტენდენციები?

„დამპატიჟე“ რეალისტი მხატვრის პოლიტიკური რწმენის კანონზომიერი გამოვლინებაა. მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოთხრობის სიუჟეტი თუმცა სოციალურ ფონზე იშლება, არ ასახავს კლასობრივი ბრძოლის სუ-

[1] „მიწის ყივილის“ მნიშვნელოვანი ნაწილი გამოქვეყნდა ჯერ კიდევ 1922 წელს გაზ. „პოეზიის დღეში“.

რათს. ნაწარმოებში კონფლიქტს ქმნის პერსონაჟთა კონტრასტული ხასიათები (თევდორე მშრომელია, ხოლო ოქროპირი უქნარა) და არა მათი სხვადასხვა კლასობრივი ინტერესები. მწერლის მიზანია, ოქროპირის სახით გვიჩვენოს არა კლასობრივი მტერი, არამედ საზოგადოებისათვის ხორცმეტი, ვინმე დაღლარა და საქმოსანი, რომელიც ახალ ვითარებაში „პროლეტარიატის სახელით" მაჯლაჯუნასავით დასწოლია მშრომელ გლეხობას (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ოქროპირი არ არის კომუნისტი და არც პარტია და მთავრობა უჭერს მას მხარს, როგორც ზოგიერთი ფიქრობდა). ამდენად ოქროპირი, რომელსაც მხარში უდგას „ის კაცი", პოლიტიკური მტერი როდია. თვით „ის კაციც", რომელიც „სადღაც" „რაღაცას" სწყვეტს, ოქროპირის ძმა-ბიჭია და მისი შინაკაცი, არაა თევდორეს კლასობრივი მოწინააღმდეგე.

ავტორი დასცინის და ქირდავს ოქროპირს: „სწორედ ამ დროს მოვიდა „ის კაცი" და თან ვიღაც მოიყვანა, — მაღალფეხა, შავულვაშა, მოღიმარი, თეთრკბილა, ცხვირკოდალა, თვალეშმაკა, თმაქოჩორა, შუატანი კრაზანის წელს მიუგავდა და რადგან თეძოებიდან ჩამოვარდნას ლამობდა, ჭაბუკი განიერი დოინჯით იმაგრებდა, თანაც ფეხს ხშირად ინაცვლებდა, თითქო რიგრიგად ერთს ასვენებდა და მეორეს ჯაფით ჰღლიდა". მწერალი არა მხოლოდ დასცინის და გმობს დამპატიჟეს, არამედ მიგვანიშნებს კიდეც მისსა და მის ძმაბიჭთა უნიადაგობაზე. საგულისხმოა, რომ „ის კაცი გაება", ხოლო თევდორე ვერ ურიგდება ოქროპირს და ელოდება: „როდის მოაშორებენ კისრიდან ამ ბაღლინჯოს? როდის გააჩუმებენ დამპატიჟეს? როდის გაჰყრიან თევდორეს და ზედსიძეს?" ,

ეს პრობლემა, რომელიც ჯერ კიდევ არც ავტორისა და არც თევდორესათვის სოფლის მთლიანი კოლექტივიზაციამდე არ იყო გადაჭრილი, საბოლოო გადაწყვეტას პოულობს ამავე ნაწარმოების გაგრძელებაში „რკინის საცერი".

მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც რეალისტი მხატვარი, „დამპატიჟეში" მიგვანიშნებს ოქროპირის უნიადაგობაზე; თევდორეს სიტყვებით, ოქროპირი ისაა ადამიანისათვის, რაც ტკიპი ოთხფეხისათვის, წინწკალი — ფუტკრისათვის, ხავსი და ფითრი ხისათვის, ან კლდეში ჩაქსოვილი ფათალო. ე. ი. ავტორის ღრმა რწმენით, ოქროპირი ვერ დასძლევს გლეხ თევდორეს ისე, როგორც ტკიპი ვერ მოერევა ოთხფეხს, წინწკალი — ფუტკარს, ხავსი და ფითრი — ხეს, ან კლდეში ჩაქსოვილი ფათალო ვერ დაშლის კლდეს, ასევე ვერაფერს დააკლებს უქნარა ოქროპირი-დამპატიჟე თევდორეს.

ამგვარად, მოთხრობის იდეურ-მხატვრული კონცეფციიდან გამომდინარეობს, რომ დამპატიჟეს ბუნება არ არის დამახასიათებელი საბჭოთა საზოგადოებისათვის. იგი უნდა გავიგოთ, როგორც გარკვეულ ისტორიულ მომენტში სიმახინჯის გამოვლინების ფაქტი, რომელიც სოციალისტური ურთიერთობის დამკვიდრების შედეგად ქრება, არ შეიძლება არსებობდეს. ეს იდეა დიდი მხატვრული ძალით გადაწყვიტა ავტორმა თავის გამოუქვეყნებელ მოთხრობაში „რკინის საცერი".[1]

არიფიონელთა მხატვრული პოზიციებისა და შემოქმედებითი პროფილის გარკვევისათვის უნდა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ მათი კრებულის ფურცლებზე გამოქვეყნებული ნაწერები, არამედ კორპორაციის წევრთა ამ პერიოდის მთელი შემოქმედება. ამ თვალსაზრისით ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, მივუთითებთ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაზე, მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობებზე: „ფინჯანი", „მიწის ყივილი", „ორი შვილი" და სხვა.

საგულისხმოა, რომ მწერალი ამ პე-

[1] „რკინის საცერი" შემოკლებული სახით გამოქვეყნდა გაზ. „კოლექტივიზაციაში" 1935 წელს, 10-25 იანვრის ნომრებში.

რიოდში გატაცებით მუშაობდა სოციალურ ტილოზე „არსენა მარაბდელი“, 1927-1928 წ. წ. ლ. ქიაჩელმა დაწერა „ალმასგირ კიბულან“ და „სისხლი“, შ. დადიანმა „კაკალ გულში“, ს. შანშიაშვილმა „დედისერთა ლენინთან“. ეს ნაწარმოებები, რომლებიც ფართოდაა ცნობილი ჩვენი მკითხველებისათვის, ნათლად მეტყველებენ მათი ავტორების მჭიდრო კავშირზე თანამედროვეობასთან (ამ შემთხვევაში ჩვენ პირველი რევოლუციის თემას განვიხილავთ როგორც თანამედროვე იდეების გამოვლინების ფაქტს) და მათ მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკურ პოზიციებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ გ. მუშიშვილმა, რომელმაც კრიტიკულად განიხილა ალმანახი „არიფიონი“ და მიხეილ ჯავახიშვილის „დამპატიჟე“ გამოაცხადა 100 პროცენტიან სიყალბედ და რეაქციონურ მოთხრობად, ამ ლიტერატურული ჯგუფის შეფასებაში ძირითადად ობიექტური აღმოჩნდა: „პოლიტიკურად არიფიონი, — წერდა იგი, — რევოლუციონური თანამედროვეობის ნიადაგზე მუშაობს. ავტორები უმეტეს შემთხვევაში, ახალ თემებს ამუშავებენ, ახალ თემებს ეხებიან. აქ არაა ლაპარაკი ისტორიულ, ფეოდალურ წარსულზე. საკითხები თანამედროვეობის სიბრტყეზეა დაყენებული და აღსანიშნავია ეს გარემოება. კრებულში არ ვგრძნობთ „თემატიურ კრიზისს“, მასალა ახალია, ცოცხალი!“...[1]

ამავე თვალსაზრისით აღსანიშნავია ბ. ყენტის წერილი „არიფიონი“, სადაც ავტორი კრიტიკულად განიხილავს კრებულს, მაგრამ არსად არ ამბობს, თითქოს „არიფიონი“ დაუპირისპირდა თანამედროვეობას.[2] ეს დებულება კრიტიკოსმა წამოაყენა ჯერ კიდევ ქართველი მწერლების მეორე ყრილობაზე:

„თუ საკითხს დავაყენებთ პოლიტიკური თვალსაზრისით, ვიკითხავთ, ეხებიან თუ არა დაჯგუფება, რომელიც თავისთავს რევოლუციას უპირისპირებდეს, მაშინ მართალი იქნება პასუხი, რომ ასეთი დაჯგუფება არ არსებობს. მაგრამ თუ მას მივუდგებით იმ თვალსაზრისით, თუ რა ხერხებით ფიქრობს ესა თუ ის ლიტერატურული ჯგუფი ახალი კულტურის შენებას, მაშინ ცხადია, არსებობენ ერთი მხრით ისეთი ჯგუფები, რომელნიც ცდილობენ თავიანთი შემოქმედება განაგრძონ ძველი ფორმებით, ძველი ტრადიციებით და, მეორე მხრივ, ჯგუფები, რომელთაც ახალი კულტურული მშენებლობა ვერ წარმოუდგენიათ ახალი ფორმების გამოყენების გარეშე...

როგორ უნდა დამუშავდეს მასალა,— აი ის საკითხი, რომლის გარშემო სწარმოებს ბრძოლა ქართულ მწერლობის დაჯგუფებათა შორის. ეს ბრძოლა კულტურული რევოლუციის ერთი დამახასიათებელი მოვლენათაგანია, რომელსაც სჭირია ხელის შეწყობა და დახმარება. პარტიის დადგენილების თანახმად საბჭოთა პლატფორმაზე მდგომ ყველა ჯგუფისათვის უნდა შეიქმნეს ერთნაირი პირობები, რომ ამ საშუალებით გამოისახოს ახალი გზები კულტურული შემოქმედებისა“.

ამგვარად, არ არის მართებული ქართულ კრიტიკულ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულება არიფიონელთა თანამედროვეობისადმი დაპირისპირების შესახებ.

არიფიონელთა ლიტერატურული გამოსვლა,როგორი ხასიათის შენიშვნებიც არ უნდა გვქონდეს, მსოფლმხედველობრივი თუ მხატვრული, აშკარად მიგვანიშნებს რევოლუციამდელი ქართველი მწერლების მიერ საბჭოთა სინამდვილის მიღებაზე.

---

[1] „მნათობი“, № 3, 1928, გვ. 221.

[2] „ქართული მწერლობა“, № 5, 1928.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგის ცაიშვილი

შოთა რუსთაველი

(ბიოგრაფიული ესკიზი)

რვაასმა წელიწადმა, რომელიც დგას ჩვენსა და ვეფხისტყაოსნის ავტორს შორის, ვერაფერი დააკლო დიდი პოეტის სახელს. პირიქით, დრო მის სასარგებლოდ იღწვოდა. ახალმა ეპოქამ მისი სახელი ახალი შარავანდედით შემოსა. მაგრამ დროის ამავე მანძილმა ბევრი რამ უჩინოდ აქცია, დაგვიკარგა ბევრი ძვირფასი ცნობა და დღეს ჩვენ ძალზე ცოტა რამ ვიცით შოთა რუსთაველსა და მის ეპოქაზე. გაურკვეველია ბევრი რამ თვით პოეტის ბიოგრაფიიდან. ალბათ კიდევ ბევრი კვლევა-ძიება იქნება საჭირო, რომ უფრო ახლოს შევიცნოთ ვეფხისტყაოსნის ავტორის მიერ განვლილი ცხოვრების გზა, აღვადგინოთ პოეტის ნამდვილი სახე.

წინამდებარე ნარკვევი, რომელიც რუსთაველის ბიოგრაფიის აღდგენის კიდევ ერთ ცდას წარმოადგენს, ამავე მიზნით დაიწერა. მანვე განსაზღვრა ნარკვევის ხასიათიც. მთლიანობის დაცვისათვის აქ ზოგი მასალის ახლებურად გააზრების ცდასთან ერთად მოხმობილია რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ადრე ცნობილი ფაქტებიც.

ავტორი ვეფხისტყაოსნისა არის უდიდესი ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი (ძველი ფორმით „რუსთველი") რომელიც ცხოვრობდა XII—XIII საუკუნეების მიჯნაზე. ვეფხისტყაოსნის ავტორის ცხოვრების დროზე რომ არ შემოგვრჩენოდა ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის დოკუმენტები, ზოგ რამეზე თვით ვეფხისტყაოსანში გადმოცემული სინამდვილეც მიგვანიშნებდა. ვეფხისტყაოსნის იდეოლოგია მთლიანად დაფუძნებულია მე-12 საუკუნის საქართველოს სინამდვილეზე. აღწერილი სოციალური გარემო ზუსტად თანხვდება მე-12 საუკუნეს ანუ, როგორც ისტორიოგრაფიაშია მიღებული, თამარის ეპოქას, გამჭვირვალეა თვით ისტორიული რემინისცენციები, პოემაში მოთხრობილი დინასტიური კონფლიქტები თამარის დროინდელი ქართული სამეფო კარის კონფლიქტების ანარეკლია და ა. შ.

მაგრამ შოთა რუსთაველის პიროვნებაზე და ცხოვრების ქრონოლოგიაზე ჩვენ მოგვეპოვება დოკუმენტური ხასიათის რამდენიმე ცნობა, რომლებიც შედარებით ზოგად, მაგრამ ამასთან უტყუარ მონაცემებს შეიცავენ პოეტის მეცნიერული ბიოგრაფიის აღსადგენად.

ამ თვალსაზრისით პირველ რიგში უნდა განვიხილოთ თვით რუსთაველის პოემა. როგორც ცნობილია, ვეფხისტყაოსანი იხსნება პროლოგით, სადაც ავტორი ეხება არა მარტო ქების ობიექტს, არამედ აყალიბებს თავის ზოგად შეხედულებებს, რაც შემდეგ მხატვრულად ხორცშესხმულია თვითონ პოემა-

ში. ავტორი არ ღალატობს აღმოსავლურ მწერლობაში გავრცელებულ ტრადიციას და რამდენიმე რეალურ ცნობას გვაწვდის საკუთარ თავზეც.

პროლოგის მე-7 სტროფში პოეტი უმთავრეს გმირზე — ტარიელზე გვესაუბრება და პირველად გვიმეღავნებს თავის სახელს:

„მო, დავსხდეთ ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი:
მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი!
დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულს ლახვარ-სობილი,
აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი“.

მომდევნო სტროფშივე, სადაც ავტორი უკვე ზოგადად საუბრობს მიჯნურობის განუკურნებელ სენზე, იგი კვლავ ასახელებს თავის თავს:

„მე, რუსთველი ხელობითა, ვიქმ საქმესა ამადარი:
ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი“.. (სტრ. 8)

როგორც არ უნდა გავიგოთ ორჯერ ნახსენები სიტყვა „ხელობა“ (ძველი ქართულით: ხელი — გიჟი, შმაგი. ჰელი სახელო, თანამდებობა), აქ მაინც უმთავრესია, რომ პოეტი იწოდება რუსთველად.

აქვე საჭიროა აღინიშნოს შემდეგიც. პოემის შესავალში წარმოდგენილ ამ ცნობებს პოეტის სახელის (თუ ზედწოდების) გარშემო თავისებურად ეხმაურება ვეფხისტყაოსნის ბოლოში დართული სტროფებიც. ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია გვიჩვენებს, რომ საეჭვოა დასასრულის ამ სტროფთაგან ყველა რუსთაველს ეკუთვნოდეს. მაგრამ ფაქტია, რომ აქ დაცულია უძველესი წერილობითი ტრადიცია (ეს სტროფები მოიპოვება ყველა ძველ ხელნაწერში). თანაც ეს სტროფები პროლოგში დაცული ცნობების ინტერპრეტაციას წარმოადგენს. მაგალითად, ეპილოგის სტროფის სიტყვები „ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრომელსა“ აშკარა პარაფრაზია პროლოგის ზემოთმოტანილი ადგილის: „მო, დავსხდეთ ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი“. მაგრამ ეპილოგის ეს სტროფი უფრო ფართო ხასიათის მსჯელობის საშუალებას იძლევა. აქ ერთად არის თავმოყრილი რამდენიმე ცნობა ქართული კლასიკური ხანის ძეგლებზე. ვეფხისტყაოსნის ავტორზეც ამ კონტექსტშია საუბარი:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,
აბდულ-მესია — შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ — სარგის თმოგველსა, მას ეხადაუშრომელსა,
ტარიელ — მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრომელსა“.

განმარტებისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველ სტრიქონში საუბარია ქართული კლასიკური ხანის კარგად ცნობილ საგმირო-საფალავნო რომანზე, რომელიც, თავის მხრით, უძველესი ქართული ეპოსის, კავკასიონის კლდეზე მიჯაჭვული ამირანის თავისებური გადამუშავებაა. თხზულების ავტორობა მიეწერება ამავე ხანის მწერალს მოსე ხონელს, რომელსაც მითოლოგიური ეპოსი მის თანამედროვე აღმოსავლურ ავანტიურული რომანების ყაიდაზე გარდაუქმნია. ასევე კლასიკური ხანის ძეგლია შავთელის „აბდულმესია“, საკარო პოეზიის ბრწყინვალე ნიმუში, რომელშიც შექებულია თამარ მეფისა და მისი მეუღლის დავითის დიდი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. კლასიკური ხანის ავტორია სარგის თმოგველიც (მას, გარდა ამისა, მიეწერება ფახრუდინ გურგანის „ვისო რამინის“ მხატვრული თარგმანი), რომლის „დილარგეთიანს“ თუმცა ჩვენამდე ვერ მოუღწევია, მაგრამ ამავე ხანის მეორე სამქებრო პოემაში („თამარიანი“ — ავტორი ჩახრუხაძე) მასზე დაცულია დოკუმენტური ცნობა (ნ. მარის გამოცემით, ოდა 1). ამდენადვე ჭეშმარიტებას უნდა შეიცავდეს ეპილოგის აღნიშნული სტროფის ჩვენება, როცა იგი ქრონოლოგიურად ამავე ავტორთა

რიგში აყენებს ვეფხისტყაოსნის ავტორსაც. ვეფხისტყაოსნის დამწერის რუსთველობას აღიარებს პოემის ერთ-ერთი გამგრძელებელი „ვინმე მესხი“, რომლის ცნობა დაცულია აგრეთვე ტრადიციით პოემის ეპილოგად მიჩნეულ პირველ სტროფშიც.

გვერდს ვერ ავუვლით პროლოგის სხვა ისტორიული ხასიათის რეალიებსაც. აქ შექებულია მეფე თამარი და მისი მეუღლე დავით სოსლანი (პოემის დასასრული ამ შემთხვევაშიც თანხვდება პროლოგის მონაცემებს). პოეტი თამარს მიიჩნევს შთაგონების უპირველეს წყაროდ და მასვე უძღვნის რამდენიმე სამქებრო სტროფს. ავიღოთ პროლოგის საყოველთაოდ ცნობილი მე-4 სტროფი:

„თამარს ვაქებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემლ-
დათხეული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ-ავად გამორჩეული.
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად
ნაჲ რხეული,
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა
ხეული“.

წინა სტროფში კი თამართან ერთად შექებულია „თამარის ლომი“, რომელიც აშკარად მისი მეუღლის დავით სოსლანის მეტაფორული სახეა. პროლოგში არის სხვა რეალიებიც, რომლებშიც არ გაძნელდება თამარის პიროვნების ამოცნობა. მაგრამ მათზე უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ, როცა კონკრეტულად ვეფხისტყაოსნის დაწერის თარიღზე შევჩერდებით. აქ კი საყურადღებოა ორი უმთავრესი ცნობა, რომლებსაც გვაწვდის თვით ვეფხისტყაოსანი: პოეტის გვარი (თუ ზედწოდება) არის „რუსთველი“, იგი თავის პოემას უძღვნის მის სახელოვან თანამედროვეს, ძლიერი ქართული სახელმწიფოს მეთაურს, მეფეთა-მეფე თამარს.

ვეფხისტყაოსანში არსებულ ორსავე ცნობას (პოემის ავტორია რუსთველი, იგი თამარ მეფის თანამედროვეა) ავსებს ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის დოკუმენტური მონაცემები. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, აღსანიშნავია იერუსალიმში არსებული ქართული სავანის, ჯვარის მონასტრის მასალები. ჯერ კიდევ მე-17 საუკუნიდან ჩვენში ცნობილი იყო, რომ სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად აქ, მონასტრის სამხრეთ-დასავლეთის სვეტზე გამოხატულია შოთა რუსთაველი. მონასტრის პირველი აღმწერი ტიმოთე გაბაშვილი შენიშნავდა ამასთან, რომ მონასტერშივე არსებულ სააღაპე წიგნში მოხსენიებული შოთა მეჭურჭლეთუხუცესი არის იგივე შოთა რუსთაველი. უნდა აღინიშნოს, რომ ტიმოთეს ცნობათა აუთენტურობა სრული ზედმიწევნით დადასტურდა. ქართველმა მეცნიერებმა (აკადემიკოსებმა) ი. აბაშიძემ, ა. შანიძემ, გ. წერეთელმა აღადგინეს და საქართველოში ჩამოიტანეს აღნიშნული ფრესკის პირები. აღდგა ფრესკის წარწერაც, რომელიც მანამდე არ იყო სწორად ფიქსირებული, გარკვეულ იქნა, აგრეთვე, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო (ჯვარის მონასტერმა რამდენჯერმე განიცადა თავდასხმა, ამასთან მოქმედებდა დროის ფაქტორი) კედლის მხატვრობა რამდენჯერმე განუახლებიათ, მაგრამ ყოველმხრივ უცდიათ ძველი მოხატულობისა და წარწერების შენარჩუნება. ამდენად, სარწმუნო ჩანს შოთა რუსთაველის ფრესკის წარწერაც: „ამისა დამხატავსა შოთა(ს) შეუნდვნეს ღმერთმან ამინ“. ხოლო პორტრეტის ქვემოთ იმავე ხელით „რუსთველი“. ფრესკაზე გამოხატულია საერო ტანსაცმელში გამოწყობილი მოხუცი, რომელიც მუხლმოდრეკილი დგას (ვედრების კომპოზიცია) ორი წმინდანის — იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის წინაშე. ფრესკის სიძველე დასტურდება მონასტერშივე არსებული სააღაპე წიგნის მონაცემებითაც. აქ, როგორც ახლა გარკვეულია (იხ. ე. მეტრეველის „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის“) სწორედ მე-13 საუკუნის პირველი მეოთხედისათვის, შეუტანიათ მოსახსენიებელი შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა (სრული ტექსტი: „ამ (ა) სვე ორშაბათსა. აღაპი შოთ(ა)ჲ სა მეჭურჭლეთ უხუცესის(ა)ჲ ვინ შესცვ(ა)ლოს,

შე-მცა-ცვ(ა) ლებულ (ა) რს სჯ(უ) ლი-საგ(ა)ნ ქ(რის)ტ)ეანეთ (ა)ჲსა“). მაშასადამე, ტიმოთე გაბაშვილის ვარაუდი, რომელიც მონასტერშივე დამკვიდრებული ტრადიციიდან მოდის, სრული ზედმიწევნილობით დასტურდება. ფრესკაზე გამოსახული შოთა რუსთაველი და აღაპებში მოხსენიებული „შოთა მეჭურჭლეთუხუცესი“ ერთი და იგივე პირია. იდენტიფიკაციას ხელს უწყობს დროის სინქრონიზმი და ამასთან ფრესკის წარწერის ცნობა, თუ რა ღვაწლის გამო (შოთას, როგორც ჩანს, მისივე საფასით განუახლებია კედლის მხატვრობა) შეუტანიათ მისი მოსახსენიებელი მონასტერში არსებულ სააღაპე წიგნში. ამასთანავე სააღაპე წიგნში შეტანის წესის თავისებურებებით უნდა ვიფიქროთ (მოსახსენიებელი შეტანილია დიდ საუფლო დღესასწაულზე — იხ. ე. მეტრეველის დასახ. შრომა, გვ. 53), რომ შოთას მოსახსენიებელი შეუტანიათ, როგორც ჩანს, მისივე სიცოცხლეში. ამავე ხანებში არის იგი გამოხატული მონასტრის სამხრეთ-დასავლეთ სვეტზე.

იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მასალების გადაჭარბებით შეფასება, მართლაც, შეუძლებელია. რუსთაველის ბიოგრაფია მდიდრდება ერთბაშად რამდენიმე ძვირფასი ცნობით. რუსთაველის (მისი გვარი თუ ზედწოდება უკვე ვეფხისტყაოსნიდან შევიტყეთ) სახელია შოთა, ხოლო ამასთან მას საქართველოს სამეფო კარზე სჭერია ერთ-ერთი დიდ-ვეზირის — მეჭურჭლეთუხუცესის სახელო (თამარის ეპოქაში სულ ასეთი ოთხი სახელო იყო: მწიგნობართუხუცესი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი). ჩვენს წინაშე შოთა რუსთაველი წარმოსდგება არა მარტო როგორც პოეტი. იგი თავისი დროის ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი ჩანს, რომელსაც ამასთან გარკვეული წვლილი შეუტანია იერუსალიმის ქართულ საგანმანათლებლო ცენტრის მოვლა-პატრონობაში. აქვე საჭიროა აღინიშნოს შემდეგიც: ხშირ შემთხვევებში ქართველი საერო ხელისუფალნი თუ სასულიერო მოღვაწენი საქართველოდანვე უგზავნიდნენ შეწირულებას საზღვარგარეთ არსებულ ქართულ სამონასტრო კერებს, მაგრამ რუსთაველთან დაკავშირებით, რადგან კონკრეტულ ღვაწლზეა საუბარი (მან, როგორც ვნახეთ, მოახატვინა მონასტრის დაძველებული გუმბათი), სრული შესაძლებლობაა ვიფიქროთ, რომ მან თვითონვე იმოგზაურა იერუსალიმში და მისივე ხელმძღვანელობით ჩატარდა მონასტრის აღსადგენი სამუშაოებიც.

ვეფხისტყაოსნის ავტორის გვარისა და სახელის (რუსთველი შოთა) ხსენებას ჩვენ ძალზე ხშირად ვხვდებით მომდევნო ხანის ქართულ მწერლობაშიც (იხ. მე-16, მე-17 საუკუნეების ქართველი მწერლების: სერაპიონ სოგრატეს ძე საბაშვილის, თეიმურაზ I, იოსებ-ზილიხანიანის უცნობი ვერსიის ავტორის, არჩილის და ა. შ.). ეს ცნობები კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოთაღნიშნულ მონაცემებს პოეტის ბიოგრაფიიდან.

თითქოს სრული ზედმიწევნილობით მართლდება უძველესი ხალხური გადმოცემები, რომლებიც შოთას სახელს უკავშირებენ იერუსალიმის ჯვარის მონასტერს: შოთა რუსთაველი მოხუცებულობის ჟამს იერუსალიმში წასულა და იქვე გარდაცვლილა. რაც შეეხება ამ უკანასკნელს (შოთა თითქოს გარდაიცვალა იერუსალიმში). ამაზე ჩვენ მეცნიერებას არ მოეპოვება რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტური ცნობა, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ არც ეს შესაძლებლობაა გამორიცხული (გავიხსენოთ, რომ ფრესკაზე შოთა გამოსახულია, როგორც მოხუცი).

ამის შემდეგ იწყება ძიებათა და ვარაუდების სფერო, რითაც ასე უხვია რუსთველოლოგიური მეცნიერება. ერთადერთი მიზანი ამოძრავებს ყველა ამ კვლევა-ძიებას. ჩვენ გვინდა უფრო მეტი ვიცოდეთ ვეფხისტყაოსანზე და მის გენიალურ ავტორზე. ავიღოთ თუნდაც ერთი შეხედვით, ისეთი ნათელი საკითხი, როგორიცაა პოეტის გვარი (თუ

ზედწოდება) რუსთველი. აღიარებული თვალსაზრისით „რუსთველი“ ნიშნავს რომელიღაც ციხის, სამფლობელოს პატრონს (შუა საუკუნეების საქართველოში ასეა ნაწარმოები ფეოდალური გვარები: ჯაყელი, თმოგველი, სურამელი, ფანასკერტელი და ა. შ.), მაგრამ, როგორც ცნობილია, საქართველოში ამ სახელწოდების რამდენიმე პუნქტი არსებობს (რომელთა შორის აღსანიშნავია ძველი ციხე-ქალაქი რუსთავი. თბილისის მახლობლად, და სამხრეთ საქართველოში, მესხეთში არსებული სოფელი რუსთავი), ასევე მე-12, მე-13 საუკუნეთა ისტორიული ამბების გადმომცემ ქართულ მატიანეებში, ჟამთა სიავეს გადარჩენილ ძველ სიგელ-გუჯრებში, თუ ეპიგრაფიკულ ძეგლებში სწორედ ამ ხანებში მოხსენიებულია რამდენიმე „შოთა“. ბუნებრივად ისმის ასეთი კითხვა, ხომ არ არის რომელიმე მათგანი ჩვენი პოეტი შოთა რუსთაველი?

ტრადიციული შეხედულებით, შოთა რუსთაველი წარმოშობით იყო სამხრეთ საქართველოდან, მე-12 საუკუნისათვის როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულად ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე კუთხიდან, მესხეთიდან, კერძოდ, ახალციხე-ასპინძის გზაზე მდებარე რუსთავიდან (ამჟამად გადარჩენილია მხოლოდ ციხის ნანგრევები). ამ შეხედულებას იმთავითვე მხარს უჭერდნენ ე. წ. აღორძინების ხანის (მე-17, მე-18 საუკ.) მწერლები, კერძოდ, მეფე-პოეტი არჩილი რუსთაველს სამხრეთ საქართველოს მკვიდრად თვლიდა (იხ. არჩილის „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასება“). ყველა ხალხური გადმოცემა, რომლებიც კი არსებობს რუსთაველის ცხოვრებაზე, დაბეჯითებით უსვამს ხაზს ვეფხისტყაოსნის ავტორის მესხეთიდან წარმომავლობას (იხ. ი. მეგრელიძის „გადმოცემები რუსთაველის შესახებ“, 1951 წ.). ვეფხისტყაოსნის პირველ ინტერპოლატორთა და გამგრძელებელთა შორის ჩვენ ვხედავთ სწორედ მესხეთის მკვიდრთ. ვეფხისტყაოსნის გაგრძელების პროზული ვარიანტი მიეწერება თმოგვის ციხის (მესხეთში) პატრონს სარგის თმოგველს, ხოლო ოდ, როგორც ჩანს, გაულექსავს ვეფხისტყაოსნის ეპილოგიდან ჩვენთვის უკვე ცნობილ „ვინმე მესხს“. ამავე გაგრძელებებში, რომლის უძველესი პლასტი საკმაოდ არქაულად გამოიყურება, შეტანილია საინტერესო გლოსა, რომ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი, რომელსაც დართული ჰქონდა გაგრძელებათა პროზული ვერსია, სწორედ თმოგვში აღმოჩენილა, როცა ამ საგვარეულოს მიუტოვებია თავისი ძველი სამკვიდრო. მესხეთში ვეფხისტყაოსნის განსაკუთრებულ გავრცელებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ამჟამად უძველესი ნაწყვეტი პოემიდან (მონასტრის კედელზე მე-15 საუკუნის ხელით მიწერილი იხ. ვ. ცისკარიშვილი „ჯავახეთის ეპიგრაფიკა“) აღმოჩნდა მესხეთის ტერიტორიაზე (ე. წ. ვანის ქვაბებში), აქვეა აღმოჩენილი პოემის ყველაზე ძველი ხელნაწერის ფრაგმენტიც (პროფ. ი. აბულაძე). ინტერესს არ არის მოკლებული ის ფაქტიც, რომ სახელი შოთა გავრცელებული ყოფილა მესხეთის ფეოდალთა წრეებში, მაგალითად, ამაზე მეტყველებს აძიკვის წარწერა, სადაც მესხ დიდებულებთან, თორელებთან ერთად მოხსენიებულია, როგორც ჩანს, ამავე გვარის წარმომადგენელი შოთა. ამავე რიგისაა მესხეთში ქვაბისხევის მონასტერში ახლახან აღმოჩენილი მე-12 საუკუნის ფრესკა. აქ გამოხატულია ჭაბუკი ფეოდალი, რომლის სახელია შოთა (ნ. ბერძენიშვილი ტ. I). დასასრულ, ამ საკითხისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მასალებსაც, საიდანაც დოკუმენტურად დასტურდება, რომ შოთა ფლობდა ვეზირის მაღალ თანამდებობას — მეჭურჭლეთუხუცესობას. თამარის ეპოქიდან მოყოლებული, სწორედ მესხი დიდგვაროვანი ფეოდალები (თორელები, ჯაყელები) ფლობდნენ მეტწილად აღნიშნულ თანამდებობას. ყველაფერი ეს, ჩვენი აზრით, ქმნის გარკვეულ შესაძლებლობას,

რომ ვეფხისტყაოსნის ავტორი მესხეთის ერთ-ერთ დიდებულთა საგვარეულოში ვეძიოთ.

საწინააღმდეგო მოსაზრება ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისს გამოთქვა ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთმა პირველმა მკვლევარმა თეიმურაზ ბაგრატიონმა. მან პოეტის სამშობლოდ თბილისის ახლო მდებარე ციხე-ქალაქი რუსთავი მიიჩნია. ამგვარი ჰიპოთეზის დაშვება, ჩვენი აზრით, შესაძლებელია და, როგორც ვნახავთ, ამის გარკვეული საფუძველიც არსებობს. მაგრამ ჩვენს მეცნიერებაში არ იქნა გაზიარებული აღნიშნული შეხედულების ისეთი სახით წარმოდგენა, როგორც ეს მოცემულია პ. ინგოროყვას შრომებში. „რუსთველიანას“ ავტორის მოსაზრებით, ჰერეთის ერისთავთ-ერისთავი შოთა კუპარი (კუპრი) იყო ჩვენი პოეტი რუსთაველი. როგორც არაერთგზის აღინიშნა, მკვლევარის მიერ წამოყენებული დებულებები არ არის სათანადოდ არგუმენტირებული, ჰერეთის ერისთავები არ ფლობდნენ რუსთავს, ჰერეთის ერისთავთაგანს არცერთს, ამჟამად არსებული წყაროების მიხედვით, არ სჭერია მეჭურჭლეთუხუცესის სახელო, ხოლო შოთა კუპრი თამარის შემდეგდროინდელი მოღვაწე ჩანს (იხ. დ. მუსხელიშვილისა და ნ. შოშიაშვილის წერილები — ცისკარი, 1965, № 2 და № 9).

ჩვენ საგანგებოდ ვერ შევეხებით სხვა ჰიპოთეზებსაც. მაგალითად, ქართლის ცხოვრებაში მოხსენებულ შოთა ართავაჩოს ძისა და შოთა რუსთაველის იგივეობის საკითხს, რადგან ეს შესაძლებლობა მოხსნილია შემდეგი გარემოების გამო: შოთა ართავაჩოს ძეს მიღებია მონაწილეობა თამარის მამის გიორგი III-ის წინააღმდეგ შეთქმულებაში და, როგორც ჩანს, იგი ამ წელსვე სიკვდილით დაუსჯიათ (ყოველ შემთხვევაში, იგი შემდეგ აღარ ჩანს წყაროებში). ასევე, დღეს უარყოფილია ზარზმის მონასტრის წარწერაში მოხსენებული შიო, შოთა ყოფილ ხურსიძის რუსთაველის სახელთან დაკავშირების ცდა, რადგან აღნიშნული ცნობა რამდენიმე საუკუნით გვიანდელ ამბებს შეეხება (პროფ. ვ. ბერიძე, „სამცხის ხუროთმოძღვრება“). თუმცა როგორც ზარზმის წარწერას, ისევე სადგერის წმინდა გიორგის ქებას, სადაც მოხსენებული არიან შოთასძენი (ქება აღმოაჩინეს და გამოსცეს ი. აბულაძემ და ქრ. შარაშიძემ) ცხადჰყოფენ ამ სახელის გავრცელებულობას სამხრეთ საქართველოში.

ტრადიციულ შეხედულებას, რომ შოთა იყო მესხეთიდან, კერძოდ, ასპინძის ახლო მდებარე რუსთავიდან, უკანასკნელ ხანებში შეემატა ზოგი ახალი მონაცემი. როგორც აღვნიშნეთ, ამ მხრივ ძალზე საყურადღებოა ქვაბისხევის მონასტერში არსებული მე-12 საუკუნის ფრესკა, რომელზეც გამოსახულია ჭაბუკი ფეოდალი „შოთა“ და, როგორც ჩანს, მისივე დედა „იაჲ“. ფრესკის აღმომჩენი აკად. ნ. ბერძენიშვილი ფრთხილად შენიშნავდა, არაფერი მოულოდნელი არ ჩანს, რომ აქ გამოხატულ ჭაბუკში შევიცნოთ ჩვენი პოეტი შოთა რუსთველიო (ტ. I, გვ. 228). ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებას ერთგვარად მხარს უჭერს აკად. გ. ჩუბინაშვილიც, რომელიც ამავე საუკუნით ათარიღებს აღნიშნულ მხატვრობას. შოთას პორტრეტი ქვაბისხევის ბაზილიკაში, რასაკვირველია, შემდგომი შესწავლის საგანი უნდა გახდეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენს წინ არის მე-12 საუკუნის პორტრეტული გამოსახულება, რომელსაც აწერია სახელი „შოთა!“ თანაც არ უნდა დავივიწყოთ. რომ პორტრეტი გამოსახულია ჩვენი ქვეყნის იმ კუთხეში, რომელსაც პოეტის სამშობლოდ თვლის ხალხის დიდებული ტრადიცია, ჩვენი ძველი ისტორიული წყაროები. პორტრეტი რაღაცნაირად თითქოს ეხმაურება იერუსალიმის ჯვარის მონასტერში მოპოვებულ მასალებსაც (იდენტიფიკაცია შოთა რუსთაველისა და შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა). იქნებ არც ის იყოს დასავიწყებელი, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამ კუთხის ფეოდალთაგან (სამძივარნი —

თორელნი, ჯაყელნი) იყვნენ გამოსული ის დიდებულები, რომლებსაც ეჭირათ მაღალი თანამდებობა კარის ვეზირისა— მეჭურჭლეთუხუცესობა. იქნებ აქ გამოხატულმა ჭაბუკმაც მიიღო შემდეგში ვეზირის მაღალი თანამდებობა? (იხ. ჩვენი წერილი „შოთას პორტრეტი ქვაბისხევის ბაზალიკაში“, ლიტ. გაზეთი, 1965, 14 მაისი). მაგრამ აქ მაინც უმთავრესი, ჩვენი აზრით, არის შემდეგი. ვინც არ უნდა იყოს ფრესკაზე გამოხატული ჭაბუკი, ფაქტია, რომ სახელი შოთა უკვე დადასტურებულია მე-12 საუკუნის მესხეთში.

აღსანიშნავია, რომ შოთა რუსთაველის დაკავშირება თორელთა საგვარეულო სახელთან 1927 წელს სცადა პროფ. ს. კაკაბაძემ. თუმცა შემდეგში მან იცვალა შეხედულება ამ საკითხზე (იხ. ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1961, № 1). ახლახან საგულისხმო მოსაზრებანი წამოაყენა იმავე საკითხებზე დოც. ნ. შოშიაშვილმა („ცისკარი“, 1965, № 9). მკვლევარი სწორედ თორელთა საგვარეულო სახელს უკავშირებს ვეფხისტყაოსნის ავტორს, რადგან „თამარ მეფის დროს მეჭურჭლეთუხუცესობა თორელებს უპყრიათ (შალვა თორელი), ხოლო თამარის შემდეგ XIII საუკუნეში ამ სავაზირო ხელს ხან თორელები ფლობენ, ხან ჯაყელები — სამხრეთ საქართველოს ეს ორი დიდი საგვარეულო. ხოლო თუ შოთა რუსთაველი მეჭურჭლეთუხუცესი იყო, ეს მას აახლოებს სწორედ სამხრეთ საქართველოს ამ ორ დიდ საგვარეულოსთან და, კერძოდ, თუ წინა მონაცემებს გავიხსენებთ, თორელებთან და არა ჰერეთის ერისთავებთან, რომელთაც მეჭურჭლეთუხუცესობა მხოლოდ პ. ინგოროყვამ „მიანიჭა“ (გვ. 142). ამის შემდეგ საძიებელი რჩება საკითხი, იყო თუ არა ამ ეპოქაში თორელთა საგვარეულოდან ვინმე შოთა და შეეძლო თუ არა მას (თუკი არსებობდა ასეთი პირი) მიეღო მეჭურჭლეთუხუცესის მაღალი თანამდებობა? ორივე კითხვაზე პასუხი, ვფიქრობთ, გარკვეული მიმართულებით წარმართავდა ვეფხისტყაოსნის ავტორის ბიოგრაფიის ჯერ კიდევ საძიებელ საკითხებს.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვინდა შევეხოთ ერთ დოკუმენტს, რომელიც, ჩვენი აზრით, ძალზე საყურადღებოა ამ საკითხისათვის. ეს არის რუსთველოლოგიაში კარგად ცნობილი ჭიაბერის სიგელი (დაწერილი), რომელიც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს გამოაქვეყნა თეოდო ჟორდანიამ (ქრონიკები, ტ. I.). როგორც ცნობილია, დაწერილი თამარის ეპოქას მიეკუთვნება და წარმოადგენს შეწირულების აქტს. ციხე-ქალაქ ჟინვანის (მთიულეთში, საარაგვოზე) პატრონი ჭიაბერი შიო მღვიმის ძველ-ქართულ მონასტერს სწირავს გლეხის ოჯახს (მიხითარაჲსძეებს). ჭიაბრის დაწერილს ხელს ურთავს მეფე თამარი, ქართლის კათალიკოზი, თვით მანდატურთუხუცესი ჭიაბერი. წარწერას ამოწმებს ვინმე შოთა, რომელსაც, როგორც ჩანს, მემკვიდრეობად მიუღია ეგეგე საპატრონო: „ქ. მე შოთაი, ჩემს ჟინოვნის ქონებასაც შიგა ამას ვამტკიცებ, ვითა ამას შიგან წერია“. დაწერილის მეორე მხარეს არის სხვათა ხელისმოწერაც (თ. ჟორდანიას აზრით, ესენი უფრო გვიანდელი მინაწერებია, ხოლო ს. კაკაბაძე მათ შოთას ძმებად მიიჩნევს).

ვიდრე შევეხებოდე აქ მოხსენიებული შოთას ვინაობას, ორიოდე სიტყვა თვით ჭიაბერის შესახებ. იგი „ქართლის ცხოვრებიდან“ ძალზე ცნობილი პიროვნებაა და, რაც მთავარია, დაწერილისა და მატიანეთა ცნობები აქ ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს. „ქართლის ცხოვრებით“ ჭიაბერი თამარის მამის, გიორგი III-ის გაზრდილი და მისანდო პიროვნებაა, თანამდებობით მეჯინიბეთუხუცესი, იგი ერთ-ერთი იმ ერთგულთაგანი იყო, რომლებიც მხარში ედგნენ თამარის მამას ძალზე კრიტიკულ მომენტში, როცა მის წინააღმდეგ გამოვიდა ტახტის მაძიებელი, მისივე ძმისწული დიმიტრი (დემნა) 1178 წელს. თამარის დროს ჭიაბერს ახალი აღზევება მიუღია. თამარმა მას უბოძა მანდატურთუხუცესობის მაღალი თანამდებობა (იხ-

ტორიანი და აზმანი: „და განაჩინა და უბოძა ჭიაბერს მანდატურთუხუცესობა და მისცა არგანი ოქროსა ხელთა მისთა“. ბასილი ეზოსმოძღვარი: „და შემდგომად ამისსა მოიყვანეს ჭიაბერი, კაცი მართალი და ერთგული, და მისცეს მანდატურთუხუცესობა“). ამ დროის თითქმის ყველა სახელოვან ბრძოლაში ჩანს ჭიაბერი, ხან მეწინავეთა შორის, ხან როგორც მახარებელი, გამარჯვების მაცნე. 1190-იან წლებში, მეფის კარზე გამართულ დიდ დარბაზობაზე, მისთვის მიუბოძებიათ ახალი მამულიც: „ჭიაბერსა მანდატურთუხუცესსა მიუმატეს და უბოძეს ჟინვანი, ქალაქი და ციხე. ბრავლითა მთიულეთითა“ (შდრ. ჭიაბრის დაწერილის ზემოთმოტანილ ცნობას).

ამავე დაწერილიდან ჩანს, რომ ჭიაბერის შემდეგ ხელისმომწერი შოთა არის, მისი უფროსი ვაჟი, რომელსაც მემკვიდრეობად მიუღია ჟინვანის სამფლობელი, რასაც ადასტურებს მისივე სიტყვები: „ჩემს ჟინოვნის ქონებასაც შიგა“, ე. ი. როცა მე ჟინვანს ვფლობდიო. ამასთან ქართლის ცხოვრებიდან იმასაც ვტყობილობთ, რომ ჭიაბერს ჰყავდა ვაჟები („ჭიაბერის ძენი“); რომლებიც, სხვა ახალგაზრდა დიდებულებთან ერთად, დაულოცავთ თამარის კარზე, მაგრამ ამაზე ქვემოთ. აქ კი გავყვეთ ჭიაბერისა და მისი უფროსი ვაჟის შოთას ამბავს.

როგორც ირკვევა, შემდეგში ჭიაბერისათვის მანდატურთუხუცესობა სხვა თანამდებობით შეუცვლიათ, რადგან ბასიანის ომის დროს (1204 წლისათვის) მანდატურთუხუცესად ჩანს შალვა ახალციხელი (იგივე შალვა თორელი). მაგრამ აქვე დაცულია ისეთი ცნობაც, რომელიც გარკვეულ სინათლეს სძენს ჭიაბერისა და მისი ვაჟის ვინაობას. ირკვევა, რომ ჭიაბერი, რომელიც ამ ომში წინამებრძოლთა შორის იყო, ეკუთვნოდა თორელთა საგვარეულოს. ამ ადგილას ვკითხულობთ: „წინამებრძოლად (ბასიანის ომში — ს. ც.) იყო ზაქარია მხარგრძელი ამირსპასალარი, და ორნიცა იგი ძმანი ახალციხელნი შალვა და ივანე, დაღათუ შალვა მანდატურთუხუცესი იყო, ჭიაბერი და სხუანი თორელნი, და წარემართნეს ბასიანის კერძოსა“. მაშასადამე, აქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ შალვა და ივანეს მსგავსად (შალვა და ივანე ახალციხელები სხვა წყაროებითაც თორელებად ჩანან) ჭიაბერიც თორელთა საგვარეულოს წევრია და ისევე როგორც მხარგრძელებს, სამეფო ლაშქარში მათაც ყოველთვის მეწინავეთა შორის დგომა ევალებოდათ. აღსანიშნავია, რომ ეს ადგილი ასევე ესმოდათ პროფ. ს. კაკაბაძეს (ვეფხისტყაოსნის 1927 წლის გამოცემა) და აკად. კ. კეკელიძეს, როცა მან რუსულად თარგმნა „ისტორიანი და აზმანის“ ტექსტი. საინტერესო შენიშვნა მოეპოვება გლოსაზე—„დაღათუ შალვა მანდატურთუხუცესი იყო...“ —ლევან მუსხელიშვილს. როგორც მანდატურთუხუცესს, შალვა თორელს არ ევალებოდა მეწინავეთა შორის ყოფნა, მაგრამ როგორც თორელსა და ამავე დროს საჩელგანთქმულ ვაჟკაცს მაინც „ვერ მოუსვენია და ომში გარეულა, რაც უჩვეულო იყოო“ (თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა, გვ. 37).

ჭიაბერის თორელობა მატიანის აღნიშნული ცნობის საფუძველზე ეჭვმიუტანელი ფაქტია. ამდენად თორელი ჩანს მისი ვაჟიც, აგრეთვე ჟინვანის მფლობელი-მემკვიდრე შოთაც. ხოლო თუ ამას მივიღებთ, როგორც ვხედავთ, ჩვენ უკვე აშკარად ვუახლოვდებით საძიებელ საკითხს, მაგრამ მანამდე ორიოდე სიტყვა თორელებზე და მათ საპატრონო ადგილებზე.

თორი შუა საუკუნეების ერთ-ერთი ვრცელი საფეოდალო იყო. ვახუშტის ცნობით: „ვგონებ თორელთა სამთა ამათ ხეობათა — სადგერს, გუჯარეთს და მტკვრის ხეობას, ვინათგან სახელნი და ადგილნი მათნი ეგრეთ წარმოაჩენენ“ (ვახუშტისავე შენიშვნა, გვ. 83). ამჟამად თორის სახელით შემორჩენილია ერთი პატარა, უკაცრიელი სოფელი, რომელიც, ნ. ბერძენიშვილის

აზრით, ძველი საფეოდალო ტერიტორიის ნაშთია და თვით თორის ცენტრი სხვა ადგილას უნდა ყოფილიყო გაშენებული.[1] კოდიანის მთაზე ასულს თვალწინ წარმოუდგება აღნიშნული საფეოდალო ერთეულის საზღვრები (ერჯევნის მთა, ბაკურიანის მთები, მარცხნით მტკვრის ხეობა), რომელთა შორის მოქცეულია საკმაოდ მოზრდილი ტერიტორია, ხშირი ტყით დაფარული ტაფობი. ცნობილმა არქეოლოგმა ლევან მუსხელიშვილმა, რომელმაც ერთმა პირველთაგანმა გამოიკვლია თორელთა საგვარეულო ისტორია, შენიშნა, რომ თვით თორელები უძველესი ქართული საგვარეულოს სამძივართა შთამომავლები უნდა იყვნენო.

სამძივართა გვარი უკვე მე-10 საუკუნიდან მაინც იხსენიება ჩვენს წყაროებში. მაგალითად, ექვთიმე მთაწმინდელის მიერ თარგმნილ ანდრია მოციქულის მიმოსვლაში ნახსენებია „დედაკაცი ვინმე ქურივი სამძივარი“, რომელიც აწყურში მთავრობდა თურმე (მკვლევარის აზრით, ეს ცნობა ექვთიმეს დროს მაინც ასახავს, თუ უფრო ადრეულს არა). სამძივარნი თანდათან ძალზე ცნობილი გვარი ხდება ფეოდალურ საქართველოში. გავიხსენოთ თუნდაც თამარის ისტორიიდან კარგად ცნობილი კრავაი ჯაყელი, რომელმაც ყუთლუ-არსლანის გამოსვლის დროს თავს იდვა მოციქულობა. იგი დიდი გამრეკელ-თორელის მეუღლეა და მისი შვილების „აწ მყოფთა სამძივართა“ დედა (როგორც ჩანს, სახელგანთქმული სარდლების შალვასა და ივანეს დედა, ხოლო მათი მამა დიდი გამრეკელ-თორელი ამ დროს უკვე გარდაცვლილი ყოფილა). სხვადასხვა ისტორიულ წყაროთა შეჯერებით ირკვევა, რომ ძველქართულ გვარეულობას, სამძივრებს, თორის დაუფლების შემდგომ მიულია თორელობა (თუმცა ხსოვნა, რომ ისინი მომდინარეობენ სამძივართა საგვარეულო სახელიდან, შემდგომშიც დარჩენილა). სხვათაშორის, ამავე შრომაში სავსებით დამაჯერებლად უარყოფილია ს. კაკაბაძის მოსაზრება, რომლითაც თორელები მხარგრძელთა საგვარეულოს მიეკუთვნებიან (იხ. ს. კაკაბაძე, წერილები... ტ. I, ტფ. 1914 წ. გვ. 58-65).

თორელთა მიერ თორელობის მიღების გამო ლ. მუსხელიშვილი აღნიშნავს: „თორელები, ცხადია, ამათ იმიტომ დაერქმეოდათ, რომ ისინი თორსა ჰფლობდნენ და გარკვეულ ხანაში, ალბათ, თორში ისხდნენ კიდეც. მართალია, თორის საზღვრები უძველეს ხანაში ცნობილი არაა (შესაძლებელია, მაგ, რომ X—XI საუკუნეებში თორი აწყვერსაც მოიცავდა), მაგრამ ის ცხადია, რომ ამ პროვინციაზე გადიოდა მაშინაც და დღესაც სავაჭრო და სტრატეგიულის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი ორი გზა: ერთი მტკვრის ხეობით, სამცხიდან ქართლში, და მეორე ცხრა წყაროს უღელტეხილზე, ჯავახეთიდან ქართლში. მაშასადამე, თორს, როგორც სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულს, დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, განსაკუთრებით საქართველოს გაერთიანების ხანამდე. შემდეგში თორელთა საგამგეო, როგორც ვნახავთ, ძალიან გაფართოვდა და მათი წოდება XII საუკუნიდან, არსებითად, უკვე ცარიელი ტრადიციაღა ჩანს: თორელებს ყველგან ვხედავთ მმართველგამგეებად, გარდა თვითონ თორისა“ (იქვე, გვ. 33).

ეს უკანასკნელი დებულება განსაკუთრებით საგულისხმოა ჩვენი შეხედულებისათვის. თამარის დროს თორელები განსაკუთრებით აღზევებულნი ჩანან. ამ სახელის ერთ-ერთი უფროსთაგანი შალვა თორელი მეჭურჭლეთ-უხუცესობასა და შემდეგ მანდატურთ-უხუცესობასთან ერთად, ვითარცა

1. მართლაც ძალზე საგულისხმო წარწერა შალვა ერისთავთ-ერისთავის მოხსენიებით 1947 წელს მიაკვლია აკად. ნ. ბერძენიშვილმა კიმოთესუბანში, რაც საკმაოდ შორსაა სოფ. თორისაგან. საერთოდ კი თორის მიდამოები ნაკლებ შესწავლილია და, ვფიქრობთ, ეს ხარვეზი სასურველია მალევე გამოსწორდეს.

ერისთავთ-ერისთავი, ფლობს სხვადასხვა ტერიტორიებს. მაგალითად, შალვა თორელობასთან ერთად მოიხსენიება ახალციხელად, ასევე ახალციხელად იწოდებოდა მისი ძმა ივანეც. ასევე ცნობილია ერისთავთ-ერისთავი გამრეკელ-ღობიარი, რომელიც აგრეთვე თორელი იყო და ამ ზედწოდებას ფლობდა ღობიეთის სამფლობელოს (ასპინძის მახლობლად) პატრონობის გამო (ე. მეტრეველი, „მასალები"... გვ. 75).

ყოველივე აქ თქმული ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ჭიაბერ თორელსა და მის ვაჟზე. ჭიაბერი სხვა თორელთა მსგავსად მეფის კარზე იღწვის და იღებს მამულებს „ჟინვანს მრავლითა მთიულეთითა". როგორც აღვნიშნეთ, ეს იყო ჩვეულებრივი წესი შუა საუკუნეთა ფეოდალურ საქართველოში. არამც თუ მესხეთიდან მთიულეთში, დასავლეთ საქართველოს დიდაზნაურნი სამფლობელოებს ღებულობენ აღმოსავლეთ საქართველოში, მესხეთში თუ სომხითის მიდამოებში.

მეფის კარზე ასეთივე აღზევების გზა უნდა გაევლო მის ვაჟს შოთა თორელსაც, რომელიც მამის მსგავსად ფლობდა ჟინვანის თემს. მაშასადამე, ჩვენთვის ამჯერად გარკვეულია შემდეგი: თამარის დროს თორელთა საგვარეულოში მოღვაწეობს დიდვეზირის ჭიაბერის ვაჟი შოთა თორელი. ახლა საკითხი ეხება იმას, შეეძლო თუ არა ჭიაბერის ვაჟს შოთა თორელს მიეღო მეჭურჭლეთუხუცესობა და აგრეთვე რუსთველის ზედწოდება.

დავიწყოთ პირველით. ჩვენ ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ სახელო მეჭურჭლეთუხუცესისა თამარის დროიდან მოკიდებული ეპყრათ სამხრეთ საქართველოს ორ დიდ საგვარეულოს: თორელებსა და ჯაყელებს (როგორც ბექა ჯაყელისა და კახა თორელის კეთილმოყვრობის წიგნიდან ჩანს, ეს ორი გვარი თავიდანვე ენათესავებოდა ერთურთს. იხ. საქ. სიძვ. II, გვ. 7-8). მაგალითად, ქართლის ამირა აბულასანის შემდგომ (1191 წ.) მეჭურჭლეთუხუცესი არის შალვა თორელი (1205 წლამდე), ხოლო ჯაყელებმა ეს სახელო უფრო გვიან, 1220-იანი წლებიდან, შეიძინეს მხოლოდ. როგორც ნ. შოშიაშვილმა გაარკვია ზემოთდასახელებულ წერილში, 1205-1220 წლებში მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა ვაკანტურია. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ იგივე სახელო ამ წლებიდან შეიძინეს მანამდე მანდატურთუხუცესად მყოფმა ჭიაბერმა ან მისმა ვაჟმა შოთა თორელმა? სხვა პრეტენდენტი ამ ხანებში, წყაროების მიხედვით, არ ჩანს.

ასევე ვარაუდის სახით შესაძლოა გავცეთ პასუხი მეორე კითხვასაც. შოთა თორელს მეჭურჭლეთუხუცესობის გარდა ადრევე შეეძლო მიეღო ზედწოდებად რუსთველობა. აქ ანალოგიად გამოგვადგება კვლავ თორელთა საგვარეულოს წევრთა ახალი გვარები. გამრეკელ-თორელი ატარებს ზედწოდებას „ღობიარი", რადგან იგი თორელობასთან ერთად ფლობდა აღნიშნულ სამფლობელოს. ასევე ახალციხელობა მიიღო შალვა თორელმა და ა. შ. გავიხსენოთ, რომ მესხეთის რუსთავი ამ ხანებში სწორედ თორელთა სამფლობელოებში შედიოდა. შოთა თორელს, რომელიც, ყველაფრიდან ჩანს, იყო ახლო ნათესავი შალვა თორელ-ახალციხელისა, შესაძლოა სამამულედ ადრევე მისცემოდა მესხეთის ციხე-ქალაქი რუსთავი. აქედან კი ბუნებრივია წარმოსდგა მისი ახალი ზედწოდება — რუსთველი. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში არც ის არის გამორიცხული, რომ თბილისში სამეფო კარზე სამსახურში მყოფ ჭიაბერს და მის ვაჟს შოთას თბილისთან ახლოს მდებარე რუსთავის მფლობელობაც მიეღოთ და აქედან მიეღო შოთა თორელს რუსთველობაც (პრეცენდენტი, რომ ჟინვანის მფლობელს თბილისთან ახლოს მდებარე რუსთავიც ჰქონოდა ხელთ, ამ ხანებში ნამდვილად იყო. მაგალითად, მეჭურჭლეთუხუცეს აბულასანს ხელთ ეპყრა ორივე ეს სამფლობელო — (იხ. ლურჯი მონასტრის წარწერა). მაგრამ წყაროებით ამ ხანე-

ბში თბილისის რუსთავს სხვა პატრონი ჰყავს (ზაქარია მხარგრძელი, რომელმაც რუსთავი შეიმატა 1191 წლიდან— (იხ. ქართ. ცხ. ტ. II, გვ. 55) და ჩვენ არ ვიცით, რამდენ ხანს ფლობდა იგი ამ ადგილს. ამდენად, ეს მეორე ვარაუდი ჯერჯერობით უფრო სათუოდ გვეჩვენება. **მაშასადამე, უფრო რეალური ჩანს იმის დაშვება, რომ შოთა თორელმა, შემდეგში მეჭურჭლეთუხუცესმა, რუსთველობა მიიღო თორშივე შემავალი რუსთავისაგან,** რომელიც მას ალბათ, როგორც თორელთა საგვარეულოს წევრს, სამამულედ ებოძა.

ახლა ორიოდე სიტყვით რომ აღვნიშნოთ ყოველივე ზემოთქმული, მივიღებთ შემდეგ სურათს: ვეფხისტყაოსნის ავტორი არის თამარის დროის დიდი პოლიტიკური მოღვაწე შოთა რუსთაველი. თამარის დროსვე მომხდარა მისი აღზევება და მას ეკავა ერთ-ერთი დიდვეზირის სახელო—მეჭურჭლეთუხუცესობა. იგი, საფიქრებელია, მხარში ედგა თამარს საქართველოს ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში (საინტერესოა, რომ თამარის ყველა ბრძოლის მონაწილედ გულისხმობს რუსთაველს არჩილ მეფე. იხ. მისი „თეიმურაზიანი“).

შოთა რუსთაველს, მეჭურჭლეთუხუცესს, როგორც ჩანს, თავისი წვლილი შეუტანია იერუსალიმის ქართული სავანის, ჯვარის მონასტრის გამშვენიერების საქმეში, რისთვისაც იგი ამავე მონასტერში გამოუხატავთ და თანამდებობის აღნიშვნით შეუტანიათ მოსახსენიებელთა წიგნში. ამასთან საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ შოთა წარმოშობით იყო მესხეთიდან, იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურად და კულტურულად ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე კუთხიდან (ამის საბუთები წარმოდგენილი იყო ზემოთ, ტრადიციული შეხედულების განხილვის დროს).

ჩვენი აზრით, მართებული ჩანს ჩვენ მიერ აქ წარმოდგენილი ჰიპოტეზაც, რომელიც უფრო აზუსტებს ტრადიციულ შეხედულებას. შოთა იყო **თორელი (მესხი)** დიდებულის ჭიაბერის ვაჟი და მამამისის კვალობაზე მასაც დაუმსახურებია თამარის [illegible] პატივი და მაღალი თანამდებობა. [illegible] ძოდ, იგი მეჭურჭლეთუხუცესად დაუნიშნავთ 1205-1220 წლებში. სხვა სახელგანთქმულ თორელებთან ერთად, საფიქრებელია, მასაც არაერთხელ უბრძოლია ქართული ლაშქრის მეწინავეთა რიგებში. დასასრულ, **რუსთველობა მას მიუღია ვითარცა ზედწოდება თორელთა სამფლობელოში შემავალი, იმ დროისათვის, ალბათ, ციხე-სიმაგრედ ქცეული მესხეთის რუსთავიდან.**

ვარაუდის სახით შესაძლოა დადგინდეს შოთას დაბადების თარიღიც. ამისთვის კვლავ ქართლის ცხოვრებასა და თვით პოემის რეალიებს უნდა მივმართოთ. 1190-იან წლებში, თამარის კარზე საზეიმო ცერემონიალზე დაულოცავთ სხვა დიდგვაროვან ახალგაზრდებთან ერთად „ჭიაბერის ძენიც“, თუ ზემოთმოტანილ ვარაუდს დავუშვებთ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მათ შორის იყო ჭიაბერის ვაჟი შოთაც, საფიქრებელია 25-30 წლის ჭაბუკი. მაშინ იგი დაბადებული ჩანს დაახლოებით 1160-1165 წლებში. პ. ინგოროყვას აზრით, შოთა თამარზე 6 წლით უფროსი უნდა ყოფილიყო, ისევე როგორც ვეფხისტყაოსნის გმირი ტარიელი ნესტანზე— და ამაში ჩანს არის ერთგვარი მინიშნება. თამარის დაბადებას ისტორიკოსები ვარაუდობენ 1168-1172 წლებზე. ამდენად, ეს თარიღიც თანხვდება შოთას დაბადების წლებს, რომლებიც, რასაკვირველია, დაახლოებით შეიძლება მოიხაზოს. შოთას გარდაცვალების წლები ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. თუმცა თუ მის მეჭურჭლეთუხუცესობას 1220-იან წლებამდე ვივარაუდებთ (შემდეგ უკვე ყვარყვარე ჯაყელი ჩანს ამ ადგილზე), შესაძლოა დავუშვათ, რომ რუსთაველი გარდაიცვალა არა უგვიანეს მე-13 საუკუნის პირველი მეოთხედისა. საგულისხმოა, რომ ამ დროზე ვარაუდობენ შოთას იერუსალიმში ყოფნასაც.

ასეთი ჩანს ძირითად ხაზებში შოთა რუსთაველის ცხოვრების ქრონოლოგია.

ჩვენ ხელთ არსებული ისტორიული წყაროები ჯერჯერობით ამაზე შორს წასვლის უფლებას არ გვაძლევენ. თანაც ეს არის მაინც ფაქტები და მშრალი თარიღები, რომელთა იქით იმალება დიდებული სახე ჩვენი პოეტისა. ამიტომ არის, რომ ქართველი ხალხის ფანტაზიამ, თქმულებებისა და გადმოცემების სახით, ხორცი შეასხა, სულ სხვა ელფერი მისცა მგოსანთა-მგოსნის, დიდი რუსთაველის შარავანდედით მოსილ პიროვნებას.

ხალხური გადმოცემით, შოთა მესხეთიდან იყო, სოფელ რუსთავიდან, იგი სახელოვანი გვარის შვილია (თუმცა ზოგი თქმულება პოეტს დაბალ წრეს უკავშირებს და ამით ხაზს უსვამს რუსთაველის პოემის ხალხურობის სათავეს). პოეტს აღზრდა აქვე, საქართველოში მიუღია, თბილისიდან იგი იყალთოს აკადემიაში გამგზავრებულა, სადაც თითქოს იწვრთნებოდა სახელგანთქმული ქართველი ფილოსოფოსის ხელმძღვანელობით (ზოგი გადმოცემით, არსენ იყალთოელი, მაგრამ შოთას დროს არსენი უკვე გარდაცვლილი იყო). პოეტს სწავლა საბერძნეთში გაუგრძელებია (მართლაც, ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროიდან მოკიდებული ქართველი ახალგაზრდები იგზავნებოდნენ საბერძნეთში არსებულ ქართულ სავანეებში — ათონში, ოლიმპოს მთაზე და ა. შ.). პოეტს შეუსწავლია ბერძნული, არაბული და სპარსული ენები, ამ ენებზე არსებული მწერლობა და ფილოსოფია. ამის უტყუარი მოწმეა თვით „ვეფხისტყაოსანი", რომელიც პოეტის განათლების ხარისხზე ნათელ წარმოდგენას გვაწვდის.

განათლებული, მშვენიერი აღნაგობისა და რაინდულ თვისებათა მქონე რუსთაველი თამარის კარზე მაღალ თანამდებობაზე დაუნიშნავთ, ზოგი თქმულებით, იგი მეჭურჭლეთუხუცესია ან მოლარეთუხუცესი, ზოგით, მას ეპყრა მწიგნობართუხუცესის სახელო. როგორც ვნახეთ, ისტორიული წყაროები და მეტი წილი ლიტერატურული ხასიათის ცნობები ამ შემთხვევაში მხარს უჭერენ სწორედ პოეტის მეჭურჭლეთუხუცესობას. საინტერესოა, რომ ამ თანამდებობის პირი ჩვენში ყოველთვის ახლოს იყო არა მარტო ფეოდალურ არისტოკრატიასთან, არამედ უკვე მომძლავრებულ ვაჭართა ფენასა და საერთოდ, ქალაქის სხვა ფენებთან. მაგალითად, ცნობილია ამ თანამდებობის პირები აბულასანი, ყურთლუ-არსლანი, კახა თორელი და სხვები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქალაქო ცხოვრებაში.

ამასვე მოწმობს გარკვეულად თვით ვეფხისტყაოსნის მონაცემებიც, სადაც ჩანს, თუ რა ახლოს იცნობს მისი ავტორი ვაჭართა ცხოვრებას, მათ ზნე-ჩვეულებებსა და აღებ-მიცემობის წესებს. ამ მხრივ ნიშანდობლივია პოემაში წარმოდგენილი ვაჭართა ქალაქი, რომლის მკვიდრნი არაჩვეულებრივი რეალიზმით არიან დახატულნი (თუმცა, როგორც ცნობილია, პოეტი საერთოდ ირონიით ეკიდება ამ ფენას).

თქმულებებისა და გადმოცემების უმეტესობა პოეტს რაღაც განსაკუთრებული დაინებით უკავშირებს თამარის სახელს. რუსთაველი თამარისადმი ამაღლებული სიყვარულით ყოფილა შეპყრობილი. თამარი იყო მისი პოეზიის შთაგონება. ამის საბაბს გარკვეულად იძლევა ვეფხისტყაოსნის პროლოგი, რომელშიც ზოგჯერ პირდაპირ, ხოლო ზოგჯერ მეტაფორულად არის გამოთქმული ეგევე აზრი (პოემის წერისას პოეტს თამარის თვალივით შავი შელანი უხმარია, ხოლო ხელთ თამარის ტანივით ნარნარი კალამი ჰქონია). თქმულებებს ამ საგანზე რამდენიმე რომანტიული ვერსიაც მოეძებნება. რუსთაველი ამ სიყვარულის გამო ველად გაჭრილა (ველად გაჭრა, როგორც რაინდული წესის აღსრულება — იხ. ვეფხისტყაოსანი), ხოლო ზოგი ვერსიით, პოეტი სამშობლოდან გაუძევებიათ. ამჟამად არ ჩანს ამ ვერსიის რეალური წყარო და არც საერთოდ პოეტის გაძევების რაიმე მიზეზი, მაგრამ

საფიქრებელია, რომ პოეტი შემდეგში უცხოეთში მართლაც გამგზავრებულიყოს (გავიხსენოთ იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მოხატვის ამბავი). მაგრამ ასეთი ვერსიის წარმოშობას გარკვეულად უწყობს ხელს თვით ვეფხისტყაოსანიც, რომელშიც ჩანს ავტორის მიერ მაშინდელი მსოფლიოს შესანიშნავი ცოდნა, ფართო გეოგრაფიული ჰორიზონტი. სამშობლოდან გადახვეწილი კაცის ხმა ისმის ავთანდილის უბრწყინვალეს კოსმიურ სიმღერაში, რომელიც მკითხველს უეჭველად მისი ავტორის ძალზე მწარე ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე მიანიშნებს.

ძველთაგანვე შემუშავებული აზრით, მოგზაურობა, უცხო ქვეყნების ნახვა, ადამიანის ცოდნისა და გამოცდილების უპირველესი წყაროა. ამავე შეხედულებით, მით უფრო წარმოუდგენელია ბრძენი-პოეტი და ფილოსოფოსი, რომელსაც თავის თვალით არ უნახავს მსოფლიოს ყველაზე საკვირველი მხარეები. ასეთი მოგზაური-პოეტის სახე ადრევე შემუშავებულა ჩვენს მწერლობაში. საგულისხმოა, მაგალითად, ჩახრუხაძის ოდებში გადმოცემული მოგზაური პოეტის სახე, რომელსაც მოუვლია მთელი მსოფლიო, ათასგვარი თავგადასავალი გადახდენია (მათ შორის რომანტიული ამბავიც), ლექსებით გასჯიბრებია სხვა მეფეთა კარზე მყოფ პოეტებს და ცოდნა-გამოცდილებით აღსავსეს სამშობლოსაკენ დაუპირებია გამომგზავრება. ჩვენს მეცნიერებაში აღნიშნულია, რომ პოეტი-მოგზაურის სახე გარკვეულად ეხმაურება შოთა რუსთაველზე წარმოშობილ ხალხურ ვერსიებს.

სახალხო მთქმელებმა შოთას ჰუმანიზმს თავისებური დემოკრატიული მიმართულება მიანიჭეს. მართალია, შოთა მაღალი წრიდან იყო, მაგრამ იგი მაინც ყველაზე მაღლა პირად ღირსებას აყენებდა. ამ საფუძველზე შეიქმნა ბრწყინვალე თქმულება, რომელიც გადმოგვცემს შემდეგ ამბავს. ერთ დიდ პოეტურ ტურნირზე თამარს დაუსვამს ასეთი შეკითხვა: რა უფრო ამშვენებს ადამიანს, წარმომავლობა თუ პირადი ღირსებაო. ზოგს რა უპასუხნია და ზოგს რა. მათი აზრით, გვარიშვილობა ადამიანის უპირველესი საუნჯეა, რადგან კაცი გვარიშვილობით ფასდება. მხოლოდ რუსთაველს გამოუთქვამს საწინააღმდეგო აზრი, რომელიც შემონახულია ბრწყინვალე სტრიქონებით:

„ფილოსოფოსნი შემოკრბენ, ამაზე ჰქონდათ ცილობა:
პატრონი ყმასა ასაქმებს და ჰკუას — გამოცდილება,
ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა,
თუ კაცი თვითონ არ ვარგა, რას არგებს გვარიშვილობა!“.

ხალხის გადმოცემით, თამარს მოსწონებია და შესაფერად დაუჯილდოებია კიდეც მგოსანთა-მგოსანი.

ქართველი ხალხის ცნობიერებაში რუსთაველის სახელი შესულია როგორც სიკეთისა და სილამაზის, სპეტაკი სიყვარულისა და ვაჟკაცობის უმაღლესი სიმბოლო.

რუსთაველის ადრეულ თხზულებებს ჩვენამდე არ მოუღწევია, ისევე როგორც ამავე ეპოქის სხვა ლიტერატურულ ძეგლებს, რომელთა არსებობაზე საკმაო რაოდენობის დოკუმენტური ცნობები არსებობს. ყველაფრიდან ჩანს, რომ ვეფხისტყაოსანი რუსთაველის ერთ-ერთი ნაწარმოები არ არის. ვეფხისტყაოსანი, როგორც ვნახავთ, დაახლოებით 35-40 წლის ასაკში უნდა შეექმნა პოეტს, ვითარცა დიდი პოეტური წრთობის შედეგი. თამარის ეპოქის შემდეგ ჩვენ ქვეყანას საშინელმა ქარიშხლებმა გადაუარეს და, ალბათ, ვეფხისტყაოსნისადმი უდიდესი სიყვარული რომ არა, იქნებ სრული სახით არც მას მოეღწია ახალ საუკუნეებამდე (როგორც ცნობილია, ზოგი თხზულება სრულიად შემთხვევით არის გადარჩენილი, მაგალითად, ისეთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლი, როგორიცაა გიორგი მერჩულეს ჰაგიოგრაფიული თხზულება, მხოლოდ ერთი ხელნაწერითაა ჩვენამდე მოღწეული).

სხვადასხვა ისტორიულ-ლიტერატურული წყაროები თუ ხალხური გადმოცემები ვეფხისტყაოსნის ავტორს სხვა თხზულებებსაც მიაწერენ. მაგრამ ყველაზე სანდო მაინც თვით პოემის ავტორის ცნობაა. ვეფხისტყაოსნამდე მას დაუწერია თამარისადმი მიძღვნილი სამქებრო პოემა (ან იქნებ ლირიკული ხასიათის ოდები), რაზეც პროლოგში პირდაპირ არის საუბარი. პოეტს ერთი რამ უნდა იტაცებდეს, ერთი უნდა იყოს მისი ქების საგანი. მეც მხოლოდ ერთს ვუძღვნი ჩემს ქებას (თამარს ვაქებ) და მასზე ადრეც მითქვამს ქების სიტყვებიო („ჩემი აწ სცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია").

ნ. მარის აზრით, პოეტის ეს ადრეული ნაწარმოები, ანუ თამარის ქება არის ჩვენამდე მოღწეული სახოტბო კრებული „თამარიანი", მაგრამ ეს მოსაზრება შემდეგში არ იქნა გაზიარებული. „თამარიანი" იმავე ეპოქის პოეტს ჩახრუხაძეს ეკუთვნის, ხოლო რუსთაველის სამქებრო პოემას, როგორც ჩანს, ჩვენ დრომდე ვეღარ მოუღწევია.

ანტონ კათალიკოზი (1720-1788 წ.) რუსთაველს მიაწერდა თამარის ცხოვრების ისტორიის დაწერას. დღეს არ არის ზუსტად გარკვეული თუ, კერძოდ, რომელი ისტორია ეკუთვნის შოთა რუსთაველს (თამარის ეპოქას აღწერს რამდენიმე მემატიანე). რუსთაველს მიეწერება აგრეთვე რამდენიმე სასულიერო შინაარსის ჰიმნი. ფიქრობენ, რომ მასვე ჰქონია რომანტიული ხასიათის პოემა მსოფლიოში საკმაოდ გავრცელებულ სიუჟეტზე იოსებ მშვენიერის შესახებ (პ. ინგოროყვა). ხალხური გადმოცემით, შოთას ნათქვამია შესანიშნავი მუნასიბი (ექსპრომტი), რომელშიც განდიდებულია კაცის პირადი ღირსება (ეს ლექსი ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ).

აღსანიშნავია, რომ ამ ლექსის ავტორად (სტილზე დაკვირვებით და მასში გამოთქმული შეხედულების გამო) რუსთაველი მიაჩნდათ დიდ ქართველ პოეტს აკაკი წერეთელს, აკად. ნ. მარს და სხვა ქართველ მწერლებსა და მეცნიერებს.

ვეფხისტყაოსნის დათარიღების საკითხი ფაქტიურად გადაწყვეტილია პოეტის ცხოვრების ქრონოლოგიის აღდგენის შემდგომ. იგი თამარის თანამედროვეა, მის მშვენიერ ღირსებათა თაყვანისმცემელი და გადატანით (ანუ, როგორც პოეტი ამბობს, „შეფარვით") პოემაც სწორედ თამარისადმია მიძღვნილი. ზოგადად ამასვე ადასტურებს პოემაში წარმოდგენილი სინამდვილეც: გმირთა მოქმედების ასპარეზი ძალზე ფართო გეოგრაფიულ არეებს მოიცავს. აქ ნახსენებია აზიისა და ახლო აღმოსავლეთის თითქმის ყველა სახელმწიფო, მაგრამ ერთი სიტყვაც არ არის დაძრული ისტორიის ახალ დიდ ტალღაზე, მონღოლთა უზარმაზარ სახელმწიფოზე, რომელთა სახელს ჩვენი მატიანეები 1220-იანი წლებიდან უკვე კარგად იცნობენ. ამ სახის ისტორიული ანალოგიები სხვაც არის, მაგრამ უფრო დამაზუსტებელ ცნობებს ჩვენ თვით პოემის პროლოგი გვაწვდის. პოეტის ცოცხალ თანამედროვეთა შორის თამართან ერთად შექებულია მისი მეუღლე დავით სოსლანი. თამარისა და დავითის ზეობის ხანა მოდის 1189-1207 წლებზე (დავითი და თამარი შეუღლდნენ 1189 წელს, დავითი გარდაიცვალა თამარზე ადრე, 1207 წელს). უფრო ზუსტად კი ვეფხისტყაოსნის დაწერა ამ თარიღის ბოლო წლებზე მოდის, რადგან უნდა გავიხსენოთ, რომ ზემოთმოხსენიებულ საგმირო-საფალავნო რომანს „ამირან-დარეჯანიანს" და სარგის თმოგველის „დილარგეთიანს" იცნობს ჩახრუხაძის „თამარიანი". ამავე თხზულებათა პერსონაჟებს ახსენებს თამარის ისტორიკოსი („ისტორიანი და აზმანის" ავტორი), მაგრამ არცერთი ეს თხზულება არ ასახელებს ვეფხისტყაოსნის გმირებს. უკანასკნელი გამოკვლევებით, „თამარიანი" დაწერილი უნდა იყოს 1205 წლისათვის (რადგან აქ თამარის დროის უკანასკნელ ამბავთაგან ასახულია რუქნადინის დამა-

რცხება ბასიანის ომში იხ. ივ. ლოლაშვილის გამოკვლევა). მაშასადამე, ვეფხისტყაოსანი დასრულებული უნდა ყოფილიყო 1205-1207 წლისათვის. ასე რომ, სრულ სიმართლეს შეიცავს პოემაზე დართული ბიბლიოგრაფიული ხასიათის სტროფი, სადაც ვეფხისტყაოსანი ქრონოლოგიურად კლასიკური ხანის ერთ-ერთი უგვიანესი ნაწარმოებია. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორი კარგად იცნობს ნიზამი განჯელის პოემას „ლეილი და მაჯნუნი", რომელიც დაიწერა 1188 წელს და ა. შ. ამასვე უჭერს მხარს ის გარემოება, რომ ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა სახელები უკვე მე-13 საუკუნის 30-იან წლებიდანვე პოპულარულნი ხდებიან. მაგალითად, ნ. მარმა აღნიშნა, რომ სახელი ტარიელი ერთ-ერთ ეპიგრაფიკულ წარწერაში გვხვდება ამავე საუკუნის შუა წლებში. შემდეგში, ვეფხისტყაოსნის პოპულარობის ზრდასთან ერთად, არაჩვეულებრივად გავრცელდა ხალხში ვეფხისტყაოსნის გმირთა სახელები და უპირველესი ადგილი დაიკავა ქართულ ონომასტიკონში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲐᲜᲐ ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲞᲔᲢᲠᲘᲬᲘᲡ ᲔᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ

შოთა რუსთაველის იუბილესათვის მზადების დღეებში, ბუნებრივია, დიდ ინტერესს იწვევს ვეფხისტყაოსნისდროინდელი ლიტერატურული ძეგლების, რუსთაველის ეპოქის მოაზროვნეების მემკვიდრეობის შესწავლა.

იმ დროის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა იოანე პეტრიწი. პეტრიწის მემკვიდრეობის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო რუსთაველის ეპოქის აზროვნების, არამედ ვეფხისტყაოსნის პოეტიკის, ენისა და სტილის ღრმა გაგებისათვისაც.

იოანე პეტრიწის ენა და სტილი ყოველთვის იქცევდა და იქცევს მკვლევართა ყურადღებას.

ტრადიციული შეხედულების მიხედვით, რომელსაც სათავე ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში დაედო, იოანე პეტრიწის ენა არაჩვეულებრივად ხელოვნური, რთული და გაუგებარია. ეს აზრი შემუშავებულია, ერთი მხრივ, იოანე პეტრიწის ენის ზერელე გაცნობით, თუ შეიძლება ითქვას, პირველი შთაბეჭდილებით, და პეტრიწის მიერ თარგმნილ ფილოსოფიურ თხზულებათა შინაარსის სირთულით. შინაარსი არცთუ ისე ადვილი გასაგები იყო: სირთულე კი მექანიკურად მიაწერეს მწერლის ენას. მეორე მხრივ, ეს შეხედულება ეყრდნობა ძველი ქართულის სხვა ძეგლების ენისაგან იოანე პეტრიწის ენის აშკარა განსხვავებას. როგორც ჩანს, ესაა მიზეზი იოანე პეტრიწის ენის ხელოვნურად მიჩნევისა[1].

გარდა ამისა, იოანე პეტრიწის ენის ხელოვნურობის შესახებ აზრის გავრცელებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მისმა მიმდევრებმა, ე. წ. პეტრიწონული სკოლის წარმომადგენლებმა, უკიდურესობამდე მიიყვანეს პეტრიწის მიერ გამომუშავებული სტილი, რომელიც სპეციალური ტერმინოლოგიითა და სინტაქსური კონსტრუქციების თავისებურებებით ხასიათდება. მაგრამ განსხვავებით პეტრიწისაგან, ისინი სტილისტურ საშუალებებს თვითმიზნურად, სამკაულად, ეფექტისათვის იყენებდნენ. აი რას შენიშნავს აკად. კ. კეკელიძე ერთი უცნობი კანონიკური კრებულის მთარგმნელის შესახებ, რომლის ენაც, „უკიდურესობამდე მიყვანილი პეტრიწონული“, მეტად ხელოვნურია და რთული: „მთარგმნელი ცდილობს მოაწონოს მკითხველს თავისი შრომა სტილის ვირტუოზობით. ის მიმართავს გრძელ პერიოდებს, იქამდე გრძელს, რომ წაიკითხავთ მთელ გვერდს და ვერ გაიგებთ, სად თავდება ერთი წინადადება და სად იწყება მეორე... ხელოვნურია სიტყვების წარმოება, ხშირად ვერ მივხვდებით, რომელი ძირიდანაა ნაწარმოები ესა თუ ის სახელი ან ზმნა“[1].

იოანე პეტრიწის შრომებში ვერ ვნახავთ ვერც სტილის ვირტუოზობის ჩვენებით გატაცებას და ვერც იმგვარ გაუგებრობებს, რომელთაც პეტრიწონული სკოლის ამ წარმომადგენლის ენაში ვხვდებით. იოანე პეტრიწისათვის მთავარია ნააზრევის შინაარსი, და ფორმაც მთლიანად მის სამსახურშია.

იოანე პეტრიწის ენის შესახებ მცდარი გაგების გავრცელებას ხელი შეუწყეს ანტონ პირველმა და მისმა მიმდევრებმაც. „გავრცელებულია აზრი, თითქოს ანტონ პირველის დროს მისი „სამი სტილის თეორიის“ წყალობით იოანე პეტრიწის რთული და მძიმე ენა გახდა მისაბაძი. სინამდვილეში ანტონი და მისი მიმდევრები ისევე, როგორც პეტრიწონული სკოლის სხვა წარმომადგენლები, მეტად მდარე მიმდევრები იყვნენ იოანე პეტრიწისა. ანტონის სკოლამ გააბატონა ენა, მართლაც, „ღვლარეწილი“ უაღრესად რთული და ხელოვნური. ანტონის ენა თვითმიზნურად შექმნილი და გაუგებარი ფორმებითაა დამძიმებული და გადატვირთული, იგი ვერ გაუსწორდება პეტრიწის უდიდესი გამომსახველობითი ძალის მქონე ენას, რომელიც თავისი დროისათვის უჩვეულოს და ქართული ენის სტრუქტურისათვის არაბუნებრივ ფორმებს არ შეიცავს. იოანე პეტრიწი მის მიერ შექმნილი ფორმების გამოყენებისას დიდ სიფრთხილეს იჩენს. მისი ყოველი ახალი ტერმინი და სინონიმი ღრმა გააზრების შედეგია. იოანე პეტრიწის მიმდევრები კი მისი ენის მხო-

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1. 1951, გვ. 273.

[1] კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1963, IX, გვ. 17-18.

ლოდ გარეგნული მხარეს მექანიკური მიმბაძველები არიან.

* * *

თავისი ენის ორიგინალობის გასაღებს იოანე პეტრიწი თვითონვე იძლევა პროკლე დიადოხოსის „კავშირნის"[1] თარგმანის ბოლოსიტყვაობაში, სადაც ავტორი საკმაოდ ვრცლად გადმოგვცემს და ასაბუთებს თავის მთარგმნელობითს პრინციპებს: ის ისეთი „ღრამატიკოსობის მსურველია, რომელიც ენიდან ყოველგვარ „ბარბაროზებრიობას" განდევნის და „თანამებრძოლი" და „შემწე" იქნება „ელადელთა ენისა" „და გამოაჩინებს, თუ ვითარ ჯერ არს გამოთქუმა". ამიტომ მან მიზნად დაისახა, შეექმნა ენა, „გალექსებული და მესხურ მდაბრიონთაგან"[2]. ქართველთაგან რომ შეწევნა და თანადგომა მქონოდა, ქართულ ენას ბერძნულის კვალად გავაწყობდი და ფილოსოფიურ ხედვასაც არისტოტელესებურად გადმოვცემდი, ახლა კი „შეძლებისამებრ ძალისა ჩემისა" ვეცდები ამას, რადგანაც ყოველივე ზემოთქმულს ისიც დაერთო („დაეთანაა"), რომ ჩვენში „ადვილთა და ჩუენულთა სათარგმანოთა" მხატვრულად თხზავს და გადმოღებას არიან მიჩვეულნი, რთული აზროვნებითი და ფილოსოფიური თხზულებების თარგმნისას კი მე სიმარტივის დაცვის მომხრე ვიყავი მხოლოდ მანამ, სანამ „მეტითა სილიტონითა დაშლად და ვნებად გონებასა არ შეემთხუენოდის"[3], რადგანაც შთელი ჩემი ყურადღება მიმართულია ნააზრევისა და თეორიის სწორად და ზუსტად გადმოცემისაკენ, იქნება ეს ლოგიკა, ბუნებისმეტყველება თუ ღვთისმეტყველება.

როგორც ვხედავთ, იოანე პეტრიწისათვის მთავარია ფილოსოფიური ნააზრევის ზუსტად და დაუმახინჯებლად გადმოცემა, რისთვისაც, მისი აზრით, აუცილებელია სპეციალური, „მდაბრიონთაგან" და „ჩვეულებრივ სათარგმანოთაგან" განსხვავებული ენის შემუშავება. ფილოსოფიური აზროვნებისათვის დამახასიათებელია ზოგადი ცნებები, აბსტრაქტული, განზოგადებული მსჯელობები, რომელთა გამოხატვისათვის, ცხადია, სპეციალური ტერმინოლოგიაა საჭირო. თავის ამ ძირითად მთარგმნელობით პრინციპს პეტრიწი თანმიმდევრული, დამაჯერებელი მსჯელობით ასაბუთებს. მისი თარგმანის ენაც ამ ძირითად პრინციპს ემორჩილება. პეტრიწი არ არის მარტივი ენით თხზვის წინააღმდეგი, მაგრამ როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, მხოლოდ გარკვეულ საზღვრამდე: სანამ აზრს „ვნება და დაშლა" არ შეემთხვევა, იოანე პეტრიწის ამ სიტყვების დასადასტურებლად საკმარისია მოვიყვანოთ მისივე წინასიტყვაობიდან პროკლე დიადოხოსის ბიოგრაფიის შემცველი პატარა ნაწყვეტი „ესე პროკლე, მონაცვალე საყდარსა საღმრთოებსა პლატონისსა, იყო ტომით ეონიელი, შვილი დიდად დიდთა გუარითა, რომელთა არა ესუა შვილი და ლოცვათა მიერ სამარადისოდ ჰრეკდეს საყდართა ღმრთისა წყალობისათა, ვინაჲ ეუწყა მათ საღმრთოებსა მიერ საუწყოებსა, ვითარმედ „მოგეცეს თქუენ წული ყრმაჲ, რომელმან წარვლნეს ყოველნი ჰასაკნი ხედვასა შინა ზესთა ნაწილისასა"[1] და სხვ. ავტორი მარტივი თხრობით გადმოგვცემს პროკლეს ვინაობასა და მოღვაწეობას. ენობრივად ეს ნაწყვეტი დიდად არაფრით განსხვავდება რომელიმე ჰაგიოგრაფიული ძეგლის ენისაგან, სადაც წმიდანთა ან მოღვაწეთა ცხოვრებაა გადმოცემული. „ბუნებისათვის კაცისა"-ში, რომელშიც პროკლეს თხზულებასთან შედარებით უფრო მარტივი საკითხებია განხილული და ამიტომ ენაც შედარებით მარტივია, გასაგები და ნათელი ენითაა მოთხრობილი ცნობილი ამბავი პოეტის მკვლელობისა, რომლის მოწმე წეროებმა გასცეს მისი მკვლელები[2].

როდესაც იოანე პეტრიწი ისეთ რთულ საკითხზე მსჯელობს, რომელიც მკითხველისაგან სპეციალურ მომზადებას მოითხოვს, მისი ენა გაუგებარია, მაგრამ როდესაც იმავე ენით იგი მკითხველისათვის ნაცნობ საკითხებს აშუქებს, მისი ენა არც თუ ისე ძნელი გასაგები. ამის დასადასტურებლად „კავშირნის" განმარტებიდან მოვიყვანთ ერთ მაგალითს, სადაც იოანე პეტრიწი კონკრეტულ და აბსტრაქტულ ცნებებს შორის განსხვავებას მოხერხებული სახეებისა და შედარებების საშუალებით შესანიშნავად ხსნის: „სხუაჲ არს ორი და სხუაჲ ორობაჲ ვითარცა კაცი და კაცებაჲ, რამეთუ კაცი ნაწილ და ნაწილთა მიერ შედგმულ, ვიტყუ ნაწილად კაცისად ცხოველსა სიტყუერსა, მოკუდავსა, გონებისა და ზედმიწევნილებისა შემწყნარებელსა. აწ ესე ნაწილნი სხუა და სხუა არიან, ხოლო შეკრებენ რაჲ და საზღვარმან შემოცვნეს, იქმნებიან ვითარცა ერთისა გუარისა დამტევნენი და ვითარცა მრავალნი ერთქმნი-

---

[1] იოანე პეტრიწი პროკლე დიადოხოსის შრომის სათაურს „Στοιχείωσις θεολογική" რაც ნიშნავს „ღვთისმეტყველებითი საწყისები", ან „ღვთისმეტყველების საფუძვლები" (ნ. მარის თარგმანით «Богословские начала»). თარგმნის: „კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი", სადაც „კავშირნი" ნახმარია ელემენტების, საწყისების მნიშვნელობით.

[2] იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II, 1937, გვ. 220.

[3] იქვე, გვ. 222.

[1] შრომები, ტ. II, გვ. 4.

[2] ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვს კაცისა, გამოსცა ს. გორგაძემ, ტფილისი, 1941 წ.

ლნი"[1] ან კიდევ: „კეთილი უკუე არს ნაწილ კეთილობისა, ხოლო კეთილობაჲ ვითარცა ტბაჲ რაჲმე უკიდოჲ კეთილთაჲ, და ესთა განეყოფვიან ურთიერთას, ვითარ ყოველი და ნაწილი"[2].

იოანე პეტრიწის „განმარტებაში" ძალიან ხშირად შეხვდებით მსგავს გამოთქმებს: „მოიღე სახედ სიცხადისათჳს...", (სიცხადისათვის მაგალითად ავიღოთ..) „ვითარ აწ სახეთა მიერ განცხადნეს..." „სახეთა მიერ ცხადადა ძეს"... „რომელი ესე და სახემანცა ცხად გიყოს..." „ვითარ და სახეთაცა ზედა განვაცხადოთ" „მოიღე და სახეცა გიძიო მომზავი" „მოვედ და რაოდენ იყოს შესაძლო იგავთა ზედა განცხადნენ"... რასაც, ჩვეულებრივ, მოსდევს შესანიშნავი სახოვანი, ვრცელი განმარტება, მდიდარი შედარებებით, მეტაფორებით, ნათელი პარალელებით, ცხოვრებისეული მაგალითებით. ასე აშუქებს და გასაგებს ხდის იოანე პეტრიწი პროკლე დიადოხოსის „კავშირნის" თითოეულ თავში განხილულ საკითხს. ამ მხრივ მისი „განმარტებაჲ" განმარტება — კომენტარების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს.

* * *

იოანე პეტრიწის ენის სირთულის მიზეზებისა და ხელოვნურობის შესახებ დასკვნის გამოტანისთვის საინტერესო მასალას იძლევა აგრეთვე პროკლე დიადოხოსის „კავშირნის" სომხურიდან ქართულად 1757 წელს შესრულებული თარგმანი.

პროკლე დიადოხოსის ფილოსოფიით დაინტერესებულ იოანე ორბელიანს „სხვათა შემწეობითა" უთარგმნია პროკლეს „კავშირნი" სომხურიდან. ამ თარგმანის 1760 წლის ხელნაწერის[3] ერთ მინაწერში მთარგმნელი აქებს „მამზევებელსა ენისა ჩუენისასა, იოანეს პეტრიწს, ფილოსოფოსს," რომელსაც მშვენივრად უთარგმნია ელადელთა ენიდან ეს წიგნი, იგი გამგონს სიტკბოთი ათრობს, მაგრამ მეტად ძნელი გასაგებიაო („ფრიად ღრიფოის და ძნელად იგულისკმების"), ამიტომაც ჩვენ ეს ვთარგმნეთ უფრო მარტივი ენით, რომ მკითხველმა უფრო კარგად გაიგოს და ამით იოანურს უკეთესად მისწვდესო. თუ რამდენად მიუღწევია მიზნისათვის მთარგმნელს, ეს კარგად გამოჩნდება მისი თარგმნის ერთ-ერთი ნაწყვეტის შედარებით იოანე პეტრიწის თარგმანის შესაბამის ადგილთან:

იოანე პეტრიწი H 1337

თ. 74

ყოველი უკუᲩ გუარი ყოვლობა რაჲვე არს. რამეთუ მრავალთა მიერ წარმოდგა, რომელთაცა თითეულთა შეასრულეს გუარი, მაგრა, არა ყოველი ყოვლობა იყოს გუარ.

იოანე ორბელიანი A N 237

ყოველი სახე ყოვლადი რაჲმე არამედ არა ყოველი ყოვლადი სახე არს მით რამეთუ ნაწილობით განუკუᲩთელიცა ყოვლადი არს. გარნა სახე არა არს.[1]

შეიძლება ბევრი მსგავსი პარალელური ადგილის მოყვანა, სადაც იოანე პეტრიწის ენა უფრო გასაგებია თავისი სისწორის წყალობით, გვიანდელი მთარგმნელისა კი ხშირად გაუგებარი. ფილოსოფიური ტერმინების უხვად ხმარებას, ცხადია, ვერც ეს მთარგმნელი გაურბის. მაგრამ იოანე პეტრიწს იგი ამ მხრივ ვერ გაუსწორდება. ამას გარდა, იოანე ორბელიანისეული თარგმანის სომხური დედანი თარგმნილი ყოფილა არა უშუალოდ ბერძნულიდან, არამედ პროკლე დიადოხოსის „Στοιχείωσις θεολογική"-ს სწორედ ქართული, პეტრიწისეული თარგმანიდან 1248 წელს, სომხეთში, „ქართულ" (რაც ნ. მარის შენიშვნით უდრის „ქალკედონიტურს") მონასტერში ბერ სვიმეონის მიერ.[2] ასე, რომ ქართული თარგმანი XVIII საუკუნისა „უკუთარგმანია" და ამიტომ გასაკვირი არცაა, რომ პეტრიწისეული ტერმინები დამახინჯებულად იყოს წარმოდგენილი.

იოანე ორბელიანმა ვერ მიაღწია დასახულ მიზანს: ეთარგმნა მარტივი და ყველასათვის გასაგები ენით, — რადგანაც ამის შესაძლებლობას თვით თხზულების ღრმა ფილოსოფიური შინაარსი არ იძლეოდა. ამგვარად, პეტრიწის მოთხოვნა — ფილოსოფიური თხზულებებისათვის განსაკუთრებული, სპეციალური ენის საჭიროებისა XVIII საუკუნეშიც ძალაშია.

მაშასადამე, იოანე პეტრიწის ენობრივ თავისებურებათა განმსაზღვრელია ის ფილოსოფიური საკითხი და შინაარსი, რომლის გადმოსაცემადაც იყენებს მწერალი ამ ენას.

ამის გამო პროფ. სიმ. ყაუხჩიშვილი, წინააღმდეგ ტრადიციული შეხედულებისა, იოანე პეტრიწის ენას ხელოვნურად არ მიიჩნევს. მისი აზრით (რომელიც იოანე პეტრიწის შრომების გა-

1 შრომები, ტ. II, 1937, გვ. 19, 28-33.

2 იქვე, 38, 2-5.

3 საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის № 1162 ხელნაწ.

1 ხელნაწ. ინსტ. H ფონდის № 1337 ხელნაწ. XII-XIII საუკ. მასთან ერთად ამჟამად ხელნაწ. ინსტ-ში დაცულია პროფ. სიმ. ყაუხჩიშვილის ვრცელი განმარტება, რომელიც გვამცნობს, რომ იმ ხანებში, როდესაც იოანე პეტრიწის შრომების გამოცემა მზადდებოდა, ეს ხელნაწერი თავის ადგილას არ აღმოჩნდა; „იგი საზღვარგარეთ წაუღიათ 1921 წელს სხვა ნივთებთან ერთად.." შრომები გვიანდელი ხელნაწერების მიხედვით გამოიცა.

2 Н. Марр. Иоанн Петрицский, грузинский неоплатоник XI—XII вв. (ЗВО XIX), 1909, გვ. 8—10.

მოცემისათვის წარმოებული დიდი მუშაობისას ღრმა და საფუძვლიანი დაკვირვების შედეგად გამომუშავდა) პეტრიწის ენა არ არის ხელოვნური: „თავისებურებას იოანე პეტრიწის ენისა ქმნის ის გარემოება, რომ პეტრიწი ფილოსოფიური წიგნებისათვის მოითხოვდა სულ სხვაგვარ დაზუსტებას ტერმინოლოგიურ გამონათქვამთა, ვიდრე ეს მიღებული იყო „ადვილთა და ჩვეულთა სათარგმნოთა შორის“.[1] აი ამიტომ ტოვებს ხელოვნურობის შთაბეჭდილებას იოანე პეტრიწის ენა, მიუხედავად,—ნ. მარის ზუსტი და მოსწრებული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, —„მისი იდეალური სისწორისა“.[2]

* * *

რა ქმნის ამ წინააღმდეგობას, როცა პეტრიწი, ერთი მხრივ, იდეალურად იცავს თავისი დროინდელი, XI-XII სს, და ძველი სამწერლო ენის ნორმებს, მეორე მხრივ კი, მართლაც, ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს. როგორ ვლინდება ეს წინააღმდეგობა ენობრივ სფეროში?

აქ უნდა განვიხილოთ ფონეტიკური მოვლენების, გრამატიკისა (მორფოლოგიის, სინტაქსის) და ლექსიკის — კერძოდ პეტრიწის მიერ შექმნილ ტერმინოლოგიის მიმართება საერთოდ ქართული ენის სტრუქტურასთან და ძველი ქართული ენის ნორმებთან.

* * *

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „იოანე პეტრიწი ხელოვნური, ძნელი გასაგები და მძიმე სტილის შექმნას ძირითადად ლექსიკური საშუალებებით, ქართულ ენაში ახალი სემასიოლოგიური ერთეულების შემოტანით აღწევდა“, ხოლო რაც შეეხება მისი ენის მორფოლოგიურ და სინტაქსურ მხარეს, აქ პეტრიწი სრულიადაც არა ჩანს მომხრე ენის დამძიმებისა.[3] ამ აზრის გაზიარება ჭირს, რამდენადაც ახალი სემასიოლოგიური ერთეულების შემოტანა გამოწვეულია ფილოსოფიური ტერმინოლოგიის საჭიროებით, ემსახურება აზრის ზუსტად გადმოცემას და ხელს უწყობს ნააზრევის გაგებას: სპეციალური ტერმინოლოგიის გარეშე საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა ფილოსოფიური თხზულების შექმნაც და თარგმნაც. ის სტილისტური თავისებურებანი, რომლებიც ახალი სემასიოლოგიური ერთეულების შემოტანით იქმნება, პირიქით, ამდიდრებენ ენას იოანე პეტრიწის ღრმა ცოდნისა და დახვეწილი გემოვნების წყალობით. პეტრიწის უახლოეს მიზანს წარმოადგენს უპირველეს ყოვლისა, სწორედ ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის დაზუსტება, რაც წინაპირობაა ფილოსოფიური მსჯელობების წარმართვისათვის, ფილოსოფიურ თხზულებათა აზრის დაურღვევლად თარგმნისათვის და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია საბოლოო შედეგის თვალსაზრისით, ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებისა და სრულყოფისათვის. და იოანე პეტრიწი ისე თავისუფლად და ძალდაუტანებლად, ქართული ენის ყალიბების მიხედვით ქმნის ახალ სიტყვებს, ტერმინებს, რომ, როგორც ნ. მარი აღნიშნავს, „შეიძლება მხოლოდ გაკვირვებას მიეცეს იმ ამოუწურავი მარაგის გამო, იმ პირდაპირ ჯადოქრული ძალების გამო, რომლებსაც იგი განაგებდა, რომ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით ეპოვა ქართულ ენაში საჭირო მასალა აზრთა ყველა უმცირესი ნიუანსისა და ნაირგვარობის გადმოსაცემად ბერძნული ენის ნიმუშის მიხედვით, უაღრესად განყენებული და რთული დიალექტიკის ყველა სიძნელის გადასალახავად“.[1]

ქართული ფილოსოფოსი ბრწყინვალედ აღწევს დასახულ მიზანს არა მარტო ქართული ენისა და მისი ბუნების, არამედ დიდი ფილოსოფიური ტრადიციების მქონე ბერძნული ენის ღრმა ცოდნის წყალობითაც.

პეტრიწის სიტყვაწარმოებასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ იოანე პეტრიწი ქართული ენის კანონებს კი არ უგულებელყოფს, არამედ მეტისმეტად აზოგადებს და აზვიადებს მათ და სწორედ ეს ქმნის მისი ენის ხელოვნურობას.[2]

ხელოვნურია თუ არა იოანე პეტრიწის მიერ შექმნილი ტერმინები? ამისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ წყება საკითხებისა: 1. რამდენად სწორია წარმოება ქართული ენის სტრუქტურის თვალსაზრისით, 2. გვხვდება თუ არა ეს სიტყვები ან მსგავსი წარმოების სიტყვები ძველს ან მწერლის თანამედროვე ქართულში, 3. რამდენად პროდუქტიულია წარმოების ეს ტიპები მწერლის თანამედროვე ენაში და ქართული ენის განვითარების ტენდენციების თვალსაზრისით.[3]

იოანე პეტრიწის ენის შესწავლით ირკვევა, რომ:

1. იოანე პეტრიწი არ სცილდება ქართული ენის სიტყვაწარმოების წესებს, ძირები და მაწარმოებელი აფიქსები ქართულია, მათი გა-

---

[1] ს. ყაუხჩიშვილი, იოანე პეტრიწის შრომები, ტ. 1. შესავალი, გვ. II.

[2] Речь его, несмотря на идеальную правильность, необычайно искусственна» ნ. მარი, დასახელ. ნაშრომი, გვ. 34.

[3] ელ. ბაბუნაშვილი, სამი სტილის თეორია ქართულ მწერლობაში: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 96, 1964, გვ. 25.

[1] ნ. მარი, დასახ. ნაშრ., გვ. 34

[2] ნ. კეკელიძე, იოანე პეტრიწის ენის საკითხისათვის, თსუ შრომები 51. 1953, გვ. 244.

3 საერთოდ, მწერლის ენის შესახებ დასკვნის გამოტანისას აუცილებელია სწორედ ამ რიგის საკითხების გათვალისწინება.

მოყენების წესებიც ქართული ენის სტრუქტურის შესაბამისია. ერთი და იმავე მნიშვნელობის რამდენიმე მაწარმოებლიდან უმეტეს შემთხვევაში აღებულია უფრო გავრცელებული. თავისებურებას ქმნის ის, რომ სიჯრელის თავიდან ასაცილებლად და ერთგვაროვნების დასაცავად ტერმინოლოგიის წარმოებისას, იოანე პეტრიწი ერთი რიგის ცნებათა აღსანიშნავად აბატონებს ერთი სახის წარმოებას და მას უმორჩილებს ნებისმიერ ძირს, რომელიც კი დასჭირდება ახალი ფილოსოფიური ცნების გამოსახატავად.

ასე მაგალითად, ცნობილია, რომ ზედსართავ სახელთაგან აბსტრაქტული ცნების საწარმოებლად ქართულში, ჩვეულებრივ, სი-ე აფიქსები გამოიყენება (თეთრი—სი-თეთრ-ე). იოანე პეტრიწი კი აბსტრაქტულ ცნებათა წარმოებისას მაწარმოებელთაგან ობა სუფიქსს აბატონებს, რითაც ერთი რიგის ტერმინთა წარმოებისას ერთგვაროვნების მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. მაგ: მ ქ ა ვ ე-ო ბ ა, (ნაცვლად ს ი-მ ქ ა ვ ე ს ი). მ რ ა ვ ლ ო ბ ა, თ ე თ რ ო ბ ა, დ ი დ ო ბ ა, წ ყ ნ ა რ ო ბ ა და სხვა. ამგვარი გაერთმნიშვნელიანებული წარმოებით იგი ზედსართავთაგან ნაწარმოებ სახელებსაც ტერმინოლოგიურ ღირებულებას ანიჭებს: ს ი მ ქ ა ვ ე, ს ი თ ე თ რ ე, ს ი დ ი დ ე და სხვა თვისებაა საგნისა, ხოლო მ ქ ა ვ ო ბ ა, თ ე თ რ ო ბ ა, დ ი დ ო ბ ა და სხვა ზოგადი განყენებული ცნებებია, რომლებიც ყველა მქავის, ყველა თეთრის ყველა დიდის... თვისებებს აერთიანებს თავისში, ისევე, როგორც ზემოთ მოყვანილ პეტრიწისეულ მაგალითში: ორობა—ორის მიმართ და კაცობა—კაცის მიმართ (იხ. აქვე, გვ. 148).

2. თუ ძველი ქართული ენის გამოცემული ძეგლების ნაწილს მაინც გადავხედავთ სიტყვაწარმოების თვალსაზრისით, დიდი ძიება არ დაგვჭირდება იმის დასანახად, რომ ზოგი წარმოება, რომელიც პეტრიწის ენაში უცნაურად გვეჩვენება, პირველად მის მიერ ნახმარი არ არის. ასეთი „უცნაურად" წარმოებული სიტყვები ზოგჯერ ძველი ქართული ენის ყველასათვის ცნობილ ძეგლებშიც გვხვდება.

ავიღოთ, მაგალითად, ყველაზე უფრო თავისებური და „ხელოვნურობით" და სპეციფიკურობით ყველაზე დამახასიათებელი რამდენიმე ნიმუში:

1. მ ო ბ ა ძ ა ვ ი — მიმბაძველი; ის ვინც ბაძავს. აშკარად ჩანს, რომ სასუბიექტო მიმღეობაა. ასეთი წარმოება, ოდენპრეფიქსიანი, „უცნაური" დღევანდელი თვალსაზრისით, ძველ ქართულში გავრცელებული თუ არა, ყოველ შემთხვევაში, უცხო არ იყო. ოდენ მო-პრეფიქსით ნაწარმოებია ყველასათვის ცნობილი მიმღეობის ფორმა—მო-ძრავი. თვითონ სიტყვა მობაძავი გვხვდება სინურ მრავალთავში 864 წლისა, აბუსერიძე—ტბელის „ბოლოკ ბასილის მშენებლობა შუარტყალში", რომელიც ცნობილია თავისი ენის სიმარტივით და ამ დროის ლიტერატურული ნაწარმოებისათვის უჩვეულო იუმორით. მ ო ბ ა ძ ა ვ ი საბას განმარტებული აქვს, როგორც ჩვეულებრივ სახმარისი სიტყვა, ლიტერატურული წყაროს მითითების გარეშე: „სხვისი მსგავსის მქმნელი". სიტყვების ოდენ მო-პრეფიქსიანი წარმოება დამახასიათებელი იყო ძველი ქართული ენისა და გვხვდება ოთხთავში, სინურ მრავალთავში, „იოვანე და ეფთჳმეს ცხოვრებაში" და სხვ. (მოდგამი, მოძილი, მოშიში...)

მ ბ რ ძ ო ლ ი—საბას განმარტებით ბრძოლის მოქმედი (ახალ ქართულში გავრცელებულია ფორმა მებრძოლი). ასეთივე ფორმით გვხვდება სინურ მრავალთავში, ხანმეტ იერემიაში. ნაწარმოებია მსგავსად თანამედროვე ქართულში ფართოდ გავრცელებული სიტყვისა მძღოლი.

მ ი ყ უ ა რ ი — მეგობარი.

არაერთხელ გვხვდება სახარება—ოთხთავში: ეგე თუ განუტევო, არა მ ი ყ უ ა რ ხარ კეისრისა ი, 19,2 C. მ ი ყ უ ა რ ი სიძისაჲ მის ი. 3,29, C.

ერთი შეხედვით, შეიძლება უცნაურად და ხელოვნურად მოგვეჩვენოს ზმნის პირიან ფორმებზე (III—პირის ფორმაზე), ან ნაცვალსახელის ბრუნვის ფორმაზე, ზმნისზედის, თანდებულის თუ ნაწილაკის გაქვავებულ ფორმებზე ბრუნვის ნიშნის დართვით ახალი სიტყვის, ტერმინის წარმოება, მაგ. ზმნიდან: ი ყ ო აქედან—ი ყ ო ჲ; ი ყ ო ს—ი ყ ო ს ი—აქედან კიდევ ი ყ ო ს ო ბ ა ჲ, ა რ ს — ა რ ს ი, ე გ ე ბ ი ს—ე გ ე ბ ი ს ი, ი მ ა რ თ ე ბ ი ს—ი მ ა რ თ ე ბ ი ს ი...

ნაცვალსახელებიდან: მ ა ს — მ ა ს ი, აქედან კი — მ ა ს ო ბ ა, მ ა ს ვ ე ო ბ ა, ი გ ი — ი გ ი ო ბ ა, ი გ ი ვ ე ო ბ ა; თ ჳ თ — თ ჳ თ ო ბ ა, თ ჳ თ ე ბ ა ჲ...

თანდებულიდან: — გ ა ნ — გ ა ნ ი, გ ა ნ ო; გამო—გამოჲ (არისტოტელის გამოჲ, პერიპატოჲს გამონი: ის, ვინც არისტოტელის მიმდევარია, მისი სკოლიდანაა გამოსული). გ ა მ ო თანდებულიდან ნაწარმოებია ზმნა—ი გ ა მ ო ა, აბსტრაქტული სახელი გ ა მ ო ო ბ ა. კ ე რ ძ ო—კ ე რ ძ ო ჲ, მიერ—მიერი.

ზმნისზედიდან: ო დ ე ს მ ე — ო დ ე ს მ ე ჲ, მ ე რ მ ე — მ ე რ მ ე ჲ.

ნაწილაკიდან ა ჰ ა—ა ჰ ა ჲ და სხვ.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამგვარი წარმოება გავრცელებულია ძველ ქართულში. მეტად ფართოდ აქვს იგი გამოყენებული ეფრემ მცირესაც თავის ფილოსოფიური ხასიათის თხზულებათა თარგმანებში სწორედ ტერმინების საწარმოებლად, მაგრამ მისი ენის ხელოვნურობაზე არავინ ლაპარაკობს. ამგვარად წარმოებული სიტყვები გავრცელებულია ახალ ქართულში (ა რ ს — ა რ ს ი — ა რ ს ე ბ ა,

ღირს — ღირსი, მრწამს — მრწამსი, იგივე — იგივეობა, თჳსი — თვისება. ცნობილია, რომ გეოგრაფიული სახელი ხერთვისი ნაწარმოებია ზმნიდან ერთვის სახელობითი ბრუნვის ნიშნის დართვით და ამგვარად, მისი გასუბსტანტივებით. ადგილი, სადაც მდინარეები ერთმანეთს ერთვიან, არის ხერთვისი.[1] ქართული ენის ეს დამახასიათებელი თავისებურება აღნიშნული აქვს პროფ. ა. შანიძეს თავის „ქართული გრამატიკის საფუძვლებში", სადაც ნათქვამია: „ქართულ ენას შეუძლია აბრუნოს არა მარტო სახელი, არამედ ზმნაც, ზმნისზედაც, თანდებულიც, კავშირიც, ნაწილაკიც, შორისდებულიც, ე. ი. ყოველგვარი სიტყვა, მათ შორის, ჩვეულებრივი სახელის რომელიმე ბრუნვის ფორმაც. მეტიც შეიძლება ითქვას: ქართულს შეუძლია აბრუნოს მთელი წინადადებაც კი. ქართული ენის ამ თავისებურებას უკვე ილია ჭავჭავაძემ მიაქცია ყურადღება (აი ისტორია, ტ. V, 1927, გვ. 95)"[2]. პროფ. ა. შანიძეს რამდენიმე გვერდზე მოჰყავს ზემოთქმულის დამადასტურებელი მაგალითები.

როგორც ვხედავთ, ესეც ქართული ენის თავისებურება ყოფილა და არა იოანე პეტრიწის მიერ გამოგონილი, ხელოვნური საშუალება. მხოლოდ ერთი შეიძლება ითქვას და ისიც იოანე პეტრიწის სასახელოდ, რომ მან თავისი ბრწყინვალე ცოდნისა და შეუცდომელი ენობრივი ალღოს წყალობით შესანიშნავად გამოიყენა ქართული ენის შესაძლებლობანი მისი ლექსიკის გასამდიდრებლად.

ამ მხრივ მეტად საინტერესო მასალას იძლევა იოანე პეტრიწის ენის შედარება ეფრემ მცირის, როგორც ფილოსოფიური თხზულებების (პეტრე იბერიელის შრომების) მთარგმნელის ენასთან. ეფრემ მცირე ისევე, როგორც იოანე პეტრიწი, აზრის სიზუსტის დაცვისათვის, ფილოსოფიური მსჯელობის გადმოცემისათვის, სპეციალურ ტერმინოლოგიას იმუშავებს. ტერმინთა წარმოების ტიპები ორივე მოაზროვნისა მსგავსია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მათი წყარო ქართული ენის ცოცხალი მასალაა, ზოგჯერ მათი შექმნილი ტერმინები სრულიად თანხვდება ფორმითაც და მნიშვნელობითაც. თჳთებაჲ, თჳთებითი, მასი, მასვეობა, ყოვლობა, ეგებისი, იყოჲ, იყოსი და სხვა ორივე მოაზროვნის ენაში თანაბრად გვხვდება. ეფრემ მცირეც ისევე, როგორც იოანე პეტრიწი, ფართოდ იყენებს ქართული ენის შესაძლებლობებს ახალი სემასიოლოგიური ერთეულების შესაქმნელად.

[1] ა. შანიძე. ნაშთები III ობ. პრეფიქსის ხმარებისა... თხზ. ტ. 1, გვ. 268.

[2] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1,1953, გვ. 77.

დასასრულ, აღსანიშნავია ისიც, რომ იოანე პეტრიწი ერთი და იმავე ბერძნული სიტყვის გადმოსაცემად მოხერხებულად იყენებს ქართული ენის მრავალფეროვან საშუალებებს და ერთი და იმავე ტერმინის მნიშვნელობის სხვადასხვა ნიუანსს წარმოების სხვადასხვა საშუალებებით გადმოსცემს. ამ გზით იგი მდიდარ სინონიმურ წყვილებს იძლევა. ამ მხრივ იოანე პეტრიწის ენა მეტად ძვირფასი წყაროა თანამედროვე ქართულისათვის, განსაკუთრებით კი, ფილოსოფიისა და სპეციალურ დარგთა ტერმინოლოგიისათვის.

ზემოთ ჩამოთვლილ მცირე რაოდენობის მაგალითთაგან ბევრი დღესაც სწორედ ტერმინოლოგიური მნიშვნელობით იხმარება, აღარაფერს ვამბობთ იმ ზღვა მასალაზე, რომელსაც იოანე პეტრიწი გვაწვდის და რომლის სრულად მოყვანა აქ შეუძლებელია. ასეთებია: მგრძნობელობა, სიტკბოება, მხედველობა, მკურნალობა, უსაზღვროობა, მიუწვდომელობა, უსრულობა, უსამართლობა, სხუაობა, გასხუაება, რაობა, რაოდენობა, არსობა; შესატყვისი, დასაწყისი; ღირღულიანი (ღირღულიანობა), გუაროვანი, ჯეროვანი; ნივთიერი, სულიერი, ზომიერი, ცნობიერება, სიტყვიერი-სიტყვიერება; გონებრივი, მრგულივი, ქვებრივი, სხეულებრივი, აპკებრივი; გრძნობადი, აღორძინებადი, ფრიადი; კიდოვნებითი, სიტყვიერებითი, ბუნებითი, ცხოველობითი და სხვა ტიპის წარმოებანი, რომლებიც დღეს ქართულ ტერმინოლოგიაში ფართოდაა გამოყენებული.

როგორც ვხედავთ, იოანე პეტრიწის სიტყვაწარმოებას რეალური საფუძველი აქვს ძველ ქართულ სამწერლო ენაში. სიტყვები ქართული ენის დადგენილი ყალიბების მიხედვითაა აგებული და ყველაზე „ხელოვნურიც" კი მათ შორის, ადვილად მოიძებნება არა მარტო ძველი ქართული ენის ძეგლებში, არამედ თანამედროვე ქართულ სასაუბრო ენაშიც. იოანე პეტრიწის მიერ შექმნილი ტერმინები და მათი აგების წესები თანამედროვე ქართული დარგობრივი ტერმინოლოგიის გამდიდრებისათვის მეტად სასარგებლო წყაროს წარმოადგენს.

* * *

ზედმეტია ლაპარაკი იოანე პეტრიწის ენის ხელოვნურობაზე ფონეტიკისა და მორფოლოგიის სფეროში. აქ მისი ენა „იდეალური სისწორის" ნიმუშია. იოანე პეტრიწის ენის ფონეტიკური და მორფოლოგიური ფაქტები ძველი ქართული ენის ნორმებს მიჰყვება, მაგრამ ამ მხრივ კონსერვატული სრულიადაც არ არის. როგორც შეეფერება XI-XII საუკუნეების სამ-

წერლო ენას, იოანე პეტრიწი თავისუფლად უშვებს თითქმის ყველა, მის დროს სამწერლო ენაში თუნდაც აქა-იქ შემოპარულ იმ ფორმებს, რომლებიც შემდგომს ქართულში მკვიდრდება და ბატონდება და ამიტომ ახალი ქართულის მოვლენებადაა მიჩნეული.

ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება:[1] 1. ზმნისწინთა განმარტივება აღ>ა, გან>გა, წარ>წა ზმნისწინებისა: აგითქუამ, ანათხზი, აგებული; გაჰყოფს, გაზიდავს, გასხუაებულა, გაიგონებენ, გააგრილებს; წამწუერვალებული.

2. მდე თანდებულიანი ვითარებითის ფონეტიკურად გამარტივებული სახის ჩვეულებრივი ხმარება: (ადმდე>ამდე) სიღრმემდე, უსაზღვროობამდე, უკუანაჲსკნელამდე...

3. მრავლობით რიცხვში ებ სუფიქსის გამოყენება(თუმცა იშვიათად): წიგნები, ძალები, სახეები, სიტყუები, სახელები, თუალები, საყდრები, ხატები...

4. ადამიანთა საკუთარ სახელთა გაფორმება მოთხრობითს ბრუნვაში: ბასილმან, ქსენოკრატიმან, მოსემან, იამვლიხოსმან, არისტოტელმან...

5. ზედსართავ სახელთა ხარისხის მოკლე ფორმები (ისინი ფართოდაა გავრცელებული „ვეფხისტყაოსანში“ და საერთოდ, XI—XII სს-ის სამწერლო ენაში): უდარე, უმრავლე...

6. არს მეშველი ზმნის განმარტივება და შერწყმა წინამავალ სიტყვასთან: უცნაურია, უსხეულო, შედგმულებაა, სხეულია, სავსეა...

7. აბსოლუტურ და რელატიურ ზმნათა I თურმეობითის ფორმათა ახალ წარმოებაზე გადასვლა: წარმოდგომილა, განსაზღვრებულა, შეერთებულა, მოუგია, წარმოსდგომია, გჳსწავლია (ნაცვლად: შეერთებულ არს, მოუგიეს...)

8. ახლისკენ „გარდამავალი საფეხურის არსებობა (პროფ. ა. შანიძის ტერმინით) I კავშირებითის III სუბ. პირის მრავლობითს რიცხვში (ოდიან (ძველი) → ოდინ) გარდამავალი → ოდენ (ახალი), რომელიც სამწერლო ენაში XI საუკუნიდან ვრცელდება: იქმოდინ, იწარმოებოდინ, ეთქუმოდინ; ნაცვლად ძველი იწარმოებოდიან... — ფორმისა.

9. მომავალი დროის გამოხატვა, ახალი წარმოებით (სულ რამდენიმეა უეჭველი მაგალითი): „და თუ ესრეთ, უდარეს შეუძლებს ერთისა“ ტ. I, 40, 26.

ყველა მათგანს (ოდინ ფორმიანი კავშირებითის გამოკლებით) მეტნაკლები რაოდენობით ვხვდებით ძველი ქართული ენის ძეგლებშიც, მაგრამ ფართო გავრცელებას სამწერლო ენაში ისინი მხოლოდ XI, ზოგი კი XII საუკუნიდან პოვებენ. ამდენად, იოანე პეტრიწი სრულიად არ ჩანს არც ენის არქაიზაციის მომხრე.

* * *

რას გვიჩვენებს სინტაქსი?

არსებითად სინტაქსია ის ერთადერთი სფერო, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა გველაპარაკა იოანე პეტრიწის ენის ხელოვნურობაზე, მაგრამ ისიც მაშინ, თუ არ გავითვალისწინებდით მისი შრომების ფილოსოფიურ ხასიათს და ძველი ქართული ენის ძეგლების მონაცემებს.

აქ „ხელოვნურად“ და თავისებურად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა ქართულის არადამახასიათებული კონსტრუქციები, როგორიცაა: ა) წინადადების მიმღეობურ კონსტრუქციათა ხშირი ხმარება (რაც ბერძნულისთვისაა ნიშანდობლივი)[1], ბ) წინადადების წევრთა გამოტოვება (განსაკუთრებით ქვემდებარისა და შემასმენელისა, არს მეშველი ზმნისა, რომელსაც ავტორი თავისთავად გულისხმობს), რაც აგრეთვე დამახასიათებელია ბერძნული დედნისა, მაგრამ იქ გაუგებრობა არ იქმნება, რადგანაც გამოტოვებული წევრის კომპენსაცია სხვა საშუალებით ხდება. გ) „და“ კავშირის ხმარება „ც“ ნაწილაკის, არს მეშველი ზმნის ნაცვლად ან სხვა, მისთვის არადამახასიათებელი მნიშვნელობით გამოყენება, რაც აშკარად ბერძნულის გავლენაა.

დ) კავშირთა და ნაწილაკთა სიმრავლე ტექსტში. აგრეთვე ბერძნულის დამახასიათებელია. ე) რთული, განსაკუთრებით ქვეწყობილი წინადადებების სიხშირე და წინადადებათა დაწყება კავშირით, რაც მაღალი სტილის, მწიგნობრული ენის თვისებაა და სხვა.

მაგრამ უნდა გავიხსენოთ, რომ ბერძნიზმები არცთუ იშვიათია ძველი ქართული ენის ბერძნულიდან თარგმნილი ძეგლების ენაში და მათ შორის ქართულ სახარება-ოთხთავში. მთარგმნელები თავიდან ვერ იცილებდნენ, თუ შეგნებულად არ არიდებდნენ თავს ბერძნულის

---

1 პროფ. ს. ყაუხჩიშვილს, მის მიერ გამოცემულ „იოანე პეტრიწის შრომებთან“ დართული გამოკვლევის მოკლე ენობრივ მიმოხილვაში, რამდენადაც ამის საშუალებას აძლევს მთელი გამოკვლევის სპეციალური ხასიათი, აღნიშნული აქვს ზოგი ახალი ენობრივი ფაქტი, რომელსაც თავი უჩენია ი. პეტრიწის ენაში (იხ. ი. პეტრიწის შრომები, ტ. I, 1940, გვ. LIII და შმდ.).

ასევე, დოც. ნ. კეკელიძეს თავის საკვალიფიკაციო შრომაში „პროკლე დიადოხოსის კავშირნი. ძველი ქართული თარგმანი“, 1948, აღნიშნული აქვს თითქმის ყველა სიახლე, რომელიც ი. პეტრიწის ენაში გვხვდება.

1 თუმცა, როგორც ნ. კეკელიძე აღნიშნავს, „თითქმის თანაბარი რაოდენობა გვაქვს ბერძნულიდან ზმნის მიმღეობით გადმოტანისა და პირიქით“. დასახ. ნაშრ., გვ. 309.

გავლენას. ასეთი გავლენა, ჩვეულებრივ, სწორედ სინტაქსის სფეროში შეინიშნება ძველი ქართულის და, სხვათა შორის, თანამედროვე ქართულ თარგმანებშიც. დედნის გავლენის საკითხი და უცხოური კონსტრუქციების თარგმანში გადმოტანის საკითხი პეტრიწამდეც იყო და ახლაც მეტად რთული და მტკივნეული საკითხია საერთოდ მთარგმნელობით საქმიანობაში. დღესაც მთარგმნელები დედანთან თარგმანის რაც შეიძლება ახლო დგომის ტყვეობაში ექცევიან და მხედველობიდან რჩებათ ის უეჭველი ფაქტი, რომ სავსებით ადექვატური თარგმანის მიღწევა შეუძლებელია განსხვავებული ტიპის ენებს შორის. ერთი ენისათვის შეიძლება წინადადების სულ სხვა წყობა იყოს დამახასიათებელი, ვიდრე მეორისათვის. ქართული ენა კი თავისი ავებულებით განსხვავდება სხვა ენებისაგან და მათ შორის ინდო-ევროპული ენებისაგანაც. ამიტომ თარგმნისას მის ბუნებასა და წესებს უნდა გაეწიოს ანგარიში.

მაგრამ იოანე პეტრიწის მიერ ბერძნული ენის სინტაქსური (ან კიდევ ლექსიკაში ტერმინთა კომპოზიციის წესების) ზოგჯერ ქართულში გადმოტანა ასეთ მექანიკურ გავლენას არ უნდა მივაწეროთ. იგი გარკვეულ მიზანს ემსახურება: ქართული ენა გახადოს აზრის გადმოცემის ისეთივე სრულყოფილ იარაღად, როგორიც იყო ბერძნული, სადაც ფილოსოფიური აზროვნება და მსჯელობები უმაღლეს საფეხურზე აიყვანეს პლატონმა და არისტოტელემ. ქართული ფილოსოფიური ენის, „მდაბრიონთაგან შესხუე“ ენის შექმნას იოანე პეტრიწი დიდი ფილოსოფიური ტრადიციების მქონე ბერძნული ენის კვალად ფიქრობს. „კავშირნის“ თარგმანის ბოლოსიტყვაობაში იგი ამბობს: ქართველთაგან რომ „თანსიყუარული და შეწევნაჲ მჩუენებოდა, (ქართული) ენაჲმცა ენისადა (ბერძნულისა) გამეწყო და ხედვაჲცა ფილოსოფოსთა განცდისაჲ მეარისტოტელურაო“[1]. იგი ხშირად გამოხატავს თავის აღტაცებას ელინთა ენამზეობისა და „გონებადღეობის“ გამო, რადგანაც „ყოველთავე, ელინთა ენამზეობასა ზედა, თჳსი სახელი ჰქჳან, შესაბამისი თჳსისა არსებისაჲ, ხოლო ჩუენთამან, არცა თარგმანთა, არცა სხუამან ვინ დასჴურიტნა, და აწ მე უზომოდ მიშლის თარგმანსა შინა, რამეთუ ყოველთავე ერთად და სწორად დასდებენ ჩუენნიო“.[2]

ი. პეტრიწის თარგმანებში ხმარებული სპეციფიკურად ბერძნული კონსტრუქციები, როგორიცაა განსაკუთრებით ა რ ს მეშველი ზმნის გამოტოვება, დ ა კავშირის ხმარება ქართულის არადამახასიათებელ პირობებში (მაგ. „ც“ ნაწილაკის ნაცვლად), მიმღეობური კონსტრუქციები და სხვა, დედნის შესაბამის ადგილებში ხშირად არ გვხდება. ამგვარი შემთხვევები ზოგჯერ ვერ აიხსნება ვერც დედნიდან გამომდინარე პირდაპირი თარგმანით და ვერც ი. პეტრიწის მთარგმნელობითი პრინციპებით. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ იოანე პეტრიწი გაიზარდა და ფილოსოფიური განათლება მიიღო ბიზანტიაში. თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი მან ბერძნულ სამყაროში გაატარა. ბერძნული ენა მისთვის ჩვეულებრივი სალაპარაკო ენა იყო და ამიტომ მოსალოდნელიცაა, რომ მისი, როგორც ჩვეულებრივად ბერძნულად მეტყველი პირის კალმიდან სრულიად უნებურად ამ ენის დამახასიათებელი ყალიბის წინადადებები გამოსულიყო. რაც შეეხება დიდი მოცულობის რთული ქვეწყობილი წინადადებების ხმარებას, მათს დაკავშირებას შედგენილობით მეტად მრავალფეროვანი კავშირების ან საკავშირებელი სიტყვების საშუალებით, ეს საერთოდ ფილოსოფიური ენის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს. ეს თავისებურება კი გამოწვეულია აზრის ზუსტად და დაუმახინჯებლად, გარკვევით და უწყვეტი ჯაჭვით გადმოცემის მოთხოვნით. ასე რომ იგი ნებისმიერი ავტორის ფილოსოფიური თხზულების ენის დამახასიათებელი იქნება.

მაშ, რა ქმნის იოანე პეტრიწის ენის თავისებურებას, თუკი ტერმინთა სიუხვე, რთული ქვეწყობილი წინადადებების სიმრავლე დამახასიათებელია ფილოსოფიური ენისათვის საერთოდ და მას შევხვდებით სხვა ფილოსოფოს-ავტორებთანაც; თუკი ბერძნული ენის გავლენა სხვა მთარგმნელთა ენასაც ახასიათებს როგორც ლექსიკაში, ისევე წინადადების სინტაქსურ წყობაში?

იოანე პეტრიწის ენას თავისთავადობას, დამოუკიდებლობას ანიჭებს ამ მოვლენებთან ერთად მისი ინდივიდუალური სტილი, რაც მის მიერ ენაში არსებულ სინონიმურ საშუალებათა თავისებურ შერჩევასა და წინადადებების მეტად თავისებურ წყობაში ვლინდება.

ცნობილია, რომ ქართული მარტივი წინადადების ნორმალური, ჩვეულებრივი წყობა მოითხოვს შემასმენლის დასმას ქვემდებარის შემდეგ. სხვა წევრების არსებობის დროსაც წინადადებას ჩვეულებრივ შემასმენელი კეტავს. ქვემდებარე, თავის მხრივ, კი ჩვეულებისამებრ მარტივი წინადადების თავშია ხოლმე. იოანე პეტრიწი იმით, რომ შემასმენელს ქვემდებარის წინ და ორივეს ერთად კი წინადადების ბოლოში აქცევს, მეტად თავისებურ და ამასთანავე მელოდიურ წინადადებას იღებს:

„რამეთუ ბუნებით თანმეჯოგედ და მოქალაქედ ცხოველად შეიქმნა კაცი“. ბუნ. კაცისა, 16, 4.

1 იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II, 1937 წ. გვ. 220.

2. შრომები, ტ. II, გვ. 6, 23.

„სწორისა ძალისა მიერ იქმნების წარმოჩენაჲ სწორთაჲ“, I, 8, 15.

„მსგავსთა, პირველ უმსგავსოთაჲსა, წამოაყენებს ყოველთა წარმომაყენებელი მიზეზი“. I, 24.

ხშირად წინადადების თავში შემასმენელი დგას, ბოლოში კი ქვემდებარე:

„უჯერო არს უსულოდცა და სულიერად თქუმაჲ სულისაჲ“. ბუნებისათჳს კაცისა, 26, 19.

ზმნისართის ადგილი ქართულ წინადადებაში ჩვეულებრივ ზმნის წინაა. იოანე პეტრიწი თავისებურ რიტმულობას აძლევს წინადადებას, როცა ზმნისართს ზმნის შემდეგ ხმარობს:

„მოქმედებამან უძლიერესისამან იმოქმედაცა უძლიერესად“, I, 46, 7.

განკერძოებული განსაზღვრებების, გათიშულ მსაზღვრელ-საზღვრულთა ხშირი ხმარება იოანე პეტრიწის სტილის მეტად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს:

„რომელი იგი იყო ქუაბი, მ რ ა ვ ა ლ ხ რ ა ხ ნ ი ლ ა დ ქ ც ე უ ლ ი დ ა ძ ნ ი ა დ წ ი ა ღ ს ა ს ვ ლ ე ლ ი დ ა ძ ნ ე ლ ა დ გ ა მ ო ს ა ვ ა ლ ი“. II, 224,8

მსაზღვრელ-საზღვრული ხშირად ზმნითაა გათიშული:

„ყოველი ქმნილი ო რ ო ბ ი თ ი ს ა მიერ იქნების ძ ა ლ ი ს ა“. I 51,9

„ო რ ნ ი წარმოიყენნეს წ ყ ა რ ო ნ ი“. II, 142,3.

ხშირად მსაზღვრელ-საზღვრული რამდენიმე სიტყვითაა გათიშული:

„რამეთუ თჳთ გონებაჲ არს და გ ო ნ ი ე რ ი ხუდა მას ა რ ს ე ბ ა ჲ“. I, 103, 26.

„მაშინ ითქუა, ვითარმედ ყ ო ვ ე ლ ს ა გ უ ა რ ს ა არსებაჲ დაუუმჯობესდების მ ო ქ მ ე დ ებ ი ს ა ს ა“ (ყოველსა გუარსა მოქმედებისასა არსებაჲ დაუუმჯობესდების).

„რამეთუ არა უდარესთაგან რ ა ს შეიწყნარებს ღმრთებრივი ზესთმექონეობაჲ ც ნ ო ბ ა ს ა“. I 77,5

საყურადღებოა, რომ ეს უკანასკნელი წინადადებები წყობით ბერძნულ დედანს მისდევს. მაგრამ თუ სხვა მთარგმნელთან მსგავსი კალკი იშვიათად, შეუცნობლად გამოჩნდება ხოლმე (ძველ ქართულში გათიშული მსაზღვრელ-საზღვრული ძალიან იშვიათად გვხვდება) იოანე პეტრიწი სწორედ ამგვარ წყობას აძლევს უპირატესობას. მას ეს წყობა მოსწონს და შეგნებულად, დაჟინებით სწორედ ამგვარ წინადადებებს აგებს თავის ორიგინალურ ნაწარმოებშიც — „განმარტებაში“.

ნაწილაკებისა და კავშირების წინადადების ბოლოში მოქცევაც იოანე პეტრიწის წინადადებას ნატიფსა და მოხდენილს ხდის.

„და არცა ყოველნი სულნი ეზიარებიან თანზიარებითსა გონებასა, არამედ, უგონიერესნი ოდენ“. ტ I, 69,2

„რამეთუ ესე მხოლოდ შენდობასა მიემთხუევის, შეინანოსთუ“. ბუნ. კაცისა, 16,9.

„არამედ არცა ეშმაკნი და არცა ანგელოზნი, შეინანონლა თუ, შენდობასა ღირს იქნებიან“. ბუნ. კაცისა, 16,3

მეტად მელოდიური ხდება წინადადება, როდესაც სხვათა სიტყვის გადმოცემისას პეტრიწი ო ნაწილაკს ზმნასთან ურთავს, მით უფრო, როდესაც ეს ზმნა ქვემდებარისა და დამატების წინ დგას:

„რომლისათჳს იტყჳს სოკრატი: ნიადაგ მესხეაესა მდედრსა ჰგავსო ნივთი“. II, 72, 32

„მაშინლა ვიტყჳთო ცნობად, ოდეს მიზეზნი ვიუწყნეთო პირველნი“. II, 42,1.

„ცეცხლი არსო სხვათა ასოთა მშობიერი“. ბუნ. კაცისა, 71, 6.

„რომელმან... სული შეანწევრაო სხეულთა“. ბუნ. კაცისა, 48,27

„იტყჳს: ეზიარებისო სიმრავლე ერთსა“. II,12,4.

მსგავსად ნაძერწი წინადადებები იოანე პეტრიწის ინდივიდუალური სტილის ერთი დამახასიათებელი ნიშანთაგანია.

* * *

საბოლოოდ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იოანე პეტრიწის ენის სპეციფიკას, მის სტილს ქმნის ერთობლიობა იმ თავისებურებებისა, რომლებიც 1. რთული ფილოსოფიური, მაღალი აზროვნებითი კატეგორიების გადმოცემის საჭიროებითაა გამოწვეული: ფილოსოფიური ცნებების სიმრავლე და მათი გამომხატველი ახალი ტერმინების სიუხვე, რთული სინტაქსური კონსტრუქციები. 2. ბერძნული ენისა და ბერძნული დედნის გავლენა ტერმინების კომპოზიციასა და წინადადებების წყობაზე. 3. ინდივიდუალური სტილის თავისებურებანი, რაც ვლინდება ენის სინონიმურ საშუალებათა თავისებურ შერჩევასა და წინადადების თავისებურ წყობაში. თავისებურებათა მთელი ეს კომპლექსი ქმნის იოანე პეტრიწის თვითმყოფად სტილს. ამიტომ არის მისი ენა ძნელად გასაგები და ზოგჯერ ხელოვნურობის შთაბეჭდილებასაც ამიტომ ტოვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. მიქავა

ლადო გუდიაშვილის ათას ერთი ღამე...

1

...არა, ეს სახელწოდება შემთხვევითი არ არის.

ლადო გუდიაშვილმა მართლაც რომ შექმნა ფერების ზღაპრული სამყარო—თავისი უკვდავი შეჰერეზადა. მისი ყოველი სურათი—ლეგენდაა. ზღაპრული ფერები, გასაოცარი ხაზები. ყოველ სურათს, ნახატს, ეტიუდს თავისი ფილოსოფია, თავისი სიბრძნე აქვს... ფერებიც თავისებურია, გუდიაშვილისებური.

ისინი ბევრია, უჩვეულოდ ბევრი—ცოცხალი, უსაზღვროდ ორიგინალური. თვითონ მხატვარსაც არ ახსოვს რამდენი შექმნა, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე ათასი.

...ოციანი წლები. მე უნივერსიტეტში შესასვლელად ვემზადებოდი. თავისუფალ დროს (ზოგჯერ არათავისუფალსაც) ჩვენ, აბითურიენტები რუსთაველის პროსპექტზე ვსეირნობდით. იმ წლებში პროსპექტი თავისებური მონმარტრი იყო, სადაც ფართოფოთლოვან ჭადრებქვეშ დასეირნობდნენ პოეტები, მწერლები, არტისტები, მხატვრები. ისინი აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს, უზიარებდნენ ერთმანეთს განცდილსა და განაგონს, კამათობდნენ, ყვებოდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებსა და უმნიშვნელო ჭორებს (ზოგჯერ მნიშვნელოვანსაც). ისინი ჩადიოდნენ „დარიალის“, „გემოს“, „ქიმერიონის“ სარდაფებში, მიდიოდნენ „ოლიმპიაში“ პუშკინის ქუჩაზე, ან „სიმპატიაში“, რათა შეესვათ კახეთის ველების მათრობელი ნექტარი.

1927 წლის ზაფხულში ამ „მონმარტრზე“ სიარული იწყო შუა ტანის ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც თითქოს იდუმალების იერი გადაკრავდა. ის თითქოს ძველებური ფრესკების ოდნავ მოდერნიზებული ორეული იყო.

ასე ამბობდნენ, რომ ის მხატვარიაო.

სანდლებს ატარებდა ძველი რომაელივით, თხელი თეთრი შალის კოსტუმი ეცვა და სპილოსძვლისფერი ბლუზა.

დადიოდა მსუბუქად, თითქოს მიწას ფეხს არ აკარებდა. მის მოძრაობაში იყო რაღაც ისეთი, რაც მას მირონის „დისკობოლს“, თუ მთიულს ამსგავსებდა. ვაჟკაცური, ერთი შეხედვით, თითქოს მრისხანე გამომეტყველება ჰქონდა, მაგრამ, როგორც კი დაილაპარაკებდა ან გაიღიმებდა, იგრძნობდით უსაზღვრო სითბოსა და მომხიბვლელობას. მაღალი შუბლი, ხშირი, გრძელი, გადაკრული წარბები, რომლებიც თითქოს დარაჯობდნენ უსაზღვროდ კეთილ, ღია ფერის თვალებს, ჭაღარაშერეული, უკანგადავარცხნილი, ოდნავ ტალღისებური თმა მხტვრის მთელ აღნაგობას პლასტიკურად დასრულებულ იერს აძლევდნენ.

ბოლოს გავიგე, ეს ლადო გუდიაშვილი იყო, რომლის სურათებსაც აღტაცებაში მოჰყავდა ყველა, განსაკუთრებით, ახალგაზრდობა.

იმ ხანებში გავეცანი მის შემოქმედე-

ბას: „ხაში“, „თევზი ცოცხალი“, „კინტოს ქეიფი ქალთან“, „მწვანე ფერიები“, „ცხენის წყლის ტალღებში“, „ფერო ზესტაფონში“, „ბაკურიანის ანდეზიტი“, მისი შველები.

შველი, მშვენიერებისა და სიწმინდის სიმბოლო, —გუდიაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ლეიტმოტივია.

მთელი თაობა იზრდებოდა მაშინ გუდიაშვილის შემოქმედებაზე.

ბევრი ჩვენთაგანი არ ეწეოდა, მაგრამ მაინც ყიდულობდა პაპიროსს — „საბჭოთა საქართველო“, რომლის ეტიკეტი გუდიაშვილის მიერ იყო შესრულებული. მასზე გამოსახულია შველის მსგავსი გოგონა სამოთხის ხეებს შორის, მოცისფერო-მოლურჯო ფერებში.

ჩვენ გვიყვარდა, აგრეთვე, სასტუმრო „ორიანტის“, ან როგორც ახლა უწოდებენ „ინტურისტის“ მეორე სართულის ფოიე, რომლის კედლების მხატვრობა გუდიაშვილს ეკუთვნოდა. მე თანავუგრძნობ იმათ, ვისაც იმ კედლებზე გამოსახული ფრესკები არ უნახავთ, ის იყო ნამდვილი შედევრი: ლერწმისტანა ქართველი ქალები, გედივით ყელმოღერებული შველები, ახალგაზრდა ვაჟები ძველი ქართული ფრესკებიდან.. .ოდნავ ჩახშული, თითქოს დროისგან გახუნებული ფერები, ვარდისფერ-ცისფერი იერი.. ჩვენ ხშირად ვეწვეოდით გუდიაშვილის ფანტაზიის ამ სიცოცხლით სავსე გმირებს, რომელთაც ოდნავი იდუმალების იერი დაჰკრავდათ, და საათობით შევცქეროდით მათ.

სასტუმროს მორიგეები მხრებს იჩეჩდნენ, უკვირდათ, რომ ასეთ აღტაცებაში მოვყავდით ამ „უყურო საოცრებებს“ (გუდიაშვილი, საერთოდ, ერიდება ყურების ხატვას, რადგან თვლის, რომ ისინი ამახინჯებენ ადამიანის სახეს). ბევრს არ ესმოდა მაშინ მხატვრის ღრმა, მზიური ხელოვნება, მახსენდება, როგორ დავდიოდით მაშინ მე და ლადო ინსტანციებში... მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერი მოვახერხეთ, ჩვენი დღეების ჰეროსტრატემ, სასტუმროს დირექტორმა ფრესკები წაშალა, რათა შესაძლებლობა, მიეცა თავისი საყვარელი დეკორატორისათვის კედლები აბრეშუმისმაგვარი არშიებით მოერთო. მას ზედმეტად მიაჩნდა „ინტურისტის“ კედლებზე გუდიაშვილის სურათების არსებობა, ხოლო აბრეშუმის არშიები მისი ფანტაზიისა და გემოვნების მწვერვალი იყო.

ამ ამბავს რომ ვიგონებ, უნებურად წამოტივტივდება მეხსიერებაში ლადოს გასაოცარი გრაფიკული ქმნილება: „მშვენიერების საიდუმლოს ამოხსნაში“..

რუსთაველის თეატრის სცენაზე გადიოდა მაშინ სპექტაკლი „ლამარა“. დამდგმელი კოტე მარჯანიშვილი იყო, მონაწილეობდნენ თამარ ჭავჭავაძე, უშანგი ჩხეიძე, აკაკი ხორავა, გიორგი დავითაშვილი. სპექტაკლი ლადო გუდიაშვილმა გააფორმა..

როცა მინდია—დავითაშვილი უახლოვდებოდა ყვავილებს და ესაუბრებოდა მათ მათს ენაზე, გუდიაშვილის ყვავილები თითქოს ეპასუხებოდნენ მას. ლადოს ფუნჯი და ვაჟა-ფშაველას ლექსი შეერთდნენ, შეესისხლხორცნენ ერთმანეთს.

სავსებით უჩვეულო იყო ხევსურთა ზეიმის სცენა. ეს იყო ფერებისა და საღებავების გასაოცარი ვაკხანალია, რომელიც მკაცრ რიტმს დამორჩილებოდა.

ოპერის თეატრში იმ წლებში „აბესალომ და ეთერი“ გადიოდა. მხატვრობა გუდიაშვილს მიანდეს და ისევ ხალხური „ეთერიანი“, ფალიაშვილის მუსიკა და ლადოს დეკორაციები შეერთდნენ სიყვარულისა და უკვდავების სადღესასწაულო ჰიმნად.

მეხსიერებიდან წარუშლელია, აგრეთვე, კოტე მარჯანიშვილის განსაცვიფრებელი წარმოდგენა „არსენას ლექსი“. სპექტაკლის უკანა დეკორაცია, რომლის სიგრძე რამდენიმე მეტრს შეადგენდა, გუდიაშვილის მიერ იყო შესრულებული ხალხური კილოთი. ეს დეკორაციები რულონივით ჰქონდა შემო-

ხვეული თეატრის ორივე მხარეს მდგარ ორ ბოძს.

სპექტაკლის გმირის — არსენა ოძელაშვილის ყოველ ახალ გამოჩენას და ყოველ ახალ სცენას, თან ახლდა ახალი დეკორაცია და ყოველი მათგანი თეატრალური ფერწერის შედევრი იყო. ამ სპექტაკლის შემდეგ, არ შემიძლია ხალხური „არსენას ლექსი“ გუდიაშვილის საღებავების გარეშე წარმოვიდგინო.

მიდიოდნენ დღეები, როგორც შემოდგომის ფოთლები.

1946 წელს ლადოსთან ერთად მოვიბდა ყოფნა მცხეთის მახლობლად, ზედაზენში საეკლესიო-ხალხურ დღესასწაულზე.

ზედაზენის მთიდან ხელისგულივით ჩანს მცხეთა და ქართლის ველები, რომლებიც ნაცრისფერ ნისლში გადაჭიმულან თავისი მდიდარი ბაღებითა და კრამიტისახურავიანი სახლებით. მოშორებით ზაჰესია, კიდევ უფრო შორს —თბილისის ბუნდოვანი გამოსახულება.

ამ დღეს თვალნათლივ ვხედავდი, თუ როგორ იღებს მხატვარი შთაგონებას ცხოვრებისაგან, ხალხისაგან. ლადოს ისე ეჭირა თავი კოლმეურნეებთან, როგორც თავის მეგობრებთან, კეთილ მეზობლებთან. ის აუცილებლად მიდიოდა იქით, სადაც ხალხი მხიარულობდა, ცეკვავდა, მღეროდა, სადაც იწყებოდა ბრძოლა, ფარიკაობა, სადაც მოხუცი სტვირზე სასაცილო შაირებს ამღერებდა, სადაც მშვილდისარს ისროდნენ.

ამ დღეს ლადო რამდენიმე ნათლობას დაესწრო.

საღამოს ზედაზენიდან გზად მცხეთაში შევჩერდით. შეუძლებელია გვერდი აუარო სვეტიცხოველს... და, გარდა ამისა, ასეთი დაძაბული დღის შემდეგ, ზედმეტი როდია ეონას დუქანში შესვლა. „ცოცხალისა“ და „ატენურის“ გასინჯვა.

როცა მცხეთაში ვარ, მიმძიმს ამ პატარა ქალაქის, იბერიის ძველი დედაქალაქის დატოვება, აქ ცოცხლდება ისტორია, სამ მარად მწვანე მწვერვალს შორის იშლება საუკუნეებისა და ათასეული წლების ფურცლები.

ერთერთ მთაზე წარმართული ქალაქის, არმაზის, ნანგრევია; იქით კი, მოპირდაპირე მხარეს, ასეთსავე თვალუწვდენელ მთაზე აღმართულია მეშვიდე საუკუნის ტაძარი ჯვარი (გახსოვთ ლერმონტოვის „მწირი“?). ქვევით, მღვრიე მტკვარზე პომპეის ხიდია, დიახ, სწორედ იმ პომპეის... მახლობლად დედათა მონასტერი „სამთავროა“, თავისი შეუდარებელი ჩუქურთმებით. აქვე მოჩანან არქეოლოგების მიერ „გაძარცული“ შავი თხრილები. ეს ქართველი პიტიახშების საფლავებია.

არასოდეს დამავიწყდება XI საუკუნის ტაძრის სვეტიცხოვლის წინაშე, ჩამავალი მზის სისხლისფერი სხივების ფონზე მუხლმოდრეკილი ლადო გუდიაშვილი... მან მუხლი მოიყარა არა იმიტომ, რომ ღვთის არსებობა წამს. არა, ის ათეისტია. მან დაიჩოქა ხუროთმოძღვრების დიდი ქმნილების, სვეტიცხოველის წინაშე, მისი უკვდავი შემქმნელის არსაკიძის წინაშე..

...წარუშლელია მეხსიერებიდან ლადო კინტოურის ცეკვის დროს. ეს სანახაობა საკუთარი თვალით უნდა ნახო, მისი აღწერა შეუძლებელია. მხოლოდ მაშინ მივხვდი, როგორ შესძლო მხატვარმა ასეთი სიზუსტით გადმოეცა კინტოს ყოველი მოძრაობა თავის სურათებში. ასეთი პლასტიკურობა, ასეთი მკვეთრი, დასრულებული გადასვლები, უჩვეულო ხაზები, რომლებიც ასახავდნენ ადამიანთა ამ საოცარი კატეგორიის ყოფაცხოვრებასა და სულიერ სამყაროს, მხოლოდ თანდაყოლილი შეიძლება იყოს და მხოლოდ ასეთ მარად ახალგაზრდა ადამიანებს შეიძლება ახასიათებდეს, როგორიც ლადო გუდიაშვილია. ამაში დამეთანხმებიან ისინი, ვისაც უნახავთ საუცხოო მსახიობი გიორგი შავგულიძე კინტოს ან ყარაჩოხელის როლში.

...თბილისი, კეცხოველის ქუჩა 11. აქ ცხოვრობს ჩვენი მხატვარი, ამ სახლს იცნობს ათასობით ადამიანი. ჩვენც ხში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად მივდიოდით მასთან, რათა გაგვეგო, რა შექმნა მხატვარმა დღეს? ხატავდა ის ბევრს, ძალიან ბევრს. კარს მუდამ გოგონა გვიღებდა — მხატვრის ქალიშვილი, ჩუქურთმა.

იქვე გვხვდებოდა ოჯახის კეთილი ანგელოზის, მხატვრის მეუღლის ნინო გუდიაშვილის მუდამ გულთბილი ღიმილი.

2

ტაძარი, რომელიც აშენებულია მე-IX თუ მე-X საუკუნეში, მდებარეობს ქართლში, ქსანსა და გორს შორის და ძველი ქართული არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშად ითვლება. მას სამთავისს უწოდებენ.

მე-XX საუკუნის დასაწყისში ასეთივე ტაძარი ააშენეს რუსთაველის პროსპექტზე, სამხატვრო გალერეასა და იმ სახლს შორის, სადაც მხატვარი ცხოვრობს. ქაშუეთის ახალი ტაძარი არაფრით არ განსხვავდება მისი პირველადი სახისაგან... მაგრამ რა უნდა ექნათ გასაოცარი ფრესკებისათვის, რომლებიც ტაძრის შიდა კედლებს ამშვენებდა? სად მოეძებნათ მხატვარი, რომელიც ღირსეულად გაიმეორებდა მას?!

თითქმის ნახევარი საუკუნის ლოდინის შემდეგ, არჩევანი ლადო გუდიაშვილზე შეჩერდა. მაგრამ მან გადაწყვიტა სამთავისის ფრესკების ნაცვლად დაეხატა ახალი, თავისი. გუდიაშვილის წინადადება მიიღეს და ქალაქს ელვის სისწრაფით მოედო ხმა, რომ ლადო გუდიაშვილმა იკისრა ქაშუეთის ტაძრის კედლების მოხატვაო.

ერთნი გაოცებული იყვნენ. როგორ, კომუნისტი დათანხმდა ტაძრის მხატვრობა შეესრულებინა: ზოგნი სენსაციამ გაიტაცა: საინტერესოა, როგორ დახატავს ის წმინდანებს — ყურებით თუ უყურადოდ. ზოგი კი ამ ამბავს სიხარულით შეხვდა: მათ იცოდნენ, რომ ქაშუეთი ხელოვნების ძეგლია და გუდიაშვილი კარგად მოიქცა, რომ დათანხმდა. ის მხატვარია და ნება არ ჰქონდა უარი ეთქვა: განა სასაცილო არ იქნება იმის თქმა, რომ რაფაელის „მადონა“ ხატია? ეს ხომ ხელოვნების გენიალური ქმნილებაა!

ვერც ძრახვამ, ვერც მეგობრების შიშმა და გაფრთხილებამ, ვერც მტრების ბოროტმა სიხარულმა — ვერაფერმა შეძლო ლადოსთვის გადაწყვეტილებაზე ხელი აეღებინებინა.

მხატვარმა მტკიცედ გადაწყვიტა განზრახვის შესრულება.

დაიწყო მუშაობა. ახალგაზრდული შესახედაობის ჭაღარა მხატვარი დილიდან საღამომდე იდგა საკურთხევლის გუმბათქვეშ და ხატავდა. ეკლესიაში არავის უშვებდნენ. მხოლოდ ერთი თვის შემდეგ „გაიხსნა ჯაჭვი“ და მლოცველებმა იწყეს სიარული.

ტაძრის ალაყაფის კარებთან ღვთისმოსავი მოხუცი ქალები ერთმანეთს შიშნარევი ხმით უჩურჩულებდნენ. ეშინოდათ ხმამაღლა გამოეთქვათ თავიანთი აღშფოთება, ეშინოდათ ღმერთი განერისხებინათ, — იქნებ, ღმერთმა შთააგონა მხატვარს წმინდანების გამოსახულების დახატვა.

ათასგვარი ხმები დადიოდა.

ძნელია უცადო, სანამ თვით მხატვარი მიგიხმობს: შემოქმედს მუდამ გონია, რომ მის ქმნილებას რაღაც აკლია, ნამდვილი ხელოვანი მუდამ უკმაყოფილოა თავისი ნამუშევრით.

ჩვენ გადავწყვიტეთ მხატვარს მოულოდნელად დავდგომოდით თავს, ნაცრისფერკედლებიან, ჩამობნელებულ ტაძარს ერთადერთი სანთელი ანათებდა და ამ ბინდბუნდში საკურთხევლის მაღალი გუმბათიდან თითქოს მზის ნათელმა სხივმა შემოგვანათა.

ჩვენ განცვიფრებული დავრჩით... თვალწინ გადაგვშალა ამქვეყნიური მისწრაფებების, მღელვარე ცხოვრების, ადამიანთა ნაკლისა და ღირსებების უსაზღვრო სიხარულის სამყარო.

რა შესანიშნავი სურათი იყო! საღებავების დღესასწაული, სინათლის სიჭარბე, რამდენი მზე, მხიარული ფერების ზეიმი!

საკურთხეველზე ვხედავთ ქრისტეს

გამოსახულებას და გაოცების ამოძახილი უნებლიედ წყდება ჩვენს ბაგეებს: ჩვენს წინაშე ხომ მხატვრის მოწაფის, მოქანდაკის ბიძინა ავალიშვილის გამოსახულებაა!

თბილისში ავალიშვილს ბევრი იცნობდა. რუსთაველის პროსპექტზე ხშირად შეხვდებით ამ ვაჟკაცური შესახედაობის ახალგაზრდას. მის მიხედვით შეიძლება დაეხატათ უფლისწული ან რაინდი თამარ მეფის ამალიდან, მაგრამ ქრისტე?!..

ყველაზე კოლორიტული და საინტერესო იყო ღვთისმშობელი ბავშვით ხელში, რომლის მხატვრობა შესრულებული იყო ვარდისფერ-ცისფერ ტონებში. დასრულებული ფორმების მქონე, წარმოსადეგი აღნაგობის ლამაზი ქართველი გლეხის ქალი მხიარული ბუთხუზა ბალღით ხელში.

ოდნავ დაბლა, ღვთისმშობლის ორივე მხარეზე მოციქულები იდგნენ ძველი ქართული საფრესკო ფერწერის ტილოზე: მოციქულები ძალზე წააგავდნენ მეომრებს.

3

საქართველოს სახალხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს არ უყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი. მას დროც არა აქვს ამისთვის. და მართალიცაა: რა საჭიროა ლაპარაკი, უკვე თქმულია ყველაფერი მის სურათებში.

მან ყველაფერი გამოსცადა. ხელმოკლეობაც და შეძლებულობაც, შემოქმედებითი წარმატებაც და ხელმოცარულობაც, აღტაცებული ქება და გაუგებრობა. ლაპარაკი საკუთარ თავზე მას უხერხულობას აგრძნობინებს, არ სიამოვნებს, მაგრამ ძალზე თავაზიანია და ხათრს ვერ გვიტეხს:

— დავიბადე თბილისში, 1896 წელს, რკინიგზელის ოჯახში, მამა დეპოში მუშაობდა, დედა პატარებს გვზრდიდა. ბავშვობიდანვე მიყვარდა ხატვა. მიდოდა მხატვარი გამოვსულიყავი. ამ დაჟინებულმა სიყვარულმა გადაწყვიტა ჩემი ბედი. საშუალო სკოლა და სამხატვრო სასწავლებელი დავამთავრე ერთდროულად თბილისში. ცამეტი წლის ასაკში ვმონაწილეობდი გამოფენაში. ჩემმა ფერწერამ და გრაფიკამ პედაგოგების ყურადღება მიიქცია.

1914 წელს სასწავლებელი დავამთავრე და ქართული ხელოვნების ძეგლების შესწავლა დავიწყე. მონაწილეობას ვღებულობდი ისტორიულ-არქეოლოგიური საზოგადოების ექსპედიციებში, ძველი ფრესკების ასლს ვიღებდი. ისინი ახლა საქართველოს მუზეუმებში ინახება.

ვმონაწილეობდი მხატვრების მიერ მოწყობილ გამოფენებში.

1919 წელს გავემგზავრე პარიზში. იქ დავდიოდი რონსონის აკადემიაში. 1920 წელს მონაწილეობა მივიღე შემოდგომის სალონში. გამოფენაზე წარვადგინე ზეთის საღებავებით შესრულებული ოთხი სურათი. შემდეგ დავბრუნდი სამშობლოში, ვმუშაობ... მგონი, მეტი არაფერია სათქმელი.

არა, სათქმელი კიდევ ბევრია! 1922 წელს პარიზში მოეწყო მისი პერსონალური გამოფენა. გუდიაშვილის სურათები წარმატებით იქნა ექსპონირებული მარსელში, ბორდოში, ლიონში. ბორდოში მხატვარი დააჯილდოვეს საპატიო სიგელით, რომელსაც რჩეულთა შორის რჩეულს აკუთვნებენ.

ლ. გუდიაშვილი წარმატებით მონაწილეობს ლონდონში, რომში, ბრიუსელში, ამსტერდამსა და ევროპის სხვა ქალაქებში მოწყობილ გამოფენებში. 1922 წელს გუდიაშვილის ნამუშევრებს საპატიო ადგილი მიეკუთვნა ნიუ-იორკის „ახალი გალერეის“ პირველ გამოფენაზე.

ლ. გუდიაშვილის ნაწარმოებები შეტანილია, აგრეთვე, ლიკორნისა და ჟოზეფ შიიეს პარიზის გალერეის და მადრიდის მუზეუმ პრადოს ექსპოზიციებში. მის ბევრ ნამუშევარს შეიძლება ეხვდეთ ევროპისა და ამერიკის საუკეთესო კერძო სალონებში.

შეიძლება ითქვას, რომ ლადო გუდი-

აშვილის მიერ შექმნილი სახეები, მიუხედავად მათი მოქნილობისა, ინარჩუნებენ წმინდანთა ტრადიციულ გამოსახულებას, რომლის საწყისები ბიზანტიაში უნდა ვეძიოთ. გუდიაშვილის ფუნჯი ამ სახეებს ზოგჯერ ელეგიური პოეზიით მოსავს, ისინი სავსეა ლეგენდის კოლორიტით, რომელშიაც ერთმანეთს ედავება სიუხვე და სიმტკიცე, ხოლო მუდარა მუდამ ადგილს უთმობს მღელვარე მოთხოვნას.

ლადო გუდიაშვილის დამსახურებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ მან ხელუხლებლად შეინარჩუნა თავისი ნაციონალური გრძნობიერება იმ პლასტიკურ ცდუნებათა შორის, რომელთაც ყოველ ნაბიჯზე ახვედრებდა პარიზი.

5

1925 წელს პარიზში გამოქვეყნდა ფრანგი ხელოვნებათმცოდნის მორის რეინალის მონოგრაფია გუდიაშვილზე.

აი, ზოგი ფრაგმენტი ამ წიგნიდან:

„ჩვენ მთელი არსებით ვეძლევით მისი ქართული სანახაობების მომხიბვლელობას. იმდენად, რომ, მიუხედავად ჩვენი პატივისცემისა გარკვეული არტისტული ტრადიციების მიმართ, ჩვენ შევიყვარეთ საქართველო ისე, რომ არც კი გვინახავს ის. ჩვენ შევიყვარეთ საქართველო, განსაკუთრებით, მისი სულისათვის და ეს მოხდა გუდიაშვილის ხელოვნების დაბეჯითებით ხელის შეწყობის მეშვეობით.

..სენტბევი თავის დროზე წერდა მოგზაურობის სარგებლიანობის შესახებ. წერდა, რომ მოგზაურობა ხელს უწყობს აზროვნების სიმდიდრეს, და ამცირებს თავმოყვარეობას, და თუ მე გიწვევთ სამოგზაუროდ გუდიაშვილის სურათების სამყაროში, ამას ვაკეთებ იმისათვის, რომ მგონია ისინი არა მარტო ჩვენს პლასტიკურ გემოვნებას დააკმაყოფილებენ ან ლათინურ თავმოყვარეობას შეამცირებენ, არამედ გრძნობათა სამყაროსაც კი დაიპყრობენ..

პერსპექტივა, ეს საცოდავი, პატარა გამოგონება იმდენად ვიწრო, როგორც არისტოტელეს სახელგანთქმული სამი ერთიანობაა, მასში ტოვებს ადგილს უფრო თავისუფალი წყობისათვის და, მაშასადამე, უფრო მდიდარი გრაფიკული და პლასტიკური აღმოჩენებისათვის. და მისი ნახატი, ელეგანტური და მძლავრი. მოქნილი, მაგრამ არა რბილი, ენერგიული, მაგრამ არა უხეში, ცოცხალი, მაგრამ არა კონვულსიური, მუდამ მოქმედებს ჩვენი გრძნობიერების პლასტიკური მიზეზების ჩარჩოებში, აკეთებს სწორხაზოვან აღმოჩენებს, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული ფერადოვან, მაგრამ სავსებით ჯანმრთელ წარმოსახვასთან.

...გუდიაშვილის შემოქმედება მხოლოდ წუთით როდი იზიდავს ჩვენს ყურადღებას. ჩვენ ვგრძნობთ, რომ სახეები, რომლებიც ახდენენ მისი კომპოზიციის ილუსტრირებას, ცხოვრობენ ჩვენი გრძნობიერების ინტენსიური ცხოვრებით, რომლის გამოვლინება არ გვაოცებს, მაგრამ გვაცბუნებს და გვაღელვებს. მხატვარი თითქოს გვიწვევს მაგარი სასმელის დასალევად, რომელიც ბევრი რამით წააგავს ჩვენსას, მაგრამ მაინც ინარჩუნებს თავის სპეციფიკურ თავისებურებას, რომელიც თავბრუს გვახვევს და სადღაც შორს გვიტაცებს .

...ახალი ჭეშმარიტებანი, ახალი აღმოჩენები ეძლევათ მათ, ვისაც უფრო დიდი და ნაყოფიერი გული აქვთ.

...ლადო გუდიაშვილმა თავის შემოქმედებაში შეძლო დაემყარებინა საფუძვლიანი წონასწორობა გონებასა და ინდივიდუალური გრძნობიერების იმპულსებს შორის, შექმნა ორიგინალური და სტაბილური ნაწარმოებები, რომელთაც შეძლეს (ეს იშვიათი თავისებურებაა) დაეტყვევებინათ და აეღელვებინათ ისინიც კი, ვინც დიდი ხანია დარწმუნებულია სენტიმენტალური ხელოვნების წარუმატებლობაში...“

ამას წერს მორის რეინალი, ხელოვ-

ნებათმცოდნე, პაბლო პიკასოს შემოქმედების სპეციალისტი.

1926 წელს გუდიაშვილი სამშობლოში დაბრუნდა. ერთი წლის შემდეგ კი, მე ის პირველად ვნახე რუსთაველის პროსპექტზე.

გავიდა ათეული წლები. ბევრი რამ შეიცვალა ხალხის, ქვეყნის ცხოვრებაში, თვით ჩვენი მხატვრის ცხოვრებაშიც. გარეგნულად ის თითქმის ისევ ახალგაზრდაა, როგორც ოდესღაც იყო. მისი სურათები კი უკვე მსოფლიოს მოსდებია.

მხატვრის უზარმაზარი ატელიე ზღაპრული პრინცესის სასტუმრო ოთახს წააგავს, სადაც კედლები მისი შეჰერაზადის აურაცხელი გმირებითაა მოფენილი. უნებურად გახსენდებათ ინგლისელი მწერლის ჯეიმს ოლდრიჯის სიტყვები:

„უსაზღვროდ აღფრთოვანებულმა დავათვალიერე ლადო გუდიაშვილის ბრწყინვალე შემოქმედების მცირე ნაწილი. ლადო გუდიაშვილს თავისი ადგილი ეკუთვნის თანამედროვე ეპოქის დიად მხატვართა შორის. ზედმიწევნით ამაღელვებელია მისი გრაფიკული ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები, ხოლო მისი ფერწერის დათვალიერების დროს ადამიანს ისეთი მღელვარება იპყრობს, როგორიც ტაძარში შესვლის დროს იგრძნობა; ყოველ მნახველს შეუძლია შეიგრძნოს ლადო გუდიაშვილის სახვითი საშუალებანი და ჩაწვდეს მისი ხელოვნების სიღრმეს. მოუთმენლად ელიან მისი ნაწარმოებების გამოფენას პარიზსა და ლონდონში, და ის იქაც ისეთსავე მღელვარებას გამოიწვევს, როგორც აქ გამოიწვია“

1957 წლის გაზაფხულზე მოეწყო ლადო გუდიაშვილის პირველი სრული გამოფენა. ყველანი მოუთმენლად ელოდნენ ვერნისაჟს, როგორც დიდ დღესასწაულს. ხუმრობა ხომ არ არის ლადო გუდიაშვილის სურათები ერთ დარბაზში ერთად შეყრილი იხილო!

გამოფენის გახსნის დღეს, თორმეტ მაისს, რუსთაველის პროსპექტზე გავლა ჭირდა. ხალხი იცდიდა სამხატვრო გალერეასთან, ახალგაზრდობა სჭარბობდა: უნივერსიტეტის, სამხატვრო აკადემიის, კონსერვატორიის სტუდენტები. დარწმუნებული ვარ, მათ არ ჰქონდათ მოსაწვევი ბილეთები. ვერნისაჟზე ჩვეულებრივად იწვევენ მხატვრებს, მწერლებს, არტისტებს, ჟურნალისტებს. დღეს კი აქ მთელი თბილისი შეყრილიყო.

როცა გამოფენის გახსნის დრომ მოაღწია, ხალხი კარებს მოაწყდა. გამოფენის ისტორიაში პირველად დაირღვა ტრადიციული ცერემონია.

მესამე დღეს, როცა ოდნავ იკლო დამთვალიერებელთა რიცხვმა, ძლივს მოვახერხე დარბაზში შესვლა.

სამხატვრო გალერეის შესახვევში შემხვდა ჩვენი ცნობილი კრიტიკოსი და ხელოვნებათმცოდნე, შესანიშნავი მოსაუბრე, აწ განსვენებული გერონტი ქიქოძე.

— როცა ამ ჭადრების ჩრდილიდან და ნაძვების ხეივნიდან გუდიაშვილის სურათების გამოფენაში შედიხართ, არ გეჩვენებათ, რომ ქართულ პოეტურ სამყაროში ხვდებით? — თქვა მან და პასუხისათვის აღარ დაუცდია.

ჩვენ, ბოლოსდაბოლოს, გამოფენის დარბაზში შევედით და იქ ლეგენდებისა და ზღაპრების სამყაროში აღმოვჩნდით.

დათვალიერება ფერწერიდან დავიწყეთ.

— შეამჩნიეთ, — განაგრძნობდა გ. ქიქოძე, — რა არაჩვეულებრივადაა წარმოდგენილი ქართული ბუნება მის ტილოებზე? მხატვრის მთელი ყურადღება მიპყრობილია ადამიანისაკენ. ის ცდილობს ამოხსნას უდიდესი საიდუმლო, ადამიანის სულისა და სხეულის საიდუმლო, როგორც ეს დამახასიათებელია მხატვარი მოაზროვნისათვის. ის ნათელი ცა და მსუბუქი ღრუბლები — ქართული ცა და ქართული ღრუბლებია და მათი შემქმნელი მხატვარი ღრმად ნაციონალურია.

ის ხატავს სხვადასხვა სოციალური

წრისა და ისტორიული ეპოქის წარმომადგენელ ქალებს: საუკუნეების სიღრმიდან გამოსულ სერაფიტას, დაჭრილ ამორძალს, ჩვენს თანამედროვე გლეხის ქალებს, რომლებიც სასახლეების აივანზე სხედან, ან მწვანე მდელოზე სანახევროდ წამოწოლილან, ან თავბრუდამხვევ ცეკვას გაუტაცნიათ. ის ხატავს ანტიურ ღმერთქალებივით მშვენიერებს, თუ კოლმეურნეობის მინდვრებზე მომუშავე ქალებს, ან ლადად ცხენზე მოჯირითეებს. მათ ყველას რაღაც აქვთ საერთო. ეს ის პოეტური საბურველია, რომელიც მათ მოსავთ. როგორც ფრიგიის ლეგენდარული მეფის მიდასის ხელში ყველაფერი ოქროდ იქცეოდა, ისე ყოველი ქალი, რომელსაც ლადო გუდიაშვილის ფუნჯი შეეხება, ღრმად პოეტური ხდება.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო სურათმა „პოეტი მანანა ორბელიანი ლოჟაში“.

— ეს შედევრია, — აღმოხდა აღფრთოვანებულ გერონტის, — როგორც კოლორიტისა და ნახატის, ისე კომპოზიციის მიხედვითაც: ეს სამი ახალგაზრდა ქალი თეატრში მივიდა, რათა საკუთარი თავი ეჩვენებინა პარტერიაა და იარუსების საზოგადოებისათვის. ისინი შესანიშნავ თაიგულს ქმნიან ხანშიშესულ მამაკაცთან ერთად, რომელიც მარტო სცენითაა დაინტერესებული. ეს კონტრასტი საუკეთესოდაა გადმოცემული ფერების მრავალსახეობაში, რომელიც შავი საღებავით იწყება და შემდეგ შინდისფერსა და მწვანე ფერში გადადის, რათა შეუდარებელი, ნაზი ელფერი შექმნას.

განვაგრძობთ დათვალიერებას. მოხიბლული ვდგევართ სურათ „ფიროსმანის სიკვდილის“ წინაშე, რომელშიაც, ყოველგვარი სენტიმენტალობის გარეშე, გადმოცემულია სახალხო მხატვრის ტრაგედიის უკანასკნელი აქტი. რა განმაზოგადებელი ძალაა ამ სურათში! ასე დაიღუპა არა მარტო ნიკო ფიროსმანი, ასევე დაიღუპა ბევრი სხვა დავიწყებული და ჩაუწვდომელი ტალანტი!...

ჩვენი საუბარი შეწყვიტა ბოტანიკმა გიორგი ლეონიძემ. ის მღელვარედ ამქღავნებდა თავის აღტაცებას, ხმამაღლა ლაპარაკობდა.

— მე განგებ მოვიყვანე აქ ჩემი სოფლელი კოლმეურნე, რომელიც სტუმრად მეწვია. და იცით, რა თქვა მან? თქვა, რომ ყოველივე ეს სასწაულია! — ერთხელ, — განაგრძნო ლეონიძემ, — მე და ლადო გუდიაშვილი რუსთაველის პროსპექტზე მივდიოდით. უცებ ცაზე ცისარტყელა შევამჩნიეთ და მოვუყევი ლადოს სოფელში განაგონი: თუ ცისარტყელაში ყვითელი ფერი ჭარბობს, იმ წელს პურისა და სიმინდის კარგი მოსავალი იქნება, თუ წითელი — ღვინისა, და თუ მწვანე — ხილი იქნებაო ბევრი... ასე მიამბეს თანასოფლელებმა. მე კი დავუმატებ, რომ ლადო გუდიაშვილის ცისარტყელაში მრავლადაა ყოველგვარი ფერი და, აი, უხვი მოსავალიც. მართლაცდა ლადო გუდიაშვილის ფუნჯმა შეითვისა ყველა ქართული ფერი. მის ტილოებზე ანათებს მზის ფერები, ოქროსი, ბროწეულის და ზვრის ზურმუხტისა და ბადაგშის, მაისის მთვარისა და გაზაფხულის სიზმრების...

..არქეოლოგები შეუსვენებლად მუშაობდნენ. ყოველი ნაპოვნი საფლავი ისტორიის ახალი გვერდია. აი, დედოფლის სამარხი. აქ ნაპოვნი ქსოვილის ნაჭრები, ტუალეტის საგნები, ოქროს პაწაწინა ნივთები, მანიაკი. — ყოველივე ეს მხატვრის მეხსიერებაში აღბეჭდილა ღრმად.

ისტორიკოსებისა და არქეოლოგების წასვლის შემდეგ, არმაზის მეფის ასული ორიათასწლიანი ძილისაგან იღვიძებს და თავის მოახლეებთან ერთად სასეირნოდ მიდის... ყველაფერი ვერცხლისფრად, მხიარულად ელვარებს შესანიშნავი მორთულობა, ქარში მოფრიალე მოსასხამი, ხელების რიტმული მოძრაობა... ჩვენება გაქრა, მაგრამ

ის დარჩა ტილოზე: „სერაფიტას გასეირნება“.

..აი, უკვე რამდენიმე დღეა მოდის პოეტი ამ ძველთაძველ ტაძარში, თავი უკან გადაუხრია და დგას ერთსა და იმავე ადგილზე. მაღლა კედელზე ფრესკაა—ქალიშვილის გამოსახულება. ის იდუმლად იღიმება და პოეტს მოსვენებას არ აძლევს სურვილი, გამოიცნოს, რას უღიმის ეს ქართველი ჯოკონდა? ასეთია გუდიაშვილის სურათი „ფრესკის ღიმილი“.

...ნიკო ფიროსმანის საფლავზე მოდის კინტო თავისი არღნით, რათა, ჩვეულების თანახმად, ღვინო მოასხუროს ძველი თბილისის მდაბიო ხალხის იდუმალ აზრთა მფლობელის საფლავს. გვერდით ყარაჩოხელებისა და ფიროსმანის სხვა თანამედროვე მოქალაქეთა საფლავებია, რომელთაც ფიროსმანი ხოტბას ასხამდა თავის ნახატებში. შველი —ეს სიწმინდე და გულწრფელობა, რომელიც საფლავის ქვას ამაგრებს, ფუნჯის უკვდავი ჯადოქრის დაუჭკნობელი ხელოვნების სიმბოლოა... „ფიროსმანის შესანდობარი“ — ასე უწოდა მხატვარმა თავის სურათს. ფიროსმანი მუდამ მისი სათაყვანებელი მხატვარი იყო.

საღებავების რა საოცარი დღესასწაულია! დიდი და პატარა ქუჩაზე გამოფენილა; იყურებიან აივნებიდან, სახლების ფანჯრებიდან, იცინიან, მღერიან, ხმამაღლა გამოხატავენ აღტაცებას. ეს ქართველი ხალხის წითელ არმიასთან შეხვედრის სიხარულია. სურათს ეწოდება „წითელი ლეგიონების შემოსვლა თბილისში“.

..კარიერისტ ჩინოვნიკს წოდება უნდა, მას სურს მოხვდეს გაზეთის ფურცლებზე, რათა ილაპარაკონ, რომ ის უძველესი და არისტოკრატიული მოდგმის შთამომავალია, რომ მის ძარღვებში ცისფერი სისხლი ჩქეფს. ამ მიზნით მას პარიზში გადააქვს თავისი წინაპრის მარკიზის ნეშტი პროვინციიდან.

დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი წინაპრის ჩონჩხი თვითკმაყოფილების გრძნობით ეწევა სიგარას თავის შინის კუბოში. ის ამაყად განისვენებს ახალ აკლდამაში ჩინების თაყვანისმცემელთა და ასენიზაციური ფურგონის გვერდით.

ამ სატირიკულ ნაწარმოებს, რომელშიაც მხატვარი სარკასტულად დასცინის მლიქვნელური ღვთისმსახურების აქტს, ეწოდება „მეორედ დასაფლავება პარიზში“.

...ჩარლი ჩაპლინი პარიზის კაფეში ზის ბატონ იმპრესარიოსთან ერთად. ის ღელავს: იკისრებს, თუ არა თვითკმაყოფილებით შეპყრობილი ბატონი მისი ნიჭით ვაჭრობას, მოისურვებს თუ არა, რომ ჩაპლინის ტალანტის წყალობით კიდევ უფრო გაისქელოს ჯიბე? ამაზეა დამოკიდებული, გააკეთებს თუ არა ჩაპლინი თავის საყვარელ საქმეს. ასეთი სიუჟეტისაა გუდიაშვილის ნაწარმოები: „ჩარლი ჩაპლინი და ბატონი იმპრესარიო“.

...მან უღალატა თავის ლამაზ, ახალგაზრდა ქმარს. უხეში, საზიზღარი მხეცი-ადამიანი თავს ჭრის თავის მეტოქეს და ქალის ფეხებთან აგდებს მას. ქალი ჯდება ამ ურჩხულზე და თოკით მიათრევს თავმოჭრილი მეუღლის სხეულს.

შესანიშნავია ლ. გუდიაშვილის ანტიფაშისტური გრაფიკული ნაწარმოებები. არ შეიძლება მათ გულგრილად აუარო გვერდი...

„ ჩვენთვის ეს მძიმე ტვირთი არ არის“, ამბობენ ფრანკოს მაიმუნები და ველასკესის „ინფანტას“ ეპატრონებიან. ისინი სადღაც მიათრევენ საბვითი ხელოვნების მსოფლიო შედევრს. „ყველაფერი, რაც დიადია და რაშიაც ადამიანის გენია ვლინდება, ხელყოფილი და შეურაცხყოფილია ფაშიზმის მიერ“, — გულისწყრომით ამბობს გუდიაშვილი.

...მაიმუნი აცოცებულა გარდაცვლილთა გროვაზე და იქიდან იარაღს უმიზნებს მშვიდობის მტრედს. როცა უყუ-

რებ სურათს „მაიმუნის დამიზნება“, გახსენდება იულიუს ფუჩიკის მიმართვა: „ადამიანებო, მე თქვენ მიყვარდით, იყავით ფხიზელნი!..“

...რა შეიძლება იყოს ცხენზე უფრო მშვიდი და ლამაზი? აქ კი ცხენების მთელი ჯოგია. ჯიშიანი დოღის ცხენები. ფაშისტი სისხლისმსმელები მოწყენილობას განიცდიან, მათ დილიდან არავინ მოუკლავთ. და აი, იმისათვის, რომ როგორმე თავიანთი დღე შეავსონ, ისინი გიტარის აკომპანიმენტზე ეკვრიან ცხენებს და იცინიან.

...მცხუნვარე ეგვიპტე. ოთხიათასწლიანმა სფინქსმა თავის თათი წამოსწია კოლონიური აგრესიის წინააღმდეგ. ასეთია „ქედმოუხრელი ეგვიპტე“.

1958 წლის გაზაფხულზე მოსკოვში გაიხსნა მხატვრის პერსონალური გამოფენა. ლადო გუდიაშვილს მიესალმებოდა მოსკოვის მთელი საზოგადოებრიობა.

— მე უკვე ვთქვი ,რომ მიყვარს ლადო მისი შემოქმედების დასაწყისიდან, — თქვა სერგეი გოროდეცკიმ, — მაგრამ ახლა მის ნამუშევარს რა შეედრება! უნდა აღვნიშნო, რომ მან ბევრი რამის გაკეთება შეძლო და მერე რა შესანიშნავად!... სტანისლავსკის ენით თუ ვიტყვით, მას არსად არა აქვს სურათში ცარიელი ადგილი... მისი ნამუშევრები დიდ ყურადღებას მოითხოვენ, მათ უნდა ჩაუფიქრდე... მე ცოტათი პოეტი ვარ, — თქვა სერგეი გოროდეცკიმ, — სურათი ჩემთვის მოთხრობაა. ლადო გოდიაშვილი კი ერთმანეთ პოეტურია. მისი ყველა სურათი ბოლოზეთ სუნთქავს. მე შევძლებდი მის ყოველ სურათზე დამეწერა ლექსი, მაშინაც კი, თუ ლეგენდის სიუჟეტი არ მეცოდინებოდა...

მას კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა. მაგრამ ამ დროს აკადემიკოსმა სიდოროვმა გრაფიკის დარბაზისაკენ წაგვიყვანა.

— აი, რა მხიბლავს, — მიგვითითა მან გრაფიკულ ნაწარმოებებზე, — ლადო გუდიაშვილი ჩვენი დროის მხატვართა შორის ერთერთი უდიდესია. მას, როგორც გრაფიკოსს, მხოლოდ ერთი დიდი წინამორბედი ჰყავს. მეტისმეტად საინტერესოა, რომ ეს წინამორბედი ფრანცისკო გოიაა. ქართველი მხატვრის კომპოზიცია მე, როგორც სპეციალისტს, გრაფიკის ისტორიაში მაშინვე მახსენებს გოიას, მაგრამ გოიას ახალს, თანამედროვეს, იმიტომ რომ ეს ნამუშევრები გაკეთებულია გრაფიკული სილამაზის ახალ, მღელვარე დონეზე, რომელიც შეიძლება გოიას არც კი ჰქონია, რადგანაც მას სხვა ამოცანები ჰქონდა გადასაწყვეტი.

...არის თემები, რომლებზეც მუშაობის დამთავრება არასასურველია, დაუსრულებლად შეიძლება მასზე წერა. მეც არ მინდა დავამთავრო საუბარი ლადო გუდიაშვილზე. მასზე ლაპარაკი შეიძლება დაუსრულებლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა.

ვლადიმერ ქლენჯი

გული და საუკუნე

„გული, გრძნობა და გონება,
სულ ერთმანეთზე ჰკიდია!“

შოთა

უძველესი ეგვიპტის ორ პაპირუსში (სმიტის 1800 წ. და ჰებერსის 1500 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) არის იეროგლიფები, რომლებიც სიმბოლურად, როგორც სიცოცხლის განსახიერებას, გულს გამოხატავენ. ერთ პაპირუსში გამოხატული იეროგლიფი მოცემულია მოცეკვავის ფიგურის სახით, რომელიც რიტმულ მოძრაობას ასრულებს, ხოლო მეორეში იგი ქალის გულ-მკერდითაა გამოსახული.

არისტოტელე ინტელექტის ცენტრად გულს მიიჩნევდა. იგი მას სიცოცხლის, მოძრობის, სულისა და სითბოს ორგანოს უწოდებდა. მისივე წარმოდგენით, ტვინი ცივი და ნამიანი ორგანოა, რომელიც გულში მოჭარბებული ტემპერატურის განსაზომიერებლადაა მოწოდებული. ასეთი მცდარი შეხედულებისა არისტოტელემდე იყვნენ სხვებიც, რომელთა წინააღმდეგ გაილაშქრა ჰიპოკრატემ.

როგორც ჩანს, უძველესი დროის ადამიანს შინაგან ორგანოთაგან უპირველესად გულის არსებობა უნდა სცოდნოდა, ამ უკანასკნელის იმ განსაკუთრებული ფუნქციური თვისების მეოხებით, რომელიც მას რიტმული მოძრაობის სახით გააჩნია (შეკუმშვა, გაფართოება) და რითაც განირჩევა სხვა შინაგანი ორგანოებისაგან. ჭეშმარიტებას მოკლებული არ იქნება ის აზრი, რომ ადამიანმა, რომლის არსებობა დედამიწაზე 500.000 წლით (ჩვენ წელთაღრიცხვამდე) განისაზღვრება, იმთავითვე იცოდა გულ-მკერდის არეში რიტმული ძგერის შესახებ. ალბათ, პირველმა დედამ ან ახალშობილის ამყვანმა ადამიანმა შეამჩნია თვალით, ან შეიგრძნო შეხებით ის პულსური მოძრაობა, რომელიც ახალშობილს გულ-მკერდის არეში აღენიშნებოდა, ან, შეიძლება, პირველმა მონადირემ ან მეომარმა მიაქცია ყურადღება გულ-მკერდის ღია ჭრილობის დროს გატიტვლებული გულის რიტმულ ძგერას. ეჭვს გარეშეა ისიც, რომ უძველესი დროის ადამიანის გულის მუშაობაზე გავლენას მოახდენდა, როგორც ფიზიკური დატვირთვა (სირბილი, მუშაობა), ისე სიხარული, სიძულვილი, განრისხება, შიში, სიცხე და სხვ., რაც გულის მუშაობის გაძლიერებას ან გახშირებასა და შეგვიანებაში (გაიშვიათებაში) გამოიხატებოდა. არაა გამორიცხული აგრეთვე გულის ან გულ-მკერდის არეში გულსისხლძარღვთა სისტემის მიზეზით გამოწვეული ტკივილის შეგრძნების არსებობა. იმდროინდელი ადამიანი, რასაკვირველია, ვერ განსაზღვრავდა თუ რით იყო გამოწვეული იგი

უნდა ვიგულისხმოთ — უძველესი დროის ადამიანმა იცოდა, რომ გულ-მკერდის არეში რიტმული ძგერის შეჩერება სიცოცხლის შეწყვეტას ნიშნავდა (ყოველ შემთხვევაში „ამქვეყნიურის “მაინც).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გული ის შინაგანი ორგანოა, რომელიც რიტმულ მოძრაობას ასრულებს და გარ-

კვეულ პირობებში ადამიანებს ატყობინებდა და ატყობინებს მისი არსებობის შესახებ.

სწორედ ამ ფუნქციური თვისებების გამო იყო დაშვებული ის შეცდომები, რომელთა გამოც გულს ინტელექტის (აზროვნების) ცენტრად მიიჩნევდნენ.

როგორც ცნობილია, გულის მუშაობის გაჩერება (იქნება ეს გამოწვეული თვით გულის თუ რომელიმე შინაგანი ორგანოს დაავადებით ან სხვა რაიმე მიზეზით) სიცოცხლის შეწყვეტას ნიშნავს.

გული რომ სიმბოლურად პიროვნების გამომხატველია, ამის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს ის ისტორიული ჭეშმარიტება, რომელიც გენიალურ კომპოზიტორს შოპენსა და დიდ რუს მთავარსარდალს კუტუზოვს შეეხება.

შოპენის ცხედარი მარხია საფრანგეთში, გული კი — ვარშავაში სპეციალურ შესანახშია მოთავსებული. ასევე კუტუზოვის ცხედარი გერმანიაში ქალაქ ბენცლაუს მახლობლადაა მიბარებული მიწას, ხოლო გული — რუსეთშია წამოღებული.

ყურადსაღებია აგრეთვე გულის მიმართ თქმული სიტყვები თუ გამოთქმები: გულთბილი, გულმართალი, გულუხვი, გულიანი, გულადი, გულქვა, ორგული, უგულო, „გულს გული იცნობს“ (ილია) და სხვ., რომელთაც ჯერაც არ დაუკარგავთ შინაარსობლივი მნიშვნელობა და წარმოშობის გარკვეული ისტორია აქვთ.

ამგვარად, გული აინტერესებდა უძველესი დროის ადამიანს, აინტერესებდა და აინტერესებს როგორც სამედიცინო მეცნიერებას, ისე მთელს კაცობრიობას.

დღეს გულსისხლძარღვთა დაავადებები პირველხარისხოვან პრობლემად არის დასახული, რადგან მათ სხვა დაავადებათა შორის, უპირატესი ადგილი უჭირავთ. ადამიანთა ინვალიდობის ყველაზე მაღალ პროცენტს სწორედ ეს დაავადებები გვაძლევს.

ცნება „გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი“ ფართოა, ჩვენ მათგან შევეხებით იმ დაავადებებს, რომლებმაც საგრძნობლად იმატა, ანალგასტრადობის ასაკშიც გახშირდა და თითქმის მასობრივი მოვლენა გახდა ცივილიზებული ქვეყნების ადამიანთა შორის, იქნება ეს ათეროსკლეროზი, ჰიპერტონიული დაავადება, სტენოკარდია თუ გულის ინფარქტი.

გული ღრუ, კუნთოვანი ორგანოა, რომელიც რიტმული მუშაობის მეოხებით აწვდის ორგანიზმს სისხლს და შემდეგ უკანვე ღებულობს. იგი დღე-ღამის განმავლობაში დაახლოებით 5-6 ტონამდე სისხლს გადაისვრის ორგანიზმში. ეს ფიზიკური მუშაობა გარკვეული ძალისაა და წნევის მეოხებით ხორციელდება. თვითონ გული იკვებება გვირგვინოვანი სისხლის ძარღვებით, რომელთა უწვრილესი კაპილარები მრავლად არის გაფანტული გულის კუნთში.

ორგანიზმისა და ორგანოების ნორმალურ კვებას სისხლით და არტერიული სისხლის წნევას, გულის კუნთის კუმშვადობის ძალას, გადასროლილი სისხლის რაოდენობა (დარტყმითი მოცულობა) და სისხლძარღვოვანი სისტემის ტონუსი განაპირობებს.

გულის შეკუმშვის დროს გადასროლილი სისხლის ტალღა ჩვეულებრივად ისინჯება მაჯაზე — სხივის არტერიაზე. ნორმალურად მაჯისცემა წუთში 64—76-ია. (უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცხოვრების ტემპის სისწრაფესთან, ემოციური და ვეგეტატიური სფეროს გარემოსთან შეგუების შესაბამისად, თანამედროვე მოზრდილ ადამიანთა უმრავლესობაში მაჯის სიხშირემ წუთში 80—90 მიაღწია). ერთ-ერთ პაპირუსში (ჰებერსის) გულის მიერ გადასროლილი სისხლის ტალღის გამოკვლევის შესახებ ასეა გადმოცემული: „გულიდან ყოველი ორგანოსათვის გამოდის სისხლძარღვი, ასე, რომ, როდესაც ექიმი, ღვთის მსახური ან ჯადოსანი მიადებს ხელს ან თითებს თავს, კეფას ან ხელების მტევნებს, მაშინ ის იკვლევს გულს

იმიტომ, რომ ყველა მის ორგანოში არის სისხლძარღვები, ე. ი. ის (გული) ლაპარაკობს ამ სისხლძარღვების მეოხებით".

ყველა ზემოხსენებულს საფუძვლად უდევს რთული ნერვული მექანიზმები, რომელთა ცენტროები ადამიანის თავის ტვინის ქერქსა და ქერქქვეშა კვანძებშია მოთავსებული (ცენტრალური და ვეგეტატიური ნერვული სისტემები).

ნერვული სისტემების საშუალებით ხორციელდება ის რთული ბიოქიმიური პროცესები, რომელთაც ნივთიერებათა (ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, მინერალური, ჰორმონული ვიტამინების) ცვლა ეწოდება. მათივე მეოხებით ხდება ნივთიერებათა ცვლის პროცესების გაწონასწორება, ხარჯვა-აღდგენის წარმოება.

ცენტრალური და ვეგეტატიური ნერვული სისტემების ურთიერთკავშირი, მათი კავშირი ორგანოთა სისტემებთან, ორგანიზმსა და გარე სამყაროსთან, რაც ხორციელდება ორგანოთა სისტემასა და მთელს ორგანიზმში მრავლად გაფანტული ნერვული დაბოლოებების, ავტონომიური ნერვული მექანიზმების, სისხლისა და ქსოვილების სითხეში არსებული სხვადასხვა ინგრედიენტებით, განაპირობებს ორგანიზმში არსებულ რეაქციათა და გარემო სამყაროდან მიღებულ გამაღიზიანებელთა ურთიერთ საპასუხო გავლენასა და კავშირს.

როგორც ვხედავთ, სიცოცხლე არის ბიოლოგიური პროცესების ჯამი, რომელიც ცოცხალ ორგანიზმში (ამ შემთხვევაში ადამიანში) ხორციელდება ცენტრალური და ვეგეტატიური ნერვული სისტემებით, ამ უკანასკნელთა საშუალებით ორგანიზმის გარე სამყაროსთან მუდმივ ურთიერთობაში ყოფნის შედეგად.

ზემოხსენებული რთული ბიოლოგიური პროცესების დარღვევას, ცენტრალური და ვეგეტატიური ნერვული სისტემის დისჰარმონიას, ორგანიზმსა და გარე სამყაროს შორის დამოკიდებულების შეცვლას მოჰყვება პათოლოგიური პროცესი, რომელსაც დაავადება ეწოდება. აი, ამ პათოლოგიური პროცესების შედეგია წარმოშობაც იმ დაავადებებისა, რომლებიც ზემოთ იყო ხსენებული. ჩვენ შევეხებით ზოგ იმ ფაქტორს, რომლებიც ხელს უწყობს ადამიანის ორგანიზმის ნაადრევ გაცვეთას (სიბერეს), დაავადებების (ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიული დაავადების, სტენოკარდიისა და გულის ინფარქტის) განვითარებას.

როგორც ცნობილია, მშობლების ავადმყოფობა გავლენას ახდენს მომავალი თაობის ჯანმრთელობაზე, მაგრამ შთამომავლობით ფაქტორს საბედისწერო როლი არ უნდა მიეკუთვნოს დასახელებული დაავადებების განვითარებაში, მხოლოდ ხაზი უნდა გაესვას ორგანიზმის მზადყოფნას შთამომავლობითი დაავადებების მიმართ.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ დაავადებები, რომლებიც შთამომავლობით ხასიათს ატარებენ, შეიძლება თავიდან იქნას აცილებული ინდივიდუმისათვის სათანადო პირობების შექმნისას და ინდივიდუალური მიდგომისას. მაგალითად, მშობლების ნევროზის (რომელიც შთამომავლობით ხასიათს ატარებს) თავიდან აცილება უმრავლეს შემთხვევაში შესაძლებელია, ე. ი. არაა აუცილებელი, რომ ნევროზი, რომლითაც დაავადებულია ბაბუა, მამა, ერთი რომელიმე მშობელთაგანი, შთამომავლობაზე გადავიდეს. მშობლებს ხშირად ეშინიათ ზოგიერთი დაავადების (კიბო, ლუეზი და სხვ.). ითვლიან მაჯის ცემას, იზომავენ არტერიული სისხლის წნევას, ყურს უგდებენ გულის მუშაობას, ავადმყოფურად აღიქვამენ მაჯის სიხშირისა და არტერიული წნევის ნორმის უმნიშვნელო მერყეობას, პანიკურად ხვდებიან შვილებსა და ახლობლებში მცირე ავადმყოფურ გამოვლინებებს და მათ მიმართ ზედმეტ კონტროლსა და სიფრთხილეს იჩენენ. ამ შემთხვევაში შთამომავლობით ფაქტორს ნევროზული მდგომარეობის გამყარებაში ხელს უწ-

ყობს გარე პირობები. სათანადო პირობების შექმნა კი შთამომავლობითი ფაქტორის დათრგუნვას გამოიწვევდა.

შვილებს, რომლებიც სისტემატურად უყურებენ მშობლების ნევროზულ გამოვლინებას, ზოგიერთ შემთხვევაში უმუშავდებათ მათ საწინააღმდეგოდ, ნერვული სისტემის გაკაჟება.

მშობლებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათი ნევროზული მდგომარეობა, სიმსუქნე, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, ვენერული დაავადებები და სხვა, გარკვეულ გავლენას ახდენენ მომავალი თაობის ჯანმრთელობაზე და ხელს უწყობენ ჩვენს მიერ ხსენებული დაავადებების განვითარებას.

როგორც ცნობილია, ხარისხიანი და ნორმალური კვების რეჟიმი განაპირობებს ადამიანის ფსიქიკურ და ფიზიკურ შესაძლებლობებს. დიდი მნიშვნელობა აქვს კვების რეჟიმის დაცვას ბავშვობიდანვე. არიან მშობლები, რომლებიც განსაკუთრებულ „მზრუნველობას“ იჩენენ შვილების მიმართ, ჭარბად აწვდიან მათ ტკბილეულს, ცხიმიან საკვებს, ბავშვების უმნიშვნელო დაკლებას წონაში კი ავადმყოფურად განიცდიან, უკრძალავენ სირბილს, თამაშს, და სხვ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ ბავშვს უკრძალავენ ბევრ ჭამასა და სითხის დიდი რაოდენობით მიღებას.

ორივე შემთხვევაში, როგორც მშობლებს, ისე ბავშვებს, უნდა შთავაგონოთ, რომ სხეულის ნორმალური წონა და გარეგნული ფორმის შენარჩუნება ჯანმრთელი და ხანგრძლივი სიცოცხლის აუცილებელი პირობაა.

რაც შეეხება მოზრდილი და უფროსი ასაკის თაობებს, უმრავლესობა მკურნალის რჩევა-დარიგებას ყურს არ უგდებს, რასაც ბოლოს, არაიშვიათად, სინანული მოსდევს (მხედველობაში გვაქვს კვების რეჟიმის დარღვევა — გადაჭარბებული ჭამა, სითხისა და ალკოჰოლიანი სასმელების ჭარბად მიღება). საუბარში მათგან ხშირად ვისმენთ, რომ წინაპრები, რომლებიც კოკა ღვინოს სვამდნენ, ჭამაზე ერთ ცხვარს ათავებდნენ, უფრო ხანგრძლივად ცხოვრობდნენო, ჩვენი აზრით, ისინიც ამავებდნენ, როგორც საკუთარი თავის მიმართ, ისე მომავალი თაობის წინაშე.

1740 წელს ნადირ-შაჰზე ფარნგულად გამოცემული წიგნის ანონიმური ავტორი წერდა: — „ქართველები საუკეთესონი არიან დედამიწის ზურგზე, მამაცები ახოვანნი, შესახედავნი, ძალოვანნი. და დიდად დღეგრძელნი იქნებოდნენ, ზედმეტად რომ არ ეძალებოდნენ ღვინოს, რისგანაც მათი სხეული ძაბუნდება. რაც შეეხება ქალებს, ისინი ოდითგანვე ულამაზესად ითვლებიან აზიაში“. ეს ისტორიული ფაქტი, რომელიც ჭარბად ღვინის სმის მავნებლობაზე მოგვითხრობს, ჩვენი აზრით, ჭეშმარიტებას მოკლებული არ არის.

აღსანიშნავია აგრეთვე ბისმარკის ლოზუნგი, რომელიც ალკოჰოლიანი სასმელების ჭარბად ხმარების მავნებლობაზე ლაპარაკობს. „ალკოჰოლიზმი სქესობრივი უძლურების საწინდარიაო“ (ბერლინში მან გაახსნევინა რესტორანი, სადაც ალკოჰოლიანი სასმელები არ იყიდებოდა).

უდავოა, რომ ისტორიულმა წარსულმა შემოგვინახა ქართული ტრადიციული სუფრის სამაგალითო ადათ-წესები, რომლებიც დღეს, საუბედუროდ, დამახინჯებულია და უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ, ღვინის სმაში შეჯიბრების, სუფრასთან ხანგრძლივად ჯდომისა და უზომოდ ჭამის ხასიათს ატარებს. (უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ წინაპრათა არა ყველა ზნე-ჩვეულება არის მისაღები. მათი აღიარება-მიღება, უარყოფა ან ნაწილობრივ შეცვლა შემოქმედებით ხასიათს უნდა ატარებდეს).

ჭარბად მიღებული ალკოჰოლიანი სასმელი ხშირად, ერთი მხრივ, იწვევს კუჭის სეკრეციული ფუნქციის გაძლიერებას, რასაც შიმშილის შეგრძნება მოსდევს და ადამიანი გაცილებით მეტ საჭმელს ეტანება, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში. რაც, რასაკვირველია, ფი-

ზიოლოგიურ მოვლენად არ უნდა ჩაითვალოს. მეორე მხრივ კი იგი გავლენას ახდენს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, იწვევს თვითკონტროლის დათრგუნვას და რეალური სამყაროს აღქმის გაუკუღმართებას. ხაზი უნდა გაესვას ზოგიერთის მიდრეკილებას ძლიერ ცივი სასმელის ან ყინულიანი წყლისადმი (მათ არ შეუძლიათ გულგრილად ჩაუარონ მაცივარს), რაც არაიშვიათად იწვევს გულის მკვებავი სისხლძარღვების სპაზმს, შევიწროვებას. ამას კი სტენოკარდიული შეტევა მოსდევს. დიდ ზიანს აყენებს გულსისხლძარღვთა სისტემას ის ადამიანი, რომელიც უზომოდ მთვრალი და მაძღარი მიეცემა ძილს.

შეუძლებელია აგრეთვე არ აღვნიშნოთ ის სამარცხვინო ფაქტი, რომელსაც დიდი ზიანი მოაქვს თანამედროვე ადამიანების ჯანმრთელობისათვის. ეს გახლავთ ფალსიფიცირებული ღვინო, რომლის მკეთებელ კერძო „სპეციალისტ-მეღვინეთა“ რიცხვი, საუბედუროდ, დღითიდღე იზრდება.

გარკვეული მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელობისათვის ზოგიერთი საკვების სეზონურად მიღებას. ასე, მაგალითად: არაა სასურველი წელიწადის ცხელ თვეებში (მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო) ღორის, ცხვრისა და ბატის ხორცით კვება.

მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის ზემოხსენებულ დაავადებათა წარმოშობაში ნაწლავთა მოქმედების რეგულაციის დარღვევას.

ყველაფერი ეს როდი გულისხმობს, რომ ადამიანებს აეკრძალოთ ხიზილალა, მსუქანი ხორცი, კვერცხი, ტკბილეული, ღვინო და სხვ. ადამიანი საკვებს უნდა ღებულობდეს ასაკის, წონის, ფიზიკური და გონებრივი შრომის და აგრეთვე წელიწადის დროის შესაბამისად. ხარისხოვანი ვიტამინებით მდიდარი სანოვაგე, ხილი, სრულფასოვანი სასმელი წყალი, სუფთა და ჟანგბადით მდიდარი ჰაერი, საკვების მიღება 3-4-ჯერ, ხანგრძლივი და ჯანმრთელი სიცოცხლის საწინდარია. არანაკლებ მნიშვნელობა აქვს გულისა და სისხლძარღვთა დაავადების განვითარებაში შინაგანი ორგანოების მწვავე და ქრონიკულ დაავადებებს (განსაკუთრებით კი მათ, რომლებიც უეცარი, ძლიერი შეტევითი ხასიათის ტკივილებით იწყება). ამ დაავადებათა განვითარებას ხელს უწყობს აგრეთვე კბილების მოუწესრიგებლობა, განსაკუთრებით კი კბილის ხშირი და ხანგრძლივი ტკივილი. ხაზი უნდა გაესვას შაქრიანი დიაბეტის, ქრონიკული ტონზილიტის, ხშირი ხელოვნური აბორტის, გავა-წელის რადიკულიტის, ცენტრალური ნერვული სისტემის ორგანული დაზიანებისა და სახსართა მწვავე და ქრონიკული ანთების გავლენას ზემოხსენებულ დაავადებათა წარმოშობაში.

გარკვეული ზიანი მოაქვს ადამიანისათვის უმოძრაობას (მანქანით სიარული, ხანგრძლივად ჯდომა და წოლა). კუნთოვანი სისტემის სისტემატური ვარჯიში აუცილებელი პირობაა გულსისხლძარღვთა სისტემის ტონუსისა და სხეულის გარკვეული წონის შესანარჩუნებლად.

ისინი, ვინც საასპარეზო წვრთნას ეწეოდა სპორტის რომელიმე სახეობაში და მოულოდნელად სრულიად კრძალავენ ფიზიკურ ვარჯიშს, სამართლიანად იმსახურებენ გულის ნევროზს და ზოგად სიმსუქნეს. ვარჯიშს სისტემატურად უნდა ატარებდეს ადამიანი. ზოგი ერთი კვირის დატვირთვის ნორმას ერთ დღეში გადის, რაც, რასაკვირველია, მიზანშეწონილი არ არის, მით უმეტეს, თუ მას ერთკვირიანი „დასვენება“ მოსდევს (ვითარდება კუნთოვანი სისტემის ე. წ. „დეტრენირება).

დიდი სარგებლობა მოაქვს გულსისხლძარღვთა სისტემისათვის ფეხით სიარულს.

თუ რა უარყოფით გავლენას ახდენს საერთოდ არასისტემატური ვარჯიში, რომელ სფეროშიაც არ უნდა იყოს იგი, მოვიყვანთ გენიალური ბუსიკოსის, ვიოლინოზე ვირტუოზული შემსრულებ-

ლის პაგანინის აზრს: „ერთ დღეს რომ არ დავუკრავ, მე თვითონ ვგრძნობ ამას, ორ დღეს რომ არ დავუკრავ, ჩემი ცოლიც გრძნობს, ხოლო სამ დღეს რომ არ დავუკრავ, ამას უკვე მაყურებელიც გრძნობს“.

ჩვენ ვიცნობთ სპორტსმენებს, რომლებიც გულის მანკით არიან შეპყრობილი და, მიუხედავად ამისა, მათ არა ერთგზის დაუპყრიათ გამარჯვების მწვერვალები. ჩვენ ვიცნობთ აგრეთვე საკმაოდ ხანდაზმულ ადამიანებს (72—75 წ.), რომელთაც გულის მანკი აქვთ (ზოგ მათგანს სამმაგი მანკი) და გულის მუშაობის კომპენსაცია კი მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთხელაც არ დარღვევიათ. აქაც უდავოდ წამყვანი როლი სხეულის და, კერძოდ, გულის კუნთის სისტემატურ ვარჯიშსა და ფსიქოემოციური სფეროს სიძლიერეს (გაწონასწორებას) უნდა მიეკუთვნოს. მავნებელია გადაჭარბებული ფიზიკური ვარჯიშიც.

რაც შეეხება თამბაქოს მავნე გავლენას ადანმიანის ჯანმრთელობაზე, ამაზე ბევრი იწერებოდა და ახლაც იწერება.

თამბაქოს მავნე გავლენა და მისი როლი ზოგიერთი დაავადების განვითარებაში, როგორც უკანასკნელი მეცნიერული, ექსპერიმენტული და კლინიკური მონაცემები ამტკიცებენ, ეჭვს არ ბადებს.

გარკვეული ექსპერიმენტული და კლინიკური მონაცემების საფუძველზე დამტკიცდა აგრეთვე ისიც, რომ თამბაქოს შხამი (ნიკოტინი) დიდ ზიანს აყენებს გულსისხლძარღვთა სისტემას, რაც განსაკუთრებით თავს იჩენს ხანდაზმულ მწეველთა შორის (შეიძლება შედარებით ახალგაზრდებშიც გამოიწვიოს სისხლძარღვთა ნაადრევი გადაგვარება). ცნობილი მკვლევარის ჰუშარის მიერ მოწოდებულ ტერმინს (ჯერ კიდევ 1898 წელს) „თამბაქოსმიერი სტენოკარდია“, რომელიც გულის არეში შეტევითი ხასიათის ტკივილით ვლინდება ,დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

იშვიათი არაა სამედიცინო პრაქტიკაში სტენოკარდიის განკურნების შემთხვევა, რაც თამბაქოს წევის შეწყვეტას, მის მიტოვებას მოჰყვება ხოლმე, (წყდება გულის არეში ტკივილები, სწორდება ელექტროკარდიოგრამა).

განსაკუთრებული საფრთხის წინაშე დგანან ისინი, ვინც უზმოზე ხშირად და სხვადასხვა ხარისხის თამბაქოს ეწევიან. ექიმებს უნდა ახსოვდეთ, მოწამვლის დროს სასწრაფო დახმარების აღმოჩენისას მხედველობიდან არ გამორჩეთ თამბაქოს შხამით გამოწვეული მოწამვლაც.

ექიმი, რომელიც თამბაქოს წევის მავნებლობაზე ავადმყოფს საუბარს უტარებს, თვითონ არ უნდა ეწეოდეს, რათა მისი ფსიქოთერაპიული ზემოქმედება სრულყოფილი იყოს. მას არ უნდა დაავიწყდეს ცნობილი ლათინური გამოთქმა „ექიმო, განიკურნე თავი შენი“.

ზემოხსენებული ფაქტორების როლი აღნიშნული დაავადებების განვითარებაში ეჭვს არ ბადებს, მაგრამ როგორც დღეისათვის ცნობილია, წამყვან როლს დაავადებების წარმოშობაში, განსაკუთრებით კი იმ დაავადებებისა, რომლებიც „ეპიდემიურ“ ხასიათს აატრებენ, ფსიქოემოციური სფეროსა და ვეგეტატიური ნერვული სისტემის დისჰარმონია თამაშობს. ფსიქოემოციური სფეროს ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს როგორც შთამომავლობითი, ისე გარემო ფაქტორი. ამ ორი წლის წინათ პროფესორი მიასნიკოვი გაზეთ იზვესტიაში წერდა, რომ ბავშვებს ბავშვობიდანვე უნდა ვასწავლოთ „გაცლა“, იქ, სადაც ეს საჭიროა, „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“, ამბობს ხალხური ანდაზა. უდავოა, ამის გამომუშავება დადებითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, მაგრამ „გაცლა“ უნდა იყოს ჭეშმარიტი და არა მოჩვენებითი, ე. ი. ადამიანი თუ რაიმე არასასიამოვნოს

გაეცალა, ეს არასასიამოვნო მასში დაღს არ უნდა ტოვებდეს.

ხშირი და ხანგრძლივი შეკავებები, უარყოფითი ემოციები ზოგიერთ შემთხვევაში დამანგრეველ გავლენას ახდენენ ადამიანის ორგანიზმზე. ერთ-ერთი მკვლევარის აზრით, „სადაც შეკავება სჭარბობს განტვირთვებს, იქ დაავადება ვითარდება“, ჭეშმარიტებას მოკლებული არაა.

როგორც ცნობილია, ძირითადად ადამიანის უმაღლესი ნერვული სისტემის ოთხი ტიპი არსებობს. შეიძლება ითქვას, რომ მათი მიდრეკილება ზოგიერთი დაავადებებისადმი არჩევთია. უმაღლესი ნერვული სისტემის მიხედვით ადამიანები შეიძლება პირობითად დავყოთ სუსტ—მერყევ და მტკიცე—ძლიერ ფსიქოემოციურ სფეროს მქონე ტიპებად. რასაკვირველია, შინაგან და გარე სამყაროდან მოსული გამაღიზიანებლების აღქმის ხარისხი და მასზე საპასუხო რეაქცია ამ ორი ტიპისათვის სხვადასხვა იქნება. ერთი მათგანისათვის დაბრკოლებას ან რაიმე უმნიშვნელო მოვლენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ის მისთვის „დიდი“ ამბავია, ხოლო მეორისათვის ზემოაღნიშნული მოვლენები შეიძლება ჩვეულებრივი იყოს და პიროვნება განსაკუთრებულ რეაქციას არ იძლეოდეს.

როგორც ვთქვით, არსებობს ადამიანის სუსტი და ძლიერი ტიპი, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში სუსტში შეიძლება თავი იჩინოს ძლიერმა თვისებებმა და, პირიქით, რაც დამოკიდებულია გარემოსა და კონკრეტულ სიტუაციურ პირობებზე, რომლებიც განაპირობებენ პიროვნების უარყოფითი ან დადებითი თვისებების მაქსიმალურად გამოვლინებას. დიდ როლს თამაშობს დაავადების წარმოშობასა და მის დაძლევაში ნებისყოფა — მისი საშუალებით ადამიანს შეუძლია მაქსიმალურად გარდაქმნას თავისი თავი.

დაავადების დაძლევასა და წინააღმდეგობის გადალახვაში დიდი მნიშვნელობა აქვთ თვითშთაგონებას.

კარგი განწყობა გამარჯვების საწინდარია.

ნაპოლეონის ლეიბ-მედიკოსი (ქირურგი) ლარეი გამომდინარეობდა რა დაკვირვებებიდან, ამბობდა, რომ „გამარჯვებულ დაჭრილებს ჭრილობები უფრო აღრე უხორცდებათ, ვიდრე დამარცხებულ დაჭრილებს“. ვინ იცის, როგორ დატრიალდებოდა მძიმედ დაჭრილი მამაცი სარდლის პეტრე ბაგრატიონის ბედი, მას რომ არმიის უკანდახევა არ გაეგო!?

ადამიანის ჯანმრთელობაზე გარკვეულ დაღს ტოვებს შიშიც. იგი შეიძლება სხვადასხვა ხასიათს ატარებდეს. ერთ შემთხვევაში შეიძლება ის გაპირობებული იყოს კონკრეტულობით, მეორეში—განურჩევლობით. პირველ შემთხვევაში ადამიანს შეიძლება ეშინოდეს ვინმესი, რაიმე საგანის ან მოვლენის, ხოლო მეორე შემთხვევაში შიში ატარებს ფართო ცნების ხასიათს.

ამ დროს ადამიანს ეშინია ყველაფრისა და არაფრის (სიცოცხლის და სიკვდილისაც). ასეთ ადამიანს, რომ ჰკითხოთ, ის ზუსტად და გარკვევით ვერ გეტყვით, რისი ეშინია... იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანს რაიმე კონკრეტული მოვლენის ან სხვა რაიმეს შიში აქვს (მაგ., მძიმე სენის ან სიკვდილის), აქ ბრძოლა, როგორც საკუთარი ძალებით, ისე სხვისი დახმარებით, შედარებით ადვილია. ჩვენ მხედველობაში არა გვაქვს ის შიში, რომელიც პიროვნების ფსიქიკის გახლეჩის (სულით დაავადების) ან მისი მოსაზღვრე მდგომარეობის დროს გვხვდება. რაც შეეხება განურჩეველ შიშს, მასთან ბრძოლა უფრო ძნელია.

უძველესი მედიცინის ბრწყინვალე წარმომადგენელმა ავიცენამ ექსპერიმენტის მიზნით შიშის სამაგალითო მოდელი შექმნა. მან ორ სხვადასხვა გალიაში მოათავსა ცხვრები, რომლებიც ერთი ჯიშის, ერთი ხნის, ერთი სქესის და ერთი წონისანი იყვნენ. კვების პირობებიც ერთნაირი ჰქონდათ. ერთ-ერთი გალია მოათავსა იმ გალიის გვე-

რდით, რომელშიაც ცოცხალი მგელი იყო მოთავსებული. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ცხვარი მოკვდა.

ცხვარმა, რომელიც მეორე გალიაში იყო მოთავსებული და მგელს ვერ ხედავდა, შედარებით ხანგრძლივად იცოცხლა. ამჟამად ექსპერიმენტებით (ძაღლებში, მაიმუნებში, კატებში) დადასტურებულია შიშის მოდელის შექმნის შედეგად მიღებული ნევროზი, ჰიპერტონია და გულის ინფარქტიც კი.

ჩვენი სახელოვანი მწერალი და დიდი საზოგადო მოღვაწე შალვა დადიანი წიგნში „რაც გამახსენდა", რომელიც მან სიკვდილამდე ექვსი თვით ადრე დაწერა, ასე ამბობს: „მე არ ვნანობ, რომ ვკვდებიო". ამით ის უარყოფს რა სიკვდილის ავადმყოფურ შიშს — დასძენს: ადამიანებმა ისე უნდა შექმნან ცხოვრება, რომ მათ დაბადებიდან სიკვდილამდე, ე. ი. ცხოვრების მთელ მანძილზე, სიკვდილის ავადმყოფური შიში არ უნდა ჰქონდეთო.

ისტორია იცნობს ბრძოლის ველზე სიკვდილის დამმარცხებელ გმირებს. ვიცნობთ მეორე სამამულო ომში მონაწილე ადამიანთა სამაგალითო, უშიშარ თავგანწირვას, კაცობრიობა იცნობს გმირ კოსმონავტებს. ვის არ აღაფრთოვანებს რუსთაველის ავთანდილი, ტარიელი და ფრდიონი. ვაჟას, აკაკის, ილიას და სხვათა ნაწარმოებების უშიშარი და სიკვდილის დამმარცხებელი გმირები.

ცნობილია, რომ შიშს, ღვარძლს, გაბრისხებას, შურს, მლიქვნელობას, პიროვნების გაორებასა და „საქმოსნობას" მოჰყვება ჰიპერტონიული დაავადება, ნევროზული მდგომარეობა, სტენოკარდია, გულის ინფარქტი. სისხლის ბიოქიმიური თვისებების შეცვლა, წებოვნების მომატება, მისი შედედების დროის ხანგრძლივობის შემოკლება.

რა ზომებს უნდა მივმართოთ, რომ თავიდან იქნას აცილებული ზემოხსენებული უარყოფითი გავლენები, რომლებიც განაპირობებს ჩვენს მიერ აღნიშნული დაავადებების წარმოშობას?

როგორც აღვნიშნეთ, პირველ რიგში, სწორი გეზი უნდა იქნას აღებული ჯანმრთელი ფსიქოემოციური სფეროს მქონე პიროვნების ჩამოსაყალიბებლად. სასურველი შედეგების მისაღწევად დიდი როლი ეკისრება, როგორც მშობლებს, ისე მასწავლებლებს. აღნიშნული პირები ახლოს უნდა იყვნენ ბავშვებთან. მიდგომა ინდივიდუალური უნდა იყოს. არაა აუცილებელი უსარგებლოდ ტვინის „ჭყლეტა"; მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც მოსწავლე სამ ან ოთხ საგანში ძლიერია. ნიშანი 5 დამსახურებულად უზის, ხოლო დანარჩენ საგნებში ნიშანი 4 ან 3 აქვს.

ამ მდგომარეობას ზოგიერთი მშობელი სასოწარკვეთილებამდე მიჰყავს. ისინი სჯიან და ეჩხუბებიან ბავშვებს, ზოგჯერ იქამდის მიდის საქმე, რომ ბავშვები იმ საგნებშიაც ჩამორჩენას იწყებენ, რომლებშიც ძლიერი იყვნენ (მკვიდრდება ნევროზული მდგომარეობა და სკოლის ასაკის ჰიპერტონია). არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც ბავშვს არა აქვს მუსიკალური ნიჭი (სმენა) ან საშუალო ნიჭისაა. მას კი მუსიკას აძალებენ. უდავოა, მუსიკის ცოდნა აკეთილშობილებს ადამიანს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველას შეუძლია დაამთავროს მუსიკალური ათწლედი ან კონსერვატორია. სულ სხვაა, როდესაც ბავშვი ნიჭიერია და ამავე დროს ზარმაცი. აქ მშობლებისა და მასწავლებლების შეთანხმებული მოქმედება სასურველ ნაყოფს გამოიღებს.

გარკვეულ დაღს ამჩნევს ადამიანის ჯანმრთელობას აგრეთვე მასში არსებული განსაკუთრებული მისწრაფების (რაიმე სფეროში) ჩახშობა.

არის შემთხვევა, როდესაც ათწლედამთავრებული მოწაფე სწავლის გაგრძელების არჩევანში ცდება და იწყებს მას, რაც მის შესაძლებლობას აღემატება. ზემოაღნიშნულის გამო სტუდენტი მესამე კურსიდან უბრუნდება პირველ კურსს იმ დარგში, რომელიც თურმე მას თავიდან უნდა დაეწყო. ამ შემ-

თხვევაში მშობლისა და პედაგოგის სწორი და დროული ჩარევა შეცდომას თავიდან აგვაშორებს.

როგორც ცნობილია, გამოსაცდელი პირი გამოცდის წინ და გამოცდის პერიოდში ძალიან ღელავს. ეს უარყოფით გავლენას ახდენს მის ჯანმრთელობაზე. ზოგჯერ მიზეზიც კი ხდება ამა თუ იმ დაავადებისა. განსაკუთრებით ღელავენ ისინი, რომლებიც სიმწიფის ატესტატის მისაღებად გადიან გამოცდაზე, უფრო მეტად კი ის პირები, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებს აბარებენ. დიდ დაღს ასვამს ადამიანის ჯანმრთელობას, როცა მას გამოცდაზე ცოდნას უკარგავენ, ნიშანს აკლებენ, ან კიდევ, თუ გაცილებით ნაკლები მომზადების პირს მასზე მაღალ ნიშანს უწერენ.

რაც შეეხება მოსწავლეთა და სტუდენტთა გონებრივი და ფიზიკური შრომის შეთავსებას, ამის შესახებ პროფესორი მიასნიკოვი მის მორიგ გამოსვლაში (ტელევიზიით) აღნიშნავდა, რომ მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით კი ჩვენს მიერ ხსენებული დაავადებების განვითარების ბიძგის მიცემაში, გარკვეულ როლს თამაშობს მათი გონებრივი და ფიზიკური შრომის არაადექვატური შერწყმა (დილით სწავლა, საღამოთი მუშაობა და, პირიქით).

მოსწავლეს უნდა ჩააგონონ, რომ იგი სწავლობს ცოდნისათვის და არა ნიშნისათვის.

ცნობილი მოწოდება — „ბავშვს ბავშვობა უნდა გაუგრძელდეს“ — საწინდარია ადამიანის სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობისა. დიდი ყურადღების ღირსია აგრეთვე ახალგაზრდობის სქესობრივი აღზრდის საკითხი.

მეორე, რაც განამტკიცებს ადამიანის სულიერ და ფიზიკურ სამყაროს, ეს მეგობრობაა, რომელიც სასურველია ბავშვობიდანვე გაღვივდეს. ერთ-ერთი ფილოსოფოსის აზრით, „თუ ადამიანს მეგობარი არა ჰყავს, მისი ცხოვრება სრულყოფილი არ არის“.

მეგობრობა შეიძლება მეუღლესთან, ბებიასთან, ბაბუასთან, დედასთან, მამასთან, დასთან, ძმასთან, ნაცოლის ამხანაგებთან, უცხო ადამიანთან, ექიმთან, ბუნებასთან, იმ საქმესთან, რომელიც ადამიანს ძალიან უყვარს, წიგნთან, შინაურ ან გარეულ ცხოველებთან. არიან ადამიანები, რომლებიც ცხოველებთან ურთიერთობაში დიდ სულიერ სიმშვიდეს ჰპოვებენ. ადამიანს მეგობარი იმიტომ სჭირდება, რომ მას სულიერი სამყარო გაანდოს და ამით შვება იგრძნოს, განიტვირთოს. არის შემთხვევა, როდესაც მეგობრის წყალობით დიდი გაჭირვება არაფრად იქცევა.

მეგობრობის უბადლო მაგალითი გვიჩვენა რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანში“. ვინ იცის რა ბედი ეწეოდა სიყვარულისაგან გაშმაგებულ ტარიელს, რომ მისთვის ასმათს, ავთანდილსა და ფრიდონს მეგობრობა არ გაეწიათ.

დიდ გავლენას ახდენს პიროვნების ჩამოყალიბებაზე ეკონომიური და სოციალური პირობები. უდავოა, აგრეთვე მათი როლი დაავადებების განვითარებაში, კერძოდ კი იმ დაავადებებისა, რომლებიც ჩვენ გვაინტერესებს.

ადამიანს უნდა უხაროდეს სამუშაოზე წასვლა და უკან, სახლში, დაბრუნება. ერთ-ერთი მკვლევარის თქმით, ადამიანისათვის საკმარისია დღეში სამი კოვზი სიხარული, რომ მან თავი კარგად იგრძნოს, მას უნდა ამოძრავებდეს საზოგადოებრივი, ოჯახური და პირადი. ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს მის ნაყოფიერებაში საზოგადოების წინაშე, რა მოვალეობასაც არ უნდა ასრულებდეს იგი. არ უნდა ჰქონდეს იმისი შეგრძნება, რომ მას აყვედრიან. თავს უნდა გრძნობდეს მაიაკოვსკისებურად, რომელიც სამართლიანად ამბობდა: „ჩემი შრომა, ყველა შრომის მონათესავეა“.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი წარმოების ან დაწესებულების ხელმძღვანელი შეურაცხყოფას აყენებს თანა-

მშრომელს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

საგულისხმოა ერთი ისტორიული ფაქტი, რომელიც ნაპოლეონ ბონაპარტეს შეეხება: ერთხელ, როდესაც ტალეირანი ნაპოლეონის კაბინეტიდან შეურაცხყოფილი გამოვიდა, მან ასე თქვა: „რა დიდი ადამიანია და როგორი ცუდი აღზრდილია“.

არის შემთხვევა, როდესაც წარმოების ან დაწესებულების ხელმძღვანელი თანამშრომელს „სასწრაფოდ“ იბარებს, შეტყობინება კი ტელეფონით ხდება. ადგილზე მისვლისას აღმოჩნდება, სიტყვა „სასწრაფოდ“ ისე, სხვათაშორის, იყო ხმარებული. უფრო მეტიც, ადგილზე, ზემოაღნიშნულს დაემატა დაუმსახურებელი ლანძღვა, რასაც მოჰყვა გარკვეული ნევროზული კომპლექსი, რომელიც გამოიხატა უსიამოვნო განწყობაში ტელეფონის ზარის გაგონებაზე, ე. ი., როდესაც, აღნიშნული პიროვნება ყურმილის ასაღებად მიდის, ის უსიამოვნება ახსენდება, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ ტელეფონზე დაძახებასთან იყო დაკავშირებული. ეს უსიამოვნო განწყობა წინ უსწრებს ამ ადამიანს მაშინაც კი, როცა იგი გარკვეული სასიხარულო ამბავის მოლოდინშია.

დიდ დაღს ასვამს ადამიანის ჯანმრთელობას სამსახურიდან არაკანონიერად განთავისუფლება. ჩვენ ვიცით მაგალითები დაწესებულებებსა და წარმოებებში უსიამოვნების შედეგად განვითარებული სტენოკარდიული შეტევებისა, ტვინში სისხლის ჩაქცევისა და გულის ინფარქტისა. არის შემთხვევა, როდესაც ავადმყოფი ამბობს: უჭირს სამსახურში წასვლა იმის გამო, რომ იგი წარმოების ხელმძღვანელს შეხვდება, ე. ი. მასზე უკვე უარყოფითად მოქმედებს მისი ხელმძღვანელის დანახვაც კი. ხაზი უნდა გაესვას აგრეთვე, ცოდნით შეუფერებელი ხელმძღვანელის უარყოფით გავლენას მის ხელქვეითთა ჯანმრთელობაზე.

თუ ხელმძღვანელი მის ხელქვეითთა უმრავლესობაზე უარყოფითად მოქმედებს, მაშინ უნდა დაისვას საკითხი ასეთი „ხელმძღვანელის“ განთავისუფლების თაობაზე.

უკანასკნელი მონაცემებით (როგორც საბჭოური, ისე უცხოური) გულის ინფარქტების უმრავლესობას წინ უსწრებს, პირველ რიგში, მძიმე ფსიქიური ტრავმა, მეორე რიგში კი ხანგრძლივი ფსიქიკური დაძაბვა. აღნიშნულ ფსიქიკურ ტრავმებს განაპირობებს სამსახურებრივი და ოჯახური ფაქტორები (კონფლიქტები).

ამ ორიოდე წლის წინათ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მკვლევარები: დავიდოვსკი, პარინი და სხვები გაზეთ „იზვესტიაში“ წერდნენ, „რომ მედიცინამ ჯერ კიდევ არ იცის საბოლოოდ, საიდან ჩნდება სკლეროზი. მაგრამ ვფიქრობთ, რომ არასაჭირო სხდომები და უაზრო მუშაობა არა ნაკლებ როლს თამაშობენ გულსისხლძარღვთა დაავადების აღმოცენებაში, რომ დაავადებას ბიძგს აძლევს ადამიანის შრომის უწესრიგო ორგანიზაცია და ის, თუ რა სახის ცხოვრებას ეწევა იგი.

არის შემთხვევები, როდესაც ჰიპერტონიით დაავადებულ ადამიანს მკურნალობა კლინიკის პირობებში უტარდება. გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ მკურნალობა ეფექტს იძლევა. სისხლის არტერიული წნევა იწევს ავადმყოფისათვის საჭირო ციფრამდე. მაგრამ საკმარისია ეს ადამიანი საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ მოხვდეს მისი დაავადებისათვის არასასურველ სამსახურებრივ ან ოჯახურ პირობებში, რომ დაავადებამ ისევ პროგრესული ხასიათი მიიღოს.

ხაზი უნდა გაესვას აგრეთვე სპორტული სანახაობის შედეგად გამოწვეული გადაჭარბებული რეაქციის გავლენას, იგი უფრო მეტად მავნებელია ზემოხსენებული დაავადებებით შეპყრობილი ადამიანისათვის, მაგრამ გავლენას ახდენს ჯანმრთელ ადამიანებზეც. კერძოდ, მათ ნერვულ სისტემაზე. ეს კიდევ უფრო მწვავდება, როდესაც მსაჯი არა-

კანონიერად სჯის. ხდება ხოლმე, როდესაც იგი მაყურებლისათვის საბედისწეროდ მთავრდება. (სტენოკარდია, თავის ტვინში სისხლის ჩაქცევა, გულის ინფარქტი, ნევროზული მდგომარეობა).

არაა მხედველობიდან გამოსაშვები აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ადამიანები,რომლებიც ქუჩაში, ტრანსპორტში, ბაზარში, მაღაზიებში და ,საერთოდ, საზოგადოებრივ ადგილებში ხვდებიან, ხშირად ერთმანეთს შეურაცხყოფას აყენებენ, რაც არაიშვიათად სტენოკარდიული შეტევით ან გულის ინფარქტით გვირგვინდება.

ყურადსაღებია ერთი გარემოებაც, სახელდობრ ის, რომ უმრავლესობა ადამიანებისა მნიშვნელოვან მოვლენას რაიმე სფეროში, იქნება ეს მეცნიერება, ხელოვნება თუ სხვა, აღფრთოვანებით ხვდება ან, პირიქით, ზოგიერთ მოვლენას ეჭვის თვალით უყურებს, ამას ემატება ისიც, რომ არსებობს გარკვეული ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც რაიმე უმნიშვნელო მოვლენას ან ყურმოკრულს აზვიადებენ და ავრცელებენ. მაგალითად, ავრცელებენ აზრს ატომური იარაღის გამოყენების აუცილებლობაზე, სურსათ-სანოვაგის, წყლისა და ნიადაგის გაბინძურებაზე — მათში რადიაქტიული ნივთიერებების ჭარბ შემცველობასა, ტელევიზორების მავნებლობაზე და სხვ., რაც, რასაკვირველია, დიდ გავლენას ახდენს ადამიანთა ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით კი მათ ნერვულ სისტემაზე, ცხოვრებისადმი დამოკიდებულებაზე, ქცევასა და მიზანსწრაფვაზე. ხშირად ასეთ გაზვიადებულ ინფორმაციებს კოშმარული სიზმრები მოსდევს, რაც დამაძაბუნებლად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე. ხშირდება სტენოკარდიული შეტევები, გულის ინფარქტი, მატულობს სისხლის არტერიული წნევა, ძლიერდება ნევროზული მდგომარეობა.

ასეთ შემთხვევაში საჭიროა ამა თუ იმ დარგში გათვითცნობიერებული ადამიანის, სპეციალისტის მიერ, დროგამოშვებით ლექცია-საუბრების ჩატარება. შესაძლებელია პრესის, რადიოსა და სატელევიზიო ქსელის ეგამოყენებაც. სასარგებლო განმარტებები, კი განტვირთავს ადამიანის ფსიქოლოგიურ სამყაროს უარყოფითი ემოციებისაგან.

არ არის სადავო ის, რომ ადამიანთა სრულყოფილ ცხოვრებას ფრთებს ასხამენ მუსიკოსები, პოეტები, მხატვრები, მწერლები და მსახიობები, როდესაც ისინი სასიამოვნო ჰანგებს, სამაგალითო ლექსებს, რომანებს თუ სახეებს ჰქმნიან. მაგრამ რა სავალალო და აღმაშფოთებელია, როდესაც ხალხში სახელმოხვეჭილი, ავტორიტეტული, საყვარელი პიროვნება, იქნება ის პოეტი, მხატვარი, მსახიობი, მუსიკოსი, სპორტსმენი თუ სხვა რომელიმე სფეროში მოღვაწე ცნობილი ადამიანი, უმტყუნებს ხალხს, მისი უხეირო შემოქმედებითა და ქცევით. აღნიშნულ მოვლენათა უარყოფითი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობისათვის შეუმჩნეველი არ რჩება.

ორიოდე სიტყვით შევეხებით იმ დიდ საკითხს, რომელიც სიყვარულსა და სქესობრივ ცხოვრებას შეეხება.

ყველაზე ხანგრძლივი და ძლიერი ემოცია—ეს სიყვარულია ერთი სქესისა მეორისადმი და ისე ძლიერად არც ერთ ცოცხალ არსებას არ ახასიათებს, როგორც ადამიანთა მოდგმას (ჩვენ მხედველობაში არა გვაქვს სიყვარული მშობლისა და შვილებისადმი ან, პირიქით). აქვე უნდა დავსძინოთ, რომ განუხორციელებელი და აკრძალული სიყვარული, ხშირი დაუკმაყოფილებელი სქესობრივი ცხოვრება, სქესობრივი უძლურება, უსაზღვრო სქესობრივი ლტოლვა და, პირიქით, გადაჭარბებული თავშეკავებები, ზოგჯერ ბიძგს აძლევენ ზემოხსენებული დაავადებების განვითარებას. მათი მოწესრიგება კი სასურველ შედეგს გამოიღებს.

ახლა კი გადავიდეთ იმ საკითხზე, როდესაც ეს დაავადებები — ათეროსკლეროზი, ჰიპერტონიული დაავადება, სტენოკარდია, ინფარქტი—უკვე განვითარებულია და მოითხოვს როგორც

მკურნალობას, ისე პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებას.

პირველ რიგში ექიმის როლს უნდა შევეხოთ.

ისტორიულმა წარსულმა ექიმთა თავგანწირვის მრავალი მაგალითი შემოგვინახა. ამას მოწმობს როგორც ჰუგო გლაზერის „დრამატული მედიცინა“ ისე სხვათა გამოკვლევები და ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკა. ვის არ განაცვიფრებს პეტენკოფერის მიერ ქოლერის ვიბრიონების ჩაყლაპვა, ან ფორსმანის მიერ საკუთარ გულში (მარჯვენა გულში — იგულისხმება გულის მარჯვენა ნახევარი), მხარის ვენის გავლით, წვრილი რეზინის კატეტერის შეყვანა. ვინ მოსთვლის მეჩნიკოვის, პურკინიეს და სხვათა მიერ საკუთარ თავზე ჩატარებულ სიცოცხლისათვის სახიფათო ცდებს. ხალხი სიყვარულით ინახავს პიროგოვის, იანოვსკის, გაზის, თოფურიას, გომართელის და სხვათა ხსოვნას. არა ერთი ექიმის გმირული ეპიზოდები შემოგვინახა მეორე სამამულო ომმა.

პატივისცემასა და ხალხის დიდ სიყვარულს იმსახურებს დღესაც მრავალი ექიმი მაგ., შესანიშნავი ადამიანი და მკურნალი ალ. კანდელაკი, გორკი მათ პატარა დიად ადამიანებს უწოდებს. ერთ-ერთი მკვლევარის თქმით — ექიმის გმირობა ნაბიძგებ გმირობას არ ჰგავს.ბალზაკის ნაწარმოების „სოფლის ექიმის“ მოქმედი პირი, რომელიც ექიმს ეძებს და მას მძიმე ავადმყოფის საწოლთან ნახავს, ასე მიმართავს: „მე თქვენ ბრძოლის ველზე მოგისწარითო“.

მაგრამ იყვნენ და, სამწუხაროდ, არიან ისეთი ექიმები, რომლებიც მოწოდების სიმაღლეზე არ დგანან. ისტორიამ სამარცხვინო ჭეშმარიტებად შემოგვინახა ალექსანდრე მაკედონელის მკურნალი ექიმის გლავკეს სახელი, რომელმაც ალექსანდრეს ჯარების სარდალი, მძიმედ დაჭრილი ეფესტიონი მიატოვა და თეატრში წავიდა. ეფესტიონი გარდაიცვალა. ალექსანდრემ კი ექიმი გლავკე ჯვარზე გააკრა.

უპირველესად ყოვლისა, ექიმი დიდი ბუნების ადამიანი უნდა იყოს. შეიარაღებული მედიცინის როგორც ძველი, ისე ახალი და უახლესი მიღწევებით. იგი უნდა ერკვეოდეს მედიცინის ფილოსოფიაში, მას უნდა ჰქონდეს ზოგადი განათლება, იცნობდეს ადამიანთა უმაღლესი ნერვული სისტემის ტიპებს, ყველა პროფესიისა და ხელობის ადამიანთა ფსიქოლოგიურ თავისებურებებს. გარკვეულ სიმპათიას უნდა იმსახურებდეს ჩაცმულობით, სისუფთავით, მისი მოქმედება შთამაგონებელი უნდა იყოს, დიდი ავტორიტეტით უნდა სარგებლობდეს, სწრაფად უნდა ერკვეოდეს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აუცილებლობაში, ვინაიდან ყოველი დაგვიანებული წუთი და დაბნეულობა საბედისწეროა ავადმყოფისათვის. დროულად უნდა გადაწყვიტოს ჰოსპიტალიზაციის საკითხი, სწრაფად გაარკვიოს ავადმყოფის დიაგნოზი და აღმოუჩინოს შესატყვისი დახმარება.

ზოგიერთ შემთხვევაში ელექტროკარდიოგრამის გადაღებას და მის პასუხს ელოდებიან, რასაც შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი მოჰყვეს. მართალია, ელექტროკარდიოგრაფიულმა გამოკვლევამ გულსისხლძარღვთა დაავადებების დიაგნოსტიკაში, მკურნალობასა და პროფილაქტიკაში დიდი სარგებლობა მოიტანა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი ყოველთვის გადამწყვეტი და აუცილებელია. საჭიროა მისი ღრმა ცოდნა და დროული გამოყენება.

რაც შეეხება მედიკამენტურ მკურნალობას, უნდა ითქვას, რომ ამჟამად მედიკამენტთა მთელი არსენალია მოწოდებული. გარკვეული ნაწილი შესანიშნავ შედეგებს იძლევა, მათი შერჩევა ავადმყოფისთვის ინდივიდუალური უნდა იყოს.

როგორც აღვნიშნეთ, დაავადებათა სამკურნალოდ მრავალი საშუალებაა მოწოდებული, მაგრამ ეს კიდევ იმას არ

ნიშნავს, რომ ყოველგვარი ავადმყოფური გამოვლინება მხოლოდ წამლით იყოს სამკურნალო. ერთ-ერთი მკვლევარის აზრით, „დაავადება არის სიცოცხლე, სიცოცხლე კი პრეპარატების კოლექცია როდია“. არ უნდა დაგვავიწყდეს აგრეთვე ჰიპოკრატეს გენიალური სიტყვები; „დაეხმარე, ნუ ავნებ ბუნებას“.

გარკვეული ზიანი მოაქვს, როდესაც ავადმყოფს ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად რამდენიმე ექიმი მკურნალობს.

ინფარქტის დროს წოლით რეჟიმზე ზოგიერთ ექიმს და ავადმყოფსაც არასწორი წარმოდგენა აქვთ. ხშირად გაიგონებთ, როგორც ექიმისაგან, ისე ავადმყოფისაგან, რომ ამერიკაში გულის ინფარქტით დაავადებულს თითქოს ლოგინიდან ერთ კვირაზე აყენებენ, ან კიდევ ინგლისში რამდენიმე დღით აწვენენო და სხვ.

ექიმებსაც, ავადმყოფებსაც უნდა ახსოვდეთ, რომ არსებობს გულის ინფარქტის სხვადასხვა ფორმა, რომ დაავადების მიმდინარეობა, ხანგრძლივობა და გამოსავალი სხვადასხვაა. ავადმყოფებს, რომლებმაც გულის ინფარქტი გადაიტანეს, ისიც უნდა ახსოვდეთ, რომ სასურველი გარემო, რეჟიმი და ექიმის მიერ მიცემული რჩევა-დარიგების გატარება მათ ხანგრძლივ და ლამაზ სიცოცხლეს ჰპირდება.

მკურნალობა, რომელშიაც წოლითი რეჟიმიც შედის და იგი მკურნალობის აუცილებელი პირობაა, უნდა ტარდებოდეს ავადმყოფების მიმდინარეობის შესაბამისად (მოძრაობა, სამკურნალო ფიზკულტურა და წოლითი რეჟიმი ექიმის შეხედულებაზეა დამოკიდებული).

დიდი მნიშვნელობა აქვს მკურნალობისათვის ავადმყოფის არჩევანს ექიმზე. რასაკვირველია, მაშინ, როდესაც ეს მასზე არის დამოკიდებული.

რუსთაველის თანამედროვეს — საადი შირაზელს მის ცნობილ „გოლესთანში“ („ვარდნარი“) სიბრძნის ასეთი მაგალითი მოჰყავს: ერთმა კაცმა, რომელსაც თვალები ასტკივდა, სამკურნალოდ ბეითალს მიმართა. ბეითალმა იმ წესით უმკურნალა, რომლითაც პირუტყვი მკურნალობდა. კაცი იგი დაბრმავდა და სამართალს მიაშურა, მოსამართლემ ბეითალი გაამართლა: ბეითალი რა შუაშია, ის კაცი პირუტყვი რომ არ ყოფილიყო, ბეითალთან რა უნდოდა.

ავადმყოფებს ხშირად მკურნალობენ და რჩევა-დარიგებას აძლევენ ყოფილი ავადმყოფები და გარეშე პირები, რომლებსაც გაუგონიათ და არ კი იციანრა.

დიდ ზიანს აყენებენ აგრეთვე ავადმყოფები თავიანთ თავს, როდესაც თვითმკურნალობას ეწევიან, წამლებს ირჩევენ და ინიშნავენ. რაც შეეხება დიეტას, ბალნეოლოგიურ-კურორტულ მკურნალობას, სამკურნალო ფიზკულტურას, სქესობრივი ცხოვრების საკითხს და საკითხს დაკავშირებულს პროფესიულ შრომასთან, ეს უკვე მკურნალი ექიმის შეხედულებაზეა დამოკიდებული. ალკოჰოლიანი სასმელების ხმარებაც ექიმის შეხედულებით უნდა იქნას ნებადართული.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სიფრთხილე სჭირდება ექიმებს, რათა თავიდან იქნას აცილებული ე. წ. იატროგენია ე. ი. სტენოკარდიის, ჰიპერტონიული დაავადების, განსაკუთრებით კი გულის ინფარქტის დიაგნოზის დასმა იქ, სადაც ეს დაავადება სინამდვილეში არა გვაქვს.

საზიანოა მოსახლეობაში ფართო მასებისათვის ამ თუ იმ დაავადების შესახებ მიწოდება დაწვრილებითი არასაჭირო „სიმართლისა“, რომელიც პოპულარული სტატიებისა და პლაკატების მეოხებით ხორციელდება. თუ ექიმს, რა გინდ განათლებული და ჰუმანური არ უნდა იყოს იგი, ხელთ არა აქვს ის, რაც ავადმყოფის გადასარჩენადაა საჭირო, თუ ხელს არ უწყობს ავადმყოფი და გარემო, იგი ვერ გააკეთებს იმას, რაც ავადმყოფ ან ჯანმრთელ ადამიანს სჭირდება.

უდავოა, მკურნალობის ეფექტურო-

ბაში დიდი როლი ენიჭება საშუალო და დაბალ მედპერსონალს. კარგი მედდა ექიმის მარჯვენა ხელია.

დროული და შესატყვისი ჩარევა, სადაც საჭიროა, ქირურგიულიც, წამალი, შთაგონება, მეცნიერული მედიცინის ძველი, ახალი და უახლესი მიღწევების გამოყენება, სახალხო მედიცინა, სასურველი სოციალ-ეკონომიური პირობები შეამცირებენ ჩვენს მიერ აღნიშნული დაავადებების ზრდას და გავრცელებას, დაავადების განვითარების შემთხვევაში კი ხელს შეუწყობენ მკურნალობის შედეგიანობას.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ეჭვს გარეშეა, რომ ვეგეტატიურ და ფსიქოემოციურ დისჰარმონიას, ცხოვრების ტემპის გაძლიერებასთან ერთად, ცხოვრების ახალ სიტუაციურ მომენტებს, ქალაქური ცხოვრების ყაიდას, კვების რეჟიმის დარღვევას ბავშვობიდანვე, უხარისხო საკვებს, ინტელექტურ და ფიზიკურ შესაძლებლობებს შორის პარალელიზმის დარღვევას. გონებრივ და ფიზიკურ დაძაბვას, უმოძრაობას, ალკოჰოლიზმს, ნარკომანიას, ავიტამინოზს, გაბინძურებულ და ჟანგბადით ღარიბ ჰაერს, უხარისხო წყალს, ხშირ და ხანგრძლივ შეკავებებს, უმოქმედობას, ზერელე ძილს, კოშმარულ სიზმრებს, შიშს, არადროულ დასვენებას და არახელსაყრელ კლიმატურ და მეტეოროლოგიურ ფაქტორებს გარკვეული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ადამიანის ნაადრევ გაცვეთასა და დაავადებაში, კერძოდ კი ჩვენს მიერ განხილული დაავადებებისას. მაგრამ ადამიანი ყოველგვარ მოსალოდნელ ფათერაკს თავიდან აიცილებს თუ იგი, როგორც ამბობს ჯონ ბეროუზი, გარეული მხეცების მომთვინიერებლის მსგავსად, რომელსაც დაღუპვა ემუქრება (მხეცისაგან), წამიერადაც არ მოადუნებს გავლენას ბუნებაზე. „დედამიწის მიმზიდველობის ძალები—ამბობს ბეროუზი—ელექტრობა, ცეცხლი. ქარიშხლები, წყალდიდობა, გაანადგურებენ და აღგვიან პირიდან მიწისა, თუ მას (ადამიანს) შეუტოკდება ხელი ან დაუჩლუნგდება აზრიო“.

„არ გვიხდება უარყოფა იმისა,—ამბობს ამერიკელი ანთროპოლოგი ლორენ აისლი,—რომ ადამიანს ბუნების ჟინიანობისაგან ძლიერად ხვდებოდა, მაგრამ ბუნებას ადამიანის დაღუპვა მიზნად არასოდეს დაუსახავს“. ეჭვს არ ბადებს ისიც, რომ ადამიანს, დღიდან მისი არსებობისა, გააჩნია და უფრო მეტად კი დროთა განმავლობაში იგი იმუშავებდა და იმუშავებს გარემოსთან შესაგუებელ ძლიერ საადაპტაციო მექანიზმებს, როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი შესაძლებლობებს მობილიზაციის მეთხებით, რამაც იგი დღემდე მოიყვანა და მომავალიც მასვე მიანდო.

დაე, ადამიანს ერთი წამითაც არ მოედუნებინოს მისი გავლენა ბუნებაზე, დაე, გამოეყენებინოს სამყარო ადამიანთა სასარგებლოდ და „ადამიანი გონიერი“, როგორც ეს მან თავისთავს დიდი ხანია უწოდა, ჰუმანიზმის მწვერვალზე აეყვანოს.

დაე, ჩვენი საუკუნე სამაგალითო ყოფილიყოს მომავალი საუკუნეებისათვის, როგორც საწინდარი ჯანმრთელი და ხანგრძლივი სიცოცხლისა, რომ კაცობრიობამ სიცოცხლის საერთო საგანძურში შეიტანოს წვლილი ნახევარ მილიონზე მეტი წლის წინათ ადამიანის მკერდში აძგერებული გულის სასიხარულოდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაზალია ოჩიროვსკაია

ცნობები ვახტანგ მე-6 შესახებ მე-18 საუკუნის ფრანგულ რომანში

მე-18 ს. — ეს ის დროა, როდესაც ფრანგულ ლიტერატურაში მეტად პოპულარული ხდება რომანის ჟანრი. იმდროინდელი რომანების უმრავლესობა საფრანგეთის ცხოვრებისა და მისი მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებს გვიხატავს უმთავრესად. მაგრამ, ამასთან ერთად, მხატვრულ ლიტერატურაში აქა-იქ ჩნდება ცნობები უცხო ხალხთა ცხოვრების შესახებ. იმ პერიოდში აღმოსავლეთისადმი ინტერესი მეტად გაძლიერდა: სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება აღმოსავლეთის ქვეყნებთან ხელს უწყობდა მოგზაურობათა აღწერების გამოსვლას; ამ აღწერებიდან მწერლები სხვადასხვა ქვეყნის შესახებ საინტერესო ცნობებს იყენებდნენ.

საქართველოს შესახებ ცნობებს მკითხველები ღებულობდნენ ჯერ კიდევ წინა საუკუნეში გამოცემული შარდენის, ტავერნიეს და სხვების მოგზაურობათა აღწერებიდან. მე-18 საუკუნეში გამოვიდა კიდევ ახალი წიგნები, რომლებითაც მეზობელ ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობასა და ცალკეულ პოლიტიკურ მოღვაწეთა ცხოვრებას ეცნობოდნენ.

საფრანგეთში გამოქვეყნებული სწორედ ასეთი მასალები გამოიყენა თავისი რომანებისათვის ფრანგმა მწერალმა ბარტელემი მარმონ დიუ ოშანმა. ამ ავტორის სახელი არ არის მაინცდამაინც ცნობილი ფრანგულ ლიტერატურაში. მის კალამს ეკუთვნის ნაშრომი მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის საფრანგეთის ფინანსთა სისტემის შესახებ და რამდენიმე სხვა სპეციალური ხასიათის ნაწარმოები. მხატვრულ ლიტერატურაში ოშანი ცნობილია როგორც ავტორი სამი რომანისა, რომელთა მოქმედება აღმოსავლეთის ქვეყნებში წარმოებს. ამ რომანებიდან ორი აგებულია იმ ცნობებზე, რომლებიც ავტორმა აიღო საქართველოს აღწერებიდან. ეს ფაქტი თავისთავად მრავლისმეტყველია, ეტყობა, საქართველოს თემა არ იყო ამ მწერლის შემოქმედებაში შემთხვევითი მოვლენა.

1735-36 წლებში დიუ ოშანმა გამოსცა (ორტომად) თავისი პირველი რომანი „რეტიმა ანუ მშვენიერი ქართველი ქალი". ამ ნაწარმოებში მოთხრობილია გასაოცარი სილამაზის ქართველი ქალის თავგადასავალი: თურქეთის სულთანის ჰარამხანისთვის მისი მოტაცების ამბავი. რეტიმა თავს დააღწევს ჰარამხანას, მოხვდება ევროპაში და, მთელი რიგი თავგადასავლის მემდეგ, დასახლდება ინგლისში, სადაც გამდიდრდება და ინგლისელი კაპიტანის მეუღლე გახდება. ამ რომანში, მთავარი მოქმედი პირის არაჩვეულებრივი სილამაზის აღწერის გარდა, საქართველოზე ძალიან ცოტა ცნობებია მოცემული. ნახსენებია მხოლოდ საქართველოს დედა-ქალაქი, სადაც დაიბადა რეტიმა: რაც შეეხება რომანის მოქმედებას, იგი წარმოებს საქართველოს ფარგლებს გარეთ და იმდროინდელ საქართველოში მომხდარ არც ერთ ამბავთან არ არის დაკავშირებული.

როგორც ჩანს, ავტორი გრძნობდა, ეს მასალა არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ რომანის სათაური გაემართლებინა, ამიტომ ცალკე დამატებად, წიგნის ბოლოში, მოჰყავს ზოგიერთი ცნობა რეტიმას წარმოშობისა და მე-17 საუკ. დასავლეთ საქართველოს შინაბრძოლების შესახებ. ავტორის თქმით, რეტიმას მშობლები შაჰ-ნავაზის მიერ გაგზავნილ იქნენ იმერეთში, სადაც დარეჯან დედოფლის დაცვის დროს, ტრაგიკულად დაიღუპნენ. რომანის ბოლოს მოთავსებული და სქემატურად მოთხრობილი ეს ისტორიული ცნობები შარდენის შრომიდანაა ამოღებული და ვერ ქმნის მოქმედების განვითარებისათვის სათანადო ისტორიულ ფონს.

უფრო მკაფიოდ და ნათლად საქართველოზე ცნობები წარმოდგენილია დიუ ოშანის მეორე რომანში, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რადგან აქ გამოყვანილია საქართველოს მეფე ვახტანგ მე-6. ეს ნაწარმოები 1754 წელს იყო გამოცემული შემდეგი სათაურით: „რუსპიას ისტორია, ანუ მშვენიერი ჩერქეზი ქალი". ამ რომანის სათაური არ განსხვავდება პირველი რომანის სათაურისაგან, ოღონდ ქართველი ქალის ნაცვლად, განმეორების თავიდან ასაცი-

ლებლად, დასახელებულია ჩერქეზი ქალი. მაგრამ რომანი საქართველოს ისტორიის მასალებზეა აგებული. მთავარი მოქმედი პირი ქართველია დედით, საქართველოს მეფის ვახტანგ მე-6 ახლო ნათესავია და მისი ცხოვრება საქართველოში მომხდარ ამბებთანაა დაკავშირებული. თუმცა რომანში ნათქვამია, რომ რუსპია ყაბარდოშია დაბადებული, მაგრამ მისი კავშირი ჩრდილოეთ კავკასიასთან ამით ამოიწურება, რადგან მშობლების დაღუპვის შემდეგ, იგი იზრდებოდა თავის ბიძასთან, ვახტანგ მეფესთან, საქართველოს დედა-ქალაქში, სადაც, როგორც ნათქვამია რომანში, „უპირატესად უხდებოდა ცხოვრება, ვიდრე ყაბარდოში“.

რუსპიას თავგადასავალი მე-18 საუკ. პირველი მეოთხედის სპარსეთის შინაომებთანაა დაკავშირებული. რუსპიას ქმარი, სპარსეთის ჯარის ერთერთი წინამძღოლი, იღუპება შაჰ-ჰუსეინის წინააღმდეგ ამხედრებულ ავღანელებთან ბრძოლაში. რუსპია, გაიგებს თუ არა თავისი ქმრის დაღუპვის ამბავს, საიდუმლოდ ტოვებს საქართველოს და მოსამსახურე ქალის თანხლებით მიდის სპარსეთში შურის საძიებლად. მამაკაცის ტანსაცმელში გადაცმული ქალი იარაღით უშიშრად მონაწილეობს ბრძოლაში და ხოცავს ავღანელებს, რომელთაც ბრალი მიუძღვით მისი ქმრის დაღუპვაში, და როდესაც რუსპია ტყვედ ჩაუვარდება ავღანელებს, იგი პირდაპირ აცხადებს, რომ მისი მიზანი იყო ქმრის სიკვდილისათვის შურისძიება. ავღანელების მეთაური, რომელმაც სპარსეთის ტახტი დაიკავა, გაოცებული რუსპიას მამაცობით, ათავისუფლებს მას და ეხმარება კიდევაც, რომ იგი ჯულფაში ჩავიდეს, საიდანაც რუსპია შეძლებს საქართველოში დაბრუნებას. მაგრამ რუსპია გაიგებს, რომ ვახტანგ მე-6 იძულებული გამხდარა დაეტოვებია საქართველო და მთელი რიგი სახიფათო შემთხვევის შემდეგ აღმოჩნდება გოაში.

მთელი რომანის მანძილზე რუსპია ეძებს თავის ბიძას. წიგნში მოთხრობილია ვახტანგის პოლიტიკური მოღვაწეობასა და სხვადასხვა ქვეყანასთან მის ურთიერთობაზე. ვახტანგი გამოყვანილია მხოლოდ ნაწარმოების ბოლოში, როდესაც იგი, ავტორის მიერ გამოგონილი ეპიზოდის მიხედვით, ჩადის გოაში, სადაც იმყოფება რუსპია. ავტორი გვიხატავს იმ საზეიმო მიღებას, რაც პორტუგალიელმა ვიცე-მეფემ მოუწყო ასეთ საპატიო სტუმარს. ვახტანგი დამსწრეთ მოუთხრობს თუ რატომ დატოვა საქართველო თურქების შემოსევის შემდეგ. რომანი მთავრდება რუსპიასა და პორტუგალიელი ვიცე-მეფის ქორწინების აღწერით.

თავისი ფაბულით რომანი რთულია. მრავალი მოქმედი პირია გამოყვანილი, ბევრი ქვეყანაა მოხსენიებული და სხვადასხვა ეროვნების ბალი მოქმედებს. მაგრამ მთავარი ისტორიული მასალა, რომელიც რომანს საფუძვლად დაედო, მაინც საქართველოს ეხება, მის ურთიერთობას მეზობელ ქვეყნებთან — სპარსეთსა და რუსეთთან.

მე-18 ს. პირველი ნახევრის სპარსეთში მომხდარმა შინაბრძოლებმა ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს ყურადღება მიიქცია. ინგლისელმა ჰენუეიმ ამ ამბებს უძღვნა წიგნი, რომელიც 1753 წელს ლონდონში გამოიცა. ეს წიგნი ცნობილი გახდა სხვა ქვეყნებშიც, მათ შორის საფრანგეთში. სწორედ ამ ჰენუეის უძღვნა პეისონელმა 1754 წელს პარიზში გამოცემული თავისი ნარკვევი სპარსეთსა და საქართველოზე. სპარსეთის შინაბრძოლებისადმი ინტერესის გაღვივების პერიოდში გამოვიდა დიუ ოშანის რომანიც რუსპიაზე, რომლის ისტორიული მასალა ამოღებულია წიგნიდან „სპარსეთის რევოლუციების ისტორია“, ამ ნაშრომს კი საფუძვლად უდევს მრავალი წლის მანძილზე სპარსეთში მცხოვრები პოლონელი იეზუიტის კრუსინსკის ჩანაწერები. ეს მასალა დაამუშავა და 1728 წელს გამოსცა დიუსერსომ, რომლის წიგნი მრავალჯერ იყო შემდეგ გამოცემული და სხვადასხვა ენაზე თარგმნილი.

თავის რომანში დიუ ოშანი რამდენჯერმე იხსენიებს „სპარსეთის რევოლუციების ისტორიას“. აქედან აქვს მას აღებული ცნობები ცალკეულ ისტორიულ პირებზე, საქართველოს ურთიერთობაზე სპარსეთსა და თურქეთთან, ცალკეული სახელწოდებანი და, ბოლოს, ამ წიგნიდანაა მოტანილი რომანის გმირი-ქალის შურისძიების ამბავიც. მაგრამ ყველაფერი ეს რომანში თავისებურადაა დამუშავებული და გაერთიანებული. დიუ ოშანის მიერ გამოყენებულ წიგნში, სპარსეთში შურისმაძიებლად წასული ქალი — ქართველია. ავტორი იქ პირდაპირ წერს „ქართველი ქალის თავგადასავალზე, რომელმაც თავისი მამაცობით გაითქვა სახელი“, მაგრამ ამ ქართველი ქალის არც სახელი და არც სოციალური მდგომარეობა არ არის მოხსენებული. დიუ ოშანმა ამ მასალაში შეიტანა ცვლილება: თავისი გმირი ქალი ჩერქეზად და ამავე დროს საქართველოს მეფის ახლო ნათესავად გამოიყვანა.

„სპარსეთის რევოლუციების ისტორიაში“ დიდძალი მასალაა საქართველოზე, მოთხრობილია ავღანელებთან ბრძოლაში დაღუპული გიორგი XI და ქაიხოსროს გმირობაზე. დიუ ოშანმა არ გამოიყენა ეს მასალა თავის რომანში, მან მხოლოდ ის მასალა დაამუშავა, რომელიც ვახტანგ მე-6 ისტორიას ეხებოდა. საქართველოს ამ მეფის ისტორიულ ბედთანაა დაკავშირებული რომანის ფაბულა. ნაწარმოები თითქმის მთლიანად იმ ამბავზეა აგებული თუ როგორ ეძებს გმირი-ქალი თავის ბიძას, რისთვისაც მის შესახებ სხვადასხვა ცნობას აგროვებს. თემატიკისა და სახეების დამუშავებისას დიუ ოშანი მის-

დევს იმდროინდელ ფრანგულ ლიტერატურაში გავრცელებულ სათავგადასავლო, გალანტური რომანის ტრადიციებს. მთავარ ყურადღებას ავტორი აქცევს თავგადასავალთა აღწერას, გმირთა სახეები, ხშირ შემთხვევაში, სუსტადაა დამუშავებული, ისინი უფრო აღწერითი მეთოდით არიან წარმოდგენილი, ვიდრე მოქმედებაში.

ასევეა რომანში მოცემული ვახტანგ მე-6 სახე. ავტორი ხოტბას ასხამს ამ მეფეს, როგორც კეთილშობილ, ფრიად განათლებულ ადამიანსა და მამაც მეომარს. გმირი ქალის ისტორიის მოთხრობისას ავტორი წერს, რომ მარტოდ დარჩენილს ,მას „სათნო ბიძა" მეურვეობს, რომელმაც აღზარდა იგი „თავის შეხედულებათა და კეთილშობილურ გრძნობათა მიხედვით". ავტორი ქებით იხსენიებს ვახტანგ მეფეს, რომელმაც უარყო წინადადება, გამოეცვალა თავისი რჯული იმისათვის, რომ სამეფო ტახტი მიეღო. ამ ეპიზოდში დიუ ოშანი ისტორიულ ფაქტებს თავისუფლად ეპყრობა. იგი ცდილობს წარმოგვიდგინოს მეფე ,როგორც უფრო მტკიცე ქრისტიანი, ვიდრე პოლიტიკური მოღვაწე და ავიწყდება ის ფაქტი, რომ საბოლოოდ ვახტანგ მეფე იძულებული იყო პოლიტიკური მოსაზრებით მიეღო მაჰმადიანობა.

რომანში აღნიშნულია ვახტანგ მეფის დიდი სამხედრო ღირსებები. დიუ ოშანი აღწერს ვახტანგ მეფის ლაშქრობას ლეკების წინააღმდეგ. ქართველი ჯარების მოქმედება იმდენად წარმატებით მიმდინარეობდა, რომ სპარსეთის მთავრობა შეშფოთდა, შაჰის მრჩეველებმა დაარწმუნეს იგი, რომ ქართველი ჯარის წარმატება საფრთხეს შექმნის სპარსეთისათვისაც. ამიტომ, შაჰისაგან მიღებული ბრძანების თანახმად, ვახტანგი იძულებული იყო შეეჩერებინა ასე წარმატებით დაწყებული ლაშქრობა. ყველა ეს მასალა კრუსინსკის წიგნიდან არის აღებული და ზუსტად გადმოსცემს ისტორიული ამბების მიმდინარეობას, არ ეწინააღმდეგება ავრეთვე ქართულ წყაროებს, მაგალ., ამ ეპიზოდის აღწერას სეხნია ჩხეიძის მიერ (იხ. საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა თბ. 1913, გვ. 32-33).

შემდეგ, დიუ ოშანს მოყავს მეტად ეფექტური ეპიზოდი, აგრეთვე კრუსინსკის წიგნიდან ამოღებული: აღშფოთებული იმის გამო, რომ შაჰმა აუკრძალა მას საომარი მოქმედების წარმოება თავისი ქვეყნის დასაცავად, ვახტანგ მეფე იძლევა ფიცს, შაჰის ელჩის თანდასწრებით, რომ აღარასოდეს არ იშიშვლებს ხმალს შაჰის დასაცავად. რომანში მოყოლილი მომდევნო ამბები მეფის ამ ფიციდან გამომდინარეობს. როდესაც ავღანელების მოძრაობით შეშინებული შაჰი ჰუსეინი მიმართავს ქართველ მეფეს დახმარებისათვის და გზავნის მასთან ელჩებს მდიდარი საჩუქრებით, ვახტანგი იმოწმებს რა თავის ფიცს, უარს ეუბნება ავღანელების წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობაზე. რომანში ხაზგასმულია ის აზრი, რომ ვახტანგს და მის ჯარს შეეძლო გადამწყვეტი როლის შესრულება და ავღანელები ვერც თუ ისე იოლად შესძლებდნენ შაჰ ჰუსეინის სპარსეთის ტახტიდან ჩამოგდებას, „ქართველ მეფეს რომ მოესურვა მისი დაცვა".

დიუ ოშანი ზუსტად იმეორებს „სპარსეთის რევოლუციების ისტორიაში" მოთხრობილ ისტორიულ ამბებს, ოღონდ გამოყავს თავისებური დასკვნები. აქ კი დიუ ოშანი ეწინააღმდეგება განმანათლებლების ეპოქის მოწინავე მოღვაწეების კრიტიკულ მიდგომას ისტორიული ფაქტებისადმი, რომლებიც ისტორიულ მასალას და სხვა ქვეყნების ცხოვრების შესახებ ცნობებს იყენებდნენ დესპოტიისა და აბსოლუტიზმის საწინააღმდეგო მიზნებისათვის. დიუ ოშანი, პირიქით, ბრალს დებს შაჰის მრჩეველებს, რომლებმაც გამოიწვიეს ვახტანგის აღშფოთება, მაგრამ ქებით იხსენებს რა წარსული დროის ტრადიციულ პატიოსნებას, ავტორი არ ამართლებს ქართველ მეფეს, რადგან შურისძიებით გატაცებულმა ვახტანგმა ასეთ მძიმე მომენტში არ გაუწია დახმარება შაჰსო. სწორედ ამაში ხედავს ავტორი ვახტანგის პირადი ცხოვრების ბედუკუღმართობის მიზეზს: თურქებმა იხელთეს მარჯვე დროით, შემოიჭრენ საქართველოში და აიძულეს მეფე დაეტოვებინა სამშობლო და რუსეთს გახიზნულიყო.

ვახტანგ მეფესა და სპარსეთის მთავრობას შორის უთანხმოებანი რომანში ზედაპირულადაა წარმოდგენილი, არ არის გადმოცემული ის მრავალწლოვანი ჩაგვრა, რომელსაც საქართველო განიცდიდა სპარსეთის შაჰების აგრესიული მოქმედებისაგან. არაფერია თქმული აგრეთვე პეტრე პირველის სპარსული ლაშქრობის შესახებ და ვახტანგ მე-6 გეგმებზე ამ ლაშქრობასთან დაკავშირებით. ავტორი მხოლოდ ერთი ფრაზით გვაუწყებს, რომ ვახტანგი იძულებული იყო „წასულიყო თავის მოკავშირეების ქვეყანაშიო". რომანში აღნიშნულია თუ როგორი ზეიმით მიიღეს ვახტანგი რუსეთში, მოხსენებულია პეტრე პირველი და აღწერილია ეკატერინე პირველის ბედიღბალი. ვახტანგის წასვლა რუსეთიდან ახსნილია ეკატერინე პირველის სიკვდილის შემდეგ შეცვლილი პოლიტიკური სიტუაციით, როდესაც თურქეთის საწინააღმდეგო ბრძოლის წარმოება უკვე შეუძლებელი შეიქმნა.

ვახტანგ მე-6-ზე რომანში მოცემული ცნობები ეხება მეფის მღელვარე პოლიტიკური ცხოვრების მთავარ ამბებს; უთანხმოება სპარსეთის მთავრობასთან, თურქების შემოსევა, რუსეთში ემიგრაცია. მოხსენებულია აგრეთვე ასტრახანი, სადაც, როგორც ცნობილია, 1737 წელს გარდაიცვალა მეფე. მაგრამ ყველა ამ ისტორიუ-

ლი მასალის ინტერპრეტაცია არასწორადაა მოცემული, ზოგჯერ კი საკმაოდ მცდარიცაა. ავტორი ხან ზუსტად იმეორებს წყაროებში აღნიშნულ ამბებს, ხან კი თავისი რომანის სათავგადასავლო სიუჟეტს უმორჩილებს ისტორიულ მასალას, ამიტომ არის, რომ ასტრახანში ყოფნის შემდეგ, ავტორი აიძულებს მეფეს იმოგზაუროს ქაიროში, შემდეგ გოაში, სადაც იგი ხვდება რომანის გმირს. ეს ფანტასტიკური მოგზაურობა იმიტომ დასჭირდა ავტორს, რომ დაესაბუთებინა ქართველი მეფის მიერ თითქოს გამოთქმული სურვილი, რომ „ახლოს იყოს თავის სამშობლოსთან“.

მიუხედავად მრავალი პირობითობისა, რაც დამახასიათებელია იმდროინდელი ლიტერატურისათვის, „რუსპიას ისტორია“ უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ საინტერესო დამუშავებად საქართველოს შესახებ მოცემული ისტორიული მასალისა მე-18 საუკუნის ფრანგულ რომანში. ამ ნაწარმოებში გამოყვანილია მე-18 საუკუნის საქართველოს ერთერთი თვალსაჩინო მოღვაწე და გამოყენებულია ფართო მასალა საქართველოზე; ავტორი ცდილობს ეს მასალა დაუკავშიროს თავისი გმირის ბედ-იღბალს. საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების ირგვლივ რუსპიას მიერ შეგროვილი მასალა რომანში წარმოდგენილია სხვადასხვა მოქმედი პირის დიალოგებში, საიდანაც თანდათან ვგებულობთ ვახტანგისა და მისი სამეფოს ამბებს. ამ აღწერაში, ასე თუ ისე, გადმოცემულია ისტორიული სიტუაცია, რომელიც შეიქმნა საქართველოში.

მაგრამ ავტორს არა აქვს მხატვრულად დამუშავებული ისტორიული ლიტერატურიდან აღებული ეს მასალა. საქართველოს ცხოვრების მრავალი ამაღელვებელი და დრამატული ამბავი მკითხველისათვის გამოუცნობი რჩება, რადგან იკარგება ავტორის მიერ შეთხზულ სათავგადასავლო ამბებსა და სიუჟეტში ჩამატებულ მოთხრობებში, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ მოქმედების მთავარ მსვლელობასთან. ამ მხრივ დიუ ოშანი აგრძელებს იმ დროს დაკანონებულ რომანის საქმეს, სადაც მოცემულია მრავალი თავგადასავალის აღწერა და სუსტად გამოძერწილი ხასიათები. მშრალადაა გადმოცემული მთავარი გმირის შურისძიების ისტორიაც. ავტორი არ გვიხატავს რუსპიას სულიერ მდგომარეობას, არც მის წინაშე მდგარ წინააღმდეგობებსა და საფრთხეს. თავის დაღუპულ ქმარს რუსპია მალე ივიწყებს და იგი იქცევა გალანტური რომანების ტრადიციულ გმირად, რომელიც სრულიად არა ჰგავს გმირ შურისმაძიებელ ქალს „თავისი ხელით რომ მოჰკლა ორმოცზე მეტ ავღანელი“.

დიუ ოშანის რომანებში არც საქართველოს კოლორიტია დაცული. ორივე რომანის გმირი ქალების სახელები არაა ქართული. ავტორი ვერ გაერკვა იმ ცნობებში, რომლებიც მას ხელთ ჰქონდა საქართველოს შესახებ. ზოგჯერ კი ამ ცნობებს მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელ მორალურ ტენდენციას უმორჩილებს.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებისა, დიუ ოშანის რომანები მაინც ყურადღების ღირსია. გამოგონილი სათავგადასავლო ამბებით სავსე, გალანტური სტილით დაწერილი დიუ ოშანის ეს რომანები შეიცავს საინტერესო მასალას საქართველოზე; ისინი აცნობდნენ ფრანგ მკითხველს ჩვენი ქვეყნის ისტორიული განვითარების ზოგიერთ მომენტს და მისი ცალკეული პოლიტიკური მოღვაწეების ცხოვრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონოგრაფია სოციალისტურ რევოლუციაზე

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის საქართველოს მშრომელთა გმირული ბრძოლის ისტორიის მეცნიერულ შესწავლასა და გაშუქებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ პრობლემამ თავიდანვე მიიპყრო მკვლევარ-ისტორიკოსთა განსაკუთრებული ყურადღება. ბევრი დაიწერა და კვლავაც შეიქმნება გამოკვლევები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის ისტორიის ძირეული საკითხების მარქსისტულ-ლენინურ გაშუქებას მიეძღვნა გ. ხაჭაპურიძის, ა. სურგულაძის, მ. ცერცვაძის, გ. ყვანიას, კ. წერეთლის და სხვა ისტორიკოსთა მნიშვნელოვანი შრომები. ახლახან გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" გამოაქვეყნა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ნ. მახარაძის მონოგრაფია „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში",

მონოგრაფია დაწერილია მარქსიზმ-ლენინიზმის მეთოდოლოგიურ საფუძველზე. მასში ფართოდ გამოყენებულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები, მნიშვნელოვანი საარქივო დოკუმენტები, პრესის მასალები და ლიტერატურული წყაროები. შესავალში კრიტიკულად განხილული და მეცნიერულად შეფასებულია საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისადმი მიძღვნილი გამოკვლევები.

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია სადავო საკითხი იყო საქართველოში საბჭოების როლისა და ორხელისუფლებიანობის პრობლემა. წინააღმდეგ იმ ისტორიკოსებისა, რომლებიც უარყოფდნენ ორხელისუფლებიანობას საქართველოში, ავტორი მდიდარი ფაქტობრივი მასალების საფუძველზე დამაჯერებლად ასაბუთებს ორხელისუფლებიანობის არსებობის ფაქტს, რაც კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენდა მთელი მაშინდელი რუსეთისათვის და ამ საერთო კანონზომიერებიდან არც რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილს — საქართველოს გადაუხვევია. ავტორი ააშკარავებს საქართველოსა და ამიერკავკასიაში ორხელისუფლებიანობის უარმყოფელთა არაერთიანობას და პრინციპულ განსხვავებას ისეთ ძირითად საკითხში როგორიც არის ის, თუ ვის ეკუთვნოდა ხელისუფლება და გვიჩვენებს ძირითად თავისებურებას ,რითაც ნამდვილად ხასიათდებოდა ორხელისუფლებიანობა საქართველოში.

ავტორი ვრცლად იკვლევს კავკასიის არმიის როლს, ასაბუთებს, რომ სწრაფად ხდებოდა მისი ბოლშევიზაცია, უარყოფს ზოგიერთ ისტორიკოსთა მტკიცებას, თითქოს არმიაში არც კი არსებობდნენ ბოლშევიკური ორგანიზაციები, რაც მათი აზრით სამხარეო კომიტეტის სუსტი მუშაობის შედეგი იყო, ,და ცხადყოფს არმიის ბოლშევიკების ენერგიული მუშაობის მნიშვნელობას.

მონოგრაფიაში დასაბუთებულია საქართველოს კომპარტიის ავტორიტეტის ზრდა, მშრომელი მასებისადმი მისი ხელმძღვანელი როლის გაძლიერება, მუშაობის ლეგალური და არალეგალური ფორმების შეხამება სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლების პერიოდში. მასში ნაჩვენებია ბოლშევიკ-მოღვაწეთა ვრცელი წრე, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ადრე უსამართლოდ იყო მივიწყებული. მართებულია ავტორისეული ხაზგასმა, რომ საქართველოს ბოლშევიკებს, როგორც დიდი ლენინის პარტიის ერთ-ერთ უძველეს და მოწინავე მებრძოლ რაზმს, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ხანგრძლივ ბრძოლაში ჰქონდათ არა მხოლოდ წარმატებები, არამედ შეცდომებიც (თუმცა ამ შეცდომების მეცნიერულ ანალიზს რატომღაც ავტორი გვერდს უვლის). მაგრამ ისინი არასოდეს არ კარგავდნენ მაღალ საბრძოლო თვისებებს, მჟიდროდ იყვნენ დაკავშირებული მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის მასებთან, ენერგიას არ

Н. Б. Махарадзе. Победа социалистической революции Грузии. «Сабчота Сакартвело», 1965.

ზოგავდნენ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პირადად ვ. ი. ლენინის დირექტივების წარმატებით განხორციელებისათვის და რაზმავდნენ რევოლუციის მამოძრავებელ ძალებს საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

წიგნში ფართოდ არის განხილული საბჭოთა რუსეთის ჭეშმარიტად მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, რასაც დიდი ლენინის მთავრობა თანმიმდევრობით ეწეოდა1917—1921 წლებში იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიისაგან საქართველოს დასაცავად.

ავტორი ერთხელ კიდევ ცხადყოფს მენშევიკური საქართველოს სოციალურ-ეკონომიური და სახელმწიფოებრივი წყობილების ღრმა კრიზისს, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის დაცემას, ხალხის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის გაუარესებას. იგი სამართლიანად აკრიტიკებს „დემოკრატიული კაპიტალიზმის“ მენშევიკურ შეხედულებას, მემარჯვენე სოციალისტების „დემოკრატიული სოციალიზმის“ ამ ოპორტუნისტულ ნაირსახეობას. მონოგრაფიაში სათანადო ციფრობრივი და ფაქტობრივი მასალებით დასაბუთებულია მენშევიკების პარტიის კრიზისის გაძლიერება და კონტრრევოლუციური გადაგვარება საქართველოში მათ მიერ ხელისუფლების აღების შემდეგ, როგორც ამ პარტიის ანტიხალხური პოლიტიკის, გერმანია-თურქეთის, ინგლის-საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებთან კავშირის შედეგი, რამაც განაპირობა მენშევიკებისაგან მასების ჩამოცილება და საქართველოში მენშევიზმი სრულ კატასტროფამდე მიიყვანა.

ავტორი საკმაო ადგილს უთმობს მენშევიკების აგრარული პოლიტიკის კრახის, მათი უსუსური აგრარული რეფორმის არსის მხილებას, ააშკარავებს მათს ნაციონალიზმსა და შოვინიზმს, ცხადყოფს, რომ მენშევიკებმა ვერ გადაჭრეს და ბურჟუაზიული შეზღუდულობის გამო, არც შეეძლოთ გადაეჭრათ ეროვნული საკითხი. უფრო მეტიც, საქართველოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების მენშევიკურმა ბლოკმა 1917—1921 წლებში გამწვავების უკიდურეს წერტილამდე მიიყვანა ეროვნული საკითხი ქვეყნის შიგნით და საქართველო გადააქცია უცხოელი იმპერიალისტების სათარეშო ობიექტად, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული კონტრრევოლუციური ბრძოლების დასაყრდენად.

ავტორი საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის პოლიტიკური არმიის შექმნის რთული პროცესის განხილვისას დიდ ყურადღებას აქცევს პროფესიულ კავშირებს, ვრცელი ფაქტობრივი მასალების საფუძველზე ცხადყოფს, რომ კომუნისტური პარტიის სწორი ხელმძღვანელობისა და ქვეყანაში სამეურნეო-პოლიტიკური კრიზისის გამწვავების შედეგად საქართველოს მუშათა კლასის უმნიშვნელოვანესი რაზმები — რკინიგზელები, მბეჭდავები, მელითონეები თავისუფლდებოდნენ მენშევიკური პარტიის გავლენისაგან და გადადიოდნენ სოციალისტური რევოლუციის მხარეზე.

ნაშრომში ნაჩვენებია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის იდეების გავლენა ქართველ პროგრესულ ინტელიგენციაზე, გაშუქებულია, რომ მისი მოწინავე ნაწილი თანაუგრძნობდა, იწონებდა კომუნისტური პარტიის პოლიტიკას და გაბედულად გმობდა მენშევიკური მთავრობის საქმიანობას, განსაკუთრებით ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორიც იყო აგრარული კანონმდებლობა და საგარეო პოლიტიკა, რომელმაც საქართველო იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ჩაუგდო ხელში და იგი სუვერენიტეტის სრული დაკარგვის წინაშე დააყენა.

მონოგრაფია მთავრდება საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის კომუნისტური პარტიის მიერ განხორციელებული პირველი ღონისძიებების გაშუქებით, ამიერკავკასიისა და სსრ კავშირის ხალხთა შორის ძმური ურთიერთობის დამყარებით, რაც სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის პროცესში გადაიქცა სოციალისტური ერების ურღვევ თანამეგობრობად, სრული კომუნისტური საზოგადოების აშენების ურყევ საფუძვლად.

მონოგრაფიის ერთ-ერთ უდავო ღირსებად მიგვაჩნია ისიც, რომ მასში საქართველოს მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ბრძოლები, საქართველოს კომუნისტური პარტიის მთელი მოღვაწეობა განხილულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დაცვისათვის, უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომში გამარჯვებისათვის საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლის ისტორიასთან ორგანულ კავშირში.

ამასთან ერთად სარეცენზიო წიგნის მიმართ გვაქვს ზოგიერთი შენიშვნაც.

ისტორიკოსები დავობდნენ საქართველოში რევოლუციური სიტუაციისა და პარტიული ორგანიზაციის ტაქტიკის საკითხებზე. ავტორი ამტკიცებს, რომ მსგავსად მთელი რუსეთისა, საქართველოსა და ამიერკავკასიაშიც მომწიფდა რევოლუციური სიტუაცია, რის შესაბამისად ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები სამხარეო კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით ძირითადად სწორად წარმართავდნენ მუშაობას. მაგრამ მონოგრაფიაში საკმაო სისრულით ვერ არის ნაჩვენები საქართველოში რევოლუციური სიტუაციის მომწიფების თავისებურებანი, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის შექმნილი ობიექტური და სუბიექტური პირობების სპეციფიკა. ამიტომ დამატებით კვლევა-ძიებას, ჯეროვან ახსნასა და დასაბუთებას მოითხოვს საქართველოში საბჭოთა

ხელისუფლების დაგვიანებით გამარჯვების მიზეზები.

წიგნის ერთ-ერთ არსებით ნაკლად მიგვაჩნია აგრეთვე ის, რომ მასში არაა მოცემული ისტორიის თანამედროვე ბურჟუაზიულ ფალსიფიკატორთა (რ. პაიპსი, ლ. შაპირო და სხვ.), ქართველ მენშევიკ-ემიგრანტთა და სოციალისტური სამშობლოს სხვა მოღალატეთა სათანადო კრიტიკა. ამ საკითხზე ავტორი მხოლოდ იმით კმაყოფილდება, რომ თავისი ნაშრომის შესავალში მენშევიკთა და თეთრემიგრანტთა სხვა წარმომადგენლების წინააღმდეგ ბრძოლას ჩვენს მეცნიერთა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად აყენებს. რა თქმა უნდა, ამ განცხადებას რომ მოჰყოლოდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის საქართველოს მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის გმირული ბრძოლის ისტორიის ბურჟუაზიულ ფალსიფიკატორთა და ცილისმწამებელთა საფუძვლიანი კრიტიკა, მონოგრაფია უფრო უკეთ უპასუხებდა ანტიკომუნიზმის წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლის სადღეისო ამოცანებს.

ნ. მახარაძემ აღნიშნული მონოგრაფიით ღირსეული წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდის მეცნიერულად გაშუქების საქმეში.

გ. ბრეგაძე

ერთი დაუსაგუთეგელი შეხედულების გამო

უდავოა, რომ რუსთველს „ვეფხისტყაოსნის“ გარდა სხვა ნაწარმოებებიც ექნებოდა, თუმცა მათი კვალი ძველ ქართულ ლიტერატურაში არ ჩანს. რომელიმე ასეთი არმოღწეული თხზულების აღმოჩენა „ვეფხისტყაოსნის“ შემსწავლელთათვის, რა თქმა უნდა, იმთავითვე სანუკვარი ოცნება იყო. ბუნებრივია, რომ ძველი ქართული ლიტერატურის იმ ძეგლთა შორის, რომელთა ავტორი ზუსტად ცნობილი არ არის, მკვლევარები ზოგჯერ რუსთველის ნაწარმოებებს ეძებდნენ. ამ გატაცებას ისეთი დიდი მეცნიერიც კი ვერ გაექცა, როგორიც იყო ნიკო მარი. თავის კლასიკურ გამოკვლევაში ქართველი მეხოტბეების შესახებ მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ჩახრუხაძე იგივე რუსთაველია. შემდეგში მან ეს მოსაზრება თვითვე უარყო.

ამ ცოტა ხნის წინათ გამოითქვა არა ნაკლებ თამამი მოსაზრება, რომლის თანახმად რუსთველის კალამს ეკუთვნის ქართული ისტორიოგრაფიის განთქმული ანონიმური ძეგლი — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ანუ გიორგი მესამისა და თამარ მეფის ისტორია (ი. ლოლაშვილი. რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა). ავტორის არგუმენტაცია შემდეგია: ანტონ კათალიკოსის (მე-18 საუკ.) „ქართულ ღრამატიკაში“ მაღალი სტილის ნიმუშად მოყვანილია პროზული ნაწყვეტი, რომლის ავტორად ანტონი შოთა რუსთველს ასახელებს. ანტონს თავის „ღრამატიკაში“, საერთოდ, ციტატები ზუსტად მოჰყავს და მათ ავტორებსაც სწორად ასახელებს. მაშასადამე, მკვლევარის აზრით, ანტონის ეს ცნობაც ნდობას იმსახურებს. ხსენებული ციტატი წარმოადგენს ნაწყვეტს თამარ მეფის ისტორიის ჩვენთვის ცნობილი ტექსტიდან, მაგრამ არა „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტიდან, არამედ ე. წ. თამარის მეორე ისტორიიდან („ცხოვრება მეფეთ-მეფის თამარისი“), რომელიც ივ. ჯავახიშვილისა და სხვათა ვარაუდით თამარის კართან დაახლოებულ პირს, ბასილი ეზოსმოძღვარს ეკუთვნის. კერძოდ, ხსენებული ნაწყვეტი შედის ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულების ბოლო ნაწილში, ანუ, როგორც მას უწოდებენ, „ბოლოსიტყვაში“, სადაც ავტორი თამარის ბიოგრაფიის ფაქტთა თხრობას ამთავრებს და თამარის პიროვნების განდიდებას იწყებს. თამარის მეორე ისტორია, როგორც ამას ი. ლოლაშვილიც აღნიშნავს, არ შეიძლება რუსთველის კალამს ეკუთვნოდეს: მისი ავტორი ეკლესიურად მოაზროვნე პირია, რომლის გაიგივება არ შეიძლება ჰუმანისტ პოეტთან. მაგრამ ამ წინააღმდეგობიდან გამოსავალი მაინც არსებობს: მკვლევარის აზრით, ზემოხსენებული ბოლოსიტყვა თამარის ე. წ. მეორე ისტორიის ნაწილი კი არ უნდა იყოს, არამედ იგი თამარის პირველი ისტორიის, ანუ „ისტორიათა და აზმათა“ ნაწილია, რომელიც შემდეგში, რედაქტირებისა და გადაწერის პროცესში თამარის მეორე ისტორიაზე მიუბამთ. ამგვარად, მკვლევარის აზრით, კათალიკოსს ხელთ ჰქონია „ისტორიათა და აზმათა“ სწორი ტექსტი, რომელიც თამარის ე. წ. მეორე ისტორიის ბოლოსიტყვასაც შეიცავდა. ამავე დროს მას სცოდნია, რომ თხზულება მთლიანად, ე. ი. „ბოლოსიტყვის“ ჩათვლით, შოთა რუსთველის კალამს ეკუთვნის.

თუ ეს თეორია მართალია, იგი ნამდვილ სენსაციას წარმოადგენს რუსთველის შესწავლის საქმეში. ჩვენ ხელთ გვექნებოდა დოკუმენტი, რომელიც ნათლად გვიჩვენებდა რუსთველის რელიგიურსა და პოლიტიკურ მსოფლმხედველობას, მისი განათლების ხასიათსა და ამასთან ერთად, მისი ბიოგრაფიის ზოგიერთ გარემოე-

---

ივანე ლოლაშვილი „რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1961,

ბებს. სამწუხაროდ, ეს თამამი თეორია გაუგებრობას ემყარება, უფრო ზუსტად — გაუგებრობათა ჯაჭვს. ვინაიდან ამ საინტერესო მოსაზრებას პრესა ჯერჯერობით არ გამოხმაურებია, მოკლედ ჩამოვთვლით საკითხის გარკვევისთვის საინტერესო ძირითად გარემოებებს.

1. პირველ ყოვლისა, „ბოლოსიტყვა", რომელსაც ეკუთვნის ანტონის მიერ ციტირებული ნაწყვეტი, არ არის „ისტორიათა და აზმათა" ნაწილი. ჩვენ აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ მეცნიერული ტრადიცია ამ „ბოლოსიტყვას" თამარის მეორე ისტორიის ორგანულ ნაწილად თვლის („ქართლის ცხოვრების" უკანასკნელ ს. ყაუხჩიშვილისეულ გამოცემაშიც **იგი** მეორე ისტორიის დასასრულს წარმოადგენს) და რომ ივ. ლოლაშვილის მიერ ამის საწინააღმდეგოდ მოტანილი საბუთები უკმარია და არადამაჯერებელი. მთავარი ისაა, რომ ხსენებული „ბოლოსიტყვა" **არ შეიძლება** ეკუთვნოდეს „ისტორიათა და აზმათა" ტექსტს, განურჩევლად იმისა, ეკუთვნის თუ არა იგი თამარის მეორე ისტორიას. მათ შორის ისეთი ენობრივი და სტილისტური განსხვავებაა, რომელიც არა თუ ერთი და იმავე ნაწარმოების ნაწილებს, არამედ ერთი და იმავე ავტორის სხვადასხვა თხზულებებს არ შეიძლება ახასიათებდეს. მოვიტანთ სათანადო ნიმუშს.

„ისტორიათა და აზმათა" ავტორი სისტემატურად ხმაროს წინადადების მიმღეობიან კონსტრუქციებს, რასაც ძველ ქართულ მწერლობაში ცნობილი არც ერთი სხვა ავტორი არ აკეთებს და რითაც მის ნაწერს სრულებით უშეცდომოდ გამოვიცნობთ. მაგალითად:

„ცნა ესე... გიორგი მეფემან და **მსწრაფლ შემყრელმან** შვიდთავე მისთა სამეფოთა იმერთა და ამერთამან, და გამოასხნა ოვსნი..." ან „**დამყრელთა ყოვლისა სანოაგისათა**... განვლეს წყალი ეკლეციასა"; ან: გიორგი მეფემ, „**აღმსხმელმან ქელმწიფეთა და დიდებულთამან** აზნაურთა და მონათამან მარადის, **სამ დღე დამყოფელმან** კართა ანისისათა და **მაურეებელმან** ქალაქისამან და მას შინა **დამყენებელმან** ამირისამან და **ლაშქართა ამყრელმან** პირითა მხიარულთა წარმოავლინა მახარობელი..."

ძველი ქართულისათვის — როგორც მწიგნობრულისთვის, ისე, ალბათ, სასაუბროსთვის, ამგვარი კონსტრუქციები უცხოა. უნდა ვიფიქროთ, რომ „ისტორიათა და აზმათა" ავტორს, რომელიც, საერთოდ, ბერძნული ენაწყლიანობისადმი მიდრეკილებას იჩენს, ამ შემთხვევაში მექანიკურად გადმოაქვს ბერძნული რიტორიკული სტილის დამახასიათებელი კონსტრუქციები. მის თხზულებებში ეს კონსტრუქცია უხვად გვხვდება: „ისტორიათა და აზმათა" ტექსტში არ არის არცერთი გვერდი, რომ იქ ასეთი კონსტრუქცია არ შეგვხვდეს. განსაკუთრებით ხშირია იგი იქ, სადაც ავტორი ფაქტებს კი არ მოგვითხრობს, არამედ თეორიულად მსჯელობს. ზემოხსენებულ „ბოლოსიტყვაში" კი ასეთი კონსტრუქცია **არც ერთხელ** არ გვხვდება! და ეს მიუხედავად იმისა, რომ „ბოლოსიტყვა" ფაქტებს კი არ მოგვითხრობს, არამედ სწორედ მსჯელობას (თამარის პიროვნების ხოტბა-განდიდებას) აქვს დათმობილი.

„აზმათა" და ხსენებული ბოლოსიტყვაობის ენას შორის სხვა განსხვავებაც ბევრია. მაგრამ მასზე აქ აღარ შევჩერდებით. იმის საჩვენებლად, რომ „აზმანი" და „ბოლოსიტყვა" ერთი თხზულების ნაწილები არაა, ესეც კმარა. ენის სხვაობას ფილოლოგიასა და ტექსტოლოგიაში ისეთივე ობიექტური საბუთის ფასი აქვს, როგორც თითის ანაბეჭდს კრიმინალისტიკაში. სხვადასხვა გრამატიკული (სინტაქსური) აღნაგობის ენით დაწერილი ორი ნაწყვეტი არ შეიძლება ერთ ნაწარმოებს შეადგენდეს.

როგორაა გაშუქებული „ისტორიათა და აზმათა" ენის ეს თვალში საცემი და, ამასთან, მეცნიერებისათვის კარგად ცნობილი თავისებურება ივ. ლოლაშვილის გამოკვლევაში? მეტი რომ არ ვთქვათ, ძალიან ცალმხრივად. მკვლევარი გრძნობს, რომ ეს მთლად ჩვეულებრივი ქართული არ არის, მაგრამ ვერ ახერხებს იმაში გარკვევას, თუ **რითაა** ეს ენა უცნაური და არაჩვეულებრივი, მაშასადამე, ვერც იმას ადგენს, თუ რითი შეიძლება იგი ჰგავდეს ან არ ჰგავდეს სხვა ტექსტის ენას. ასე, მკვლევარის აზრით, „აზმათა" და „ბოლოსიტყვის" ენა „ერთნაირია", „ორივეს მოეპოვება **ძნელად გასაგები** (ხაზი ჩვენია. ნ. ნ.) და რთული პერიოდული წინადადებები" (განა სხვა ავტორების, მაგ., იოანე პეტრიწის ენა „ადვილი გასაგებია", ან განა მას რთული ნახევარგვერდიანი წინადადებები არ ახასიათებს? მაშ, რატომ არ ვამბობთ, რომ ეს ძეგლები პეტრიწს ეკუთვნის?). თუ როგორ ბუნდოვნად ესმის მკვლევარს განსახილველი ტექსტის გრამატიკული სტრუქტურა, ეს თავს იჩენს მაშინვე, როგორც კი მას თავისი დებულების საილუსტრაციო მაგალითი მოჰყავს. ასე, ავტორის აზრით „ერთნაირი ენითაა" დაწერილი „აზმანის" ზემოთ ციტირებული წინადადება („...აღმსხმელმან ქელმწიფეთა და დიდებულთამან.. წარმოავლინა მახარობელი") და „ბოლოსიტყვის" შემდეგი ნაწყვეტი: „ყრმანი განეწუართნეს მოძაგებად უჯეროსა უსჯულოებისა, რამეთუ ბილწებამან უწესომან და ყრმებრივმან მბორგალებითმან ბორგნეულობამან ვერცა თუ კუალი პოვა დღეთა თამარისთა" (გვ. 47). არავითარი საერთო დამახასიათებელი ნიშანი ორი მოტანილი ნაწყვეტის ენას არა აქვს (თუ მკვლევარისთვის ორივე „ძნელი გასაგებია", ეს

ჯერ კიდევ ამ ტექსტთა სპეციფიკურობას არ ნიშნავს). ერთადერთი, რაც აქ საერთოა და რაც მკვლევარმა ხაზით გამოჰყო, არის მოთხრობითი ბრუნვის — **მან** დაბოლოების ხშირი განმეორება. მაგრამ არ არსებობს, ალბათ, ძველი ქართულის არცერთი ტექსტი,სადაც ხუთი, ათი ან ხუთმეტი — **მან** დაბოლოების შემცველი წინადადება არ შეგვხვდეს!

არასაკმაო ნათელ წარმოდგენას ძეგლთა ენის გრამატიკულ აღნაგობაზე ავტორი კიდევ უფრო შორს მიჰყავს. იგი გვარწმუნებს, რომ ზმნის „მიმღეობითი ფორმების უხვად გამოყენებით“ (მიმღეობებია ციტირებულ ტექსტში მაგალითად, სიტყვები „შემყრელი“, „დამყრელი“, „აღმსხმელი“, „დამყოფელი“, „მაურვებელი“, „დამყენებელი“, „ამყრელი“) „ისტორიათა და აზმათა“ სტილი ჰაეროვანი ქართულის შედეგს — ვეფხისტყაოსანს უახლოვდება. საბუთი? მხოლოდ ის, რომ მიმღეობები, თურმე, „ვეფხისტყაოსანშიც“ გვხვდება. მაგალითად:

ინდოეთს შვიდთა მეფეთა ყოვლი კაცი ხარი
მ ც ნ ო ბ ე ლ ი,
ექვსი სამეფო ფარსადანს ჰქონდა, თვით იყო
მ პ ყ რ ო ბ ე ლ ი,
უხვი, მდიდარი, უკადრი, მეფეთა ზედა
მ ფ ლ ო ბ ე ლ ი,
ტანად ლომი და პირად მზე, ომად მ ძ ლ ე,
რაზმთა მ წ ყ ო ბ ე ლ ი.

სინამდვილეში მიმღეობები („მცნობელი“, „შემყრელი“, „მაურვებელი“ და ა. შ. სხვათა შორის, ესაა, კერძოდ, მოქმედებითი გვარის მიმღეობები და არა „მიმღეობები“ ზოგადად. ქართულში სხვანაირი მიმღეობებიც არსებობს) ძველი ქართულის, ისევე როგორც ახალი ქართულის ნებისმიერ ტექსტში უხვად მოიძებნება. „ისტორიათა და აზმათა“ ენის სპეციფიკა მიმღეობათა ხმარებაში კი არ არის, არამედ მ ი მ ღ ე ო ბ ი ან კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა თ ა ხ მ ა რ ე ბ ა შ ი, ს ა დ ა ც მ ი მ ღ ე ო ბ ა წ ა რ ს უ ლ შ ი მ ო მ ხ დ ა რ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს ა ღ ნ ი შ ნ ა ვ ს. მაგალითად: „მსწრაფლ შემყრელმან შვიდთავე მისთა სამეფოთა... გამოასხნა ოვსნი“ იმას ნიშნავს, რომ გიორგი მეფემ თავისი შვიდი სამეფოს ლაშქარი შეჰყარა და მერე კავკასიონზე ოსები გადმოიყვანა. „ლაშქართა ამყრელმან... წარმოავლინა მახარობელი“ იმას ნიშნავს, რომ გიორგიმ ლაშქარი აჰყარა და შემდეგ მახარობელი გაგზავნა და ა. შ. „ვეფხისტყაოსნისათვის“ ეს კონსტრუქცია აბსოლუტურად უცხოა.

ასეთი უყურადღებო, ჩვენ ვიტყოდით, არაპროფესიონალური მიდგომა განსახილველ ძეგლთა ენობრივი მხარისადმი ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის საქმეს მხოლოდ ზარალს მოუტანს. მან შეიძლება რაგინდარა ტექსტოლოგიური ჯაფისა და გონებამახვილური კვლევის შედეგები გააუქმოს. ასეთი მიდგომა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ძველი ქართული ენა და ძველი ქართული ტექსტი ჩვენთვის რაღაც იდუმალი ბინდბუნდით მოცული უცხო სფეროა, რომლის შიგნითაც ჩვენ ლიტერატურული სტილისა თუ გრამატიკის ვერავითარ ნაირობას ვეღარ ვარჩევთ. ნამდვილად კი ძველი ქართული ლიტერატურის ენა და სტილი არც ამდენად ერთფეროვანია და არც ამდენად ღარიბი. ამ მწერლობის შიგნით მკვეთრად განირჩევა, მაგალითად, „შუშანიკის წამების“ უბრალოება და იოანე პეტრიწის მწიგნობრული პერიოდები, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მსუყე, ხორცსავსე სტილი და თეოლოგიურ ტრაქტატთა მშრალი ენა, დავით აღმაშენებლის „გალობათა“ რთული, მაგრამ ნათელი მეტყველება და „ისტორიათა და აზმათა“ ავტორის ფერადოვანი ხელოვნური რიტორობა. ძველ ქართულ მწერლობაშიც სხვადასხვა ავტორთა ენა ისევე განსხვავებულია ერთი მეორისაგან, როგორც ჩვენ ვასხვავებთ. მაგალითად, პლატონ იოსელიანის მწიგნობრულ ქართულსა და ილია ჭავჭავაძის ქართულს, ან ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიის ენასა და გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ენას. ძველ ქართველ ავტორთა ენის (გრამატიკის, ლექსიკის) ცოდნა მნიშვნელოვანი ტექსტოლოგიური და ფილოლოგიური დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა. ლიტერატურის ისტორიისთვის საკვანძო საკითხთა კვლევის დროსაც კი საქმის ეს მხარე არ უნდა დავივიწყოთ.

სხვათა შორის, განსახილველი ტექსტის („ისტორიათა და აზმათა“) ენის არასწორი გაგება თავს იჩენს, როგორც კი მკვლევარი ძველი ქართული ტექსტის აზრის გახსნის ცდას იძლევა. შრომის 49-ე გვერდზე მოტანილია ანტონის მიერ ციტირებული „ბოლოსიტყვის“ ნაწყვეტი და მოცემულია მისი თარგმანი:

ციტატი: თამარმა „მეტად დამდაბლებულმან გონიერისა გონებისაგან იყოვლისფერა გარეგოდ, რათა მოქცევი თვისი მარტიობით იხილოს გუარსა შინა ანაგისასა შეუყოფელად ვნებათა“.

თარგმანი: „ჭკვიანი გონებით მეტად დამდაბლებულმა თამარმა თავისთავში ყველაფერი შეითვისა, რათა თავისი ცხოვრება მარტივად და ვნებათა შეუხებლად გამოჩნდეს (ღვთის მიერ) გაჩენილ ბაგრატიონთა გვარეულობაში“.

ნამდვილად „გონიერი“ ჭკვიანს კი არ ნიშნავს, არამედ ესაა ფილოსოფიური ტერმინი, რომელიც ნიშნავს „გონითს“, „ინტელიგიბილურს“ ანუ პლატონის „იდეათა“ სამყაროს კუთვნილს (შდრ. ეფრემ მცირის, **დავით აღმაშენებლის** და სხვა ავტორთა ფილოსოფიური ტერმინოლოგია). „გონება“ ნიშნავს „ფიქრს“. „გონიერისა გონებისაგან დამდაბლებული“, ამგვარად, ნიშნავს მხოლოდ „მიღმურ ანუ იდეა-

ლურ სამყაროზე ფიქრით დამდაბლებულს“ (აბა „ჭკვიანი გონება“ რა აზრის ან რა გემოვნების მაჩვენებელი გამოთქმაა). აზრი ისაა, რომ თამარის თავმდაბლობის მიზეზი ზენა სამყაროზე ფიქრი იყო. „მოქცევი“ ნიშნავს არა „ცხოვრებას“, როგორც ივ. ლოლაშვილს ჰგონია, არამედ „ბრუნვას“, კერძოდ, ცის ბრუნვას, რაც შუასაუკუნეებში ადამიანის ბედის განმსაზღვრელად მიიჩნდათ (შდრ. იქვე, ორი სტრიქონით ზემოთ: „მოქცევსა შინა სიმრგულისასა“, რაც „ცის სიმრგვლის ბრუნვას“ ნიშნავს). „გუარი“ ბაგრატიონთა გვარს არ აღნიშნავს: ესეც ფილოსოფიური ტერმინია, რომელიც ნიშნავს ან პლატონის „იდეას“, ან მოვლენათა კატეგორიას, ჯგუფს. (შდრ. რუსთველის „ტომი გვართა ზენათა“ და „საცოდნელად ძნელი გვარი“). „ანაგი“ ანუ შექმნილი, ნიშნავს ღვთისგან გაჩენილს, ამ ქვეყნად არსებულ საგნებს. მთლიანი აზრი კი ისაა, რომ თამარი „ვნებათა შეუხებლად“ გამოჩნდა ღვთის მიერ შექმნილ, ანუ ამქვეყნიურ საგანია თუ მოვლენათა შორის. საკითხავია: თუ კი ძველი ქართულის იმ ერთადერთ ფრაზაში, რომლის თარგმანსაც იგი იძლევა, მკვლევარს ოთხი ლინგვისტური შეცდომა მოსდის, როგორღა ვერწმუნოთ მას, როცა იგი გვეუბნება „აზმათა“ და „ბოლოსიტყვის“ ენა ერთნაირია თუ სხვადასხვაგვარი?

2. ამგვარად, „ბოლოსიტყვაობა“, რომელსაც ანტონ კათალიკოსი და მასთან ერთად ივ. ლოლაშვილი რუსთველს მიაწერენ, „ისტორიათა და აზმათა“ ნაწილი არაა. მაგრამ შეიძლება თუ არა „აზმათა“ დანარჩენი უდავო ნაწილი მაინც რუსთველს ეკუთვნოდეს? არა, ესეც შეუძლებელია, თუნდაც მკვლევართან ერთად დავუშვათ, რომ რუსთველი ლექსს სხვა ენით წერს, ხოლო პროზას სხვა ენით („აზმათა“ ენა თავისი გრამატიკით არსებითად, ძველი ქართულია, „ვეფხისტყაოსნის“ ენა კი ახალი ქართული). ეს შეუძლებელია თუნდაც იმიტომ, რომ ერთსა და იმავე სიტყვას რუსთველი სხვა მნიშვნელობით ხმარობს, „აზმათა“ ავტორი კი სხვა მნიშვნელობით, კერძოდ, „ელვა“, „აზმათა“ ავტორისთვის დღევანდელ „ელვას“, ღრუბლებში წარმოშობილ ელექტრულ ნაპერწკალს ნიშნავს. (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 6). რუსთველი კი ამ სიტყვის მხოლოდ ერთ მნიშვნელობას: „სხივის“ მნიშვნელობას იცნობს.

„აზმათა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ენის დეტალური შედარება უთუოდ ბევრს სხვა არსებით განსხვავებასაც გამოაჩენდა (თუნდაც ის რად ღირს, რომ „აზმათა“ ტექსტში არაა რუსთველის საყვარელი ნაწილაკები „მართ“, „გლახ“ და სხვა). მაგრამ იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ერთი ავტორის თხზულებები არაა, ეს ერთი გარემოებაც კმარა.

3. თუ „ბოლოსიტყვა“, როგორც ამის დამტკიცებას ვცდილობდით ზემოთ, „ისტორიათა და აზმათა“ ნაწილი არაა, მაშინ ივ. ლოლაშვილის შემდგომი არგუმენტაციაც უსაფუძვლოა. მაგრამ ავტორის მსჯელობასთან დაკავშირებით ისმის ერთი საკითხი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს რუსთველის ეპოქის პოლიტიკური და კულტურული ვითარების გარკვევის თვალსაზრისით. ამიტომ მკვლევარის არგუმენტებს გაკვრით მაინც შევეხებით. რაში ხედავს ავტორი „ვეფხისტყაოსნისა“ და მატიანეს („ისტორიათა და აზმათა“) მსგავსებას სულისკვეთებისა და შინაარსის მხრივ? იმაში, რომ აქ გამოხატულია მსგავსი პოლიტიკური წარმოდგენები, რაც მკვლევარს იმის საბუთად მიაჩნია, რომ ორივე თხზულება ერთი პირისაა. მაგრამ მკვლევარს ავტორთა კერძო აზრად მიუჩნევია ისეთი წარმოდგენები, რომლებიც იმ ეპოქაში საერთოდ გავრცელებული ყოფილა, რომლებსაც, თუ კი თანამედროვე ტერმინს ვიხმართ, იმ დროს ოფიციალური სახელმწიფო იდეოლოგიის როლი ჰქონდა დაკისრებული; ეს წარმოდგენები მატიანეში („ისტორიანი და აზმანი“) გაცილებით უფრო მკვეთრად ჩანს, ვიდრე „ვეფხისტყაოსანში“, რომლის სიუჟეტი უცხო ქვეყნებში იშლება, ჩახრუხაძისა და შავთელის ოდებში კი (განსაკუთრებით უკანასკნელში) არანაკლებ მკვეთრად, ვიდრე ხსენებულ მატიანეში. ისმის კითხვა: მაშ რა ლოგიკის თანახმად მოქმედებს მკვლევარი, როცა აიგივებს „აზმათა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს, მაგრამ არ აიგივებს „აზმათა“ „თამარიანისა“ და „აბდულმესიანის“ ავტორებს?

თვით ეს შეხედულებები, რომლებიც ერთმანეთს ემთხვევა ხსენებულ ძეგლებში, დიდად საინტერესოა. ამ ოფიციალური იდეოლოგიის თანახმად ბაგრატიონთა დინასტიის მეფობა არის ღვთის აღთქმათა აღსრულება ანუ იმ მიზნის განხორციელება, რომლისთვისაც ღმერთმა სამყარო და ადამიანები შექმნა. თამარი სამების მეოთხე წევრია. ქართველი მეფე მოწოდებულია საქრისტიანო დაიცვას უსჯულოთაგან, სჯულის სისწორეს დარაჯად ედგეს და ა. შ. თუ ამ დებულებებს რელიგიურ ცნებათა სამოსელს გადავაცლით, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დროის ოფიციალური იდეოლოგიის თანახმად საქართველო მსოფლიოს უპირველესი ქვეყანაა, ადამიანის პირველ მოვალეობად და უმაღლეს სიკეთედ კი ქართული დინასტიის ანუ, რაც იგივეა, საქართველოს სამსახური ითვლება. ეს არის ქართველი ხალხის პატრიოტული თვითშეგნების განვითარების ძალიან ძაღლი საფეხური, რომელიც მანამდე, ე. ი. ე. წ. „ოქროს ხანამდე“ ჩვენს ოფიციალურ წყაროებში არ ასახულა. საკმარისია ითქვას, რომ ადრეულ საეკლესიო ლიტერატურულ ძეგლებში სახელმწიფოს ერთგულების მცნება მიჩქმალული იყო რელიგიის ერთგულებით უკან, ხოლო ქრისტია-

ნული რელიგიის ბურჯად ითვლებოდა ბერძნული ეკლესია, რომელსაც ქართული ეკლესია გათანასწორებას და, მით უმეტეს, რაყიფობას ვერ გაუბედავდა.

4. დაბოლოს, მკვლევარი თავისი თეორიის დასასაბუთებლად იმოწმებს ერთი მხრივ „ისტორიათა და აზმათა“, მეორე მხრივ „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკას. აქაც მკვლევარი იმავე შეცდომას იმეორებს, რაც ამ ტექსტთა შინაარსობრივი ანალიზის შემთხვევაში დაუშვა. საქმე ისაა, რომ მხატვრული სახეები, რასაც ორივე ძეგლის ავტორი ხმარობს („მზე“ და „ნათელი“ სილამაზის აღსანიშნავად, „სისხლის ცრემლები“ გლოვის აღსანიშნავად და ა. შ.) არცერთი მათგანის შეთხზული არ არის. ეს იმ დროის ლიტერატურაში და, ალბათ, საუბარშიც ფართოდ გავრცელებული მხატვრული სახეებია, ხოლო მათი დამთხვევის მიზეზი ისაა, რომ ორივე ძეგლი — „ვეფხისტყაოსანიცა“ და „აზმანიც“ — ერთსადაიმავე კულტურულ წრეშია წარმოშობილი. ეს სახეები იმ ეპოქის ყველა ან თითქმის ყველა ძეგლებში გვხვდება —როგორც ორიგინალურში, ისე თარგმნილში. რაც შეეხება რუსთველის მართლაც ორიგინალურს, უშუალოდ მხატვრულ ინტუიციიდან მომდინარე სახეებს, რომლებიც იმ ეპოქის სხვა ქართველ და არაქართველ პოეტთა ნაწარმოებებში არ გვხვდება, ავტორი მათ „ისტორიათა“ და აზმათა“ ტექსტში ვერც პოულობს და ვერც იპოვის. ამგვარი სახეები იქ არ არის.

იმის დასამტკიცებლად, თითქოს ორი ტექსტი ერთიმეორეს რაღაცით ჰგავს, ავტორს ოდენ რამდენიმე „პარალელი“ მოჰყავს (ვერბალური ალიტერაცია, მხატვრული განმეორება, უარყოფითი ნაწილაკის ხმარება ზოგ პასაჟში (!)და ა. შ.). მაგრამ ეს იმდენად სუბიექტური მსჯელობაა, რომ დიდი დასკვნების საფუძვლად ვერ გამოდგება (განა ეს ხერხები სხვა ავტორებთან არ გვხვდება?)

ამგვარად, მკვლევარის მიერ მიღებული დასკვნების მეცნიერული ღირებულება, ვფიქრობთ, ცხადია: ეს დასკვნები უსაფუძვლოა. წარმოდგენილი თეორიის წყაროა მხოლოდ რუსთველის უცნობი ნაწარმოების პოვნის კანონიერი სურვილი, რაზედაც ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსნის“ ერთერთი პირველი მკვლევარი, იოანე ბატონიშვილი ამბობდა: ამ სურვილის შესრულება „უძვირფასესისა დატკბობითა აღავსებდა სულსა ჩემსაო“. ეს ბუნებრივი სურვილი, ვფიქრობთ, იმასაც აგვიხსნის, თუ საიდან წარმოდგება ანტონ კათალიკოსის ზემოთ დამოწმებული ცნობა: რადგან რუსთველი ცნობილი იყო როგორც თამარის დაახლოებული პირი და მისი მეხოტბე, თამარის პიროვნების განდიდებაც მის ე. წ. „მეორე ისტორიაში“ ტრადიციას რუსთველის ნაღვაწად მიუჩნევია. ვფიქრობთ, ანტონის ცნობისათვის ამაზე მეტი მნიშვნელობის მინიჭება შეცდომა იქნებოდა.

ნოდარ ნათაძე

დენთისა და კერიის კვამლი

თეიმურაზ ჯანგულაშვილის შემოქმედება ძირითადად თვითმოვტორისავე ბიოგრაფიას მოიცავს. ამ მხრივ საყურადღებოა მისი ახალი წიგნი: „მეოთხედი საუკუნის გადასარბენზე“. ეს წიგნი ნათელ შთაბეჭდილებას ქმნის პოეტის შემოქმედებაზე და ყველა აქამდე დასტამბულ მის წიგნებთან შედარებით საუკეთესოა.

თ. ჯანგულაშვილმა ომის დაწყებისთანავე ავტომატი აიღო ხელში და, როგორც ჯარისკაცმა, გაიარა ათასობით კილომეტრი, თოვლ-ქუაში, ქარიშხალში, მოღრუბლულ, თუ მზიან ამინდში. მაშინ ის უკვე ჩამოყალიბებული პოეტი იყო. მისთვის უცხო არ იყო, არც პოეტური სახეების საიდუმლოება, არც თემისადმი საკუთარი კუთხით მიდგომა. ფრონტის ხაზზე დაწერილი მისი ლექსები ისეთივე პოეტური ოსტატობით არის შექმნილი, როგორც ომის შემდეგდროინდელი.

ჩვენ ყველა ფრონტელი პოეტი კალამზე ფანატიკურად შეყვარებული გვგონია. ეს ასე რომ არ იყოს, მაშინ იმ ტყვიის ქარ-წვიმაში, როგორ პოულობდნენ დროს ლექსის დასაწერად, ანდა ქაღალდს, როცა ხშირად თუთუნის გასახვევი ქაღალდის ნახევიც სანატრელი იყო? ეს დიდი შთაგონება, როგორც ამბობენ, ბუნებამ უწყალობა მათ. დაწერის თარიღთან ერთად ლექსს მიაწერდნენ ხოლმე, — მომქმედი არმიაო. ასეთ ლექსებს დიდი გულისყურით, დიდი სიყვარულით კითხულობს მკითხველი და უფრო მეტი პატივისცემით იმსჭვალება ავტორის მიმართ.

თ. ჯანგულაშვილიც სამშობლოსადმი მიძღვნილ და იმ დღეებში დაწერილ ერთ-ერთ ლექსში ამბობს:

> მკერდში მეომრის გული მეც მიცემს.
> ჩანჩქერს ჰგავს, კლდეზე გადმოდინებულს
> და თუ რამე მაქვს, ყველაფერს მივცემ.
> სამშობლომ ჩემმა ოღონდ ინებოს.

ომით აღძრულ ამ პირველი შთაბეჭდილების გულწრფელობაში არავის შეეპარება ეჭვი.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი, „მეოთხედი საუკუნის გადასარბენზე“, საბჭოთა საქართველო, 1965.

პოეტს არ შეუძლია გულგრილად უყურიოს იმ დიდ მოვლენებს, რაც მის გარშემო ხდება. იმ გაუგონარი განსაცდელის ჟამს პოეტს წინაპრები ახსენდება, ის წინაპრები, რომელთაც სიცოცხლე მამულის დაცვას შეალიეს. მათი უბრალო გახსენებაც კი ხომ თავისთავად სამშობლოს დასაცავად მოწოდებაა!

ზარბაზნების გრიალში, ტყვიის ზუზუნში ნელა გადის დრო. ამგვარ ხმაურში მეომარ პოეტს ენატრება სიმყუდროვე; უძილო თვალები ბევრ რაიმეს ხედავს; დაღლილობისაგან მოთენთილი სხეული მიწას უფრო მწვავედ გრძნობს და ავტომატსაც მაგრად ეჭიდება ხელი. ყველაფერი ეს კარგად აქვს გადმოცემული პოეტს ომისდროინდელ ლექსებში.

ჯერ კიდევ მოსაშუშებელი ჭრილობა, ჩექმებში ჩაგუბებული წყალი, აფორიაქებული ცხენების ჭიხვინი... და მაინც სიხარული, რაკი მტერი ნადგურდება, რაკი გამარჯვების დღე ახლოა:

მე ბერლინისკენ ვიჩქარი — ვუახლოვდები
თბილისს,
შორს მივალ, უფრო ახლოა ჩვენი შეხვედრა
ტკბილი.

ეს მშვენიერი სტრიქონები ღრმა პოეტური გააზრებით და უბრალოებით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. საერთოდ კი ლექსი „ბერლინისაკენ ვიჩქარი — ვუახლოვდები თბილისს“ ომის თემაზე დაწერილ ლექსებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა.

ის, რაც მძაფრი განცდის შემდეგ, უბრალოდ, ძალდაუტანებლად არის შექმნილი, მკითხველამდის ძალდაუტანებლად აღწევს.

ამ საუკეთესო ლექსს კრებულში არა ნაკლებ საინტერესო ლექსები მოსდევს. ერთი ასეთთაგანია — „ვინა თქვა, თეთრიაო თოვლი“.

ომის ორომტრიალში მოქცეულ პოეტს ხანდახან გარემოსადმი მშვიდად დაკვირვების დროც რჩება. ის გაჭირვება, რაც მას დაატყდა თავს, სამშობლოსადმი ვალის მოხდის გამო, სურს ისტორიულ სიამაყედ დაუტოვოს შთამომავლობას.

მიდამო თოვლით არის დაფარული. მწყობრი არეული ნაბიჯით მიიწევს წინ ტანკებით გაკვალულ თოვლში. მწყობრში ჩამდგარი გათოშილი პოეტიც მიდის და მიბუტბუტებს:

ვინა თქვა, თეთრი არისო თოვლი,
მე ეს ზღაპარი, ვერ დამაჯეროთ,
უკვე რამდენი გზა-შარა მოვვლე
და თეთრი თოვლი ვერ ვნახე ჯერაც.

თ. ჯანგულაშვილი სულ უბრალოდ გადმოსცემს იმ დიდ უბედურებას, რასაც ომი ჰქვია.

პოეტმა მეომრის ფარაჯა გაიხადა, მშობლიურ კერას დაუბრუნდა. გაივლის დრო და გუშინდელი მეხთატეხა მოგონებად გადაიქცევა. ომიდან ახლადდაბრუნებული პოეტი, რომელსაც ჯერ კიდევ ყურში ტყვიების ზუზუნი და დაჭრილთა გმინვა ჩაესმის, ცნობისმოყვარეობით აკვირდება ყველაფერს.

პოეტი მშვიდობიან შრომას დაუბრუნდა და ახლა კალამი შეენაცვლა ავტომატს. ის ფარაჯაც და ის გაცრეცილი სამხრეებიც მოგონებებს შემორჩა:

რომ მივდივართ მხარდამხარ,
მაგონდება ხანდახან
ჩემი ფარაჯაც.
ტყვიის ცეცხლით ალურით
სიკვდილმა რომ დამდაღა,
ამ დღის, ამ სიყვარულის
ვიდექ დარაჯად.

იმავე თემას ეხება მოგვიანებით დაწერილი ლექსი „შავი არწივი“. ეს ლექსი საუკეთესოა თავისი ჩანაფიქრითა და გადაწყვეტით. მასში დიდი წუხილია გამქღავნებული.

მშვიდობის თემა განუყოფელია სიცოცხლის თემასთან. თუ ვინმესთვის ბევრს ნიშნავს მშვიდობა, უფრო მეტს უნდა ნიშნავდეს ნაომარი პოეტისათვის. სწორედ ამ თემას ეხება „ღია ბარათი ამერიკელ ოფიცერს“. პოეტი შეშფოთებულია იმის გამო, რომ ზოგიერთებს კიდევ სურთ ჩაითრიონ მსოფლიო ახალ ომში. დასავლელ ოფიცერს მათ ძველ შეხვედრას ახსენებს. აღარ სურს პოეტს მეომრის ფარაჯისა და ჩექმების ჩაცმა, თუმცა საბრძოლველად მაინც მზად არის:

რაღას დიდგულობ ბომბით, აირით,
რას მედავები, სიდან სადაო?..
მე მიწაც მყოფნის, მზეც და ჰაერიც,
ნიუ-იორკთან რა მაქვს სადაო?!

ახლა, როცა ადამიანების ყურადღება შორეული პლანეტებისაკენ არის მიმართული, პოეტსაც, რა თქმა უნდა, ახარებს სამშობლოს დიდი მიღწევა. პოეტი ამ თემას რამდენიმე ლექსს უძღვნის.

თ. ჯანგულაშვილმა დედის ორიგინალური სურათი დაგვიხატა, სხვაგვარად წარმოგვიდგინა მისი თალხი კაბა. ის მწუხარება, რაც მის საკუთარ დედას გადახდენია, აღარ სურს მისი შვილის დედას გადახდეს. პოეტი დედას წითელ კაბას პირდება ბავშვობაში. მაგრამ ეს დაპირება ვერ შეუსრულა, დრომ არ მისცა საამისო საშუალება... ახლა კი პოეტი უსმენს თავის შვილს, რომელიც წითელ კაბას პირდება დედას. შემკრთალი უსმენს პოეტი და... თავის დედას შეხედავს ხოლმე, რომელსაც ცრემლი უკრთის თვალში:

თვალს შეიმშრალებ, უწმინდესი ცრემლებით
ნაბანს;
შვილის წინაშე გსურს დამალო ეგ შავი
კაბა,
როგორც ტკივილი, როგორც ჭრილობა...

პოეტის ამ ლექსში ძალიან დიდი, ერუანტელისმომგვრელი ტკივილია ჩაქსოვილი.

საერთოდ, თ. ჯანგულაშვილი გრძნობის პოეტია. ჩვენც სწორედ ეს მიგვაჩნია ამ წიგნის უპირველეს ღირსებად.

ხალხთა მეგობრობის თემა თ. ჯანგულაშვილის შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი თემაა. პოეტი გულთბილ სტრიქონებს უძღვნის ჩერქეზეთს, დაღესტნის მთებსა და ასულებს. ეს ლექსები ემოციურად შთამბეჭდავია და სასიამოვნოდაც იკითხება.

ცალკე გამოყოფის ღირსია თ. ჯანგულაშვილის სატრფიალო ლირიკა. ლექსები „დაღესტნური მოტივიდან" საინტერესოა თავისი სილაღითა და ღრმა გააზრებით. ამ ლექსებს ფოლკლორის კეთილისმყოფელი გავლენა ეტყობა და უდავოდ საუკეთესოა ამ კრებულში.

როგორც საერთოდ ფოლკლორს, ისე ამ ლექსებსაც სიძველის ელფერი, ძველი ინტონაციის, ქალთან ძველებური დამოკიდებულების ელფერი დაჰკრავს, რაც სწორი გვგონია; ჩვეულებრივ, ფოლკლორს საუკუნეების სიღრმეში აქვს ფესვები. ეს სიღრმე ამბავსა და, უპირველეს ყოვლისა, ინტონაციას ეტყობა, რაინდული დამოკიდებულება ქალთან და ოდნავ მკვეხარობაც. გადაკვრებითა და ეგავებით ლაპარაკი, თავისებური სიბრძნე ან სიბრძნისადმი მიდრეკილება მშვენივრად გამოხატა პოეტმა. სიყვარულის წუთიერი გაელვებაც ამრიგად აქვს გადმოცემული პოეტს:

— დედი, ჩქარა გაიღვიძე, ნახე საკვირველება,
მწვანე კაბა გადაიცვეს თოვლიანმა ველებმა.
დედი, ადი სახლის ბანზე, ნახე თოვლის
ზვინული,
სურნელოვან ცისფერ იებს დაუფარავთ
ყინული.
— შვილო, მწვანით რამ შემოსოს თოვლი
თეთრად დაყრილი,
მხოლოდ შენს გულს, ახალგაზრდულს,
ენგენება ჯერ ცივი,
შვილო, ვხედავ, მოგდებია რაღაც ცეცხლი
ძლიერი,
სიყვარულმა თოვლზეც იცის აყვავება იების.

საინტერესო ლექსია „ძახილი დილეგიდან", რომელიც ესპანეთისა და ესპანელებისადმი არის მიძღვნილი. ცხრაკლიტულში გამომწყვდეული თავისუფლებისმოყვარე პოეტის ლექსი მილიონობით ადამიანის გულებისაკენ ადვილად იკვლევს გზას:

პოეტი მღერის!...
ჯერ ვერც ერთ ჯალათს
ვერ გაუჭედავს ლექსის ბორკილი,
ცხრაკლიტულებს ჰგლეჯს სიმღერის ძალა
და უსასრულო გზებზე მიჰკივის.

პოეტებს ჰკლავენ!...
მაგრამ სიმღერა ვერ მოუკლავს
ჯერ ვერც ერთ ჯალათს!!

შთამბეჭდავი ლექსია „ზეთისხილის ხის ბალადა". ავტორი გულისტკივილით გადმოგვცემს ბერძენი პოეტის ფიქრებს, იმ პოეტისა, რომელსაც დიდი ხანია სამშობლო არ უნახავს.

თ. ჯანგულაშვილი ყველა თემას თავისებური კუთხით უდგება. თუმცა ისიც სათქმელია, თემას ყოველთვის ერთნაირად ძლიერად ვერ სწყვეტს. ლექსებში აქა-იქ პროზაიზმებსაც ვხედებით, „მომრავლდნენ თეთრი ლექსები" სალექსო თემა არ გვგონია. ეს უფრო საქმიანი წერილის თემაა, ვიდრე პოეტური მსჯელობისა. გარდა ამისა, ამ ლექსში გამოთქმული აზრი მცდარი გვგონია და ამიტომ კრებულში მისი დაბეჭდვა შეცდომად მიგვაჩნია.

თ. ჯანგულაშვილის სარეცენზიო კრებული მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის პოეტის საინტერესო შემოქმედებაზე.

კარლო კოგბერიძე

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
78128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“